ჯემალ ფოცხვერია

შავი სათვალე ეკეთა

ჩეკისტის ჩანაწერები



გამომცემლობა
«ახალი საქართველო»
თბილისი 2008

* * *

ერთი უცნობი შემხვდა. შავი მზის სათვალე ეკეთა. კარგა ხანი ვისაუბრეთ. ძალიან ჭკვიანი, პატიოსანი, ღრმა, გულახდილი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ ერთი რამე არ მასვენებდა, _ მისი შავი სათვალე.

მაინტერესებდა, რას მალავდა მათ უკან... მიმიხვდა, მოიხსნა. აღმოჩნდა, რომ მალავდა არა ბოროტ ან გულგრილ ან მატყუარა, არამედ ძალიან თბილ, გამჭრიახ, ბრძნულ და მუდმივად სევდიან თვალებს.

...ყველა თავისებურად იცავს თავს...

უდიდესი მადლიერი დავრჩი, რომ მენდო და სათვალის მოხსნის ღირსად ჩამთვალა...

მეც ხშირად ვმალავ ხოლმე ჩემს სევდას ამ მეთოდით...

თუმცა, მისნაირი გულუხვი ან თბილი, ანდა ენერგიული ვერ გახლავართ.

ასე ჩანს ჯერჯერობით, რომ ცხოვრება საუბედუროდ მერევა...

გია ფოცხვერია

* * *

ეს რა გულთმისანი ყოფილხარ, შვილო. ამ პატარა მინიატურაში თითქმის აკუმილირებულია ჩემი წარსული. ცხოვრების სირთულეებთან ბრძოლაში ძალიან ხშირად მიხდებოდა, შავი სათვალეები ამეფარებია არა მარტო თვალებისათვის, არამედ გრძნობებზე, ემოციებზე, განცდებზე, რომ სიცოცხლის უნარი შემენარჩუნებინა და შეძლებისდაგვარად გადამერჩინა ჩემი ცოდვილი სული.

თუმცა ბედნიერების წუთებიც მქონია. არსებობდა და არსებობს მრავალი პიროვნება, ვისაც თვით მოუხსნია ჩემთან ურთიერთობაში შავი სათვალები. ეს კი, დამერწმუნე, ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, ვინაიდან ამ დროს გრძნობ, რომ მარტო არა ხარ, გყავს მეგობრები, ნათესავები და ასე შემდეგ.

ჯემალ ფოცხვერია

ვუძღვნი
შვილისა და ძმისშვილის
გია და ზაზა ფოცხვერიების
ხსოვნას.

წინათქმა

ჩქარა ორი წელი გახდება, რაც აღარა ხარ ჩვენთან, როცა ცოცხალი იყავი, გვიყვარდა საუბარი, პაექრობა, ერთმანეთისათვის საკუთარი სიმართლის მტკიცება, ახსნა. ხშირად ვპოულობდით თანხმობას, მივაღწევდით კომპრომისს, ხანდახან ჩვენ-ჩვენს აზრზე ვრჩებოდით, მაგრამ ეს არასოდეს არ გვიშლიდა ხელს, ერთმანეთისათვის სასურველი რესპოდენტები ვყოფილიყავით. ჩემდა საუბედუროდ, შენი წასვლის შემდეგ ჩემთვის არაფერი შეცვლილა. თითქმის ყოველდღე, ყოველ წამს გესაუბრები, შვილო... გერმანულ მენტალიტეტს რომ შეშურ-დება, ისეთი ანალიზი გავაკეთე ჩვენი განვლილი მამაშვილური ცხოვრებისა, ურთიერთობისა, ვარაუდებისა და ვერსიებისა. როგორც კინოფირზე, ისე გავცერი ჩვენი ცხოვრების განვლილი გზა. რომ იცოდე, რამდენი შეცდომა დამიშვია, რამდენი გაუთვლელი ნაბიჯი გადამიდგამს და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველივე ამან მიმიყვანა იქამდე, რომ ვერ შევძელი, ვერ მოვახერხე შენი ესოდენ მგრძნობიარე და დაუცველი გულის მესაიდუმლე გავმხდარიყავი, დაგხმარებოდი, ნუგეში მეცა, ის მეგობრობა გამეწია, რასაც თვით დაუშურვებლად ჩუქნიდი ყველას, ვისთანაც კი ხელი მიგიწვდებოდა. მაგრამ ახლა ყველაფერი გვიანია. არავითარი სასწაული მოსალოდნელი არ არის. ჩვენ ამ ცხოვრებაში ვეღარ შევხვდებით. ჩემთვის და შენთვის უკვე ყველაფერი წარსულშია... ღმერთმა ქნას, იქ, ზეცაში შევხვდეთ და ყველაფერი ვუთხრათ ერთმანეთს, რაც სიცოცხლეში ვერ მოვასწარით. ღმერთმა ქნას, შვილო! ღმერთმა ქნას!

გახსოვს, ჩემო ბიჭუნა, რამდენჯერ მომიყოლია შენთვის ჩემი მძიმე ბავშვობის შესახებ, ყოველივე იმის შესახებ, რაც მაშინ ასე მაღელვებდა, რაც გადამხდა, რისი მოწმეც ვიყავი ჩემი ცხოვრების სხვადასხვა წლებში (ვ. ჟვანიასთან ურთიერთობა, მისი ფენომენი, გენერალ მაზნიაშვილის «საქმე», მერაბ კოსტავას წამებული და მტკიცე ხასიათის თავისებურება, ფერღანის მოვლენები, ავღანეთში მივლინება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ). მახსოვს, რა კარგი მსმენელი იყავი, რა ღირსეული მრჩეველი და, რაც მთავარია, რა კარგი მესაიდუმლე, რამეთუ მაშინ ბევრი რამ, რაც ამ წიგნშია აღწერილი, სახალხოდ გამომზეურებას არ ექვემდებარებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ყოველივე ამაზე აშკარად შეძლებდა ადამიანი საუბარს?! რამდენჯერ გითხოვნია, სისტემაში მომეყვანა ჩემი მონათხრობი, შემდეგ ჩამეწერა და, სახალხოდ თუ არა, პირადად შენთვის მაინც დამეტოვებინა ეს ჩანაწერები. აი, ხომ ხედავ, მხოლოდ შენმა სიკვდილმა მომცა ძალა, შემესრულებინა შენი თხოვნა.

არა, შვილო, არავითარი პრეტენზია არა მაქვს მწერლობაზე. დავწერე მხოლოდ ის, რასაც ვფიქრობდი, რაც პირადად გადამხდა. არცერთი ეპიზოდი მოგონილი და შეთხზული არ არის. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის, რაც აღწერილია

ამ წიგნში, ავტობიოგრაფიულია, ჩემი ცხოვრების განვლილი გზაა. შეცდომები უამრავი იყო, მაგრამ ღმერთმა დამიფარა, რომ არ ჩამედინა ისეთი ცოდვები, რომლებიც სიცოცხლის დასასრულს გამიმწარებდნენ. თუმცა ეს კი მოხდა: შენ წახვედი და ჩემმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა, მაგრამ... მაგრამ არიან შენი ძმა დავითი, მისი მეუღლე ნატო, შენი ძმისშვილები ნიკოლოზი (ნიკა), დიმიტრი (დიტო), ანა-მარია და, რაც მთავარია, დედა, დედაშენი ლიანა, _ რომლებსაც, თუ ვჭირდები, უნდა ვიცოცხლო, სანამ ღმერთი ამის საშუალებას მომცემს.

შესავალი

მართალი გითხრათ, არასოდეს მიფიქრია რაიმე «მოგონებების» დაწერა და საერთოდ არ მიმაჩნია, ისეთი გზა გავიარე სახელმწიფო უშიშროების სისტემაში მუშაობის დროს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდეს. წამიკითხავს ბევრი დახურული ოპერატიული მასალა და აგრეთვე ყველასთვის ხელმისაწვდომი დეტექტური ლიტერატურა გამოჩენილი მზვერავების, კონტრდაზვერვის კორიფეების ცხოვრების შესახებ. მათთან შედარებით ჩემი ბიოგრაფიული «მოგონებები» რა მოსატანია. მართალი გითხრათ, როცა ვწერდი, სრულებითაც არ მქონდა განზრახვა, რომ ჩემი სამსახური უშიშროების სისტემაში განსაკუთრებითი მოვლენებით შემელამაზებინა ან თუნდაც რაიმე შემეთხზა. გავიხსენე ის, რისი უშუალო მონაწილეც გახლდით ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო და განვლილი ცხოვრების განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, მხოლოდ მცირე ნაწილი გამოაშკარავდა იმ ავბედითი ისტორიული მონაკვეთისა, რომელშიც გვიხდებოდა ცხოვრება. მიმაჩნია, რომ უნდა დამეწერა და საზოგადოებისთვის განსაკუთრებით ცნობილი გამეხადა ის ფაქტები, რომელთა უშუალოდ მონაწილეც პირადად ვიყავი და სხვა არავინ... ეს ფაქტები შეეხება ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას და იმ ბიოგრაფიულ ეპიზოდს, რომელიც მის პატიმრობას ასახავს.

მინდოდა მეამბნა აგრეთვე ღირსეული ქართველი მამულიშვილის, ქართველი ერის უანგარო პატრიოტის გენერალ მაზნიაშვილის ცხოვრების იმ მომენტების შესახებ, რომლებიც ქართველი საზოგადოებისთვის უცნობი იყო. თუმცა გენერალმა მაზნიაშვილმა საფრანგეთიდან ჩამოსვლის შემდეგ დაწერა მოგონებების პატარა წიგნი, სადაც მისთვის ჩვეული მოკრძალების გამო, თითქმის არ შეეხო თავის როლს ბათუმის ოლქის საქართველოსთან შემოერთებისათვის ბრძოლაში.

მინდოდა მომეთხრო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ წარმომადგენელზე, რომელიც ერთპიროვნულად შეებრძოლა საბჭოთა რეჟიმს და თავისი გამოუცდელობის გამო ისეთი რამ ჩაიდინა, რამაც ეს პიროვნება გარიყა ეროვნული მოძრაობის ისტორიული წარსულიდან. მხედველობაში მყავს ვალიკო (ვალერიან) ჟვანია, რომელსაც ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ასეც რომ არ იყოს, აბა დღეს ვ.ჟვანიას გახსენება ვის რაში სჭირდება, თითქმის ყველა თავისი წარსულის შელამაზებითაა გართული.

ძირითადად ამ ფაქტორებმა აღმიძრა სურვილი, ხელში კალამი ამეღო. შემდეგ სიტყვას სიტყვა მოჰყვა, მოგონებას _ მოგონება და ეხლა თქვენს წინაშეა დაუვიწყარი ფაქტები ჩემი ცხოვრებისა. ჯერჯერობით ჩემს კოლეგებს მსგავსი მცდელობა არ ჰქონიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ინტერვიუებს, როდესაც

ინტერვიუერები ექსპერტების სახით გამოდიან და აშუქებენ ამა თუ იმ მოვლენებს, სამწუხაროდ არც თუ ისე ობიექტურად, რადგანაც მათ საუბარში იგრძნობა თვითდაჯერებულობა და გარკვეული ნოსტალგია დაკარგული ძალაუფლების გამო...

კიდევ ერთის თქმა შეიძლება. ისევე როგორც სჭირდება გამოკვლევა და შესწავლა საბჭთა პერიოდის ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობებს _ ხელოვნებას, მეცნიერებას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და სხვა დარგებს, ასეთივე შესწავლა-გამოკვლევა სჭირდება კომუნისტური რეჟიმის სამართალდამცავ ორგანოთა სისტემას. არავინ თქვას, რომ ასეთი სისტემა სპონტანური იყო. ის იყო ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც თითქმის 70 წელიწადს ემსახურებოდა მმართველ ბოლშევიკურ პარტიას. ამ კომუნისტურმა მექანიზმმა ფაშიზმიც კი დაამარცხა. ამიტომაც ვურჩევდი ახალგაზრდა მკვლევარებს, შეისწავლონ ეს ფენომენიც, რათა არ გავიმეოროთ შეცდომები, და იმ ექსპერიმენტებს, რომლებიც კომუნისტებმა და ფაშისტებმა ჩაატარეს, კვლავ არ შეეწირონ ათეულ მილიონობით უდანაშაულო ადამიანები.

არადა, არავინ იფიქროს, რომ ამის საშიშროება არ არსებობს, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში კომუნიზმის და ფაშიზმის აჩრდილები ჯერ კიდევ დადის, ჯერ კიდევ არიან ქვეყნები, სადაც ბატონობენ მსგავსი იდეოლოგიები...

ერთადერთი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც არსებობს ამ თემაზე, გახლავთ პროფესორი ვალერი ბენიძის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც ეხება საქართველოში ЧК-ს ჩამოყალიბებას და ისტორიულ მონაკვეთს 1921 წლიდან 1937 წლამდე. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს ნაშრომები შექმნილია საბჭოთა სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მათ ობიექტურობაზე საუბარი ზედმეტია.

მაინც რა იყო უშიშროების სამსახური, კერძოდ _ საქართველოს უშიშროების კომიტეტი, როდესაც მე იქ ვიმუშავე (1966-1982წწ.)? ეხლანდელი გადმოსახედიდან გარკვეული ცხოვრებისეული ანალიზის გათვალისწინებით შეიძლება თამამად ითქვას, რომ უშიშროების კომიტეტის სამსახური არაფრით არ განსხვავდებოდა იმ ბიუროკრატიული თუ ჩინოვნიკური აპარატებისაგან, რაც საბჭთა ხელისუფლებამ შექმნა თავის მმართველობის განმავლობაში, იგი ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც სხვა საბჭოთა აპარატი, მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით _ მის ხელში იყო ძალაუფლება ხალხზე მეთვალყურეობისა, ზედამხედველობისა. ძირითადი მიზანი იყო იმ პროცესების, იმ მოვლენების შესწავლა, პროფილაქტიკა, რომლებსაც შეეძლოთ იდეოლოგიისათვის ზიანი მოეტანათ, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ მოგვიანებით აშკარად ჩანდა, რომ რეჟიმი ლპებოდა და რეალური სინამდვილე და კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდით ყბადაღებული ზღაპრები თანდათან ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. უკვე ვერავითარი უშიშროების აპარატი ამას ვერ გადაარჩენდა. ხანდახან მიფიქრია კიდეც: ამიტომ ხომ არ ატარებდა კომუნისტების ლიდერი ი. სტალინი რეპრესიებს, რომ დაეთრგუნა ხალხის ნებისყოფა, მონის ფსიქოლოგიამდე დაეყვანა იგი და შემდეგ ემართა?! მაგრამ სტალინის იდეოლოგია, ჩვენდა საბედნიეროდ, 60-ანი წლებიდან უკვე აღარ სჭრიდა, რკინის კედელი _ აღმართული აღმოსავლეთის მიერ უფრო და უფრო გამჭვირვალე ხდებოდა, მსოფლიო ახალი კომუნიკაციური ინფორმატიკის რევოლუციის წინაშე იდგა. ახლა მარტო რადიომიმღები კი არ იყო ინფორმაციის ერთადერთი წყარო, არამედ ტელევიზია, ტელექსი, ტელეტაიპი და ა.შ., არაფერი რომ არა ვთქვათ დღევანდელ სინამდვილეზე, ინტერნეტზე, მობილურ ტელეფონებზე, ინტერფაქსზე და სხვა და სხვა. ახლა ხომ საერთოდ გამორიცხულია ინფორმაციული კედლის

აღმართვა, ამიტომაც იყო სტალინიზმის უკანასკნელი გამოვლინება ბერლინის კედელი, ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანა და ა.შ. მაგრამ მკითხველს არ უნდა შეექმნას მცდარი შეხედულება, თითქოს ინფორმაციის ასეთმა კოსმიურმა გავრცელებამ მსოფლიო ინფორმაციის კონტროლი უპატრონოდ დატოვა. უშიშროების ორგანოები კარგახანია გლობალურად აკონტროლებენ მას.

საქართველოს უშიშროების კონტრდაზვერვის და დაზვერვის აპარატები პერიფერიულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ და მათი ძირითადი მოვალეობა მოსკოვის სათავო სამმართველოების ბრძანებების შესრულება იყო. თუკი რამე საინტერესო (ოპერატიული თვალსაზრისით) ღონისძიება ჩატარდებოდა ამ ხაზით, საქართველოში იმდღესვე ჩამოდიოდა დიდი დელეგაცია მოსკოვიდან საქართველოს ჩეკისტების დასახმარებლად. ერთი რამ, რაც პირველ დღეებიდან ვიგრძენი, იყო ის, რომ ხალხს, მის ძირითად მასას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა რეპრესიების წლები, იმდენად იყო ხალხის ფსიქიკა დათრგუნული, ვერ დაეჯერებიათ, რომ ის შავბნელი ხანა კიდევ არ გამეორდებოდა. შიშის ამ სინდრომმა შექმნა ის რწმენა, რომ უშიშროებამ ყველაფერი იცის, ყველაფერს აკვირდება და საჭირო მომენტში ვაი თუ კვლავ ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენოსო. რამდენადაც არ უნდა დაგერწმუნებინა ობივატელი, რომ ასეთი ტოტალური ზედამხედველობა პრაქტიკულად და ტექნიკურადაც შეუძლებელი იყო (განსაკუთრებით სატელეფონო მეთვალყურეობა), არავის მაინც არ სჯეროდა. ლოგიკის არავითარი არგუმენტი არ სჭრიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ხალხში ძლიერ გაზვიადებული იყო უშიშროების სამსახურის ყოველშემძლეობა. ლენინისა და სტალინის მიერ ჩატარებული რეპრესიები ჯერ კიდევ დავიწყებული არ იყო. ცხოვრების ასპარეზზე გამოსულნი იყვნენ დახვრეტილთა შთამომავლები. ყველა მათგანში ფხიზლობდა სინდრომი გადარჩენისა, თუმცა კარგად აწყობილ სისტემაში მოყვანილ აგენტურულ (მსტოვართა) აპარატს არავითარი განსაკუთრებული მოვლენა თითქოსდა ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩენოდა, მაგრამ იყო ერთი «მაგრამ». სწორედ ეს აგენტურული მუშაობა _ მისი სწავლების მეთოდიკა თანდათანობით სულ მოიკოჭლებდა, რადგან ასეთი «სამუშაოს წარმოება», ისე როგორც საბჭოთა სინამდვილის სხვა სფეროების მიწერებისა, სტატისტიკის მსხვერპლი ხდებოდა. ოპერატიულმა მუშაკმა ეს მუშაობა რომ «ხარისხიანად» ჩაატაროს, თვითონ უნდა იყოს იდეურად გამობრძმედილი, თვითონ უნდა სჯეროდეს, ასეთი იდეური მუშაკები კი თანდათან მცირდებოდა, ვინაიდან ისინი ძირითადში წარმოადგენდნენ იმ კომკავშირულ-პარტიულ მასალას, რომლებიც ზრუნავდნენ არა იმაზე, რომ რაიმე შეექმნათ, არამედ პირად კარიერაზე, ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ მათი კოლეგები პროკურატურაში და შინაგან საქმეთა სამინისტროში. უშიშროებაც იგივე სენით იყო შეპყრობილი, როგორც მთლიანად საბჭოთა სინამდვილე, აქაც იყო გამეფებული კლანობრიობა, კუთხურობა, ძმაბიჭობა და სხვა. თუკი ამოვარდნილი იყავი რომელიმე კლანის სიიდან, მაშინ უბრალოდ ზედმეტ ელემენტად იქცეოდი, არც არაფერს დაგიშავებდნენ და არც არასოდეს არ იფიქრებდნენ შენს დაწინაურებაზე, წახალისებაზე და ა.შ.

ეს ატმოსფერო, რა თქმა უნდა, ქმნიდა ჯგუფურობის, მლიქვნელობის აღორძინების ატმოსფეროს. კულტურისა და სწავლების ყველა სფეროში იყო მიმაგრებული ე.წ. კურირებისათვის ოპერატიული მუშაკი. ასე წარმოიდგინეთ, კონსერვატორიას და სამხატვრო აკადემიას «ემსახურებოდა» ფიზკულტურის ინსტიტუტდამთავრებული წარუმატებელი კარიერის მქონე სპორტსმენი მოჭიდავე, უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს _ კულტივისტი, მეცნიერებათა აკადემიას _

ინჟინერი, მწერალთა კავშირს _ ექიმი და სხვა. შემოქმედებით კავშირებს ზედამხედველობას უწევდა ადამიანი, რომელსაც საერთოდ რუსულ ენაზე ჰქონდა სწავლა-განათლება მიღებული და წარმოდგენა არ ჰქონდა ქართულ მწერლობაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე. დედანში არ ჰქონდა წაკითხული ილია, აკაკი, ვაჟა, რუსთაველზე რომ არაფერი ვთქვათ.

ერთიც უნდა მოგახსენოთ, და ეს სრული სიმართლეა. ახლა რომ ყველა «ერიდება» თავისი «მეგობრობის» გახსენებას უშიშროების კომიტეტის მუშაკებთან, ეს ნამდვილად ასე არ იყო. დამერწმუნეთ, ბევრი ცდილობდა მათთან მეგობრობას, მათ მხარდაჭერას (ზურგს). ისინი მაშინ სულ სხვა «სიმღერას» მღეროდნენ, გაუთავებელ სადღეგრძელოებში ეფიცებოდნენ მეგობრობას, ძმობას და სხვა. მათ შორის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, მწერლები, ჩინოვნიკები, ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლები და სხვები. მაშინ მათ ეს პრესტიჟისათვის სჭირდებოდათ _ თავიანთი მერკანტილური მიზნების განხორციელებისათვის. შემდეგ მათ ყოველივე ეს დაავიწყდათ, მიეჩვივნენ მორცხვად თვალის არიდებას, თუკი სადმე შეგვხვდებოდნენ.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც კაცური კაცი იყო, იმას არასოდეს შეუქცევია ზურგი, უბრალოდ იმ ადამიანად დარჩა, რაც იყო და იქნება...

ყმაწვილად არ ვითვლებოდი, როცა უშიშროებაში სამუშაოდ მივედი, უკვე 27 წლისა გახლდით, გავლილი იყო სტუდენტობა, გარკვეული ცხოვრებისეული გაკვეთილებიც მიღებული მქონდა, მაგრამ მაინც გარკვეულწილად «გულუბრყვილოდ» გამოვიყურებოდი ახლანდელი გადასახედიდან... მჯეროდა იმ «ავტორიტეტისა», რომელიც შექმნილი იყო ამ ორგანოს გარშემო კომუნისტური პროპაგანდის მიერ: იყავი წესიერი, დისციპლინირებული, აკეთე შენი სამუშაო კარგად და ყველა შეგამჩნევს, ხელს გამოგიწოდებს, დაგეხმარება. ყოველივე ეს საკმაო გამოცდილების შეძენის შემდეგ სასაცილოდ მიმაჩნია... ის კი არა, ძალიან ჩქარა აღმოვაჩინე: კორიდორში რომ კოლეგა შეგხვდა, გაკოცა, მოგიკითხა, თურმე რამდენიმე წუთია, რაც გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან, სადაც ვერაგულად ჩაგიშვა, დაგაბეზღა, ყოველივე მართალი თუ ტყუილი აურია, ვინაიდან შენი თანამდებობა აინტერესებს, ძირს გითხრის, უფროსთან ქულებს აგროვებს. ეჰ, ასეთი არაერთი პიროვნება «გამოვავლინე» ჩემი მუშაობის განმავლობაში. მერე რა? მათი აღმოფხვრა მაინც არ შეიძლებოდა, რადგან თავმჯდომარეს თავისი მსტოვრები ჰყავდა, მის მოადგილეებს _ თავისი, განყოფილების უფროსებსაც თავიანთი და ა.შ. იმ კაცმა, რომელიც ჩემთან აკადემიაში ლუკმა პურს ინაწილებდა, ჩემი კონსპექტების გადაწერით ალბათ ხელები ჰქონდა დაკოჟრებული, ისე მწარედ დამაბეზღა (20-21 ფურცელზე დაწერა ჩემი ცხოვრების «საშინელებები»), იმდენს მიაღწია, რომ ჩემი თანამდებობა დაიკავა და შემდეგაც არ შეუწყვეტია ძმობაზე ჩემთან ფიცი და გულში მჯიღების ცემა ერთგულებაზე.

სახელმწიფო უშიშროების კადრების მუშაკებს განსაკუთრებული როლი ეკისრებოდათ. ახლა ყველას დაავიწყდა ან უნდა რომ დაივიწყოს, რომ კადრების შევსების გზაზე უშიშროების კომიტეტს დეფიციტი არასოდეს გააჩნდა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული კონკურსიც კი არსებობდა. სხვა საკითხია, რა კრიტერიუმებით შეირჩეოდა კადრები. მათი შევსების რამდენიმე წყარო არსებობდა: პირველი _ კომკავშირული და პარტიული საგზურებით. ამ ნაკადში გათვალისწინებული იყო როგორც რიგითი კომკავშირული და პარტიული მუშაკების მოზიდვა, ისე უკვე საკმაო კარიერის შემდეგ მათი მოვლინება უშიშროების სისტემაში სამუშაოდ. აქ კი გარკვეული წინააღმდეგობა იქმნებოდა. ასეთი უკვე

წარმატებული კარიერით განებივრებულ ახალგაზრდას, რომელსაც თავისი თავი უკვე თვალსაჩინო სახელმწიფო ან პარტიულ მუშაკად წარმოედგინა, რაც მას შემდგომში დიდ მატერიალურ პრივილეგიებს პირდებოდა, სრულებითაც არ სურდა ისეთ ჩაკეტილ ორგანიზაციაში მუშაობა, რასაც უშიშროება წარმოადგენდა და გარკვეულ წილად ეშინოდა კიდეც ასეთ სამსახურში სამუშაოდ მოსვლა. ამიტომაც ამ «ფრონტზე» პარტიული მუშაკის გადმოყვანა ყოველთვის დადებითი შედეგით არ მთავრდებოდა. არ იფიქროთ, ეს რაიმე იდეოლოგიური წინააღმდეგობის გამო ხდებოდა, სრულებითაც არა, უბრალოდ მიზეზი მხოლოდ პირადი გახლდათ. ამიტომაც ყველა მართალი თუ ტყუილი მოგონილი არგუმენტებით ასეთი ხალხი თავიდან იცილებდა ამგვარ სამსახურს. არადა, ასეთი შევსება პარტიულ ორგანოებს აუცილებლად მიაჩნდათ, რათა განეზავებინათ უშიშროების სამსახური, გაეთიშათ რაიმე კასტური დაჯგუფებები და, რაც მთავარია, ბოლომდე მაინც აღარ ენდობოდნენ ამ ორგანოებს. ამგვარად მრავალმა კომკავშირულმა და პარტიულმა მუშაკმა თავიდან აიცილა უშიშროებაში მუშაობა. ვიღაცას მაინც «არ გაუმართლა», ვიღაცამ კი თავისი პირადი თვისებების გამო იპოვა თავისი ადგილი... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, ასეთ ხალხს, შემდეგ დიდ საკადრო მეთვალყურეობის ქვეშ აქცევდნენ. ჯერ ერთი გადმოყავდათ არა რიგით სამუშაოზე, არამედ საშუალო რგოლის ხელმძღვანელ სამუშაოზე. შემდეგ, რამდენადაც ეს საჭიროდ მიაჩნდათ, სხვებზე მეტად აწინაურებდნენ და ამ დაწინაურებაში ძირითადი პრინციპი _ მუშაკის პროფესიონალობა _ სრულებითაც არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს, უბრალოდ იძულებული იყვნენ, დაეწინაურებინათ, კარიერული ზრდის პერსპექტივა მიეცათ. თუკი იმასაც წარმოვიდგენთ, რომ ეს ხალხი პირადი ხასიათის თვისებებით მეტად ამბიციურები გახლდნენ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ უკვე ყველაფერი იცოდნენ, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, თუ რა საკადრო შევსება მოდიოდა უშიშროების სამსახურში. ამიტომაც თვით შიგნით კოლექტივში იქმნებოდა გარკვეული დაყოფა: ძირითადი უმრავლესობა ავსებდა საკადრო ოფიცერთა რიგებს, რომლებსაც არავითარი წინა კომკავშირული და პარტიული ბიოგრაფია არ გააჩნდათ, დამთავრებული ჰქონდათ სპეციალური სასწავლებლები, ფლობდნენ სხვადასხვა ენებს და ა.შ.

როგორც მოგახსენეთ, 27 წლის არც თუ ისე ახალგაზრდა კაცი გახლდით, როცა სახელმწიფო უშიშროების კადრებში ჩავირიცხე და სასწავლებლად (წლინახევრით) მივლინებული ვიყავი მინსკის კონტრდაზვერვის სკოლაში (აკადემიაში). საერთოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ კალენდარული 32 წელი ვიმსახურე უშიშროებაში და აქედან თითქმის 4-5 წელი სხვადასხვა სპეცსასწავლებლებში მაქვს გატარებული ე.წ. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სხვა და სხვა ოფიცერთა გადამზადების კურსებზე. ვისაც თვითონ არ უსწავლია ასეთ დაწესებულებაში, მისთვის საკმაოდ წარმოუდგენელი იქნება იმ დისციპლინის, სწავლების მაღალი დონის, ადამიანის ცხოვრების თვითეული გათვლილი წუთის, საათის, დღის რეჟიმი, რაც იყო გამეფებული ამ სპეცსასწავლებლებში. თითქმის ყოველი წამი გათვლილი იყო იმ წუთიდან, როცა საწოლიდან დგებოდი: 10 წუთი _ პირადი ტუალეტი, 30 წუთი ფიზმომზადება, 15 წუთი - ჰიგიენისთვის, ჩაცმა, საუზმე და მწყობრად სასწავლო აუდიტორიებში 6-8 აკადემიური საათი მეცადინეობა; მერე სადილი, ერთი საათნახევარი პირადი დრო, შემდეგ მწყობრში ჩადგომა და ისევ ჰერი-ჰერი სასწავლო აუდიტორიებისაკენ და ოპერატიული ლაბორატორიებისაკენ. საშინაო დავ-ალებისათვის მომზადება, ოპერატიული საიდუმლო მასალების მომზადება, სემინარებზე გასვლისათვის მომზადება და სხვა... ყოველივე ეს ასე საღამოს შვიდზე

მთავრდებოდა, შემდეგ _ ვახშამი, შემდეგ _ თითქოსდა თავისუფალი დრო საღამოს 11 საათამდე, მაგრამ იმდენი დავალება იყო მოცემული, რომ «თავმოყვარე კურსანტი» ვერაფრით ვერ შეძლებდა ქალაქში სეირნობას და იძულებული იყო, სამეცადინოდ ისევ სასწავლო აუდიტორიებს დაბრუნებოდა. ყოველივე ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თვით აკადემიის ხელმძღვანელობაც ხშირად გვიკრძალავდა ქალაქში გასვლას სხვადასხვა მიზეზების გამო (განსაკუთრებით ხელფასის მიღებისას), რადგან ამ დღეებში ხშირი იყო შემთხვევა კურსანტების ლოთობისა და შემდეგ სხვადასხვა ფათერაკების, კოლექტიური ჩხუბებისა და სხვა. თუმცა, გენი მაინც გენია და ვერავითარი დისციპლინა და პასუხისმგებლობა ვერ აღმოფხვრის იმას, რაც გარკვეულ ხალხს სისხლში აქვს გამჯდარი.

პირველად რომ მოვხვდი ასეთ სასწავლებელში, ჩემი თავი კინოფილმებში ან მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერილი იეზუიტების რელიგიურ სემინარიაში მეგონა, იმდენად იყო შეზღუდული ყოველგვარი პიროვნული თავისუფლება... ყველაფერი მიმართული იყო მხოლოდ ერთი მიზნისაკენ: მოკლე დროში მიეცათ მაქსიმუმი სპეცგანათლება, აგრეთვე კომუნისტური იდეალებით აღეზარდათ გამობრძმედილი, როგორც ჩეკისტების იდეურმა მამამ ერთხელ სთქვა _ с холодной головой, чистыми руками и горячим сердцем _ ჩეკისტები.

რაც მთავარია, ამისათვის ყველა პირობა არსებობდა: შესანიშნავი სასწავლო კომპლექსი, მეცნიერების უახლესი მიღწევებით აღჭურვილი კრიმინალისტური ლაბორატორიები, მდიდარი დახურული (საიდუმლო) თუ ღია ბიბლიოთეკასაცავი, მთელ საბჭოთა კავშირში (გაუზვიადებლად ვიტყვი ამას) შერჩეული პედაგოგები, გამობრძმედილი ყოფილი ოპერატიული მუშაკები, ახლა უკვე პედაგოგები, მათ შორის _ რამოდენიმე ათეული მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა კანდიდატი და ა.შ.

მართალი გითხრათ, ყველა კურსანტი ან ფიზიკურად, ან ფსიქიკით ვერ უძლებდა ასეთ გადატვირთულ სასწავლო პროცესს და თანდათან განითესებოდნენ. ასეთი შემთხვევები არც თუ ისე იშვიათი იყო...

კადრები მოედინებოდა, საკავშირო ლიმიტები სასწავლებლებში ივსებოდა, მაგრამ საკადრო დეფიციტი მაინც შეიქმნა 70-ანი წლების შუალედში, როცა ტერორისტმა კრემლის მისასვლელებთან ლ. ბრეჟნევის მაგივრად კოსმონავტი ლეონოვი დაჭრა, ხოლო მანქანის მძღოლი მოკლა. ამის შემდეგ ანდროპოვმა «მოახერხა», რამდენიმე ათასი ერთეულით გაეზარდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა რიცხვი. საქართველოს უშიშროების კომიტეტს დაუმატეს დაახლოებით სამი ასეული მუშაკი და შეიქმნა თბილისის უშიშროების სამმართველო, თბილისის რაიონული უშიშროების განყოფილებები, რაიონული ქვეგანყოფილებები თელავში, სიღნაღში, საგარეჯოში, წყალტუბოში, ლანჩხუთში, წულუკიძეში (ხონში), გეგეჭკორში (მარტვილი) და სხვა რაიონებში, რომლის შექმნა არავითარ ოპერატიული მდგომარეობით არ იყო განპირობებული, მე ვიტყოდი _ სასაცილოც კი იყო _ თუ არა სატირალი. ეს მხოლოდ ხალხის ფულის უყაირათოდ ხარჯვა გახლდათ და მეტი არაფერი... მაგრამ შემდეგ ამ სამსახურებს დაავალეს მილიციის მუშაკთა მეთვალყურეობა, მისცეს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა შესახებ მასალების შეგროვების უფლება და ა.შ. და უსაქმურად რომ არ დარჩენილიყვნენ, ოპერატიული მუშაკებიც თავს არ იზოგავდნენ და აქა-იქ «აღმოაჩენდნენ»-ხოლმე პროვინციის დისიდენტებს, ანტისაბჭოთა ელემენტებს. საერთოდ უშიშროების კომიტეტში სამუშაოდ ადამიანის მიღებას (გაფორმებას) საკადრო მუშაკები თითქმის ერთ, ორ წელიწადს ანდომებდნენ, სწავლობდნენ მომავალ კანდიდატს _ თითქმის საშუალო

სკოლიდან მოყოლებული, განიხილებოდა მისი ბიოგრაფია გამადიდებელი ლუპის ქვეშ, უკეთდებოდა ანალიზი, თითქმის მესამე თაობაში (ოქტომბრის რევოლუციიდან დაწყებული) შეისწავლიდნენ მის წინაპრებს და ა.შ. სწავლობდნენ კანდიდატს აგენტურული მეთვალყურეების საშუალებით, ადგენდნენ მისი ხასიათის თვისებებს, მიდრეკილებებს და ა.შ. და ა.შ. თითქოსდა ასეთი «შესწავლის» შემდეგ «შემთხვევითი» პირვნებები სამუშაოდ არ უნდა მოხვედრილიყვნენ (ვინაიდან არცერთ საბჭოთა ჩინოვნიკურ აპარატში, თვით კომკავშირულ და პარტიულ აპარატშიც, კადრების ასეთი «ზედმიწევნით» შესწავლა არ ტარდებოდა)... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ კოლექტივშიც აღმოაჩენდით შემდეგ ალკოჰოლიკებს, ფსიქიურად არამდგრად პიროვნებებს, ფანატიკური იდეებით შეპყრობილ ადამიანებს. ასეთი ხალხი კი მეტად «საშიში» იყო საზოგადოებისათვის, რამეთუ ისინი, როგორც რობოტები, მზად იყვნენ შეესრულებინათ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალება. მითუმეტეს _ ის «სახელმწიფო ძალაუფლება», რომელიც მინიჭებული ჰქონდა თითქმის რიგით ოპერატიულ მუშაკსაც, არც თუ ისე მცირე იყო და მის ბოროტად გამოყენებას შეძლო საკმაოდ შეეზღუდა რომელიმე საბჭოთა მოქალაქის უფლებები. მხედველობაში მაქვს ე.წ. ოპერატიული საიდუმლო ცნობების შედგენის პრაქტიკა, რომელიც გამეფებული იყო უშიშროების სისტემაში. რას წარმოადგენდა ეს «ოპერატიული ცნობა»? ეს იყო ოპერატიული მუშაკის მიერ შედგენილი დახასიათება ამა თუ იმ პიროვნებაზე _ აგენტურასთან საუბრის შემდეგ ან სანდო პირებთან გასაუბრების შედეგად, სადაც ოპერატიული მუშაკი იძლეოდა პიროვნების დახასიათებას, ხატავდა მის მორალურ-პოლიტიკურ პორტრეტს და ეს ცნობა საფუძვლად ედებოდა ამა თუ იმ მუშაკის საკარიერო ზრდას, საზღვარგარეთ სამუშაოდ თუ ტურისტული საგზურით გამგზავრებას თუ არ გამგზავრებას, საიდუმლო თემატიკასთან დაშვების უფლების მიცებას და ა.შ. აქ კი დიდი საშიშროება იმალებოდა, ვინაიდან იყო შემთხვევები, როცა ცალკეული არაკეთილსინდისიერი მუშაკები იძლეოდნენ არაობიექტურ მასალას, შინაგან ბოღმასაც კი ჩადებდნენ და გადმოანთხევდნენ ე.ი. წინასწარგანზრახულად აშკარად ჩირქს მოსცხებდნენ ადამიანს, შემდეგ ამ პიროვნებებს ექმნებოდა პრობლემები, რომელთა მიზეზიც ვერ გაეგოთ, ვერ დაეზუსტებიათ. ისინი ხან აღშფოთებით, ხან თხოვნით მოგვმართავდნენ, თუ რატომ არიან გარიყულნი იმ პროცესებიდან, სადაც მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ამის პასუხის გამცემი არავინ იყო, ვინაიდან ასეთი «ცნობების» ანონიმური ავტორის გაცემის უფლება არავის ჰქონდა. თუმცა გაჟონვა მაინც ხდებოდა და ხშირად ასეთი ოპერატიული ინფორმაციის გამყიდველებს საკმაოდ მკაცრად სჯიდნენ.

აი, ასეთი ხალხის ხელში აღმოჩნდებოდა ხოლმე ძალაუფლება, ეს კი მეტად საშიში იყო საზოგადოებისათვის. ამის მაგალითები მრავლად იყო. სადაც ხელი მიმიწვდა და შევძელი, სიმართლე აღვადგინე. მაგრამ ამის თქმაც კი არ ღირს, ვინაიდან ყოველივე ეს წვეთია ზღვაში...

«ბედნიერი» ბავშვობის ეპიზოდები და სხვა

დავიბადე აგვისტოში, 1939 წელს, სულ რამდენიმე თვის ვყოფილვარ, როდესაც მამაჩემი ფინეთის ომში წაუყვანიათ, შემდეგში, როდესაც სამამულო ომი დაიწყო,

ჯავშანი ჰქონდა და საავიაციო ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდა. 1942 წლის ბოლოს, როდესაც ქერჩთან ბრძოლებს შეეწირა ათასობით საქართველოდან გაწვეული ჯარისკაცი, თბილისში თურმე (დედის და ბებიის მონაყოლით) სასტიკად მომრავლებულან შავებში გამოწყობილი ქალები. მამას ოჯახში უთქვამს: «არ შემიძლია ქალაქში მშვიდად სიარული. შაოსანი ქალები რომ მხვდებიან, თითქოსდა მსაყვედურობენ; შენ აქ ნებივრობ, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი, ჩვენი ქმრები და ძმები კი იქ ქერჩის ტრამალებში დაიღუპნენო». ეს იყო და, რამდენიმე დღეში მოხალისედ წასულა ომში. ომის დამთავრების შემდეგ მხოლოდ 1947 წელს ჩამოვიდა. მუშაობდა ფოილოს ხიდის მშენებლობაზე (წითელი ხიდი, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საზღარზე), მუშაობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე... ხოლო 1950 წელს განუცხადებია: წესიერი გზით ოჯახს ვერ შევინახავ, ხელფასი არ გვყოფნის, დიდი ხელფასებია შორეულ აღმოსავლეთში ე.წ. «დალსტროის» სისტემაში და ოჯახით იქ უნდა გადავიდეთ საცხოვრებლადო... დიდხანს ევედრა დედაჩემი, მაგრამ არა გამოუვიდა რა... და 1950 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მთელი ოჯახით თბილისიდან ქალაქ მაგადანში გავემგზავრეთ. ახლა შეიძლება თვითმფრინავით თბილისიდან მაგადანამდე სულ რაღაც 8-9 საათის განმავლობაში ჩახვიდე. მაშინ კი ამ მანძილის დაფარვას (დაახლოებით 10-11 ათასი კმ) ერთი თვე სჭირდებოდა. თბილისში დავტოვეთ მარტო ბებია, მართა ჯაბუა-ჩიქოვანი, ჩემი ბავშვობის მეგობარი და აღმზრდელი, რომელიც (ორ თვეში) მარტოობაში გარდაიცვალა. სიკვდილის წინა დღით მეზობელთან საუბარში უთქვამს საწყალს: «ეჰ, ჩემს ცხოვრებას არავითარი აზრი აღარა აქვსო, ერთი ნატვრა მაქვს მხოლოდ, _ სიკვდილის წინ ჩემი ჯემალი მანახაო». მერე შესულა ოთახში, ჩაუძინია და ძილში წასულა ამ ცხოვრებიდან. ძალიან წარჩინებული გვარის _ ჩიქოვანების ოჯახიდან იყო. დაამთავრა გიმნაზია, მაია დადიანის ნათლული იყო... ცოლად გაჰყვა პერსპექტიულ სახელმწიფო მოხელეს, შემდეგში პრისტავს, მაზრის უფროსის მოადგილეს _ ისააკ ჯაბუას. ერთი წელიწადი გლოვობდნენ ჩიქოვანები ქალიშვილს, შავი ფარდები ჩამოუკიდიათ დარაბებზე (ისე წაუვიდა შავად საქმე ჩვენს მტრებს!). ერთადერთი 25 წლის ვაჟკაცი _ ბიძაჩემი _ ვალოდია დაასაფლავა ბებიამ 1925 წელს (ბათუმში მოჰკლეს, ვინ?! არავინ იცის, ბოლშევიკებმა თუ?). სიძე, უფროსი შვილის ქმარი (ბათუმის აღმასკომის უფროსი) 1937 წელს დაუხვრიტეს. 1935 წელს ქმარი გარდაეცვალა და ა.შ. ერთ დროს ზუგდიდში თითით საჩვენებელი ოჯახი განადგურდა. განადგურდა რამდენიმე ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი, «ედემის ბაღს» რომ უწოდებდნენ ოდესღაც (XX საუკუნის დასაწყისში). საწყალი დედაჩემი მხოლოდ 1977-78 წლებში ჩავიდა ზუგდიდში (40 წლის შემდეგ) და ასე მიყვებოდა: მოვიარე იქაურობა, ყველაფერი გამახსენდა, ახლა ჩვენს საკარმიდამო მიწებზე დაახლოებით 60 მოსახლე ცხოვრობსო.

საწყალი ბებია რას არ აკეთებდა, რომ მისი გამოთქმით «ჩაჩან ბავშვებთან» არ მეთამაშა. 4-5 წლისაც არ ვიყავი, მასწავლა ნარდის, კარტის თამაში, შეეძლო მთელი დღე გავერთე, სათამაშოებსაც მითლიდა ხელით. ამაყი და შეუვალი იყო, თავს არავის დააჩაგვრინებდა. არასოდეს არ მინახავს, ქალებთან რომ ჩამომჯდარიყოს და ეჭორავა. თავისთვის სდუმდა, არავის მოახვევდა თავზე თავის მწუხარებას. შეიძლება, შეიძლება კი არა _ დარწმუნებული ვარ, ნახევრად შიმშილობდა, რომ ჩვენთვის _ შვილიშვილებისათვის დაეზოგა ლიმიტირებული პურის ნაჭერი... გარშემო მყოფნი მხოლოდ ბატონობით მიმართავდნენ _ ქალბატონო მართა. ასე შეაჩვია ისინი ბებიამ, სხვანაირად არ გამოეპასუხებოდა. შემდეგში, როცა გამახსენდებოდა ყოველივე ეს, არაერთხელ მიფიქრია, როგორ მოახერხა ყოველივე

ეს, იმ გარემოცვაში, სადაც უხდებოდა ცხოვრება. ჩვენი ეზო ჭრელი იყო ეროვნული შემადგენლობით (ქართველები, ოსები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები და სხვა, დაახლოებით 30 ოჯახი). განსაკუთრებული ინტელექტუალური ცენზით არ გამოირჩეოდნენ (ძირითადად მუშათა კლასი). ამიტომაც დიდი ზრდილობით ვერ დაიტრაბახებდნენ, ხშირი იყო ჩხუბი და აყალმაყალი, «გამიშვი და გაგიშვებ» და სხვა. ამიტომაც ის ფაქტი, რომ ბებიას უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდა, მისი ხასიათის დიდ გამარჯვებად მიმაჩნია. გვიან, როცა კინოფილმი «ოთარაანთ ქვრივი» ვნახე, ასე მეგონა, დიდმა და გენიალურმა ვერიკო ანჯაფარიძემ ბებიასგან გამოძერწა განუმეორებელი ქვრივის სახე.

გამიგრძელდა სიტყვა. დავუბრუნდეთ 1950 წელს. მაგადანში ნოემბრის დასაწყისში ჩავედით. ყველაფერი შეპირებული (დიდი ხელფასის გარდა) ტყუილი აღმოჩნდა. მთელი ზამთარი ბარაკებში ვცხოვრობდით, რომელიც თითქმის არაფრით გამოირჩეოდა პატიმრების ბარაკებისაგან. ერთ ბარაკში 10-12 ოჯახი ირიცხებოდა _ ყოველგვარი კომუნალური პირობების გარეშე. ბარაკის ცენტრში აღმართული იყო დიდი ღუმელი, რომელიც ქვანახშირით თბებოდა და საჭმლის დამზადების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. როცა პატიმარი ხარ და იძულებით გიხდება ასეთ პირობებში ცხოვრება, ეს შეიძლება ცოტათი მაინც იყოს გასაგები, მაგრამ ნებაყოფლობით რომ დატოვო მზიური საქართველო და ოჯახთან ერთად გაემგზავრო ცხრა მთას იქით კომუნიზმის ასაშენებლად, ეს ახლაც არ მესმის. მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბედის ირონიით თუ ბედის დაცინვით ან მამაჩემის გაუთვლელი ტაქტიკით _ მაგადანში აღმოვჩნდით ე.წ. ნებაყოფლობით გადასახლებაში. ამ ქალაქში 1944 წელს გარდაიცვალა საწყალი ბიძაჩემი _ დავით გაბუნია, თუ რეაბილიტაციის დროს გაცემულ სამედიცინო ცნობას დავუჯერებთ. რამდენიმე თვეში აქვე იპოვის თავის სამუდამო განსასვენებელს დიდი ოჯახის მეორე სიძეც _ მამაჩემი, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოგახსნებთ.

როგორც იყო, «ბინა» მივიღეთ. «ბინა» წარმოადგენდა ერთ დიდ ოთახს (22-25 კვადრატულ მეტრს) საერთო საცხოვრებელში, საერთო კომუნალური საშუალებებით. ვისაც არ უცხოვრია 50-ანი წლების ასეთ «ბინებში», ის ვერ გამიგებს, თუ რაოდენ დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ოჯახისათვის ასეთი ბინის მიღება.

მეორე, რაც თითქმის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის, ეს ცივი ზამთარი იყო. ტემპერატურა მინუს 40 გრადუსამდე აღწევდა. თოვლიანი ქარბუქი ყოველ მეორე დღეს მეორდებოდა. ამ დროს სკოლაში მეცადინეობაც კი წყდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ქარბუქის შემდეგ სკოლაში მივდიოდი. ამ დროს დავინახე ქუჩაში გამოეყვანათ პატიმრები ხის ნიჩბებით ხელში, გარშემო სალდათებით და ძაღლებით გარშემორტყმული (არ გეგონოთ, რომელიმე საბჭოთა ფილმის სიუჟეტს გიყვებოდეთ ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ). ჩემი ბავშვური ფანტაზიით, თვით ასეთ ბადრაგს ჩემი განსაკუთრებული ყურადღება არ დაუმსახურებია, ვინაიდან თბილისშიც მინახავს ასეთი არა ერთი ბადრაგი, ფეხით რომ მიჰყავდათ პატიმრები გორგასლის ქუჩით ორთაჭალის ციხეში. ალბათ ტრანსპორტი არ იყო და ასეთი გადაადგილების საშუალებას იყენებდნენ მეციხოსნეები... ამ თბილისურ ბადრაგს ერთი ათი ან მეტი მეტრის დაშორებით ახლობლები მიჰყვებოდნენ და ესაუბრებოდნენ თავიანთ პატიმრებს. ახლაც მესმის გადმოძახილი: «აბა, ჟორა, გამაგრდი», «ჩვენ კარგად ვართ», «ნუ გეშინია, ჩქარა გამოხვალ», «დედა, დედა როგორ არის?», «მამას რა მოუვიდა, რატომ არ მოვიდა?» «ნატო, ბავშვებს მოუარე, მალე გამოვალ» და ა.შ.

ასეთ ფიქრებში გართულს ბადრაგიც წამომეწია და ოი, საოცრებავ, ყურებს არ ვუჯერებ, თავი სიზმარში მგონია, ქართული საუბარი მესმის. რამდენიმე წუთი დაბნეული ვარ, შემდეგ ბადრაგს გამოვეკიდე, დაახლოებით ვეძებ იმ პატიმრებს, ქართულად რომ ლაპარაკობენ. მოვნახე, მოვნახე ისინი და შევყვირე რაღაც არაბუნებრივად: «ქართველები ხართ? ქართველები ხართ, ბიძია?» არ ვიცი, როგორ მოგიყვეთ ან რა სიტყვით აგიწეროთ _ რა დაემართათ მათ. «ხო, ბიძია, ქართველები ვართ, შენ თვითონ ვინ ხარ? აქ რას აკეთებ? ვისი შვილი ხარ?» «მე ბიძია, ჯემალი ვარ, გივი ფოცხვერიას შვილი, თქვენთან «მუშაობს» მშენებლობის უფროსად არის-მეთქი». «ააა, გივის ბიჭი ხარ? კარგი, კარგი, მერე გნახავთო»... ასე ვსაუბრობდით მე და ჩემი ახლად გაცნობილი ქართველები, რომ ბადრაგის სალდათი მომვარდა თოფმომარჯვებული შემახილით; «Уйди мальчик, не положено, наказыват буду» და თოფი მომიღერა. ალბათ ცხოვრებაში შეიძლება პირველად არაფრის შემშინებია, გაბედულად ვუპასუხე: «А, почему нельзя. Это грузины, мои земляки»-მეთქი. ამაში ჩავაქსოვე მთელი ჩემი ბავშვური ლოგიკა. «Оставь мальчика в покое, он сын инженера, наверное соскучился по своим,» _ მომესმა ალბათ ბადრაგის უფროსის ხმა. რამდენადაც მახსოვს, ამ ორი პატიმრის გვარი იყო ჭედია და გაგუა (სახელებს ვერ ვიხსენებ). ისინი თავისუფალ დასახლებაში გაუშვეს, ბარაკში ცხოვრობდნენ ქალაქგარეთ. როცა თავისუფალი დრო მქონდა, დედას ვთხოვდი და მივდიოდი მათთან ფეხით ასე 4-5 კილომეტრის მანძილზე, რომ მომენახულებინა და ქართულად მესაუბრა. გავიდა სულ რამდენიმე თვე და მათ უფლება მისცეს მაგადანში ეცხოვრათ. ჭედიამ ადგილობივ ფეხბურთის გუნდში «დინამოში» დაიწყო თამაში და ჩქარა მთელი გულშემატკივრების «არმია» შეიძინა ქალაქში. თავდაცვაში თამაშობდა 7 ნომრად. მაშინ ისინი ასაკოვანები მეგონა. შემდგომში, როცა დავუკვირდი და შევადარე, სულ რაღაც 28-29 წლის ყმაწვილკაცები აღმოჩნდნენ.

არ მახსოვს, მე შევეკითხე თუ თვითონ მომიყვა ერთი მათგანი დაახლოებით შემდეგს: «ომი დაიწყო, ყველა ჯარში მიდიოდა. მეც გადავწყვიტე მეომა, სამშობლო დამეცვა. სულ რაღაც 16-17 წლისა ვიყავი, სკოლას ვამთავრებდი. მოხალისედ წავედი ჯარში. მოვხვდი მოწინავე ხაზზე. აფეთქებები რომ დაიწყო, მიწა რომ თავზე დაგვემხო, ცაზე ღრუბლები რომ არ ჩანდა კვამლისაგან და ყურთასმენა დაიკარგა სროლის ხმის გამო, _ აი, მაშინ მივხვდი, რა არის ომი. და რომ ის სრულებით არ ჰგავს კინოფილმებში ნანახს, მითუმეტეს, გვერდით როცა გიკლავენ თანამებრძოლებს, როცა ხედავ გაგლეჯილ, დაკუწულ, დასახიჩრებულ ჯარისკაცს, ვისთანაც ერთად გუშინ არაყს სვამდი. ეს კი უკვე ხუმრობა არ იყო, მაგრამ უკვე აქ ხარ და უნდა იომო, უნდა გადარჩე ცოცხალი. შემდეგ ჩავვარდი ტყვედ, ვიწვნიე გერმანული საკონცენტრაციო ბანაკი, მერე გერმანიაში ვმუშაობდი ერთ-ერთ ქარხანაში მუშად. როცა ომი დამთავრდა, გამიხარდა, სამშობლოში დავბრუნდები, ჩემს მშობლებთან და ძმასთან და გავიხარებ-მეთქი. საიდუმლო ხმა მესმოდა: არ შეიძლება დაბრუნება, დაგაპატიმრებენ, გაგაციმბირებენო. მაგრამ არავის არ დავუჯერე, ისეთი დაუოკებელი სურვილი მქონდა დაბრუნებისა და დავბრუნდი. როგორც კი აღმოვჩნდი საბჭოთა არმიის საოკუპაციო ზონაში, მაშინვე დამაპატიმრეს. შემდეგ _ დაკითხვები, დაკითხვები... შემდეგ ე.წ. «ტროიკა» და აქა ვარ ახლა, ძამია ჯემალი. მინდოდა ომობანას თამაში და მივიღე კიდეც ის, რასაც ვიმსახურებდი»... ასეთი იყო დაახლოებით პატიმარ ჭედიას მონაყოლი. აი ასე: ჯერ კიდევ ბავშვობაში მქონდა შეხება ე.წ. პოლიტიკურ პატიმრებთან, ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩემი თვალით ვნახე, რა იყო და რას წარმოადგენდა ГУЛАГ-ის ქსელი, რომლის ერთ-ერთი ქვედანაყოფი გახლდათ ე.წ. «ДАЛЬСТРОЙ». იყო «АНАДЫРСТРОЙ», «ЧИТАСТРОЙ».

«НОРИЛЬСКСТРОЙ» და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, თუ რა ააშენეს პატიმრებმა ქალაქ ნორილსკში, ეს უკვე რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ვნახე, როცა კორპორაცია «ნორილსკნიკელის» დირექციაში ვმუშაობდი. ეს იყო 1998-2002 წლები. ამ პოლარულ ტერიტორიაზე თითქმის ყველა შენობა 5-6 წლის განმავლობაში თვითონ იშლება. მაგრამ არა მგონია, როდისმე დაინგრეს პატიმრების მიერ გასული საუკუნის 40-ან წლებში აშენებული ნორილსკის ქარხნის საამქროები და, რაც მთავარია, მისი დირექციის შენობა, რომელიც ალბათ ეგვიპტის პირამიდებივით საუკუნეებს გაუძ-ლებს.

იგივე შეიძლება ითქვას ქალაქ მაგადანის ოლქის გუბერნატორის რეზიდენციაზე, რომელიც პატიმრებმა ააშენეს 30-40-ან წლებში და 1955 წლამდე «МАГАДАНСТРОЙ»-ს რეზიდენცია იყო. ყველა ეს ე.წ. стро-ები НКВД-ს, ГУЛАГ-ის სამმართველოები გახლდათ.

ე.წ. «ДАЛЬСТРОЙ»-ში და თვით ქალაქ მაგადანში ყველაფერი გასამხედროებული იყო. არ იყო ჩვენთვის ჩვეული აღმასკომი, პარტიის ქალაქკომიტეტი, ქალაქის სამეურნეო-კომუნალური სამსახურები. ყველაფერი ემორჩილებოდა სამხედრო ადმინისტრაციას. რამდენიც არ ვეცადე, მაინც ვერ გავიხსენე ქალაქის ქუჩებში მილიციის ქვედანაყოფების არსებობა. სუყველგან _ მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით _ სამხედრო პატრულს თუ შენიშნავდი. ქალაქი დაყოფილი იყო ზუსტად ორ ნაწილად. ერთნი, რომელნიც ციხეებსა და კოლონიების ბარაკებში იხდიდნენ სასჯელს (ქალაქის გარეუბანში, უკაცრიელ მინდვრებზე, მავთულხლართებით გარშემორტყმულნი) და მეორენი _ ის ხალხი, ვინც დილით ქალაქიდან მიდიოდა მათ დასასაქმებლად _ ე.ი. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მათ დასაცავად _ ოფიცერთა ძირითადი შემადგენლობა.

ერთი ასეთი ეპიზოდიც მახსენდება. მამა ყოველი ხელფასის აღების შემდეგ სახლში მოიტანდა თითქმის ერთ ყუთ სიგარეტებს _ «Прима» და «Огонёк». შემდეგში დაიწყებდა მის ეკიპირებას _ სპეციალურ ტანსაცმელს იცმევდა _ ბევრი ჯიბეებით დაკერებულს და იწყებდა ამ ჯიბეებში სიგარეტების შენახვას. ამის შემდეგ რაღაც მოსასხამს ჩაიცმევდა, _ სამხედრო შინელს და ასე სიგარეტებით დატვირთული მამა მიდოდა ე.წ. სამსახურში. დედამ და მამამ რამდენჯერ გამაფრთხილეს, რომ ამის შესახებ არავისთვის არაფერი მეთქვა. მე რამდენადაც ვხვდებოდი, ყოველივე ამას რაღაც საიდუმლოებასთან ჰქონდა კავშირი, რომ მშობლები რაღაც კარგს აკეთებდნენ, ვიღაც გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ.

ერთხელ თუ რამდენიმეჯერ ვახლდი მამაჩემს ე.წ. სამსახურში, ე.ი. მავთულხლართების მიღმა ბარაკებში, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც პირველი ვიზიტი დამამახსოვრდა. განსაკუთრებით გამაოცა მამაჩემის თანამოსაუბრეებმა, რომლებიც ვიცოდი, რომ პატიმრები იყვნენ. გამაკვირვა მათმა დინჯმა საუბარმა, აუღელვებელმა წყნარმა დიქციამ, სახეზე ისეთი სიმშვიდე გამოსახვოდათ, რომ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ორი თუ სამი საათის განმავლობაში არცერთი უწმაწური სიტყვა არ გამიგონია, არავითარი ხმამაღალი სიტყვა არ მომისმენია. თვით მამაჩემი და მისი თანამოსაუბრენი სიწყნარის და სიდინჯის განსახიერება იყვნენ, ყველა მათგანი გაპარსული, სუფთა ტანსაცმელში (ტელეგრეიკებში) გამოწყობილნი. ორ მათგანს პატარა წვერიც კი ჰქონდა მოშვებული, რაც მაშინ ჩემი აზრით მხოლოდ შემოქმედებითი ინტელიგენციისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

აი, ასეთი გაკვირვებული და გაოცებული ვიყავი. იქ მისვლამდე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა პატიმრებზე, ჩემი ბავშვური ფანტაზიით და ე.წ. ორთაჭალური უნივერსიტეტებით სულ სხვანაირად წარმომედგინა პატიმართა მენტალიტეტი.

როგორც კი გამოვედით ზონიდან, ყოველივე ამის შესახებ მამას მოვუყევი და ვთხოვე აეხსნა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს _ ეს დარბაისლობა, ინტელიგენტობა, თავაზიანობა, ზრდილობის გაკვეთილები, რომელთა შემსწრეც გავხდი. მახსოვს, მამა ერთ წამს დამაკვირდა, ნიკაპში მომკიდა ხელი, სახე შემომიბრუნა, თვალი თვალში გამიყარა, შემდეგ რამდენიმე წამს დუმდა. მერე ასე მომეჩვენა, თითქოსდა ამოიოხრა-მეთქი და მითხრა დაახლოებით შემდეგი: «ეჰ, შვილო, გაიზრდები და ყველაფერს გაიგებ, თვითონ შეაფასებ, თვითონ გააკეთებ დასკვნებს, ახლა კი გეტყვი, რომ ჩემს მოსაუბრეებს შორის ხუთ კაცში, ორი პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტის პროფესორი გახლდა, ერთი დოცენტი იყო მოსკოვიდან, დანარჩენი ორნი კი თავის დროზე ძალიან დიდ სამეურნეო-სამშენებლო ობიექტების ხელმძღვანელები იყვნენ. ასე რომ, მე ჩემი პროფესიული მომზადებით უფრო მათ მოწაფედ უნდა ვთვლიდე თავს, ვიდრე უფროსად და ამიტომაც ველაპარაკებოდი მათ ასეთი მოკრძალებით. რა ვქნათ, ასეთი დროა ახლა...»

სულ რაღაც ერთ თვეში (ალბათ ივლისში) მოხდა ის, რაც არსად დაწერილა, არ თქმულა და საბჭოთა პროპაგანდას ამის შესახებ არაფერი განუცხადებია. თუმცა რა არის გასაკვირი იმის შემდეგ, როცა 1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილში რადიაციული აფეთქება მოხდა, არავის არაფერი შეატყობინეს, რადიაციულმა მტვერმა არა მარტო უკრაინა, ბელორუსია და რუსეთის ტერიტორია დაფარა, არამედ საქართველოშიც კი მოაღწია და ამის შესახებ ხალხს არაფერი არ უთხრეს. პირიქით, კიევში, მინსკში და ჩერნობილში (ქ. პრიპიატი) 1 მაისის აღლუმებიც კი ჩაატარეს და დაწამლეს ხალხი, მათ შორის ათეული ათასობით ბავშვიც... ერთი სიტყვით, «ДАЛЬСТРОЙ»-ს მაგადანის ერთ-ერთ ბანაკში პატიმრები აჯანყდნენ. გამოიყენეს ხოკეის სათამაშო ჯოხები (клюшки), რომლებიც განსაკუთრებული ხის მასალისაგან და განსაკუთრებული ტექნოლოგიით მზადდება, რათა ხეს სიმყარე და დრეკადობა მიანიჭონ. როგორც შემდეგში გაირკვა, პატიმრები ამ ხის მასალისაგან ამზადებდნენ ხის ტარებს ბებუთებისათვის და ერთი პატიმრის (სპეციალობით ქიმიკოსის) ტექნოლოგიით ხიშტებიც კი დაუმზადებიათ. ამ იარაღით აღჭურვილები თავს დასხმიან ბარაკების დაცვას და ამოუჟლეტიათ 10-15 კაცი, ჩაუგდიათ ხელში მათი ცეცხლსასროლი იარაღი და 5-7 კაცს გაქცევა მოუხერხებია. ქალაქში გავრცელებული ჭორებით, დაცვას იმ განთიადისას ტყვიამფრქვევით ამოუხოცია რამდენიმე ათეული თუ ასეული პატიმარი, ზუსტ ციფრს აბა ვინ დაასახელებდა... გაქცევით კი გაიქცნენ, მაგრამ ადამიანმა თუ კარგად იცის ციმბირის გეოგრაფია, იქიდან გაქცევა და «დიდ მიწაზე» ცენტრალურ ან შუა რუსეთამდე მიღწევა თითქმის შეუძლებელია (თუმცა აქაც არის გამონაკლისი და ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ). სად გაიქცევი? იქით ტუნდრაა, ჭაობები, არსად სოფელი ან ქალაქი, ერთი დასახლებიდან მეორემდე რამდენიმე ასეული კილომეტრია და იქაც თუ არის დასახლება, ისიც კოლონიებია, ბარაკებია და ჩეკისტების დაცვა დგას ხიშტებითა და სამძებრო ძაღლებით. ერთი სიტყვით, პატიმრების ეს გაქცევა მხოლოდ სასიკვდილოდ განწირული ხალხის უკანასკნელი გაბრძოლება იყო. ერთადერთ შანსს გემით მაგადანიდან _ ვლადივოსტოკში წასვლა იძლეოდა, მაგრამ გემზე ვერაფრით ვერ შეაღწევდი, თუმცა...

მამა ორი თუ სამი დღე არ გამოჩენილა სახლში. როგორც დედამ ამიხსნა, სულ კრებებზე იყო. საფოსტო ყუთში ყველა ბარათს თავისი ნომერი ჰქონდა და ყველა პატიმარსაც თავისი ნომერი გააჩნდა, რომელსაც აკერებდნენ შარვალზე (მუხლებთან), ტელეგრეიკაზე _ სახელოებზე, ზურგზე და ა.შ.

მახსოვს, ერთი ასეთი კრების ჩატარების შემდეგ, როგორც მომიყვნენ, მამა ამხანაგებთან ერთად ქალაქში ბრუნდებოდა (შეიძლება სახლშიც მოდიოდა შვილებთან). _ ამ დროს «გაქცეული პატირები» ჩასაფრებულან და აუფეთქებიათ ის ორი მანქანა, რომლითაც ისინი გადაადგილდებოდნენ. სროლა ერთი საათის განმავლობაში გაგრძელებულა. ცამეტივე ადამიანი (სამხედრო მოსამსახურე) და მათ შორის _ მამაც, იმ საღამოს დაიღუპნენ. ამის შესახებ ჩვენმა ოჯახმა მხოლოდ მეორე დღის ბოლოს გაიგო, როცა სახლში გვესტუმრა მამას თანამშრომელი პოლკოვნიკი და მისი ადიუტანტი. ასე დავკარგეთ 10 ათასი კილომეტრით საქართველოდან მოშორებულებმა მამა. არ მინდა ემოციებს ავყვე და გავიხსენო ის მძიმე წუთები, რაც მაშინ განიცადა ჩვენმა ოჯახმა. რა თქმა უნდა, საქართველოში გადმოსვენების შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო და მამა ჩავასვენეთ მაგადანის ცივ მიწაში, სადაც მიწა არასოდეს არ თბება (ვერ ასწრებს გათბობას ზაფხულში და ამას რუსულად «Вечная мерзлота»-ს უწოდებენ). ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი დედაჩემისა გახლდათ, ცოცხალი ჩამოვეყვანეთ საქართველოში. აი, აქ კი მოხდა ის ვერაგობა, რაც მხოლოდ ქართველებს შეგვიძლია ჩავიდინოთ ერთმანეთის მიმართ. მამის დასაფლავებაში გვეხმარებოდა ორი ქართველი (როგორც თვითონ ამბობდნენ, ყოფილი პატიმრები), ახლა უკვე დასახლებაში მაცხოვრებლები. ერთი რამ მინდა მოგახსენოთ _ პატიმრობიდან განთავისუფლება და დასახლების სტატუსში გადაყვანა სრულებითაც არ ნიშნავდა, რაკი თავისუფალი ხარ, შეგიძლია სახლში დაბრუნდე. პასპორტს არ გაძლევდნენ, საშვს გემზე არ გაძლევდნენ და გაიძულებდნენ, იქვე სამოქალაქო სამსახურში გემუშავა. ქ. მაგადანის თითქმის 60-70% მოსახლეობისა ამ სტატუსის მატარებელი იყო.

ამ ორმა ქართველმა გაგვაცილა გემამდე. შემდეგ გემზე ასვლის დროს დედა გაიხმეს გვერდით. ერთი 10 მეტრიდან ვუყურებდი და ვატყობდი, ძალიან არასასიამოვნო საუბარი გაიმართა. შემდეგ ჩემი ძმა ანზორი გაიყვანეს და რაღაცას ურჩევდნენ თუ უხსნიდნენ. მე მხოლოდ უნებლიე მონაწილე ვიყავი ამ სცენისა. მახსოვს, დედა და ანზორი გაფითრებულები ნახევრადცოცხლები როგორ ამოდიოდნენ გემის ტრაპზე და აი, საბუთების შემოწმება დაიწყო. ერთმა ქართველმა პასპორტი წარუდგინა საშვთან ერთად და გადაკვეთა «საზღვარი». ჯერი ჩვენზე მიდგა. იმ მეორე ქართველის ხელში დავინახე ანზორის პასპორტი და საშვი და მანაც გაიარა ე.წ. «საზღვარი» და ავიდა გემზე. აი ჩვენ კი შეგვაჩერეს და დაიწყო გარკვევა, თუ რატომ არა აქვს პასპორტი ჩემს ძმას, რომელიც ზუსტად ამ წელს 1951 წლის 21 მაისს 16 წლის გახდა და პასპორტი უნდა ჰქონოდა. აქ ანზორმა დაიწყო რაღაც «საშინელი» ტყუილის ლაპარაკი (არ ვიცი თუ როგორ მოახერხა მან ეს), რომ ვერ მოასწრო პასპორტის აღება, დედა ატირდა და თავის ძალიან მძიმე რუსულით აუხსნა, თუ რა უბედურება დაგვემართა. მამა მოგვიკლეს და საქართველოში ვბრუნდებით და ა.შ. ამ სურათის (ტრაგედიის) მოწმე მეზღვაურებსაც კი «აუჩუყდათ» გული და მათმა უფროსმა, რომელიც თურმე მამას იცნობდა, ბრძანა გავეტარებინეთ. ასეთი ვაივაგლახით მოვხვდით გემზე, რომელიც ვლადივოსტოკში მიემგზავრებოდა. ხუთი თუ შვიდი დღის მგზავრობის შემდეგ ჩავედით ვლადივოსტოკში. შეიძლება ითქვას, რომ 100 თუ არა 90%-ით გამეორდა ის სცენა (გემიდან ჩასვლისას), რომელიც გემზე ასვლის დროს შეგვემთხვა. დედას გულისამაჩუყებელი ძალიან გულწრფელი მოთქმისა და ტირილის შემდეგ, როგორც იყო ჩაგვიშვეს ტრაპზე და 1951 წლის ივნისის დასაწყისში აღმოვჩნდით ვლადივოსტოკში.

გემზე დედას არაფერი უთქვამს ჩემთვის, ვლადივოსტოკში კი მიამბო. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ 10 წლისა ვიყავი, მე და დედას უფრო გვქონდა

ერთმანეთში ნდობა, ვიდრე ჩემს ძმას და დედას. ანზორი სულ სხვა ბუნების ადამიანი იყო. ბავშვობიდანვე ცხოვრობდა თავის ცხოვრებით, არასოდეს თავის თავზე არ იღებდა უფროსი ძმის პრიორიტეტულ უფლებებს, არ ცდილობდა ლიდერი ყოფილიყო ოჯახში, მითუმეტეს _ მამის გარდაცვალების შემდეგ მაინც.

დედას თქმით, ამ გარეწრებს, აბა სხვანაირად როგორ შეიძლება უწოდო ასეთ ხალხს, მაგადანიდან გემის წამოსვლის წინ დედასთვის «აუხსნიათ», რომ ერთ-ერთ მათგანს პასპორტი არა აქვს, ანზორის პასპორტით უნდა გავიდეს, თუ არა და, ფარულად დაანახეს რაღაც დანის მაგვარი და უთხრეს, აქვე ამოგიხოცავთ შვილებს, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, მაინც აქ უნდა ჩავძაღლდეთო. აგრეთვე უთქვამთ, რა გინდა, დაგვეხმარე, ჩვენ თბილისში ჩაგაყვანინებთ შვილებს და ვლადივოსტოკში ფულით დაგაჯილდოვებთო.

ჩავედით ვლადივოსტოკში, ივნისში ამ ქალაქში შესანიშნავი ზაფხული იცის. ოკეანეში ცურვაც კი შეიძლება. დავიქირავეთ ბინა, ამ ჩვენმა «კეთილისმსურველმა ქართველებმაც» იქვე ახლოს იქირავეს ბინა. ერთ მშვენიერ დღეს დედას გამოართვეს სამგზავრო მატარებლით ვლადივოსტოკიდან მოსკოვში გამგზავრების ფული და დაიკარგნენ. მიუხედავად საწყალი დედაჩემის მცდელობისა, ვერავინ იპოვა ისინი. უბრალოდ ამ არაკაცებმა ჩვენი ფული მიისაკუთრეს, აიღეს ბილეთები და უჩვენოდ გაემგზავრნენ მოსკოვს. ახლა რომ ვუკვირდები, ვხვდები, თუ როგორ ჭკვიანად მოიქცა დედა, რომ ხელისუფლებას (მილიციას) არ გაუმხილა ამ გარეწრების შესახებ, ვინაიდან ჩვენ უკვე ყველანი ჩათრეული ვიყავით ამ ავანტიურაში და ალბათ დიდი უსიამოვნებაც შეგვემთხვეოდა. ჩემთვის მთავარი იყო, ცოცხალი ჩამომეყვანეთ შვილები საქართველოში, მეგონა, თბილისში უფრო მოგივლიდით ობლებსო. ასეთი იყო საწყალი დედაჩემის ლოგიკა...

ასე აღმოვჩნდით თბილისიდან დაახლოებით 10 ათას კილომეტრით დაცილებული ობლები დედასთან ერთად ვლადივოსტოკში. საწყალი დედა ორჯერ თუ სამჯერ დილის 6 საათზე მიდიოდა ქალაქის რკინიგზის სადგურში ბილეთების შესაძენად, მაგრამ საღამოს ხელმოცარული ბრუნდებოდა. უკვე ივლისის შესანიშნავი მზიანი ამინდები იდგა რუსეთის შორეული აღმოსავლეთის დედაქალაქში. ამ ამინდების და მცხუნვარე მზის შემყურე ვერც დაიჯერებდი კაცი, რომ სულ რაღაც ორ-სამ თვეში აქ სუსხიანი ზამთარი დაიწყებოდა, რომლისთვისაც სრულებით არ ვიყავით მზად და საერთოდ, როგორ შეგვეძლო იმაზე ფიქრიც კი, რომ აქ დავრჩებოდით... დედა ბილეთების საყიდლად მიდიოდა, მე და ჩემი ძმა კი ახლად შეძენილ რუს მეგობრებთან ერთად დილიდანვე ზღვაზე მივეშურებოდით საცურაოდ და გასართობად. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შედარებით ადრე დავბრუნდი სახლში მარტო (ჩემი ძმა ამხანაგებთან ერთად ზღვაზე დარჩა) და რას ვხედავ, _ საწყალი დედა მარტო ზის ჩაკეტილ ოთახში და ტირის (არასოდეს არ დამავიწყდება ეს სურათი. დამიჯერეთ, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში უკვე ყმაწვილკაცს და ცოლშვილიანსაც კი მესიზმრებოდა). ჩემს კითხვაზე, თუ რა მოხდა, დედამ დაახლოებით შემდეგი მითხრა: «არ ვიცი, შვილო, რა გავაკეთო, უკვე ჩქარა ერთი თვე იქნება, ამ ქალაქში ვართ. აქაურები ამბობენ, ახლა ზაფხულია და თითქმის ყველა აქედან მიდის შვებულებაში ცენტრალურ რუსეთში. ბილეთები არ იშოვება, ყოველდღე სულ რაღაც 50-70 ბილეთს თუ გაყიდიან, დანარჩენს იქვე სპეკულიანტები ყიდიან. უკვე მესამე დღეა, ბილეთი არ შემხვდა. ხვალ საერთოდ იქ გავათენებ. აბა რა ვქნა, შეიძლება ბილეთები ვიყიდო მოსკოვამდე. ამ ერთი თვის განმავლობაში ფული გვეხარჯება (ბინის ქირაში, საჭმელში) და თუ დროზე არ წავედით აქედან, შეიძლება ქუჩაში აღმოვჩნდეთ, რა ვქნა, როგორ და რითი მოგიაროთ ბავშვებსო... ჩემი თავი

ჯანდაბას, ერთი თხოვნა მაქვს ღმერთთან, თქვენ მაინც ცოცხლები ჩაგიყვანოთ საქართველოში და მე თუ არა, ნათესავები მაინც გაგზრდიანო».

არ ვიცი, როგორ მომივიდა ეს აზრი, მაგრამ დედას ვთხოვე, მოეცა ხვალ დილას ჩემთვის ბილეთის ფული, მე წავიდოდი არა საბილეთო სალაროებში, არამედ ქალაქის რკინიგზის სადგურში და იქ ვეცდებოდი ბილეთების შეძენას. რა თქმა უნდა, დედამ შორს დაიჭირა და არ დამეთანხა, მაგრამ ბავშვობიდანვე მე თუ რამე გადაწყვეტილებას მივიღებდი, იმის გადათქმა თითქმის შეუძლებელი იყო და საწყალმა დედამ ამის შესახებ კარგად იცოდა. დიდი ხვეწნის შემდეგ დედა დავითანხმე... მეორე დილას აცრემლებული დედაჩემის ლოცვა-კურთხევით, კითხვა-კითხვით მივედი ქალაქის რკინიგზის სადგურში. სალაროებში ჩემს თხოვნას თუ კითხვას ბილეთების შეძენის შესახებ ირონიით ან ღიმილით ხვდებოდნენ... აქ კი უარყოფითი ემოციების სიჭარბემ ალბათ ზღვარს გადააცილა. როგორც მახოვს, ამიტყდა ისტერიული ტირილი. ასეთ მდგომარეობაში ვიღაცამ მომისმინა, დამამშვიდა და მირჩია, სადგურის უფროსთან წავსულიყავი და მეც ასეთი ქვითინით გულაჩუყებული (ალბათ შექსპირსაც შეშურდებოდა ასეთი სცენა) მივადექი სადგურის უფროსის კაბინეტს. არ ვიცი და არ მახსოვს, თუ როგორ აღმოვჩნდი მის კაბინეტში. ჩემი ჩიქორთული რუსულით ავუხსენი ამ ღვთისნიერ ადამიანს ჩვენი ოჯახის სავალალო მდგომარეობა (იქვე ცნობაც გადავეცი მამის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ). ავუხსენი, რომ უკვე ერთი თვეა ბილეთები ვერ შეგვიძენია მოსკოვში გასამგზავრებლად, იქიდან კი თბილისში ჩასასვლელად და თუ ეს ასე გაგრძელდა, ჩქარა ფული შემოგვეხარჯებოდა და ქუჩაში აღმოვჩნდებოდით. ისიც ვუთხარი, დედა ავად არის (ეს ნამდვილად სინამდვილეს შეესაბამებოდა) და ა.შ. და ა.შ. ასეთი სცენის შემყურე სადგურის უფროსი თანაგრძნობით განეწყო ჩემს მიმართ, დამამშვიდა, ჩაიც დამალევინა, დამიყვავა, მომეფერა, გამოიძახა თანამშრომელი, გადასცა ფული და უბრძანა ბილეთები შეეძინა ჩვენთვის (შემდეგში, როცა ბილეთების ფასი შევადარე, მივხდი, რომ იმ ღვთისნიერ ადამიანს ფული დაუმატებია _ დაახლოებით ალბათ 15-10% საფასურისა. ეს ბილეთები ახლაც შენახული მაქვს ჩემს ე.წ. არქივში, ხანდახან მათი დათვალიერება მიბრუნებს შორეულ წარსულს, ჩემს «ბედნიერ» ბავშვობას).

აი, ასე და ამრიგად შევიძინეთ ბილეთები და 1951 წლის 3 აგვისტოს (ჩემი დაბადების დღეს _ 11 წელი შემისრულდა) ჩავედით მოსკოვში. მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში არ დამვიწყებია და არც დამავიწყდება ამ კეთილშობილი ღვთისნიერი რუსი ადამიანის სახე, მისი კეთილგანწყობა, თანაგრძნობა. ის ყოველთვის რჩებოდა ჩემს მეხსიერებაში კეთილი რუსული ხასიათის ეტალონად. შემდეგში, როცა პირველად ვნახე ჰოლივუდის მიერ გადაღებული პირველი ფილმი _ «გარიყულნი», იმ სცენას, სადაც ეპისკოპოსი გადაარჩენს დაპატიმრებისაგან ჟან ვალჟანს და, არა მარტო გადაარჩენს, არამედ ოქროს შანდლებითაც დაასაჩუქრებს, გულგრილად ვერ ვუყურებდი (თვალებზე ცრემლი მადგებოდა). იმ კეთილშობილ კათოლიკე ეპისკოპოსში ყოველთვის ვცნობდი ჩემს სათაყვანებელს, ჩვენი ოჯახის გადამრჩენს, სადგურის უფროსს _ უბრალო კეთილშობილ რუს კაცს. ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს მისი სული!

გავიდა დაახლოებით 40 წელი და სამსახურეობრივი მივლინებით აღმოვჩნდი ქალაქ ვლადივოსტოკში (სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც ევალებოდა ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურების ინსპექციური შემოწმება). ახლა უკვე ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ «ინტურისტის» სასტუმროში _ ლუქსის ნომერში ვცხოვრობდი, მთელი დღე პერსონალური მანქანაც მემსახურებოდა

და ადგილობრივმა მთავრობამ ყველაფერი იღონა, რომ ადგილობრივი ღირშესანიშნავი ადგილები დაგვეთვალიერებინა. მართალი გითხრათ, რუსეთის შორეული აღმოსავლეთი და თვით ქალაქი ვლადივოსტოკი ალბათ ერთ-ერთი მარგალიტია თავისი ბუნებით დედამიწაზე. გარშემო მთელი კუნძულების არქიპელაგი აღმოვაჩინეთ, რომელიც არცერთ გეოგრაფიულ (და რა თქმა უნდა, პოლიტიკურ) რუკაზე არ არის აღნიშნული, რადგან იქ მაშინ არმიის სტრატეგიული ობიექტები იყო განლაგებული. სამთავრობო დელეგაციას რამდენიმე ობიექტი დაგვათვალიერებინეს. ნახულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... იქაურმა ბუნების უცნაურობებმა ჩემში განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ დედამიწაზე არსებობენ ფარული სამოთხეები. ერთ დღეს (ისევე ზაფხული იყო) მარტო გამოვედი სასტუმროდან, ფეხით გავუყევი გზას და, თითქოს სიზმარში მივაბიჯებდი, მივადექი რკინიგზის სადგურის შენობას. რამდენჯერმე შემოვუარე. შემდეგ სადგურში შევედი, მოვნახე უფროსის კაბინეტი (ვფიცავარ, მისი კაბინეტის კარების ჩარჩოები იგივე იყო, როგორც იმ 40 წლის წინათ). ვთხოვე მდივანს, რომ მივეღე სადგურის უფროსს. შევედი მასთან, მივესალმე (არ დამიჯერებთ და კაბინეტიც ვიცანი, რადგან დიდი ცვლილებები არ ჩაუტარებიათ). მოვუყევი მას, ვინც ვიყავი. დაიბნა საწყალი, არ იცოდა, რა ექნა. ვერაფრით ვერ აეხსნა რა უნდოდა მისგან მოსკოველ სამთავრობო დელეგაციის წევს. რაც შეიძლებოდა მოკლედ მოვუყევი თუ რა გადამხდა ამ კაბინეტში ამ 40 წლის წინათ. ვუთხარი თუ როგორ მინდოდა ამ კაბინეტში შემოსვლა და იმ კეთილშობილი ადამიანის ალბათ ხსოვნის გახსენება. ბოდიში მოვუხადე კადნიერებისათვის, გავხსენი ე.წ. დიპლომატი, იქიდან ამოვიღე ორი ბოთლი ქართული ღვინო. ერთი მას ვაჩუქე, მეორე გავხსენი და გავიხსენეთ მისი კოლეგა, 50-ან წლებში ამ კაბინეტის მფლობელი... ყურადღებით მისმენდა, ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ გიჟი ვეგონე. მისი ეჭვები რომ გამეფანტა, მისივე ტელეფონით დავრეკე უშიშროების სამმართველოში და ჩემი პერსონალური მანქანა გამოვიძახე...

აქ მინდოდა ჩემი მონათხორობის დასრულება, მაგრამ ყოველივე ზევით მოყოლილს ერთი გაგრძელებაც მიემატა. ალბათ ეს ეპიზოდი ღმერთმა ჩაიფიქრა, სხვანაირად ვერაფრით ვერ ავხსნი. დაახლოებით 70-ანი წლების დასაწყისია. ჩემმა მეგობარმა (შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა) სადილზე დამპატიჟა პუშკინის ქუჩაზე არსებულ ერთ-ერთ რესტორანში. ვისადილეთ, ცოტაც დავლიეთ. შემდეგში შემომთავაზა, შევიდეთ აქვე ქსოვილების მაღაზიაში, მისი დირექტორი შესანიშნავი კაცია, დიდი ხანია მპირდება დეფიციტური ქსოვილების შეძენას, თუ აქვს რამე, შევიძინოთ და ჩვენი ცოლებიც გავახაროთო (იმ დროს, როცა ყველაფერი დეფიციტი იყო, შემოთავაზება მომეწონა). შევედით მაღაზიაში, ვესტუმრეთ დირექტორს მის კაბინეტში და ო, ღმერთო, რაც იქ მოხდა, ეს ალბათ მხოლოდ ღმერთის გაანგარიშებით მოხდა: დირექტორი (პატარა, მომცრო ტანის) მეცნაურა, მისი საუბრის მანერა ვიღაცას მაგონებდა. ისეთი აზრი მეუფლებოდა, თითქოს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ სად და როდის, ვერაფრით ვერ გამეხსენებინა. ვუყურებდი, ვუსმენდი და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ სწორი ვიყავი: ეს კაცი მინახავს, მისი ხმა ნაცნობია, მისი მანერები ვიღაცას მაგონებს ჩემი წარსულიდან. არ ვიცი, რამდენს ხანს გაგრძელდა ყოველივე ეს... და, ღმერთო, თითქოს თვალებზე ბინდი ჩამომეცალა: ამ ადამიანში შევიცანი ჩვენი ოჯახის «კეთილისმყოფელი», მაგადანიდან ფარულად ჩემი ძმის პასპორტით გამოპარული ყოფილი პატიმარი, შემდეგში ვლადივოსტოკში ფული რომ მოტყუებით გამოართვა დედას და მიიმალა, უპატრონოდ დაგვტოვა ობლები. თვალზე ბურუსი გადამეფარა. რამდენიმე წუთი ჩემს მოგონებებში ჩავერთე,

ყურადღებას არ ვაქცევდი და არავითარ რეაქციას არ ვახდენდი მათ საუბარზე (რა თქმა უნდა, მან მე ვერ მიცნო, მაშინ სულ რაღაც 10-11 წლისა ვიყავი, ახლა კი ასაკოვანი კაცი ვიჯექი მისი კაბინეტის სავარძელში). ეს ჩემი «არაჩვეულებრივი» _ შეიძლება შოკისებური მდგომარეობა _ თანამოსაუბრეებს ყურადღების გარეშეEარ დარჩენიათ, მეგობრის შეკითხვაზე, თუ რა დამემართა, ცუდად ხომ არა ვარ, _ მგონი ვერაფერი ვუპასუხე, ისე ვიყავი ჩემს მოგონებებში ჩაფლული... შემდეგ თითქოს გამოვფხიზლდი, ერთი შევხედე, თვალი თვალში გავუყარე და შევეკითხე: «აბა კარგად დამაკვირდი, ხომ არ გეცნობი-მეთქი». ერთი კი შეცბა, შემომხედა, დამაკვირდა, შემდეგ თითქოსდა შეცბუნებულმა მიპასუხა: «არა, ვერაფრით ვერ ვიგონებ, ჩემი აზრით ჩვენ ადრე არ შევხვედრილვართ ერთმანეთსო». აქ კი, რომ იტყვიან, ვეღარ მოვითმინე... ისეთი ნერვიული შოკი დამეუფლა, ხმა გამებზარა, ამიკანკალდა და დაახლოებით ასე ვუთხარი: «აბა დამაკვირდი და გაიხსენე, ხომ ვერ იცნობ ჩემში მაგადანიდან გაუბედურებულად წამოსულ ბავშვს, ჯემალიას, რომლის ძმის პასპორტითაც აქ ჩამოხვედი და ამით საშიშროების ქვეშ დააყენე მთელი ჩვენი ოჯახის გამომგზავრება-მეთქი. თანაც რკინიგზის ბილეთების ფული როგორღა წაართვი ობლებს-მეთქი»? მართალი გითხრათ, ძალიან ძნელია იმის გახსენება, თუ რა ვუთხარი ამ გარეწარს, მაშინ, ნერვიულ შოკში ჩავარდნილმა... ერთი მახსოვს, შეცბა საწყალი. თვალებში ცხოველური შიში ამოვიკითხე. კეთილგანწყობილი მასპინძლიდან ლაქიად გადაიქცა, თითქოსდა კურდღელი ან ფინია მესაუბრებოდა. ვერ გავიგე რას ლუღლუღებდა, მხოლოდ ზოგიერთ სიტყვებს თუ ვარჩევდი მისი ცხოველური ბუტბუტიდან: «მაპატიეთ», «შემეშალა», «რა ეშმაკი შემიჩნდა, არ ვიცი», «ჩემი ამხანაგის ბრალია», «იმან მაიძულა», «ძაღლი იყო და ძაღლივით ჩაძაღლდა სამი წლის წინათ ციხეში». «ფული? ხო ფული? ფულს დაგიბრუნებთ». «დედათქვენი ხომ ჯანმრთელად არის?» «აუცილებლად ვინახულებ», «ბოდიშს მოვუხდი», «პატიებას ვთხოვ», «მე ვიცი, დედათქვენი მაპატიებს, შემიცოდებს. მე ახლა სამი ბავშვი მყავს, რა ვქნა, ხომ უნდა გავზარდო ისინიო». აი, დაახლოებით ასეთი «განმარტებების» კორიანტელში გაგვახვია მე და ჩემი მეგობარი. ის კი სულ გაოგნებული იყო, ვერ გაეგო, რა მოხდა ჩვენს შორის. იმას კი მიხვდა, რომ ოდესღაც სადღაც ამ მის «მეგობარს» დიდი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ჩემი ოჯახის წინაშე.

უსიტყვოდ დავტოვე იქაურობა და გამოვედი ქუჩაში. ამხანაგი გამომყვა. რატომღაც ბოდიშს მიხდიდა, თუმცა ალბათ თვითონაც არ ესმოდა, რატომ? ჩუმად გავუყევით გზას, რუსთაველის პროსპექტზე დავშორდით ერთმანეთს. მე მგონი, ის სამსახურში წავიდა, მე ალექსანდროვის ბაღში შევედი, სკამზე დავჯექი და ფიქრებს მივენდე...

რა თქმა უნდა, შურისძიების გრძნობა მახრჩობდა, ერთი სურვილი მქონდა დავბუნებულიყავი და დამესაჯა ის გარეწარი, მაგრამ ყურებში ყრუდ მესმოდა: «მაპატიე», «მე სამი შვილი მყავს», «ახალგაზრდობით მომივიდა» და ა.შ. და ა.შ. ავდექი. შევედი ქაშუეთის ეკლესიაში, მაშინ ისე სდევნიდნენ ეკლესიას, რომ ბევრს, რომ ვეცნე, ალბათ გაუკვირდებოდა კიდეც, მაგრამ ქაშუეთის ეკლესიაში შესვლას ალიბი სჭირდებოდა: «შემოვედი, რათა გუდიაშვილის ნახატებისთვის შემეხედა». მართლაც ასე მოვიქეცი, გუდიაშვილის წმინდანებთან და ანგელოზებთან ახლოს დავჯექი და დაახლოებით ერთი საათი მაინც ვფიქრობდი ჩუმად. სახლში მისულს დედა შემომეგება. ისე მოხდა, რომ სახლში არავინ იყო. თან გაუკვირდა, ასე ადრე რომ მივედი შინ, თან დედის გუმანით მიხვდა, რომ რაღაც შემემთხვა და დაიწყო დედაშვილური გამოკითხვა: «რა მოგივიდა? ცუდად ხომ არა ხარ?» და ა.შ. რა თქმა უნდა, როგორც ყველა შვილმა, მეც უყურადღებოდ დავტოვე მისი ეს კითხვები.

მაგრამ დედა რა დედაა, თუ არ აგალაპარაკა? თითქოსდა გუმანით მიხვდა რაღაცას. ცრემლები მოერია, ატირდა, შემევედრა, მეთქვა რა მოხდა? მეც ავდექი და ყველაფერი ვუამბე, რაც შემემთხვა რამდენიმე საათის წინ... ყურადღებით მისმენდა, შემდეგ... შემდეგ მოხდა რაღაც საშინელება, მუხლებში ჩამივარდა, აქვითინდა, მეფერებოდა, მკოცნიდა, მეხვეოდა და მთხოვდა: «შვილო, აპატიე იმ კაცს, ღმერთი თვითონ დასჯის, ღმერთი არ აპატიებს, თავი არ დაიღუპო, შვილო, ცოლ-შვილი არ დაღუპო, მოხუცებულობას ნუ ჩამიმწარებ, შემპირდი, შემპირდი, რომ აღარ მიხვალ იმ კაცთან». ეს სცენა ალბათ უსასრულოდ მომეჩვენა. მეც ცრემლები მომადგა, დედაც ტიროდა და არ ვიცი რამდენხანს ვიყავით დედა-შვილი ასე ჩახუტებულები და ვტიროდით ჩვენს მწარე წარსულს, მამას, ბებიას და სხვას და სხვას.

დედამ სიტყვა ჩამომართვა და მე ალბათ რამდენიმე თვე არ გავკარებივარ იქაურობას, საერთოდ ვერიდებოდი პუშკინის ქუჩაზე გავლას, თუ სადმე მივდიოდი, შემოვლით მარშრუტებს ვირჩევდი, ასეთი შესაძლებლობა კი მრავალია ძველ თბილისში.

ერთხელ მაინც ვერ მოვითმინე და შევედი მაღაზიაში (დაახლოებით ერთი წლის შემდეგ) და დირექტორი ვიკითხე. სულ სხვა პიროვნება შემომეგება. ჩემს კითხვაზე, თუ სად არის მისი წინამორბედი, თითქოსდა ლექსი ჰქონდა დაზეპირებული, მიპასუხა: «მე აქ უკვე ერთი წელიწადია, ვმუშაობ, წინა დირექტორს ადრე არ ვიცნობდი და არ შევხვედრივარ. როგორც მითხრეს, დაახლოებით ერთი წლის წინ თავისი თხოვნით წასულა სამსახურიდან და ოჯახთან ერთად რუსეთში გამგზავრებულა საცხოვრებლადო.

ის უბედური! რომ მდომოდა, იმ სამსახურის დახმარებით, სადაც ვმუშაობდი, ადვილად მოვნახავდი. სად დაიმალებოდა მაშინ საბჭოთა მოქალაქე?! საზღვარგარეთ ხომ არ გამეპარებოდა? ეჰ, მონახვით მოვნახავდი, დავადგენდი, სადაც გადამალა თავისი გარეწარი გვამი, მაგრამ მე რა? ეს რად მინდოდა?! ღმერთმა აპატიოს და ღმერთმა შეუნდოს ყველა ცოდვილს... მე და დედამ დიდხანია ვაპატიეთ და შევუნდეთ...

მოვლენებს წინ გავუსწარი: დიდი გაჭირვებით, დიდი უარყოფითი ემოციებით დატვირთულნი ჩამოვედით 1951 წლის აგვისტოს ბოლოს თბილისში. არ ვიცი, რამ განაპირობა, მაგრამ ვარაუდით ვხვდები, რომ საწყალ დედაჩემს იმ დიდმა ფსიქოლოგიურმა და მორალურმა დარტყმამ, რაც განაპირობა მამაჩემის უეცარმა სიკვდილმა, თითქმის ორი თვის განმავლობაში დიდი ხიფათებით (ღალატით, მოტყუებით) აღსავსე მგზავრობამ, _ სასტიკად შეურყია ჯანმრთელობა (არადა, მაშინ სულ რაღაც 40 წლისა იყო). ჩამოვედით თუ არა თბილისში, დაახლოებით ორ კვირაში დედა ლოგინად ჩავარდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. თითქოსდა განსაკუთრებით არაფერი სტკიოდა. შეიძლება გარკვეულ წილად რევმატიული ექსცესი იყო და მეტი არაფერი... მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს ყველაფერი მაინც ნერვიული შოკით იყო გამოწვეული. საწყალი დედა იწვა ლოგინში, ხელები და ფეხები არ ემორჩილებოდა, ვერ დადიოდა, თავის თავის მოვლაც კი უჭირდა. მე და ჩემი ძმა მორიგეობით ვდარაჯობდით სასთუმალთან. და, ასე წარმოიდგინეთ, ჩვენი კულინარული «ნიჭით» ვკვებავდით ავადმყოფ დედას... ასეთი გასაჭირი დაახლოებით 1953 წლის ზამთრამდე გაგრძელდა. თითქმის ხელში ატატებულს დავატარებდით დედას მე და ჩემი ძმა სამკურნალოდ გოგირდის აბანოებში. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს აბანოები ჩვენი სახლიდან დაახლოებით ერთ კოლომეტრში იყო (აბა მანქანის დაქირავება ჩვენ როგორ შეგვეძლო). ორჯერ დედის ჯანმრთელობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია... მახსოვს, ორჯერ გაგვაღვიძეს მე და ჩემი ძმა მეზობლის

ქალებმა, როგორც მივხვდი _ მომაკვდავ დედასთან გამოსამშვიდობებლად. ახლაც კი, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, გული შემეკუმშა და თვალზე ცრემლი მომადგა. მაშინ? აბა როგორ გითხრათ, მაშინ რა სცენა იყო: მომაკვდავი დედის სასთუმალთან ტირილი ორი ბავშვისა, რომლებიც ხელებს და ფეხებს უკოცნიდნენ დედას, შებღაოდნენ, დედა არ წახვიდე, არ მიგვატოვო და ა.შ. საწყალი დედა იმდენად მისუსტებული იყო, რომ არაფრის თავი არ ჰქონდა. ერთი მისუსტებული ხელით ჩემს ძმას ეფერებოდა, მეორე ხელს კი მე მისვამდა თავზე (არავის, მტერსაც არ ვუსურვებ ასეთი უარყოფითი ემოციების განცდას). შემდეგში, როცა გავიზარდე და დავცოლშვილდი, როცა კი გამახსენდა ეს საშინელი განცდები, ასე მეგონა, რომ ყოველივე მაშინ განცდილი ჩემი მძიმე ბავშვობის კულმინაცია იყო-მეთქი. მაგრამ როცა შვილი (გია) დავკარგე და ახლა, როდესაც მიხდება იმ აზრთან შეგუება, რომ ჩემი გია ჩემს გვერდით არ არის, ვერასოდეს ვნახავ, ვერ დაველაპარაკები, ვერ გავიგონებ მის ხმას, _ აი ამ ჩემმა და ჩემი ცოლის ტრაგედიამ დამარწმუნა, რომ ტრაგიკულს უმძიმესი კულმინაციური წერტილიც ჰქონია, და ეს წერტილი შვილის დაკარგვაა, მისი ასე უდროოდ წასვლა ამ ცხოვრებიდან...

ისევ მაპატიეთ, სათქმელს გადავუხვიე. ღმერთმა საბოლოოდ მთლიანი ობლობისათვის არ გაგვიმეტა მე და ჩემი ძმა. დაახლოებით წლინახევრის შემდეგ დედა ფეხზე წამოდგა. იმ ხანში თუ რაიმე ფული გაგვაჩნდა (რაც შეგვიგროვეს მაგადანში მამის თანამშრომლებმა), სულ შემოგვეხარჯა. სექტემბერში სწავლა დაიწყო, მე და ჩემს ძმას აბა სწავლისთვის სად გვეცალა?! ასე, ნოემბერში თუ დეკემბერში თვითონ მივედი სკოლაში, შევედი დირექტორთან, ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა და შევუდექი საშუალო სკოლაში სწავლას.

სკოლიდან დაახლოებით 2-3 საათზე დაბრუნებულები _ მე და ჩემი ძმა მორიგეობით ვრჩებოდით დედასთან, ხოლო რომელი ჩვენთაგანიც თავისუფალი იყო «მორიგეობისაგან», მიდიოდა შემთხვევითი სამუშაოს საძებნელად (ჩემი ძმა ბინათმშენებლობაზე მუშაობდა შავ მუშად, მე კი _ სტამბაში ვმუშაობდი გაზეთების ამკინძველად). და ასე ერთ-ორ კაპიკს ვუმატებდით ჩვენს საოჯახო ბიუჯეტს. შემდეგ, 1953 წლის დაახლოებით აპრილიდან, დედამ მუშაობა დაიწყო: ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს კეთილშობილი სული ბიძაჩემისა (მამაჩემის დეიდაშვილი) _ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისა, რომელიც ეხმარებოდა დედას სამსახურში მოწყობაში. მახსოვს, რამდენიმეჯერ ფეხით გამოგვყვა ბატონი შალვა ხელოვნების მუზეუმიდან კულტურის სამინისტორმდე, ეახლა მინისტრს და პირადად სთხოვა დახმარება. ბიძაჩემი რომ არა, ისეთ «დეფიციტურ თანამდებობაზე», როგორიც მაშინ კინოთეატრის ადმინისტრატორობა იყო, დედაჩემს არავინ დანიშნავდა. და ასე დაიწყო თუ გაგრძელდა ცხოვრება...

1953 წლის მარტში გარდაიცვალა სტალინი. მახსოვს, როგორ დავტიროდი მის სიკვდილს, თითქოსდა დიდი ახლობელი გარდამეცვალა (შეიძლება არანაკლებ, ვიდრე საკუთარ მამას). შემდეგ _ 1956 წელს თბილისში დატრიალებული მოვლენები და ა.შ.

ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვაც მოგახსენოთ 1956 წლის მარტში თბილისში დატრიალებული მოვლენების შესახებ და აგრეთვე ჩემი და ჩემი ძმის «მონაწილეობის» შესახებ ამ მოვლენებში. რა თქმა უნდა, იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც აქტიური მონაწილეობა. ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყოდი, რომ მეც იმ ხალხის ტალღის შუალედში ვიმყოფებოდი, ვინც «იმართებოდა» წინააღმდეგობის ბრძოლის მეთაურებისაგან, თუმცა იმართებოდა თუ არა ეს სტიქიური პროცესები, ისიც საკითხავია და ახლაც (ფაქტობრივად ნახევარი

საუკუნე გავიდა) არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს «პროცესები» საერთოდ ხელმძღვანელი ცენტრიდან იმართებოდა. მივყვეთ თანამიმდევრობას... 1956 წლის 5 მარტი გახლდათ ის პირველი წელი «დიდი ბელადის» გარდაცვალების შემდეგ, რომელიც არ აღინიშნა. ამან გარკვეულ წილად «აღაშფოთა» კომუნისტური აღზრდით მოწამლული საზოგადოების გარკვეული ნაწილი (ახალგაზრდობა, სამხედრო პენსიონერები, რომლებიც სტალინის დროშით იბრძოდნენ ომში და ა.შ.). სახელმწიფოს პოლიტიკით განაწყენებულმა მოსახლეობამ შეკრება დაიწყო სანაპიროზე, სადაც ჯერ კიდევ იდგა სტალინის ძეგლი, ყვავილების გვირგვინების მიტანა, სიტყვით გამოსვლა, ლექსების კითხვა _ საკუთარი თუ სახალხო ლექსებისა _ ბელადის შესახებ... შემდეგ კოცონი დაანთეს, ღამისთევები მოაწყვეს. ხელისუფლება ნამდვილად მოუმზადებელი აღმოჩნდა რაიმე ღონე ეხმარა ამ მოვლენების განეიტრალებისათვის, ან რა შეეძლოთ ადგილობრივ (საქართველოს) ხელისუფლებას? ალბათ დროულად და სიტყვა-სიტყვით ატყობინებდნენ ყველაფერს ცენტრს (მოსკოვს), იქიდან კი ჯერჯერობით არავითარი ბრძანება არ მოდიოდა. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება, სრულებითაც არ იყო განწყობილი რისკი გაეწია ან ინიციატივა გამოეჩინა. საქართველოს მართავდა ორი წლის წინათ ხრუშჩოვის გამოგზავნილი გარუსებული ოჯახის პატრონი ვასილ მჟავანაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე კიევის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსად მუშაობდა. საქართველოს უშიშროებას კი სათავეში ედგა ასევე თითქმის გარუსებული კავალერისტი ალექსეი ინაური. მათ ჯერ ვერც კი გაეგოთ, თუ რა პროფესიული ნიჭის გამოჩენა იყო საჭირო ქვეყნის მართვისათვის (მართალია, მოსკოვის უშუალო მითითებით მართვისა, მაგრამ მაინც მართვის). ისინი დაახლოებით 3 ათეული წელი სამშობლოსაგან დაშორებით ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგოთ ქართული მენტალიტეტი, იმასაც თუ დავამატებთ, რომ ამ ხალხმა მთელი ახალგაზრდობა რუსეთში გაატარა, ფაქტიურად ყაზარმებში გაიზარდა, მაშინ არაფერი ამაში გასაკვირი არ უნდა იყოს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ განათლება რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული და ქართულ ლიტერატურასთან, საქართველოს ისტორიასთან მწყრალად გახლდნენ _ სურათი შეიძლება სრული იყოს... საერთოდ კი, ვისაც ბავშვობაში არ წაუკითხავს გოგებაშვილის «დედაენა», ცრემლი არ მოჰგვრია «შვლის ნუკრის» განცდებზე, არ წაუკითხავს რაფიელ ერისთავის «სამშობლო ხევსურისა», ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ილია, აკაკი და სხვა და სხვა, მათ ქართველობაზე ყოველთვის საკმაო ეჭვი მეპარებოდა...

რა არის ხალხი და მითუმეტეს _ გარკვეულწილად ბრბო, რომელიც სტიქიურად მოქმედებს? პირველი შეკრებები მშვიდად მიმდინარეობდა. შემდეგ «დაუსჯელობის სინდრომით» გათამამებულმა ხალხის საპროტესტო ნაკადმა, თანდათანობით სანაპიროდან ქუჩებში გადაინაცვლა. საკმარისი შეიქნა ვიღაცის «გენიალური» წინადადება, რომ გავრცელდა საპროტესტო მიტინგები, დემონსტრაციები. რუსთაველისა და მაშინდელი პლეხანოვის პროსპექტებზე ვაჩერებდით რომელიმე სატვირთო მანქანას. ავიდოდით მასზე, შემდეგ შევჩერდებოდით წიგნების მაღაზიასთან. იქ შეცვივდებოდა ახალგაზრდების ჯგუფი. ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოხსნიდნენ საგამყიდველო თაროებიდან საბჭოთა დროშებს, ბელადების სურათებს (განსაკუთრებით მოწონებაში იყო ლენინისა და სტალინის სურათები). შემდეგ ამ სურათებს ძარასთან ახლოს განვალაგებდით, ამით ცოტათი ვანეიტრალებდით მარტის სუსხს და იწყებოდა მანქანებით დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში, გამუდმებული შეძახილებით: ლენინი! სტალინი! სტალინ-

ლენინი! და ა.შ. როგორც მაშინ მესმოდა, ეს შეძახილები მიმართული იყო იქითკენ, რომ არ დაეშორებიათ ერთმანეთსგან ჩვენი საყვარელი ბელადები, «ჩვენი მამები და მარჩენალები», «ჩვენი საყვარელი ბიძიები», «ჩვენი ბედნიერი ბავშვობის სულისჩამდგმელები» და ჩვენი _ ბიოლოგიური თუ არა _ სულიერი მამები ლენინი და სტალინი. აი, როგორი გულუბრყვილო ლოზუნგებით შეიძლებოდა ხალხის ზომბირება. რა თქმა უნდა, ახლა რომ წარმოვიდგენ, ჩვენ ყველა მაშინ ზომბირებულნი ვიყავით, პოლიტიკური რობოტები ვიყავით, და ამას არა მარტო არ ვგრძნობდით, არამედ ამით ბედნიერებიც კი გახლდით. ახლა, როცა ტელევიზორში ვუყურებ ტოტალური სახელმწიფოების (კუბა, ჩრდილოეთ კორეა, ვენესუელა, ირანი და სხვა)ხალხთა ეროვნლ ზეიმებს, აღლუმებს, სამხედრო, სახალხო დემონსტრაციებს, მასობრივ სპორტულ სანახაობებს, გარკვეულ წილად თითქოსდა მეცოდება ეს ზომბირებული ხალხი, რობოტებად ქცეული ხალხი, მაგრამ იქვე მახსენდება, რომ ჩვენც ასეთები ვიყავით. ბევრმა დააღწია თავი ასეთ ფსიქოზს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისევ იქ დარჩა და მათ გადარწმუნებას ვერავინ შესძლებს.

ეს სინდრომი უკვე ფსიქიკურ ავადმყოფობაში გადაიზარდა, ეს კი მძიმე სამედიცინო შემთხვევაა. რითი გინდა ეს ხალხი გადაარწმუნო? ე.წ. «დემოკრატიულმა» გარდაქმნებმა ხალხს ჯერჯერობით კარგი ვერაფერი მოუტანა. აბა ვინმეს ეცადა მაშინ ჩვენი გადარწმუნება, რომ ლენინი და სტალინი ჩვენი მამები არ არიან? მე მგონი, მათ ლინჩის წესით გაუმასპინძლდებოდნენ. ასევეა: აბა სცადე და კუბელს და სამხრეთ კორეელს აუხსენი, რომ ჭანჭიკი და რობოტია გაიძვერა ბელადების ხელში?! შედეგი? შედეგი იგივე იქნება... და რა გვიკვირს?

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი პიროვნების განსაკუთრებული პოზიცია მიმდინარე პროცესების შესახებ, და ეს პიროვნება ჩემი ძმის «მეგობარი» ვალიკო ჟვანია იყო. ადამიანი, რომელიც უკვე მაშინ საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, განზე გაუდგა 9 მარტის მოვლენებს, ჩუმად აკვირდებოდა «პროცესებს», ხმას არ იღებდა, არ უცდია რაიმეში ჩარეულიყო. ერთი კი მითხრა, როცა სახლში ვბრუნდებოდით, სტალინი არ არის ის ადამიანი, ვისთვისაც ღირს ყოველივე ამის გაკეთება, იგი სისხლიანი დიქტატორიაო და ა.შ., რითაც თითქმის გაიმეორა ნ. ხრუშჩოვის აზრი სტალინის მიმართ. და ამით ვერაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ჩვენზე _ «რევოლუციონერებზე». მე შევეკამათე, ვუმტკიცებდი სულ სხვას, მან, რომ იტყვიან, «сочувствием» გადმომხედა და გაჩუმდა. შემდეგ მოხდა უარესი... მანქანიდან რომ გავყვიროდით ჩვენ ლოზუნგებს, ამ დროს სამხედროები გაჩერდნენ რუსთაველის პროსპექტზე და გაკვირვებით გვიყურებდნენ. რომელიღაც «ჭკვიანმა» მანქანა გააჩერებინა მძღოლს, მივარდა ამ სამხედროებს და სამხედრო ქუდები წააცალა თავზე, თან შესძახა: «როგორა ბედავთ, ჩვენ მოვდივართ, წინ ლენინის და სტალინის სურათები მოგვაქვს, თქვენ კი სამხედროები, თავხედობთ, რატომ სამხედრო სალამით არ შემოგვეგებეთო?» აი, ეს კი ჩემი ბავშვური ფსიქიკისათვის მეტისმეტი იყო (და ალბათ არა მარტო ჩემი ფსიქიკისთვის), ე.ი. შეიძლება დაუსჯელად სამხედროებსაც შეეხო და საერთოდ შეიძლება რაღაც ე.წ «რევოლუციური» ინიციატივაც გამოიჩინო, ხალხი აგყვება და მხარს დაგიჭერს... ამიტომაც სანაპიროზე მისულმა მოვითხოვე სიტყვა, წარმოვთქვი ბელადის სადიდებელი «რეჩი», შემდეგ, არ ვიცი რამ მიკარნახა, წავიკითხე საკუთარი ლექსი ილია ჭავჭავაძის შესახებ (იყო აღწერილი მისი მამულიშვილობა, იყო წარმოსახული წიწამურის ტრაგედია). ზუსტად ერთი კვირით ადრე ეს ლექსი სასკოლო კედლის გაზეთში იყო გამოქვეყნებული და ამიტომაც ზეპირად მახსოვდა. არ ვიცი, რა დიქციით და შემართებით შევძელი ყოველივე ეს, მაგრამ მახსოვს, რომ მქუხარე ტაში

დავიმსახურე და ტრიბუნასთან დაწინაურებული ხალხისთვის უკვე «სვოი» ბიჭი გავხდი... დაახლოებით საღამოს შვიდი თუ რვა საათია, ვიღაც ორატორმა წამოაყენა წინადადება: «ხალხნო, აქ უქმად რას ვდგავართ, ხომ ხედავთ, ხელისუფლება არავითარ ღონეს არ ხმარობს, ჩვენი საყვარელი ბელადის ხსოვნის გადარჩენისათვის. გაზეთებში ნეკროლოგებიც არ იბეჭდება, რადიოში (მაშინ რადიომაუწყებლობა ინფორმაციის ძირითადი საშუალება იყო). საბჭოთა კავშირის ჰიმნიდან სიტყვები ამოიღეს, რათა სტალინი ამოიღონო», _ და მოგვიწოდა ფეხით წავსულიყავით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან (ჩიტაძის ქუჩაზე) და მოგვეთხოვა «სამართლიანობის» აღდგენა, ნეკროლოგის გამოქვეყნება, ჰიმნის შესრულება სიტყვებთან ერთად «И Сталин великий нам путь озорил» და ა.შ.

მართლაც, მიტინგი დაიძრა რუსთაველზე, შემდეგ ჩიტაძის აღმართი, ცკ-ს შენობა, შეძახილები შენობასთან: სტალინი, ლენინი და ა.შ. ერთიც უნდა ითქვას: მომიტინგეებს არავითარი აგრესიული ზრახვები არ გამოუჩენიათ და არც შენობაში შეღწევა უცდიათ. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს შეძახილები, ხალხის ხმაური. ერთი კი კარგად მახსოვს: ჩიტაძის დაღმართი ზევით, სადაც თვალი მიმიწვდებოდა, და ქვევით _ რუსთაველის გამზირამდე _ ხალხით იყო სავსე. და აი, აივანზე (ამ შენობას მეორე სართულზე ქუჩაზე გამავალი საკმაოდ ვრცელი აივანი აქვს) გამოვიდა ცკ-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე თანმხლებ პირებთან ერთად და რუსულ ენაზე მიმართა ხალხს, მოუწოდა სიმშვიდისაკენ. და ოი, საოცრებავ! რა არის «თავისუფალი» ხალხი, მისი სტიქია, მისი შესაძლებლობები! ვიღაცამ დაიყვირა: «ქართულად, ქართულად ილაპარაკე, თუმცა შენ ქართული ალბათ არც იციო». ამ დროს მე მომიტინგეების პირველ რიგებში ვიმყოფებოდი და კარგად შევამჩნიე, თუ როგორ შეცბა ვ. მჟავანაძე, რამდენიმე წამით პაუზა აიღო, გაფითრდა (თავი შეიკავა ალბათ, რომ ყაზარმებში ჩვეული რუსული შემკული გინებით არ ეპასუხა), ჰაერი ჩაისუნთქა და უკვე ქართულად მიმართა ხალხს და კვლავ სიმშვიდისაკენ მოუწოდა. შემდეგ კი შეეკითხა: რა გსურთ, აქ რისთვის მოსულხართო. შეძახილებით გადასცეს მოთხოვნები. მან გასცა განკარგულება (თანაშემწემ ჩაიწერა). შემდეგ ერთხელ კიდევ მოგვიწოდა დავშლილიყავით და ჩვენი მოთხოვნები _ დღეს საღამოს ჰიმნის შესრულებისას და ხვალ გაზეთების გამოსვლისას _ შესრულებული იქნებოდა. ხალხიც ჩუმად გამარჯვებული სახით დაიშალა. მოვედით სახლში, ყველაფერი მოვუყევით მეზობლებს და ჩვენს გახარებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ღამის 12 საათზე მთელ ეზოში, თითქმის ყველა რეპროდუქტორიდან გაისმა საბჭთა კავშირის და საბჭოთა საქართველოს ჰიმნები. აბა მეტი რა გითხრათ? ხალხის მაშინდელ გამოთაყვანებას და პინგვინობას საზღვარი არა ჰქონდა. რას მივაწეროთ ეს? ბავშვურ გულუბრყვილობას? არამც და არამც! ეს იყო საბჭოთა პროპაგანდით ეგზალტირებული ადამიანების რეაქცია და მეტი არაფერი...

...და აი გათენდა 1956 წლის ავადსახსენებელი (ბევრი ქართველი ახალგაზრდისათვის საბედისწერო და უკანასკნელი) დღე _ 9 მარტი... უკვე სამი წლის გარდაცვლილი ბელადის სისხლიანი სული ახალ მსხვერპლს მოითხოვდა, დასაფლავების დღეს მოსკოვში დაღუპული რამდენიმე ასეული ადამიანი საკმარისი არ აღმოჩნდა. ალბათ საჭირო იყო ახალი მსხვერპლი და ისიც ქართველებისა...

მე და ჩემი ძმა უბნელების თანხლებით, როგორც სამსახურში მიდიან ხოლმე დისციპლინებული მოსამსახურეები, ისე გავემართეთ დილით ადრე სანაპიროზე _ სტალინის ძეგლთან. უნდა მოგახსენოთ, რომ დაახლოებით 6 მარტიდან თბილისის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში

ყოველგვარი სწავლა შეწყვეტილი იყო. მახსოვს, 6 და 7 მარტს როგორ შემოუერთდნენ მომიტინგეებს ახალ-ახალი კოლონები სახელმწიფო უნივერსიტეტისა, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტისა და თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლისა, აგრეთვე საშუალო ტექნიკუმებისა, შემდეგ გამოჩნდნენ დელეგაციები ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, ბათუმიდან და ა.შ.

დაახლოებით დილით 11 საათზე სანაპიროზე მოვიდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე და ბიუროს წევრები, აგრეთვე მთავრობის ხელმძღვანელობა. სიტყვით გამოვიდა ვ. მჟავანაძე და მთავრობის თავმჯდომარე, რომლებმაც მოუწოდეს სიმშვიდისაკენ. მიმართეს თხოვნით, რომ 10 მარტისათვის დაშლილიყვნენ, რადგანაც უკვე ღირსეულად სცეს პატივი ლენინის დიდი მოწაფის და მისი «დიადი საქმეების» გამგრძელებლის დიდი სტალინის ხსოვნას (დაახლოებით ასეთი იყო ვ. მჟავანაძის სიტყვის შინაარსი). მაგრამ «თავისუფლების» და დაუსჯელობის სინდრომი სუფევდა. მახოვს, ხალხის შეძახილებისა და არც თუ ისე სასიამოვნო რეპლიკების გამო ორატორები იძულებულნი იყვნენ რამდენიმეჯერ შეეწყვიტათ გამოსვლა. იქვე ახლოს ვიდექი და კარგად მახსოვს ამ ოფიციოზის წარმომადგენელთა სახეები. იდგნენ როგორც მუმიები, სახეზე სიბრაზისაგან, ბოღმისაგან სხვადასხვა ფერის ლაქები ესახებოდათ... უჭირდათ ხალხთან საუბარი, რომელიც გარკვეულ წილად გამოსული იყო მათი კონტროლიდან. ერთი კი უნდა ითქვას: არცერთ რეპლიკაში არ გამიგონია რაიმე ანტისაბჭოთა ან სოციალურ-ეკონომიკური ან პოლიტიკური თავისუფლების ლოზუნგი. ხალხი ძირითადად იცავდა მის სუვერენულ უფლებას _ ეგლოვა და პატივი ეცა დიდი სტალინისთვის... ნუ დაგავიწყდებით, რომ 1956 წლის მარტი იდგა, ჯერ კიდევ სავსე იყო ციმბირი პოლიტიკური პატიმრებით, ჯერ კიდევ მუშაობდნენ ე.წ. «ტროიკები», რეაბილიტაციის ტალღა ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო მოქმედებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ მომიტინგეთა დიდ უმრავლესობას ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. აქა-იქ გამოჩნდებოდა ხანშიშესული ორატორი. სხვებს კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული კომუნისტური რეჟიმის პოლიციური სისასტიკე და ამიტომ არჩევდნენ _ გარეშე დამკვირვებლები ყოფილიყვნენ ამ პროცესებში. დედაჩემის და სხვა მშობლების რეაქციამ კი სასოწარკვეთილების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ისინი რაღაც ინტუიციით ხვდებოდნენ, რომ ყოველივე ეს ასე მშვიდად არ დამთავრდებოდა. ალბათ თანახმანი იყვნენ ჩვენთან ერთად წამოსულიყვნენ მიტინგზე, ოღონდ შვილების გვერდით ყოფილიყვნენ და საშიშროების შემთხვევაში დაეცვათ ისინი.

დაახლოებით 45 წუთში ხალხისა და მთავრობის ეს «შეხმატკბილებული» მიტინგი დამთავრდა. შემდეგ ვიღაც «ჭკვიანმა» წამოიძახა: წავიდეთ გორში და იქ მივაგოთ პატივი დიდ ბელადსო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა?!. მე და ჩემი ძმა რეკვიზირებული «პოლტარატონკის» ძარაზე აღმოვჩნდით, რა თქმა უნდა, წიგნების მაღაზიიდან მოტაცებული ბელადების სურათებით და ასე შეუწყვეტელი ძახილით _ «ლენინი-სტალინი» «სტალინი-ლენინი» გავუდექით სამანქანო გზას გორამდე... უნდა მოგახსენოთ, რომ საკმაოდ ციოდა, წვიმდა. თუ გავითვალისწინებთ რა «ტანსაცმელში» ვიყავით გამოწყობილნი, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, როგორ «დიდ სიამოვნებას» განვიცდიდით ამ მოგზაურობის დროს. მაგრამ ამის შესახებ მაშინ ვინ ფიქრობდა? ჩვენ ყმაწვილკაცები ვიყავით და ასე გვეგონა რაღაც დიდ «საქმეს» ვაკეთებდით... აი, ასე წვიმაში გალუმპულები, მშივრები ჩავედით ბელადის სამშობლოში _ გორში. მთავარ მოედანზე სტალინის ძეგლთან შევუერთდით მომიტინგეებს, ჩვენი წარმომადგენელი მქუხარე სიტყვით მიესალმა გორელებს, და

აი, საოცრებავ: ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოედანზე გამოჩნდა სატვირთო მანქანა, რომლის ძარაზე სცენა იყო მოწყობილი და სცენაზე იდგნენ მსახიობები, ზევით პოსტამენტზე ლენინი და სტალინი, ხელიხელჩაკიდებულნი, ქვევით კი რევოლუციის ბელადები: ძერჟინსკი, მოლოტოვი, ფრუნზე და სხვები. ეს მეტისმეტი იყო. ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი მიტინგი მათ მქუხარე ოვაციებით შეხვდა, ვიღაცის წაქეზებით, დაიწყო შეძახილები: «წადით თბილისში, იქ ანახეთ ყოველივე ეს ხალხს, წადით თბილისში, წადით!» ისინიც ცდილობდნენ მიზანსცენიდან არ გამოსულიყვნენ (სახუმარო საქმე ხომ არ იყო ლენინს და სტალინს განასახიერებდნენ და თავის ქნევას ხომ არ დაგვიწყებდნენ?!). ამიტომ «სერიოზული» ეკავათ. ამ დროს გამოჩნდა რეჟისორი, რომელიც დაგვპირდა, რომ ცოტა ხანში თბილისში გაემგზავრებოდნენ. აი, ასეთი იყო ატმოსფერო, აი, ასეთი იყო ჩვენი მაშინდელი განწყობილება. ჩვენ მაშინ ხალხი არ ვიყავით, ჩვენ მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდით გაჟღენთილი რობოტები ვიყავით, მაგრამ ვაი, რომ ყოველივე ეს გვიან შევიგნეთ.

ეჰ, კარგი იყო მიტინგი, დემონსტრაცია, მაგრამ სახლში დაბრუნებაზეც ხომ უნდა გვეფიქრა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სიცივის გარდა, შიმშილიც გვაწუხებდა. ახლა ყოველ მიტინგზე, როგორც მოსკოვში, ისე თბილისში, უფასო საჭმელებს არიგებენ, ამბობენ, ამ მიტინგებს ფულიანი სპონსორებიც ჰყავსო და ყოველ მომიტინგეს ფულიანი გასამრჯელოც გამოეყოფაო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, დაწყებული 5 მარტიდან 9 მარტის ჩათვლით, არ მახსოვს რაიმე ძალადობის ფაქტი, მართლმსაჯულების წინააღმდეგ რაიმე მცდელობის ფაქტიც კი, არც მარადიორობის (მაღაზიების დარბევის) მცდელობის ფაქტი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მომიტინგეთა სრული უმრავლესობა მშიერი იყო და გაცვეთილი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ემოსა. მანქანა, რომელმაც გორში ჩამოგვიყვანა, კი დაგვპირდა დაგელოდებითო, მაგრამ თავს «უშველა» და მიიმალა. წავედით სადგურში, დავხვდით თბილისისკენ მიმავალ რაღაც მატარებელს და თითქმის თბილისამდე ვაგონის კიბეებზე ჩამოკიდებულნი ჩამოვედით რის ვაი-ვაგლახით თბილისში. მივედით სანაპიროზე, ვინახულეთ ჩვენი ნაცნობები გორის თეატრიდან და შემდეგ მშიერ-მწყურვალნი, წვიმაში გალუმპულნი, ასე 9 საათზე დავბრუნდით სახლში ახალი შთაბეჭდილებებით სავსენი. მოვუყევით დედას და მეზობლებს ჩვენი «საგმირო» საქმიანობის შესახებ. არ ვიცი, რა სიტვებით გამოვხატო დედაჩემის სიხარული, როცა ცოცხალნი და უვნებელნი დაგვინახა. დაგვაპურა, რითაც შეძლო, ერთი კი გვთხოვა, ერთი-ორი საათით წამოწექით, დაისვენეთ და თუ დაგეძინათ, ორ საათში აუცილებლად გაგაღვიძებთ, მერე წადით სანაპიროზე და შეუერთდით თქვენს ამხანაგებსო. მართალი გითხრათ, მე და ჩემს ძმას ნამდვილად მოგვეწონა დედის ეს «ბრძნული» აზრი, ავიღეთ მისგან პირობა (რომ იტყვიან, დავაფიცეთ), რომ გაგვაღვიძებდა და წამოვწექით. დიდხანს წვალება არ დაგვჭირვებია, როგორც დედამ შემდეგში გვითხრა, ერთ 5-7 წუთში «მკვდარივით» ჩაგვძინებია და დილით ასე 9-10 საათზე გაგვეღვიძა. ასე რომ, 9 მარტის ღამით დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია უჩვენოდ ჩატარდა. თურმე მთელი საღამო არ ეძინა ჩვენს ეზოს, მოდიოდა სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ჭორები. ერთი კი უცილობელი იყო, რომ ქალაქში სროლა დაიწყო. დილით პირველ საათზე რადიოთი გამოსულა ქალაქის სამხედრო კომენდანტი (რა თქმა უნდა, რუსი ეროვნების გენერალი) და გამოუცხადებია საგანგებო მდგომარეობა. ამბობდნენ, იმ საღამოს ბევრი დაჭრილა, არიან დახოცილებიო და ა.შ. აი, ასეთ მდგმარეობაში გამო-გვეღვიძა და შევიტყვეთ ყველაფერი. მახსოვს, შოკირებული ვიყავი, ვერ

წარმომედგინა თუ რა მოხდა... და ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში მე და ჩემი ამხანაგი წავედით ქალაქში, გავედით რუსთაველზე, საერთოდ ჩვენ ყოველთვის რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეს ვსეირნობდით ე.წ. სოლოლაკის სანა-ყინედან ზემელამდე. ამჯერად, პირველ საშუალო სკოლასთან მისულებს, სამხედრო ბადრაგმა გვიბრძანა გადავსულიყავით ქუჩის მეორე მხარეს, მხატვართა სახლთან. იქაც არ გაგვაჩერეს, ვინაიდან ქალაქის მთავარ ტელეგრაფთან სამხედროების დიდი სიმრავლე შეიმჩნეოდა და სისხლიანი ტრაგედიის ძირითადი მომენტიც იქიდან იწყებოდა. ეჰ, რუსთაველის პროსპექტო! როგორც პოეტმა თქვა: «მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი...» აქ თითქმის ზუსტად 33 წლის შემდეგ დატრიალდება სისხლიანი ტრაგედია, როდესაც ჯერ გაზით მოწამლავენ და მერე ავტომატის კონდახებით და ნიჩბებით გაუსწორდებიან შეკრებილებს. ახლაც, კარგად რომ დააკვირდე თბილისის მთავარ ტელეგრაფის შენობას, ატყვია მაშინდელი ნატყვიარები.

თუმცა სხვას რას ვერჩით: სულ ახლახან 7 ნოემბერს თვითონ ქართველებმა მოვუწყვეთ იმავე რუსთაველზე ერთმანეთს ანგარიშსწორება ხელკეტებით, გაზითა და რეზინის ტყვიებით, ისევე როგორც იმავე რუსთაველზე დავამხეთ ლეგიტიმური პრეზიდენტი და «სიმართლისათვის» ამოვხოცეთ ერთმანეთი.

როგორც შემდეგში მომიყვნენ თვითმხილველები, სანაპიროზე «ლიდერების» გულუბრყვილობა საზღვარს გადასცილებია. დაახლოებით 10 საათზე ვიღაც «ჭკვიანს» წინადადება წამოუყენებია, დეპეშა გავაგზავნოთ კრემლში ამხანაგ მოლოტოვთანო, სტალინის ღირსეულ მოწაფესთანო, და ვთხოვოთ, ჩამოვიდეს საქართველოში, სათავეში ჩაუდგეს კომპარტიას და მთავრობას. მხოლოდ ის თუ აღადგენს აქ წესრიგსო... და კიდევ სხვა რაღაც აბდაუბდა. შეუდგენიათ «სათანადო» დეპეშა და მიტინგის გარკვეული ნაწილი წასულა მთავარი ტელეგრაფის შენობისაკენ. იქ კი შენობაში მერვე პოლკის ჯარი ყოფილა ჩასაფრებული. როგორც კი მომიტინგეები შენობას მიუახლოვდნენ, სროლა დაუწყიათ, თითქოსდა ჯერ ჰაერში. მიტინგი გაჩერდა. ხალხის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს იყო პირველი წინააღმდეგობა ხელისუფლების მხრივ. გაისმა ანტისაბჭოთა მიმართულების შეძახილები. თითქოსდა ხელისუფლების წარმომადგენელმა შესთავაზათ _ აერჩიათ დელეგატები 5-10 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც ნებას მისცემდნენ შენობაში შესასვლელად და დეპეშის გასაგზავნად. მათაც აურჩევიათ დაახლოებით 7 კაცი. როგორც კი ხალხის ტალღას გამოეყო ეს 7 და დაიწყო სვლა ტელეგრაფისკენ, მიუახლოვდნენ თუ არა შენობის კიბეებს, შენობიდან სროლა დაუწყიათ მიზანმიმართულად და ხალხის თვალწინ დაუცხრილავთ ეს დელეგატები. შემდეგ გაუგრძელებიათ სროლა მომიტინგეებისათვის. ხალხი გაოგნებული ყოფილა რამდენიმე წამს, შემდეგ დაწყებულა პანიკა. ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ მირბოდა პროსპექტზე. ლენინის მოედნიდან და ზემელიდან მომავალი სამხედრო მანქანები ორივე მხრივ უღობავდნენ გზას. ნაწილი ალექსანდროვის ბაღში შეცვენილა, ზოგიც დაღმართზე გარბოდა. იქაც არ ინდობდნენ ხალხს, იქაც აღმოჩნდნენ დაღუპულები. შემდეგ სამხედროებს სანაპიროზე მომიტინგეები დაურბევიათ, იქაც სროლა, იქაც მსხვერპლი. ამბობდნენ, მიტინგის ერთ-ერთი ლიდერი _ ქუთაისელი გოგონა პირველი გაუგმირავთ _ ხიშტებზე აუცვიათ.

მთავრობამ არავითარი სტატისტიკა არ დატოვა დაღუპულთა შესახებ. თვითმხილველნი გვარწმუნებდნენ, რომ დაღუპულთა რაოდენობა ათეულებს აღწევდა. შემდეგში ეს დამიდასტურეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების კომიტეტის იმ მუშაკებმა, რომლებიც მაშინ მუშაობდნენ ამ უწყებებში.

ფეხში დაჭრილი აღმოჩნდა ჩვენი უბნელი, ჩემი ძმის მეგობარი მერაბი, რომელიც ამხანაგებს რის ვაი-ვაგლახით მოუყვანიათ სახლში. მე და ჩემმა ძმამ საიდუმლოდ ვინახულეთ დაჭრილი. მეორე დღეს წავედი ბიძაჩემთან რევაზ ჩხენკელთან (სამამულო ომის მონაწილე, ორდენოსანი, სპეციალობით ექიმი-ქირურგი, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ივანე ჩხენკელის ძმა) და ვთხოვე დახმარება. უსიტყვოდ წამომყვა რეზო ბიძია, ჩვენდა საბედნიეროდ, ნატყვიარი ჭრილობა გამჭოლი აღმოჩნდა, უმკურნალა და ორ-სამ კვირაში ჩვენი «გმირი» უკვე ფეხზე წამოაყენა.

ახლა გასული წლების გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, ყოველივე ის, რაც მაშინ თავს გადაგვხდა, ღიმილს იწვევს. ღიმილს იწვევს ჩვენი იდიოტური გულუბრყვილობა, ჩვენი ასეთი თავგანწირვა «დიდი ბელადის» ხსოვნის შელახვისათვის. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ჯერ კიდევ 1956 წელია და ჩვენც ისე გვესმის ცხოვრება, როგორც გვასწავლეს, როგორც შთაგვაგონეს. ახალი დამთავრებულია ომი, რომელიც სტალინმა მოიგო. ცხოვრება დღითიდღე «უმჯობესდება» და ჩვენ არავითარ ინფორმაციას არ ვფლობთ, თუ რა ხდება რკინის ფარდის იქით, იქით «ხალხის სისხლის მსმელები» _ კაპიტალისტები არიან _ ჩვენი მტრები. ეს მათი ხრიკებია და ა.შ. შემდეგში, როცა შემოვა ყველა ბინაში ტელევიზია, გაჩნდება მაგნიტოფონი, ტელეფონი, მერე _ უფრო მეტი _ უმავთულო მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი და ა.შ. თუ საერთოდ იდიოტად დაბადებული არა ხარ ადამიანი, როგორ შეიძლება ანალიზით არ მიხვდე ვინ რას წარმოადგენს. მაშინ? მაშინ სხვა დრო იყო და ჩვენც ამ შეგნებით ვცხოვრობდით.

აღდგა სწავლა. მივედით სკოლაში. ზუსტად იმ დღეებში ქართულ ლიტერატურაში პროგრამით «ბაზალეთის ტბას» გავდიოდით. ცხონებულმა კეთილშობილების და დედობის განსახიერებამ _ ქართული ენის მასწავლებელმა ქალბატონმა მარიამ ჩალაურმა _ საკონტროლო წერა ჩაგვიტარა თემაზე: «ბაზალეთის ტბის» მოკლე შინაარსი და გარჩევა დაგვავალა. ორ დღეში, როგორც ყოველთვის, მასწავლებელმა გაკვეთილზე საკონტროლო ნამუშევრები შეაფასა, ნიშნები გამოგვიცხადა. ამაოდ ველოდი ჩემი ნიშნის გამოცხადებას... როცა პროცესი მორჩა, მოკრძალებით შევეკითხე, ჩემი ნამუშევრის ნიშანი არ გამოგიცხადებიათ-მეთქი. შემომხედა და მითხრა, გაკვეთილის შემდეგ დავრჩენილიყავი. დამთავრდა თუ არა გაკვეთილი, სამასწავლებლოში ვეახლე. მან დაახლებით შემდეგი მითხრა: ეს რა დაგიწერია? გინდა მე და შენ ორივე გადაგვასახლონ ციმბირშიო?! გამიკვირდა მისი ასეთი რეაქცია. გავიხსენე, რომ ლექსის გარჩევისას პარალელი გავავლე იმ დღეებში მომხდარ სისხლიან ტრაგედიასთან და დაახლოებით ვთქვი, რომ ბაზალეთის ტბის ძირას არსებული აკვნის გმირი გაიზრდება, დავაჟკაცდება...

ამით დამთავრდა ჩემი «საგმირო» საქმეები, და შეიძლება ჩემი ყმაწვილკაცობაც...

დღეს შორეული წლების გადმოსახედიდან ბევრ ჩემს თანატოლს ესირცხვება ამ მოვლენებში თავისი «მონაწილეობის» გახსენება, ესირცხვება 9 მარტი და «სტალინისტური» წარსულის გახსენება. ასე მოუვიდა, მაგალითად, შემდეგში უკვე ეროვნულ მოძრაობაში ჩართულ ბევრ ლიდერს, რომელთა სახეებიც გარკვევით მახსოვს იმ დღეებში, როგორც სანაპიროს მიტინგებზე, ისე ქალაქშიც. მაგრამ იმდენად შეუთავსებადია მათ გაგებაში ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და ყმაწვილკაცობაში «სტალინისტობა», რომ ამის გახსენებაც კი არა სურთ. ამის ნათელი მაგალითია ამ დღეებში საქართველოს საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის მიერ გადმოცემული ტელეფილმი, სადაც ტელეგმირებმა და ეროვნული მოძრაობის პირველმა «გმირებმა» (ვინც დარჩა მათ შორის ცოცხალი)

ერთი სიტყვითაც კი არ გაიხსენეს 9 მარტს თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია. აქამდე მე ასე ვიცოდი და ალბათ არა მარტო მე ვთვლიდი, რომ ზ. გამსახურდიას და მისი ჯგუფის გასამართლება და შემდეგ მათი საპატიო შეწყალება _ უფრო მეტად 1956 წლის მარტში დატრიალებულ ამბებს უფრო უკავშირდება და არა მითიური ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციის «გორგასლიანის» შექმნას, რომლის არც წესდება, არც ქაღალდზე დაწერილი არავითარი ანტისაბჭოთა დოკუმენტი არ არსებობს... და თუ დავუმატებთ იმას, რომ არავითარი ანტისაბჭოთა ქმედებებიც არ იყო ჩადენილი მაშინ, თუ გავიხსენებთ 1958 წლის სასამართლო პროცესს და იმასაც ვიტყვით, რომ მაშინ ამ პროცესის მთავარი გმირები არა 13-14 წლის ყმაწვილები იყვნენ, არამედ 19-20-21 წლის სავსებით დასრულებული წლოვანების ჭაბუკები, _ მაშინ, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ მიმართ არნახული სულგრძელობა გამოიჩინა და «აპატია დანაშაული». აქ ისიც თამაშობდა გარკვეულ როლს, რომ თითქმის ყველა მათგანი ე.წ. «დიდი ხალხის» შვილი იყო (მ. კოსტავას გარდა), მათ შორის _ აკადემიკოსის, მაშინდელი საქართველოს ცოცხალი კლასიკოსის შვილი (ზ. გამსახურდია) და სხვა. როგორც უშიშროების კომიტეტში დაცული მასალებიდან ჩანს, დაპატიმრებულებიდან მხოლოდ მ. კოსტავას არ უღიარებია «დანაშაული». ახლა რომ იტყვიან, გამოიყენა ე.წ. დუმილის უფლება (მაშინ ასეთი უფლება საბჭოთა სამართალში არ არსებობდა), უბრალოდ მას გამომძიებლის არცერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. გამოძიების და სასამართლოს დასკვნით მასალებში ცალსახად იკვეთება ის აზრი, რომ დაპატიმრებულებთაგან ყველაზე მეტად საშიშ პიროვნებას სწორედ მ. კოსტავა წარმოადგენდა. ღირსეულად ეკავათ თავი გამოძიების დროს ვ. სიხარულიძეს, გ. სხირტლაძეს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გ. სხირტლაძე ორი კვირით გვიან დააპატიმრეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩეკისტების მიერ ჩაფიქრებული ოპერატიული ღონისძიების ნაწილი გახლდათ. საბეჭდი მანქანა მის ბინაში რომ ინახებოდა, ესეც უშიშროებისათვის ცნობილი ფაქტი გახლდათ. მაგრამ იმის შესახებ, რომ საბეჭდ მანქანასთან ერთად საბრძოლო პისტოლეტიც ინახებოდა, გამოძიების დროს გახდა ცნობილი და, როგორც კი ცნობილი გახდა, იმის შიშით, რომ იარაღის პატრონს რაიმე «სისულელე» არ ჩაედინა, სასწრაფოდ დააპატიმრეს. ამან უშიშროების ხელმძღვანელობას საშუალება მისცა, ვადამდე გაენთავისუფლებინა სამსახურიდან გ. სხირტლაძის მამა _ უშიშროების კომიტეტის ძველი მუშაკი, პოლკოვნიკი.

უცნაურები ვართ ჩვენ _ ქართველები, ყველაფრის გაზვიადება გვიყვარს და ხშირად რეალურ ლოგიკას გარს ვუვლით, ოღონდ კი შევძლოთ რაიმეს შელამაზება... ასე ჟღერდა დოკუმენტურ კინოფილმში წამყვანის შემდეგი ტექსტი: «ორგანიზაციის წევრები («გორგასლიანები») საბჭოთა კავშირში კომუნისტების რეჟიმის წინააღმდეგ ღრმად კონსპირატიულ-პარტიზანული მოძრაობისათვის ემზადებოდნენო», _ ეს კი ნამდვილი ზღაპარია და მეტი არაფერი. საინტერესოა, ეს პარტიზანული ომი მარტო საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართებოდა თუ მათ გადატანას შესძლებდნენ შუა აზიაში თუ ყაზახეთში, ან უკრაინაში, ისიც _ ერთი პისტოლეტით, და ა.შ. პარტიზანული მოძრაობის მხარდასაჭერად და მისი წარმატებით ჩატარებისათვის იმდენი წინაპირობაა საჭირო, რომ ამაზე მთელი წიგნები და სახელმძღვანელოებია დაწერილი. არ იქნებოდა ურიგო, თუ ამ ტექსტის ავტორი, თუ არ წაიკითხავდა, ყოველ შემთხვევაში _ გადაათვალიერებდა მათ. კომუნისტური პარტიის რეჟიმმა ამ ახალგაზრდების მიმართ დიდი «ჰუმანურობა» გამოიჩინა, ყოველ შემთხვევაში, ერთიც უნდა ითქვას: 1956 წელს, თბილისში მიმდინარე პროცესების («სტალინისტური მიმართულების ამბოხების») დროს საქართველოს უშიშროების

კომიტეტს დრო უქმად არ დაუკარგავს, ვინაიდან კომიტეტში დაილექა უამრავი ოპერატიული «მასალა» ამ პროცესების მიმდინარეობის შესახებ, არ მოვტყუვდები, თუ ვიტყვი, _ რამდენიმე ათეული ტომი ოპერატიული დამუშავების მასალებისა, სადაც აღწერილი იყო თითქმის ყველა ე.წ. სამართალდარღვევის ფაქტი და ანტისაბჭოთა გამოხდომები, შედგენილი იყო «ამბოხების» აქტივისტების სიები, და ა.შ. ყველაფერი დაფიქსირებული გახლდათ და რომ ყოფილიყო მითითება რეპრესიების ჩატარებისა, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდნენ, ყველა სახეზე ჰყავდათ, მაგრამ სწორედ იმ წლებში კომუნისტების ახლად გამომცხვარ ლიდერს პოლიტიკური მოსაზრების გამო ასეთი რეპრესიები არ სჭირდებოდა, ის ჯერ კიდევ სხვა თამაშს თამაშობდა. ყოველგვარი რეპრესიები, დახვრეტები, დასჯები ჯერ ლ.ბერიას მიაწერა, მერე სტალინის, როგორც ხალხთა ჯალათის, გამოაშკარავება და მავზოლეუმდან გამოძევება დასჭირდა და ამიტომ ასეთი ბრძანება, ჩვენდა საბედნიეროდ, არ გაცემულა... მსხვერპლს მსხვერპლი არ მიუმატეს, ისედაც მათი რაოდენობა რამდენიმე ათეული ახალგაზრდის სიცოცხლით განისაზღვრებოდა (მათი სიებიც არსებობდა). დაასაფლავებიეს ახლობლებს ჩუმად, ყოველგვარი პანაშვიდების გარეშე, ახლობლებს ნება დართეს მხოლოდ სასაფლაოზე მისვლისა და ისიც მხოლოდ ახლო ნათესავებს _ დედ-მამას, ძმას, დას... ამაზე მეტი სისასტიკე რა უნდა იყოს?!

მივუბრუნდეთ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას «გორგასლიანებს». მათი ოპერატიული დამუშავების საქმე 5-6 ტომს შეიცავდა, განსხვავებით საგამომძიებო საქმისა (სულ 2 ტომი), და საერთოდ ამ «საქმეში» გამოსაძიები და დასადგენი არც თუ ისე ბევრი რამ იყო: საბჭოთა კანონმდებლობით ძალიან დიდი «გაჭირვებით» თუ შეიძლებოდა ამ ახალგაზრდების გაერთიანებისათვის «ანტისაბჭოთა ორგანიზაცია» გეწოდებინა, რადგან არ იყო არავითარი «დოკუმენტაცია» ამ ორგანიზაციისა (წესდება, წევრების სია, მათი მოვალეობა, გეგმები ანტისაბჭოთა, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისა). გამოძიება ამტკიცებდა, თითქოს ასეთი «დოკუმენტაცია» საერთოდ არ შეუდგენიათო (ან შეიძლება მოასწრეს მისი ლიკვიდაცია). მაშინ კანონმდებლობით ასეთი ქმედება გამოვლენილა ე.წ. «დანაშაულის მზადების პეროდში», რაც მაშინდელი კანონმდებლობით არ უნდა ყოფილიყო სასამართლოს მსჯელობის საგანი. მაგრამ ერთი «ლამაზი პროფილაქტიკური სასამართლოს შოუს» ჩასატარებლად საკმარისი იყო, რომელიც ჩაატარეს კიდეც. გამოიჩინეს «ჰუმანიზმი» და «პატიმრები» გაანთავისუფლეს. ოპერატიული საკითხის ასე გადაწყვეტით კი კმაყოფილები დარჩენილან უშიშროების ოპერატიული და საგამოძიებო განყოფილების მუშაკები. მთელი პატიმრობის, გამოკითხვების, დაკითხვების პროცესში პატიმრებს შორის აღვივებდნენ შურს, უნერგავდნენ ეჭვებს «ორგანიზაციაში» მსტოვრის არსებობის შესახებ... ეს ხდებოდა მიზანდასახულად, გათვლილად და შედეგიც გამოიღო: განთავისუფლების შემდეგ ორგანიზაციის წევრები განუდგნენ ერთმანეთს, დაკარგეს კონტაქტი, ზოგიერთი მათგანი ათეული წლების განმავლობაში არ შეხვედრიან ერთმანეთს, გარდა ზ.გამსახურდიასი და მ.კოსტავასი, რომლებმაც 1976 წელს განაახლეს ანტისაბჭოთა ქმედება (გაიხსენეთ არალეგალური ჟურნალების გამოშვება, «ივერია», «ჩვენი დროშა» და სხვა). ხოლო ცხონებული ვოვა სიხარულიძე იმდენად ლაღი, უმწიკვლო პიროვნება გახლდათ და იმდენად დაჯერებული თავის კეთილსინდისიერებაში, არავისთან კონტაქტი არ შეუწყვეტია...

ერთი რამ უნდა გნავაცხადო მთელი პასუხისმგებლობით: წავიკითხე და გავაანალიზე მთელი ეს «მასალა» და შემიძლია ღმერთის წინაშე დავიფიცო:

არავითარი მსტოვარი ჯგუფში არ არსებობდა, ისინი დაადგინეს, როგორც 1956 წლის აქიტური მონაწილენი, შემდეგ, რომ იტყვიან, დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. გამოცდილმა და გამობრძმედილმა უფროსი თაობის ოპერატიულმა მუშაკებმა და გამომძიებლებმა საქმე ისე პროვოკაციულად წარმართეს, რომ მიაღწიეს სახელმწიფოსთვის და უშიშროებისათვის სასარგებლო შედეგს, დათესეს მათ შორის ეჭვისა და გამცემლობის სინდრომი და გარკვეული ხნით დააშორეს ერთმანეთს განუყრელი ძმადნაფიცები.

ამავე დროს საბჭოთა რეჟიმს არაფერმა შეუშალა ხელი იმავე 1958-1959 წლებში სასტიკად დაესაჯა თბილისის პიონერთა სასახლეში არსებული რუსული ლიტერატურის წრის წევრები და მათი პედაგოგი, რომლებიც «მხილებული» იყვნენ ანტისაბჭოთა ლექსების შეთხზვაში და მათ საჯარო კითხვაში. ისინი, მათ პედაგოგთან ერთად, ქალბატონ რუსუდან ჩირაძესთან ერთად დააპატიმრეს, არავითარი შეწყალება მათ მიმართ არ გამოუჩენიათ. ორი თუ სამი 16-17 წლის მართლაც გულუბრყვილო ახალგაზრდას სამი-ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო მათ პედაგოგს (არ დაგავიწყდეთ, რუსული ენის ლიტერატურის წრის ხელმძღვანელს) _ სრული ათი წელი. და დაახლოებით 1967 წელს გაანთავისუფლეს. პატიმრობამისჯილი ახალგაზრდები (მათ შორის ორი ებრაული ეთნოსის წარმომად-გენლები იყვნენ), როგორც ვიცი, 1970 წლის დასაწყისში ემიგრაციაში წავიდნენ ქართველი ებრაელების პირველ ნაკადთან ერთად. მათმა პედაგოგმა კი ერთხელ კიდევ მიიპყრო უშიშროების კომიტეტის ყურადღება. დაახლოებით 70-ანი წლების ბოლოს გამომიძახა კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და დამავალა, მომეძებნა და შევხვედროდი ქალბატონ რ. ჩირაძეს. უშიშროების კომიტეტში არსებული ოპერატიული (წაიკითხე, აგენტურული) შეტყობინებით ქალბატონმა რუსუდანმა თითქოსდა დაწერა ანტისაბჭოთა შინაარსის რომანი. საჭირო იყო იმის დადგენა, თუ რა რომანი დაწერა ამ ქალბატონმა და რამდენად ანტისაბჭოთა შინაარსისა იყო ის. რამდენიმე თვის ოპერატიული შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა სურათი, რომ ქალბატონმა უკვე დაწერა რომანი და ახლა თავად ბეჭდავდა საბეჭდ მანქანაზე....გადავწყვიტეთ გავსულიყავით პირად კონტაქტზე ამ ქალბატონთან, რათა გავცნობოდით მის ნაწარმოებს. გამოირკვა, რომ რომანის შინაარსი არავითარ საგანგაშოს ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენდა. ღმერთო ჩემო, არასოდეს (ყოველ შემთხვევაში მაშინ, 70-ანი წლების ბოლოს) შემხვედრია სულიერად ასე დავრდომილი და ფიზიკურად ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა (40 წელს არ მიღწეული) ქალბატონი. ეცვა ძალიან სადად და ღარიბად, ცხოვრობდა დედასთან ერთად დიღომში, ერთოთახიან ბინაში. სახლში ისეთი სიდუხჭირე იყო გამეფებული, რომ ავადსახსენებელი ომის შემდეგი წლები გამახსენდა. თვალებზე სათვალეები ეკეთა და ძალიან დიდი მოკრძალებით ლაპარაკობდა _ ჩუმად, თითქოსდა სულ შეშინებული. ექიმი არა ვარ, მაგრამ გარკვეულ წილად სულიერად ავადმყოფის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ძალიან მოდუნებული, ჩამქრალი ავადმყოფისა, არავითარი აგრესია მასში არ იგრძნობოდა. აუჩქარებელი საუბრის შემდეგ დამთანხმდა, რომ გადმოეცა თავისი ნაწარმოების ერთი ეგზემპლარი გასაცნობად. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოსდა თავის ერთადერთ შვილს, თავის საყვარელ პირმშოს მაბარებდა მძევლად. თითქმის ერთი კვირა მოვუნდი ნაწარმოების წაკითხვას, თითქმის ყოველდღე ვურეკავდი და ვამშვიდებდი, რომ ყველაფერი წესრიგშია, რომანი ჩემთანაა და ა.შ. როგორც იყო, ალბათ ერთ კვირაში, წავიკითხე რომანი, დაახლოებით 350-450 გვერდი. მართალი გითხრათ, პირველად ვერაფერი გავუგე... ეს იყო რაღაც ფანტასმაგორია, მოქმედი გმირები ჩვენს სამყაროს

არ ეკუთვნოდნენ, სადღაც კოსმოსში ცხოვრობდნენ, უცხო პლანეტელები იყვნენ. მათი ქმედებები ადამიანური გაგების აზრს არ ექვემდებარებოდნენ. პირველი, რაც გავაკეთე, დავუბრუნე ავტორს რომანი. შემდეგ ავტორს დავუსვი რამდენიმე შეკითხვა და ჩვენს შორის გაიმართა საკმაოდ საინტერესო (ყოველშემთხვევაში ჩემთვის) საუბარი. რომანის გარჩევისას ავტორი გამოცოცხლდა, ვერ იცნობდით, ისეთი აქტიური გახდა. მე კი გაორებული გრძნობა მეუფლებოდა. საუბარში თანდათან ვხვდებოდი, თუ რა ნიჭიერი, ერუდირებული, ყოველმხრივ განათლებული ადამიანი იდგა ჩემს წინაშე. ვიცოდი რა მისი წარსული, ძნელად მისახვედრი არ იყო, თუ რამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე. ის კონტაქტი რომ არ ყოფილიყო უშიშროებასთან, ალბათ მისი ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდა...

როგორც მოგახსენეთ, მისი რომანი არავითარ საშიშროებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ შეიცავდა. და ჩემმა დასკვნამ ამის შესახებ დაამშვიდა როგორც ადგილობრივი უშიშროების, ისე ცენტრალური უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა.

საინტერესოა, სად არის ახლა ეს ქალბატონი (თუ საერთოდ ცოცხალია), ანდა _ ჩემს გადა არავინ იცის მისი ანტიკომუნისტური წარსული? მისი ყოფილი მოწაფეები ხომ მაინც იქნებიან ცოცხლები. რატომ არავინ აიმაღლა ხმა და არ გვიამბო ამ ადამიანის შესახებ. ვაკუუმში ხომ არ ცხოვრობდა ქალბატონი რუსუდანი? თანაკლასელები არ დარჩა ან თანაკურსელები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტიდან, რომლის მეოთხე კურსიდანაც გარიცხეს იგი? შეიძლება ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ვიღაცამ მაინც გაიხსენოს, დაწეროს, მოგვითხროს ამ ღირსშესანიშნავი ქალბატონის შესახებ... დარწმუნებული ვარ, თუ ქალბატონი რუსუდანი ცოცხალია, თვითონ ხმას არ ამოიღებს თავისი გმირული წარსულის შესახებ.

ახლა სხვები იჩემებენ და იგონებენ თავიანთ დიდ დამსახურებას ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ვისაც სინიავსკი, დანიელი, სოლჟენიცინი და სხვები აქვს წაკითხული, ყველას თავი ნაციონალურ გმირად მიაჩნია და, სხვათა შორის, იმათაც _ ვინც ანგარებისა და პირადი ამბიციების მიზნით საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, იქ «იგულავა», და ახლა ჩამოდის და ტრიბუნაზე უსირცხვილოდ ყვება თავის ანტიკომუნისტურ წარსულზე.

ამ სოლჟენიცინზე და სინიავსკიზე კიდევ რამდენიმე ეპიზოდი გამახსენდა, თუ როგორ ცდილობდნენ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავისი წვლილის გაზვიადებას _ შემთხვევითი პიროვნებები. 90-ანი წლების დასაწყისია. საქართველო უკვე «დამოუკიდებელი» სახელმწიფოა. თბილისში საბურთალოს ბაზარში აღმოვჩნდი ვაჟიშვილთან ერთად. პროდუქტებს ვყიდულობთ. ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო, გამიცინა, მთხოვა რამდენიმე წუთი დამეთმო მისთვის სასაუბროდ. განვცალკევდით და ყურადღებით ვუსმენ: «ბატონო ჯემალ, ხომ გახსოვართ, მე ამა და ამ ინსტიტუტის დოცენტი გახლავართ, ვმუშაობ ამა და ამ კათედრაზე, დაახლოებით 1973 წელს გავიცანით ერთმანეთი. მე «ნებაყოფლობით» გადმოგეცით რამდენიმე არალეგალური გამოცემის _ «სამიზდატის» წიგნები. ხომ გახსოვთ, და თუ გახსოვთ, უმორჩილესად გთხოვთ, დაწეროთ ამის შესახებ პრესაში, რათა საზოგადოებამ გაიგოს ჩემი დამსახურება ეროვნულ მოძრაობაში». მართალი გითხრათ, სახტად დავრჩი, ერთი კი ვუთხარი, რომ ასეთი წიგნების კითხვას ეროვნულ მოძრაობასთან არავითარი კავშირი არა აქვს-მეთქი, მაგრამ შევატყვე, ჩემმა რეპლიკამ არავითარი რეაქცია არ გამოიწვია მის სახეზე. მაშინ კი ვუპასუხე დაახლოებით შემდეგი: «სწორი ბრძანდებით, კარგად მახსოვს, რომ გასაუბრების

შემდეგ ჩამოგართვით ანტისაბჭოთა ლიტერატურა, მაგრამ ისიც მახსოვს, თუ როგორ გვეხვეწებოდით _ არ დაგვეღუპეთ, არ დაგვენგრია თქვენთვის კარიერა. მაშინ, როგორც მახსოვს, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი ბრძანდებოდით, ემზადებოდით დისერტაციის დასაცავად, წინ «შესანიშნავი» პარტიული თუ სახელმწიფო მოხელის კარიერა გესახებოდათ. ამიტომაც, როგორც მუსულმანებმა იციან შახსეი-ვახსეის რიტუალის დროს თვითგვემა, ისე გვთხოვდით გვეპატიებინა თქვენი ეს შეცდომა. ჩვენც დაგითმეთ. ამის შესახებ, როგორც მახსოვს, მხოლოდ თქვენს ახლო ნათესავს, კათედრის გამგეს ვუთხარით და ამით შემოვიფარგლეთ ამ ინციდენტის გარშემო,... და თუ ეს ასეა, მე დავწერ ყველაფერს, რასაც მთხოვთ, მაგრამ ნახევარ გზაზე ხომ ვერ შევჩერდები? თუ დაწერაა, დავწერ ბოლომდე-მეთქი». ცივად მომაჩერდა, არ იცოდა თვალები სად წაეღო და ასევე ცივად და უჩუმრად გამშორდა.

ასეთი ეპიზოდიც მახოვს: ერთი ახალგაზრდა (მაშინ ახალგაზრდად ითვლებოდა 40-45 წლის დოქტორი, პროფესორი) მეცნიერი საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებაში წასასვლელად ემზადებოდა. ეს კი იმ წლებში (70-ანი წლების შუალედში) დიდ პრივილეგიად ითვლებოდა და გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებასთან იყო დაკავშირებული. საბჭოეთიდან ამგვარ მივლინებებში გამგზავრება ერთეულებს თუ შეეძლოთ და ისიც _ თუ თბილისში ან მოსკოვში «ჩააწყობდი». მივლინებაში წამსვლელი კანდიდატი უშიშროების ორგანოების მიერ ყურადღებით მოწმდებოდა და, რაც მთავარია, მოწმდებოდა მისი ლოიალობა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. მაშინ ამას პატრიოტიზმი ერქვა, მითუმეტეს _ თუ კანდიდატი ოჯახთან ერთად მიდიოდა სამუშაოდ. აი, ეს პიროვნებაც «მოწმდებოდა» და ამ დროს სემინარზე სტუდენტების თანდასწრებით (მანამ ისინი ლაბორატორიული მეცადინეობით იყვნენ გართულნი), ამოიღო და წაიკითხა არალეგალური ანტისაბჭოთა «სამიზდატის» გამოცემა. ახლა წარმოიდგინეთ, რა «კარგად» მუშაობდა სტუდენტებში უშიშროების მსტოვართა (აგენტთა) ჯგუფი. არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ამ ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა უშიშროების ორგანოებში. ცოტაოდენი ოპერატიული დამუშავების შემდეგ ცნობილი გახდა ისიც, რომ ეს პიროვნება სრულებითაც არ არის ანტისაბჭოთად განწყობილი, არის კომუნისტური პარტიის წევრი, ფაკულტეტის პარტიული ბიუროს წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ინსტიტუტისა და ფაკულტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველმხრივი განათლება აქვს მიღებული (გარდა ტექნიკურისა), აგრეთვე დიდი ერუდიტია, იცის რამდენიმე ენა, დამთავრებული აქვს აგრეთვე ერთ-ერთი ჰუმანიტარული ინსტიტუტი, ღირსეული ქართველი ინტელიგენტების ოჯახიდანაა, მამა 1937 წელის რეპრესიებმა შეიწირეს.

გასაუბრების დროს არაფრით არ აღიარა ის ფაქტი, რომ ასეთ წიგნებთან ჰქონდა შეხება, საერთოდ თავი შორს დაიჭირა და არავითარი სურვილი არ გამოთქვა «ეღიარებინა» თვით ის ფაქტი მაინც, რომ ასეთი წიგნები წაიკითხა... საუბარი დიდხანს გაგვიგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. შევთავაზე შემდეგი კომპრომისი _ უბრალოდ უშიშროების ხელმძღვანელის სახელზე დაეწერა განცხადება, რომ უყვარს ლიტერატურა, უყვარს კითხვა, მითუმეტეს _ საინტერესო უცნობი ლიტერატურისა და ა.შ. დაეწერა, რომ ის წიგნი ინსტიტუტში იპოვა, შემდეგ წაიკითხა და დახია. საერთოდ დაეწერა ასეთი ზღაპრები, ვინაიდან არ გვინდოდა ხელი შეგვეშალა მისი მივლინებისათვის. ასეთი «ზღაპარი-განცხადება» ჩვენთვის საკმარისი იქნებოდა, რომ რეკომენდაცია გაგვეწია. მაგრამ არამც და არამც, არავითარ კომპრომისზე არ წამოვიდა... რა გვექნა, ფაქტი ისეთი უცილობელი იყო, რომ რეკომენდაციისაგან თავი

შევიკავეთ (საერთოდ, არაგულწრფელობა ყველაზე დიდი მაკომპრომირებელი საბუთი გახლდათ. იმდენად არ სჯეროდა მას უშიშროების გულწრფელობისა მამის დახვრეტის შემდეგ, რომ არავითარ კომპრომისზე არ წამოვიდა).

გავიდა დაახლოებით წელიწადნახევარი, ამ კაცმა მომნახა, გამესაუბრა, ამიხსნა თუ რატომ იჯიუტა და არ «აღიარა» ის ფაქტი, რომ ანტისაბჭოთა ლიტერატურა წაიკითხა. მეც ზეპირად მოვისმინე მისი მონაყოლი, მთხოვა დახმარება აღმომეჩინა, რადგან კვლავ გამოჩნდა შესაძლებლობა ხანგრძლივ მივლინებაში გამგზავრებისა... მართლაც, დაახლოებით ერთ წელიწადში გაემგზავრა ოჯახთან ერთად სამუშაოდ საზღვარგარეთ.

შემდეგ ჩვენი გზები რამდენიმე წლით გაიყარა. დაახლოებით 90-ანი წლების დასაწყისში შემთხვევით შევხვდი თბილისში. თვალი ამარიდა, არ მომესალმა. მართალი გითხრათ, მეწყინა, მაგრამ კაცია და გუნება! არ უნდა, არ ახსოვს სიკეთე. ესეც მის სინდისზე იყოს-მეთქი. გავიდა დაახლოებით ორი წელიწადი და მომნახა, დამირეკა, მთხოვა შევხვედროდი. შევხვდი. მისი თხოვნა დაახლოებით შემდეგში მდგომარეობდა: «ბატონო ჯემალ, იხილება ჩემი კანდიდატურა ამა და ამ მინისტრის თანამდებობაზე. პრემიერი თანახმაა, ახლა პრეზიდენტს უნდა მოახსენონ. გთხოვთ, ხომ გახსოვთ ჩემი ანტისაბჭოთა წარსული(?!)» დაწერეთ ამის შესახებ, დაწერეთ, რომ ჩემი ანტისაბჭოთა ქმედების გამო საზღვარგარეთ ვერ გავემგზავრე სამუშაოდ, მე კი სასწრაფოდ დავაბეჭდინებ ამას და ა.შ.».

ძნელი იყო ჩემთვის ამ სიტყვების მოსმენა ამ «ანტისაბჭოთა», «ანტიკომუნისტური» ელემენტისაგან. შევპირდი დავწერ, მაგრამ თავიდან ბოლომდე უნდა დავწერო, მთლიანობაში თუ არ დავწერე, ისე არ გამომივა-მეთქი. ცივად გამშორდა. შემდეგ ორი თუ სამი წელი მინისტრობდა, ტელევიზორში გამოსვლების დროს მენტორული ტონით მოძღვრავდა ხალხს, ასწავლიდა ეროვნულ პატრიოტიზმს...

ალბათ ამ ეპიზოდის მოყოლა არცა ღირდა, მაგრამ ვიფიქრე და გადავწყვიტე გამეხსენებინა, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი საკმაოდ სრულად თუ არა, მაინც ასახავს 70-ანი წლების დასაწყისის საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში არსებულ სინამდვილეს, კერძოდ _ ანტისაბჭოთა გამოვლინებების დახასიათების თვალსაზრისით. იწყებოდა ერა, რომელიც შემდეგში ისტორიკოსებმა Застой-დ მონათლეს. სახელმწიფოს ჯერ კიდევ ენერგიული ბრეჟნევი ხელმძღვანელობს, საქართველოს კი _ ქალბატონი («ხაზეიკა») და ხანდახან _ მისი მეუღლე ვ. მჟავანაძე. მინისტრები ინიშნებიან წყნეთის «დაჩაზე», იმის მიხედვით, თუ რა სიმპატიებს იმსახურებენ «ხაზეიკას» თვალში. ქვეყანა გამუდმებულ ქეიფებშია ჩართული, რესტორნებში მაგიდას ვერ დაიკავებ, თუ «ბლატი» არა გაქვს ან გარკვეულ ავტორიტეტს არ წარმოადგენ. შინაგან საქმეთა ახალგაზრდა მინისტრმა გარკვეული პიარკამპანიები ჩაატარა: რამდენიმე ჩრდილოვანი მეწარმე დააპატიმრა, მათ შორის არიან ძმები ლაზიშვილები, რომლებიც აქამდე დაუსჯელად აფართოებდნენ თავიანთ «წარმოებას» და გარკვეულ წილად მაშინდელ მილიონერებად ითვლებოდნენ. ისინი იმდენად «გათავხედდნენ», რომ მათი «რეკომენდაციით» ჯერ კომკავშირული მუშაკი (ცკ-ს პირველი მდივანი), შემდეგ პარტიული მუშაკი, შემდეგ რამდენიმე თვით უმუშევარი ე. შევარდნაძე ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, შემდეგ _ რამდენიმე თვეში _ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს: «ჩვენ გვინდა შენ მილიციონერის ფორმა გეცვას და პარადის აღლუმზე რომ გამოვალთ, «ჩესტი» აგვიღოო», _ დაახლოებით ასე შეუთვალეს ძმებმა ე. შევარდნაძეს... ძვირად დაუჯდათ ლაზიშვილებს ეს «გაშაყირება». თანდათან რკინის მარწუხში მოიმწყვდია მინისტრმა ისინი, გარშემო ხალხი შემოაცალა, შემდეგ

დააპატიმრა, ხოლო ახლა მათი სახელი მხოლოდ ძველი თბილისის მოქალაქეებს თუ ახსოვს. ყოველივე ამან კი (ლაზიშვილების დაპატიმრებამ) დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ახალგაზრდა მინისტრს... ყველამ იცოდა, რომ ე.წ. ჩრდილოვან «теневик» მეწარმეებს დიდი მფარველები ჰყავდათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იცოდნენ, რომ მჟავანაძეების ოჯახშიც დიდი მფარველობით სარგებლობდნენ ისინი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არამარტო ძმები დააპატიმრეს, არამედ რამდენიმე საკმაოდ ავტორიტეტიანი «теневик»-იც მიაყოლეს მათ. ამას გარკვეულ წილად მოჰყვა ზოგიერთი პარტიული მუშაკის განთავისუფლებაც. ეს კი ძლიერ უკვირდა ხალხს, ბევრს ვერ გაეგო, თუ ვინ იყო რესპუბლიკის ნამდვილი «ხაზეინი». არსებული წონასწორობა დაირღვა, ვ. მჟავანაძის და მისი მემკვიდრის როინ მეტრეველის სავარძლები შეირყა. ყოველივე ეს გარკვეულ მითქმა-მოთქმას იწვევდა საზოგადოებაში. ხელისუფლებაში არსებული განხეთქილება რეალურად იქცა, სასიკვდილო ბრძოლაში ჩაებნენ კლანები (დაჯგუფებები), ვინ ვის აჯობებს, ვის უფრო დიდი გავლენა აქვს მოსკოვში? ვინ გაიმარჯვებს? 1972 წლის ზაფხულია, რესპუბლიკის პირველ პირს 70 წელი შეუსრულდა, გამოქვეყნდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მილოცვა ვ. მჟავანაძისადმი... მაგრამ, როგორც ეს წესად იყო მაშინ მიღებული, რესპუბლიკის პირველი პირი შრომის გმირის ორდენით კი არ დააჯილდოვეს, არამედ ლენინის ორდენით. ეს კი უკვე ცუდი მინიშნება გახლდათ... მჟავანაძე და მისი მეუღლე სპეცმატარებლით, (უფრო სწორად სპეცვაგონით, საჩუქრებით დატვირთულნი, მოსკოვს გაემგზავრნენ), მაგრამ ორ კვირაში საკმაოდ ცუდ ხასიათზე დაბრუნდნენ უკან. შემდეგ მოხდა რამდენიმე პარტიული კადრის შეცვლა-გადაადგილება. ე. შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან, თბილისის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად გადაიყვანეს (ბოდიშს ვიხდი, _ «აირჩიეს»). გინდა არ გინდა, ეს პოსტი პარტიულ იერარქიაში (საქართველოში) ნომერ მეორე პოსტად ითვლებოდა. დაიწყო სენსაციის მოყვარულთათვის საინტერესო ხანა. ყოველდღე ახალი, ცოცხალ-ცოხცალი ამბები ხდებოდა და ქალაქიც აივსო ჭორებითა და სხვადასხვა ვერსიებით. ამ დროს, ყუმბარის აფეთქებასავით გაისმა გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენრტალურმა კომიტეტმა «მიიღო გადაწყვეტილება, რათა შეემოწმებინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია», თითქოს მოვიდა იმის სიგნალები, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიული წესდების, ეთიკის ნორმებისა და დისციპლინის დარღვევებს და ა.შ. საინტერესოა არა? ჯერ არც შეუმოწმებიათ და უკვე იციან! ნუ გაგიკვირდებათ. მაშინ ასეთი იყო ლოგიკა და ასეთი ცხოვრების წესით ცხოვრობდა საზოგადოება. ნათელი იყო, ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ორ კლანს შორის გადამწყვეტ ფაზას მიაღწია, ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მოსალოდნელ შედეგს. ეს უკვე შემდეგში გაირკვა, რომ ე. შევარდნაძის მოწინააღმდეგეები დიდი ხანია უკვე «გაყიდულები» იყვნენ. სწორედ მაშინ იყო, ცკ-ს გავლენიანმა მდივანმა შოთა ჭანუყვაძემ რომ უთხრა კონსპირატიულად ედუარდს: წადი, ძამა, მოსკოვში დღესვე, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნებაო, და ისიც, თითქოსდა ამ საუბრის შემდეგ კონსპირატიულად ჯერ მანქანით სოჭამდე და მერე თვითმფრინავით ჩავიდა მოსკოვში და ერთი ნაბიჯით შეასწრო კაბინეტში (ბრეჟნევის მეგობართან და მეზობელთან), საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა ყოვლისშემძლე მინისტრთან შოლოკოვთან. მას თან ჰქონდა ინდულიგენცია მაშინდელი საქართველოს ზოგიერთი

ავტორიტეტიანი თანამდებობის პირისა, ცკ-ს ბიუროს წევრებისა და, რაც მთავარია, საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისა გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურის, იმ ინაურისა, რომელიც მჟავანაძემ ჩამოიყვანა და რომელთა «მეგობრობაზე» მაშინ ლეგენდები დადიოდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში სულ ერთად იყვნენ, ერთად თევზაობდნენ და ერთად ნადირობდნენ... ფაქტია ისიც, რომ 1971 წელს რესტორან «არაგვში» გამართულ სახელმწიფო ბანკეტზე, რომელიც საქარველოს გასაბჭოების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ეძღვნებოდა და რომელსაც საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყველა პოლიტბიუროს წევრი და კანდიდატი ესწრებოდა, _ თამადამ, თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, მეგობრობის სადღეგრძელო დალია ყანწით და მეგობრობის განსაკუთრებულ ნიმუშად მოიყვანა არა რომელიმე მითიური ლეგენდების გმირების მაგალითი, არამედ ვასილ მჟავანაძისა და ალექსი ინაურის მეგობრობა, რომელიც არნახული, მისთვის ჩვეული ბრძნული ეპითეტებით შეამკო და ალავერდს გადავიდა ამხანაგ ბრეჟნევთან. მაშინ ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე «დონჟუანმა», სასმელით შეზარხოშებულმა ლეონიდ ბრეჟნევმა გაცილებით მეტი დრო დაუთმო (თითქმის 15 წუთი, სამჯერ მეტი, ვიდრე თამადამ), ამ სადღეგრძელოს. არანაკლები «სიყვარულით» მოიხსენია «მეგობრები», შეუქო მათ გამბედაობა, რისკის გრძნობა და შეუპოვრობა, სიმამაცე და ა.შ. იმდენადEშეტოპა, რომ მგონი ცრემლებიც მოერია თვალებზე. განსაკუთრებით შეუქო სიმამაცე და გამბედაობა ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში:…ალბათ გაიხსენა მათი საერთო ღვაწლი მის გამეფებაში და აფხაზეთიდან (ბიჭვინთიდან) ხრუშჩოვის «ეტაპირებაში», რისთვისაც ვ. მჟავანაძემ შრომის გმირის წოდება მიიღო, ხოლო ალ. ინაურმა _ სამხრეებზე მესამე დიდი ვარსკვლავი. ყოველივე ეს პირადად ვიხილე ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელიც სხვა კოლეგებთან ერთად, ამ ბანკეტის უშიშროებას ვუზრუნველვყოფდი. იმ საღამოს ერთი კურიოზული შემთხვევაც მოხდა, მანამ სტუმრები იკრიბებოდნენ რესტორნის მეორე სართულზე, პატარა ე.წ. ალა-ფურშეტი იყო გაწყობილი, ისმებოდა სასმელები, ჩაი, ყავა და სხვა... ყველა ელოდა დიდი სტუმრისა და მისი ამალის გამოჩენას... მეც მათ შორის ვიყავი, ვისაც დავალებული გვქონდა ამ საზეიმო ბანკეტის უშიშროების უზრუნველყოფა. შინაგან საქმეთა სამინისტრო რესტორნის პერიმეტრს იცავდა, ჩვენ კი შიგნით უზრუნველვყოფდით უშიშროებას. მაშინდელი უშიშროების დაცვის ღონისძიებები ძირეულად განსხვავდებოდნენ დღევანდელისაგან, მაშინ საკმაოდ მცირე რაოდენობის ხალხი იყო საქმეში ჩართული და ერთადერთი იარაღი რითაც აღჭურვილები ვიყავით, «მაკაროვის» სისტემის პისტოლეტი იყო.

და აი, როგორც იყო, გამოჩნდა ლ. ბრეჟნევი. როგორც ვიცოდით, მცხეთაში ჰყავდათ კულტურულ ღონისძიებებზე. ჯერ სვეტიცხოველი და ჯვარი დაუთვალიერებიათ, შემდეგ დიღმის სასწავლო-კვლევით მეურნეობაში ყოფილან, იქ პურ-მარილი გაუშლია მეურნეობის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს ცნობილ თამადას, სოხაძეს. რა თქმა უნდა, ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები საკმაოდEშეზარხოშებულნი იყვნენ. გაჩერდა მანქანები, ჩამოვიდნენ სტუმრები. ყველა ელოდება ბრეჟნევს. როგორც ბავშვები, ისე ეწყობიან, ყველამ იცის იერარქიით, ვის უკან, ვის გვერდით უნდა იდგეს და როგორი თანმიმდევრობით შემოვიდნენ შენობაში. ბრეჟნევი პირველი ნომერია და ისიც შემოვიდა. წამით მიმოიხედა. დარბაზში უკვე შეკრებილი სტუმრები, ძირითადად საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო «აქტივი» გაყუჩდა. ყველა, რა თქმა უნდა, ბრეჟნევს მისჩერებოდა. ხუმრობა ხომ არაა, ამხელა იმპერიის ბელადის ასე ახლოს ხილვა?! ბრეჟნევმა მიიღო

საკმაოდ არაადექვატური გადაწყვეტილება (ალბათ არაყმა და ღვინომ თავისი საქმე გააკეთა) და არამარტო თავის დაქნევით მოგვესალმა იქვე კარებთან მდგარ სამ-ოთხ უშიშროების მუშაკს, არამედ ხელი გამოგვიწოდა და ჩამოგვართვა ისე, რომ სხვებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია... ესაო და, თვით ბრეჟნევი მიესალმაო ამ ახალგაზრდებსო, ყველა მოსკოვის დელეგაციის წევრმა (ე.წ. პოლიტბიუროს წევრებმაც) ხელი გამოგვიწოდა.

დამთავრდა ბანკეტი, წავედი სახლში, ხელებს ვიბან. უკვე შუაღამეა. რა თქმა უნდა, დედას არ ეძინა, ნერვიულობდა, მელოდებოდა. მეც განსაკუთრებით ვიბან ხელს (მხოლოდ მარცხენას). ეს დედას არ გამორჩენია, შეშინდა, რაშია საქმე, მარჯვენას რატომ არ იბან, ხელი იტკინეო, შვილო? მეც ავუხსენი, _ რა ვქნა, სულ რამდენიმე საათია, ამ მარჯვენით თვით ბრეჟნევს, კუნაევს, გრიშინს, რაშიდოვს, ალიევს და სხვებს მივესალმე და ახლა გადავწყვიტე არ დავიბანო, შთამომავლობას შევუნახო ხელუხლებლად ჩემი მარჯვენა-მეთქი... ახლაც მახსოვს დედის ღიმილი, მისი საყვარელი განუმეორებელი ღიმილი და ნათქვამი: ეჰ, შვილო, მეგონა დასერიოზულდი, დაოჯახდი, მაგრამ ვატყობ, რა «ციგანიც» იყავი, ისევ ისეთი დარჩიო. არ ვიცი, რა «ციგანი» თუ ოხუნჯი ვიყავი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ქალაქის ნაცნობებს, სკოლის თუ ინსტიტუტის მეგობრებს, მისალმებისას მარჯვენა ხელს ჩამოსართმევად არ ვუწვდიდი და დიდი ხვეწნის შემდეგ ავუხსენი, თუ რატომ ვაკეთებდი ამას...

ერთიც მახსოვს: «მადლიერი» ქართველი ერი, 1956 წლის მოვლენების შემდეგ, დიდი ენთუზიაზმით და აღტყინებით შეხვდა 1961 წელს საქართველოში ჩამოსულ ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელიც მაშინ საქართველოს გასაბჭოების (40 წელი) საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად და მორიგი წითელი დროშის თუ ორდენის გადმოსაცემად ჩამოვიდა. ჩვენ _ ე.წ. კომკავშირული აქტივი _ თბილისის «ქარიშხალას» სტადიონზე წესრიგის დასაცავად გაგვამწესეს, მთელი სტადიონი (25-30 ათასი) მაყურებლებით გაიჭედა. უმრავლესობა საწარმოებიდან და სასწავლებლებიდან მოიყვანეს სიებით. მოსკოველი სტუმრებისა და ნ. ხრუშჩოვის სტადიონზე მობრძანება 5 საათზე იყო დანიშნული. გაზაფხულის (მაისის) საკმაოდ ცხელი ამინდია, გახდა 5 საათი, 6 საათი, 7 საათი და სტუმრები არსად ჩანან. ხალხს მოსწყინდა უქმად ჯდომა და დაიწყეს გაპარვა სტადიონიდან. ჩემს ბავშვობაში მთელი ჩემი მეცადინეობა იქით იყო მიმართული, თუ როგორ შემოვპარულიყავით სტადიონზე. ახლა კი ხალხის მცდელობა უკუშებრუნდა. მართალი გითხრათ, ასეთი მცდელობა მე არ მქონია, ვინაიდან «ხელისუფლების» წარმომადგენელი ვიყავი და ამას ჩემს თავს «ვერ ვაკადრებდი». გაღიმებული ვათვალიერებდი, თუ როგორი ხრიკებით ცდილობდა ხალხი სტადიონიდან გაპარვას. ზოგს გული მისდიოდა, ზოგი მოზრდილი ძია «ზაბორზე» ძვრებოდა... ერთი სიტყვით, დიდი ჯაფა დაადგა ქალაქის მილიციას. გამოიძახეს ცხენოსანი მილიცია. ქალაქის მილიციის უფროსი გენერალი შელია «გაცოფებული» დარბოდა სტადიონის ირგვლივ. სად ყვირილით, სად მუქარით, სად დაყვავებით ცდილობდა ხალხის შეჩერებას. აგინებდა ქებულ ქართულ სტუმარმასპინძლობას, ცდილობდა «ნამუსზე» შეეგდო ხალხი, მაგრამ ვინ უჯერებდა?! განსაკუთრებულად მებრალებოდნენ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიული ბიუროს თუ პროფკავშირის ბოსები, რომლებიც ენაგადმოგდებულები დასდევდნენ თავიანთ სამწყსოს. ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და, როგორც იყო, ეს «ცირკიც» დამთავრდა. მაგრამ ერთი ეპიზოდიც ახლდა ყველაფერ ამას, რომელიც ალბათ ხალხის ქმედებებზე არ იყო დამოკიდებული. ეს რაღაც ბუნების მინიშნება, ზებუნებრივი ძალების ზეგავლენა

გახლდათ. თვითონ რომ არ ვყოფილიყავი იქ და ჩემი თვალით არ მენახა, შეიძლება ძნელად დამეჯერებინა ის, რაც სტადიონზე მოხდა. ჩვენ აღმოსავლეთის ტრიბუნაზე გახლდით, მთავრობის ტრიბუნასთან ახლოს. მთავრობის ლოჟა, რომელიც დასავლეთის ტრიბუნაზეა განლაგებული, რა თქმა უნდა, პირდაპირ შეჰყურებს აღმოსავლეთის ტრიბუნას. ამ პასუხსაგები ღონისძიების ორგანიზატორებს აღმოსავლეთის ტრიბუნის შუაგულში დაემაგრებიათ ქვეყნის ბელადის, როგორც მაშინ საბჭოთა პროპაგანდა გვაუწყებდა, «ჩვენი საყვარელი ნიკიტა ხრუშჩოვის» დიდი პორტრეტი (ერთი შეხედვით, ალბათ 10 მეტრი სიმაღლისა და 5 მეტრი სიგანის), რომლისთვისაც სამთავრობო ლოჟიდან ნ. ხრუშჩოვსა და მის ამალას პირდაპირ უნდა შეეხედა. დაახოებით 5 საათი და 45 წუთი იქნებოდა. საკმაოდ მოიღრუბლა, თითქოსდა ბინდმა მოიცვა არემარე. ჯერ პატარა ქარი ამოვარდა, შემდეგ ქარი გაძლიერდა თითქმის გრიგალში გადაიზარდა. ბელადის დიდმა სურათმა რაღაც გაუთვალისწინებელი ამპლიტუდით ქანაობა დაიწყო, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გარკვეული პანიკა შეიქნა, ხალხი ფეხზე წამოიშალა, არავის ჰქონდა სურვილი, რომ ნიკიტას სურათი თავზე დამხობოდა. ასე დაახლოებით რამდენიმე წუთს გაგრძელდა, შემდეგ პორტრეტი რაღაც ძალამ კი არ ჩამოაგდო, არამედ შუაში გადატეხა, მერე ამ ორად გახლეჩილმა ჩარჩომ დაიწყო «საშინელი» ამპლიტუდით მოძრაობა, ვერ გაიგებდი საით გადავარდებოდა. ერთმა დიდმა ქარმაც დაუბერა და ჩვენი «საყვარელი» ნიკიტას სურათი სტადიონის უკანა ეზოში გადაისროლა. მას მიჰყვა პორტრეტის მარცხნივ და მარჯვნივ განლაგებული საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს წითელი დროშები და მათი გერბები. ეს კი მეტისმეტი იყო. აი, ამას კი არავინ ელოდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, რამდენიმე წუთში ყველაფერი დაწყნარდა და მზემ გამოიხედა... სტადიონის მუშაკები და პარტიული აქტივი დიდი რისკის საფასურად აძვრა ტრიბუნის საკმაო ვიწრო სახურავზე და სტიქიისგან მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია მოახდინა. ერთი კი გულდასაწყვეტი იყო, დარჩენილ მოკლე დროში ვერაფრით თავის ადგილზე ვერ დააბრუნებდნენ უკვე ტალახში გადაგდებულ ჩვენ «საყვარელ» ნიკიტას პორტრეტს. აი, ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი იმ მზიან ზაფხულის დღეს თბილისის «ქარიშხალას» სტადიონზე; მე ეს ყოველივე ჩემი თვალით ვნახე და ყურით მოვისმინე. როგორც ადრე მოგახსენეთ, იმ დღეს სტადიონზე დაახლოებით 25 ათასი მაყურებელი გახლდათ და ამიტომაც მოწმეები საკმაოდ მყავს. თუკი ამ ეპიზოდს რომელიმე მათგანი უფრო დეტალურად აღადგენს და გადმოგვცემს, მე პირადად სიამოვნებით მოვუსმენ და სიამოვნებით წავიკითხავ მათ მონათხრობს.

ერთი სიტყვით, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, დაახლოებით 7 საათსა და 30 წუთზე სტადიონს ეწვია ნიკიტა ხრუშჩოვი თავის თანმხლებ პირებთან ერთად, ე.ი. ორსაათნახევრით დაიგვიანა.

მთავრობის ლოჟიდან დაახლოებით 25-30 მეტრში ვიდექი, ვიხილე, თუ როგორ შემოვიდნენ სტუმრები ლოჟაში, დავინახე «საყვარელი» ნიკიტა. ერთს კი იმ წუთშივე მივხვდი, საკმაოდ ნასვამი იყო. სკამზე არ დამჯდარა, ხან ვის, ხან ვის ელაპარაკებოდა. შემდეგ მივიდა მოაჯირთან და ხალხს მიესალმა. ო, რა ოვაციები გაისმა: «ნიკატა ხრუშჩოვს ვაშა!», «ნიკიტა ხრუშჩოვს დიდება!», «კომუნისტურ პარტიას დიდება!» და ა.შ. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს ყველაფერი ადრე დაწერილი სცენარით იყო გათვალისწინებული, ე.ი. «ჩაწყობილი» იყო. მისი ღაჟღაჟა ლოყები კმაყოფილებას გამოხატავდნენ, რაღაცას ლუღლუღებდა, ხელებს უქნევდა ხალხს, მარჯვნივ და მარცხნივ ვიღაც მხარბეჭიანი ახალგაზრდები ედგნენ, ხანდახან ისეთ საშიშ მოძრაობებს აკეთებდა, ეს ახალგაზრდები რომ არა, ზღართანს მოადენდა

ალბათ. ჯერ ვ. მჟავანაძე გამოვიდა, წაიკითხა ე.წ. «რეჩი», შემდეგ სიტყვა ნიკიტას მისცეს. არავითარი «შპარგალკა». რამდენიმე წუთი ილაპარაკა, ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი, ხალხმა რა გაიგო მისი სიტყვიდან, მე კი, მართალი გითხრათ, ვერაფერი გავიგე. შემდეგ სტადიონზე დაიწყო სპორტული აღლუმი, შემდეგ კონცერტი. დაახლოებით 15-20 წუთში მთავრობის ლოჟა დაიცალა და ჩვენი «საყვარელი» სტუმარი წაიყვანეს, ალბათ შემდეგ ქეიფზე. სტუმრებს შორის დამამახსოვრდა ახალგაზრდა ბრეჟნევი, რომელიც გვერდიდან არ შორდებოდა ბელადს და მისი სიძე აჯუბეი, რომლის დახმარებითაც ძირითადად გადაადგილდებოდა ბელადი. შემდეგ დამატებით იმ დღის რამდენიმე ეპიზოდი შევიტყვე ჩემი უფროსი კოლეგებისაგან, რომლებიც ნ. ხრუშჩოვის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

მათი მონაყოლი კი ასეთი იყო: დაახლოებით 2 საათზე გავემგზავრეთ რეზიდენციიდან. ვისაუზმეთ მთაწმინდის რესტორანში, იქ საკმაო სასმელი მიირთვეს სტუმრებმა. მთაწმინდაზე დღისით იმიტომ ავიყვანეთ, რომ მეორე დღეს იქ უნდა გადაეხადათ სამთავრობო საზეიმო ბანკეტი და სტუმრები სათანადოდ შეაფასებდნენ საღამოს და დღის თბილისს მთაწმინდის გადმოსახედიდანო. შემდეგ 3 საათზე გავემგზავრეთ მცხეთაში. შევირბინეთ სვეტიცხოველში, ავირბინეთ ჯვარზე და დაბრუნებისას ვეწვიეთ გულუხვ მასპინძელს, ვასილ მჟავანაძის მეგობარს, სოციალისტურ შრომის გმირს, დიღმის სასწავლო-კვლევითი მეურნეობის დირექტორს ამხანაგ სოხაძეს და მის მეურნეობას. ვითომ დავათვალიერეთ მეურნეობა.

შემდეგ მეურნეობის გამგეობის საბანკეტო დარბაზში (მარანში) შევიკრიბეთ და გაიმართა ქეიფი. რა თქმა უნდა, თამადად დირექტორი სოხაძე იყო (კოლეგის განმარტებით _ ალბათ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო თამადა). როგორც შევატყვეთ, ხრუშჩოვს ძალიან მოეწონა, როგორც პურ-მარილი, ისე თამადაც. თამადა თითქმის ყველა სადღეგრძელოს ალავერდს ხრუშჩოვთან გადადიოდა და ისიც «ნამუსიანად» სვამდა ბოლომდეო. ასე დროსტარებაში მოვიდა 5 საათი. წასვლის დროს გადავაჭარბეთ. ზოგი მათგანი _ ხრუშჩოვის ამალიდან _ თითქმის არ სვამდაო, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკოო, კუნაევი _ ყაზახეთის თავკაცი და მჟავანაძე. თუმცა შეზარხოშებულმა ხრუშჩოვმა ერთი დიდი ყანწი და რამდენიმე ჭიქა ღვინო დაძალებით დაალევინა მჟავანაძეს, მაგრამ გრომიკოსთან ვერაფერი გამოუვიდაო... ამ თავშეკავებულ და საერთოდ სიტყვაძუნწ კაცს, ნ. ხრუ-შჩოვს რომ გაეგო, ისე უთქვამს: «А, не время нам уехать»-ო. ეს არ უპატიებია ნიკიტას და პირში მიუხლია: «Ты бы молчал, тоже мне министр иностранных дел, говорит нормально не умеешь. Вот кто должен быть министром» (თამადაზე მიუთითებია), «Посмотри и учись как надо говорить, как надо излагать мысли». ამ რეპლიკას კი სავსებით გაუფუჭებია ამხანაგ გრომიკოს განწყობილება და შემდეგ მას საერთოდ არ ამოუღია ხმა. გახდა 6 საათი. ნიკიტას წამოსვლა არ უნდა. აქ მჟავანაძე მიუჯდა ხრუშჩოვის სიძეს აჯუბეის (გაზეთ «Известия»-ს რედაქტორი) და სთხოვა დახმარებოდა. უცებ საუბარში ხრუჩოვმა ყური მოჰკრა, თუ როგორ უთხრა მჟავანაძემ აჯუბეის: «Народ ждет, собрались на стадионе и ждут»-ო. ამაზე ხრუშჩოვს უბრძანებია: «Ничего, не, х-я, пусть подождут» და ასე შემდეგ. დაახლოებით 7 საათზე, როგორც იყო, მთავრობის კორტეჟი დაიძრა დიღმიდან სტადიონისაკენ...

ვიზიტის მესამე დღეს საკმაოდ შეზარხოშებული ხრუშჩოვი და მისი ამალა თვითმფრინავით შუა აზიაში _ უზბეკეთში გამგზავრებულა. ჩასულან ასეთი ნაბახუსევები უზბეკეთში (მათ თან ახლდათ მაშინ მაიორი გ. ჯორბენაძე). თვითმფრინავის ტრაპთან ხალიჩები დაუგიათ. ამ ხალიჩების ბილიკით

მიუცილებიათ იქვე _ ხალიჩებით გაწყობილ ტრიბუნასთან, სადაც უზბეკი ხალხის წარმომადგენლები მოუთმენლად ელოდნენ «საყვარელი» ბელადის სიტყვით გამოსვლას. რა თქმა უნდა, ნიკიტას «რეჩები» უყვარდა და მერე როგორ! ნიკიტას მიმართვა ასე დაუწყია: «Здравствуйте, приветствую Вас, дорогие таджики»-ო, გვერდზე მდგომ სიძეს აჯუბეის შეუსწორებია სიმამრისათვის (ბელადისათვის): «Никита Сергеевич, это не таджики, а узбеки, мы в Узбекистане». ორატორს ყურად არ უღია სიძის შენიშვნა და გაუგრძელებია: «Таджикский народ достиг великих успехов под руководством коммунистической партии»-ო. აქ კი აჯუბეის კოსტიუმის კალთაზე ჩამოუქაჩია სიმამრისათვის და ისევ თითქმის ჩუმად, რადგან ყველამ გაიგო, უთქვამს: «Никита Сергеевич, это не таджики, узбеки»-ო. ეს კი ვეღარ აუტანია «საყვარელ» ბელადს და სიძისათვის პირში მიუხლია: «Ты перестанешь меня дергать, это все один х-й». აი, ასეთი ბელადი გვყავდა და ასეთი ცხოვრება გვქონდა მაშინ.

9 აპრილი

მოსკოვში, საკავშირო კაგებეს ცენტრალურ აპარატში, ახლა არა ხუთი იდეოლოგიური სამმართველო, არამედ ახალ პირობებში, «გენიალური» გორბაჩოვის რეფორმების შედეგად, უკვე კონსტიტუციური დაცვის მთავარი სამმართველო მუშაობს, შეიძლება ითქვას _ საგანგაშო ვითარებაში. უკვე «გავიარეთ» ალმაათის, ფერღანის, ყარაბახის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის პირველი შეტაკებანი, მათ შორის _ ალმაათაში, ფერღანაში, ყარაბახში საკმაო სისხლი დაიღვარა და ყოველდღე მიმდინარეობს შეტაკებანი. წინ გველოდება სუმგაითი, ბაქო, დნესტრისპირეთი და ა.შ. ამ დროს უკვე მაქვს მოვლილი მივლინებებით ალმაათა, ფერღანა, ყარაბახი. ამ მოვლენებს ალბათ კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი მივყვეთ თხრობის საგანს.

1989 წლის აპრილია. საკავშირო უშიშროების კომიტეტში იმდენი მასალა მოდის არა წერილების, არამედ დაშიფრული დეპეშების სახით, რომ მათ წაკითხვას და ანალიზს უკვე ვეღარ აუდის კომიტეტის სამდივნო, თავმჯდომარის ადმინისტრაცია და იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები ამ მასალების ანალიზისათვის, დაჯგუფებისათვის, მთავარი მიმართულების გამოყოფისათვის. ადგილობრივი უშიშროების სამმართველოები და კომიტეტები, ეტყობა, ისეთ დღეში არიან, რომ დეპეშები სავსეა გამეორებებით, უმნიშვნელო ინფორმაციის სიჭარბით და ა.შ. საჭირო შეიქნა ყოველივე ამ ინფორმაციის ანალიზი და დახარისხება, მთავარი საკითხის გამოყოფა... როცა დოკუმენტებზე ვმუშაობდი, კარგად წარმოვიდგინე თუ რა სასოწარკვეთილებაში იყვნენ ადგილობრივი პარტიული და ძალოვანი სტრუქტურების მესვეურები, ვინაიდან ადრე ყველაფერი აწყობილი ჰქონდათ: ცენტრს შეატყობინებდნენ თავიანთი გასაჭირის შესახებ და ცენტრი სულ რამდენიმე დღეში ან საათში მიიღებდა გადაწყვეტილებას, საპასუხო დეპეშაში დაუსახავდა სამუშაო გეგმას და ისინი ყურმოჭრილი მონებივით შეასრულებდნენ მათ განკარგულებებს. ანდა ცენტრი გაგზავნიდა ადგილებზე გამოცდილი ოფიცრების ჯგუფს, რომელიც მათთან ერთად «განმუხტავდა» სიტუაციას. ახლა? ახლა ეს თითქმის შეუძლებელი იყო. მოვლენები «ნაციონალისტური» გამოხდომებისა, როგორც თოვლი ზამთარში, ისე მრავლდებოდა და გადაწყვეტილების მიმღები არავინ იყო. რასაც ატყობინებდნენ უშიშროების კომიტეტს, ის პუნქტუალურად (ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს) ატყობინებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, გენერალურ მდივანს. ერთი რამ

დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: უკანასკნელი რეაქცია, რაც მოჰყვა ამ შეტყობინებებს, იყო საკავშირო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება 1986 წლის დეკემბრის ალმაათის მოვლენების შესახებ (დაახლოებით 1987 წლის მარტში), სადაც დაგმობილი იყო ყაზახური ნაციონალიზმის გამოვლინებები და «დასახული» იყო ძლიერ ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი ღონისძიებები მათი აღმოფხვრისათვის. თითქოსდა, ყინული გალღვა და უპატრონოდ მიტოვებულმა უშიშროების კომიტეტმა სამუშაო გეგმა მიიღო. მახსოვს გამართული თათბირების და კრებების ტონი უშიშროებაში, ხელმძღვანელობის გამოფხიზლება და შემართება ნაციონალისტურ ელემენტებთან საბრძოლველად. ამ საკავშირო ცეკას საპროგრამო დოკუმენტის საფუძველზე გაიგზავნა საიდუმლო დაშიფრული დეპეშები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მხარეში, სადაც როგორც ძველ დროს დასახული იყო უშიშროების კომიტეტების მუშაობის გეგმები, ყველა სუბიექტს დავალებული ჰქონდა, სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში შეემუშავებინა ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებთან ბრძოლის გეგმა და წარედგინათ იგი ცენტრალური უშიშროების კომიტეტში განსახილველად, ხოლო 1987 წლის ივნისში იგეგმებოდა დიდი საკავშირო მასშტაბის თათბირის ჩატარება საპროგრამო გეგმის შესამუშავებლად. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავის ჩარჩოებს უბრუნდებოდა, თითქოსდა ამით მთავრდებოდა მ. გორბაჩოვის «დემაგოგია» და იწყებოდა კაგებეს ჩვეული მეთოდების აღდგენა. მაგრამ კაგებეს ხელმძღვანელობის ეს ილუზია საპნის ბუშტივით გასკდა. პრესაში სულ სხვა მასალები იბეჭდებოდა. უკვე თავი წამოყვეს ე.წ. «гластность»-ისა და «перестройк»-ის ლიდერებმა... საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ გადმოიყვანეს ელცინი, იაკოვლევი, მედვედევი და სხვები. ტრიბუნაზე ერთმანეთს «ასწრებენ» გამოსვლას «დემოკრატები» პოპოვი, სობჩაკი. «საწყალი» კაგებე თავის აღტკინების ძახილში ჩაიძირა, მხოლოდ დინამიურად განვითარებული მოვლენების მეთვალყურედ გადაიქცა. პარტიის ავანგარდი თანდათან პარალიზებული ხდებოდა.

სამუშაო დღე შექმნილი ანალიზის ოპერატიული ჯგუფებისათვის დაახლოებით დილის 5-6 საათზე იწყებოდა... პირადად მე, როგორც იმ სამსახურის (აღმოსავლეთის) განყოფილების უფროსის მოადგილეს, დავალებული მქონდა მომემზადებინა ანალიზი ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ მასალებს ემატებოდა ანალიტიკური მასალები ნაციონალისტური გამოვლენების შესახებ სხვა რეგიონებში (კერძოდ _ ბალტიისპირეთში, უკრაინაში, მოლდავეთში) და ყოველივე ეს თავსდებოდა დაბეჭდილ საიდუმლო პაკეტში და ილუქებოდა. რამდენადაც უცნაურად არ მომეჩვენა მაშინ, მე გამომიწერეს სპეციაური საშვი კრემლის ტერიტორიაზე მანქანით შესვლისა. დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე მივემგზავრებოდი კრემლში, ვეახლებოდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს (შემდეგში ე.წ. ГКЧП-ს აქტიურ წევრს) ამხანაგ ლუკიანოვს და პირადად მის კაბინეტში გადავცემდი ამ კონვერტს, სადაც იგი ჩემი თანდასწრებით ათვალიერებდა (ან ჩაათვალიერებდა) მათ, ჩამაწერინებდა შენიშვნებს, დასვამდა კონკრეტულ კითხვებს და ა.შ. ამ «საპატიო» მოვალეობას 1987 წლიდან თითქმის 1991 წლის აგვისტომდე ვასრულებდი, გარკვეული ჩანაცვლებით. ამით იმის თქმაც მინდა, რომ 1989 წლის 4 აპრილს დაწყებული ქართველი მოსახლეობის საპროტესტო აქციის შესახებ თავიდან საქმის კურსში ვიყავი და სამსახურეობრივი მოვალეობის გამო მის მიმდინარეობას ვაანალიზებდი.

9 აპრილს, როგორც ყოველთვის, სამსახურში მორიგე მანქანამ დილის 5 საათსა და 30 წუთზე მიმიყვანა. თბილისს უკვე დარეკილი ჰქონდა ВЧ-ე აპარატით და პირველი ზეპირი ინფორმაციაც ვიცოდით. მსხვერპლის რაოდენობის შესახებ ჯერ კიდევ ინფორმაცია არ არსებობდა. ვიცოდით მხოლოდ, რომ მსხვერპლი იყო. მთავარი ინფორმაცია გახლდათ, რომ არასანქცირებული მიტინგი ჯარის ნაწილების დახმარებით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობით (?!) დაშალეს და მთავრობის შენობის წინ არსებული მოედანი დაცარიელდა. თბილისში შეგვპირდნენ, რომ რამდენიმე საათში დეპეშით უფრო დაწვრილებით შეგვატყობინებდნენ მომხდარი ინციდენტის შესახებ. დაახლოებით დილის 10 საათია. ტელეფონით დამირეკეს და მიბრძანეს 10 წუთში ვყოფილიყავი საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილის ამხანაგ ფილიპე ბობკოვის მისაღებში _ გენერალს შენთან საუბარი სურსო. ეს კი ჩემთვის გასაკვირი ბრძანება იყო. განყოფილების უფროსმა (მე მისი მოადგილე ვიყავი) მაცნობა, რომ ეს საკითხი სამმართველოს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულია და ამიტომ არავითარი წინასწარი შეთანხმებები საჭირო არ არისო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ წარმოიდგინოთ, თუ რა იერარქიული დაქვემდებარება არსებობდა უშიშროების კომიტეტში. შენი ნებით და სურვილით ვერავის ვერ ეწვეოდი კაბინეტში. თუმცა თავისთავად განყოფილების უფროსის მოადგილეობა ცენ-ტრალურ აპარატში საკმაოდ დიდ თანამდებობად ითვლებოდა. ეს ნიშნავდა, რომ გასული იყავი გარკვეულ სახელმძღვანელო თანამდებობის ორბიტაზე და წინ, უმეტეს შემთხვევაში, კარგი კარიერა გელოდებოდა: გარკვეულ მომენტში ან ცენტრალურ აპარატში დაწინაურება ანდა საკავშირო რესპუბლიკებში _ თავმჯდომარეობა თუ არა _ მოადგილეობა მაინც, ან კიდევ _ ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში თავმჯდომარეობა და სხვა და სხვა. ამ თანამდებობის მუშაკს გავლილი ჰქონდა სამსახურეობრივი იერარქიის დაახლოებით შვიდი საფეხური. მაგრამ სადაც გამომიძახეს სასაუბროდ, ის ადგილი ძალიან შორს იყო ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობისაგან, რადგან ის კაცი უკვე კრემლის ნომენკლატურად ითვლებოდა. მართალი გითხრათ, არმიის გენერალ ფ. ბობკოვს ადრე არაერთხელ შევხვედროდი. 5 წლის წინ ის ჩვენი სამმართველოს უფროსი გახლდათ და მისი პირადი გადაწყვეტილებით გადმომიყვანეს თბილისიდან მოსკოვში სამუშაოდ. მართალი გითხრათ, იმ წლებში ფ. ბობკოვი უკვე ლეგენდარულ პიროვნებად გვესახებოდა, ყოველთვის დინჯი, წყნარი, აუჩქარებელი, შეასანიშნავი მოსაუბრე, დიდი ლოგიკური მსჯელობის უნარით დაჯილდოვებული, შესანიშნავი ფსიქოლოგი, კრემლისა და ლუბიანკის ინტრიგების დიდი და ღირსეული არა მარტო მონაწილე, არამედ ხანდახან დირიჟორიც კი, რომელმაც ისეთი თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა და ისიც ვისთან _ ანდროპოვთან, ბრეჟნევთან, კრუჩკოვთან და სხვებთან. პოლიტიკურ სცენას უკვე მოაშორეს შოლოკოვი (შინაგან საქმეთა ყოვლისშემძლე მინისტრი), ანდროპოვის პირველი მოადგილეები და ბრეჟნევის ძმაკაცები _ ცინოვი და ცვიგუნი. მიუხედავად მისი მფარველის ანდროპოვის სიკვდილისა, ფ. ბობკოვმა მაინც Dშეინარჩუნა პირველი მოადგილის მაღალი თანამდებობა. კიდევ ერთი დეტალი ამ კაცის ცხოვრებიდა: ფ. ბობკოვი 1967 წლიდან მეხუთე სამმართველოს (პოლიტიკური სამძებრო სამმართველოს) უფროსი გახლდათ. იგი ამ თანამდებობაზე დანიშნა ანდროპოვმა, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის გადმოსული იყო საკავშირო უშიშრების კომიტეტის თავმჯდომარედ. ანდროპოვმა სუკში მოსვლისთანავე აღადგინა, ხრუშჩოვის დროს სტატუსით განყოფილების დონემდე დაქვეითებული, პოლიტიკური დევნის და სამძებრო

საქმიანობის სამმართველო. ფ. ბობკოვი ამ სამმართველოს უფროსი გახლდათ თითქმის 1989 წლამდე, შემდეგ _ თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ _ პირველი მოადგილე, ცეკაში გადასული ანდროპოვის ყური და თვალი _ ლუბიანკაზე. ფ. ბობკოვი 1990 წელს დამსახურებულ პენსიაში გავიდა, თუმცა ლუბიანკაზე არის ერთი ხატოვანი გამოთქმა _ ჩეკისტები პენსიაზე არასოდეს გადიანო.

სრული ჭეშმარიტებაა, ამ საუკუნის დასაწყისში მწერალმა ა.პროხანოვმა, რომელიც თბილისში დაიბადა 1938 წელს და ამჟამად რუსეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია, დაწერა რომანი სახელწოდებით «გეკსოგენი», სადაც იწინასწარმეტყველა ჩეკისტების მოსვლა ელცინის შემდეგ ქვეყნის მმართველობაში. კერძოდ, რომანის მთავარი გმირი ჩეკისტი ძალიან მიმსგავსებულია ეხლანდელ პრეზიდენტთან _ პუტინთან. აღწერილია ჩეკისტური ინტრიგები და შეთქმულება, რომელსაც იგი უნდა მიეყვანა ხელისუფლებაში. მთელ ამ «შეთქმულებას» ხელმძღვანელობდა ყოვლისშემძლე გენერალი, რომელშიაც ჩეკისტურ ისტორიაში ჩახედული მკითხველი თავისუფლად შეიცნობს ფ.ბობკოვს. ჩემი აზრით, მწერლის ეს მოსაზრება გადაჭარბებულია, ვინაიდან მრავალი ფაქტორის გამო დღეს ასეთი გავლენა გენერალ ფ.ბობკოვს ნამდვილად არა აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი უკვე 18-19 წელიწადია, რაც თადარიგშია გასული და დაახლოებით 84-85 წლისაა, თუმცა, საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება. ძალიან ექსტრავაგანტური პიროვნება, რედაქტორობს კომუნისტურ გაზეთს «ЗАВТРА», მოვლილი აქვს მთელი ცხელი წერტილები _ ყარაბახი, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი, რომ იტყვიან, პირწავარდნილი რუსოფილი შოვინისტია, რასაც არასოდეს მალავს.

დიახ, ჩეკისტები პენსიაზე არასოდეს გადიან. შეიძლება ეს გამოთქმა ძალიან ჰგავდეს სინამდვილეს, რადგან ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ სპეციალურ ორგანოებში (დაზვერვა, კონტრდაზვერვა და სხვა) ხანგრძლივი მუშაბის შემდეგ ადამიანი შენს თავს აღარ ეკუთვნი, გარკვეული კოდექსით ცხოვრობ, გარკვეული ცხოვრების წესს ემორჩილები, ეჭვიანი და ფრთხილი ხდები, ყოველთვის ანალიზს აკეთებ, პარალელებს ეძებ, ვარიანტებს ითვლი. ერთი სიტყვით, ლაღი და თავისუფალი ადამიანი უკვე არა ხარ, შეიძლება გარკვეული კომპლექსებიც კი გაგაჩნდეს...

იმას მოგახსენებდით, რომ ფ. ბობკოვი საბჭოთა კავშირის არსებობის 74 წლიდან 45 წელი «მთავარი ცენზორი», «მთავარი პარტიული (სუსლოვის შემდეგ) იდეოლოგი», «დისიდენტების მთავარი მდევნელი», «პოლიტიკური დევნის სულისჩამდგმელი და მისი წარმმართველი» გახლდათ. ზუსტად მაშინ, როცა ფ. ბობკოვი მართავდა ლუბიანკაზე პოლიტიკურ იდეოლოგიას, დაიწყო დაპატიმრებები და გადასახლებები დისიდენტებისა (სინიავსკი, სოლჟენიცინი, ორლოვი, აქსიონოვი და სხვა). პატიმართა რიცხვმა იმატა. როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში გაიხსნა სპეციალური საპატიმრო «დაწესებულებები», ე.წ. «დუბრავ ლაგერები» პოლიტიკური პატიმრებისთვის. ამით იმის თქმა მინდა, რომ დაწყებული გასული საუკუნის 50-ანი წლების შუალედიდან _ დამთავრებული საბჭოთა კავშირის დაშლამდე _ არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური დევნის გახმაურებული ფაქტი, რომლის გადაწყვეტილების მიღებაშიც ფილიპე ბობკოვს მონაწილეობა არ მიეღოს. მაგრამ ფაქტი ფაქტია. არც ე.წ. «პერესტროიკის» დროს, როცა თავი ასწიეს და დემოკრატიის დემაგოგიაში პაექრობდნენ მათი ლიდერები, არც ე.წ. «რუსული დემოკრატიის» ოქროს ხანაში (1991-1995წწ.) ამ ადამიანის წინააღმდეგ არავის ხმა არ აუმაღლებია. ეს მაშინ, როცა მსგავსი ბიოგრაფიის მქონე პიროვნებებზე 1991-1992 წლებში პირდაპირ დევნა გამოცხადდა: რადიო, ტელევიზია, პრესა, კინო ყოფილი სუკის «მოღვაწეობებს»

ამუშავებდა, იბეჭდებოდა უამრავი მასალა პერიოდულ პრესაში თუ წიგნების სახით სუკის პოლიტიკური პოლიციის მეხუთე სამმართველოს შესახებ. არცერთ პოლიტიკურ ჟურნალისტს, პოზიციას თუ ოპოზიციას არ უცდია ფილიპე ბობკოვის წარსულის გახსენება. ყველამ იცოდა, ყველა იცნობდა, უამრავმა თავის თავზე გადაიტანა ფ. ბობკოვის «გულთბილი ყურადღება», მაგრამ არავის არ სურდა და არ სურს ამაზე საუბარი.

ეს ფენომენი ნაპოლეონის ერთ-ერთ ღირსეულ მინისტრს ჟ. ფუშეს მახსენებს და აქ პარალელების გავლება შეიძლება.

ერთადერთი ვერსია ასეთია: ყველას ეშინოდა და არავის არ სურდა ამ ჭკვიან, დაკვირვებულ, ყოვლისმცოდნე ადამიანთან დაპირისპირება. მას მოერიდნენ ისეთი «მეტრები» დისიდენტებისა, როგორებიც არიან და იყვნენ სახაროვი, სოლჟენიცინი, აქსიონოვი, შერანსკი და სხვა... ისმის კითხვა: რატომ გაჩუმდნენ ისინი მაშინ და რატომ არის გაჩერებული უმრავლესი მათგანი ახლაც?! მე მგონი, აქ მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: ფ. ბობკოვმა ძალიან ბევრი იცის, ძალიან ბევრი _ არამარტო მათი დისიდენტური ანტისაბჭოთა წარსულიდან, არამედ... ამიტომაც ცხოვრობს ახლაც – 2008 წელს მშვიდად და წყნარად თავისთვის დამსახურებული პენსიონერი, არმიის გენერალი ფილიპე ბობკოვი პრესტიჟულ მოსკოვის გარეუბნის აგარაკზე (რუბლიოვკაზე) და წერს მემუარებს. პირველი ტომი უკვე გამოაქვეყნა, მაგრამ რად გინდა, არაფერს ამბობს, არ ხსნის თავისი ფენომენის საიდუმლოებას. შეიძლება შემდეგ ტომებში დაწეროს. თუმცა ამის დიდი იმედი არ უნდა ვიქონიოთ. დარწმუნებული ვარ, უკვე, 85 წელს მიღწეული ფ. ბობკოვი ამ ქვეყნის ბევრ საიდუმლოებას ისე წაიღებს სამარეში, რომ არავის არ გაუზიარებს.

მოხდა უფრო მეტი: ფ. ბობკოვმა ჯერ კიდევ უშიშროების კომიტეტში მუშაობის დროს აღაზევა ისეთი პოლიტიკური ლიდერი, როგორიც ჟირინოვსკია და პენსიაში გასვლის შემდეგ დაეხმარა აღზევებაში რუსეთის ერთ-ერთი პირველი ტალღის ოლიგარქ გუსინსკის. ფ. ბობკოვი ერთ დროს გუსინსკის პირველი მოადგილე გახლდათ (ვიცე-პრეზიდენტი) «მოსტბანკში». შემდეგ კი, როცა შეამჩნია, რომ «შვილობილი» (გუსინსკი) ძლიერ «გათავხედდა», არჩია ჩრდილში გასულიყო და ვიცე-პრეზიდენტობა უფროსი მრჩევლის თანამდებობით შეეცვალა. მინდოდა აქ გავჩერებულიყავი, მაგრამ ამ კაცზე, რომ ყვები, გაჩერება ძნელია, ვინაიდან იგი ცხოვრებაში ურთულეს კომბინაციებს ატრიალებდა, მაგრამ ყოველთვის მშრალი გამოდიოდა წყლიდან. «მოსტბანკში» მოღვაწეობის დროს ფ. ბობკოვმა შექმნა კომერციულ ჰოლდინგში ისეთი უშიშროების სამსახური (სათანადო ფინანსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით), რომელიც ერთი ორჯერ აღემატებოდა მაშინდელი სუკიდან დარჩენილ კონტრდაზვერვის სამსახურს და არაფერში ჩამოუვარდებოდა მაშინდელი პრეზიდენტის დაცვის სამმართველოს (გენერალი კორჟაკოვის ხელმძღვანელობით). ამიტომაც იყო, რომ ისინი ერთმანეთს ვერ იტანდნენ და კონკურენციას უწევდნენ ერთიმეორეს. ხშირად ხდებოდა ე.წ. «ტექნიკური ინცინდენტები» მათ ოფიცრებს შორის... ერთხელ ერთ პრივატულ საუბარში ფ. ბობკოვმა სიამაყით მითხრა: დაახლოებით 2000 სუკის ყოფილი მუშაკი მოვაწყვე «მოსტბანკში» სამუშაოდო. მე მათ ძირითად ნაწილს კარგად ვიცნობდი და ამიტომ შეიძლება გაბედულად ვთქვა: ისინი, ვინც ფ. ბობკოვმა წაიყვანა «მოსტბანკში» სამუშაოდ, ყოფილი სუკის ყველაზე გამოცდილი, ყველაზე გაწვრთნილი ოპერატიული მუშაკები იყვნენ და ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ძალის უშიშროების სამსახური შეუქმნა ოლიგარქ გუსინსკის ფ. ბობკოვმა. შემდეგში 1999-2000 წლების დუმისა და პრეზიდენტის არჩევნებში გუსინსკი მიემხრო იმ ძალას

(ლუჟკოვი, პრიმაკოვი), რომლებსაც არჩევნებში მეორე ძალის (პუტინის, ბერეზოვსკის) დამარცხება სურდა. ვერ წარმოიდგენთ აზრთა რა «პლურალიზმი» იყო გამეფებული მაშინდელი რუსეთის როგორც პერიოდულ პრესაში, ისე ტელევიზიაში. სენსაციები, «ცოცხალ-ცოცხალი» მაკომპრომატირებელი მასალები ტელევიზიის პირველ და გუსინსკის (НТВ) არხებზე, პუტინისა და მისი ამალის გარშემო პირველ და მეექვსე არხებზე (ბერეზოვსკი) «მასალები» _ ლუჟკოვისა და პრიმაკოვის შესახებ, მათი მამაკაცური პოტენციიდან დაწყებული ბუასილით დამთავრებული. ერთი სიტყვით «მაშინდელმა» სიტყვის და დემოკრატიის თავისუფლებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. არა მგონია, რომელიმე ევროპის ან ამერიკის დემოკრატია თუ შეედრებოდა მაშინდელ რუსულს, მაგრამ რად გინდა, გაიმარჯვა... ვინც გაიმარჯვა, კარგად მოგეხსენებათ _ პუტინმა. შემდეგ სამაგიერო ხომ უნდა გადაეხადათ პოლიტიკური მტრების ოპონენტებისათვის?! ბებერი, ცბიერი მელა პრიმაკოვი იყიდეს, «დიდი» თანამდებობა მისცეს (რა თქმა უნდა, ის პრემიერ მინისტრობას უმიზნებდა, მაგრამ დამარცხდა). ვაჭრობა უყვარდა ყოველთვის ცხოვრებაში და რუსეთის სავაჭრო პალატა ჩააბარეს. პოლიტიკური თვალსაზრისით ნული კი გახდა, მაგრამ პოლიტიკურ ელიტაში დარჩა, ე.წ. ტუსოვკებში მონაწილეობს: «კარგი ხელფასი, კარგი აგარაკი, მანქანა და მეტი რა უნდა ბერიკაცს?!»

ლუჟკოვმა გაფაფხურება სცადა, მაგრამ ვერ გაიანგარიშა თუ ვისთან ჰქონდა საქმე: «ჩეკისტები, ბიძია, ჩეკისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში». დაუძახეს ამხანაგ ლუჟკოვს და აუხსნეს, თუ სად რამდენი აწაპნა, რა სახსრებით შექმნა პარტია, რამდენი მილიონი რუბლი მოიპარა მოსკოვის საოლქო ავტოტრანსპორტის გზატკეცილის მშენებლობაზე, რამდენი მიითვისა მისმა ცოლმა, მილიარდერმა ელენე ბატურინამ, რამდენი ქონება აქვთ დაბანდებული სანავთობო ბიზნესში მას და მის შვილებს (პირველი ცოლისგან) და ა.შ. და ა.შ. ამბობენ, კინაღამ ატირდა ჩვენი ლუჟკოვიო, რა გინდათ? რას მერჩითო? თვითონ არ გამოაცხადეთ, ვისაც სურვილი აქვს (კონსტიტუციით), უფლება ეძლევა პრეზიდენტი გახდესო და მეც ვითამაშე, რაო. ერთი სიტყვით _ «дурачок»-ი ითამაშა... ამხანაგმა ჩეკისტებმა (მაპატიეთ ,მათი დავალებით _ პროკურატურამ) აუხსნეს, რომ მოშვებოდა ყოველგვარ ამბიციებს, თავი დაენებებინა ფანტაზიებისათვის, ემართა ისევ თავისი «პატარა» მოსკოვ-ქალაქი, უზრუნველად ეცხოვრა თავის ოჯახთან ერთად და ამის სანაცვლოდ მათთვის მის მიერ ხალხის ფულზე შექმნილი პარტია ეჩუქებინა. აბა რას იზამდა «საწყალი», «დაშინებული» ძია ლუჟკოვი, ძალა მათ მხარეს იყო! დასცლოდა და პრეზიდენტი გამხდარიყო, მაშინ ანახებდა მათ «кузкина мать»-ს, მაგრამ რას იზამ?.. და აჩუქა მათ რამდენიმე ასეულ მილიონად თუ არა, მილიარდ რუბლად თუ დოლარად შეფასებული პარტიული ორგანიზაცია, რომლის ფუნდამენტზეც შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ, რუსულად რომ იტყვიან «на халяву», _ შექმნა პარტია «გაერთიანებული რუსეთი».

მხოლოდ ოლიგარქ გუსინსკის არ აპატიეს თავხედობა, ჯერ დააპატიმრეს და მოსკოვის ცნობილი ციხის «матросская тишина»-ს ტუალეტები ახეხიეს, შემდეგ გირაოს სახით დიდძალი ფული წაართვეს, მერე მისი ქონების (გაზეთების, ტელეარხების, გემების, სასახლეებისა და რაც მთავარია, «мостбанк»-ის) ჩაყლაპვა დაიწყეს. ბევრი იტირა და იღრიალა ჩვენმა ოლიგარქმა, მაგრამ თანამებრძოლების (პრიმაკოვი, ლუჟკოვი) გარეშე დარჩენილს, აბა რა ეგონა და ძლივს გაასწრო ისრაელში. იქაც არ მოასვენეს. იქაც საკმაოდ გამოწველეს და მერე შეეშვნენ. ისე რომ, ოლიგარქმა თავისი წინაპრების საფლავებს მიაშურა სალოცავად. ამის შემდეგ დაერივნენ მის «იმპერიას», დააპატიმრეს ყველა, ვინც სურდათ, გაანადგურეს

«мостбанк»-ის ჰოლდინგი, მისი ყოვლისშემძლე უშიშროების სამსახური ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დააპატიმრეს თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი ამ სამსახურისა (ყველა ყოფილი სუკის ყოფილი თანამშრომელი), გაასამართლეს და გააციმბირეს სამი მათგანი.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, რისთვისაც გავიხსენე ყოველივე ეს და ძირითად თემასაც გადაუხვიე... არავის არ გაახსენდა, არსად არ თქმულა, არსად არავის უცდია ეთქვა «რა წვლილი მიუძღვის» ყოველივე ამაში ერთ-ერთ მთავარ ფიგურას, ოლიგარქის მოადგილეს (უფრო სწორად _ მის სულიერ მამას და შემქმნელს) მის «скромный» მრჩეველს _ არმიის გენერალ ფილიპე ბობკოვს. ასეთ ფიქრებში «გართული», უფრო მეტად დამძიმებული, მივემართებოდი ყოვლისშემძლე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის კაბინეტისაკენ. უშიშროების კომიტეტის ფარული მიწისქვეშა გადასასვლელების გავლისას გზაში ერთი ეპიზოდიც გამახსენდა, რამაც შეიძლება ძირეულად შეცვალა ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრება. კერძოდ _ გამახსენდა ჩემი პირველი შეხვედრა ამ ადამიანთან... ეს იყო 1982 წლის თებერვალში. მე უფროსი ოფიცრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამთვიან კურსებზე ვსწავლობდი უშიშროების კომიტეტის უკრაინაში განთავსებულ აკადემიაში. სწავლის პერიოდი თითქმის დამთავრებული იყო და თბილისში გამგზავრებისათვის ვემზადებოდი. ამ დროს გამომიძახეს სასწრაფოდ აკადემიის რექტორთან (უკრაინის ყოფილ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან) გენერალ-პოლკოვნიკ შევჩენკოსთან. მან გამაცნო მოსკოვიდან მიღებული დაშიფრული დეპეშა, რომლის მიხედვითაც ნაბრძანები მქონდა, სასწრაფოდ მიმეტოვებინა აკადემია და გავმგზავრებულიყავი მოსკოვში საკავშირო უშიშროების კომიტეტის მთავარი კადრების სამმართველოს განკარგულებაში. ჩავედი მოსკოვში. მიბრძანეს მივსულიყავი მეხუთე სამმართველოს (პოლიტიკური სამძებრო ქვედანაყოფი) უფროსის, იმჟამად გენერალ-მაიორ ფ. ბობკოვის მისაღებში, ვინაიდან პირადად იგი იყო ჩემი მოსკოვში გამოძახების ინიციატორი. აბა როგორ აგიხსნათ, თუ რა «პატივი» იყო ჩემი პერსონისათვის (პროვინციელი მუშაკისათვის, საქართველოს უშიშროების კომიტეტის საშუალო რგოლის თანამშრომლისათვის) ასეთი ბრძანების აღქმა. რაღაც ვერსიები, რა თქმა უნდა, მომდიოდა თავში, მაგრამ როცა უშიშროებაში (სპეცორგანოებში) მუშაობ, შეიძლება ისეთი ურთიერთგამომრიცხავი ბრძანებები მოისმინო, რომ თმები ყალყზე დაგიდგეს და ამას უკვე შეჩვეული ვიყავი... მის კაბინეტში მიმიწვიეს 13 საათზე (შემდეგი დაკვირვებებით დავადასტურე, რომ ეს ადამიანი უაღრესად პუნქტუალური და დიდი შინაგანი დისციპლინის მატარებელი გახლდათ). და დაიწყო ჩვენი პირადი საუბარი, კომუნისტების დროს საერთოდ მიღებული შაბლონური ფრაზით: არის მოსაზრება, თქვენი სამუშაოდ მოსკოვში გადმოყვანის შესახებ, თქვენ ამაზე რა აზრისა ხართო? კარგი ფრაზაა, არაა?! არის მოსაზრებაო. თითქოსდა ვინმეზე (მითიურ პიროვნებებზე) იყო დამოკიდებული ეს მოსაზრება და არა მასზე (რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მისი პირადი მოსაზრება იყო, კარგად შენიღბული.). მეც, როგორც საჭირო იყო მაშინ და როგორც მიღებული იყო, სამხედრო და კომუნისტური შემართებით ვუპასუხე: თუკი ასეთი გადაწყვეტლება მიღებული იქნება, შევეცდები ჩემი კეთილსინდისიერი შრომით, კომუნისტური პარტიის ერთგულებით გავამართლო საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის იმედები-მეთქი. ეს ფრაზები თითქმის ზეპირად ვიცოდი, რადგან ხშირად გვიხდებოდა მათი გამეორება თანამდებობებზე დანიშვნისა და დაჯილდოების დროს. ერთი კი შემომხედა და სადღაც ირონიაც შევამჩნიე მის გამოხედვაში. შემდეგ კითხვები დამისვა

საქართველოში არსებულ ოპერატიული მდგომარეობის შესახებ. დაინტერესდა სხვა პროფესიული კითხვებით და დაახლოებით 35 წუთის შემდეგ (თუმცა საუბრის ხანგრძლივობა მხოლოდ 15 წუთზე იყო გაანგარიშებული) დამისვა კითხვა, რომლის პასუხმაც საბოლოოდ მიაღებინა გადაწყვეტილება, გადავეყვანე თუ არა სამუშაოდ მისდამი დაქვემდებარებულ სამმართველოში: რა აზრისა ხართ ასეთი და ასეთი გავლენის აგენტის (დავუშვათ ფსევდონიმი «ეგრისელი») ოპერატიული მუშაობის შესახებ, ანდა თუ გსმენიათ ასეთი აგენტის არსებობა საერთოდო. ეს შეიძლება ითქვას საკმაოდ «პროვოკაციული» კითხვა გახლდათ. მახსოვს, მხოლოდ რამდენიმე წამით შევყოვნდი, მეტი ალბათ არც შეიძლებოდა. ჩემი პასუხი დაახლოებით შემდეგი იყო: დიახ, რა თქმა უნდა, ვიცი ასეთი გავლენიანი აგენტის არსებობის შესახებ, რადგან რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელის აგენტია. მისი საქმე ჩემთანაც ინახება, და მე, როგორც იმ მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც ეხება ეს საქმიანობა რესპუბლიკურ უშიშრებაში, რაც შემიძლია, აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ ამ აგენტისათვის ოპერატიული დავალებების გამომუშავებაში-მეთქი. არასოდეს დამავიწყდება ფ. ბობკოვის ირონიული გამოხედვა და ოდნავი ღიმილი, და მისი ფრაზა _ წყნარად და დინჯად წარმოთქმული: და მერე თქვენ გაკმაყოფილებთ ამ აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისრულე და საერთოდ ამ აგენტთან მუშაობის მეთოდები? ანდა _ რა გესახებათ პერსპექტივაში, როგორ შეიძლება ამ აგენტის გააქტიურება, რათა მან ოპერატიულად უფრო საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდოსო, რადგანაც ვიცი, რომ მას ამის შესაძლებლობა ნამდვილად აქვს, ვინაიდან მას «ключевой» ადგილი უკავია თანამდებობრივად და ქართულ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო... ეს ძლიერი ოპერატიული ხერხი იყო ჩემი «ჩაჭრისათვის», თუ დავიწყებდი ჩემი ხელმძღვანელობის კრიტიკას (რაც სამხედროებში ძნელი წარმოსადგენია და არა მგონია, დადებითად დაახასიათებდეს ადამიანს ზურგს უკან კრიტიკა). და დავიწყე Дурак-ას თამაში: ამხანაგო ბობკოვ, აგენტი კი კარგია, მუშაობა შეუძლია და შეიძლება გარკვეული სურვილიც აქვს, მაგრამ საჭიროა უფრო მიზანმიმართული, სისტემური მისი სწავლება, ის ხომ პროფესიონალი არ არის და ამან შეიძლება გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცეს-მეთქი. ასეთი მუშაობის წარმართვა ალბათ უჭირს საქართველოს უშიშროების თავმჯდომარის მოადგილეს, დიდი საზოგადოებრივი და სამსახურეობრივი დატვირთვის გამო-მეთქი და ამისათვის თუ მოიცლიან, _ შედეგიც არ დააყოვნებს-მეთქი. კარგი პასუხია, არა?! არც მწვადი დავწვი და არც შამფური. ერთხელ კიდევ შემომხედა თავისი ჭკვიანი თვალებით, წამოდგა, მეც წამოვხტი, მივუახლოვდით ერთმანეთს, ხელი ჩამომართვა და მომილოცა მოსკოვში სამუშაოდ გადმოყვანა (დამავიწყდა: ფ. ბობკოვი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ, პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი უკრაინაში და ბელორუსიაში, შემდეგ _ დასავლეთ უკრაინაში ბენდერელებთან ბრძოლის ავანგარდში იდგა).

აი ასეთ კაცთან მივდიოდი სასაუბროდ 9 აპრილს. მომესალმა, ხელი ჩამომართვა, არავითარი შესავალი სიტყვა და ზედმეტი ფრაზები. შემეკითხა, ვიცი თუ არა, რა მოხდა თბილისში 9 აპრილს გათენებისას. მე დავუდასტურე, დაახლოებით ვიცი-მეთქი. დღეს დაახლოებით 13-14 საათზე, მოსკოვის გარეუბანში, სამხედრო აეროპორტ «ჩკალოვსკში» დაჯდება თვითმფრინავი, რომელიც თბილისიდან ჩამოიყვანს მოსკოვის სუკის საგამოძიებო საამმართველოს უფროსის მოადგილეს გენერალ პეტროვს, მას თან მოჰყვება საქართველოს უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე. ამ ამხანაგებს მოსკოვში ჩამოაქვთ

4 აპრილიდან 10 აპრილის დილის 5 საათამდე ჩანაწერი ოპერატიული მასალები. თქვენ გევალებათ დახვდეთ ამ თვითმფრინავს, ზემოთმოხსენებული ამხანაგებისაგან აქტით მიიღოთ მოძიებული ოპერატიული მასალა, შემდეგ გაემგზავროთ ჩვენს კონსპირაციულ ბინაზე არსებულ კინოსტუდიაში, მოახდინოთ ამ მასალების დახარისხება და სისტემატიზირება 13 აპრილისათვის. უნდა მოამზადოთ დაახლოებით 20-30 წუთიანი (შეიძლება მეტიც) ქრონიკული კინოფილმის მონტაჟი, ძირითადი ანტისაბჭოთა ელემენტების (გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, წერეთელი და სხვები) ტრიბუნასთან გამოსვლების თარგმანი რუსულ ენაზე. თქვენს განკარგულებაში იქნებიან კინომონტაჟისა და ოპერატიული კინოსტუდიის მუშაკები, მბეჭდავი ქალები, უზრუნველყოფილი იქნებით კვებით, საძინებელი ოთახებით (თუკი ამის საშუალებას დრო მოგცემთ). სასტიკად შეზღუდული ვართ დროში. 13 აპრილს შუადღის 2 საათზე იკრიბება საკავშირო კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო. შემდეგ ცეკას შემადგენლობა. ამხანაგმა გორბაჩოვმა გვთხოვა (წაიკითხე _ გვიბრძანა) პოლიტბიუროს სხდომისათვის ამ ქრონიკული ფილმის მომზადება, არ არის გამორიცხული, შემდეგ ეს ფილმი აჩვენონ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობას, ეს კი დიდი აუდიტორიაა (დაახლოებით 200 კაცი). თქვენს წინაშე დგას ორი ძირითადი ამოცანა: პირველი _ ფილმი მზად იყოს დანიშნულ დროს, მეორე და აუცილებელი ამოცანაა: ფილმი დამონტაჟდეს ობიექტური, ვიმეორებ, ობიექტური მასალებით. არავითარი შელამაზება არ მოახდინოთ მიმდინარე პროცესებისა, არ დაუშვათ არავითარი ლაკირება, ეკრანზე გამოსახული იყოს მხოლოდ შიშველი, ვიმეორებ, შიშველი სინამდვილე. ამხანაგ გორბაჩოვს სურს ობიექტური სინამდვილის ხილვა და არა გაყალბებულისა. ეს მიზანი, იცოდეთ, ძირითადია ამ დავალებაში. იმასაც გეტყვით და გავალებთ, თუკი რამემ შეგიშალათ ხელი ამ ობიექტურობის წარმოსახვაში, თქვენთან იქნება მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ადიუტანტი, მისი მეშვეობით დამიკავშირდით და ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ.

უამრავი ოპერატიული მასალა მივიღეთ. რამდენიმე ათასი მეტრი კინოფირი (4 აპრილის დილიდან _ 10 აპრილის დილამდე), დაახლოებთ 120 საათის კინოჩანაწერი, მიტინგზე გამოსული ორატორების სიტყვების ჩანაწერები, უკვე გადატანილი ქაღალდზე და ა.შ. დაიწყო კინოფილმის მონტაჟი.

აქ კი დიდ წინააღმდეგობებს წავაწყდით. სპეციალისტებს, კინოდოკუმენტალისტებს, მონტაჟის ოსტატებს (წაიკითხე _ სუკის ოფიცრებს) არამც და არამც არ სურდათ ბევრი ისეთი კადრების დამონტაჟება, რომელიც, მათი აზრით, არ იყო საჭირო. დისკუსიაში არც ერთვებოდნენ, უბრალოდ ასე მიაჩნდათ და მორჩა. დიდი წინააღმდეგობის მერე ჩართეს (3-4 წუთი) 8 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო ძალის დემონსტრირება, სამხედროების (დილა 9 აპრილის) მწყობრი ნაბიჯით ეკიპირება _ ნიჩბებითა და ჯავშანფარებით დემონსტრანტებზე თავდასხმა, კადრები არეულობისა, პანიკისა, მომწამვლელ ნივთიერებათა გაფრქვევისა, მომიტინგეთა გამოძახილებისა, ხმაურისა, შემდეგში _ კადრები მომიტინგეთა გვამებისა, სამხედროებისა და მილიციის მუშაკთა დაპირისპირებისა, კერძოდ _ გენერალ როდიონოვისა და გენერალ გორგოძის (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის) დაპირისპირებისა, როდესაც გენერალმა როდიონოვმა გორგოძეზე გაიწია. შემდეგ არ უნდოდათ დაემონტაჟებინათ კადრები დაცარიელებული მოედნისა, რომელიც სავსე იყო მომიტინგეების დაკარგული ნივთებით, ფეხსაცმელებით, ჩანთებით, ტანსაცმლით და ა.შ. როგორც ვიცი, შემდეგ ამ ნივთებისგან მოედნის დაცლას რამდენიმე სატვირთო მანქანა დასჭირდა. დიდი

პოლემიკა გაიმართა ჩემსა და ოპონენტებს შორის, მათი სურვილი იყო, როგორმე კინოკადრებში ჩაერთოთ მიტინგის ხელმძღვანელების _ გამსახურდიას, კოსტავას და სხვათა სიტყვიერი გამოსვლები, რათა ეჩვენებინათ, თუ როგორ მოუწოდებდნენ ისინი ძალოვანი წინააღმდეგობის გაწევისაკენ, ანდა მათ გამოსვლის სიტყვებში მოენახათ რაიმე ანტირუსული, პროვოკაციული გამოხდომები. მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო. მათი გამოსვლების რუსულ ენაზე ჩემმა თარგმანმა იმედი გაუცრუათ. ორატორების გამოსვლებში მე ვერ ამოვიკითხე ის, რაც მათ სურდათ. ვიტყვი სიმართლეს. ვერ ამოვიკითხე არა იმიტომ, რომ ასე მსურდა, არა, უბრალოდ, ის, რაც მათ სურდათ, იქ არ თქმულა. მიწუნებდნენ თარგმანს, მთხოვდნენ ან მიბრძანებდნენ უფრო დაკვირვებით წამეკითხა, მკარნახობდნენ თავიანთ ტექსტს, მაგრამ რაც არ იყო, არ შეიძლება მომეგონებინა. ამიტომ იმედგაცრუებულებმა მხოლოდ პატრიარქის, უნეტარესის ილია II-ის გამოსვლა ჩასვეს კინოფირში და გაახმოვანეს რუსულ ენაზე. რამდენიმეჯერ ავუხსენი ადიუტანტს შექმნილი მდგომარეობა, ისიც ალბათ დაუკავშირდა შეფს და ჩემმა «ბრძოლამ» შედეგი გამოიღო. 13 აპრილს დილის 7 საათზე დოკუმენტური ფილმი _ დაახლოებით 25 წუთი _ მზად იყო. 9 საათზე მობრძანდა ფ. ბობკოვი, ნახა და შემდეგ წაიღო. როგორც ვიცი, იმავე დღეს ანახეს კრემლში პოლიტბიუროს, შემდეგ ცეკას შემადგენლობას, შემდეგ კი _ 15 აპრილს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ეს ფილმი ვნახე ტელეეკრანზე. მისი ხანგრძლივობა 12-13 წუთით შემოიფარგლა. ამიოღეს ძირითადად ის «ბრძოლით» შეტანილი კადრები. ახლა, თუ არსებობს ის სრული ფილმი, დარწმუნებული არა ვარ, ან თუ არსებობს, სად ინახება? ალბათ ღმერთმა იცის მხოლოდ. შემდეგში არაერთხელ დავფიქრებულვარ, რატომ და რისთვის დასჭირდა გორბაჩოვს და რატომ ჰქონდა დავალებული ასე მკაცრად ფილიპე ბობკოვს დაემონტაჟებინათ მაინც და მაინც ობიექტური დოკუმენტური ფილმი თბილისში მომხდარი სისხლიანი ტრაგედიის შესახებ? ამას დიდი მიხვედრა, ალბათ, არც უნდოდა, _ ისევ და ისევ პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისათვის. თუ ვინ იყვნენ მაშინ მისი პოლიტიკური ოპონენტები, ეს მკითხველს კარგად მოეხსენება. ანდა _ ხომ არ ასრულებდა გორბაჩოვი ვინმეს _ მასზე ძლიერი ძალის სურვილს? ესეც საკითხავია... დამატებით იმის თქმაც შეიძლება, რომ ის, რაც მაშინ თბილისში მოხდა, ვიღაცას და რაღაცა ძალებს (გარდა ნაციონალური თავისუფლების ორგანიზატორებისა) აწყობდათ. ეს აწყობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ბიუროში მყოფ გარკვეულ ძალებს, რათა ამით დაესამარებინათ ჯ. პატიაშვილის ხელისუფლება. ეს აწყობდა ე.წ. პროშევარდნაძისტულ პარტიულ ელიტას, რომ შური ეძიათ პატიაშვილზე და თვითონ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. მაგრამ ვერ გათვალეს, რომ ამ დროს მოსკოვში კომუნისტური პარტიის საკავშირო ცეკაში და პოლიტბიუროში უკვე იყვნენ დაჯგუფებები ანტიგორბაჩოვისა, რომელთაც სურდათ თბილისში თავისი კაცი ჰყოლოდათ და დაჯგუფების ერთ-ერთი ასეთი წევრი იყო საკავშირო სუკის უფროსი კრიუჩკოვი, რომელმაც დაიახლოვა სულ რამდენიმე თვის წინ დანიშნული საქართველოს სუკის უფროსი გ. გუმბარიძე. არ არის გამორიცხული, რომ ისიც და მისი თანამზრახველები (მომავალში ГКЧП-ისტები) ამ მოვლენებში თავის მოგებას ხედავდნენ, მათაც არ აწყობდათ თბილისში ჯ. პატიაშვილი. არ არის გამორიცხული, 8 აპრილს რომ თბილისში თვითმფრინავი ჩამოფრინდა, მასში მხოლოდ გ. გუმბარიძე ავიდა და ერთი თუ ორი საათი ესაუბრა უცნობ მგზავრს, _ ეს უცნობი მგზვარი მისი მამა და მასწავლებელი, მისი აღმზრდელი კრიუჩკოვი ყოფილიყო, რომელმაც ალბათ ამომწურავი ინსტრქციები მისცა მოწაფეს. უბრალოდ

«შემთხვევით» დავადგინე საბორტო ნომერი იმ პერსონალური ვიპ-თვითმფრნავისა ТУ-134, რომელიც პოლიტბიუროს ერთ-ერთ წევრს ეკუთვნოდა.

მერაბ კოსტავა

კარგად არ მახსოვს, ალბათ 80-ანი წლების შუალედი იქნებოდა. დამნიშნეს მეხუთე სამმართველოში (პოლიტიკური კონტრდაზვერვა), სადაც ვმუშაობდი სამმართველოს უფროს ოპერატიულ მორიგედ. ასეთი სახის მორიგეობა საკავშირო უშიშროებაში შემოღებული იყო 1967-1991 წლებში. დაახლოებით თვეში ერთხელ უფროსი ოპერატიული შემადგენლობა ინიშნებოდა უშიშროების კომიტეტის უფროს ოპერატიულ მორიგედ.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სამმართველოში ყოველდღე მორიგეობდა (ხშირად სამმართველოს უფროსის მისაღებში) 2-3 ოპერატიული მორიგე, რომლებიც, როგორც წესი, მთელი დღის განმავლობაში ასრულებდნენ მოვალეობას სამმართველოს უფროსის მდივნებისა, დენშიკებისა და ადიუტანტებისა და ა.შ., ეს იყო კატეგორია ოპერატიული მუშაკებისა, რომლებმაც ძირითად ოპერატიულ სამუშაოზე თითქმის ან ნაწილობრივ ვერ გაართვეს მუშაობას თავი და გადმოიყვანეს აქ სამუშაოზე, რომელიც დიდ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას არ ითხოვდა. მაგრამ იმის გამო, რომ ხელმძღვანელობასთან ფიზიკურად ახლო იყვნენ, გარკვეულწილად დიდი წარმოდგენა ჰქონდათ თავის გონებრივ შესაძლებლობებზე. მათი მთავარი მოვალეობა იყო _ თავის დროზე და მოხერხებულად გაეგზავნათ სამმართველოს უფროსისათვის, მათი მოადგილეებისათვის, განყოფილების გამგეებისათვის, მათი მრავალრიცხოვანი ნათესავებისათვის და ა.შ. მათ განკარგულებაში 18 საათის შემდეგ აღრიცხული 15-17 ოპერატიული მანქანა, შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში შეეკრიბათ და სახლში დაებინავებინათ ზემოთჩამოთვლილი ხალხის კატეგორია. ეს იკავებდა მთელი სამუშაოს ალბათ 40-50%-ს, დანარჩენი მანქანები კი მთელი საღამოს განმავლობაში კრებდა ხალხს თეატრებიდან, რესტორნებიდან, სასტუმროებიდან და ა.შ. მთავარია, ამ მანქანების განაწილებაში არ ჩარეულიყავი. თუმცა ერთი საღამოს მორიგეობის გამო შენ შეგეძლო ყოფილიყავი გარკვეულწილად კონფიდენციალური ინფორმაციის მფლობელი, სად დადიოდნენ, სად იკრიბებოდნენ, რას აკეთებდნენ, ხოლო ყოველივე ამის ანალიზის შემდეგ შეიძლება გარკვეული წარმოდგენა გქონოდა მათი ცხოვრების წესის შესახებ. მორიგეს მოვალეობა იყო შეესრულებინა კონკრეტული ინსტრუქციები, საგანგაშო მდგომარეობის გამოცხადების დროს გაეხსნა სათანადო ფერად კონვერტებში არსებული ინფორმაცია და ემოქმედა მათ მიხედვით... პირადად მე ამის გაკეთება მომიხდა მხოლოდ ერთხელ, როდესაც უკვე მოსკოვში საკავშირო უშიშროების ცენტრალურ აპარატში ვმუშაობდი. ბედის ირონიით დავინიშნე მორიგედ იმავე სამმართველოში 1991 წლის 18-19 აგვისტოს ღამეს ე.წ. ГКЧП-ს გამოცხადებისას. კონვერტები კი გავხსენით, მაგრამ განკარგულებების გაცემა ვერ მოვასწარით, ვინაიდან ზუსტად დილის 6 საათზე დარეკეს თავმჯდომარის სამდივნოდან, რომ ამ განკარგულებების შესრულება ჩვენ არ გვევალებოდა. წითელი კონვერტი კი ბევრ რამეს ითვალისწინებდა. რაც მთავარია, ოპერატიული შემადგენლობის შეკრებას შენობაში (ე.ი. განგაშის გამოცხადებას), მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფების შედგენას, მათთვის სამხედრო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაცემას და

წინასწარმითითებული (წერილებში) ობიექტების უშიშროების გაძლიერებას (ატომური სადგურები, ელექტროსადგურები, ფოსტა, ტელეგრაფი, ხიდები, მთავრობის დაწესებულებები და ა.შ. და ა.შ.).

ყვითელ კონვერტში იყო გარკვეულ პირთა სიები (მისამართი, ტელეფონი, სურათები, სამსახურეობრივი მდგომარეობა და სხვა და სხვა), მონაცემები იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების (უშიშროების კომიტეტის) შეხედულებით არ იყვნენ საკმაოდ სანდონი, დისიდენტები, ადრე ნასამართლევები ან ადრე შემჩნეულები ანტისაბჭოთა ქმედებებში და ა.შ. და კონვერტში მოთავსებული ინსტრუქცია ითვალისწინებდა მათ სასწრაფო იზოლაციას, ყოველგვარი ახსნისა და იურიდიული დოკუმენტაციის გარეშე. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების ბრძანება: «А, у военных приказы не обсуждаются, они подлежат только незамедлительному исполнению». როგორც გითხარით, 32 წლის მუშაობის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ გავხსენი ეს საშინელი კონვერტები. რამდენიმე წამის განმავლობაში ვიყავით შოკირებულები მე და ჩემი კოლეგები, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ერთ-ორ წუთში ბრძანების შესრულება აგვიკრძალეს.

ვერაფრით ვერ ვუბრუნდები იმ ეპიზოდს, რომელიც ეხება ჩემს ერთ-ერთ მორიგეობას და ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერის მერაბ კოსტავას შესახებ ინფორმაციას. ასე მგონია, თუ რომელიმე აუცილებელი დეტალი არ ავხსენი კაგებეს მუშაობის მეთოდებზე, მაშინ მკითხველი მთლიანობაში ვერ წარმოიდგენს მთელ მექანიზმს, თუ როგორ გავეცანით იმ საღამოს დაშიფრული, მკაცრად გასაიდუმლოებული დეპეშის შინაარსს, რომელიც თბილისის უშიშროების კომიტეტმა გამოაგზავნა საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე და ეხებოდა მერაბ კოსტავას, მაშინ უკვე პატიმრობიდან (7 წელი) ვალმოხდილს, სამი წლით ციმბირში გადასახლებაში მყოფს. კოსტავას ეს სამი წელიც უთავდებოდა და სამ თვეში უნდა განთავისუფლებულიყო.

წინასწარ მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, უფროსი ოპერატიული მორიგის მოვალეობა იყო, წაეკითხა, გაეანალიზებინა, შეეფასებინა საკავშირო უშიშროების კომიტეტში მთელი ის საიდუმლო მასალა, წერილები, დაშიფრული დეპეშები, რომლებიც თავს იყრიდა მთელი სსრკ-ს ტერიტორიული ორგანოებიდან, დეპეშები საელჩოებიდან, სამხედრო პროკურატურიდან (დეზერტირების შესახებ), ემვედედან და ა.შ. და ა.შ.

წინასწარ უნდა მოგახსენოთ, რომ იმის შემდეგ, რაც მოსკოვში გადამიყვანეს, დავიწყე მუშაობა აღმოსავლეთის მიმართულებით (ე.წ. შუა აზიის რესპუბლიკები, ავღანეთი, ირანი, თურქეთი და სხვა). არაფრით არ მაკარებდნენ ამიერკავკასიის საქმეებს და, მითუმეტეს, არ უნდოდათ, რომ რაიმე ინფორმაციას დავუფლებოდი საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. მაგრამ ეს ყველაფერი სასაცილო იყო, ვინაიდან ყოველგვარი საკითხები იხილებოდა ოპერატიულ თათბირებზე ჩვენს განყოფილებაში და გამგები გაიგებდა, თუ რა ხდებოდა საქართველოში. ამავე დროს საქართველოში ხშირად ვურეკავდი კოლეგებს და ის რუსი ოპერატიული მუშაკებიც, რომლებიც საქართველოს კაგებეს ემსახურებოდნენ, დიდი იდუმალებით არ გამოირჩეოდნენ, განსაკუთრებით _ ქართული ღვინის და ჭაჭის მირთმევის შემდეგ, რომლებსაც ამხანაგები საქართველოდან თითქმის ყოველკვირა მიგზავნიდნენ მატარებლით. ალბათ, რუსეთში თუ არა, მოსკოვში მაინც, მაშინ სასმელების ყველაზე მდიდარ კოლექციას ვფლობდი. მათი ხშირი გაჩუქების გამო არასოდეს არ მქონია პრობლემები ოპერატიული მანქანების ოჯახისათვის გამოყოფაში (მორიგეები მე უფრო მიწევდნენ ანგარიშს, ვიდრე რომელიმე გენერალს). არ მქონდა პრობლემები

არც სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში, ვინაიდან სადაც მივდიოდი, ყოველთვის ხელში მეკავა ე.წ. «დიპლომატი», რომელშიც სამი ქართული კონიაკი და ორი-სამი ბოთლი ქართული ღვინო ეტეოდა. დამატებითი ვარჯიშები ხელის კუნთებისათვის ამის გამო არასოდეს არ მჭირდებოდა.

მაშ ასე, ვზივარ და ვკითხულობ ტერიტორიალური ორგანოებიდან მოსულ დაშიფრულ წერილებს. აი, დეპეშა საქართველოს უშიშროების კომიტეტიდან, ხელს აწერს თავმჯდომარე ალ. ინაური, რომელიც მიმართავს საკავშირო სუკის თავმჯდომარეს ამხანაგ ჩებრიკოვს. ასეთი დეპეშა, როცა რესპუბლიკის სუკის თავმჯდომარე მიმართავს უშუალოდ საკავშირო სუკის თავმჯდმარეს, იშვიათობაა. ეს ნიშნავს, რომ საკითხი ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე პირადად მიმართავს არა მის რომელიმე მოადგილეს, არა სამმართველოს ან მთავარი სამმართველოს უფროსს, რაც მთავარია, ამ დოკუმენტს გაეცნობა სუკის პირველი პირი: «მე ხელი დამიბანია, შეგატყობინე, რაც ხდება. შენ უფროსი ხარ, პოლიტბიუროს წევრი, და მიიღე ის გადაწყვეტილება, რაც მიგაჩნია საჭიროდ. თუ ჩემი დახმარება გჭირდება, შენი ქვეშემრდგომი ვარ. მიბრძანე და ყველაფერს შეგისრულებ», _ ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა.

დეპეშაში დაახლოებით შემდეგი ეწერა (რა თქმა უნდა, მე ის არ გადამიწერია და არც სტენოგრამა შემიდგენია, ამაზე მაშინ ფიქრიც ზედმეტი იყო): მოგახსენებთ, რომ ამა წლის ამა და ამა თვეს და დღეს, უთავდება გადასახლების ვადა ციმბირში უკვე პატიმრობა-ვალმოხდილ მერაბ კოსტავას, რომელიც დაბრუნდება საქართველოში და ვაი ჩვენს თავს, თუ გავითვალისწინებთ გარემოებას, რომ კოსტავას საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ხელშეუხებელი დიდი ავტორიტეტი აქვს, საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველი ლიდერია. ზვიად გამსახურდიას, როგორც ადრე მოგახსენეთ, ჩვენ მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებით და თქვენს მიერ მოცემული განკარგულებით, რომ ისეთი სისასტიკით არ დაგვესაჯა, როგორც კოსტავა, რადგან მან გარკვეულ წილად აღიარა და მოინანია თავის შეცდომები _ საკმაოდ შევუბღალეთ ავტორიტეტი მის თანამებრძოლებს შორის. ახლა იგი დიდი ავტორიტეტით აღარ სარგებლობს, ძირითადად ლიტერატურულ მუშაობას ეწევა, არ აქტიურობს (მოჩვენებით სიწყნარეს იჩენს და ა.შ.). ხოლო თუ კოსტავა ჩამოგვივიდა საქართველოში, ეს საკმაოდ გაართულებს ოპერატიულ მდგომარეობას, გამოაცოცხლებს «ნაციონალიზმს», ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. კოსტავას ქართულ საზოგადოებაში აქვს მოწამის, ეროვნული მოძრაობის საქმეში შეუდრეკელი მებრძოლის სახელი, განსაკუთრებით მას აფასებს ახალგაზრდობა, სტუდენტობა და მისი გამოჩენა ამ დაწყნარებულ, დამშვიდებულ ქვეყანაში ძალიან დიდ პრობლემებს შეგვიქმნის საქართველოში და არ არის გამორიცხული _ მთელი საბჭოთა კავშირის დისიდენტურ მოძრაობაზეც იქონიოს გავლენაო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოკლედ _ ვაი ჩვენს თავს და უი შემდეგ თქვენს თავსაც, თუ მერაბ კოსტავას გაუთავდება სამ თვეში ვადა გადასახლებისა და გამოვა ციხიდანო. არ არის ყოველივე ეს სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს?! კაცმა წარბშეუხრელად მოიხადა მისი იდეების, აზრების გამო და არა ქმედების გამო 10 წელი (7 წელი პატიმრობა და 3 წელი გადასახლება), ფაქტიურად ინვალიდია, მხედველობა მაშინ ჰქონდა -10-12, დაავადებული აქვს შინაგანი ორგანოები და ეს კაცი ასეთი საშიშია თურმე საქართველოსთვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის. გარკვეული პროტესტი გამიჩნდა, რომ წავიკითხე დოკუმენტი, მივხვდი, თუ რატომ გამოგზავნეს გარკვეულმა პირებმა, რატომ მოახსენეს ასე გულისამაჩუყებლად ალ.

ინაურს ყოველივე ეს, თორემ, რამდენადაც ვიცი, თვით ინაურს ამის მაგვარი «პრობლემები» ძალიან არ აწუხებდა, მისთვის მთავარი იყო, ისეთი ურთიერთობები ჰქონოდა მოსკოვთან, რომ 90 წელს მიღწეული სამსახურიდან არ გაენთავისუფლებინათ. ამ ნაბიჯით კი კიდევ ერთხელ დაუმტკიცებდა მოსკოვს, რა ერთგული ვარ, აი, რა ერთგულია საქართველოს უშიშროება, ყველაფერს ყურადღებას ვაქცევთ, დროზე ვაფრთხილებთ, რომ ოპერატიული მდგომარეობა არ გართულდეს. ინიციატივა (დაბეზღება) დაგვიფასეთ, უფროსებო, მოიფიქრეთ რამე ან ერთად მოვიფიქროთ, რომ მერაბ კოსტავა თავის დროზე არ გამოვიდეს ციხიდან და არ აგვირიოს საქმეები.

შემიძლია, მხოლოდ ერთი რამ დავამატო. საკავშირო კაგებეს ცენტრალურ აპარატში მუშაობის გამოცდილებამ დამარწმუნა, ასეთი პირადი ინიციატივა, გამოჩენილი პერიფერიული ორგანიების მხრიდან, ყოველთვის იმსახურებდა ცენტრის ხელმძღვანელობის მოწონებას და გარკვეულწილად წახალისებასაც, ამიტომაც იყო, ალბათ, რომ მოსკოვში მხოლოდ ღიმილს იწვევდა და არა აღშფოთებას ის ფაქტი, რომ როცა 80-ანი წლების ბოლოს დაითვალეს, თუ რამდენი ლენინის ორდენი ჰქონდა მინიჭებული ალ. ინაურს, აღმოჩნდა რვა. ეს გინესის წიგნში შესატანი მაჩვენებელია, ვინაიდან არ ვიცი და არ მახსოვს, რომელიმე საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც სხვა ჯილდოებთან ერთად, რვა ლენინის ორდენი მოეპოვებიოს. ამ მხრივ ალბათ თვით ბრეჟნევსაც აჯობა ალ. ინაურმა. ლენინის ორდენის მიღების მექანიზმი არც ისეთი რთული იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელისათვის. მოსკოვი ხშირად არამისამართობრივად ანაწილებდა ორდენებს და მედლებს. საქართველოს გამოუყოფდა რამდენიმე შრომის გმირის, ლენინისა და სხვა ჩინ-მედლებს. ჩვენს შემთხვევაში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბიუროზე გამოიტანდა წინადადებას, თუ რომელი სამინისტროსათვის რამდენი ორდენი გამოიყოფებოდა, ყურადღების გარეშე, რა თქმა უნდა, უშიშროების კომიტეტი არასოდეს არ რჩებოდა. ერთ ლენინის ორდენს თავმჯდომარე კიდევ ჩამოიკიდებდა ხოლმე მკერდზე. ვიცი, რომ ეს შევარდნაძის ღიმილს იწვევდა. მას მიაჩნდა, რომ რადგან მოსკოვმა შესანიშნავად იცოდა ორდენების განაწილების მექანიზმი, ერთ მშვენიერ დღეს აღშფოთდებოდა ალ. ინაურის გამო (ე.ი. გარკვეულ წილად კომპრომეტირებას უწევდა ალ. ინაურს მოსკოვის თვალში). მაგრამ, რამდენადაც ვიცი, უშიშროების საკავშირო კომიტეტის ხელმძღვანელობა (ანდროპოვი), საკავშირო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას, სამხედრო ხელმძღვანელობას (რომელთა შორისაც ალ. ინაურის ამხანაგები და მეგობრებიც იყვნენ) აწყობდათ, რომ ე. შევარდნაძის გვერდზე ყოფილიყო «ობიექტური» ინფორმაციის მომწოდებელი, ვინაიდან გარკვეულ გაღიზიანებას იწვევდა მათში ე. შევარდნაძის ფიგურა, რომლის ქმედებებიც ხშირად მათი წარმოდგენით არ ექვემდებარებოდა ლოგიკას. ამის დამადასტურებლად იმის გახსენებაც კმარა, რომ 80-ანი წლების შუალედში, არ ვიცი რა დამსახურებისთვის და რისთვის, ალ. ინაურს საბჭოთა კავშირის გმირობა მიანიჭეს სამამულო ომში გამოჩენილი სიმამაცისათვის. რამდენადაც ვიცი, ალ. ინაურმა ომი დაიწყო მაიორის ჩინით კავალერიის ესკადრონის უფროსის თანამდებობაზე, ცხენით და, როგორც თვითონ ყვებოდა, მუცლით იხოხა უკანდახევის დროს 1941-1942 წლებში ვლადიკავკაზამდე. შემდეგ პოლკოვნიკი ალ. ინაური მეთაურობდა პოლკს, დივიზიას, კორპუსს, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში ირანში იყვნენ განლაგებულნი სხვა მოკავშირეებთან ერთად და წყნარად მიირთმევდა ჩაის და ყავას ირანის შახის გარემოცვაში. შემდეგ ისევ

რუსეთის ტრამალები, სამხედრო ნაწილები და ალბათ გენერალ-მაიორ-კავალერისტი ალ. ინაური საკმაოდ მოკრძალებულად დაამთავრებდა სამხედრო კარიერას, რომ იგი არ გახსენებოდა 1953 წლიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს და არ გადმოეყვანა კავალერისტი ე.წ. «салдафон»-ი საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. მკითხველი იფიქრებს, საიდან სადაო? მაგრამ ვინც ცოტათი მაინც იყო ჩახედული კომუნისტების საკადრო პოლიტიკაში, ეს არ გაუკვირდება. ამ სფეროში უფრო დიდი კურიოზების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს და არ წარმოადგენს ჩვენს ძირითად განსახილველ საკითხს.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ მ. კოსტავას. რამდენადაც შევძელი, აუჩქარებლად, რათა გარკვეული ეჭვი არ გამომეწვია, ვინტერესდებოდი, რით დამთავრდებოდა ეს ისტორია. თუ რას მოიმოქმედებდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. მაგრამ, დიდი ოპერატიული «ღონისძიებების» ჩატარება არც კი მომიხდა, რომ მიმეღო ამის შესახებ ინფორმაცია. როგორც ქართველი, ისე რუსეთის ჩეკისტები, ჩემი ნაცნობები და უცნობები საკმაოდ პირწყლიანობას იჩენდნენ, რომ მოეყოლათ იმ «წარმატებული» ღონისძიების გარშემო, რაც დაკავშრებული იყო მ. კოსტავას ისევ ციხეში დასაბრუნებლად.

მოვლენები კი ასე განვითარდა; მოსკოველმა ჩეკისტებმა ქართველების დახმარებით მოიფიქრეს შემდეგი: მ. კოსტავა ცხოვრობდა ერთ-ერთ სოფელში და განაგებდა პატარა ბიბლიოთეკას. იგი მეგობრობდა მეზობელ სოფელში უკრაინელ ანტისაბჭოთა დისიდენტთან, რომელიც პატიმრობაში დაჰყვა ჩეკისტების აგიტაციას და გახდა მათი აგენტი. მას ამზადებდნენ, რათა განთავისუფლების შემდეგ Dშეეყვანათ უკრაინულ ნაციონალისტური მოძრაობის ხელმძღვანელობაში, რამდენადაც ვიცი, ის ჩეკისტი, რომელმაც განახორციელა ამ კაცის გადაბირება, წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს და შემდეგ, ამ აგენტის უკრაინაში ჩასვლის დროს, გადაიყვანეს ქალაქ კიევში სამუშაოდ. ეს უკრაინელი დისიდენტი ცხოვრობდა მეზობელ სოფელში. რამდენადაც ვიცი, ხუთი-შვიდი კილომეტრით დაშორებული იმ სოფლიდან, სადაც მ. კოსტავა იმყოფებოდა, მაგრამ მთელი ჩეკისტური ჩანაფიქრი შემდეგში მდგომარეობდა: ეს ორი სოფელი სხვადასხვა ადმინისტრაციულ რაიონებს ეკუთვნოდა. საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთ მუხლში კი გარკვევით წერია, რომ გადასახლებაში მყოფ პირებს სასტიკად ეკრძალებათ გადალახონ იმ რაიონის ადმინისტრაციული საზღვარი, სადაც ცხოვრობენ. თუმცა ასეთი დარღვევა გამოიწვევს მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელს (ჯარიმას ან გაფრთხილებას და მეტს არაფერს). მაგრამ ამ დაკავების დროს თუ დაკავებულმა ან კანონის დარღვევაში მხილებულმა გასწია წინააღმდეგობა, ჩაიდინა ხულიგნობა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მილიციას (დამკავებლებს), მაშინ აღიძვრება ახალი სამძებრო საქმე და ისეთი პიროვნება, როგორც მ. კოსტავაა (გადასახლებაში მყოფი), ხელახლა გასამართლდება. ამის გაკეთება კი ჩეკისტებისათვის მხოლოდ ტექნიკური საქმე იყო.

მარტის დასაწყისში ციმბირში ჯერ კიდევ კარგი ყინვებია და დევს თოვლი. ერთ მშვენიერ დღეს მერაბ კოსტავამ მიიღო ამანათი: თხილი, კაკალი, თაფლი, ჩურჩხელა, გამხმარი ხურმა და, რა თქმა უნდა, 1,5 ლიტრი ჭაჭის არაყი (ჩხრეკის ოქმიდან, რომელიც დაპატიმრების შემდეგ ჩაატარეს კოსტავას ქოხში). მერაბმა ამ ამანათიდან რაღაც შეინახა, რაღაც გადააწყო და, როგორც გულუხვმა ქართველმა, გასწია სტუმრად თავის ახალშემენილ მეგობართან მეზობელ სოფელში (დარწმუნებული ვარ, ის მეზობელი სოფელი რომ სხვა რაიონს ეკუთვნოდა ადმინისტაციულად, ამის

შესახებ არაფერი იცოდა. არ ეცოდინებოდა არც ადმინისტრაციული კოდექსის მუხლის შესახებ). მივიდა მერაბი ამხანაგთან, გაშალეს სუფრა, დალიეს, როგორც პროტოკოლში წერია, 1 ლიტრი ჭაჭა და თავზე დაადგათ მილიცია (კაგებეს თანამშრომლები) იმ სოფლის უბნის რწმუნებულთან ერთად. გაუსინჯეს პასპორტი ორთავეს, უკრაინელთან სადავო არაფერი ჰქონდათ, ის თავის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მ. კოსტავას კი აუხსნეს, რომ მან დაარღვია ადმინისტრაციული საზღვარი და იმყოფებოდა სხვა ადმინისტრაციული საზღვრის ტერიტორიაზე, რისი უფლებაც არა აქვს. ალბათ წარმოიდგენთ, თუ რა რუსული სიტყვების ფონზე და რა ხმის ტემბრით აუხსნიდნენ ყოველივე ამას მ. კოსტავას. როგორც პროტოკოლში წერია, მ. კოსტავამ გაუწია «მედგარი» წინააღმდეგობა მილიციელებს, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ერთ-ერთ მილიციონერს აახია სამხრეები, ააწყვიტა ღილი და ეს მილიციელი შემდეგ სასამართლოზე წარსდგა, როგორც ფიზიკურად შეურაცხყოფილი, სათანადო სამედიცინო ცნობით იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულმა მას მიაყენა სხეულისათვის და სიცოცხლისათვის საშიში ტრავმა. დაკითხვას რუსი ჩეკისტებისა და მილიციელების გარდა, ესწრებოდა ჩეკისტი საქართველოდან (სლავური წარმოშობის ადამიანი, რომელმაც კარგად იცოდა როგორც მშობლიური, ასევე ქართული ენა). თავისი ხელით დაწერილ ოპერატიულ ცნობაში იგი წერდა, თუ რას ამბობდა გაბრაზებული და აღშფოთებული მერაბი ქართულად. ყოველივე ამ ინსცენირების შემდეგ მ. კოსტავა დააპატიმრეს, ერთ თვეში გაიმართა სასამართლო (რა ოპერატიულად, არა?) და ადამიანს, რომელიც ორ-სამ თვეში ელოდა განთავისუფლებას, გულით და სულით უკვე საყვარელ დედასთან ეგონა თავი და სამშობლოში დაბრუნებას ელოდებოდა, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურმა საბჭოთა სასამართლომ მიუსაჯა 5 (ხუთი) წლით პატიმრობა და ისევ მიაბრუნა ციხეში და არა გადასახლებაში. ბრწყინვალედ ჩატარებული ჩეკისტური ღონისძიებისთვის რუსმა და ქართველმა ჩეკისტებმა ჩებრიკოვის (თავმჯდომარის) განკარგულებით ახალი ჩინ-მედლები მიიღეს და საკავშირო და რესპუბლიკურ ოპერატიულ თათბირებზე ალ. ინაურმა ჩეკისტურ აუდიტორიას მოახსენა ბრწყინვალედ ჩატარებული ღონისძიების შესახებ, რომლის შედეგადაც გაუვნებელყოფილ იქნა საბჭოთა სახემწიფოს მტერი, გამოუსწორებელი ანტისაბჭოთა ელემენტი.

ამ ისტორიას ერთი დიდი გაგრძელებაც აქვს, რომელიც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თუ როგორი შეუდრეკელი იყო თავის შეხედულებებში მერაბ კოსტავა, ადამიანი, ფაქტიურად მრავალი სნეულებით დაავადებული, მხედველობადაქვეითებული, რომელიც ლინზებს ატარებდა და ერთ მეტრში ადამიანს მხოლოდ ხმის ტემბრით სცნობდა. მას ხომ უნიკალური სმენა ჰქონდა (ამაში ხელს უწყობდა მიღებული მუსიკალური განათლება).

შემდეგში, ჩავიხედე რა ჩემი მეხსიერების უჯრედებში, ამ წერილის წერის დროს გამახსენდა: დაახლოებით 1985-1987 წლებში, როცა გორბაჩოვმა დაიწყო ე.წ. თამაში, რაც პერესტროიკად იწოდებოდა, რეიგანთან შეხვედრის წინ და მსოფლიოში «დემოკრატიის» იმიჯისათვის მას არ აწყობდა _ საბჭოთა კავშირში ჰყოლოდა პოლიტიკური პატიმრები. მორჩილმა კაგებემ (უკვე კრუჩკოვია თავმჯდომარე) შესთავაზა ასეთი კომპრომისი: გაანთავისუფლებდა საპატიმროებიდან იმ პოლიტიკურ პატიმრებს შეწყალების სახით, რომლებიც სთხოვდნენ საბჭოთა ხელისუფებას, რომ ინანიებდნენ თავიანთ წარსულს, რომ ავად არიან, რომ არასოდეს ჩაიდენენ შემდეგში ანტისაბჭოთა ქმედებებს და ა.შ. ამის შემდეგ რამდენიმე პოლიტიკურმა პატიმარმა (მათ შორის _ ყარაბახის ნაციონალისტური მოძრაობიდან,

ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან და ზოგიერთმა ქართველმა პოლიტპატიმარმა, ახლა რომ ყველაზე ხმამაღლა გაჰყვირიან თავიანთ დიდ წვლილზე ნაციონალურ მოძრაობაში) დაწერა ასეთი შეწყალების ქაღალდი და ისინი განთავისუფლებულ იქნენ, ე.ი. იქნენ შეწყალებულნი ჰუმანური, დემოკრატიული ხელისუფლების მიერ.

ვიცი ფაქტობრივი მასალებიდან, მისაუბრია კიდეც რუს ჩეკისტებთან, ქართველებთან თუ საუბარი არ მქონია, წამიკითხავს მათ მიერ მოსკოვში გამოგზავნილი ოპერატიული ცნობები (დეპეშები) გაწეული მუშაობის შესახებ. მ. კოსტავასთან (პატიმრობაში) ორჯერ გააგზავნეს ოპერატიული მუშაკების ჯგუფი, სამი-ოთხი კაცი, მათ შორის ქართველებიც, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ მის დაყაბულებას, რომ დაეწერა ე.წ. მონანიების «прошение», როგორც ვიცი, ხან მუქარით, ხან დაყვავებით (პურ-მარილზე დაპატიჟებით) და ა.შ. მაგრამ მერაბმა ყოველივე ეს უარყო, ბოლოს დაპირდნენ _ დაწერე მონანიება და არსად არ გამოვაქვეყნებთო, არ გავამხელთო. თუ გინდა, ხელწერილსაც დაგიწერთო ამის შესახებ (სასაცილოა არა, კაგებეს თანამშრომლები უწერდნენ მერაბ კოსტავას ხელწერილს?!), მაგრამ მ. კოსტავა არ დათანხმდა და ეს ჩეკისტური ბრიგადები ხელმოცარულნი დაბრუდნენ მივლინებიდან. რამდენადაც მახსოვს, მზადდებოდა მ. გორბაჩოვის ცნობილი შეხვედრა რეიკიავიკში. ამ დროს საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციები, მათ შორის «ამნისტია» საბჭოთა კავშირში, «ჰელსინკის ჯგუფი», უცხოეთის რადიოსადგურები, ყოველდღე გაჰყვიროდნენ ეთერში, რომ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არიან პოლიტიკური პატიმრები, ასახელებდნენ მათ გვარებს და, რა თქმა უნდა, მათ შორის ერთ-ერთ პირველთაგანს მერაბ კოსტავას. როგორც ამბობენ, მ. გორბაჩოვს მოსწყინდა ეს კუკუდამალობანას თამაში პოლიტიკური პატიმრების შესახებ, დაიბარა კრუჩკოვი და უბრძანა, ერთ დღეში გაენთავისუფლებინათ პოლიტიკური პატიმრები, მათ შორის მერაბ კოსტავა და დაეხურათ პოლიტიკურ პატიმართა ციხეები _ ე.წ. «ДУБРАВ»-ბანაკები.

აი, ასე პირნათლად, წარბშეუხრელად, ღირესეულად გადაიტანა მერაბმა ყოველგვარი დამცირება, გვემა, შეურაცხყოფა და, რომ იტყვიან, «от звонка до звонка» მოიხადა უსამართლო სასჯელი. შეიძლება ეთანხმებოდე მის შეხედულებებს, შეიძლება გქონდეს განსხვავებული მოსაზრებანი, მაგრამ თუ ანალიზის უნარი გაგაჩნია, შეუძლებელია არ აღიარო: ამ კაცმა ღირსეულად იცხოვრა, მისი ცხოვრების წესი სამაგალითოა, სანიმუშოა, მერაბმა ღირსეულად ატარა ერის განთავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის მძიმე ტვირთი და როცა ბედმა ამ გზაზე ამდენი გაჭირვება არგუნა, იგი არ შედრკა. როცა ამას ვწერ, დამერწმუნეთ, მკითხველო, სრული წარმოდგენა მაქვს, თუ რას ნიშნავს 10-11 წელი ციხეებში, პოლიტიკურ პატიმრობაში ყოფნა, ყოველივე ამის ატანა, შენარჩუნება შენი კაცობისა, ადამიანობისა. არც ერთ ქართველ პატრიოტს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეს, არ გადაუტანია ამდენი ტანჯვა-წამება, გვემა.

მერაბი, შემიძლია, შევადარო დიდ წამებულ «წმინდა ილიას» და ყველა იმ ქრისტეს მოციქულ წამებულს, რომლებიც ეწამნენ თავისი რწმენისათვის, ქმედებისათვის _ ქრისტეს მოძღვრების გავრცელებისათვის. ალბათ ამის უფლებაცა მაქვს ვთქვა: თუკი ვინმე იმსახურებს წმინდანად შერაცხვას, მათ შორის არის წმინდა ადამიანი მერაბ კოსტავა.

ღმერთი დიდია და ყოვლისშემძლე. თითქოს განგებამ გადაწყვიტაო, რომ მ. კოსტავა წავიდა ამ ცხოვრებიდან ზუსტად იმ დროს, როდესაც ახლოვდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, და პირველი პრეზიდენტის (ზ.

გამსახურდიას, მისი თანამებრძოლის) არჩევა. დიახ, ჩემი აზრით და შეგნებით, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ზვიადის თანამებრძოლი იყო კოსტავა, უფრო სწორია თუ ვიტყვით: ეროვნული მოძრაობის სინდისი, მისი დროშა და მრწამსი იყო მერაბ კოსტავა. დანარჩენი მერე მოდის, მერე ჩნდებიან რევოლუციის შვილები. ალბათ ღმერთმა განსაჯა, როცა მერაბი წაიყვანა ამ ქვეყნიდან ზუსტად იმ დროს, როცა ეს მოხდა, ღმერთმა თითქოს იცოდა, რამდენად მცდარ, არასწორ, ამბიციურ, პოლიტიკურად გაუმართლებელ ნაბიჯებს გადადგამდა პრეზიდენტი და მისი ამალა. წარმოუდგენელი დომხალი ეროვნულ პოლიტიკაში, ნაციონალიზმის და შოვინიზმის ყლორტების აყვავება (როგორ გაჰყვიროდნენ ყველა მოსახვევში: მალაკნებისაგან, რუსებისაგან, ოსებისაგან, ბერძნებისაგან, აზერბაიჯანლებისაგან გამოვისყიდოთ სახლები, დავაბრუნოთ ქართველებიო). შემდეგ მივედით აფზახეთისა და სამხრეთ ოსეთის ტრაგედიამდე, ე.წ. «ერთი ქუჩის» სამოქალაქო ომამდე, პრეზიდენტის გაძევებამდე საქართველოდან, მის «თვითმკვლელობამდე» და ა.შ. ღმერთმა ისე წაიყვანა ეს წმინდა კაცი ამ ქვეყნიდან, რომ არ მიაღებინა მონაწილეობა ყოველივე ამ სიბინძურეში, არ დაანახა, თუ როგორ ხოცავდნენ ერთმანეთს დაუნდობლად ქართველები. ეს ის საქართველო, ეს ის ქართველები იყვნენ, რომლის განთავისუფლებისათვისაც მან თავი დასდო. მართალი გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, სად და როგორ იქნებოდა მ. კოსტავა მაშინ, როცა ქვეყნის მართვაში გამოჩნდებოდნენ «კანონიერი ქურდი» ჯ. იოსელიანი და თბილისელი «ძველი ბიჭი» თ. კიტოვანი, თ. სიგუა და სხვები. ვერ წარმომიდგენია მერაბი იმდროინდელი ფანატიკური მთავრობის რუპორის გურამ პეტრიაშვილის გვერდით, ლოთი ქობალიას გარემოცვაში, იმ არაპროფესიონალი მოხელეების და მინისტრების გვერდით, რომლებიც აღაზევა თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

დიახ, ღმერთმა არ ინება, რომ ეს წმინდა კაცი ამ სიბინძურის მონაწილე გამხდარიყო და წაიყვანა. ამით სიცოცხლე კი მოუსწრაფა, ამ ცხოვრების გახარებით არ გაახარა ციხეებისა და გადასახლების შემდეგ, მაგრამ ეროვნულ მეხსიერებაში დატოვა როგორც წმინდანი.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა მერაბმა ზვიადს უთხრა: ახლა საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერის გორბაჩოვის მოსვლით, მის მიერ გამოცხადებული «პერესტროიკისა» და გარდაქმნების ეპოქაში დგება ახალი ერა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საჭიროა უფრო აქტიური მოქმედება, ხალხის მოზიდვა, მათი კონსოლიდაცია საერთო საქმის გარშემო, მეტი კონტაქტი საზღვარგარეთის სამართალდამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ჰელსინკის ჯგუფი, «ამნისტია ინტერნეიშელი» და სხვ), კონტაქტის დამყარება სსრკ-ას ყველა რესპუბლიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ანტისაბჭოთა ლიდერებთან და განსაკუთრებით მოსკოვის ჯგუფთან (სახაროვი, ორლოვი, ნოვოდვორსკაია და სხვა), ბალტიისპირეთის თანამოაზრეებთან, აშშ-სა და ევროპის ცივილიზებულ, დემოკრატიულ სამყაროსთან და, თუ შესაძლებელია, მათ მთავრობებთანაც კი. საჭიროა ფინანსების მონახვა და სხვა და სხვა.

ფაქტიურად მათი საუბრის შინაარსი წარმოადგენდა მოქმედების გეგმას და ამიტომ დაიმსახურა ჯერ კიდევ საბჭოთა იდეოლოგიის წნეხის ქვეშ მყოფ ჩეკისტთა დიდი დაინტერესება, რადგან მათ ხელში აღმოჩნდა საპროგრამო დოკუმენტი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართულებებისა და ქმედების შესახებ. სასწრაფოდ შეადგინეს წერილი უშუალოდ გორბაჩოვის სახელზე (ასეთ წერილებს საერთოდ კაგებეში «записка в ЦК КПСС»-ს უწოდებნენ). ეს იყო ერთ-

ერთი უმაღლესი ფორმა პოლიტიკური ინფორმაციისა კაგებეს მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ასეთი წერილები იშვიათად იწერებოდა და თუ იწერებოდა და იგზავნებოდა, მაშინ ისინი ეხებოდნენ ყველაზე აქტუალურ თემებს. წერილი კი გაიგზავნა, მაგრამ გორბაჩოვის ცკ-ს და პირადად მას, ასეთი თემატიკა უკვე არ აინტერესებდა, სულ სხვა თემატიკა იყო მაშინ მათი პოლიტიკის მიზანი. ამიტომ, გორბაჩოვისა და იაკოვლევისაგან (ცკ-ს მდივანი იდეოლოგიაში) კაგებეს ამ წერილზე არავითარი პასუხი ან მითითება არ მიუღია. ასე ხდებოდა ფაქტიურად 1986 წლიდან 1991 წლის აგვისტომდე. მახსოვს, იმდენი წერილი გაგზავნა კაგებემ მთავრობაში ცენტრალური კომიტეტის მისამართით, მისი გენიალური მდივნის, შემდეგ პირველი პრეზიდენტის მისამართით _ ქვეყანაში ნაციონალიზმის, ექსტრემიზმის, მოზარდთა დანაშაულებრივი (კრიმინალური) დაჯგუფებების შესახებ, აფხაზეთის მოვლენებზე, სამხრეთ ოსეთზე, ყარაბახზე, დნესტრისპირეთზე, ყირიმის თათრებზე, ფერღანის მოვლენების შესახებ, ყაზანელი თურქების ნაციონალისტურ მოძრაობებზე, ალმაათაში 1986 წლის ამბოხების შესახებ (რაც გამოიწვია კუნაევის განთავისუფლებამ და კოლბინის დანიშვნამ) და სხვა და სხვა. მაგრამ, როგორც მოვლენათა მიმდინარეობამ დაგვარწმუნა, ყოველივე ეს კრემლს უკვე არ აინტერესებდა (კერძოდ _ გორბაჩოვს, იაკოვლევს, შევარდნაძეს და სხვებს). აინტერესებდათ მხოლოდ კრუჩკოვს, მედვედევს, ფალინს და, რაც მთავარია, ლიგაჩოვს და შემდეგ ლუკიანოვს, რომლებიც გარკვეულწილად იზოლირებულნი აღმოჩნდნენ ქვეყნის მმართველობიდან და გადამწყვეტ ძალას არ წარმოადგენდნენ იდეოლოგიური გზის განსაზღვრაში. ამიტომ კაგებეს ცენტრალური აპარატი და მისი ორგანოები პერიფერიებში თანდათან _ 1986 წლიდან მოყოლებული _ დემორალიზებული აღმოჩნდნენ და ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩაწყდა ენერგია «მუშაობისა». მთელი დღეები უსაქმურობაში გადიოდა. ილიას გმირივით კედლებს ათვალიერებდნენ და ჭერზე ბუზებს ითვლიდნენ. გარკვეულ ოპერატიულ ჯგუფებს აგზავნიდნენ ადგილებზე ნაციონალისტური-ანტისაბჭოთა ხანძრის ჩაქრობისა და ნეიტრალიზაციისთვის. ზუსტად ამ წლებში ვიყავი მივლინებებში 1986 წელს ყაზახეთში, 1987 წელს _ ფერღანაში, 1988 წელს _ ყარაბახში, 1988 წელს _ დნესტრისპირეთში, ყაზანში. მოვიარე თითქმის ყველა შუა აზიის რესპუბლიკა. 1987 წელს სამთვენახევარი ვიყავი მივლინებით ავღანეთში (ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ), მაგრამ, რაც ვნახე, რაც დავაფიქსირე, რა ანალიზიც გავაკეთე ე.წ. ადგილებზე არსებულ ოპერატიულ მდგომარეობების შესახებ, არც კაგებეში და არც საბჭოთა ხელისუფლებაში უკვე არავის არ აინტერესებდა. ქვეყანა, ხან ნელა, ხან ჩქარა, გარკვეული ტემპებით მიემართებოდა თვითლიკვიდაციისაკენ. და, მადლობა ღმერთს, თვითონ გაიკეთა ე.წ. «ხარაკირი». თუმცა, უკვე 1988 წლიდან ვიყავი დარწმუნებული, რომ ყოველივე ეს მოხდებოდა, მითუმეტეს, ისეთი დემაგოგიის, გაუწონასწორებელი, იმპულსური, თვითდაჯერებული, თავის თავზე შეყვარებული, ცოლის გავლენის ქვეშ მყოფი «გენიალური» ლიდერის ხელმძღვანელობით, როგორიც გორბაჩოვი იყო.

მაპატიეთ, გამიგრძელდა საუბარი და თემას გადავუხვიე... კოსტავასა და გამსახურდიას 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებამდე არასოდეს უსაუბრიათ იმის შესახებ, რომ ისინი როდესმე ქვეყნის მმართველობაში აღმოჩნდებოდნენ. მიმაჩნია, რომ ისინი, ისევე როგორც ჩვენ ყველანი, იმდენად ვიყავით დარწმუნებული კომუნისტური მმართველობის სიძლიერეში, რომ მაშინ ვერ წარმოვიდგენდით, ასე ხუხულასავით თუ დაინგრეოდა სტალინის მიერ შექმნილი, 1937 წლის წმენდით დაშინებული, სამამულო ომში გამობრძმედილი სახელმწიფო _ «Великий могучий

Советский Союз»-ი. შემდეგ ყველამ იცის, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. იყო 9 აპრილი, შემდეგ არჩევნები, მრგვალი მაგიდის გამარჯვება, მ. კოსტავას ტრაგიკული სიკვდილი, პირველი პრეზიდენტი, ГКЧП, სამოქალაქო ომი, პრეზიდენტის განდევნა, მისი თვითმკვლელობა, სუსტი შევარდნაძე (1991-1993წწ.), კანონიერი ქურდისა და ძველი ბიჭის, პოლიტიკური დილეტანტების ხროვის მმართველობა... შემდეგ ძლიერი (1993-2000წწ.) შევარდნაძის ოჯახის და მისი კლანის მმართველობა, კორუფცია, ქურდობა, ხალხის უკიდურესი გაღატაკება, სიბნელე, შიმშილი, მოსახლეობის სულიერი და მორალური მრწამსის დაქვეითება, დასმენა, მრუშობა... შემდეგ ვარდების რევოლუცია, ახალგაზრდული აგრესიული ძალების მოსვლა ქვეყნის მმართველობაში, იმედები განახლებისა, გაცრუებული იმედები... ჟვანიას დაღუპვა, კანონიერების განმტკიცების მცდელობები, ქვეყნის დემოკრატიზაციის მცდელობები, კორუფციასთან ბრძოლა, და ეს ყველაფერი გირგვლიანისა, რობაქიძისა და სხვათა აღვირახსნილი მკვლელობების ფონზე, როცა ხვდები, რომ ქვეყანაში მოქმედებს შერჩევითი კანონმდებლობა. აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) გადაუწყვეტელი პრობლემები, ათასობით ქართველი დევნილი და ეს არ არის სამწუხაროდ სრული ჩამონათვალი იმ უბედურებებისა, რაც ქართველმა ხალხმა გადაიტანა ამ 15-17 წლის განმავლობაში. 2003 წლის ნოემბერში, ე.წ. ვარდების რევოლუციის პირველ დღეებში, მოსკოვში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის კორესპონდენტმა ჩამომართვა ინტერვიუ, სადაც ჩემთვის ჩვეული ოპტიმიზმით შევხვდი ამ «რევოლუციას» და ინტერვიუ აკაკი წერეთლის სიტყვებით დავამთავრე «ახალგაზრდებო, გამოდით, გამოდით, თქვენი ჭირიმე!»-მეთქი. ჯერ კიდევ მინდა დავრჩე გამოუსწორებელ ოპტიმისტად. მიუხედავად მრავალი შეცდომისა, რომელსაც უშვებს ახალი მთავრობა, არ შეიძლება არ აღიარო: თუ შევარდნაძის დროს მთელი რუსეთის აგრესიულად განწყობილი საზოგადოება ყველგან გაჰყვიროდა, _ არ არსებობს ასეთი სახელმწიფო _ საქართველო, იგი არშემდგარი სახელმწიფოა, კლანური მმართველობით, კორუფციით (არადა, ამაში რუსეთს ვერასოდეს ვერ ვაჯობებთ), ახლა ყველამ იცის და მტრებიც აღიარებენ, რომ არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა თავისი ბრწყინვალე დროშით, გერბით და ჰიმნით.

შევეცდები ცოტა რამ მოგახსენოთ ჩემი პირადი დაკვირვების შესახებ, და შევეცდები მერაბ კოსტავას ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვას. ეს სუბიექტური აზრებია. ჩვენ სპეციალურ სკოლებში, როგორც დაზვერვის, ისე კონტრდაზვერვის სკოლებში, გვასწავლიდნენ ერთ საინტერესო საგანს, რომელსაც ერქვა _ ოპერატიული ფსიქოლოგია. იგი შეიცავდა საერთო ფსიქოლოგიას, ადამიანის გენეტიკურ ფსიქოლოგიას, მცირე ერთა და დიდ ეროვნებათა საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულ ე.წ. ეროვნულ ფსიქოლოგიას, მათ დამახასიათებელ თვისებებს და ა.შ. გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო საგანია ადამიანის ფსიქიკის შემეცნებისათვის. მიმაჩნია, რომ რაც უფრო სრულყოფილად ფლობს ადამიანი ამ საგანს, მით უფრო უადვილდება სხვადასხვა ეროვნების, ტომის, კლანის წარმომადგენელთან კონტაქტის დამყარება. პროფესიონალი ოპერატიული მუშაკისათვის კი ამ საგნის კარგად ცოდნა აუცილებელია.

ჩემი აზრით, მერაბ კოსტავა იყო ფსიქოლოგიურად ძალიან წყნარი, დინჯი, გადაწყვეტილების მიღებაში აუჩქარებელი, დაკვირვებული, მოვლენათა ანალიზის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ასეთ პიროვნებებს ფსიქოლოგიაში ფლეგმატურ პიროვნებად მიიჩნევენ. მაგრამ მერაბს ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი უეცარი ანალიზისა, ამიტომ მისი პასუხები ყოველთვის იყო მოკლე და კონკრეტული.

არასოდეს ცდილობდა, კითხვებზე ზოგადი პასუხი გაეცა. «მამხილებელი მასალების» წარდგენისას (ჟურნალები, რომელსაც 1976-1977 წლებში უშვებდნენ გამსახურდია და კოსტავა) არასოდეს უარყოფდა მათ გამოცემაში მონაწილეობას, ასახელებდა იმ სტატიებს, რომლის ავტორიც ან რედაქტორი გახლდათ, არასოდეს ასახელებდა იმ ავტორებს, რომლებიც ინკოგნიტოდ იღებდნენ ჟურნალების გამოშვებაში მონაწილეობას. არასოდეს არ აძლევდა მათ ანტისაბჭოთა მიმართულებას, ამბობდა, რომ ყოველივე მათში თქმული, მხოლოდ ასახავს დღევანდელ სინამდვილეს და მეტს არაფერს. პროვოკაციულ კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. როგორც ყოველთვის, გაჩუმდებოდა და მრავლისმთქმელად შემოგხედავდა (თითქოს გაკვირვებულია თქვენი შეკითხვით). საუბარში პაუზას გამოიყენებდა, სახეზე ცოტა ირონიული ღიმილი აღებეჭდებოდა, გაჩერდებოდა, ელოდა, როდის გადახვიდოდით შემდეგ თითქოსდა მისთვის ცნობილ ეპიზოდზე. ხმას არასოდეს არ აიმაღლებდა, ნერვიულ დაძაბულობას არ შეგამჩნევინებდა, ხმის ტემბრი ყოველთვის გამოზომილი, წყნარი, მშვიდი ჰქონდა. ასევე მშვიდად შეხვდა განაჩენს სასამართლოზე. არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას: «მე ვიცოდი და ახლაც ვიცი, რაზე მივდიოდი, როცა ყოველივე ამას ჩავდიოდი, ხოლო თქვენი სამართალი მე არ მაინტერესებს, იგი ჩემთვის დიდიხანია ცნობილია». მ. კოსტავას ჰქონდა ღვთის მიერ მინიჭებული უნარი საუბრის მოსმენისა, როცა რაიმეს უყვებოდით, მზად იყო ჩუმად, წყნარად ესმინა, საუბარში ბოლომდე არ ჩაერეოდა, არ გაგაწყვეტინებდათ დიალოგს, მის სახეზე მოსაუბრეს ყოველთვის შეეძლო ამოეკითხა ინტერესი საუბრის მიმართ. გრძელი, გადაბმული მსჯელობები არ უყვარდა, მისი პასუხი ხშირად მოკლე და ლაკონური იყო. ამ მოკლე პასუხებში კარგი მსმენელი თვით გაიგებდა თუ რა ინტელექტუალურ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე. თავისუფლად, ლოგიკურად მსჯელობდა, ხელოვნებაზე, ისტორიაზე, პოლიტიკაზე, სპორტზე და სხვა.

მკითხველს დაებადება შეკითხვა თუ რატომ ვაძლევ თავს უფლებას და ვხატავ ჩემი შეხედვით ასეთი ბუმბერაზი კაცის პორტრეტს. ეს დაკვირვებები (არა სპეციალურად ჩატარებული, არამედ ცხოვრებისეული) ჩამომიყალიბდა მას შემდეგ, რაც წავიკითხე მ. კოსტავას საგამოძიებო საქმე (საქართველოში). არაერთხელ მისაუბრია იმ გამომძიებლებთან (ჩემს ამხანაგებთან), რომლებსაც მიჰყავდათ მისი საქმე, არაერთი მასალა წამიკითხავს კოსტავაზე _ გამოგზავნილი საქართველოს კაგებედან მოსკოვში. მისაუბრია იმ რუს კოლეგებთან, რომლებიც იყვნენ მ. კოსტავასთან კონტაქტში მისი გადასახლების დროს და, როგორც ზევით მოგახსენეთ, მისი ხელახლა დასჯის «ოპერატიული ღონისძიებების» დროს.

როცა თბილისში ვმუშაობდი და ვცხოვრობდი, მაშინ საკმაოდ ბევრი გვყავდა საერთო მეგობრები ან ამხანაგები და ჩვენი შეხვედრები, მართალია, ძალიან ეპიზოდური, ხანმოკლე იყო, მაგრამ მათ გახსენებითმა ანალიზმა გარკვეული წარმოდგენა ჩამომიყალიბა.

და თუ არა ეს პატარა მოგონება, ალბათ არასოდეს არავის არ მოვუყვებოდი, ერთ ეპიზოდს, ჩვენი გაუთვალისწინებელი (შეიძლება ღმერთის და მხოლოდ ღმერთის მიერ დაგეგმილი) შეხვედრისა, რომელიც შედგა დაახლოებით 5-6 თვის შემდეგ კოსტავას გადასახლებიდან ჩამოსვლისა. ღმერთმა ისე ინება, რომ ამ დროს ვიმყოფებოდი საქართველოში, თბილისში, შვებულებაში. ოჯახით დავისვენე ლიკანში და რამდენიმე დღით ჩამოვედი თბილისში. დაგეგმილი მქონდა, მომენახულებინა თანაკლასელები, ცხოვრებაში შეძენილი მეგობრები, ინსტიტუტის მეგობრები, ახლობლები, ნათესავები და სხვა, და მათ შორის _ ადამიანი, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემდი, ვაფასებდი, მიყვარდა, როგორც ვაჟკაცი, კაცური

კაცი, ერუდიტი, ინტელექტუალი, დინჯი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანთა ურთიერთობაში, დიდი იუმორის ნიჭით დაჯილდოებული მწერალი ვლადიმერ (ჩვენთვის ვოვა) სიხარულიძე, რომელიც ტერიტორიულად ძალიან ახლოს ცხოვრობდა და დიდი ხანია (ბავშვობიდან) მეგობრობდა მერაბთან. თარიღი არ მახსოვს, მაგრამ მახსენდება, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ჯერ დატრიალებული არ იყო. ვეწვიე ვოვა სიხარულიძეს ისე, რომ წინასწარ არ გამიფრთხილებია. იქ დამხვდა მერაბ კოსტავა (პარადოქსია და მეტი არაფერი): ციხიდან განთავისუფლებული ანტისაბჭოთა ელემენტი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, იდეებისათვის წამებული პიროვნება და უცებ _ საკავშირო კაგებეს განყოფილების უფროსის მოადგილე (განყოფილებისა, რომელიც საკავშირო მასშტაბით «ებრძოდა» ე.წ. ნაციონალიზმს, ეროვნულ თვითშეგნებას), ჯერ კიდევ მაშინ პოლკოვნიკი. ვიმეორებ მხოლოდ ღმერთს შეეძლო «ჩაეწყო» ასეთი შეხვედრა.

რამდენადაც მახსოვს და კარგად მახსოვს, ვოვამ პატარა პურ-მარილი გაგვიშალა. საბედნიეროდ, შუადღე იყო, არავის არ შევუწუხებივართ. ვოვა ტელეფონის ზარებს არ პასუხობდა და ჩვენ თითქმის სამი-ოთხი საათი ვისაუბრეთ. შემდეგ ვოვა და მერაბი რუსთაველის პროსპექტს გაუყვნენ სასეირნოდ, მე კი საქმეები მოვიმიზეზე და უმიზეზოდ მეტრო «რუსთაველში» ჩავედი. მართალია, საკმაოდ ნასვამი ვიყავი, მაგრამ ძალიან პარადოქსულად მომეჩვენა ჩვენი რუსთაველზე ერთად გასეირნება. ვოვას და მერაბს ხომ მთელი თბილისი იცნობდა, მეც ხომ თბილისელი ვარ და რუსთაველზე გავიზარდე. და სამთავეს უამრავი როგორც ცალკე, ისე საერთო ნაცნობი გვყავდა. საინტერესოა, რას იფიქრებდა თბილისის ჭორიკანა საზოგადოება, როცა დამინახავდა მე რუსთაველზე _ ორ დისიდენტ მწერალთან მოსეირნეს ან პირიქით, ვოვას და და მერაბს _ კაგებეს თანამშრომელ პოლკოვნიკთან ტკბილად მოსაუბრეს?! ამიტომ გაცლა ვარჩიე...

ყოველივე ეს იმისათვის გავიხსენე, რომ წარმოდგენა შეგიქმნათ თუ როგორ თანდათან ვაკოწიწებდი ჩემს დაკვირვებებს მერაბის პიროვნების გარშემო. შემდეგ, როცა მერაბი ტრაგიკულად დაიღუპა, ისევ თბილისში აღმოვჩნდი და მე და ჩემმა უფროსმა შვილმა გიამ მონაწილეობა მივიღეთ მის დასაფლავებაში, დემონსტრაციულად, დაუფარავად, და უნდა გენახათ, ზოგიერთი სახე ჩემი ნაცნობებისა, სახელმწიფო ჩინოვნიკებისა, მწერლებისა და პოეტებისა, რომლებიც მე და ჩემს შვილს ამ სამგლოვიარო პროცესიაში გვხედავდნენ.

დამატებით ერთ ფაქტს მოგახსენებთ: 1989 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისში ჩამოვედი საქართველოში მივლინებით და ამხანაგებს (ვაჟა ლორთქიფანიძე, ზურაბ აბაშიძე, დავით ზვიადაძე) ვთხოვე მოვენათლე. ალბათ ვ. ლორთქიფანიძის და ზ. აბაშიძის კომკავშირულ-პარტიულ წარსულს იცნობს მკითხველი. თუმცა მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა (სხვათა შორის, მეორე მათგანი მაშინ ჯერ არსად არ მუშაობდა), სიამოვნებით მიიღეს ეს შეთავაზება და ალბათ მთელი ღამე არ ეძინათ სენსაციის მოლოდინში. ხუმრობა ხომ არ იყო, მაშინდელი კაგებეს პოლკოვნიკის, მისი ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი პიროვნების მონათვლა. მონათვლის პროცესია ჩაატარა, მე მგონი, ვაჟას ნათესავმა მღვდელმა გვარად ლორთქიფანიძემ, რომელმაც პირველი კითხვა, რომელიც დამისვა შემდეგში მდგომარეობდა: «ხომ არ დავხუროთ ეკლესია, რომ თქვენი ნათლობის ამბავი ქალაქში არ გავრცელდეს?» მე ვუპასუხე დაახლოებით ასე: «დასამალი არაფერი მაქვს, ჩემი ნაბიჯით და შეგნებით მოვედი ღმერთთან, რწმენასთან, მინდა გავქრისტიანდე და თუ შეიძლება ყველა კარი და ფანჯარაც გააღეთ, დაე, ყველამ გაიგოს, რომ ერთი განდგომილი უბრუნდება

ღმერთს-მეთქი». სრულებით არ მინდა თავი რაინდად წარმოგიდგინოთ. ჩემი ნათლობა შესდგა 9 აპრილის ტრაგედიიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. მანამდე, მოსკოვში, მე ერთი კვირის განმავლობაში ვათვალიერებდი თბილისიდან ჩამოტანილ მეტად ხანგრძლივ კინოფირს და წავიკითხე 50-70 ყუთი ოპერატიული ჩანაწერები.

როცა მოსკოვში დავბრუნდი და სამსახურს შევუდექი, გამომიძახეს პარტიულ კომიტეტში (უკვე აგორებული იყო საბჭოთა სახელმწიფოში იდეა მრავალპარტიულობისა). ამ საუბარს კადრების სამმართველოს უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი პერაჟკოვიც ესწრებოდა. თურმე მიუღიათ თბილისიდან დეპეშა-დაბეზღება, რომ მათი მუშაკი პოლკოვნიკი ასე გამომწვევად მოინათლა ეკლესიაში. უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს კაგებეში ყოველთვის მყავდა ე.წ. «მეგობრები», რომლებმაც «შანსი» არ გაუშვეს და დამასმინეს მოსკოვში. საუბარი დაახლოებით ასე მიმდინარეობდა. პერაჟკოვი მენტორული ჩახლეჩილი ხმით შემეკითხა, მართალია თუ არა ის, რაც თბილისმა შეატყობინა ჩემი ნათლობის შესახებ. მე ვუპასუხე, მართალია-მეთქი. კითხვაზე, თუ რატომ გავაკეთე ეს, მე ვუპასუხე: ეს ჩემი გულის გამოძახილი იყო, ანდა შთაგონებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი-მეთქი (ნათლიების პიროვნებებმაც გააკვირვა გენერალი). რამდენიმე წამის პაუზის შემდეგ თქვა: «ჩემთვის ცხადია, რატომ ჩაიდინეთ ეს. გინდათ ხმაურით გაიხუროთ კარები, მაგრამ ჩვენ ამ სიამოვნებას არ მოგანიჭებთ. წადით და იმუშავეთ. დადგება დრო და, როგორც დაიმსახურეთ, ისე გაგაძევებთ, ოღონდ არა ახლა _ თქვენთვის ხელსაყრელ სიტუაციაში». რა მეთქმოდა?! ამაზე, მართალი გითხრათ, მაშინ არც მიფიქრია, რომ ვინმეს თვალში «გმირად» გამოვჩენილიყავი. უბრალოდ ეს ჩემი გულის გამოძახილი იყო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს დააფიქსირეს ჩემს პირად საქმეში და ელოდნენ სასურველ მომენტს ჩემი გამოძევებისა, რომელიც ალბათ ГКЧП-ს გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად დადგებოდა, მაგრამ მოვლენები ისე დინამიურად იცვლებოდა, რომ მაშინ ჩემთვის არავის ეცალა. მაგრამ როცა 1992 წლის იანვარში რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამინისტროს პირველი მოადგილის თანაშემწედ დამნიშნეს, ხოლო იგივე პიროვნების მინისტრად გახდომის შემდეგ _ 1992 წლის აგვისტოში _ მინისტრის მრჩევლად, მაშინ დასაშვებია ამ ეპიზოდმა ჩემს დაწინაურებაში გარკვეული დადებითი როლიც ითამაშა.

ერთსაც მოგახსენებთ: ბედნიერება მქონდა, ჯერ კიდევ ხელნაწერში წამეკითხა გახმაურებული მოთხრობა (გურამ სხირტლაძისა) «უცხო ქალაქში» და ვოვა სიხარულიძის ალეგორიული, ეზოპეს ენით დაწერილი პიესა საბჭოთა სინამდვილის შესახებ, რომელიც შემდეგში რობერტ სტურუამ დადგა რუსთაველის თეატრში და სადაც ბრწყინვალედ ითამაშა ეროსი მანჯგალაძემ. ამ ალეგორიის შესახებ ვიცოდით მხოლოდ მე და ავტორებმა. შემდეგ დიდხანს ვესაუბრე მათ (რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე), რამდენადაც შემეძლო, გავუხსენი ბრჭყალები ალეგორიისა, მათი ჩანაფიქრისა და ორივეს პასუხი დაახლოებით ერთი და იგივე იყო: «კიდევ კარგი, რომ ცენზორები ასეთი ანალიზის უნარს არ ფლობენო».

ერთიც მახსენდება: საქართველოში ჩამოსული მ. კოსტავა თითქმის ყოველდღე დაჰყვებოდა მის მეზობლებს, ამხანაგებს, ნათესავებს, ნაცნობებს და უცნობებს, ეხმარებოდა ჩაწერაში, ბინის მიღებაში, მილიციიდან ახლობლების განთავისუფლებაში, პენსიის დანიშვნაში და ა.შ. ამის კონკრეტული მაგალითებიც ვიცი, მაგრამ არა მგონია საზოგადოებისათვის ეს საინტერესო იყოს. ჩემთვის კი ის იყო საინტერესო, რომ ციხიდან გამოსულ ანტისაბჭოთა დისიდენტს თითქმის ყველა რანგის საბჭოთა მოხელე უღებდა კარს, უსმენდა და უსიტყვოდ უსრულებდა

თხოვნას, კარებამდე აცილებდა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დასრულების წლებში (1988-1991წწ.) კოსტავას ჰქონდა დიდი ავტორიტეტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირისა, ყველამ იცოდა, რომ მან ბოლომდე გაუძლო ყველა განსაცდელს, ბოლომდე იწვნია ტანჯულისა და წამებულის ხვედრი და არ დაიჩოქა, არ დათმო არაფერი. ბევრს შურდა კიდეც ბედი წამებულისა, ვინაიდან არავინ არ იყო დარწმუნებული, შესძლებდა თუ არა იგივეს.

ცოტა რამ თამარ ჩხეიძის შესახებ

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩანაწერებზე მუშაობისას არავითარი შეხება არქივებთან არ მქონია. უკვე 16 წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირი მარტივ მამრავლებად არის დაშლილი, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკურ სუბიექტებს წარმოადგენენ. ბედის ირონიით თუ სხვა მიზეზებით, მე და ჩემი ოჯახი სხვა ქვეყნის მოქალაქენი ვართ. როცა უშიშროების სისტემაში ვმუშაობდი, მაშინ არა მარტო არ მიფიქრია, არამედ ვერც წარმომედგინა რაიმე ჩანაწერების შენახვა ან მათი კოპირება. ეს არც შეიძლებოდა იმ ინსტრუქციებით, რაც სუფევდა უშიშროების სისტემაში. თითქმის ყველა დოკუმენტს ჰქონდა გრიფი _ «საიდუმლო», «მეტად საიდუმლო», «უაღრესად საიდუმლო», «კოპირება აკრძალულია», მითითებით _ სად უნდა ინახებოდეს და რა პირობებში. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემს ნაამბობში შეიძლება გაიპაროს გარკვეული უზუსტობანი _ განსაკუთრებით თარიღებთან მიმართებაში, რადგან ვწერ ჩემი მეხსიერების დახმარებით, ე.ი. ვწერ იმას, რაც გამახსენდა, რაც მახსოვს და, რა თქმა უნდა, რომელი მოვლენის თუ ფაქტის უშუალო მონაწილეც გახლდით.

დაახლოებით 70-ანი წლების შუალედში საქართველოს უშიშროების კომიტეტს შეატყობინეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის შეიქმნა ანტისაბჭოთა დაჯგუფება, ხუთი სტუდენტი გოგონასი (ვიმეორებ _ მხოლოდ გოგონებისა) და რომ ამ ანტისაბჭოთა ჯგუფს ხელმძღვანელობს საყოველთაოდ ცნობილი კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის ქალიშვილი თამარ ჩხეიძე. დადგენილ იქნა ჯგუფის წევრების სახელები და გვარები. მათ შორის იყო ახლა უკვე ქალბატონი ნ. კაკაბაძე (პოლიტპატიმრების საზოგადოებრივი ორგანიზაცია). სხვათა შორის, ამ ჯგუფიდან ბოლომდე თანამოაზრეებად შერჩნენ თ. ჩხეიძე, ნ. კაკაბაძე და მესამე გოგონა (ალბათ ახლა უკვე ქალბატონი), რომლის გვარიც არ მახსოვს. დანარჩენები უნივერსიტეტის პედაგოგების «პროფილაქტიკური» ღონისძიებებისა და მათ მშობლებთან სათანადო საუბრების ჩატარების შემდეგ ჩამოშორდნენ დაჯგუფებას. ასეთივე ორი «აღმზრდელობითი» საუბარი ჩაუტარა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონ რეზოს. ერთ-ერთს მე ვესწრებოდი, ვინაიდან შემდეგში უნდა შემედგინა ამ საუბრის შინაარსის ოპერატიული ცნობა (აბა, ამ ცნობას თავმჯდომარე ხომ არ დაწერდა?), საერთოდ უნდა ითქვას, რომ გარკვეული თანამდებობის მიღწევის შემდეგ (განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე) ეს ხალხი თვითონ არავითარ დოკუმენტს არ ქმნიდა. როგორც წესი, მათ მოვალეობას შეადგენდა მითითებისა და წერილობითი რეზოლუციების გაცემა.

ბატონი რეზო მისთვის ჩვეული სიდინჯითა და დარბაისლობით უსმენდა ინაურს. თავმჯდომარის საუბრის აქცენტი ძირითადად მიმართული იყო იმისკენ, რომ მოსაუბრისათვის დაეხატა მისი მეტად «არასახარბიელო» _ შეიძლება საჩოთირო _ მდგომარეობა: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი

საბჭოს დეპუტატის, მრავალი სახელმწიფო პრემიის მფლობელის შვილი ეწეოდა ანტისაბჭოთა საქმიანობას, რომ იტყვიან, «ჩირქსა» სცხებდა საბჭოეთის «დემოკრატიულ» წყობას.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სახელოვანმა ქართველმა რეჟისორმა, რომელსაც ადვილად წარმოედგინა, თუ რა საუბარი ელოდა უშიშროების კომიტეტში, წინასწარ შექმნა თავის წარმოდგენაში საუბრის სცენარი, მისი რეჟისურა და თანდათან საუბრის მსვლელობა მის სასარგებლოდ წაიყვანა: მან, რა თქმა უნდა, უკვე ჩაუტარა შვილს რამდენიმე «აღმზრდელობითი» საუბარი და კიდევ და კიდევ ჩაუტარებს მას. სამწუხაროდ, ის თამრიკოს დედასთან განქორწინებულია, ამიტომ თამრიკო მასთან არ იზრდება, არა აქვს საშუალება ყოველდღიური მეთვალყურეობისა. ახლა შვილის «დანაშაულებრივ» ქმედებებს იღებდა თავის თავზე, როგორც მშობელი, რომელმაც შვილი სათანადოდ ვერ გაზარდა და სხვა. ერთი სიტყვით, სუფთა დიპლომატიური «დემაგოგია»: საუბარში არ აზუსტებდა, თუ რაშია მისი შვილი დამნაშავე, ე.ი. მის ე.წ. «დანაშაულს» არ აღიარებდა. ამით თითქოს იმის თქმა სურდა, რახან თქვენ ასე მიგაჩნიათ, ალბათ დამნაშავეაო... ეს საუბარი დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა, ყოველ შემთხვევაში, უშიშროებამ ქულა ჩაიწერა, ანტისაბჭოთა ელემენტის დიდი ავტორიტეტის მქონე მშობელთან სათანადო საუბარი ჩაატარა, არა უბრალო საუბარი, არამედ პროფილაქტიკური საუბარი. მაგრამ რამდენადაც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ამ «საუბარს» თვით თამარზე არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია. თ. ჩხეიძე და მისი ჯგუფი სტაბილურად აწყობდა ე.წ. სტუდენტურ (მართალია, მცირერიცხოვან) მიტინგებს და მანიფესტაციებს. ერთ-ერთი ასეთი მანიფესტაცია მოეწყო მცხეთაში _ სვეტიცხოვლის ეზოში (მართალი გითხრათ, არ მახსოვს მანიფესტაციის «მიზეზი» და მონაწილეთა პოლიტიკური მოთხოვნები). უშიშროების კომიტეტის მითითებით მცხეთის მილიციამ სცადა მანიფესტაციის დაშლა, რასაც მოჰყვა სტუდენტებისა და თვით ჩხეიძის გარკვეული წინააღმდეგობა. ვიღაცა ჭკვიანს (უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობიდან), რომელიც აკვირდებოდა ამ პროცესს ადგილზე, მოეჩვენა ან უნდოდა რომ მოჩვენებოდა, თ. ჩხეიძემ წინააღმდეგობის გაწევის დროს როგორი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ მილიციელს. ამ «სტრატეგი» ოფიცრის მიერ გაიცა განკარგულება, თ. ჩხეიძის ადმინისტრაციული დაკავებისა და მცხეთის მილიციამ ადგილზე შეადგინა ოქმი _ «მილიციის მუშაკებისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წინააღმდეგობის გაწევისა და სხეულისათვის საზიანო ფიზიკური დაზიანების მიყენებისა», რომელიც იმ დღესვე სათანადო სამედიცინო ცნობით იქნა დადასტურებული, რომლის საფუძველზეც აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე. «გამოძიება» შესაშური სისწრაფით ჩატარდა და დაახლოებით ერთ თვეში ქ. მცხეთის საქალაქო სასამართლომ მოისმინა სისხლის სამართლის საქმე თ. ჩხეიძის, ნ. კაკაბაძის და მათი ამხანაგების წინააღმდეგ.

აი, ეს სასამართლო კი ნამდვილი «ცირკი» იყო: წარმოიდგინეთ დაახლოებით ერთი მეტრი და 80 სანტიმეტრის სიმაღლის ახოვანი, გაჟიჟღინებული ვარდისფერლოყებიანი მცხეთელი მილიციელი თუ როგორ უმტკიცებდა სასამართლოს, როგორ მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა (გალახა) ალბათ მეტრნახევარი სიმაღლის სიფრიფანა გოგონამ თამარ ჩხეიძემ. ეს სცენა იტალიურ კინო-რენესანსის შესანიშნავი დადგმა გახლდათ და ალბათ შურის თვალით შეხედავდნენ მას ისეთი მსოფლიოს კომიკები, როგორებიც ფერნანდელი და ტოტო იყვნენ, ან ქართველი იპოლიტე ხვიჩია და აკაკი კვანტალიანი. სასაცილო მართლაც ბევრი იყო, და ხალხმაც გულიანად იცინა, მაგრამ რა _ «მსჯავრდადებულებს»

მსოფლიოში ყველაზე სამართლიანმა საბჭოთა სასამართლომ ერთი წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

მეორე სასაცილო ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც თამარი ამთავრებდა სწავლების კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულ-ტეტზე. რომელიღაც არანაკლებ «ჭკვიანს» უშიშროებაში მოუვიდა გენიალური აზრი _ ზემოქმედება მოეხდინათ უნივერსიტეტის საატესტაციო კომისიაზე, რათა გამოსაშვებ გამოცდებზე სტუდენტ თამარ ჩხეიძეს არ მიეღო ნიშანი ხუთი და არ გამხდარიყო ე.წ. «წითელი დიპლომის» მფლობელი. სასაცილოა არა? დიახ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ანდა რა ესაქმებოდა ამ საქმეში უშიშროებას? რა მისი საქმე იყო, თუ რა ნიშანს დაუწერდნენ თ. ჩხეიძეს?! ალბათ მიაჩნდათ, რომ ამით მის ავტორიტეტს დასცემდნენ. საერთოდ კი, თუ მოწინააღმდეგე გყავს, არა სჯობია, რომ ის ჭკვიანი იყოს და თუ შენ ამის პოტენციალი გაქვს, ჭკვიანს შეეპაექრე (ეს ისე, სიტყვაზე).

კურიოზული იყო აგრეთვე თ. ჩხეიძის სამუშაოზე განაწილება. უშიშროების ზემოთხსენებულმა «ჭკვიანმა» მოხელეებმა ყველა ზომა იხმარეს, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თამარ ჩხეიძე სამუშაოდ თბილისში არ გაენაწილებინათ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან «დიდი ჩაწყობის» შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ჩხეიძე საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლაში მიავლინეს სამუშაოდ. ესეც თავისებური «მახე» იყო: ვნახოთ, წავა თუ არა ასეთი სახელოვანი ქართველის ქალიშვილი სოფელში სამუშაოდ, როგორც ყველა ე.წ. «უპატრონო» სტუდენტი. თუ თავს აარიდებს განაწილებით მუშაობას, აი, მაშინ გვექნება საფუძველი მისი კომპრომეტირებისათვის და შეიძლება _ დასჯისათვისაც.

რაიკომის მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა ახლადგამომცხვარ ისტორიის მასწავლებელს საცხოვრებლად კოტეჯი გამოუყო _ არც თუ ისე იაფფასიანი და მდარე სტანდარტული ავეჯით. ასეთ პირობებში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი სიამოვნებით წავიდოდა სამუშაოდ, თანაც _ არა მარტო ბარაქიან გარე კახეთში, არამედ რაჭაში, სვანეთში, აჭარაში და სხვა პროვინციაში და არ გვექნებოდა ექიმებისა და პედაგოგების დეფიციტი მთიანი რაიონების სოფლებში. აბა რას იზამდა ქალბატონი მედეა? საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორის, საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატის და ლენინის პრემიის ლაურეატის შვილს საერთო კომუნალურ საცხოვრებელში ხომ ვერ დააბინავებდა?! კარგი, ბატონო, ვთქვათ, უშიშროება _ შავბნელი ძალა დემოკრატიულად იყო განწყობილი ანტისაბჭოთა ელემენტისადმი, მაგრამ დავფიქრდეთ, ვის ბრძანებებს ასრულებდა ეს შავბნელი ძალა? რა თქმა უნდა, კომუნისტური პარტიისა და მისი მოხელეებისას. ამიტომ, როგორც ქალბატონი თ. ჩხეიძე, ისე ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა და ბევრი სხვა უფრო მეტად მათი (კომუნისტების) იდეური მტრები იყვნენ, მათი მმართველობის მტრები, მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ქალბატონი მედეა, ასევე მისი თანაპარტიელები, სულიერად და შინაგანად ისეთი კომუნისტები იყვნენ, მე რომ ვამტკიცო ახლა _ ჩინგის ხანის შთამომავალი ვარ-მეთქი...

დამერწმუნეთ, უცნაური დრო იყო, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ყველაზე მახვილ პოლიტიკურ ანეკდოტებს პარტიული ლიდერების საუბარში და გარემოცვაში გაიგებდი. საინტერესოა ვის დასცინოდნენ ისინი? _ საკუთარ თავს თუ ხალხს, რომელიც ყოველივე ამას უდრტვინველად იტანდა?! როგორც მოგახსენეთ, გუშინდელი სტუდენტი კოტეჯის პატრონი გახდა. აბა უშიშროება ამ

«შესაძლებლობას» ხომ არ გაუშვებდა ხელიდან: გამოყოფილ კოტეჯში სასწარაფოდ ჩატარდა «რემონტი» და ამ «რემონტის» დროს დამონტაჟდა სასმენი აპარატურა, რათა ყოველწუთიერად მოესმინათ ახალგაზრდა პედაგოგისათვის, თუ როგორ ემზადება ისტორიის გაკვეთილების სოფლის სკოლაში ჩასატარებლად, ანდა როგორ უტარებს ანტისაბჭოთა აგიტაციას თანამზრახველებს და რა გეგმებს სახავს საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებისა თუ დამხობისათვის. მაგრამ ქალბატონ თამარის «ოპერატიული დამუშავება» დიდხანს არ გაგრძელდა. სულ რაღაც ორ თუ სამ თვეში (როგორც კი ზამთარი დადგა) სათანადო ორგანოებში წარდგენილ იქნა სამედიცინო ცნობა თ. ჩხეიძის რაღაც სნეულების შესახებ (რა თქმა უნდა, არავითარი სენი მას არ სჭირდა), სადაც ექიმები რეკომენდაციას იძლეოდნენ, რომ საგარეჯოს კლიმატურ პირობებში ამ ავადმყოფის (?!) ყოფნა და მუშაობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. აბა იმას რა მიხვედრა უნდოდა, რომ ე.წ. «სამედიცინო ცნობა» ყალბი იყო და უშიშროების ჩარევით ამის გამოაშკარავებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა, მაგრამ, არ ვიცი უშიშროებას შეიძლება «მოსწყინდა» თბილისში ობიექტის (თ. ჩხეიძის) გარეშე ყოფნა, ანდა ამ თოვლ-ჭყაპში თბილისიდან საგარეჯომდე წამდაუწუმ ხეტიალი და ობიექტმაც და ოპერატიულმა ჯგუფმაც «გადაწყვიტა» ე.წ. «კუკუდამალობანა» ქალაქის პირობებში «ეთამაშათ»...

თ. ჩხეიძისა და ნ. კაკაბაძის ძალისხმევით, მათი დიდი საორგანიზაციო თუ პროპაგანდული (რა თქმა უნდა, სიტყვიერი, აბა მაშინ სად ჰქონდათ მათ სხვა საშუალება?) ინიციატივით, იმართებოდა 1978 წელს მიტინგები ქართული ენის დაცვისათვის.

მკითხველს მინდა გავახსენო, რომ 1978 წელს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება შეემუშავებინათ და საწარმოო დაწესებულებებში (როგორც ეს მაშინ იყო მიღებული) «განეხილათ» _ ე.ი. «ერთხმად მიეღოთ» მათ მიერ კრემლში შედგენილი საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია. ძირითადად ამ «კონსტიტუციაში» გადამღერებული იყო 1936 წლის «სტალინური კონსტიტუციის» შინაარსი, იყო, მგონი, მხოლოდ სამი ძირითადი გასხვავება. პირველი: საქვეყნო დეკლარაცია, რომ საბჭოთა კავშირში უკვე «აშენებულია» განვითარებული სოციალიზმი და ახლა მთელი საბჭოთა ხალხის ენერგია უნდა მიმართულ იქნას საბჭოთა სახელმწიფოში კომუნიზმის მშენებლობისაკენ. საერთოდ «ბედნიერი» საბჭოთა ხალხები ისე იყვნენ მიჩვეულები ყოველდღიური სიცრუისა თუ ფანტაზიების დეკლარირებას, რომ ამ პუნქტს არავინ ყურადღება არ მიაქცია. ცხოვრებაში ხომ ყველაფერი სხვანაირად იყო. პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების სასტიკი დეფიციტი, ე.წ. სპეცმაღაზიების ქსელი, სადაც სპეკულანტურ ფასებში იყიდდი უცხოეთიდან ჩამოტანილ «შმოტკებს».

მეორე, რაც იყო განსხვავებული ბრეჟნევის ახალ კონსტიტუციაში: საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში ჩამოყალიბდა (კომუნისტური პარტიის დიდი ძალისხმევითა და მოწადინებით) ახალი ფორმაცია _ ახალი ხალხი თუ ახალი ეროვნება ე.წ. საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ეროვნება, თავისი სოციალისტური იდეით, მიზანსწრაფვით და ა.შ. ესეც ყველამ «ჩაყლაპა».

აი, მესამე სხვაობამ ძველ (სტალინურ) და ახალ (ბრეჟნევის) კონსტიტუციებს შორის კი დიდი დისკუსია გამოიწვია. ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებში, ტექნიკურ თუ სამეცნიერო ინტელიგენციაში და სხვა, გაჩნდა სასაუბრო თემა _ ე.წ. «სამზარეულოებში» განსახილველად, სადისკუსიოდ. მაგრამ, რომ ვიხსენებ იმ მასალებს, რაც მაშინ

ილექებოდა საქართველოს კომიტეტის ინფორმაციულ საცავებში, საუბედუროდ, შეიძლება ითქვას, რომ იყო სჯა-ბაასი, იყო მითქმა-მოთქმა, უარყოფა, ვაი და ვიში, მაგრამ რად გინდა? ე.წ. უფროსი თაობა «იატაკქვეშეთში» მოღვაწეობდა, არავის არ უნდოდა ხმამაღლა სიტყვა ეთქვა, არ სურდა საფრთხეში ჩაეგდო საკუთარი სტაბილური მატერიალური მდგომარეობა სახელმწიფო მოხელისა, კულტურისა და მეცნიერების, სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელისა. საბჭოთა მთავრობა ცდილობდა მატერიალური პირობების გაუმჯობესების გზით ეყიდა მათი ლოიალობა და კეთილგანწყობა. ახლა, როცა გავიდა რამდენიმე ათეული წელი ამ მოვლენებიდან, ბევრი მათგანი ამაოდ ცდილობს გაიხსენოს საკუთარი ე.წ. «აქტიურობა» ეროვნულ განმათავისფლებელ მოძრაობაში...

შეიძლება დაჯერებით ითქვას, რომ მაშინ _ 1978 წელს ერთადერთი ძალა, რომელიც მოქმედებდა აქტიურად კონსტიტუციის იმ პუნქტის მიღების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად მიჩნეული ყოფილიყო არა ქართული და რუსული ენები (როგორც იყო წინა კონსტიტუციაში), არამედ მხოლოდ რუსული ენა, _ იყო ახალგაზრდობა. ქართული ენა უნდა ყოფილიყო საურთიერთო ენა (რუსულად _ для употребления). ვისაც კი ცოტა მაინც ესმის რუსული ენის (სხვათა შორის _ მდიდარი ენობრივი მარაგის მქონე ენის) ნიუანსები, მისთვის ძნელი არ იქნება მიხვდეს, თუ სად და რა შემთხვევაში ხმარობენ რუსები სიტყვა «употребить!» ან «для употребления». აი, ამ დონეზე დაიყვანეს კომუნისტებმა ეროვნული ენები...

ახლა დავაკვირდეთ კონსტიტუციის უკვე ზემოთხსენებულ ორ კონცეფციას ანუ მათი ჭკუით აქსიომად ჩამოყალიბებულ პოსტულატს:

1. ჩამოყალიბდა საბჭოთა ერი და სხვა ერები, გარდა რუსებისა, მის პროვინციულ დანამატებად გადაიქცნენ.

2. სახელმწიფო ენა რესპუბლიკებში არის მხოლოდ რუსული ენა (ისე, როგორც მთელ საბჭოთა სახელმწიფოში). ამით რა? ამით ის, რომ თანდათანობით რუსულმა ენამ უნდა შეცვალოს ყოველი ერის კულტურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, კინოში, და, რაც მთავარია, სწავლა-განათლებაში ეროვნული ენები. ამით თითოეული თავისსავე ისტორიულ ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ემიგრანტად. და თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ, როდესაც ავაშენებდით კომუნიზმს (ვაი თქვენს პატრონს!), გვექნებოდა ერთი სახელმწიფო ენა და არ გვექნებოდა არავითარი ეროვნული გეოგრაფიული თუ პოლიტიკური საზღვრები და ვიცხოვრებდით შეხმატკბილებულნი ერთ სამშობლოში.

ისე, სიტყვაზე გამახსენდა: ერთ ქართველ გოგონას თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მოკლე ინტერვიუ ჩამოართვა მოსკოვის ერთ-ერთმა ცენტრალურმა არხმა (ალბათ დაახლოებით 80-ანი წლების შუალედი იყო) და ამ გოგონამ, სხვათა შორის, რუსულად კონტექსტში ასეთი ფრაზა თქვა, როცა თავის ქვეყანას (საქართველოს) შეეხო: «моя страна»-ო. კორესპონდენტი ჩაეკითხა, რა გაქვს მხედველობაში, საბჭოთა ქვეყანა თუ საქართველოო? მან გაკვირვებით უპასუხა, რა თქმა უნდა, «моя страна это Грузия»-ო. ამ გადაცემის ჩვენების შემდეგ რუსულ ტელევიზიაში და გაზეთებში არც თუ ისე მცირე დისკუსია ატყდა: «ნახეთ, ქართველებს თურმე თავისი ცალკე სტრანა ჰქონიათო?! ეს როგორაო, ჩვენ ყველას ერთი სტრანა არა გვაქვსო?!» და სხვა და სხვა. აი სადამდე შეიძლება მივსულიყავით!

მაშინდელი უშიშროების ორგანოებში (როგორც საქართველოს, ისე საკავშირო კომიტეტში) არსებული ინფორმაციით, გარდა საქართველოსი, ყველგან «საოცარი სიჩუმე» სუფევდა. არც თავისუფლებისმოყვარე ბალტიისპირელებს და არც უკრაინას,

ან სხვას, ამ კონსტიტუციის მიღებისას ერთი სიტყვა არ გაუპროტესტებიათ და თითქოს ყველაფერი მზად იყო კონსტიტუციის იმ რედაქციით მიღებისათვის, რომელიც კრემლში დაიწერა.

როგორც ადრე მოგახსენეთ, ერთადერთი ძალა რომელმაც ხმა აიმაღლა, იყო ქართველი სტუდენტობა და მათი ორგანიზატორები თ. ჩხეიძე და მისი ჯგუფი.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში სხდომა მიმდინარეობდა, სადაც მაშინდელი საქართველოს კომუნისტების ლიდერი დასკვნითი მოხსენებით გამოდიოდა საქართველოს ახალი კოსტიტუციის მიღების შესახებ. უმაღლესი საბჭოს შენობის წინ სტუდენტთა მიტინგი გაიმართა, რომლის მონაწილეებიც მოითხოვდნენ კონსტიტუციაში ქართული ენის შეტანას სახელმწიფო ენად. მიტინგი არ იშლებოდა. მოთხოვნები სულ უფრო და უფრო კატეგორიული ხდებოდა. და, რაც მთავარია, მომიტინგეებს ემატებოდა და ემატებოდა ხალხი. მიმაჩნია, რომ აქ მოხდა ისტორილი ფაქტი. მომხსენებელმა (ე. შევარდნაძე) მიიღო უმნიშვნელოვანესი, შეიძლება მისი შემდგომი კარიერისათვის სარისკო გადაწყვეტილება (მითუმეტეს _ დარბაზში იყვნენ სტუმრები მოსკოვიდან). შეწყვიტა მოხსენება, გამოაცხადა შესვენება, გავიდა მოსასვენებელ კაბინეტში და სპეციალური სატელეფონო კავშირით დაუკავშირდა მოსკოვს, პირდაპირ ქვეყნის პირველ პირს ბრეჟნევს და არა პარტიის ცკ-ს მდივანს იდეოლოგიის საკითხებში _ სუსლოვს. ესეც გარკვეული რისკი იყო, ასეთ სუბორდინაციის დარღვევას პარტიაში არავის აპატიებდნენ. თუკი მარტო სინდისის მოწმენდა უნდოდა, მაშინ სუსლოვს დაურეკავდა, თუმცა მისი პასუხი წინასწარ იცოდა... არა, დაუკავშირდა თვით ბრეჟნევს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრეჟნევი უკვე საკმაოდ სნეული გახლდათ და დიდი ხნით საუბარი არც უყვარდა და არც შეეძლო. რამდენადაც გადმოცემით ვიცი, ბრეჟნევმა დაახლოებით ასე უპასუხია: «...ну давай, давай, ты прав, раз грузинский народ так хочет, пусть хочет, объяви им мое положительное решение»-ო.

სხდომა გაგრძელდა. ე. შევარდნაძე გამოვიდა ხალხთან _ სტუდენტობასთან და მოახსენა პარტიის ლიდერის გადაწყვეტილება. ეს კი ძლიერი კოზირი იყო მისი პოლიტიკური სახელმწიფო მოღვაწის ავტორიტეტის ზრდისათვის, როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირში და შემდეგში მსოფლიოში (რისკმა გაამართლა და ედუარდმა დიდი ჩათვლითი ქულა მიიღო).

ეს პირველი გამარჯვება სპილოს ტყავის მქონე კომუნისტურ რეჟიმთან მიღწეულ იქნა ქართველი სტუდენტების და მათი ავანგარდის ძალისხმევით. სხვა ძალა მაშინ საქართველოში არ არსებობდა. მ. კოსტავა დაპატიმრებული და გადასახლებული იყო ციმბირში. ზ. გამსახურდია კი სასჯელს იხდიდა ჩეჩნეთის საძოვრებზე, სოფლის ბობლიოთეკის გამგედ ითვლებოდა.

ქართველი სტუდენტების ამ ბრძოლამ ორმხრივი შედეგი გამოიღო. აქაოდა, მარტო ქართველებს ხომ არ მივცემთ უფლებას (ქაღალდზე მაინც) თავისი ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადონო და პარტიისა და კრემლის ჩინოვნიკებმა სხვა «თავისუფლებისმოყვარე» ერებსაც ესტონელებს, ლიტველებს, ლატვიელებს, სომხებს, აზერბაიჯანელებსაც «აჩუქეს» ეს ამნისტია. სასაცილო და პარადოქსული ის იყო, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში, კერძოდ _ სომხეთში, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში და სხვებში, კონსტიტუციები უკვე მიღებული იყო და, ასე წარმოიდგინეთ, ეს ხალხმაც «მოიწონა». ამ რესპუბლიკებმა ჩუმად, უხმაუროდ, ყოველგვარი უმაღლესი საბჭოების შეკრების გარეშე, მორცხვად შეიტანეს ეს ცვლილებები თავიანთ კონსტიტუციებში.

ვალიკო ჟვანიას პიროვნება

ახლა, როცა მალე 17 წელი გავა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ზოგიერთ პიროვნებას, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოში (და მთლიანად საბჭოთა კავშირში) კომუნისტური რეჟიმის დამხობისათვის, ან ყოველ შემთხვევაში _ მისი შერყევისათვის. მე პირადად კარგად მახსოვს, თუ როგორ დაშინდა კომუნისტური რეჟიმი ვალიკო ჟვანიას «ტერაქტებით». მაშინდელ საბჭოთა კავშირში სამ ფაქტს ჰქონდა დიდი გამოძახილი კრემლის და ლუბიანკის კორიდორებში:

1. კრემლის ბოროვიცკის კარებთან ტერაქტს, როდესაც მილიციის ფორმაში გამოწყობილმა ლენინგრადელმა უმცროსმა ლეიტენანტმა მაკაროვის ორი პისტოლეტით დაცხრილა მთავრობის მანქანა, სადაც მისი აზრით გენერალური მდივანი ბრეჟნევი უნდა მჯდარიყო. ლ. ბრეჟნევის მაგივრად ამ ტერაქტს შეეწირა უდანაშაულო მძღოლი, კოსმონავტი ლეონოვი კი დაიჭრა.

2. სომეხი ნაციონალისტის მიერ მოსკოვის მეტროში განხორციელებული ტერაქტი (რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა).

ამ მეორე შემთხვევას წინ უსწრებდა ვალიკო ჟვანიას მიერ ჩადენილი სამი ტერორისტული აქტი საქართველოში (სოხუმში, ქუთაისში და თბილისში _ მაშინდელი მთავრობის სასახლის ცენტრალური ფასადის მარჯვენა კიბეებთან, სადაც შემდეგ 1989 აპრილის მიტინგები იმართებოდა. მაშინ იქ მოთავსებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რეზიდენცია).

ამ აფეთქებებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია საბჭოთა მთავრობაში. მოსკოვიდან მოავლინეს თითქმის 50 ოფიცერი, რათა საქართველოს უშიშროებას საქმის გამოძიებაში დახმარებოდნენ. საუბედუროდ, აფეთქებას სოხუმის სანაპიროზე (აფეთქდა ნაგვის ურნაში მოთავსებული ხელთნაკეთი ბომბი) მსხვერპლი მოჰყვა. დაიჭრნენ და დასახიჩრდნენ შემთხვევის ადგილზე იმ მომენტში მოხვედრილი რუსი ეროვნების დამსვენებლები _ ცოლ-ქმარი.

დაიწყო რაღაც არაჩვეულებრივი ვაკხანალია. ტერორისტს ეძებდნენ არა მარტო საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის უშიშროების და შინაგან საქმეთა სამსახურის მუშაკები. შეიქმნა ოპერატიული შტაბი, სადაც გროვდებოდა მთელი მოპოვებული მასალა, მთელი ძალები მობილიზებული იყო ტერაქტების გახსნისათვის. ე. შევარდნაძე განრისხდა. ალ. ინაურს სხვა არაფერი აინტერესებდა. წარმომიდგენია, რა ზეწოლას განიცდიდნენ ისინი მოსკოვიდან, ვინაიდან ყოველივე ეს კარგად გავაანალიზე შემდეგში _ კაგებეს ცენტრალურ აპარატში მუშაობის დროს.

რამდენადაც ვიცი, რამდენიმე თვის გამოძიებამ შედეგი არ მოიტანა. ერთ-ერთ თათბირზე თავმჯდომარე ალ. ინაურმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ გამოძიების დამთავრებისთვის სულ რაღაც ორი თვე გამოჰყო(?!).

საქმე კი საკმაოდ ბანალურად გაიხსნა: დაახლოებით სამი-ოთხი თვის შემდეგ, რაც ტერაქტები განხორციელდა, ზოგიერთმა ე.წ. «ცეხავიკმა» (წაიკითხე _ მდიდარმა) მოისმინა სატელეფონო ზარი მუქარით _ ე.წ. «საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის» წარმომადგენლისაგან. საუბარი იყო იმის შესახებ, რომ აფეთქებები ჩაიდინა «საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა» და მას სჭირდება დაფინანსება თავისი წარმატებული მუშაობისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის

მისაღწევად და ა.შ. ზოგიერთ ასეთ «ცეხავიკს» წერილიც კი გაეგზავნა ანალოგიური შინაარსისა. რამდენადაც ვიცი და ეს დადასტურდა შემდეგში გამოძიებით (ვ. ჟვანიას დაპატიმრების შემდეგ, მისი დაკითხვის ოქმებით), არცერთმა «ცეხავიკმა» ამის შესახებ სათანადო ორგანოებს არ აცნობა, გარდა ბათუმის ვაჭრობის სამინისტროს ავტოფარეხის უფროსისა, რომელმაც ამის შესახებ შეატყობინა თავის მეგობარს _ საქართველოს უშიშროების კომიტეტის ქუთაისის განყოფილების მაშინდელ უფროსის მოადგილეს გიგლა ვაშაკიძეს, მან კი ოპერატიულად პირადად აცნობა უშიშროების თავმჯდომარეს ალ. ინაურს. სასწრაფოდ, კონსპირაციის წესის ყველა დაცვით, მივლინებულ იქნა ბათუმში უშიშროების რამდენიმე ოფიცერი (მოსკოვიდან, თბილისიდან). რაც მთავარია, მათ შორის იყვნენ ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების მუშაკები _ მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოტანილი ახალი საიდუმლო მოსმენის ტექნიკით აღჭურვილები.

აქ უნდა ითქვას, რომ ეს ოფიცრები ბათუმში ჩავიდნენ სხვადასხვა სატრანსპორტო (საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო) საშუალებებით და არც ერთი მათგანი არ მისულა აჭარის უშიშროების კომიტეტში. ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ტერორისტს არ შეემჩნია ამდენი ხალხის გადაადგილება ბათუმში (რომელიც არცთუ ისე დიდი ქალაქია და დაკვირვებული კაცი ყოველთვის შეამჩნევს პატარა აჟიოტაჟს. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მივლინების დროს ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ოფიცრების სამოქალაქო ჩაცმულობასაც კი, ე.ი. დაიცვეს კონსპირაციის თითქმის ყველა დეტალი).

ღონისძიების პირველი ფაზა (პირველი დარეკვა) უშედეგო აღმოჩნდა. აბონენტი ქალაქში ვერ აღმოაჩინეს. ავტოფარეხის უფროსი, რომელსაც აგრეთვე კონსპირაციულად ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი, საუბარში «განმათავისუფლებელი კომიტეტის» წარმომადგენელს დაეთანხმა გარკვეული თანხის გადახდაზე, მისი უსაფრთხოების გარანტების დაცვით. «წარმომადგენელი» დაჰპირდა, რომ ორ-სამ დღეში გადმოურეკავდა, სადაც შეთანხმდებოდნენ თანხის რაოდენობის შესახებ და ამ ფულადი თანხის გადაცემის ადგილზე და პირობებზე.

მოლოდინმა გაამართლა. მართლაც, ორ დღეში კაბინეტში ზარი გაისმა, შეთანხმების თანახმად (ე.ი. გათვალისწინებული ინსტრუქტაჟით) აბონენტებმა სულ ტელეფონით ილაპარაკეს ორ წუთსა და 31 წამს. ამ ხნის განმავლობაში მაშინდელმა ყველაზე თანამედროვე ტექნიკამ სამ წუთსა და 12 წამში დაადგინა (დააპელენგა) სატელეფონო ზარის ადგილმდებარეობა. დაახლოებით ორ წუთში ბათუმის საქალაქო ჯიხურში სანაპიროზე (ყოფილ სასტუმრო «ინტურისტიდან» 100 მეტრში) დააკავეს ე.წ. «საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის» წარმომადგენელი, რომელიც, რა თქმა უნდა, ვალიკო ჟვანია აღმოჩნდა. შემდეგში საკალიგრაფიო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ «წერილების» ავტორი და შემდგენელი თვით ჟვანია გახლდათ.

გამოძიება ეცადა დაედგინა, მარტო იყო ვ. ჟვანია თუ მართლა მოქმედებდა ე.წ. «კომიტეტის» სახელით. ყველა ამ «ქმედების» ჩამდენი მხოლოდ ერთადერთი პიროვნება ვ. ჟვანია აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ მის პიროვნებას, მის წარსული ცხოვრების წესს, მის ფსიქოლოგიურ ხასიათს, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. თუმცა იმასაც ვიტყვი: მართლაც რომ ყოფილიყო რაღაც «კომიტეტი», რომლის დავალებითაც ის მოქმედებდა, დარწმუნებული ვარ, რომ ვ. ჟვანია არამც და არამც არავის არ დაასახელებდა, არავის არ გასთქვამდა. რამდენადაც ვიცნობდი, ის იყო შეუდრეკელი ხასიათისა, უშიშარი და შეიძლება _ ფანატიკური მიზანსწრაფვის ადამიანი.

უშიშროების ექსპერტებს მაშინ დაუჯერებლად მიაჩნდათ, რომ ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული სპეციალური ტექნიკური განათლება, შესძლებდა ასეთი ხელნაკეთი დისტანციური ქმედების ბომბების დამზადებას და ამიტომ უშუალოდ საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის (ალ. ინაურის) კაბინეტში ჩატარდა ოპერატიული ექსპერიმენტი, რომელიც გადაიღეს კინოფირზე. ვ. ჟვანიას მისცეს ყველა საჭირო მასალა ბომბის დამზადებისათვის (რა თქმა უნდა, ასაფეთქებელის გარდა) და მან დაახლოებით 34-35 წუთში «დაამზადა» ბომბი, რომელიც მზად იყო აფეთქებისათვის.

როგორც გამომძიებლებისგან ვიცი, ვ. ჟვანია, როგორც პიროვნება, არ იწვევდა არავითარ ალერგიას მის მიმართ, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ხასიათით, როგორც ყოველთვის, იყო დინჯი, წყნარი, პატიმრობისას ბევრს კითხულობდა (საზღვარგარეთის პროზას, პოეზიას, ინგლისურენოვან ლიტერატურას და სხვას). ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მან კეთილგანაწყო მის გარშემო მყოფი გამომძიებლები, ოპერატიული მუშაკები და სხვები, და გამოძიება თითქოს ეძებდა კიდეც რაღაც კომპრომისს, რომ «ეშუამდგომლათ» სასამართლოს და პროკურატურის წინაშე, რათა მისთვის მიესაჯათ არა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რასაც ითვალისწინებდა მისი ქმედება (სოხუმში ჩატარებული ტერაქტის შედეგად რუსი ეროვნების ცოლ-ქმარი დაშავდა, კაცი შემდეგში საავადმყოფოში გარდაიცვალა, ხოლო ცოლი დაინვალიდდა), არამედ _ პატიმრობა დიდი ხნით (20 წლით). მაგრამ სასამართლოზე, როგორც დაკითხვების დროს, ასევე თავის ბოლო სიტყვაში, ვ. ჟვანია იდგა ერთ აზრზე და ამბობდა დაახლობით შემდეგს: «მე ამოვწურე ჩემი რესურსები საბჭოთა ბოლშევიკური მთავრობის დამხობის საქმეში, მე მეზიზღება ეს დიქტატურა, ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ ფაშიზმსა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის, ორივე დამღუპველია კაცობრიობის განვითარებისათვის, და ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს, თუ რას მომისჯით. ერთი მინდა იცოდეთ, სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის ვიბრძოლებ ამ რეჟიმის წინააღმდეგ, მისი დამხობისათვის. არა აქვს აზრი, როდის გამოვალ ციხიდან, მე ჩემს აზრს არ შევცვლი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შევებრძოლები ბოლშევიკურ დიქტატურასო».

ასეთი აღიარების შემდეგ, წარმოიდგინეთ საბჭოთა სასამართლოს, პროკურატურისა და უშიშროების მუშაკების მდგომარეობა _ ვინ გაბედავდა რაიმეს თქმას ვ. ჟვანიას _ ამ გამოუსწორებელი ანტისაბჭოთა «ტერორისტის» სასარგებლოდ?! და, რა თქმა უნდა, განაჩენი იყო მხოლოდ ერთი _ სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა.

შემდეგში ამ «წარმატებულად ჩატარებული» გამოძიების მასალებისგან შეიქმნა სასწავლო სახემძღვანელო და მას, როგორც სასწავლო მასალას, ასწავლიდნენ უშიშროების კომიტეტის სასწავლო სკოლებში და აკადემიაში.

საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის მთავარ შენობაში (ლუბიანკაზე) _ კაგებეს მუზეუმში, მოეწყო სტენდი ამ «ტერაქტების» და მისი გამოძიების გმირების შესახებ. მაგრამ ჩემი თხრობა ვალიკო ჟვანიას შესახებ აქ არ თავდება...

ჩვენ ერთმანეთი ჯერ კიდევ ბავშვობაში გავიცანით. ერთ უბანში ვცხოვრობდით და ერთ სკოლაში ვსწავლობდით დაახლოებით სამი-ოთხი წელი, ყოფილ 29-ე სკოლაში ორთაჭალაში, ქალაქის ციხესთან ახლოს. სადაც ახლა ორთაჭალჰესია და მისი მიმდებარე ტერიტორია, ჩვენს ბავშვობაში ეკავა ე.წ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას (თუ მეურნეობას). კრწანისის დასაწყისთან ჯერ ტრამვაების, შემდეგ კი ტროლეიბუსების უკანასკნელი გაჩერება იყო. ამ გაჩერებიდან ხელმარჯვნივ რომ შეუხვევდი და ციხის გასწვრივ გზას გაუყვებოდი, დაახლოებთ

ერთკილომეტრნახევარზე, მაღლა ბორცვზე იდგა სკოლის ორსართულიანი ხისა და ქვისაგან ნაგები შენობა. ჩემი აზრით, ეს შენობა ოდესღაც ვიღაც წარჩინებული ან მდიდარი მოქალაქის სასახლეს წარმოადგენდა. მაგრამ აქ მთავარი ის იყო, რომ ამ სკოლისაკენ მიმავალ გზაზე გაშლილი იყო აყვავებული, მოვლილი, სუფთა, სანერგე საცდელი მეურნეობა. ჩვენი სკოლის ბიოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის მასწავლებლები შეთავსებით ამ მეურნეობაშიც მუშაობდნენ და ჩემი სწავლების პირველი სამნახევარი წელი აქ მაქვს გატარებული, ამ წალკოტში, სადაც მასწავლებლები ღია ცის ქვეშ გვიტარებდნენ გაკვეთილებს.

როგორც მოგახსენეთ, ამ სკოლაში ჩემი ძმის (ანზორ ფოცხვერიას) კლასში სწავლობდა ვალიკო ჟვანია (ჩემი ძმა ჩემზე 4 წლით არის უფროსი), ხოლო მისი ოჯახი ცხოვრობდა ე.წ. «ოხერბაღის» ზემოთ, ხარფუხში, სომხური ეკლესიის ეზოს მეზობლად, პირველ სართულზე. არ ვიცი რატომ მოხდა, ჩვენს უბანში თითქმის არ იყვნენ ჩემი თანატოლები და ამიტომ მთელი ბავშვობა ჩემი ძმის მეგობრებთან ერთად მაქვს გატარებული და მათ შორის _ მის მეგობარ ვალიკო ჟვანიას გარემოცვაში. რამდენადაც ჩემი ძმის მონაყოლიდან ვიცი, ვ. ჟვანიამ სკოლაში მხოლოდ შვიდწლედი დაამთავრა. ერთხელ მასწავლებელს დაფასთან გამოუძახია და დაუვალებია სახელმძღვანელოდან წაეკითხა რაღაც ტექსტი. ვალიკოს მხედველობა მეტად დაქვეითებული ჰქონდა, ამიტომ წიგნი თვალებთან (სახესთან) ძალიან ახლო მიუტანია და ისე დაუწყია კითხვა მარცვალ-მარცხვალ, რადგან კითხვა უჭირდა. ამ სცენის შემყურე თანაკლასელებს სიცილი დაუწყიათ. ეს კი ვალიკოს დაცინვად მიუღია, წიგნი დაუგდია იატაკზე და კლასიდან გაქცეულა... ამის შემდეგ ის სკოლაში აღარ დაბრუნებულა. ვერც დედამ, უფროსმა ძმამ და დამ, ვერც პედაგოგებმა ვერ იმოქმედეს მის ნებისყოფაზე, ვერ შეაცვლევინეს გადაწყვეტილება. აგრეთვე ჩემი ძმის მონაყოლიდან ვიცი, რომ ვალიკო ძალიან უცნაური ბავშვი გახლდათ. დაახლოებით მეოთხე თუ მეხუთე კლასში სკოლიდან და სახლიდან რამდენიმეჯერ გაქცეულა და შემდეგში ერთხელ მოსკოვ-ვლადივოსტოკის მატარებელზე აღმოუჩენიათ ე.წ. «ზაიჩიკად», მეორეჯერ კი _ მოსკოვი-არხანგელსკის თუ მოსკოვი-მურმანსკის მატარებელში. როცა ჩემს ძმას გავყოლილვარ სტუმრად ვ. ჟვანიას ეზოში, არავინ მინახავს მისი დედის გარდა. შემდეგში გავიცანი მისი ძმა (გასული საუკუნის 70-ანი წლებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა დოცენტად, ხოლო მისი უფროსი და, როგორც შემდეგში გავიგე, ქ. გაგრაში გათხოვილა და იქ ცხოვრობდა).

როგორც მახსენდება ჩემი ბავშვობის გადასახედიდან, იმას, რომ ვ. ჟვანია ვერაფრით ვერ მიაბრუნეს სკოლაში სასწავლებლად, სრულიადაც არ შეუშლია ხელი მის თვითგანვითარებისათვის. პირველად მისგან გავიგე, რომ თბილისში არსებობდა საჯარო ბიბლიოთეკა, სადაც ბევრი საინტერესო წიგნები ინახებოდა და შეიძლეოდა მათი წაკითხვა და გაცნობა. ერთი კი კარგად მახსოვს, რომ იშვიათად, როცა გვესტუმრებოდა სახლში (14 კვ/მ-ის ოთახი) ან კომუნალურ საერთო საცხოვრებლის ეზოში, ხშირად ეხმარებოდა როგორც ჩემს ძმას, ისე მის ყოფილ თანაკლასელებს ალგებრაში თუ გეომეტრიაში ამოცანის ამოხსნაში, არაფერი რომ არა ვთქვათ იმ ცოდნაზე, რასაც იგი ამჟღავნებდა გეოგრაფიასა და ისტორიაში. მე მგონი, მას უქმად არ დაუკარგავს სკოლის მიტოვების წლები. მისი საუბრები უცხოეთის ან რუსეთის პოეტების, მწერლების შესახებ, მათი ცნობილი შედევრების შესახებ, ჩემს ბავშვურ ფსიქიკაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ალბათ პირევლად მისგან გავიგე, რომ არსებობდნენ ძველი ბერძენი პოეტები, ლეგენდები, ალექსანდრე მაკედონელი,

დიდი ტრაგიკოსი უ. შექსპირი, ინგლისის დიდი პოეტი ბაირონი, გერმანელები _ შილერი, გოეთე, ფრანგები _ ბერანჟე, მოპასანი, დიუმა, ბალზაკი და ა.შ. და ა.შ.

მახსოვს, პატარაობაში სათამაშოების დეფიციტის გამო ჩვენ თვითონ ვამზადებდით ჩვენს გასართობს, ე.წ. «ჩილკა ჯოხს», «ავჭალურს», საფრიალებლებს და რაღაც თვითმფრინავის მსგავს სათამაშოებს. ეზოში ორ საყრდენ ბოძს შორის, სარეცხის ბაწარზე, ვამაგრებდით ამ თვითნაკეთ «თვითმფრინავებს» და წარმოიდგინეთ, ერთმანეთის შესახვედრად ვამოძრავებდით მათ. ერთხელ, ეს რომ ვალიკომ დაინახა, წაგვიყვანა სახლში თავისთან და გვანახა რაღაც ხისა და თუნუქისაგან დამზადებული თვითმფრინავის მაგვარი მოწყობილობა, რომელსაც რკინის ბაკი და პროპელერი ჰქონდა. ამ ბაკში მოთავსებული იყო რაღაც საწვავი თუ ფეთქებადი ნივთიერება, რომელსაც ასანთით მოუკიდა და ეს ე.წ. «თვითმფრინავი» ერთ-ორ წამში თუხთუხით აფრინდა დაახლოებით ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე. შემდეგ ცეცხლი მოეკიდა და მიწაზე დაეცა. თვითონ წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე და ჩემს ძმაზე ეს კონსრუქცია და რა ავტორიტეტს მოიპოვებდა მისი კონსტრუქტორი ჩვენს თვალში. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს დაახლოებით 50-ანი წლების დასაწყისში ხდებოდა და მაშინდელი ტექნიკის განვითარებით სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა ყოველივე ამაზე.

როგორი მახსოვს, ვალიკო ჟვანია ბავშვობაში. მოვლენებს მხოლოდ აკვირდებოდა, საკმაოდ ჩაკეტილი, უთქმელი ყმაწვილი გახლდათ. სიტყვაძუნწი «მეგობრებთან» ურთიერთობაში (თუკი საერთოდ როდესმე ჰყოლია მეგობრები). არასოდეს არ უთამაშია ჩვენთან ქუჩური ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი ან სხვა თამაშები. როცა მოვიდოდა, შორიდან გვიყურებდა, მისი სახე არავითარ ემოციებს არ გამოხატავდა. არასოდეს არ ყოფილა ქომაგი ან ე.წ. «ბალელშიკი» რაღაც სპორტული სანახაობებისა, მითუმეტეს იმ წლებში _ ქართული ფეხბურთისა, კალათბურთისა, წყალბურთისა და სხვა.

დაახლოებით 1955-1956 წლებში მე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ჩემი ძმა უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებისათვის ემზადებოდა. ამ დროს ჩემმა ძმამ დედას გამოუცხადა: «დედა, ვალიკოს დედა გათხოვდა, ბინა, სადაც ცხოვრობდნენ, გაყიდეს, ვალიკო დედას თან არ გაჰყვა და არსად საცხოვრებელი არა აქვს, თუ შეიძლება ჩვენთან იცხოვროსო. მითუმეტეს, ჩვენ ერთად ვაპირებთ მუშაობის დაწყებას მშენებლობაზე და სამსახურშიც ერთად ვივლითო». დედაჩემსაც მეტი რა დარჩენოდა, შეეცოდა უდედოდ დარჩენილი ბავშვი და ვალიკო შევიკედლეთ. სახლი, თუ ამას შეიძლებოდა სახლი დარქმეოდა: ერთი ოთახი _ 14კვ/მ, არავითარი კომუნალური პირობები, 10-11 ოჯახზე გათვალისწინებული ერთადერთ საპირფარეშო და ცივი წყლის ონკანი ბინიდან 20 მეტრის დაშორებით. ამ ე.წ. ბინაში ერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი, კომბინირებული კარადა და ორი რკინის საწოლი ეტეოდა. ერთზე დედა იწვა, მეორეზე კი მე და ჩემი ძმა ერთად ვიწექით. აქაოდა, ვალიკოს არ ეწყინოსო, სხვისი შვილიაო, და საწყალი დედა სამივეს ერთად გვიგებდა ქვეშაგებელს იატაკზე. ასე გავატარეთ ერთ ოჯახად ცხოვრების სამი ან ოთხი თვე... შემდეგ მოხდა ის, რაც არასოდეს დამავიწყდება. პირადად შევნიშნე, რომ ვალიკო, ჩემი ძმა და ჩვენი მეზობელი გურამ კოდუა ყოველგვარი მიზეზით ცდილობდნენ ჩემს გარიყვას მათი გარემოცვიდან. თუ სადმე მიდიოდნენ, მე უკვე მეპარებოდნენ. დაიწყეს რაღაცა ჩურჩული, «კონსპირაციული» მოლაპარაკებები, ვამჩნევდი, რომ რაღაცა «საიდუმლოებას» მიმალავდნენ. თუ საუბრობდნენ, როგორც კი გამოვჩნდებოდი, გაჩუმდებოდნენ...

ძალიან «ეშმაკი» და «უკუღმართი» ყმაწვილი გახლდით და ამ «შეურაცხყოფას» უფროსი მეგობრებისას ვერ ავიტანდი. ამიტომაც გადავწყვიტე, აუცილებლად «გამეხსნა» მათი «საიდუმლო», დავიწყე ამისათვის გზების ძებნა... ვალიკოს «გამოტეხვა» ფაქტიურად შეუძლებლად მიმაჩნდა, ასევე «გამოუტეხელი» პიროვნებად მიმაჩნდა გურამი, რომელიც ყოველთვის, იმ პერიოდში მაინც, ბავშვად მთვლიდა და «ბავშვთან» «აღიარებაზე» არ წამოვიდოდა. დამრჩა ისევ და ისევ ჩემი ძმა ანზორი, რომელიც ყოველთვის თავის ცხოვრებაში იყო და ახლაც მოხუცებულობაშიც არის გულღია, გულწრფელი, გახსნილი და ცოტა «გულუბრყვილო». რომ გაფიცხდებოდა, ჩემს მტერს, მაგრამ მის გაფიცხებას ძალიან დიდი «შრომა» სჭირდებოდა. ჩემი აზრით, ანზორის «დაბმა» ან «მოთაფლვა» უფრო შეიძლებოდა, ანდა პროვოცირება გულახდილ საუბარზე, და ამ «გაანგარიშებაში» არ შევმცდარვარ: სამეულის («შეთქმულების») მიყურადებით და დაკვირვებით დავიმახსოვრე რამდენიმე სიტყვა (საზღვარი, ზღვა, კომპასი, ცურვა, ფეხსაცმელი). მამაჩემმა ომიდან ჩამოიტანა გერმანული კომპასი, რომელიც უჯრაში (სადაც ვინახავდით) არ აღმოჩნდა. სამივე ახალგაზრდამ იყიდა სპორტული ფეხსაცმელი, ე.წ. კედები და შალის წინდები და ა.შ. ამ დაკვირვებების საფუძველზე უკვე ავაგე რაღაც ვერსია. თუ რას ფიქრობდნენ «შეთქმულები», ამას ვერ ვიტყვი, ის კი შემიძლია ვთქვა, რომ სადღაც გაპარვას აპირებდნენ, მშობლების დაუკითხავად და, რა თქმა უნდა, ჩემს გარეშე. ეს კი ჩემი აზრით მეტისმეტი «თავხედობა» იყო ჩემი პიროვნების მიმართ.

ერთ მშვენიერ დღეს, ანზორი სამსახურში ვერ წავიდა, გაცივდა და სახლში დარჩა. როცა მე და ჩემი ძმა მარტო დავრჩით, გავუბი საუბარი და მოვახერხე იმის «პროვოცირება», რომ მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი გამეგება, ვიცი თუ რად იყიდეს სპორტული ფეხსაცმელი, რაში სჭირდებათ კომპასი და რა საზღვრებიც უტრიალებთ თავში. ამავე დროს განვუცხადე, რომ ყოველივე ამას ვერ დავმალავ და აუცილებლად ვეტყვი დედას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ აიტანს ყოველივე ამას, და საერთოდ ვალიკო მართალი არ არის, ის მეთაურობს, თქვენ კი თოჯინები ხართ მის ხელში-მეთქი. ანზორი (არჩევანი არ შემშლია) «გატყდა» და დამაფიცა, რომ არავის ვეტყოდი, მითუმეტეს, რა თქმა უნდა, დედას (რომელიც ძალიან ეცოდებოდა) და გამიმხილა შემდეგი:

ვალიკოს წაქეზებით, მისი იდეებით, აპირებდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრის გადაკვეთას, გაპარვას თურქეთში. ზღვით საზღვრის გადაკვეთის იდეა უარყვეს, რადგან ვალიკომ ცურვა არ იცოდა. ანზორის თქმით, ამისათვის სჭირდებოდათ კომპასი, ფეხსაცმელი და გარკვეული რაოდენობით ფული ბათუმში ჩასასვლელად და იქიდან სახმელეთო საზღვრის გადასალახავად.

ამ «აღიარებამ» სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, თანაც დიდი ხნით ცდაც არ შეიძლებოდა. ჩემი ბავშვური ჭკუით ვხვდებოდი, რომ ჩემს უმოქმედობას შეიძლება დიდი «უბედურება» მოეტანა ჩვენი ოჯახისათვის, განსაკუთრებით დედა მეცოდებოდა, რომელიც გაჭირვებით გვზრდიდა და ამ დარტყმას ვერ გადაიტანდა (მითუმეტეს, სულ რაღაც ორი წლის წინ ძალიან იავადმყოფა და თითქმის წელიწადზე მეტხანს იყო მიჯაჭვული ლოგინზე). ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება: მეორე დღეს ანზორი სახლში დარჩა, მე სკოლაში კი არ წავედი, არამედ ვალიკოს ვეახლე სამსახურში მშენებლობაზე. გამოვიყვანე შესვენებაზე და, არ მახსოვს, როგორი თანმიმდევრობით, აღელვებულმა ვუამბე ყველაფერი (ოღონდ ანზორი არ გამიცია). დაახლოებით ეს ვუთხარი: «ჩემი საქმე არაა, თუ რას გააკეთებთ შენ და გურამი, ჩემს ძმას კი თავი დაანებე, ის არავითარი სახელმწიფოს მტერი არ ყოფილა და არ იქნება, მას ესეთი რამეები საერთოდ არ

აინტერესებს-მეთქი». დანამდვილებით მოგახსენებთ, რომ ამ ჩემი მონოლოგის დროს ვალიკო ჟვანია მხოლოდ მისმენდა, არავითარ დიალოგში ჩემთან არ ჩაბმულა, სახეზე არცერთი კუნთი არ შეთამაშებია, თითქოსდა სათვალეებიდან მუმია მიყურებდა. ერთხელ კი გაფითრდა, სათვალეები მოიხსნა, ცხვირსაცოხით გაწმინდა, შუბლზე ოფლისმაგვარი შევამჩიე, მერე კი, ალბათ 10-15 წამის პაუზის შემდეგ მხოლოდ ერთი წინადადება მითხრა: «კარგი, დაწყნარდი, შენ შეიძლება სწორიც იყო, აქ ანზორი და გურამი არაფერ შუაში არიან, ყველამ თავისი საქმე თვითონ უნდა გააკეთოსო».

ამით დამთავრდა არა მარტო ჩვენი «გულახდილი» საუბარი, არამედ ჩვენი ფაქტიურად ერთ ოჯახად ცხოვრების ისტორია. ის იყო და ის, ამის შემდეგ ჩვენ ვალიკო არავის გვინახავს და არაფერი გვსმენია მის შესახებ _ დაახლოებით ორი-სამი თვე. საწყალი დედაჩემი იმ საღამოს ამაოდ ელოდა ვალიკოს სახლში, ამაოდ გაუცხელა რამდენჯერმე ვახშამი, არ წვებოდა და ელოდებოდა «ნაშვილებს», ვინაიდან დედა საერთოდ არასოდეს წვებოდა დასაძინებლად, თუ ყველანი სახლში არ ვიყავით და ამაში მისი «მესამე» შვილიც გამონაკლისი არ გახლდათ. ასევე განმეორდა ორი-სამი დღის განმავლობაში, შემდეგში კი ვხედავდი, თუ რა დღეში იმყოფებოდა დედა. ვეცადე დამეწყნარებინა, გამეხსენებინა მისთვის ვალიკოს უცნაური ხასიათი, ე.წ. «მოგზაურობების» სიყვარული და სხვა. ვალიკო არც სამსახურში გაჩერდა, იქიდანაც გაქრა. არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი... ჩემი ძმა ხვდებოდა, რომ რაღაცა მოხდა მას შემდეგ, რაც მე და მან გულახდილად ვისაუბრეთ, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რომ იტყვიან, დედის ნერვებს გაუფრთხილდა, «ეშინოდა» დედისათვის არ მომეყოლა მათი ჩანაფიქრის შესახებ. გარდა ამისა, ალბათ ისიც იყო, რომ მას არაფრად არ აწყობდა ვალიკოს მიერ შემოთავაზებული «ავანტიურა» საზღვარგარეთ გაქცევის შესახებ... ანზორი არასოდეს არ იყო ცხოვრებაში «პოლიტიკურად» აქტიური ადამიანი, მისი ცხოვრების ძირითადი კრედო დარჩა და იყო ოჯახი, სამსახური, სპორტი და მეგობრები და ასეც იცხოვრა შემდეგში, აუღელვებლად და თანამიმდევრულად...

გავიდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ოთახს მოადგა უფორმო ჩეკისტი და ანზორი წაიყვანეს, არ ვიცი რა ვუწოდო, დაკითხვაზე თუ გამოკითხვაზე. მთელი სამი საათი ველოდი ძმის დაბრუნებას. კიდევ კარგი, იმ დროს, როცა ანზორი წაიყვანეს, დედა სახლში არ იყო, თორემ გადაყვებოდა ალბათ საწყალი ამ ნერვიულობას. ანზორი დაბრუნდა და გავიგეთ, რომ ვალიკოს ჰქონია უშედეგო მცდელობა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვრის გადალახვისა. აჭარაში, სადღაც, სოფელ სარფთან ახლოს დაუპატიმრებიათ და ახლა გამოძიება მიმდინარეობდა. ამისათვის დაკითხეს ჩემი ძმა. ანზორს იმდენად «გულწრფელად» მოუყოლია გამომძიებილისათვის, ვალიკოს ჩანაფიქრის შესახებ არაფერი ვიცოდიო, რომ ალბათ დაუჯერეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი სახლიდან ვალიკოს წასვლის შემდეგ ორი-სამი თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მას შეეძლო «დამოუკიდებელი» გადაწყვეტილება მიეღო.

ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით 10 დღის შემდეგ, ძმა მომიყვა, რომ გაგრიდან ჩამოსულა ვალიკოს და (ერთადერთი მისი გულშემატკივარი და პატრონი მთელი ცხოვრების განმავლობაში) და უთხოვია ანზორთან შეხვედრა. მე და ჩემი ძმა ერთად წავედით ამ შეხვედრაზე. იქ გავიგეთ შემდეგი: პატიმრობაში მყოფ ვალიკოს უარი განუცხადებია ე.წ. «პერედაჩების» მიღებაზე. როცა ციხის მესვეურებს პაემანის უფლება მიუციათ დედისათვის და დისათვის, ის ამ პაემანზე, რაღაც «უცნაურად» მოქცეულა, არ მისალმებია ახლობლებს, მათი ამანათი საკვებით და ტანსაცმლით იატაკზე უსროლია, არავითარ შეკითხვებზე არ პასუხობდა. იჯდა ინერტულად,

უაზროდ უყურებდა ჭერს და მისი სახე არავითარ ემოციებს არ ამჟღავნებდაო. შემდეგში, როგორც გავიგეთ, ვალიკო ფსიქიატრიულ დისპანსერში (ასათიანის ქუჩა) გაუგზავნიათ, სადაც ორი თვის განმავლობაში იმყოფებოდაო. იქაც გარკვეული «ცირკები» მიუწყვია. მაგრამ კლინიკას ბოლომდე მაინც არ დაუდასტურებია ვ. ჟვანიას «გიჟობა», რადგანაც შედგა დახურული სასამართლო პროცესი, რომლის განაჩენითაც მას სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ ვალიკო რა ვალიკო იქნებოდა, რომ «უმოქმედოდ» გაჩერებულიყო. ჯერ პირველი პატიმრობიდან (გადასახლებიდან) გაიპარა ჩიტის ოლქიდან. დაუმატეს ხუთი წელი. შემდეგ უფრო შორს გადაასახლეს. იქიდანაც ორჯერ კიდევ სცადა გაპარვა. დაიჭირეს და კიდევ დაუმატეს პატიმრობას სამი თუ ოთხი წელი. ერთი სიტყვით, სამი წლით მისჯილი პატიმრობა თანდათან თორმეტი-ცამეტი წლის პატიმრობად ექცა და ციხიდან გამოვიდა მხოლოდ 70-ანი წლების შუალედში. მერე ჩაიდინა ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ასეთი იყო ვ. ჟვანიას პატიმრობის «ეპოპეა».

პატიმრობის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მე უკვე უშიშროებაში ვმუშაობდი, ის კი რამდენიმე თვის განთავისუფლებული იყო ალბათ პატიმრობიდან. რუსთაველის გამზირზე ფეხით მივდიოდი. გავიარე ე.წ. «ზემელი», მაღაზია «სპორტი» და იქ პატარა შესახვევში, საქართველოს ყოფილი ჭადრაკის ფედერაციის შენობის წინ შევნიშნე _ ბურახი იყიდებოდა. არასოდეს ვყოფილვარ ამ სასმელის ტრფიალი, მაგრამ რაღაცა ძალამ მიკარნახა ბურახი დამელია და თუ გინდათ სოაცრება, ბურახის გამყიდველის პიროვნებაში ჩვენი «ძველი მეგობარი» ვალიკო ჟვანია შევიცანი. აკი მოგახსენეთ, მას ძალიან ცუდი მხედველობა ჰქონდა-მეთქი. ამიტომ ვერც მიცნო და შემეძლო ისე დამელია ბურახი, რომ საერთოდ ხმა არ გამეცა. ისიც მახსენდება, რომ ვალიკო ისეთი განურჩეველი ინტერესით ყიდდა ბურახს, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის უსხამდა _ ქალს, კაცს, ბავშვს თუ ზოოპარკიდან გამოქცეულ სპილოს. ვერ მოვითმინე და გამოვეცნაურე. ერთი ამომხედა, დამაკვირდა, სახეზე მისთვის დამახასიათებელი ირონიული ღიმილი გამოეკვეთა, მკითხა _ «როგორა ხარო». არც ვიცი, რა ვუპასუხე. შევამჩნიე, საუბრის გაგრძელების არავითარი ინტერესი არ გააჩნდა. ამიტომ სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას. მახსოვს რაღაც გაურკვევლობის, უხერხულობის გრძნობა დამეუფლა. მივდიოდი რუსთაველზე და ვფიქრობდი, რა უცნაურია ეს ცხოვრება, _ ერთი უშიშრებაში მუშაობს, მეორემ თითქმის თხუთმეტი წელიწადი ციხეში გაატარა _ არ ვიცი, რისთვის, რა იდეებისთვის და რატომ? სასტიკად გავბრაზდი ჩემს თავზე, რატომ გამოვეცნაურე-მეთქი. რა მივიღე ამით? ვერ გამემართლებინა მისი ასეთი უმადურობა. კარგი, მე არავინ ვიყავი მისთვის, მაგრამ არც დედაჩემი მოიკითხა, არც ალბათ ერთადერთი მეგობარი, რომელიც კი ოდესმე ყოლია ცხოვრებაში (ჩემი ძმა) და ა.შ.

ხშირად მიფიქრია და მაინც ვერ მიპასუხია ერთ მთავარ კითხვაზე: საერთოდ ვინ იყო ეს პიროვნება? რა სურდა მას? რისთვის იბრძოლა? რას შესწირა სიცოცხლე? ამ კითხვაზე ალბათ ძნელია პასუხის გაცემა. ის მომაგონებს გარიყულ დონ კიხოტს, რომელიც იბრძოდა და ისიც არ იცოდა _ რისთვის? ალბათ იდეური მებრძოლი იყო. ყოველ შემთხვევაში, შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნეს, რომ ასე ერთპიროვნულად არავის არ უბრძოლია იმ მონსტრის წინააღმდეგ, როგორიც საბჭოთა ხელისუფლება იყო.

ვ. ჟვანია ტრაგიკული პიროვნება გახლდათ. მამა _ სამხედრო მოსამსახურე _ ქართული დივიზიის პოლკის უფროსი _ 1937 წელს დაუხვრიტეს, როცა იგი ერთი-ორი წლისა იქნებოდა. შემდეგში მისთვის არავის არ ეცალა და მისი აღზრდით არავინ

დაიტერესებულა (დედა, ძმა). მხოლოდ თავის თავს ეკუთვნოდა და აკეთებდა იმას, რაც სურდა. ნახევრად ან სულ მშიერი დადიოდა, არავის არასოდეს არაფერს სთხოვდა. თუკი მის ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, აუცილებელია აღვნიშნოთ, ეს კაცი უაღრესად ნიჭიერი გახლდათ, თვითონ შეისწავლა უმაღლესი მათემატიკა, მანქანათმშენებლობა, ხაზვა, კარტოგრაფია, პატიმრობაში შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა. ჯერ კიდევ ბავშვობაში და შემდეგ ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში სულ კითხულობდა და კითხულობდა. შესანიშნავად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურაში ფრიად გათვითცნობიერებული იყო. მას რომ პროგრამული, მიზანმიმართული განათლება მიეღო, დარწმუნებული ვარ, გამორჩეულ მიზნებს მიაღწევდა საზოგადოებაში. მაგრამ მან აირჩია, უფრო სწორად _ ბედმა არგუნა ის, რითაც იცხოვრა.

რატომ არ გადაიქცა ის ლიდერად ან აქტიურ მონაწილედ ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა? საიდან უნდა გადაქცეულიყო? არავის არ იცნობდა, არავისთან ურთიერთობა არ ჰქონდა, არ იცნობდა თბილისის ე.წ. ბომონდს. ერთი კია, მისი მოქმედებით საკმაოდ დააშინა საბჭოთა ხელისუფლება, უშიშროება. აკი მოგახსენეთ, რა «დელეგაციები» ჩამოვიდნენ საკავშირო უშიშროების კომიტეტიდან, ყველანაირად ცდილობდნენ გაერკვიათ ერთი მთავარი საკითხი: ამ ქმედებებში ის მარტო იყო, თუ მოქმედებდა მისივე მოგონილი იატაკქვეშა «საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის» დავალებით?! ერთი გენახათ, როგორ «დამშვიდნენ», როცა ირწმუნეს, რომ ის მარტო იყო თავის ქმედებაში. აქაც შეიქმნა ერთი დილემა. იყო მცდელობა, გიჟად გამოეცხადებინათ და სამუდამოდ გამოეკეტათ ფსიქიატრიულ დისპანსერში. მაშინ მათი ე.წ. «შრომა» ანტისაბჭოთა ტერორისტის გამოვლინებების საკითხში შედარებით ნაკლებად დაფასდებოდა. თვით ობიექტიც შეიცვალა. თუ პირველი დაპატიმრების დროს სიგიჟეს იგონებდა ან იმიტირებდა, შემდეგ ტაქტიკა შეცვალა და მისთვის დამახასიათებელი ლოგიკით მშვიდად განაცხადა, რომ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და შემდეგშიც იბრძოლებდა (მანამ ცოცხალი იქნებოდა) მათ წინააღმდეგ. ამით მან თვითონ გამოუტანა თავის თავს სასიკვდილო განაჩენი, ვინაიდან ვერავინ ვერ გაბედა და არც სურდათ ცოცხალი დაეტოვებინათ საბჭოთა ხელისუფლების მტერი. გოგოლისა არ იყოს: მერე რომ რამე მომხდარიყო? ვინ იყო ამის პასუხისმგებელი?!

ერთი კია, რომ მეთოდი, რომელიც მან აირჩია ამ ბრძოლისათვის, პრიმიტიული იყო. მაგრამ ამ «პრიმიტივიზმმა» ადამიანის სიკვდილი გამოიწვია და ამით ვალიკო ჟვანია ჩაირიცხა ისტორიაში, როგორც მარტოხელა ფანატიკოსი ტერორისტი და არა როგორც ადამიანი, რომელიც იბრძოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: ვალიკო ჟვანია ერთი პირველი მერცხალი იყო, და თუ გაზაფხულზე მერცხალი არ მოფრინდა, ისე გაზაფხული ვერ დადგება!

დისიდენტური მოძრაობის ისტორიიდან

1958 წლის სექტემბერია. 1956 წლის თბილისის მოვლენების შემდეგ ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. სკოლას ვამთავრებ. რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად. ჩვეულებრივი თბილისელი მოსწავლის ცხოვრებით ვცხოვრობ, ყოველი დღის გათენება მიხარია და მზის ჩასვლა ნამდვილად სევდას მანიჭებს. ერთი «ნაკლი» მქონდა ცხოვრებაში: კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებული ლტოლვა და გატაცება ისტორიის მიმართ გამაჩნდა. თუ სხვა

საგნებს ფრიადი ნიშნებისათვის ვსწავლობდი, ისტორიის შესწავლა და ათვისება ჩემი სტიქია იყო. საერთოდ ისტორიის წიგნს ჯერ კიდევ აგვისტოში _ სასწავლო წლის დაწყებამდე _ ვკითხულობდი და ვითვისებდი. შემდეგში გაკვეთილების მომზადების პერიოდში დამატებითი ინფორმაციით «ვმარაგდებოდი» საჯარო ბიბლიოთეკაში ან ბიძაჩემის _ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ბიბლიოთეკაში. ვცდილობდი მტვერსასრუტივით შემესრუტა ისტორიული ლიტერატურა და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღებით და მონდომებით ვამზადებდი საქართველოს ისტორიის გაკვეთილებს, რომელსაც ჩემდა გულისდასაწყვეტად კვირაში მხოლოდ ერთი აკადემიური საათი ეთმობოდა. ამ საგანს გვასწავლიდა თავისი პროფესიის კარგი მცოდნე, შესანიშნავი ორატორული ნიჭით დაჯილდოვებული, თავის საქმეში შეყვარებული, ჩემი სკოლის დირექტორი ლევან წივწივაძე, მეუღლე თამარ საჯაიასი, უცხო ენების ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტის დეკანისა, რომელმაც ქართულ ენაზე აამეტყველა «გრაფი მონტე კრისტო» და «სამი მუშკეტერი».

ბატონი ლევანი გახლდათ არაორდინალური შესახედაობის, ტანმაღალი, მხარბეჭიანი, უნიჭიერესი პიროვნება. არ მახსოვს, ოდესმე გაკვეთილი ჩანაწერებით აეხსნას. მხოლოდ თეზისები ჰქონდა ჩაწერილი პატარა ფურცელზე. ჩაიბარა «ხულიგნებით» სავსე სკოლა და 1-2 წელიწადში სანიმუშო გახადა. ჩამოაყალიბა სპორტული წრეები (ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის და სხვა). მოიწვია ქართული ცეკვების ქორეოგრაფი, დააარსა მომღერალთა გუნდი. ლოტბარად მოიწვია ცნობილი მომღერალი არტემ ერქომაიშვილი (ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის _ ანზორ ერქომაიშვილის ბაბუა). ერთი სიტყვით, პედაგოგობის ნიჭი ღვთისგან ჰქონდა ბოძებული.

საქრთველოს ისტორის ყოველი გაკვეთილი ჩვენთვის, ყმაწვილებისათვის (ყოველ შემთხვევაში _ ჩემთვის) ნამდვილი ზეიმი იყო. მაგრამ ეს ზეიმი დიდხანს არ გაგრძელდა. სასწავლო წლის დასაწყისიდან, ალბათ, სულ ორი-სამი გაკვეთილი ჩატარდა, შემდეგ კი გაკვეთილები გვიცდებოდა (ჯერ ეს ფაქტი გვიხაროდა, შემდეგ დაგვაფიქრა, ვერ გაგვეგო, თუ რა ხდებოდა). ერთ-ერთ გაკვეთილზე მაინც შემოვიდა ბატონი ლევანი და გამოგვიცხადა, რომ საქართველოს ისტორიის გაკვეთლები აღარ ჩაგვიტარდებოდა. მიზეზი არ აუხსნია, უბრალოდ თქვა: ასეთი გადაწყვეტილება სამინისტროში მიიღესო, თუმც არ გამორიცხა, რომ შემდეგში (როდის, არ დააზუსტა) შეიძლება ასეთი გაკვეთილები აღდგესო. ერთი კი გვირჩია, არ ჩამოვრჩენილიყავით სწავლის პროცესს, დამოუკიდებლად შეგვესწავლა მასალა (ძირითადად ივანე ჯავახიშვილის სახელმძღვანელო «საქართველოს ისტორია»). ამის რჩევა სრლიად არ მჭირდებოდა, რადგან ამას ისედაც ვაკეთებდი _ არა მარტო მოსწავლეობის დროს, არამედ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვერ ვიტყვი, რომ ამას სისტემატური ხასიათი ჰქოდა, მაგრამ ჩემს დაინტერესების სფეროში ყოველთვის შედიოდა, რამაც, ასე თუ ისე, მომცა საშუალება გარკვეული ბიბლიოთეკაც შემექმნა ამ საკითხის შესწავლისათვის, რომელსაც შემდეგში ჩემი საწყალი აწ გარდაცვლილი შვილი გია უფრო მეტის მონდომებით დაეწაფა.

ეჰ, დავუბრუნდეთ მოსაყოლს: არასოდეს დამავიწყდება ბატონი ლევანის სახე, რომელიც გაფითრებული იყო, ჩვენებურად რომ იტყვიან, «მიტკლის ფერი» ედო, ხმა უკანკალებდა, მოწაფეებს არ უყურებდა, სადღაც ჭერს მისჩერებოდა. ისე მომეჩვენა, თითქოს თვალებში ცრემლი ჩაუდგა. როგორც იყო დაასრულა მონოლოგი და ისე, რომ არც გამოგვმშვიდობებია, დატოვა კლასი.

რა ვიცოდი, რომ გავიდოდა სულ რაღაც ცხრა-ათი წელი და სამსახურეობრივი მოვალეობის გამო _ ორიგინალში გავეცნობოდი იმ პირველწყაროებს, რომელმაც განაპირობა 1958 წლის შემოდგომის მოვლენები...

როგორც შემდეგში გავიგე, საკავშირო მთავრობისა და კომუნისტური პარტიის საერთო საიდუმლო გადაწყვეტილებით გაუუქმებიათ ეროვნული ისტორიების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლებში. 1959 წელს გამოსცეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც თითოეულ რესპუბლიკას 56-58 გვერდი ჰქონდა დათმობილი, ე.ი. 4-5 აკადემიური საათი. სულ ეს იყო 14 რესპუბლიკის წარსული?!

ერთადერთი რესპუბლიკა, სადაც მოხდა გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა, ყოფილა საქართველო... არა, აქ იმის თქმა კი არ მინდა, რომ თითქოსდა რაღაც აქციები ჩატარდა მიტინგებისა და საჯარო გამოსვლების სახით, არა, ასეთი ფაქტი არ მომხდარა (ჯერ კიდევ სულ ორი წლის წინ თბილისში ახალგაზრდები ამოხოცეს, ჭრილობა მოუშუშებელი იყო და შიშის სინდრომი ჯერ კიდევ არ გამქრალიყო).

ერთადერთი ადამიანი, ვინც ხმა აიმაღლა, ამ ფაქტის წინააღმდეგ, იყო (ახლა უკვე ყველასგან მივიწყებული) საშუალო სკოლის პედაგოგი გვარად, მე მგონია, კობახიძე. როგორც უშიშროების კომიტეტში დალექილი მასალებიდან ჩანდა, იგი ორჯერ შეუვარდა განათლების სამინისტროს კოლეგიას, რომელიც ამ გადაწყვეტილებას იღებდა, ვითომდა დაარბია იქაურობა, დებოში მოაწყო, შეურაცხმყოფელი სიტყვებით და დამამცირებელი რეპლიკებით ელაპარაკა სამინისტროს კოლეგიის წევრებს, ხოლო განათლების მინისტრს მეორედ მოწყობილი დებოშის დროს სამელნე ესროლა, რითაც გაუფუჭებია მისი გაქათქათებული კოსტიუმი და, წარმოიდგინეთ, სხეულისათვის ნაკლებად მძიმე, მაგრამ მაინც ზიანი მიუყენებია. გამოძახებულ მილიციას აულაგმავს აღვირახსნილი «ხულიგნის» ქმედება და დაუპატიმრებია «წვრილმანი ხულიგნობის მუხლით», რასაც სათანადო სამედიცინო ცნობაც ადასტურებდა, რომელიც ამხანაგ მინისტრს აუღია ცნობილ ცეკას სამედიცინო სამსახურის მე-4 სამმართველოში. შემდეგში კოლეგიის წევრებს და მინისტრს ჰუმანურობა გამოუჩენიათ და თხოვნით მიუმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, რომ ვადაზე ადრე (გასამართლებული იყო 15 დღის ვადით) გაენთავისუფლებინათ პედაგოგი, რომელმაც მართალია «შეარცხვინა პედაგოგის სახელი», მაგრამ ეს გადაჭარბებული აღელვების, აფექტის ქმედებაში ჩაიდინაო, თითქოსდა _ მათი მონაცემებით _ ცოტა ან ზომაზე მეტად ნასვამ მდგომაროებაში ყოფილა...

პატიებით კი აპატიეს, ჰუმანურად მოექცნენ «ხულიგან» კობახიძეს, მაგრამ სამსახურიდან დაითხოვეს (გააძევეს) და საერთოდ აუკრძალეს პედაგოგიური მოღვაწეობა. როგორც მომდევნო მასალებიდან ჩანდა, დაახლოებით ერთ წელიწადს ცდილობდა ეს ადამიანი სამსახურში აღდგენას, მაგრამ ვინ აღადგენდა ასეთ «ხულიგანს» სამსახურში და ვინ შეუშვებდა მას სკოლის აუდიტორიაში?! აქ კი უცნაური, შესაშური ნებისყოფა გამოუჩენია ამ ადამიანს, სასოწარკვეთილებას არ მისცემია, მომზადებულა ინდივიდუალურად და (წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი ხდება 50-ანი წლების ბოლოს) თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაუბარებია გამოცდები, დაუმთავრებია მისი სრული კურსი და შემდეგ, როგორც ექიმი, ისე ემსახურებოდა ხალხს. 60-ანი წლების ბოლოს თითქმის ჩამოშორდა «ანტისაბჭოთა» მოღვაწეობას, ზრდიდა როგორც მახსოვს ორ შვილს, ცხოვრობდა კომუნალურ ბინაში (თბილისის ერთ-ერთ იტალიურ ეზოში) და სად არის ახლა, ცოცხალია თუ არა, არ ვიცი. ერთი კი ვიცი: ახლა როცა ბევრმა პიროვნებამ თავი წამოყო _ აქაოდა

კომუნისტებს და მათ რეჟიმს თითქმის 1921 წლიდან ვებრძოდიო, და მავანი და მავანი არც იმის განცხადებას თაკილობს, თითქოსდა პარტიზანულ ბრძოლასაც ეწეოდა კომუნისტების წინააღმდეგ, თუმცა სინამდვილეში ჯიბეში პარტბილეთიც ჰქონდა შენახული და პარტიული კარიერის განმტკიცებით იყო გართული, _ აი, ამ დროს ეს კაცი გაჩუმებულია და მისი ოჯახის წევრები არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ, თავს არ დებენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეტანილ მათ წვლილზე...

1958 წელი იმითაც არის «ღირსშესანიშნავი», რომ თბილისში ჩატარებული რეპრესიების შემდეგ კომპარტიამ და მოსკოვმა განსაკუთრებით გაამკაცრა დაკვირ-ვებისა და მეთვალყურეობის რეჟიმი საქართველოში (ისევე, როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში). მას შემდეგ კომუნისტური პარტიის მეორე მდივანი რეს-პუბლიკებში მოსკოვიდან ინიშნებოდა, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს რუსეთი ნიშნავდა, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მოადგილეს, რა თქმა უნდა, რუსი ეროვნების ხალხს. ერთი კურიოზული შემთხვევაც გამახსენდა, რომელიც დაახლოებით იმ წელს მომხდარა საქართველოში და მოსკოვში. ეშმაკ გურულს _ ვასილ მჟავანაძეს უთხოვია მოსკოვისთვის (ნიკიტა ხრუშჩოვისათვის), რა საჭიროა მეორე მდივნის მოსკოვიდან გამოგზავნა, აგერა გვყავს გამოცდილი სამეურნეო და პარტიული მუშაკი, ადრე უკრაინიდან გადმოსახლებული უკრაინელი ხოხლოვიო და ის დაგვინიშნეთო. ამ დროს ეს ხოხლოვი «საქსოფლტექნიკის» კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. ასე «შეურჩევიათ» ეშმაკ ქართველებს თვითონვე თავიანთი ბატონი და გაუგზავნიათ მოსკოვში თანამდებობაზე დასამტკიცებლად. ხომ არ გაგონებთ ეს ფაქტი ისტორიულ წარსულს, როცა ქართველი მეფეები ან შაჰის, ან ხონთქრის კარზე ინიშნებოდნენ? საბჭოთა კავშირის დროს კი თბილისის ვერცერთ დაწესებულებაში საშუალო რანგის მუშაკის შტატსაც კი ვერ დაუშვებდა მისი ხელმძღვანელი მოსკოვთან შეუთანხმებლად...

ჩასულა, ბატონო, ეს ხოხლოვი მოსკოვში, გაუვლია გასაუბრებისათვის საჭირო ყველა საფეხური (ვიცი, რასაც წარმოადგენს ყოველივე ეს, ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი) და საბოლოო გასაუბრებაზე შესულა ამხანაგ ნიკიტასთან. ხრუშჩოვის პირველსავე კითხვაზე ამხანაგ ხოხლოვს ისეთი კორიანტელი დაუყენებია, ქართულ-კახური რუსულით ისე უპასუხნია (იქ იყო გაზრდილი), რომ ნიკიტა კინაღამ სკამიდან ჩამოვარდნილა. ცოტახანს უსმენია ნიკიტას ხოხლოვის «ჭეშმარიტი» რუსულისათვის, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან გვანებია სოსოიას ბაბუას რუსულს, როდესაც ის სადგურის უფროსს ელაპარაკებოდა, რომლის შემდეგაც მას თითქოსდა უთქვამს: «ასეთი რუსული ჩემს ცხოვრებაში არ გამიგონიაო». გაშმაგებულ ხრუშჩოვს იქვე დაურეკავს თბილისში ძმაკაც მჟავანაძესთან და ისეთი უშვერი სიტყვებით უგინებია, რომ მჟავანაძეს სირცხვილისაგან ერთი კვირა ჰქონია ყურები გაწითლებული და ვერავითარმა მალამოებმა ვერ უშველეს თურმე. თითქოსდა მაშინ დაქადნებია ხრუშჩოვი მჟავანაძეს: «ალბათ დროა ქართველებს თქვენი ეშმაკობისათვის «кузькина мать»-ი გაჩვენოთ და ყველა ციმბირში გადაგასახლოთო». როგორც ეტყობა, ხრუშჩოვს კაპიტალისტებზე მეტად ქართველები სძულდა და ამიტომაც ეს გინება ჯერ მათ უთავაზა.

გამოხდა მცირე ხანი და სუკმა (წაიკითხე _ კომუნისტებმა) დაარბია თბილისის პიონერთა სასახლის რუსული (?!) ლიტერატურის წრე. დააპატიმრეს მისი პედაგოგი და ათი წლით გადაასახლეს, რითაც შემდეგში მთლიანად გაანადგურეს მისი ცხოვრება. ისე რომ, გარკვეულ წილად ცალკეული რეპრესიები ისევ ტარდებოდა. აბა

ხალხისთვის ხომ უნდა ეჩვენებინათ, ვინ არის ქვეყანაში ბატონი. ხოლო 60-ანი წლების დასაწყისში გამოვლინებულ იქნა აგრეთვე ტერორისტული აქტი (მექვაბიშვილი და მისი ჯგუფი) ნ. ხრუშჩოვის წინააღმდეგ.

ალბათ, ქართველები ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს ტერორისტული აქტი არ განხორციელდა, ვინაიდან ხელს გავისვრიდით ამ გარეწარის სიკვდილში, ის კი წამებულად გამოცხადდებოდა და ისტორიაში ამ ამპლუით შევიდოდა. ჩვენ კი აგვისრულდებოდა მისი მუქარა «кузькина мать»-ის შესახებ და ეს იმ დროს, როცა მის თანამებრძოლებს ამ კაცის სიკვდილი მხოლოდ დიდ სიხარულს მოუტანდა და, როგორც ყოველთვის, ფარისევლის ნიღბით დიდი პატივით მიაბარებდნენ კრემლის ვიპ-სასაფლაოს...

საერთოდ კი უნდა დაიწეროს, თუ რას წარმოადგენდა 1967-1968 წლებში და დაახლოებით 70-ანი წლების შუამდე _ ჰელსინკის ცნობილი დეკლარაციის ხელმოწერამდე _ საქართველოში «ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა», რომელსაც მაშინ უშიშროების ორგანოებში მხოლოდ ასე მოიხსენებდნენ: ანტისაბჭოთა განწყობილების მქონე ნაციონალისტური ელემენტები. ეს შემდეგ გაჩნდა სიტყვა «დისიდენტი» და სხვა, თორემ მაშინ რა, თითქმის ყველგან, როგორც იმ დროს უწოდენდნენ რუსულად, «ЗАСТОЙ» იყო გამეფებული... როცა სამსახურს შევუდექი 1967-1968 წლებში, საქართველოს უშიშროების კომიტეტში ისეთი სამსახური არც კი არსებობდა, რომელსაც დაევალებოდა ანტისაბჭოთა ნაციონალური ელემენტების გაუვნებელყოფა, რადგან ასეთი განწყობილება თითქოს არც შეიმჩნეოდა. რა თქმა უნდა, იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ფიქსირდებოდა ანტისაბჭოთა ანეკდოტების ფაქტები სტუდენტთა აუდიტორიებში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ამგვარ ანეკდოტებს სიამოვნებით უყვებოდნენ ერთმანეთს როგორც პარტიულ-კომკავშირული, ისე უშიშროების თანამშრომლები სანდო გარემოცვაში. ისე რომ, ანეკდოტების მოყოლა არც თუ ისე ცუდ ტონად ითვლებოდა. მაგრამ გააჩნია _ სად, როდის და ვისთან, აქ გარკვეული ზომიერება უნდა დაგეცვა.

ყურადსაღებია ერთი ეპიზოდი, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ ოპერატიულად აკვირდებოდნენ სტუდენტურ აუდიტორიას 70-ანი წლების დასაწყისში. აგენტურა მეტად ინტენსიურად იტყობინებოდა, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მარქსისტული ფილოსოფიის კათედრის დოცენტი სპარტაკ მხეიძე სისტემატიურად გვერდს უვლის საპროგრამო მასალას და სტუდენტებს «ართობს» ანტისაბჭოთა ანეკდოტებით. ერთ-ერთი მისი საყვარელი ანეკდოტი იყო: მართალია, საბჭოთა მთავრობამ დაისახა გეგმა გაასწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს მრეწ-ველობის, ინდუსტრიის ზრდის ტემპით, სოფლის მეურნეობის განვითარებით და ა.შ. მაგრამ მთლად გასწრება არ ღირსო, ვინაიდან _ თუ გავასწარით და გადავუსწარით, ხომ გამოგვიჩნდება დახეული შარვალი და უკანალიო, _ რაც გარკვეულ გამოცოცხლებას იწვევდა სტუდენტთა აუდიტორიაში. რომ ვთქვა, ასეთი ხშირი გადახვევები სალექციო თემიდან ყველას მოსწონდა-მეთქი, არ ვიქნები სწორი. ამიტომაც გამოჩნდნენ «პატრიოტები», რომლებიც როგორც ნებაყოფლობით, ისე აგენტურულად იტყობინებოდნენ უშიშროებაში ამ «უმსგავსო» საქციელის შესახებ.

ამ პიროვნების მცირეოდენმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სხვა პირობების გათვალისწინებით ის ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე გახლდათ, მისი სადიპლომო და საკანდიდატო «შრომები» მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით იყო გამსჭვალული, მისი ლექციები და სემინარები კათედრაზე არავითარ კრიტიკას (მარქსიზმის სახით) არ იწვევდა, ჰქონდა ბევრი მოუგვარებელი პრობლემა, ისევე როგორც მაშინ ბევრ

საბჭოთა მოქალაქეს (საბინაო, საფინანსო და სხვა). ამიტომაც გადაწყვეტილ იქნა მასთან პროფილაქტიკური საუბრის ჩატარება, რათა მიგვეთითებინა შეცდომებზე და აგვეღო სათანადო პირობა, რომ შეწყვეტდა არასასურველ «ანტისაბჭოთა» ანეკდოტების მოყოლას სტუდენტურ აუდიტორიაში. ასეც მოვიქეცით. უნდა ითქვას, რომ ამ პროფილაქტიკური საუბრის დროს ს. მხეიძე დაშინებული კურდღლის თვალებით, გულში მჯიღების ცემით გვარწმუნებდა, რომ შემდეგში ასეთ საქციელს არ ჩაიდენდა, რაზედაც დაწერა პირადად წერილი საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე, სადაც პატიებას მოითხოვდა და «გამოსწორებას» გვპირდებოდა. მართლაც, დაახლოებით ერთ წლის განმავლობაში მის შესახებ არაფერი ისმოდა. შემდეგ ისევ დაიწყო შეტყობინება უშიშროების სამსახურიდან, რომ დოცენტი ს. მხეიძე ისევ დაუფარავად ყვება სტუდენტურ აუდიტორიაში «ანტისაბჭოთა» ანეკდოტებს, რითაც გარკვეული «ავტორიტეტი» მოიპოვა ინსტიტუტში. იმასაც ამბობდნენ, რომ მის ლექციებს მთლიანი ანშლაგი ჰქონდა და მასზე დასასწრებად სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც ხშირად მოდიოდნენ. ამის დაშვება კი უშიშროებას არ შეეძლო და არც არავინ მისცემდა ამის უფლებას. ისევ და ისევ შევისწავლეთ «მასალები», ისევ და ისევ გავაკეთეთ ანალიზი და მივხვდით, რომ პირადად ანტისაბჭოთა ელემენტთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ რაღაც ჩვენთვის ჯერ გაუგონარ ფენომენთან. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ არავითარ რეპრესიულ ზომებზე საუბარი არ ყოფილა, რადგან მისი ქმედება არ წარმოადგენდა რაღაც ძალას, რომელიც საშიშროებას შეუქმნიდა საბჭოთა სახელმწიფოს. ჩატარდა ხელმეორე პროფილაქტიკური საუბარი (არ მინდა შინაარსით მოგაწყინოთ თავი), როდესაც მას ვუთხარით, ყოველ შემთხევვაში, თუ ასეთი დიდი სურვილი აქვს ანტისაბჭოთა ანეკდოტების მოყოლისა, აუდიტორია მაინც შეიცვალოს ანდა თავი დაანებოს მუშაობას _ მარქსიზმ-ლენინზმის ფილოსოფიის სწავლებას. მაშინ მისი ასეთი ქმედება უფრო გასაგები იქნებოდა: თუ მტერი ხარ, მტერი იყავი, თუ არადა, თავი დაანებე ამ კუკუდამალობანას თამაშს-მეთქი. ისევ და ისევ დაპირებები «გამოსწორების» შესახებ, ისევ და ისევ წერილობითი შეპირებები, ცრემლი თვალებში და თხოვნა, რომ ხელი არ შეგვეშალა მისი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, რომელიც მას თურმე ძალიან უყვარდა და მოსწონდა. მართალი გითხრათ, მეტი არა იცოდა რა და ვერც წარმოედგინა თავი სხვა სამუშაოზე. აპატიეს, შეუნარჩუნეს სამსახური... მაგრამ რომ იტყვიან «ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო», _ ისე დაემართა. მაინც არ შეწყვიტა თავისი «მოღვაწეობა». ამაზე განრისხებულმა საქართველოს უშიშროების ხელმძღვანელობამ (შ. ზარდალიშვილი) მოამზადა მასალები, გადააგზავნა პროკურატურაში და რამდენიმე დღეში ს. მხეიძის «ანტისაბჭოთა» ქმედების მასალები სასამართლოში აღმოჩნდა. ამ დროს სასამართლოებს საერთოდ გამოცდილება არ ჰქონდათ ასეთი სახის საქმეების წარმოებისა (გამოცდილებას სულ რაღაც ორი-სამი წელიწადში შეიძენენ). მახსოვს დამფრთხალი, შეშინებული სახე მოსამართლე ქალისა, რომელსაც დაავალეს ამ საქმის «გარჩევა». ექვსი-შვიდი სასამართლო ცირკის ჩატარების შემდეგ, გამოიტანეს განაჩენი: ორი წლით პირობითი პატიმრობა და პედაგოგიური მოღვაწეობის აკრძალვა. შემდეგში უშიშროების კომიტეტი დაეხმარა ბიბლიოთეკაში მოწყობაში, ვინაიდან, სანამ უშიშროების კომიტეტი არ ჩაერია, არსად სამსახურში არ იღებდნენ.

ახლა თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, მკითხველო, იყო თუ არა მსჯავრდებული ს. მხეიძე ანტისაბჭოთა ელემენტი და წარმოადგენდა თუ არა თავისი ქმედებით საშიშ პიროვნებას საბჭოთა სახელმწიფოსთვის. ალბათ, მხოლოდ იმ ნაწილში თუ წარმოადგენდა, რომ ყოველივე ეს სტუდენტებთან საჯაროდ არ უნდა მოეყოლა,

თორემ ისე ამ კრიტერიუმით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ, ალბათ, მთელი საბჭოთა ხალხის დაპატიმრება (იზოლირება) მოუხდებოდა მთავრობას, რამეთუ ამით გატაცებული იყო თითქმის ყველა _ დაწყებული პარტიული მუშაკებით და დამთავრებული მუშათა კლასით.

ყოველივე ამით გვსურდა გვენახებინა, თუ რა ტოტალური დაკვირვების (ოპერატიული დამუშავების) წნეხის ქვეშ იყო მოსახლეობა და მითუმეტეს _ სტუდენტი ახალგაზრდობა. ამიტომ გაკვირვებას იწვევს ისეთი შემთხვევა, როდესაც დღეს ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს თავისი ბიოგრაფიის შელამაზებას საბჭოთა პერიოდში მის მიერ ჩატარებული ანტისაბჭოთა ქმედების ფაქტებით... ერთი ასეთი წიგნი წავიკითხე ამ დღეებში, ნამდვილად საამაყო საზოგადო მოღვაწის, კრიტიკოსის, მწერლის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლისა, სამწუხაროდ ძალზე ადრე გარდაცვლილის (ვინაიდან თავისი ავტორიტეტით მას შეეძლო ალბათ, გარკვეული გარდატეხის შეტანა ეროვნულ მოძრაობაში). ესაა ბატონი აკაკი ბაქრაძის წიგნი «მწერლობის მოთვინიერება». მართალი გითხრათ, მაშინ, როცა შევიძინე ეს წიგნი _ 1990 წელს, ასეთი გულმოდგინებით არ წამიკითხავს, როგორც ახლა _ 2007 წელს. მაშინ, საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდატეხისა და გარდაქმნის ეპოქაში, იქ მოყვანილი ფაქტები ძალიან ბანალურად მომეჩვენა, ვინაიდან, როცა საბჭოთა ქვეყანა სულს ღაფავდა, ასეთმა ლიტერატურამ თითქმის წალეკა წიგნის თაროები. რა თქმა უნდა, ბატონი აკაკი მისთვის ჩვეული დაკვირვებით, კალმის სიმძაფრით, ფაქტებზე დაყრდნობით თითქმის 1921 წლიდან 1990 წლამდე აანალიზებს კომუნისტური წყობილების მიერ «მწერლობის მოთვინიერებას» და მის მცდელობას _ გადაეყვანა მწერლობა სოციალისტური რეალიზმის რელსებზე. მოგახსენებთ, რომ წიგნში წარმოდგენილი ანტისაბჭოთა ფაქტები იმდენად აშკარად არის გადმოცემული, რომ მართალი გითხრათ, არცერთ საზღვარგარეთ გამოცემულ თუ საბჭოთა სახელმწიფოში დასტამბულ «თვითგამოცემის» ანტისაბჭოთა წიგნებში მსგავსი რამ არ წამიკითხავს. საბჭოთა სახელმწიფო, კომუნისტური პარტია გაშიშვლებულია მისი მანკიერებით, ტერორით, სულში ჩაფურთხების მეთოდებით, დამცირებით, რეპრესიული ქმედებებით და სხვა და სხვა. მართლაც რომ გაბედული და უშიშარი წიგნია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ _ გამოცემულია 1990 წელს _ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მზის ჩასვენების დროს, 1990 წლის საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებნენ ერთმანეთს კომუნისტური პარტია და ეროვნული მოძრაობის ლიდერები და ერთ-ერთ ძალას ბატონი აკაკიც წარმოადგენდა.

ამას იმიტომ ვყვები, რომ გითხრათ, ბავშვობიდან არ მიყვარდა ჯერ წიგნის წინასიტყვაობის წაკითხვა და შემდეგ მისი შინაარსისა, რადგან ასე მგონია თუ წინასიტყვაობას წაიკითხავ, ამით შეიძლება შინაარსიც გახსნა და წიგნმა აღარ დაგაინტერესოს. მაგრამ სანამ წიგნის წაკითხვას დავამთავრებდი, დავუბრუნდი წინასიტყვაობას და სახტად დავრჩი: ავტორი გვამცნობს თითქოსდა წინამდებარე წიგნში შეტანილი იყოს მის მიერ 70-ანი წლების შუალედში თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტთა აუდიტორიაში წაკითხული ლექციები. ეს კი დაუჯერებელია, ვინაიდან მახსოვს, რა რეზონანსი ჰქონდა ამ პატივსაცემი ადამიანის ლექციებს და ისიც მახსოვს, თუ რა აჟიოტაჟს იწვევდა ეს ლექციები, მაგრამ ისიც მახსოვს, თუ რა ეზოპეს ენით იყო შენიღბული ნათქვამი, რომელიც შინაარსობრივად არაფრით არ ჰგავდა მოგვიანებით გამოცემულ წიგნს. ისიც კარგად ვიცით თუ ამ ლექციებს რამდენი «პატრიოტი» მსტოვარი (უშიშროების) ესწრებოდა და თუ ისეთი

შედარებით უმნიშვნელო ლექტორის ს. მხეიძის «ანტისაბჭოთა» ლექციები არ დარჩა მხედველობის გარეშე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისეთი გამოჩენილი პიროვნებას, როგორც იყო ბატონი აკაკი, უშიშროება უყურადღებოდ არ დატოვებდა და ძნელი წარმოსადგენი არ არის, ასეთი ანტისაბჭოთა გამოთქმებისათვის მას რუსთაველის თეატრის დირექტორობას კი არ შესთავაზებდა ბატონი ედუარდი, არამედ მისი კარიერული წინსვლის შემაფერხებელ ისეთ ადგილებში გაუშვებდა დასასვენებლად, საიდანაც მხოლოდ ერთეულები თუ ბრუნდებიან... ამ მეტად აქტუალური წიგნის და მისი ავტორის შესახებ იმიტომ კი არ გესაუბრებით, რომ გავბედე და ვაკრიტიკებ. ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია, ვინაიდან: ჯერ ერთი, წიგნში ყველაფერი სიმართლე წერია ავტორისათვის დამახასიათებელი დასაბუთებით და პირველადი წყაროების მითითებით. არა, ბატონებო, რა თქმა უნდა, მე როგორც პიროვნება პატივცემული ა. ბაქრაძის კრიტიკოსად, მითუმეტეს _ ლიტერატურათმცოდნეობაში, ვერ გამოვდგები. უბრალოდ ხაზი გავუსვი იმას, რომ თუ ასეთი ჩანაწერები (ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური) არსებობდა, ალბათ, სეიფში ჰქონდა ჩაკეტილი, რადგან იქ წარმოდგენილი ერთი ფრაზაც კი საკმარისი იქნებოდა გაციმბირებისათვის. ავტორს წიგნში არაერთი მასალა მოჰყავს 1921 წლიდან (საქართველოს გასაბჭოების დროიდან) ქართველი მწერლების მოთვინიერებისა. ასეთ სენს, მე მგონი, ვერავინ ვერ გადაურჩა. თუკი იყვნენ ასეთები, ისინი მხოლოდ ერთეულები იყვნენ. ასეთ პიროვნებად, მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, მხოლოდ მერაბ კოსტავა მიმაჩნია, რომელმაც აირჩია რა თავისი ცხოვრების ეკლიანი გზა, ერთხელაც არ უღალატია თავისი პრინციპებისათვის, თავი არ დაუხრია და ბოლომდე ატარა ძნელი ტვირთი ანტისაბჭოთა დისიდენტისა.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის განვითარების მთლიანი სურათის წარმოდგენისათვის ურიგო არ იქნება, თუUგავიხსენებთ მის ტალღურ მიმდინარეობას, გარკვეულ წილად მის ცალკეულ ეტაპებს (ჩემი მსჯელობა იმ მასალებს ეყრდნობა, რომელიც წლების განმავლობაში ილექებოდა უშიშროების კომიტეტში ამ საკითხის გარშემო).

პირველი, რაც გააკეთა ნ. ხრუშჩოვმა თბილისის 1956 წლის სისხლიანი ამბების ჩახშობის შემდეგ, იყო ის, რომ გააუქმა ეროვნული სამხედრო დივიზიები. კერძოდ, ორი ქართული საჯარისო დივიზია, რომლებსაც არ ენდობოდა. რამდენადაც ვიცი, ეს საჯარისო შენაერთები ომის დროს შექმნეს სტალინის მითითებით. შემდეგში კი მას ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ და ამიტომაც პირველსავე ხელსაყრელ (მათთვის, კომუნისტებისათვის) პირობებში იგი გააუქმეს და დაშალეს. შემდეგ ჯერი უშიშროების რეორგანიზაციაზე მიდგა. ათეული წლების განმავლობაში დამოუკიდებელი სამთავრობო ერთეულიდან უშიშროების ორგანოები (სხვადასხვა სახელწოდებით _ ЧК, ВЧК, НКВД, МВД და სხვა) სტატუსით ძლიერ ჩამოაქვეითეს და შექმნეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ე.ი. არა სამინისტრო, არა დამოუკიდებელი სამსახური, ან თუნდაც კომიტეტი. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობით თითქოსდა არსებობდა მინისტრთა საბჭოსთან, მაგრამ არავითარ მის დაქვემდებარებაში არ იყო. რა თქმა უნდა, მას ქვეყნის პირველი პირი და მისი ხელქვეითნი უფრო სწორად _ კომპარტია მართავდა. ამიტომაც ამ კომიტეტში პოლიტიკური სამძებრო სამმართველო _ შემდეგში აგრერიგად ცნობილი მეხუთე სამმართველო გააუქმეს და განყოფილების სახით შეუერთეს კონტრდაზვერვის მთავარ სამმართველოს. ამიტომაც საქართველოს უშიშროების ორგანოები, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პროვინციული ორგანო, მეტად შეამცირეს და მეხუთე სამმართველო, ქვეგანყოფილების სახით ასევე

შევიდა კონტრდაზვერვის განყოფილების შემადგენლობაში. ძლიერ შემცირდა მისი საშტატო ერთეულებიც და უკვე ლაპარაკი აღარ იყო იმ ტოტალურ ყოვლისმომცველ ოპერატიულ დაკვირვებაზე, რომელიც ახასიათებდა სტალინურ რეჟიმს. ამ პერიოდს ერთხანს ხრუშჩოვის «ოტტეპელიც» ეწოდა, ერთის გამოკლებით, რომ არცერთი წუთით არ შეუწყვეტიათ და არ გაუუქმებიათ მეთვალყურეობა შემოქმედებითი კოლექტივების მიმართ (მწერალთა კავშირი, მხატვართა, კომპოზიტორთა და სხვა კავშირები) და, რაც მთავარია, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების მიმართ.

1967 წლის ოქტომბერში ასეთი «დასუსტებული» და რეორგანიზებული კომიტეტის უფროსად დანიშნეს პარტიული მუშაკი იური ანდროპოვი, ვინაიდან როგორც არ უნდა «დაესუსტებინათ» უშიშროება, ის მაინც დიდ და უმართავ მონსტრს წარმადგენდა სახელმწიფოში. კარგა 15-16 წელიწადს მართავდა ანდროპოვი უშიშროებას და სწორედ მას უნდა უმადლოდეს ეს სამსახური შემდგომ აღზევებას. პირველი, რაც ი. ანდროპოვმა გააკეთა, მოაშორა უშიშროებას მისთვის ესოდენ დამამცირებელი _ «მინისტრთა საბჭოსთან არსებული» და იგი დამოუკიდებელი სამინისტროს (კომიტეტის) სახით შევიდა სახელმწიფო სტრუქტურებში. შემდეგ, რაც მთავარი იყო, აღადგინა «მოშლილი» სამსახურები და, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მეთვალყურეობისა და სამძებრო სამსახურის მეხუთე სამმართველო, რომელიც 1968 წლისათვის უკვე რამდენიმე ასეულ და ათასეულ კადრს ითვლიდა. სახელმწიფო უშიშროების სასწავლებლებში აღდგა ამ სამსახურისათვის სპეციალური კონტიგენტის მომზადების საკითხი და ა.შ. ასე რომ, 60-ანი წლების ბოლოს ი. ანდროპოვმა თანდათან დაუბრუნა უშიშროებას ის სახე და «სიძლიერე», რაც მას სტალინის, ბერიას და სხვათა მმართველობის დროს ჰქონდა.

რაკი ი. ანდროპოვზე ვისაუბრეთ, აქ მცირე ექსკურსი უნდა წარმოგიდგინოთ. 2008 წლის თებერვლის დასაწყისში რუსეთის ტელევიზიის მეორე არხმა «როსიამ» გადმოსცა თითქმის ორსაათიანი დოკუმენტური ფილმი 1967-1982 წლებში საკავშირო უშიშროების კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეზე, შემდეგში (ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანზე იური ანდროპოვზე.

პირველი სენსაცია გადმოცემისა იყო ის, რომ თურმე საკავშირო უშიშროების უფროსი ეროვნებით ებრაელი ყოფილა გვარად ლიბერმანი (ეს მაშინ, როცა იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ანტისემიტი იყო), მისი დედაც აგრეთვე ებრაელი გახლდათ, გვარად ფანშტეინი. მშობლები ადრე გაცილებულან ერთმანეთს, მამა ლიბერმანი ახალგაზრდა გარდაიცვალა ისე, რომ შვილის აღზრდაში მონაწილეობაც არ მიუღია. დედამისი ცოლად გაყოლია ვინმე ანდროპოვს (გარუსებულ ბერძენს, გვარად ანდრონიდი). აქედან მოდის მისი გვარიც ანდროპოვი. ახალგაზრდა ანდროპოვი (19-20 წლისა) უკვე კომკავშირული ფუნქციონერი დაქორწინებულა. გასჩენია ორი შვილი, ბიჭი და ქალიშვილი. დაახლოებით 40-ანი წლების დასაწყისში, როდესაც ი.ანდროპოვი ქ.პეტროზავოდსკში (კარელია-ფინეთის ახლად შექმნილი სოციალისტური რესპუბლიკა) გადაიყვანეს სამუშაოდ, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის პირველ მდივნად, ფაქტიურად მიუტოვებია პირველი ცოლ-შვილი. ომის დროს ითხოვა მეორე ცოლი, რომელთანაც ასევე ორი შვილი შეეძინა (ბიჭი და გოგო). მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირველ ცოლ-შვილს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და არ ზრუნავდა მათზე. ვაჟიშვილს რამდენჯერმე უცდია მამასთან კავშირის აღდგენა, ჩამოსულა მოსკოვში, შეხვედრია ყოვლისშემძლე უშიშროების მინისტრს, მაგრამ ვერავითარი დახმარება ვერ მიუღია. ჯერ კიდევ

ახალგაზრდობაში დაუწყია ჯიბის ქურდობა, ორჯერ ყოფილა გასამართლებული, უცდია დაბრუნებოდა ნორმალურ ცხოვრებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მამამისს დახმარების ხელი არ გაუწვდია. მოსკოვიდან დაბრუნებულს ისევ მიუყვია ხელი ქურდობისათვის, გალოთებულა და საკმაოდ ახალგაზრდა 33-34 წლისა გარდაცვლილა. მისი და სტავროპოლის ოლქში ცხოვრობს, სპეციალობით ექიმი-თერაპევტია. აქვს ოჯახი, ჰყავს შვილი და სხვა გვარს ატარებს, არავითარ ინტერვიუს, არც რუსეთის, არც საზღვარგარეთის ჟურნალისტებს არ აძლევს. მამის გარდაცვალებაზე 1983 წელს მოსკოვში არ მიუწვევიათ.

ი.ანდროპოვის მეორე ცოლის ფსიქიკაზე დიდი უარყოფითი გავლენა მოუხდენია 1956 წელს ბუდაპეშტის ამბოხების მოვლენებს. თვითმხილველი ყოფილა, როგორც უნგრელთა სისასტიკისა კომუნისტების მიმართ, ისე საბჭოთა ოკუპაციური ჯარების სისასტიკისა ბუდაპეშტის ხელმეორედ დაპყრობისას. შემდეგ რამდენიმე წელიწადი მკურნალობდა ფსიქიატრთან, რამაც მიიყვანა იმ სავალალო შედეგთან, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების გავლენის გარეშე სიცოცხლე ვეღარ შესძლო.

ანდროპოვის მეორე ვაჟიშვილმა დაამთავრა დიპლომატიური ინსტიტუტი, მაგრამ იმის გამო, რომ მამამისი უშიშროების ყოვლისშემძლე მინისტრი იყო, საზღვარგარეთ სამუშაოდ არ უშვებდნენ. 1982-1983 წელში იყო საბჭოთა კავშირის ელჩი საბერძნეთში. ოჯახური მდგომარეობის გართულების გამო (ცოლმა მიატოვა) დაიწყო ლოთობა და გადმოიყვანეს მოსკოვში.

ამდენად ი.ანდროპოვის პირადი ცხოვრება ტრაგიზმით არის სავსე. რა თქმა უნდა, მისი მმართველობის დროს ამ ფაქტების შესახებ არავინ არაფერი იცოდა... იმ წლებში, როდესაც ი.ანდროპოვი სუკის თავმჯდომარე იყო, პარტიულმა ორგანოებმა ალბათ რამდენიმე ათეული ათასი ჩეკისტი გარიცხეს პარტიის რიგებიდან, გააგდეს სამსახურიდან ე.წ. ოჯახური ამორალობის გამო (ცოლის ღალატი, მისი ფიზიკური თუ მორალური შეურაცხყოფა და ა.შ.) და ეს მაშინ, როდესაც თურმე სუკის თავმჯდომარე, ალბათ ერთ-ერთი პირველთაგანი იმსახურებდა ამ სასჯელს. ვინ იცის, რამდენი ოჯახი გაუბედურდა. მე პირადად მოწმე ვარ იმ პარტიული კრებებისა, სადაც ასეთი საკითხები განიხილებოდა. შიდაპარტიული დისციპლინით და ოფიცრის დაუწერელი თუ დაწერილი ეთიკით ჩეკისტი მიბმული იყო თავის ოჯახთან. ამიტომაც, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა მარტივ მამრავლებად, ყველაზე მეტი ცოლ-ქმრული გაცილებები აღირიცხებოდა ჩეკისტების და პარტიული ფუნქციონერების ოჯახებში.

როგორც გადმოცემაში ითქვა, ი.ანდროპოვის დროს საკავშირო სუკის კადრების ოფიცერთა რაოდენობას თითქმის 485 ათასამდე მიუღწევია. ეს მაშინ, როდესაც 30-ან წლებში თითქოსდა მათი რაოდენობა სულ რაღაც 40-45 ათასს აღწევდაო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ი.ანდროპოვი გარკვეულწილად ნაკითხი და განათლებული პიროვნება გახლდათ, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კულტურის გამოჩენილ მუშაკებთან, წერდა ლექსებს, ამბობენ, ძალიან ემოციურ და ლირიკულს, რომლებიც არასდროს გამოუქვეყნებია.

მისი პიროვნების გარკვეული კულტი შეიქმნა 70-ანი წლების მიწურულს. ყოველ შემთხვევაში, ჩეკისტურ კოლექტივში გამოჩნდა მისი პორტრეტები ხელმ-ძღვანელების კაბინეტებში, ფ.ძერჟინსკის პორტრეტებთან ერთად და მისი ავტორიტეტი გაუთანასწორეს ძერჟინსკის (უშიშროების ორგანოების დამაარსებლის) ავტორიტეტს.

გარდაცვალების შემდეგ, სულ რაღაც 2-3 თვეში საკავშირო კაგებეს მთავარი შენობის კედელზე აღმოჩნდა მისი ბრინჯაოს ბარელიეფი, რომელიც 1992 წელს

ჩუმად მოხსნეს. დაახლოებით 2001-2002 წლებში კი იგივე ბარელიეფი პომპეზურად დააბრუნეს იმავე ადგილზე. ახლა ალბათ უნდა დაველოდოთ ფ.ძერჟინსკის ძეგლის დარბუნებას ლუბიანკის მოედანზე, რომელიც აგერ უკვე 17 წელიწადია, ობლად გამოიყურება (თუმცა ძეგლი შორს არ არის, იქვე სულ რაღაც 2-3 კილომეტრშია გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში). ასე რომ დიდი ტრანსპორტირება არ დასჭირდება. როგორც რუსულად იტყვიან: «Поживем - увидим»!

ი.ანდროპოვის დროს მხოლოდ ერთი სიახლე შემოიტანეს. კომუნისტები იმდენად არ ენდობოდნენ უშიშროებას, რომ თითქმის ყოველ წელს სისტემატურად გადმოჰყავდათ გარკვეულ ხელმძღვანელ თანამდებობაზე პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

დილეტანტების ხშირი გადმოყვანა უშიშროებაში თანდათან ქმნიდა მის რიგებში ისეთსავე თვითკმაყოფილებასა და უსაქმო ლაყბობის ატმოსფეროს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო კომკავშირული და პარტიული აქტივისათვის. გასაკუთრებით სავალალო შედეგს ეს ფაქტი იძლეოდა კონტრდაზვერვისა და დაზვერვის სფეროში, ვინაიდან ეს სამსახურები ძალიან მგრძნობიარენი არიან, თუ მათ დილეტანტები და არაპროფესიონალები მართავენ. განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო ამ კადრობრივმა გადახალისებამ მას შემდეგ, რაც მოხდა არშემდგარი ტერორისტული აქტი ბრეჟნევის წინააღმდეგ კრემლის მისადგომებთან 1976 წელს, როდესაც ტერორისტმა ილინმა, რომელიც მილიციის ფორმაში იყო გამოწყობილი, მაკაროვის სისტემის ორი პისტოლეტით დაცხრილა ბრეჟნევის სამთავრობო მანქანა. სასიკვდილოდ დაჭრა მანქანის მძღოლი და სიცოცხლისათვის ნაკლებადსაშიში ჭრილობა მიაყენა კოსმონავტ ლეონოვს. აი, აქ კი გამოჩნდა ნიჭი და უნარი ი. ანდროპოვისა. არ გასულა სულ რაღაც ორი თვე ამ ინციდენტის შემდეგ და უშიშროების ორგანოები, ერთი ორად გააძლიერეს... შეიქმნა ახალი სამსახურები, ახალი მიმართულებები ე.წ. ჩეკისტური მეთვალყურეობისა. იქ, სადაც წინათ ერთი-ორი კაცი (ოპერატიული მუშაკი) ემსახურებოდა თავის საქმეს, მთელი სამსახურები შეიქმნა, ცალკე სამსახურებად ჩამოაყალიბეს ოპერატიული (ჩეკისტური) მომსახურება თეატრებისა, მწერალთა კავშირისა, მეცნიერებათა აკადემიისა, სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა, ასე წარმოიდგინეთ _ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, ტექნიკუმებისა. რაც მართალი მართალია, საბავშვო ბაღები გამორჩათ, მაგრამ მათი მეთვალყურეობა შეიძლებოდა განათლების სამინისტროს აპარატიდან! ერთიც შეიძლება ითქვას: საქართველო მთელ საბჭოთა კავშირის სივრცეში განირჩეოდა (ამას განსაკუთრებით მოსკოვში მუშაობის დროს მივხვდი) და განცალკევებულ კუნძულს ჰგავდა, რომელიც ნაწილობრივ ემორჩილებოდა საბჭოთა კავშირში გამეფებულ ანტისაბჭოთა გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს. აბა სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის, რომ სწორედ 70-ან წლებში შეიქმნა ისეთი მხატვრული ნაწარმოები, როგორიცაა ნ. წულე-ისკირის მოთხრობები, გ. სხირტლაძის «უცხო ქალაქში», გ. დოჩანაშვილის ალეგორიული ეზოპეს ენით დაწერილი მოთხრობები, ო. ჭილაძის რომანები, ვ. სიხარულიძის პიესა, ქართული ფილმები: გ. შენგელაიას «ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა», ე. შენგელაიას «ცისფერი მთები», ო. იოსელიანის «ფერისცვალება», თ. აბულაძის ტრილოგია და ბევრი სხვა და სხვა. მხოლოდ საქართველოში არ უნდოდათ შეემჩნიათ თუ ვითომ არ ამჩნევდნენ მათ ანტისაბჭოთა მიმართულებას (ჩვენდა საბედნიეროდ). მხოლოდ საქართველოში დაიწყო გარკვეული იდეოლოგიური გარდატეხა, აქ გამოვიდა შეუფერხებლად ჭ. ამირეჯიბის

«დათა თუთაშხია», აქ 1982-1983 წლებში დაიწყო ვითომდა ფარულად (კონსპირაციულად) «მონანიების» გადაღება. ისე რომ, ამ ფენომენსაც შესწავლა სჭირდება! ქართველები, ბალტიისპირეთის რესპუბლიკასთან ერთად, ერთადერთნი აღმოჩნდნენ, რომლებიც თავის რესპუბლიკას ქვეყანას უწოდებდნენ და არა რუსეთის პროვინციას. ამისათვის გარკვეული პირობები იყო შექმნილი და მიმაჩნია, რომ მაშინდელ საქართველოს მთავრობას და მის პარტიულ ორგანიზაციებს მოუმრავლდა ხალხი, რომელიც არაორდინარულად, არაშაბლონურად აზროვნებდა...

მოგახსენებთ, რომ 60-ანი წლების დასასრულისათვის 1967-1975 წლამდე საქართველოში აქტიური ანტისაბჭოთა დისიდენტური მოძრაობა არ შეიმჩნეოდა, ერთეული გამონაკლისებით ფიქსირდებოდა აგენტურული შეტყობინებები მასის ინდიფერენტულობის შესახებ: კომუნისტური წესჩვეულების გამასხარავებით _ ანეკდოტების მოყოლა. აბა, თუ კარგად გავიხსენებთ იმ წლებს, ასეთი ანეკდოტები ვის არ მოუყოლია და არ მოუსმენია, ეს გარკვეულწილად ენამახვილობის კარგ ტონადაც კი ითვლებოდა და ამას ისეთი მასიური ხასიათი ჰქონდა, რომ მასთან «ბრძოლას» არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა.

როგორც მოგახსენეთ, 1967 წლიდან 1975 წლამდე არავითარი ე.წ. მნიშვნელოვანი ოპერატიული დამუშავების საქმე საქართველოს უშიშროების კომიტეტში არ არსებობდა, როგორც არ არსებობდა მიზნობრივად გამოყოფილი რაღაც სამსახური, რომელიც უშიშროების ტერმინოლოგიით ქართულ «ნაციონალიზმს» და «ანტისაბჭოთა» გამოვლინებებს შეებრძოლებოდა.

ამ მიმართულებით «მუშაობდა» ერთი უკვე ხანში შესული მუშაკი, ფიზკულტურის ინსტიტუტდამთავრებული მაიორი ც_ძე, მეტად დისციპლინირებული, ზრდილობით აღსავსე ძველი მუშაკი, რომელიც უშიშროებაში ომის დროს იყო მობილიზებული და ჰქონდა ერთი საკმაოდ სქელტანიანი დამუშავების საქმე ე.წ. «ქართველ ნაციონალისტებზე», რომელიც სასწავლო მასალად ითვლებოდა თითქმის ყველა პრაქტიკანტისათვის უშიშროების კომიტეტში. ეს დამუშავების საქმე ეხებოდა ა. პაპავას, ჭ. ამირეჯიბს, მაშინდელ კულტურის მინისტრს ა. გუნიას და სხვებს... ეს ის ხალხი იყო, ვინც თავის დროზე რეპრესირებულნი იყვნენ, რაღაც სასწაულით გადაურჩნენ დახვრეტას, სტალინის შემდეგ მიიღეს რეაბილიტაცია და დაბრუნდნენ საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი, როგორც მოგახსენეთ, კულტურის მინისტრიც კი გახდა. დოცენტი ა. პაპავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმოების ეკონომიკის კათედრაზე მუშაობდა და როგორც ლექციების კითხვის დროს, ისე ახლო გარემოცვაში საუბრების დროს არასოდეს ყოფილა შემჩნეული რაიმე ანტისაბჭოთა გამოთქმებში. ა. პაპავა ინსტიტუტის კოლექტივში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, თუმცა არასოდეს გამოუჩენია რაიმე აქტიურობა ინსტიტუტის საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი აღნაგობა, ჩაცმულობა, სიტყვა-პასუხის მანერა და სხვა მხოლოდ პატივისცემას იმსახურებდა, გახლდათ ფრიად განსწავლული ინტელიგენტი. ჭაბუა ამირეჯიბს წარდგენა არ სჭირდება. ძველი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ყოფილი კულტურის მინისტრი ა. გუნია, მეტად დახვეწილი ინტელიგენტი და ინტელექტუალური პიროვნება. მათ რიგებში იყვნენ სხვებიც (რომელთა გვარები ახლა არ მახსენდება), რომლებიც უშიშროების ორგანოებს დაახლოებით 1942 წელს დაუპატიმრებიათ სამშობლოს ღალატის «58» მუხლით. უშიშროების კომიტეტში დალექილი მასალებიდან ირკვეოდა: თითქოს იმ დროს, როდესაც გერმანელებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასია, მოადგნენ დარიალს და იალბუზზე სვასტიკიანი დროშა ააფრიალეს, _ ქართველ ახალგაზრდა პატრიოტებს შეუქმნიათ საქართველოს დამოუკიდებელი არალეგალური მთავრობა,

თითქოსდა დაუნიშნავთ მინისტრები, პრემიერი და სხვა, და იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები თბილისში აღმოჩნდებოდნენ, პურ-მარილით დახვდებოდნენ მათ... არ ვიცი, რამდენად სწორი იყო ეს ვარაუდი, ვინაიდან დამუშავების საქმეში არავითარი დამამტკიცებელი დოკუმენტი (რაიმე ფურცელი მაინც) არ არსებობდა. ჩეკისტური გამოძიება და მისი «სასამართლო» ტროიკა ეყრდნობოდა მხოლოდ დაპატიმრებულთა აღიარებით ჩვენებებს (აღიარებანი კი კარგად უწყით, რა მეთოდებით იქმნებოდა).

ერთ ასეთ ჩეკისტების მიერ «შექმნილ» საქართველოს არალეგალურ მთავრობაზე მოგვითხრობს ბერიას თანამებრძოლი გენერალ-ლეიტენანტი სუდოპლატოვი, რომელიც დაწვრილებით ყვება თავის წიგნში ამ ხალხის შერჩევის პროცედურას ისე, რომ რომელი ვერსიაა მართალი, ამის გარჩევა ჭირს. სავსებით დასაშვებია, ორივე ამ «მთავრობის» შერჩევა ჩეკისტების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. ერთი პარადოქსი ამ «ისტორიაში» ის არის, რომ თითქოსდა ბატონ გუნიას იმ მთავრობაშიც კულტურის მინისტრის პოსტი უნდა დაეკავებინა (?!). ეს ხალხი ანტისაბჭოთა საქმიანობას არ ეწეოდა. როგორც უშიშროებაში მიაჩნდათ, მხოლოდ პერიოდულად იკრიბებოდნენ,რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის დროს: დაბადების დღეები, იუბილეები, გარდაცვალება, ქელეხი და სხვა, სადაც თითქოსდა ცდილობდნენ განცალკევებულიყვნენ და ისე ესაუბრათ. თუმცა მათი ეს საუბრები მეორე დღესვე იყო ცნობილი უშიშროების ორგანოებისათვის, ვინაიდან მათ შორის ყოველთვის იმყოფებოდა საკმაოდ ავტორიტეტიანი უშიშროების პატრიოტი აგენტი. მაგრამ ისინი გამოცდილები გახლდნენ, არაერთი «ვირის აბანო» ჰქონდათ გავლილი საბჭოთა სისტემისა, ამიტომ ამ შემთხვევაშიც იჩენდნენ საკმაო ზომიერებას, იმდენად, რომ არასოდეს არ დაუსახავთ მიზნად რაიმე ქმედება საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამიტომაც გარკვეული ჯენტლმენური შეთანხმებით ისინი არავის არასოდეს შეუწუხებია...

აი, დაახლოებით ასეთი სურათი გახლდათ ბრძოლის ამ ფრონტზე...

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომლის შესრულება ევალებოდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს და განსაკუთრებით - მის პოლიტიკურ მეხუთე სამმართველოს, გახლდათ შემდეგი: მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა შეეგროვებინათ აგენტურულ-ოპერატიული საშუალებებით ე.წ. ხალხის აზრი და განწყობილება ამა თუ იმ პარტიული თუ სახელმწიფო გადაწყვეტილების გარშემო. ეს არ ხდებოდა წინასწარ გადაწყვეტილების მიღებამდე, ვინაიდან, როგორც წესი, ასეთი ღონისძიებები საიდუმლო იყო და ძალიან ხშირად ხალხისათვის ცნობილი ხდებოდა მათი ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნების შემდეგ... გარდა იმისა, რომ იმართებოდა კოლმეურნეთა, მუშათა კოლექტივების ხელოვნურად ორგანიზებული თათბირები ამ გადაწყვეტილებების «მოსაწონებლად», მთავრობას და პარტიას მაინც აინტერესებდა, რა ხდებოდა ხალხის შიგნით, მასაში. დამერწმუნეთ, სიტუაციის ობიექტურად შეფასებისათვის ეს მეთოდი სრულებითაც არ იყო ცუდი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, თანდათან ამ ე.წ. «ობიექტურმა» ინფორმაციის სიმართლემ ბალზაკის შაგრენის ტყავივით შევიწროვება დაიწყო და 60-ანი წლების შუალედიდან გადაიქცა ტყუილ, არადამაჯერებელ, შელამაზებულ ინფორმაციად. როგორც ცენტრში გაგზავნილი ინფორმაციით უშიშროება იუწყებოდა, თითქოს საქართველოს მშრომელთა და კოლმეურნეთა მრავალათასიანმა არმიამ დადებითი შეფასება მისცა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეყვანას, რათა დაეცვათ სოციალიზმი, ასევე დადებითად ფასდებოდა საყოფაცხოვრებო ნივთებზე და კვების პროდუქტებზე ფასების მომატება (აბა წარმოიდგინეთ მოქალაქე, რომელიც

ამას მოიწონებდა თუ საერთოდ ის, როგორც პიროვნება, ფსიქიატრიული შემთხვევა არ გახლდათ), თუმცა აქა-იქ ცოტა გააზავებდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლის პირდაპირ მოსაზრებას, რომელიც არ იწონებდა ამ გადაწყვეტილებებს. მაგრამ, როგორც გითხარით, ასეთი ინფორმაცია წვეთი იყო ზღვაში. არ ვიცი, ვინ უფრო იტყუებდა თავს, ის, ვინც ამ სიყალბეს ქმნიდა, თუ ის, ვინც სჯერდებოდა ამ «ფალშივკის» წაკითხვას?! ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მიწერებზე იყო გათვალისწინებული, ქაღალდზე სახელმწიოს ყოველთვის ჰქონდა დიდი მარაგი საყოფაცხოვრებო ნივთებისა, კვების პროდუქტებისა და ყოველივე ეს უსირცხვილოდ ქვეყნდებოდა გაზეთებში, ცხადდებოდა რადიოში და ტელევიზიაში, - დახლებზე კი სიცარიელე სუფევდა. ასეთი სიყალბე ქმნიდა სხვა მრავალ სიყალბეებსაც. რამაც ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა. ანდა წარმოიდგინეთ პოლიტბიურო, სადაც არცთუ ისე ვითომდა სულელები ისხდნენ და რომელსაც ახსენებდნენ ამ ყალბ - ეხლანდელი ტერმინოლოგიით - ეგზიტპოლებს ხალხის განწყობილების შესახებ და ისინიც ჩუმად და წყნარად ისმენდნენ ყოველივე ამას. შემდეგში, გორბაჩოვის მოსვლასთან ერთად, ეს პრაქტიკაც შეწყვიტეს, რადგან ისეთ დემაგოგს, როგორიც გორბაჩოვი იყო, მსგავსი თითიდან გამოწურული სიყალბე აღარ სჭირდებოდა. თუმცა უნდა დავძინო: ობიექტური ინფორმაცია, რა ხერხითაც არ უნდა იყოს მოპოვებული, ნორმალური მთავრობისათვის მეტად საჭირო და ოპერატიულად გასათვალისწინებელი ინფორმაცია უნდა იყოს ყოველთვის და ყველა პირობებში. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ხელისუფლებას კრიტიკა არ უყვარს!!!

გარკვეული გამოცოცხლება ეროვნული თვითშეგნების საქმეში შეიტანა 1975 წლის ჰელსინკის ხელშეკრულებამ, რამაც გამოიწვია ჰელსინკის ხელშეკრულებების დაცვის ჯგუფების შექმნა. საქართველოში ამ ჯგუფებს, როგორც მოგეხსენებათ, ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა ხელმძღვანელობდნენ. შემდეგ არალეგალურად გამოიცა ზ. გამსახურდიას ჟურნალები... შემდეგ ასპარეზზე გამოჩნდნენ შედარებით ახალგაზრდები, სტუდენტები _ თ. ჩხეიძე, ნ. კაკაბაძე, ძმები ბერძენიშვილები, გაგუა, ფაილოძე, ძმები გოლშტეინები. ამ ორ პიროვნებაზე ალბათ ღირს ორი სიტყვით მაინც შევჩერდეთ, რადგან 70-ანი წლების დასაწყისში მათ გარკვეული პრობლემები შეუქმნეს საქართველოს უშიშროებას, თუმცა თავიდან არავითარ ანტისაბჭოთა პოზიციებზე არ იდგნენ, უბრალოდ, როგორც ებრაელ ინტელექტუალებს, სურდათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ემიგრირება, რაზედაც უარი მიიღეს, რამეთუ «გაირკვა», რომ სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობდნენ და ასეთ ხალხს აბა როგორ მისცემდნენ საშუალებას ემიგრაციისა?!. და აქ დაიწყო მათი სისტემატური, მიზანმიმართული ქმედებები, აეძულებინათ საბჭოთა ხელისუფლება, რათა ისინი გაეშვათ. ამ «ბრძოლამ» თითქმის 12-13 წელიწადს გასტანა. არადა, მთელი მათი «ეპოპეა» ბანალური ეპიზოდით დაიწყო. 70-ანი წლების დასაწყისში, დასავლეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს საბჭოთა მთავრობის გარკვეულ კომპრომისს, რათა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთოთ ებრაელებისათვის. თუმცა როგორც გაირკვა, მათი არც ისე მცირე რაოდენობა _ დაახლოებით 60-65% _ სრულებითაც არ ჩქარობდა ისრაელში დაბრუნებას, რადგან მათი ძირითადად ინტელექტუალური ნაწილი, ინტელიგენცია, დააღწევდა თუ არა თავს საბჭოთა საზღვარს, ჯერ იტალიაში, ე.წ. საშუალედო პუნქტებში იყრიდა თავს, შემდეგ კი ყოველ ღონეს ხმარობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციისათვის და, როგორც წესი, ამას ადვილად აღწევდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად იცოდა სუკმა და საბჭოთა მთავრობამ და ამიტომ ყოველგვარ ბარიერებს უქმნიდა ინტელექტუალურ ებრაელებს. ეს რომ ასე არ გაეკეთებინათ,

წარმოიდგინეთ, რა სიცარიელე შეიქმნებოდა საბჭოთა მეცნიერების რიგებში, რადგან გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საბჭოთა მეცნიერების ძირითადი ელიტა ებრაული წარმოშობის იყო: აკადემიკოსები, პროფესორები, კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელები და ა.შ. და ა.შ. ძირითადად ე.წ. «დახურული, საიდუმლო» კვლევის მუშაკები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები. არაფერი რომ არ ვთქვათ ექიმებზე, ინჟინრებზე, პედაგოგებზე და სხვა. ერთი რამ აუცილებელი იყო: მთელი საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში კოსმოსისა და ატომური ენერგიის წარმატებით ათვისებაში ერთ-ერთი, ყველაზე დიდი თუ არა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ებრაელმა მეცნიერებმა (ლანდაუ, ზელდოვიჩი და სხვა). ის კი არა და, თვით რუსი მეცნიერების ბიოგრაფიებში დიდი ჩაწვდომაც არ იყო საჭირო, რომ იქაც ებრაული ეთნოსის კვალი აღმოგეჩინა. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო სრულებითაც არ აპირებდა ასე გაენადგურებინა თავისი მეცნიერება, მისი მომავალი და ამით ხელი შეეწყო «ტვინის გადინებისათვის» საბჭოეთიდან. ამის ყველაზე კარგი საშუალება კი იყო აეკრძალათ გამგზავრება იმ ხალხისათვის, რომლებიც მათი შეხედულებით ფლობდნენ სამხედრო, სახელმწიფო საიდუმლოებას. სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა საბჭოთა კავშირში ე.წ. «отказник»-ები, იმ ებრაული ინტელექტუალების დიდი ნაწილი, რომლებსაც აუკრძალეს საბჭოთა სახელმწიფოდან ემიგრაცია, ამ ხალხმა ჩამოაყალიბეს (რა თქმა უნდა, არალეგალურად) «отказник»-ების ორგანიზაცია, რომელიც თავისი «ანტისაბჭოთა» ქმედებით ძალზე ძლიერ ძალას წარმოადგენდა და თითქმის ნახევარი საუკუნე ებრძოდა საბჭოეთს თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად. ძირითადი დატვირთვა ამ ხალხთან «ბრძოლისა» უშიშროების კომიტეტს დააწვა და ამ «ბრძოლაში» გამოცდილება დააგროვა ჩეკისტების არა ერთმა თაობამ. გამახსენდა ერთი საბჭოთა ანეკდოტი, რომელიც მე მგონია კარგად ასახავს ებრაელთა და ქართველთა მდგომარეობას იმ წლებში. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების (სუკის) პრაქტიკულ ტერმინოლოგიაში მიღებული იყო: თუ ებრა-ელები იწყებდნენ თავიანთი ეროვნული და მოქალაქეობრივი უფლებების დაცვას, მათ სიონისტებად ნათლავდნენ; თუ ქართველები აკეთებდნენ ამას, ისინი ნაციონალისტებად იწოდებოდნენ, ხოლო ყოველგვარი შოვინისტური (ეროვნული ენის შეზღუდვა, ეროვნული ისტორიის სწავლების აკრძალვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მთელი სახელმწიფო აპარატის გადაყვანა რუსულ ენაზე და სხვა) ქმედება მოსკოვიდან ინიღბებოდა ინტერნაციონალისტური დროშით. ასეთი იყო სახელმწიფო პოლიტიკა და ამ პოსტულატზე დამყარებული კანონი.

ამიტომაც ერთად შეკრული, რაღაც უხილავი ძალით შედუღაბებული ებრაელთა ეს «отказник»-ების ორგანიზაცია ისეთ წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა მთავრობას, რომ ეროვნულმა მოძრაობებმა, დისიდენტურმა ქმედებებმა მეორეხარისხოვანი ხასიათი მიიღო. ხშირად ისინი გარკვეულ პერიოდში ერთიანდებოდნენ, ეს კი დიდ ძალას წარმადგენდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დისიდენტური მოძრაობის, «ჰელსინკის ჯგუფის» ბევრი ლიდერი ებრაული წარმოშობისა იყო, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. ებრაელთა ეს ორგანიზაცია იყო ერთადერთი მთელს საბჭოთა კავშირში, რომელიც თითქოსდა ერთი ცენტრიდან იმართებოდა. მათი ქმედებები ხშირად შეთანხმებული იყო, «დაგეგმილი» იყო და ამიტომაც მათთან ბრძოლა დიდ პრობლემებს უქმნიდა უშიშროების კომიტეტს.

ვერ ვიტყვით, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მოუმზადებელი შეხვდა ამ მოვლენას. როგორც ყოველთვის, შეიქმნა სათანადო სამსახურები კომპარტიის ცენტრალურ აპარატში, უშიშროების კომიტეტში და მათი პროვინციული აპარატები მოკავშირე რესპუბლიკებში და ოლქებში.

დანამდვილებით არ ვიცი, ისე კი, ჭორის დონეზე, ბატონ ინაურს მიაწერენ ინიციატივას: როდესაც ჰელსინკის პროცესების დაწყების წინ საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში გაეშვა ებრაელები, გადაწყვიტეს ძირითადად საქართველოში დაეშვათ ეს პროცესი, ვინაიდან ქართველი ებრაელობა, მათი შეხედულებით, ნაკლებად ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენდა. თუ გავიხსენებთ 70-ანი წლების დასაწყისს, ალბათ გაგვახსენდება, რომ ქართველ ებრაელთა უმრავლესობა ვაჭრობაში და ხელოსნობაში იყო ჩართული. ამიტომაც მათი ქვეყნიდან გადინება ნაკლებ ზიანს მიაყენებდა საბჭოთა სახელმწიფოს. რამდენადაც ამას სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, 1970 წლიდან საქართველო დატოვა დაახლოებით 13-15 ათასმა ებრაულმა ოჯახმა. ეს კი დაახლოებით 75-100 ათასი მოქალაქეა. ამიტომ შეიქმნა მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში სავიზო სამსახურები, რომლებსაც დაევალა უშიშროებასთან კონტაქტში ემუშავა ამ საკითხებზე...

აი, ასეთი იყო ის წინაპირობა, რომელიც შეიქმნა ჩვენი გმირების (ძმები გოლშტეინების) წინაშე, როდესაც მათ გადაწყვიტეს ოჯახთან ერთად საბჭოთა სამშობლოს დატოვება... ოპერატიულმა შესწავლამ გამოავლინა ის, რომ ორივე ძმას _ გრიგოლს და ისაის _ თავის დროზე ჰქონდათ პირველი კატეგორიის ნებართვა სახელმწიფო საიდუმლო დოკუმენტებთან მუშაობისათვის. ისინი სახელმწიფო საიდუმლოებების მცოდნენი აღმოჩნდნენ. თხრობის დასაწყისში მოგახსენეთ, მათი ისტორია ბანალურია-მეთქი და მართლაც ასე იყო, ვინაიდან ძალზე ფრთხილი და ჭკვიანი გოლშტეინები, როგორც თბილისის მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, არასოდეს გაკარებიან სახელმწიფო საიდუმლოებას თავიანთ სამსახურში (ანდა, წარმოიდგინეთ, რა დიდი სახელმწიფო საიდუმლო სამუშაო უნდა ჩატარებულიყო პროვინციულ მეტროლოგიის ინსტიტუტში?! მაგრამ, არის ერთი მაგრამ, როგორც შემდეგში გაირკვა (ოპერატიული შესწავლით), ძმები ჩართული ყოფილან ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სადოქტორო დისერტაციის სამუშაო საქმეში (გარკვეული ფულადი ანაზღაურებით), ეს მათთვის სავალალო დისერტაცია კი «საიდუმლო ლიტერატურის» გაცნობას მოითხოვდა, ამიტომაც მათთვის შეუფერხებლად მიუციათ ნებართვა ამ (შრომების) გაცნობისა. ისიც აღირიცხებოდა ე.წ. ინსტიტუტის პირველ განყოფილებაში, თუ რა ლიტერატურას გაეცნენ ემიგრაციის მაძიებლები და, ვაი უბედურებავ, ასეთი ინფორმაციის მფლობელების საზღვარგარეთ გაშვება, მითუმეტეს «მტრულ» სახელმწიფოში ისრაელში, აღარ შეიძლებოდა და მათ მტკიცე უარი უთხრეს.

ამის შემდეგ დაიწყო ე.წ. «ცირკი» ან სხვანაირად რომ ვთქვათ, «კუკუდამალობანას» თამაში უშიშროების კომიტეტსა და ძმებ გოლშტეინებს შორის. რა «ნიღბით» არ იბრძოდნენ ისინი, რათა მიეღწიათ ემიგრაციისათვის. აწყობდნენ შიმშილობას (ძალით კვებავდნენ), აწყობდნენ მანიფესტაციებს (ასამართლებდნენ ხულიგნობისათვის), შემოვლითი გზებით «მოტყუებით» იპარებოდნენ მოსკოვში, ოდესაში, კიევში და იქ «სიონისტურ» ძალებთან ერთად აწყობდნენ ანტისაბჭოთა მიტინგებს (აპატიმრებდნენ, ჩამოჰყავდათ საქართველოში). ხშირად, როცა აწყობდათ, უკავშირდებოდნენ ქართველ დისიდენტებს (ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას) და თითქოსდა მათთან სოლიდარობით აწყობდნენ «ანტისაბჭოთა» აქციებს. იყო მომენტი, როცა ვითომდა დაიწყეს ე.წ. სადაზვერვო («შპიონური») მასალების შეგროვება, ვითომდა უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისათვის (ჯაშუშებისათვის) გადასაცემად. შეაგროვეს რაღაც სქემები, ფორმულები, ჩანაწერები, მერე ვითომდა დაშიფრეს და ყველაფერს ამას თვალყურს ადევნებდნენ უშიშროების

თანამშრომლები. უნდა ითქვას, რომ 70-ანი წლების დასაწყისიდან ძმები ისეთი დიდი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდნენ (საგარეო მეთვალყურეობა, ტელეფონური მოსმენა, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერები და ბევრი სხვა ოპერატიული ღონისძიება), რომ ნამდვილად შესაშური იყო ასეთი ზომები. მათი ყოველი ნაბიჯი თითქმის გათვლილი იყო. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, თუ რა გონებამახვილობას და იუმორის ნიჭს იჩენდნენ გოლშტეინები სუკთან ბრძოლაში, მაშინ ყოველივე ეს კარგ რეჟისურას წარმოადგენდა ორივეს მხრიდან. ყოველდღე იდგა საკითხი ვინ _ ვის? ორივე მხარე ექსტაზშიც კი შედიოდა ამ ბრძოლაში. როცა «შპიონებმა» ყველაფერი მოამზადეს და სცადეს მოტყუებით თვითმფრინავით მოსკოვში გამგზავრებულიყვნენ, ყოვლისმცოდნე უშიშროებამ ისინი თვითმფრინავის სალონში დააკავა (დააპატიმრა). უნდა გენახათ, როგორი ხმაურით, «ანტისაბჭოთა» შეძახილებით სტოვებდნენ თვითმფრინავს. თუმცა მათ სულ სხვა გეგმები ჰქონდათ: ჩასულიყვნენ მოსკოვში, იქ, ალბათ, აშშ-ს ან რომელიმე დასავლეთის ქვეყნის საელჩოსთან დაეპატიმრებიათ, შემდეგ გაერკვიათ, რომ მათ მიერ შეგროვილი «შპიონური» მასალა სრული აბსურდი იყო და ამით მიექციათ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება. მაგრამ, რომ იტყვიან, «საბჭოთა ქვეყნის მტრებს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ», ვერ მოატყუეს ფხიზელი ჩეკისტები, რომლებმაც არ მისცეს საშუალება სამშობლოსათვის ეღალატათ, თუმცა სად იყო მათი სამშობლო, ახლა უკვე გაუგებარი გახლდათ.

ერთი კურიოზიც უნდა გავიხსენო ამ «ისტორიაში». როგორც კი ძმებს უარი უთხრეს ემიგრაციაზე და მიზეზიც ამისა გამოუცხადეს, მათ მიატოვეს სამსახური და ფაქტიურად უმუშევრები აღმოჩნდნენ. როდესაც «ბრძოლაში» გამობრძმედილმა გოლშტეინებმა უშიშროებასთან კუკუდამალობანას თამაშში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს (მოახერხეს მოსკოვში გამგზავრება და იქ «ანტისაბჭოთა» ქმედებების ჩადენა), საქართველოს უშიშროების კომიტეტი ამ უყურადღებობის გამო კარგად შეჯორა მოსკოვმა. აი, მაშინ საქართველოს უშიშროებამ გაუხსენა ძმებს, რომ ისინი უმუშევრები იყვნენ უკვე რამენიმე წლის განმავლობაში და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ საბჭოთა კავშირში უმუშევრობა აკრძალული იყო და უმუშევარი კაცი მუქთახორად ითვლებოდა. ვიღაცას მოუვიდა «გენიალური» აზრი, დაეპატიმრებინათ ძმები, როგორც მუქთახორები. იმის გამო, რომ ისაის ჰყავდა ცოლ-შვილი, მცირეწლოვანი შვილი, რომელიც სკოლიდან გამოიყვანა და თვითონ ძმები შეუდგნენ მის განათლებას საშინაო პირობებში, ისაი «შეიცოდეს» და რამდენიმე დღის პატიმრობის შემდეგ გამოუშვეს, ხოლო გრიგოლს მაგრად ჩასჭიდეს ხელი, რამდენიმე კვირაში გაასამართლეს მუქთახორობის მუხლით, მიუსაჯეს ერთი წლით პატიმრობა და ეს ერთი წელი ციმბირის ტრამალები ახეხინეს. აქ თითქოსდა არაფერია ახალი და გასაკვირი, მაგრამ ერთი რამ იყო უცნაური. ეს ხდებოდა საქართველოში, თბილისში, სადაც მთელი რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტი გადავსებული იყო ახალგაზრდა ჯანღონით სავსე, უპირატესად უმაღლესგანათლებამიღებული მუქთახორებით და ამ დროს «გაასამართლეს» მეცნიერებათა კანდიდატი გრიგოლ გოლშტეინი მუქთახორობის მუხლით. თუ არ მეშლება, მთელი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის განმავლობაში საქართველოში სასამართლო პრაქტიკაში ეს მუხლი არასოდეს გამოუყენებიათ...

არ ვიცი, რომელი ერთი მოვიგონო, თუ რა ხრიკებს მიმართავდნენ «საბჭოთა სახელმწიფოს მტრები» გოლშტეინები უშიშროებასთან «ბრძოლაში». თავის «შპიონურ მასალებს» ერთმანეთზე აწეპებდნენ ქალის თმებით, რასაც შემდეგში აღმოაჩენდნენ ჩეკისტები საიდუმლო ჩხრეკების ჩატარების შემდეგ და მათ დამცინავ სიხარულს

საზღვარი არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ მათ უსმენდნენ და ამიტომ მთელი დღის განმავლობაში მოსასმენ აპარატურას კი არ ხსნიდნენ, არამედ აშკარად დასცინოდნენ მოწინააღმდეგეებს. შვილს ასწავლიდნენ (ალბათ გარეთ, სეირნობის დროს) ანტისაბჭოთა ლექსებს და ეს «მოწამლული» ბავშვი სახლში მათ დეკლარირებას ახდენდა მთელი თავისი მსახიობური ნიჭით, ანდა ჩართული ჰქონდათ «ანტისაბჭოთა» ჯაზური მუსიკა და ამით «ართობდნენ» უშიშროების ოპერატორებს. სახლში რამდენჯერმე დააყენეს დასაჭერი თვითნაკეთი ხაფანგები და ფიზიკური ტრავმა მიაყენეს ბინაში საიდუმლოდ შეპარულ ჩეკისტებს. თუმცა ვალში არც ჩეკისტები რჩებოდნენ და «ვერაგობას ვერაგობით» პასუხობდნენ. ერთი-ორჯერ უმიზეზოდ «გალახეს» მილიციის სპეცაგენტებმა ქუჩაში ძმები და ბევრი სხვა ხიფათიც შეამთხვიეს...

ერთი კი ვიცი: 80-ანი წლების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ გოლშტეინების ქმედებები სტაბილურად ტვირთავდნენ საქართველოს უშიშროების კომიტეტის მუშაკებს, ისინი მზად იყვნენ, თვითონაც დახმარებოდნენ ამ ხალხს, რათა ჩქარა «გაეყარათ» აბეზარა ძმები ქვეყნიდან. მაგრამ, მიუხედავად მოსკოვთან არაერთი მიმოწერისა (თითქმის შუამავლობა), _ გაეშვათ საბჭოთა კავშირიდან ეს საცოდავი ადამიანები, უშიშროების ცენტრალური აპარატი სასტიკი წინააღმდეგი იყო, ვინაიდან წინ ედოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს საექსპერტიზო დასკვნა იმის შესახებ, რომ ძმები გოლშტეინები სახელმწიფო საიდუმლოების მცოდნენი იყვნენ. ამ საიდუმლოების ყადაღა კი 1987 წლამდე გრძელდებოდა. შემდეგაც შეიძლება (საბჭოთა კავშირში რა არ შეიძლებოდა?) გაეგრძელებინათ ეს «სიამოვნება» გოლშტეინებისათვის, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ჩვენი მოლაყბე ლიდერის _ გორბაჩოვის მიერ «პერესტროიკის» გამოცხადების შემდეგ მოსკოვი დათანხმდა და ისინიც გაემგზავრნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. კოლეგები მიყვებოდნენ, თუ რა საზეიმო ვითარებაში გააცილეს საქართველოს ჩეკისტებმა ძმები გოლშტეინები და მათი ოჯახი. ყოფილა ურთიერთპატივისცემის გამოხატვაც, შამპანიურიც, ცრემლნარევი თვალებიც, ურთიერთცოდვების მონანიებაც და ბევრი სხვაც, თუმცა ასეთი სცენებით საქართველოში აბა ვის გააკვირვებ?!

მერე და რა? წავიდნენ, ერთი შეხედვით, ბევრი დაკარგეს, აქ, საქართველოში, მათი ქმედება მთელი დასავლეთის ყურადღებას იქცევდა, ხშირად უცხოეთის პრესაში ბეჭდავდნენ მათ «თავგადასავალს», საბჭოთა სახელმწიფოსთან მათი ბრძოლის პერიპეტიებს. საერთაშორისო საქველმოქმედო ებრაული და სხვა ორგანიზაციები ფინანსურად და მატერიალურად ეხმარებოდნენ. მართალია, უმრავლესად ეს დახმარება უშიშროების კომიტეტში ილექებოდა, როგორც კონფისკაციაში მოხვედრილი, მაგრამ რაღაცა მაინც აღწევდა ადრესატამდე. ამიტომაც ამაყად სეირნობდნენ ძმები თბილისის ქუჩებში თანამედროვე ფეხსაცმელებით და «ლევისის» ფირმის ჯინსებით, რითაც გარკვეულ შურს იწვევდნენ ახლობლებში, მაგრამ იმის ჭკუა კი ჰყოფნიდათ, რომ ეს მატერიალური საჩუქრები სპეკულაციის წყაროდ არ გაეხადათ, რასაც ჩასაფრებული ჩკ ნამდვილად არ აპატიებდა და დაჩაგრული ძმები ძალიან დიდი ხნით აღმოჩნდებოდნენ «დასასვენებლად» საბჭოთა ციხეებში სპეკულაციის მუხლით.

მართალი გითხრათ, გარკვეული ინფორმაცია გამაჩნია ქართველი თუ საქართველოდან ისრაელში და ამერიკაში ემიგრირებულების შესახებ, მაგრამ არასოდეს არ გამიგონია, თუ რას აკეთებენ, სად ცხოვრობენ, როგორ ცხოვრობენ ჩვენი გმირები.

მე მგონია, საერთო მასაში გაითქვიფნენ.

თავისუფლების პირველი წლები

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მუშაობის დროს 1966-1994 წლებში აზრადაც არ მომივიდოდა მომეთხრო ან მომეყოლა ყოველივე იმის შესახებ, რაც ჩემთვის ცნობილი გახდა ამ ორგანოში მუშაობისას. ამას მოითხოვდა ე.წ. «ფიცი» ან ვალდებულება, რომელიც მივეცი იმ სახელმწიფოს, რომელსაც ვემსახურებოდი. სამსახურებრივი ეთიკა და თვით სინდისიც ამის უფლებას არ მაძლევდა, ვინაიდან, ამ მოგონებებს შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა ზოგიერთი შთამომავალი იმ პიროვნებებისა, რომლებიც არაფერში თვით დამნაშავეები არ არიან.

ახლა რომ ზოგიერთი პატრიოტობაზე სდებს თავს როგორც დღევანდელობაში, ისე თავისი წარსული ცხოვრებით, ჩემთვის ყოველთვის ეს გულისამრევია. უხერხულობის გრძნობას იწვევს ზოგიერთი ყოფილი კომკავშირული თუ პარტიული მუშაკის გამოსვლა პრესაში ან ტელევიზიაში, როცა ისინი იხსენებენ რა საკუთარ წარსულს, ისე გვიხატავენ სურათს, თითქოს მთელი გულით და სულით კი არ ემსახურებოდნენ კომუნისტურ საზოგადოებას, არამედ მაშინაც გარკვეულ ე.წ. «პატრიოტობას» იჩენდნენ, საბოტირებას უწევდნენ ამა თუ იმ პარტიულ გადაწვეტილებას (თუმცა იმასაც ვუშვებ, რომ მცირე გამონაკლისი მაინც არსებობდა მათ შორის).

შემდეგ, როცა დაინგრა საბჭოთა კავშირი და მისმა «კოლონიებმა» დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად მეგობრებისა და ახლობლების წრეში მომიყოლია ჩემი სუკში მუშაობისდროინდელი ზოგიერთი ეპიზოდი. ზოგი გარკვეულ ინტერესსაც იჩენდა მონაყოლის მიმართ, ხშირად ურჩევიათ, საჭიროა ამის შესახებ დაწეროო, ხალხმა ამ ეპიზოდებისა და გარკვეულ პირთა მოღვაწეობის გარშემო სიმართლე უნდა იცოდესო, მაგრამ ყოველთვის ვიკავებდი თავს, ვინაიდან წლების განმავლობაში ვეკითხებოდი საკუთარ თავს: მაქვს კი ამის მორალური უფლება, ანდა _ ვის შეიძლება ეს ყოველივე აინტერესებდეს ახლა, მას შემდეგ, რაც ქარცეცხლში გაიარა ქართველმა ერმა: ომები ქვეყნის მთლიანობისათვის, ე.წ. «სამოქალაქო» ომი, შიმშილი, დამცირება, უსინათლობა, ქვეყნის დაშლის საშიშროება, კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა და სხვა და სხვა. ალბათ ყველა ჩვენს უბედურებას ვერც ჩამოთვლი ადამიანი, იმდენად ინდივიდუალურია ყოველივე ის, რაც მოხდა. თუმცა ქართველი ერის ამ უბედურებით ისარგებლეს გარკვეულწილად ერთმა მუჭა გარეწრებმა, რომლებმაც სახელმწიფო ქონების მიტაცებით შესძლეს დიდი კაპიტალის მითვისება და ახლა უსირცხვილოდ სხედან პარლამენტში (ყოფილ პარლამენტებში გაცილებით მეტნი იყვნენ) ან ე.წ. «კანონიერ» ბიზნესს ეწევიან და პრესაში ან ტელევიზორში უსირცხვილოდ ასწავლიან ხალხს, თუ როგორ იცხოვრონ. მას შემდეგ, რაც სუკიდან წამოვედი თადარიგში, 1994 წლის მაისიდან დღემდე ვმუშაობ საკმაოდ «პრესტიჟულ» ოლიგარქიულ ბიზნეს-კორპორაციებში და ამ თითქმის 15 წლის განმავლობაში ჩემს თვალწინ იქმნებოდნენ, ძლიერდებოდნენ და შემდეგ (ბევრი მათგანი) იღუპებოდნენ ბიზნეს-ჰოლდინგები და თითქმის იმპერიები. ვიცი და თითზე შემიძლია ჩამოვთვალო ყველა ის წინაპირობა, რაც ქმნიდა ამ იმპერიებს, ძირითადად მექრთამეობით მიღწეულის ლობირება, კაპიკებით (ე.წ. ვაუჩერებით) შეძენილი ქონება, ისევ სახელმწიფო მოღვაწეთა მექრთამეობა და, რაც მთავარია, საწყის ეტაპზე

(განსაკუთრებით 90-ანი წლების დასაწყისში და შუალედში) კრიმინალურ დაჯგუფებებთან «მეგობრობა», ე.წ. «კრიშა». შემდეგ და თითქმის პარალელურად ძალოვანი სტრუქტურების მოხელეების მოსყიდვა, მათი გადაყვანა ფარულ «ჯამაგირზე» და სხვა და სხვა. ამის შესახებ შეიძლება გაუთავებლად ისაუბრო და მოიყვანო რამდენიც გინდა იმდენი კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ იკრიბებოდა ბიზნესმენთა საწყისი კაპიტალი, შემდეგ მათი ოლიგარქებად ჩამოყალიბება. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისა, თუ როგორ აგდებდნენ ერთმანეთს, არ უხდიდნენ ერთმანეთს ვალებს, ქმნიდნენ ე.წ. პირამიდის სისტემებს, ერთდღიურ ფორმებს, შუალედურ ფორმებს (ვიდრე წარმოების პროდუქცია მომხმარებელთან მივიდოდა, სამჯერ ან ხუთჯერ იმატებდა ფასში, ხოლო გადასახადი ათი-თხუთმეტჯერ მცირდებოდა). დაახლოებით ასე იქმნებოდა რუსული ბაზრული ბიზნეს-ელიტა და ეჭვი არ მეპარება, რომ ასე იქმნებოდა და შეიქმნა ქართული ბაზრული და არა საბაზრო ბიზნესი.

ერთი რამ შემიძლია დავამატო: თუ ვინმე ქართველი ბიზნესმენებიდან, მხედველობაში მაქვს ყოფილი ან ამჟამად მოქმედი პარლამენტარები ან ყოფილი ქარხნის დირექტორები, ღიად გამოვლენ ჩემთან დისკუსიაში და ლოგიკურად დამიმტკიცებენ, რომ მათ ბიზნესს არ ასდის კორუფციის, მექრთამეობის და ქურდობის სუნი, მზად ვარ, არამარტო ბოდიში მოვუხადო, არამედ ჯარიმაც გადავუხადო მიყენებული «მორალური» შეურაცხყოფისათვის. მაგრამ ყოველივე თქმული არ ნიშნავს იმას, რომ მე მოვუწოდებ საზოგადოებას ან სახელმწიფოს, რეპრესიული ქმედებები ჩაატაროს (თუმცა საქართველოს მთავრობა ამას უჩემოდაც აკეთებს, გამორჩეულად _ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მას «მტრად» მიაჩნია). ამ გზით რომ წავიდეთ, ალბათ, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, მოსახლეობის საკმაო დეფიციტი გვექნება, რადგან იმდენი უნდა დააპატიმრო, რომ ციხეები არ ეყოფა: ისინი, ვინც საბაზრო ბიზნეს ქმნიდა, ისინი, ვინც მათ ამაში ეხმარებოდა (სამართალდამცველთა უმრავლესობა, სახელმწიფო მოხელეები, ძალოვანები და მათ შორის _ პირადად მე).

ამ «პროცესების» მიღმა საუბედუროდ არც ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი დარჩა. როცა მათ შეეხო გამსახურდია და მისი ახლო წრე, ბევრმა მათგანმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ საქართველოში «სამოქალაქო» ომი გაჩაღებულიყო. ახალს არაფერს ვიტყვი: მხედრიონს (ჯ. იოსელიანი), ამბოხებულ გვარდიას (თ. კიტოვანი) მხარში ედგა ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი _ ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და კინოს «მეტრები». საინტერესოა რას გვიპასუხებენ ისინი ან ბევრი მათგანი, რომ შევეკითხოთ, რას აკეთებდნენ 1991 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და ვის შეხვდნენ და შეუთანხმდნენ აქ მოსკოვში?! თუ მეხსიერება უღალატებთ, შემიძლია გავახსენო ეს გვარები და ის კაბინეტები, სადაც ისინი იმყოფებოდნენ.

დღეს, ერთი ათეულ წელზე მეტის გადასახედიდან, მაინც ვეცადოთ ვთქვათ სიმართლე, ობიექტურად შევაფასოთ თუნდ პრეზიდენტი გამსახურდია და მისი გარემოცვა, სადაც იმდენ შეცდომას ვიპოვით, რომ მათ ლაბირინთში გარკვევაც კი გაგვიჭირდება. მხოლოდ ერთეული შეცდომების ჩამოთვლაც გვეყოფა: თითქმის ან მთლიანად პარალიზებული იყო ქვეყნის მართვა, არაპროფესიონალიზმი კადრების დანიშვნაში, პოლიტიკური პრანჭიაობა მოსკოვთან, მათ პირველ პირებთან ურთიერთობაში. მაგალითად, მოსკოვში თათბირებზე რუსეთის (სსრკ) პირველი პირის არაერთხელ მოწვევაზე გამსახურდია პასუხობდა: «ჯერ აღიარეთ საქართველოს დამოუკიდებლობა და მერე ჩამოვალო». ეს განცხადება კაცს

სასაცილოდ მოეჩვენება, სატირალი რომ არ იყოს. მაგრამ, როცა მან იგრძნო რუსული ჩექმის სიძლიერე, 19 აგვისტოს ე.წ. გკჩპ-ს გამოცხადების შემდეგ, რუსი გენერლები (მათ შორის საქართველოში მივლინებული გენერლები თავდაცვის სამინისტროდან და კაგებედან) მასთან კი არ მივიდნენ კაბინეტში იმის მოსახსენებლად, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებულიო, არამედ საქართველოს პრეზიდენტი დაიბარეს ЗАКВО-ს შენობაში და წაუკითხეს უფასო ლექცია, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და რა უნდა მოემოქმედა. და მან გააკეთა ის, რაც უბრძანეს: გააუქმა ეროვნული გვარდია და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მისი და ქვეყნის პროტესტი არ მოჰყოლია.

თუმცა აქ შეგვიძლია გავიხსენოთ: ზოგიერთი ქვეყნის ლიდერებს (ჯერ კიდევ კომუნისტური ბიოგრაფიისა) ეყოთ მეტი გამბედაობა _ წინააღმდეგობაც კი გაეწიათ მოსკოვიდან ჩამოსული გენერლებისათვის. სამაგალითოდ მოიქცა უკრაინის ლიდერი, კომუნისტურ პარტიის პირველი მდივანი ლეონიდ კრავჩუკი, მისი გარემოცვა, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაი გოლუშკო და სხვები, რომლებიც პირდაპირ დისკუსიაში არ შეუშინდნენ ГКЧП-ს ერთ-ერთი წამყვანი ლიდერის არმიის გენერლის ვარენიკოვის ზეწოლას და უთხრეს, რომ მათ არ ესმით, თუ ვის წარმოადგენს თვით ვარენიკოვი, რა უფლებამოსილებით ელაპარაკება ასე ვულგარულად დამოუკიდებელი (სუვერენული) ქვეყნის ლიდერებს, ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ხალხმა ისინი აირჩია და მათ აქვთ ხალხის მიერ მიცემული მანდატი ქვეყნის მართვისა. რამდენადაც ვიცი, ლეონიდ კრავჩუკმა სახალხოდ _ არა 20 ან 21 აგვისტოს, როცა თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო, _ არამედ 19 აგვისტოს უკრაინის პრეზიდენტის კაბინეტში, უკრაინის სახელმწიფო ლიდერების და მოსკოველი სტუმრების (ვარენიკოვი და მისი ამალა), კიევის სამხედრო ოლქის მთავარსარდლისა და მისი ამალის თანდასწრებით უთხრა კატეგორიული უარი ვარენიკოვს დამორჩილებოდა ГКЧП-ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და შესთავაზა, სასწრაფოდ მოეწვიათ უკრაინის უმაღლესი საბჭოს სესია და იქ განეხილათ არსებული საკითხი. მოსკოველმა გენერლებმა იგრძნეს, რომ კრავჩუკი მარტო არ იყო, მას მხარი დაუჭირეს უკრაინის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ (გარდა სამხედრო ოლქის მთავარსარდლისა), ძალოვანმა მინისტრებმა და სხვებმა.

უკრაინის ლიდერების ამ ერთსულოვნებამ მწყობრიდან გამოიყვანა ვარენიკოვი, იგი წამოდგა, კაბინეტში დაიწყო თითქმის სირბილი და ისეთი რუსული გინებები აღმოხდა, რომ ამ ლექსიკას შურით მოუსმენდნენ რუსული გინების ქურუმები. იმდენად გაცეცხლებულა რუსი გენერალი, რომ კოლეგებს ძალით გაუყვანიათ სხვა ოთახში და დაუმშვიდებიათ. იყო თუ არა ეს რისკი უკრაინის ლიდერების მხრიდან? რა თქმა უნდა, იყო და ისიც როგორი. 19 აგვისტოს ჯერ კიდევ არავინ იცოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. საკმაოდ შესაძლებელია, ყველას თუ არა, იქ მყოფთა უმრავლესობას არამარტო სამსახურეობრივი მდგომარეობა დაეკარგათ, არამედ თავიც წაეგოთ. არა მგონია, გამარჯვებულ მოსკოვს ვინმესთვის ეპატიებინა ეს სიმამაცე, «თავხედობა» და გამბედაობა. მაგრამ ისტორიის მსვლელობამ დაამტკიცა მათი არჩევანის სიმართლე. არ დაგავიწყდეთ, რომ თითქმის ყველა მათგანი კომუნისტური ბიოგრაფიისა და წარსულის პიროვნებები გახლდნენ. მაგრამ მათ ეყოთ გამბედაობა, გვერდზე გადაედოთ კარიერა, სიცოცხლე და უკრაინელი ხალხისათვის არ დაეკარგათ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ბოლო შანსი. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყოველივე აქ თქმული ვიღაცის მონაჭორს არ წარმოადგენს და არც მესამე პირის მონაყოლია. ყოველივე ეს ჩემთვის

ცნობილი გახდა ამ ინციდენტის უშუალო მონაწილის მონაყოლიდან. შემდეგ პრეზიდენტმა ელცინმა ამ ინციდენტის ბევრ მონაწილეს დაუფასა «ღვაწლი», როგორც მაშინ ამბობდნენ «დემოკრატიის ფასეულობების დაცვისათვის» და გადმოიყვანა ისინი ახალ რუსულ სახელმწიფოში საკმაოდ პრესტიჟულ თანამდებობებზე. ხოლო «გმირი» კრავჩუკი გახდა ის ერთი პიროვნება, ვინც ელცინთან ერთად ხელი მოაწერა «ბელოვეჟსკი-პუშჩაში» საბჭოთა სახელმწიფოს დასამარებას.

მკითხველისათვის მიმინდვია იმის განსჯა, თუ ვინ უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა ამ რთულ პირობებში, სულით და გულით კომუნისტური იდეების მატარებელი ლიდერები (კრავჩუკი, ნაზარბაევი, ბალტიისპირეთის კომუნისტური ლიდერები) თუ დისიდენტი, ანტისაბჭოთა იდეებისათვის დევნილი ჩვენი პრეზიდენტი?

ზემოთ ვთქვი, პრეზიდენტმა ქართული «საჯარისო» ერთეული _ ეროვნული გვარდია გააუქმა-მეთქი, სინამდვილეში შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადაიყვანა, რაც მაშინ გაუქმების ტოლფასი იყო.

მან შესანიშნავად იცოდა, რომ მისი «სარდალი», მისი შემქმნელი თენგიზ კიტოვანი ამაზე არ დათანხმდებოდა.

ვინც ცოტათი მაინც არის ჩახედული ქვეყნის მართვის ან პოლიტოლოგიური კვლევის სამზარეულოში, მისთვის დიდი გამოცანა არ უნდა იყოს ის, რომ პრეზიდენტს თვითნაც აწყობდა ამ საჯარისო ერთეულის გაუქმება. მისთვის და მისი ახლობლებისთვის (სახელმწიფო მართვის საქმეში) ქართული გვარდიის შექმნა კარგი პიარი იყო პირველ ხანებში, არჩევნების დროს და ცოტახანს არჩევნების შემდეგაც. მაგრამ რა სიტუაცია შეიქმნა? პრეზიდენტი გაემიჯნა მოსკოვს. როგორც რუსეთის მთავრობას, ისე თითქმის მთელ მსოფლიოს მოსთხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჯერ კიდევ დე იურე სსრკ-ში მისი ყოფნის დროს. როგორი წინდაუხედავი უნდა იყო ან მეოცნებე პოლიტიკაში, რომ ყველივე ეს ირწმუნო და ელოდე, რომ მთელი მსოფლიო (მათ შორის აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა და სხვა) გამოიქცევიან, ჩაგიხუტებენ, მოგცემენ ფულს, სანოვაგეს და ამოგიდგებიან მხარში და ამით გაანაწყენებენ სახელმწიფოს, რომელიც ყოველთვის _ მისი ჩასახვის ისტორიიდან, IX-X საუკუნიდან _ ყოველთვის გაუგებარი იყო ცივილიზებული მსოფლიოსათვის, რომელმაც შექმნა დიქტატურა დედამიწის ერთ მეექვსედზე და რომლის გავლენაც ვრცელდებოდა თითქმის დედამიწის ნახევარ ტერიტორიაზე. არაფერი რომ არ ვთქვათ იმ აურაცხელ (თვითონაც რომ არ იციან _ იმდენ) ბირთვულ იარაღზე, რომელიც მათ გააჩნდათ. ვიმეორებ, ყოველივე ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

მივუბრუნდეთ წინათქმულს. მმართველ ძალას და პრეზიდენტს აწყობდათ ეს კარგი «საჯარისო სათამაშო» _ გვარდია, მითუმეტეს, რომ საქართველოში განლაგებული რუსული ჯარი მათ არ ემორჩილებოდა, მაგრამ გვარდიის «სარდალს», თენგიზ კიტოვანს ეს «სათამაშო» თავისი გავლენისათვის სჭირდებოდა. პრეზიდენტის გვერდით ის რაღაცას წარმოადგენდა, სიტყვა ეთქმოდა და ხშირად გადამწყვეტიც, რადგან მხოლოდ მას გააჩნდა სამხედრო ძალა. ჩქარა ეს გასაგები გახდა ყველასთვის და თვით პრეზიდენტისთვისაც, რომელიც იძულებული იყო _ ანგარიში გაეწია და თითქმის თანამმართველად აეყვანა კიტოვანი. ეს კი სრულებითაც არ აწყობდა ამბიციურ პრეზიდენტს, მის მეუღლეს და მათ გარემოცვას. ამიტომაც ასე თითქმის სიამოვნებით შეუსრულა გამსახურდიამ სურვილი რუს

გენერლებს და გააუქმა გვარდია. ამის შემდეგ კი იწყება ნამდვილი ქართული ძველბიჭური კომედია და ქურდული გარჩევა.

თბილისელი ძველი ბიჭის, დამრტყმელის, რუსთაველზე გაზრდილი თ. კიტოვანის ლოგიკა დაახლოებით ასეთი იყო: «ეს როგორ, პრეზიდენტი კი არა, ერთი სახელგატეხილი დისიდენტი იყავი და როცა გჭირდებოდი, გვერდით ამოგიდექი, გაგხადე უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ამისათვის დავხარჯე ჩემი პირადი სახსრები, შევაგროვე ფული ამხანაგებისაგან (Теневик-ებისაგან), შეგიქმენი დაცვა, მოგიწყვე მიტინგები, მოგართვი მანქანები, ავტობუსები და სხვა და სხვა. მაშინ კარგი ვიყავი, გჭირდებოდი, ახლა ხელსა მკრავ? მაშ მე რა ვუთხრა ხალხს? როგორ ავუხსნა ყოველივე ეს?.. არა, ეს არ მოხდება!!!»

და განაწყენებულმა თ. კიტოვანმა შავნაბადაზე გაიყვანა გვარდია და პრეზიდენტის ოპოზიცია მას მიემხრო. საუბედუროდ, ამ დროს ამ ე.წ. ქვეყნის ლიდერებს ქართველი ხალხის ბედიც ნაკლებად აღელვებდათ. როგორც ხშირად ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, პიროვნულმა ინტერესებმა ერთხელ კიდევ გადასძლია საერთო ეროვნული ინტერესები. თუმცა კარგად მახსოვს: ორივე მხარე თითქმის ბიბლიაზე იფიცებოდა, რომ ამას აკეთებდა ქართველი ხალხის გადასარჩენად.

აფხაზეთი

რამდენადაც ბანალურად არ უნდა ჟღერდეს, ჩვენი პრობლემები აფხაზეთთან მიმართებაში მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან იღებს სათავეს, იმ დროიდან, როდესაც საქართველომ მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევების შემდეგ დაიწყო დაყოფა, ჯერ ორ სამეფოდ, შემდეგ სამ სამეფოდ, მრავალ სამთავროდ და საერისთავოდ და ა.შ და ა.შ. შემდეგ კი თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში ვერაფრით ვერ შესძლო მთლიანობის აღდგება. აღდგენა კი არა _ თანდათან ქუცმაცდებოდა, მარტივ მამრავლებად იშლებოდა. ჯერ ტაო-კლარჯეთი დაიკარგა, მერე _ სამცხე-საათაბაგო, აჭარა-ქობულეთი, საინგილო, მერე ისე იმძლავრეს ცალკეულმა სამთავროებმა, რომ საერთოდ გამოვიდნენ სუვერენის, მეფის მფარველობიდან. აბა რა იმერეთის სამეფოს არსებობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა მისი სუვერენიტეტი მხოლოდ ერთი- ციცქნა იმერეთით შემოიფარგლებოდა და სულ იმის შიშში იყო, სამეგრელოს მთავარი არ დასცემოდა და არ გაენადგურებინა მისი ე.წ. სამეფო. იქაც იგივე სიტუაცია ტრიალებდა, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის მთავრები თურქეთის სულთანის მფარველობის ქვეშ იყვნენ და აბა უბატონოდ ხმას ვინ გასცემდა და ასე საუკუნეების განმავლობაში, ხალხი კარგავდა თავის ეროვნულობას. «გაჰყავი და იბატონე» _ ეს თეზისი ყველა დამპყრობლის ძირითადი თეზისია და იგი წარმატებით გამოიყენებოდა ყოველთვის. ამისათვის კი საქართველოში, არაა დასამალი, კარგი ნოყიერი ნიადაგი არსებობდა, ყველას თავის კუთხეში (სამთავროში) ბატონობა სურდა. დიახ, ასეთი დაქუცმაცებული, დაშლილები «შევუერთდით» რუსეთის იმპერიას, რომელმაც ერთი თოფის გასროლის გარეშე დაგვიპყრო და ნებაყოფლობით შეგვიერთა. არავის არ ადარდებდა ერთმორწმუნე ქართველების მუსულმანთა დაპყრობისაგან გადარჩენა. უბრალოდ ეს გახლდათ ის ისტორიული მომენტი რუსეთის იმპერიისათვის, როდესაც მისი ტერიტორიული ექსპანსია კავკასიაში გარდაუვალი იყო. დაპყრობილია ყირიმი, ბესარაბია, მოლდავეთის უმეტესი ნაწილი, ვალახეთი, აზოვის სანაპირო... და მათ წინაშე დადგა ისტორიულად სტრატეგიული ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა _

კავკასიის დაპყრობა... საჭირო იყო სამხედრო პლაცდარმის შექმნა კავკასიაში და ამისათვის გამოიყენეს ქართლ-კახეთის სამეფოს და მისი მეფის ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანი ტომები მათთვის დასაყრდენად ვერ გამოდგებოდნენ: რჩებოდა ერთადერთი დერეფნით, ოსური ტომების ბელადებთან შეთანხმებით, აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა და იქ გამაგრება, შემდეგ პარალელურად დასავლეთის დაპყრობა და «შემოერთება» და ეს მაშინ, როცა რუსეთის სამხედრო ძალას ზურგში რჩებოდა მათ მიმართ საკმაოდ აგრესიულად და მტრულად განწყობილი ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე მაჰმადიანი ტომები: დაღესტანი, ყაბარდო, ჩეჩნეთი და სხვა. ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მათი განსახლების ტერიტორია სრულებითაც არ ემთხვეოდა იმ გეოგრაფიულ ტერიტორიას, რომელიც დღეს არსებობს რუკაზე. პირიქით, დაუპყრობელი არაანექსირებული ტერიტორია მოიცავდა სივრცეს, რომელიც გადაჭიმული იყო კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და დღევანდელი სტავროპოლის მხარის და კრასნოდარის მხარის უმეტეს ტერიტორიასაც მოიცავდა. აი სტრატეგიულად რა რისკზე მიდიოდა რუსეთის იმპერია... მაგრამ, რისკი ამართლებდა ძირითად მიზანს, რაც შეიძლება ჩქარა მიახლოებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ მიზანს, მიახლოებულიყვნენ დარდანელის და ბოსფორის სრუტეებს, «დაებრუნებინათ» თავის მფლობელობაში წმინდა კონსტანტინეს დედაქალაქი და, როგორც მაშინ მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ, დაუფლებოდნენ დიდი ბიზანტიის იმპერიას, რომლის მემკვიდრეებადაც თავისი თავი უკვე XV საუკუნიდან მიაჩნდათ. ამიტომაც აირჩიეს სახელმწიფო გერბად გადაშენებული ბიზანტიის იმპერიის გერბი, ორთავიანი არწივი, რომლის მზერაც ორივე მხარეს ვრცელდებოდა _ აზიისკენ და დასავლეთისკენ... აი, რა იყო მათი ძირითადი სტრატეგიული მიზანი, მითუმეტეს, რომ შემდგომში განვთარებულმა მოვლენებმა სავსებით დაადასტურა ეს მოსაზრება, ვინაიდან მაშინ, XVIII საუკუნეში, დაწყებული საომარი დაპირისპირება თურქეთსა და რუსეთის იმპერიებს შორის, თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა და სავსებით შესაძლებელია ახლად წამოწყებულიყო XX საუკუნის 40-ან წლებში სტალინის მეთაურობით. მაგრამ თურქებმა თავის დროზე «უშველეს თავს» სამხედრო ბლოკ ნატოში შესვლით. ამ თემაზე დისერტაციის დაწერა შეიძლება, მაგრამ ეს არც ჩვენი თხრობის ძირითად მიზანს წარმოადგენს, და არა ვარ დარწმუნებული, რომ ერთმა ავტორმა სრული სურათის წარმოსახვა შესძლოს. ეს პატარა შესავალი მხოლოდ პრელუდიაა და მეტი არაფერი იმისა, თუ როგორ, რა პირობებში, რა ისტორიული თამაშების გამო აღმოვჩნდით ჩვენ, ქართველები, იქ, სადაც აღმოვჩნდით XX საუკუნის ბოლოს….

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სულით და ქართული ტრადიციებით ძირგაჟღენთილი ჩვენი ტერიტორია, მისი მოსახლეობა _ აფხაზები ჩვენი ეროვნული სულის ატმოსფეროს გარეშე აღმოჩნდა თითქოს სამი საუკუნის განმავლობაში. შემდეგ მოვიდა რუსეთის იმპერია, რომელსაც აწყობდა უფრო მეტად გაეთიშა ის ძაფი ერთობისა, რაც სულიერად აკავშირებდა აფხაზ და ქართველ ხალხებს. ერთეული კონტაქტები ქართველი ინტელიგენციისა და მისი სულიერი ლიდერის ილია ჭავჭავაძისა _ გაება, შეეკოწიწებინა ეს თითქმის გაწყვეტილი ძაფი ერთობისა, სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა.

ის, რაც ცარიზმის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ვერ შესძლო, «ღირსეულად დააგვირგვინეს» ქართველმა ბოლშევიკებმა სტალინისა და ორჯონიკიძის ხელმძღვანელობთ. არა მარტო დააქუცმაცეს, არამედ სიკვდილის არტახებში მოაქციეს თავისი სამშობლო ქვეყანა, სამშობლო, რომელსაც ყველაზე მეტად არ

ენდობოდნენ და ამიტომაც ამ უნდობლობის გამო, შექმნეს ქართულ ტერიტორიებზე ავტონომიები. ხოლო «დიადი» საბჭოთა კავშირის «ნებაყოფლობით», «ურთიერთშეთანხმებით» შექმნის დროს აფხაზეთის ქართული ტერიტორია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც «დამოუკიდებელი» საბჭოთა რესპუბლიკა, ისე შეიყვანეს, რაზედაც არ არსებობდა არავითარი არც ისტორიული და არც იურიდიული საფუძველი. ეს იყო მხოლოდ იმისთვის გამიზნული, რომ კიდევ უფრო გაეთიშათ ეროვნული სწრაფვა ურთიერთკავშირისა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის. შემდეგ შექმნეს უდღეური ე.წ. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკა, სადაც გააერთიანეს ოთხი მოკავშირე რესპუბლიკა (მათ შორის აფხაზეთიც). შემდეგ დაშალეს ეს «რესპუბლიკა» და სამხრეთ კავკასია სამ რესპუბლიკად გამოაცხადეს და საქართველოს შემადგენლობაში, როგორც იყო, აღოჩნდა აფხაზეთი _ ავტონომიის სახით. ე.ი. ყველაფერი გააკეთეს «სეპარატიზმის» სულის ჩასადგმელად, შექმნეს სეპარატიზმის აპელირების თეორიული და პრაქტიკული საფუძველი, რაც წინასწარგამიზნული იყო იმისკენ, რომ წურბელასავით ეწოვათ სისხლი ეროვნული მთლიანობისათვის, გამუდმებულ მორჩილებაში ჰყოლოდათ ორივე ხალხი. აფხაზეთს «ქართული შოვინიზმით» წამლავდნენ, ხოლო ქართველებს «აფხაზური ნაციონალიზმით». აბა რა არის გასაკვირი ამ ვაი ქართველებისაგან, რომლებიც თავის თავს ქართველებადაც არ თვლიდნენ?!. ღმერთმა ყველას თავისი მიაგო. დაპატიმრებისა და დახვრეტის შიშით სერგო ორჯონიკიძემ თავი მოიკლა, ხოლო მომაკვდავი დიდი ბელადი ისე ეგდო იატაკზე, თითქმის ორი დღე წყლის მიმწოდებელი ახლობელიც კი არ აღმოჩნდა მასთან. რა აფხაზეთი, როცა ახლა რატომღაც არავის არ უნდა გაიხსენოს ის მასალები, რომელიც 80-ანი წლების ბოლოს «გამოქექა» საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზ. გამსახრდიამ საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივებში (ალბათ არ სურდა «მომმე» აზერბაიჯანის განაწყენება), მასალები კი შემდეგ ინფორმაციას შეიცავდა: 1929 წლის ოქტომბერში შემდგარა ე.წ. სამხრეთ კავკასიის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, სადაც სიტყვით გამოსულა ქართველი ერის სატანა ს. ორჯონიკიძე და თავისი მგზნებარე გამოსვლისას გარკვეული პაუზის შემდეგ დაახლოებით შემდეგი წინადადება წამოუყენებია: «ამხანაგებო, აი, აზერბაიჯანელი ამხანაგები თხოვნით შემოვიდნენ, რათა მათ ტერიტორიას შევუერთოთ ე.წ. «საინგილო» ანუ ზაქათალას, ბელაქანის და კახის ქართული რაიონები, ვინაიდან განვითარებულ მეცხვარეობას აზერბაიჯანში ჰქონდეს საძოვარი მიწები. მე მგონია, მათი ეს თხოვნა უნდა დავაკმაყოფილოთ». შემდეგ გამოქვეყნდა კომპარტიის ბიუროს სხდომის გადაწყვეტილება და საქმე ტექნიკურ სფეროში გადავიდა. ასე დავკარგეთ ჩვენი ძირძველი ქართული მიწა. ასეთი ღალატისა და ვერაგობის მაგალითი ჩადენილი ერის შვილის მიერ მისი სამშობლოს წინაშე თითქმის მსოფლიო ისტორიასაც კი არ გააჩნია, ანალოგი უბრალოდ არ არსებობს.

საქართველოს და საკავშირო უშიშროების კომიტეტში დალექილი მასალებით თუU ვიმსჯელებთ, სწორედ სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის დაშლისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შექმნისა და მის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის დღიდან გამოჩნდა მასალები ე.წ. ქართული «შოვინიზმისა» და აფხაზური «სეპარატიზმის» გამოვლინებებისა. პირველ მერცხლად შეიძლება ჩაითვალოს 30-ანი წლის ბოლოს განხორციელებული რეპრესიები აფხაზეთის კომუნისტური ლიდერების წინააღმდეგ და თვით მათი ლიდერის ნესტორ ლაკობას დაპატიმრება და მისი დახვრეტა. განაჩენში, რომელიც «ტროიკამ» გამოიტანა, დაახლოებით შემდეგი ეწერა: «ლაკობა და მისი არალეგალური ჯგუფი

ეწეოდა ძირგამომთხრელ სეპარატისტულ პროპაგანდას და აგიტაციას აფხაზეთის არა მარტო საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შესახებო, რადგან წარმოადგენდნენ ინგლისისა და გერმანიის (?!) შენიღბულ აგენტურასო». ხაზს ვუსვამ _ «არა მარტო საქართველოს რესპუბლიკიდან, არამედ საბჭთა კავშირიდან გამოყოფას». რა თქმა უნდა, ეს აბსურდული ბრალდება იყო, მაგრამ მაშინ ასე აწყობდათ, მითუმეტეს, ყოველივე ამის სულისჩამდგმელი თვით ლ. ბერია გახლდათ. მან კი კარგად უწყოდა, როგორი მასალები უნდა შეექმნა, რომ ისინი მოსკოვსაც (თვით სტალინსაც) მოსწონებოდა. კიდევ კარგი, რეპრესირებულებს გვირაბის გათხრაც რომ არ დააბრალეს სოხუმიდან სტამბულამდე, მაგრამ ალბათ ეს იდეა მაშინ მათ ფანტაზიებს აღემატებოდა. შემდეგი «სეპარატისტული» გამოსვლები აფხაზეთში 1948-1949 წლებში გამოვლინდა. აქაც რეპრესიებით ჩაახშეს დიდი ხმაურის გარეშე. შემდეგ: 1957 წელი, 1968 წელი და 1978 წელი. მკითხველს გაუკვირდება ასეთი სტაბილურობა (თითქმის ყოველ 10 წელიწადში ერთხელ), თუმცა პატარა ანალიზის ჩატარების შემდეგ მივხვდებით, რომ ეს უკავშირდებოდა უფრო მეტად არა კარდინალურ მოთხოვნას აფხაზეთის დამოუკიდებლობისა; გარკვეულწილად აფ-ხაზეთში ხდებოდა თაობათა ცვლა, რუსეთის (და არა საქართველოს) უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებული ახლგაზრდა აფხაზები უბრუნდებოდნენ სამშობლოს, მოითხოვდნენ გარკვეულ საკადრო გადაადგილებებს, ხელმძღვანელ თანამდებობებს, მხოლოდ ერთი ნიშნით _ მათი ნაციონალური წარმომავლობის გამო. ისინი ხომ ტიტულოვან ერს წარმოადგენდნენ აფხაზეთში?! იმის გაანალიზება, თუ პროფესიონალურად ან გონებრივად და სხვა ნიშნებით რამდენად პასუხობდნენ ამ პრეტენზიებს, მათ ნაკლებად აღელვებდათ. თანამდებობები კი, რა თქმა უნდა, დაკავებული იყო სხვა ეროვნებების მიერ და არა მარტო ქართველების მიერ. ბევრი იყო მათ შორის რუსი, სომეხი, უკრაინელი და სხვა ეროვნების ადამიანი.

და იწყებოდა ე.წ. «სეპარატიზმი», უფრო სწორად _ «საკადრო ცვლილებების სეპარატიზმი». ისიც უნდა ითქვას, რომ კომუნისტები აქ ყოველთვის კომპრომისს ეძებდნენ და იქმნებოდა ახალი თანამდებობები, დაუძლურებული სახელმწიფო უწყებები და სხვა. 1978 წელს აფხაზეთში მიმდინარე «სეპარატიზმის» გამოვლინების გამო, საკავშირო და საქართველოს უშიშროების კომიტეტის ჯგუფთან ერთად 1978 წელს მივლინებით (დაახლოებით 4-5 თვე) გახლდით აფხაზეთში _ ამ პროცესების დაშოშმინებისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. ერთი მაგალითის მოყვანაც კი საკმარისი იქნება: ქალაქ გაგრის სამრეწველო ზონაში არსებობდა მხოლოდ ერთი სამშენებლო რკინა-ბეტონის ბლოკების ქარხანა, რომელშიც ირიცხებოდა 355 მუშა-მოსამსახურე. აქედან 30% რუსები, 21% უკრაინელები, დანარჩენი 48,9% _ ქართველები და მხოლოდ სამი პიროვნება იყო ეროვნებით აფხაზი _ დირექტორის მოადგილე და ორი დარაჯი (?!). ბიჭვინთის მშენებარე (სანატორიუმები) ობიექტებზე მუშაობდა 650 ადამიანი და აქედან არცერთი აფხაზი არ გახლდათ. უფრო მეტიც, მთელი საკურორტო მეურნეობის მომსახურე პერსონალთა შორის (დაახლოებით 3000-3500 ადამიანი) აფხაზი ეროვნებისას მხოლოდ 13% წარმოადგენდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას: ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სამუშაო სფეროებიდან ყველგან მუშახელის დეფიციტი იყო დაფიქსირებული და იქ სამუშაოდ მოწყობა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ისიც უნდა ითქვას: მაშინ აფხაზეთის მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსვლისა და მუშაობისაკენ არავინ (ან თითქმის არავინ) მიისწრაფოდა. ხოლო ვინც ქალაქებში ან სოფლებში ცხოვრობდა, გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის და სხვა რაიონებში, ისეთი მდიდარი

მანდარინის ბაღები ჰქონდათ, რომ მათ მოვლას ვერ აუდიოდნენ. და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცხოვრების მატერიალური დონით აფხაზეთის მოსახლეობა გაცილებით უფრო კარგად (მდიდრად) ცხოვრობდა., ვიდრე გურული, კახელი, იმერელი თუ ქართლელი გლეხი. აღარაფერს ვამბობ საქართველოს მთიანეთზე.

1978 წელს კი ყველაფერი სპონტანურად დაიწყო. ამ წელს შესრულდა რაღაც (არ მახსოვს) მრგვალი თარიღი, როდესაც სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავრის ლესელიძის სამხედრო კორპუსი, გაგრის ხეობის გავლით გავიდა, რათა იერიში მიეტანა ქერჩის ნახევარკუნძულზე გამაგრებული ფაშისტური გერმანიის საჯარისო შენაერთებზე. სწორედ ქერჩის იმ ბრძოლებში ამოწყდა ძირითადად ქართული საჯარისო შენაერთი. ამ კორპუსში პოლიტსამმართველოს უფროსად მუშაობდა მაშინ ჯერ კიდევ პოლკოვნიკი, შემდეგი კი «ჩვენი ძვირფასი ბელადი» ლეონიდ ილიჩი და ასე დაიწყო მისი დიდი საბრძოლო გმირობა ე.წ. «მცირე მიწაზე». როგორც შემდეგში «გაარკვიეს და გამოიკვლიეს» საბჭოთა ისტორიკოსებმა, ზუსტად ამ ბრძოლებს ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისათვის(?!) ისევე, როგორც უფრო ადრინდელ «საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადის» ნიკიტა ხრუშჩოვის სამხედრო გენიალობას გადაუწყვეტია სამამულო ომის ბედი ქალაქ კიევთან ბრძოლების დროს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, პირველად ნახსენები საომარი მოქმედებები «მცირე მიწაზე» ლოკალურ მცირე მნიშვნელოვან საომარ მოქმედებებს განეკუთვნებოდნენ, ხოლო კიევისათვის ბროლა ერთი არც ისე მნიშვნელოვანი საომარი ეპიზოდი იყო სამამულო ომის წარმოების დროს. მხოლოდ ერთი რამ აერთიანებდათ ორივე შემთხვევაში: გაუმართლებელმა (სტრატეგიულად) ბრძოლებმა საბჭოთა მხრიდან რამდენიმე ათი ათასეული მეომრის სიცოცხლე შეიწირა, რათა «მცირე მიწა» არ დაეთმოთ, ხოლო კიევი, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, აეღოთ, ვინაიდან სრულდებოდა ოქტომბრის რევოლუციის რომელიღაც თარიღი (?!).

იმას მოგახსენებთ, რომ უნდა ესიამოვნებინათ ბრეჟნევისათვის ქართველ კომუნისტებს, გაიხსენეს ეს კორპუსი, მოაწყვეს პიარკომპანია _ მიტინგით, პიონერებით, დროშებით, დოკუმენტალური კინოჩვენებით, ერთხელ კიდევ აღნიშნეს ლეონიდობა, მისი გენიალური სამხედრო ნიჭი. თუმცა ვერ გაიგებდი, აქ რა შუაში იყო ბრეჟნევი. შემდეგ ვიღაც «ჭკვიანს» მოუვიდა აზრად ხეობის დასაწყისში დაედგათ მემორიალური დაფა დაახლოებით შემდეგი წარწერით: «ამ ადგილიდან დაიწყო კორპუსის საბრძოლი დიდების გზა ქერჩის ნახევარკუნძულის გერმანელ ფაშისტთა ჯარებისაგან განთავისუფლებისათვის, კორპუსის მხედარმთავარი გახლდათ გენერალი კ. ლესელიძე, ხოლო პოლიტსამმართველოს უფროსი იყო ლეონიდ ბრეჟნევი». გაიმართა მიტინგი, კონცერტი, შემდეგ მემორიალური დაფის გახსნა და ობელისკთან პიონერთა საპატიო მორიგეობა. არ გასულა ორი თუ სამი დღე, რომ «აფხაზმა სეპარატისტებმა» გამოძერწეს ანალოგიური ზომის შავი ქვა, რომელზედაც იგივე შრიფტით (ორივე შემთხვევაში რუსულ ენაზე) დაწერეს დაახლოებით შემდეგი: «ამ ხეობის გავლით 1920 წელს ქართველ მენშევიკების გვარდიასთან საბრძოლველად წავიდა აფხაზ წითელ პარტიზანთა შენაერთი, რომლებმაც არათანასწორ ბრძოლებში მოიპოვა გამარჯვება დამპყრობლებზე». არც მეტი და არც ნაკლები, შეკრიბეს «ხალხი», გამართეს მიტინგი, და იქვე რაღაც სულ 8-10 მეტრში ხელისუფალთა მიერ დადგმულ «ლესელიძის» მემორიალთან დადგეს თავიანთი ეროვნულ-ისტორიული «გმირობის» მემორიალი. იქაც დააწესეს პიონერთა მორიგეობა, მხოლოდ, ამ თავის პიონერებს «დასაცავად» მოხალისეები (ბოევიკები)

დაუყენეს. სხვათა შორის, ეს «კომედია» დაახლოებით რამდენიმე თვე გრძელდებოდა და მე პატივი მქონდა, ერთი თუ ორ კვირის შემდეგ, ჩემს კოლეგებთან ერთად დამეთვალიერებინა ეს ისტორიული ადგილი. წარმოიდგინეთ ორი მემორიალი ერთმანეთის გვერდით. თითოეულ მათგანთან სამ-სამი პიონერი, წითელი ყელსახვევებით, შავი ბაბთებით. ყველაზე მეტად ის არ მომეწონა, რომ ამ პოლიტიკურ ინტრიგაში ათი-თორთმეტი წლის ბავშვები იყვნენ ჩართული, თუმცა ერთმანეთს აგრესიულად სრულებითაც არ შეჰყურებდნენ.

...და დაიწყო და აგორდა მრავალათასიანი მიტინგები ჯერ გაგრის სტადიონზე, შემდეგ სოხუმის სტადიონზე, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი და აფხაზი მომიტინგეები ისე, რომ ტრიბუნაც და მიკროფონებიც ერთი ჰქონდათ. ისმოდა ურიერთგამომრიცხავი მოწოდებები, აფხაზები გაჰყვიროდნენ ქართულ შოვინიზმზე, ქართველები არანაკლებად იყვნენ შეწუხებულნი აფხაზური ნაციონალისტური და სეპარატისტული გამოხდომებით. აფხაზებისაგან ისმოდა მოწოდებები აფხაზეთის უნივერსიტეტის შექმნის შესახებ და აფხაზურ ენაზე სოხუმის აფხაზური ტელევიზიის ჩამოყალიბებაზე.

კიდევ კარგი, იმ წელს ეს მღელვარება ყოველგვარი აგრესიული ქმედებების გარეშეEდამთავრდა. ერთი იყო ღირშესანშნავი: ზუსტად ამ პროცესების მიმდინარეობის დროს ბომბორას სამხედრო აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი მოსკოვიდან, რომლითაც «დასასვენებლად» ჩამოვიდა პოლიტბიუროს გავლენიანი წევრი, საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის მამამთავარი ნ. სუსლოვი, რომელსაც რამდენიმეჯერ ესტუმრა ჩვენი ჩეკისტური ჯგუფის ხელმძღვანელი გენერალი ფ. ბობკოვი. ალბათ ნ. სუსლოვის ინსტრუქციებით, გენერალი გაემგზავრა ჯერ თბილისს, სადაც მიღებული იქნა გადაწვეტილება იმის შესახებ, რომ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილიყო არა სოხუმის უნივერსიტეტი, არამედ «სოხუმის აფხაზეთის უნივერსიტეტი», შექმნილიყო აფხაზ ტელე-ჟუნალისტთა ჯგუფი აფხაზურ ენაზე ტელეგადაცემისათვის და ისინი სტაჟირებაზე თბილისში კი არა, არამედ მოსკოვში მიავლინეს. შემდეგ ქუთაისიდან სოხუმში გადმოიტანეს თბილისის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ფილიალი და დაარქვეს მას სოხუმის სუბტროპიკულ მეცნიერებათა ინსტიტუტი. მოხდა კიდევ რამდენიმე საკადრო ცვლილება როგორც პარტიულ-კომკავშირულ ორგანოებში, ისე საბჭოთა აღმასრულებელ ხელისუფლებაში (განაზავეს ეს უწყებები, ახალი აფხაზი ეროვნების კადრებით). მაგრამ მომიტინგეებთან ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო დამნაშავე და მოსკოვის განკარგულებით დააკავეს, დააპატიმრეს ერთი აფხაზი ეროვნების იურისტი (აფხაზური სეპარატიზმის არცთუ ისე აქტიური მონაწილე) და ქართული «ნაციონალიზმის» სულისჩამდგმელი, გაგრის «სექტორის» ხელმძღვანელი, რომლებიც გაასამართლეს, რა თქმა უნდა, არა პოლიტიკური, არამედ სამეურნეო სამართალდამნაშავეობის მუხლით. ერთი წლის პატიმრობის შემდეგ ჯერ აფხაზი გაანთავისუფლეს, ხოლო მერე ქართველი, რომლის განთავისუფლებისათვის გარკვეული ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს უშიშროების კომიტეტს, რათა მოსკოვისათვის «დაემტკიცებინა», რომ აფხაზი «სეპარატისტის» შეწყალება, ხოლო ქართველი «ნაციონალისტის» პატიმრობა გარკვეულ ნეგატიურ პროცესებს გამოიწვევდა აფხაზეთის ქართველ მოსახლეობაში.

აი, პატარა წინაისტორია იმ მოვლენებისა, რამაც დღევანდელ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. დავთმეთ ერთხელ, დავთმეთ მეორედ და მივიღეთ ის, რაც მოხდა, თუმცა მაშინ დათმობასაც და პრინციპულობასაც ჩვენ არავინ გვეკითხებოდა.

ახლა, როცა ამდენი იწერება, ამდენი ინფორმაცია არსებობს ამ კონფლიქტის გარშემო, რამის დამატება ნამდვილად ძნელია. ერთი კი უცილობელია: თავი დავანებოთ «სეპარატიზმს» და ჩვენი შეცდომები თუ წინასწარგანზრახული პოლიტიკური ანგარიშსწორების მაგალითები გავიხსენოთ: ჯერ იყო და, დავუშვით რაღაც ყოველგვარი კონსტიტუციური თეორიების მიღმა აფხაზური კვოტის გაზრდა მათ პარლამენტში, დავუშვით ეროვნულ საწყისებზე შექმნილი «აფხაზური გვარდიის» შექმნა, არ ვიზრუნეთ ასეთივე «ქართული გვარდიის» ან სამხედრო შენაერთის შექმნაზე. მაშინ ხომ არ დაგვჭირდებოდა თბილისიდან ჯარის შეყვანა? ამის ჭკუა და დრო მაშინ არ გვქონდა შიდა პოლიტიკური არეულობის გამო. საწინააღმდეგო შემთხვევაში ასეთი შენაერთების შეტაკება, ჯერ ერთი, არ მოხდებოდა და თუ მოხდებოდა, ეს შიდა აფხაზური სამოქალაქო ომის სახეს მიიღებდა. ეს კი საკმაოდ მომგებიანი იქნებოდა საქართველის სახელმწიფოსთვის. ერთია სამოქალაქო ომში ჩარევა, მისი განეიტრალება და მეორეა იქ ცალკე ჯარით შესვლა. როგორ გგონიათ, რატომ არ შექმნეს ასეთი საჯარისო შენაერთი მაშინ აფხაზეთში? არ შექმნეს და ვერ შექმნეს იმიტომ, რომ თავის თავის ეშინოდათ, რომ ეს ჯარი მათ წინააღმდეგ არ გამოყენებულიყო და ამ შემთხვევაში ეროვნული ინტერესები, ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება ყველას ფეხზე ეკიდა. მერე შევედით ვითომდა რკინიგზის დასაცავად. მერე ავყევით აფხაზ პროვოკატორ არძინბას, «გავიმარჯვეთ», შემდეგ ეიფორია, თვითკმაყოფილება, ვინმემ რომ გადაშალოს იმ დღეების გაზეთები (მე გადავშალე და წავიკითხე), ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს XX საუკუნის ალექსანდრე მაკედონელი ან ნაპოლეონი გამოჩენილიყოს ქართულ სამხედრო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. წაიკითხეთ და დატკბით, თუ როგორ არიგებდნენ ჭკუას «სარდალს» თენგიზ კიტოვანს, როგორ მოეწყო მმართველობა, სწავლა-განათლება და მრავალი სხვა... იმ სტატიების შინაარსიდან გამომდინარე ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს შენს ტერიტორიაზე წესრიგის, დისციპლინის აღსადგენად კი არ შეხვედი, არამედ უცხო ქვეყანაში, უცხო ტერიტორიაზე შენი წესრიგის დასამყარებლად. არადა, საქმე ჩვენს საქართველოს მოქალაქეებთან გვქონდა. მეტი მოთმინება, მეტი სიდინჯე, მეტი გამჭრიახობა გვმართებდა, მაგრამ... ვერ მიხვდა ჩვენი «დიდი სარდალი», რომ ყოველივე ეს შეიძლება «ბებერი მელას» მიერ დადგმული სცენარი იყო, ვინაიდან იმ პერიოდში თ. კიტოვანი საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ ოპონენტს წარმოადგენდა ე. შევარდნაძისათვის და მაშინ მისი მხარდამჭერი იოსელიანისათვის, რადგან განკარგულებაში ჰყავდა ჯარი, რომელიც პირადად, ვიმეორებ, პირადად მას ემორჩილებოდა, და ეს კი ძირითადი არგუმენტი იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ომით აფხაზეთში _ ე. შევარდნაძემ ცენტრალურ ხელისუფლებას (თავის ხელისფლებას) მოაშორა ჯერ ერთი ჯარი (კიტოვანისა), შემდეგ... მან იცოდა, რომ იოსელიანის და მისი «მხედრიონის» დროც დადგებოდა. ეს ვერ გათვალეს მხოლოდ მისი ტრიუმვირატის წევრებმა, რომლებიც ისევე იყვნენ მზად პოლიტიკურად მასთან ჭიდილში, როგორც ჩვენ ვართ მზად ჩინური ენის გრამატიკის შესადგენად.

ასე თუ ისე, «სარდალი» კიტოვანის ე.წ. «იმიჯი» ამ ომმა შეიწირა. კარგად მახსოვს ერთ ინტერვიუში მან დაახლოებით შემდეგი განაცხადა: «რა შევარდნაძე, ვინ შევარდნაძეო, ის ჩვენ ჩამოვიყვანეთო». მაშინვე მივხვდი, რომ მისი პოლიტიკური ცხოვრების ხანგრძლივობა შემოკლდა. მხოლოდ კითხვა დამებადა: რამდენ ხანში მოხდება ეს? რა მიზეზს მოუგონებს ან რა პროვოკაციას მოუწყობს-მეთქი. ეჰ, ყველაზე დასანანებელი მხოლოდ ალბათ ის არის, რომ ამ უთანასწორო პოლიტიკურ

დაპირისპირებას საქართველოს ეროვნული ინტერესები შეეწირა, შეეწირა ერთი დიდი სავარძლის დასაკუთრებას, რომელსაც მანიაკისებურად ჩაეჭიდა ნიჭიერი და ჭკვიანი, მაგრამ ერის უგულვებელმყოფელი ადამიანი... სხვათა შორის, ახალგაზრდა სტალინმაც ეროვნული ინტერესებით, ნაციონალიზმით დაიწყო: მერე? მერე კი ყველამ ვიცით, რით დაამთავრა!

ესე ამბავი
«ჭინკას თეორიისა»

50-ანი წლების შუა წლებია, ომი ახალი დამთავრებულია, ქვეყანაში კიდევ იგრძნობა სიცივე, შიმშილი. მაგრამ რაა ცხოვრების სირთულე, თუ ბავშვობიდან გამოდიხარ, ცხოვრება გიხარია, ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად?! მაშინდელ თბილისში ახალგაზრდობას გასართობი თითქმის არაფერი ჰქონდა. ჩვენი დღესასწაულები იყო ფეხბურთზე წასვლა, საბანაოდ «გაპარვა» კუს თუ ლისის ტბაზე, მტკვარზე და, რა თქმა უნდა, რუსთაველზე სეირნობა: რატომღაც მაშინ მიღებული იყო «გულაობა» მარცხენა მხარეს ე.ი. «სამაროჟნედან - ზემელამდე და ზემელიდან სამაროჟნემდე». პაემანიც ასე ინიშნებოდა, არა რომელიმე კონკრეტულ ადგილზე ანდა კონკრეტულ საათზე, არამედ უბრალოდ - ხვალ? «ხვალ რუსთაველზე შევხვდეთ საღამოსო» და, წარმოიდგინეთ, როგორც წესი, აუცილებლად ვხვდებოდით.

აბა რუსთაველის გამზირი გამონაკლისი ხომ არ იქნებოდა და ამ გამზირსაც უკვე ჰყავდა ე.წ. «ძველი ბიჭები», ჩხუბისთავები, ყოჩები და, რა თქმა უნდა, ამ ძალასთან მიტმასნილი ე.წ. «შესტიორკები», როგორც წესი, სუსტი აღნაგობის და, რაც მთავარია, სუსტი ნებისყოფის, შეიძლება ითქვას, უკვე ბავშვობაში და ჭაბუკობაში მონური სენით «დასნეულებულები». აი, დაახლოებით ასეთი ფსიქოლოგიის მატარებელი გახლდათ «ჭინკა» (12-13 წლის ბიჭი. მისი ნამდვილი გვარი არასოდეს ვიცოდი და სახელით კი მაშინ არავინ არ მოიხსენიებდა). როგორც ვიცოდით, «ჭინკას» დედა პროდუქტების მაღაზიაში მუშაობდა ნოქრად და ამიტომ ჩვენთან შედარებით ყოველთვის ჰქონდა ჯიბეში ე.წ. «ჯიბის ფული», რითაც იზიდავდა «ძველ ბიჭებს» და ისინიც ნებას რთავდნენ ყოფილიყო მათ გარემოცვაში («კამპანიაში»). ამაში არც არაფერი იყო ცუდი ან კარგი. ვისაც როგორც უნდა, ისე იცხოვროს, ეს ხომ მისი პრობლემაა. მაგრამ, იყო ერთი მაგრამ, ამ «ძველი ბიჭების» ზურგს ამოფარებული «ჭინკა» ბევრ საძაგლობას ჩადიოდა. ხშირად გახლდათ ჩხუბის გამომწვევი, შეურაცხყოფის მომყენებელი და აი, როცა დააპირებდი ამ აბეზარა «ჭინკასთან» ანგარიშის გასწორებას, როგორც კი მოასწრებდი ამ «ჭინკასთვის» სილის გაწვნას ან ჭიტლაყის ამორტყმას, იმავე წუთებში გამოჩნდებოდნენ ჭადრებს მოფარებული ბიჭები. იწყებოდა საქმის გარჩევა, ჩხუბი, აყალმაყალი, არათანაბარი ბრძოლა გამომქომაგებლებთან და აქ უნდა გენახათ, როგორ იქცეოდა «ჭინკა». პირველად ჭიტლაყმიღებული თუ გაიქცეოდა ძმაკაცების მხარეს დახმარებისათვის, შემდეგში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა, ვითომდა ეხმარებოდა მათ, წაქცეულს დაადგებოდა თავზე, ფეხებს ურტყამდა. შემდეგ გაიქცეოდა, მერე, როცა ისევ იხელთებდა დროს, მობრუნდებოდა და დაიწყებდა ხელების და ფეხების ქნევას, თითქოსდა რაღაც რიტუალურ ცეკვას ასრულებსო დამარცხებული «მტრის» გარშემო. აი, ასეთი ვერაგი და ცბიერი მლიქვნელი იზრდებოდა ბავშვობიდანვე ჩვენი «ჭინკა».

მაგრამ მისი წამალიც მოინახა. რამდენადაც ვიცი, განაწყენებულმა მხარემ რამდენჯერმე დასაჯა. გადააფარეს ზეწარი და იმდენი ურტყეს, რომ ერთი-ორი კვირა სკოლაში არ უვლია. ამან ჯერ სულ გააბოროტა «ჭინკა», შემდეგ თითქოს დაწყნარდაო, თანაც არც იცოდა ვინ უწყობდა ამ «აუტოდაფეს». შემდეგ კი ალბათ გავიზარდეთ, სულ სხვა ინტერესები გაგვიჩნდა და ჩვენი «ჭინკაც» დავკარგე მხედველობის არიდან. მაგრამ მეხსიერებაში დამრჩა ბავშვობისდროინდელი გაკ-ვეთილი და შემდეგში ზოგიერთი ადამიანის ცხოვრების წესში ვამჩნევდი «ჭინკას თეორიას», როდესაც რაღაც ძლიერ ძალას დაყრდნობილი პატარა კაცუნები სჩადიოდნენ მრავალ სისაძაგლეს, ცდილობდნენ დაეჩაგრათ მათზე ძლიერნი. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ბავშვობაში ან ჭაბუკობაში ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორც ჩვენი «ჭინკა» იყო. ისე რომ, ცხოვრებაში რომ დაიმკვიდრო შენი ადგილი, ალბათ მრავალ «ჭინკას» უნდა აჯობო, არ დააჩაგრინო თავი და, თუ საჭირო იქნება, დროულად უნდა აუწიო ყურები.

მაპატიეთ, მკითხველო, ხედავთ, რამხელა შესავალი დამჭირდა იმის ასახსნელად, რომ არამარტო ადამიანურ ურთიერთობაში არსებობენ «ჭინკები». ასე წარმოიდგინეთ, ასეთი «თეორია» ზოგიერთ სახელმწიფოთა ურთიერთობაშიც არსებობს და ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის ცხოვრების წესიც კი გახლავთ.

არ მოგაგონებთ, მკითხველო, «ჭინკას», როდესაც ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოს ამოფარებულნი გვესაუბრებიან აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფალნი. თქვენი არ ვიცი და, მე ამაში დიდ მსგავსებას ვხედავ. ანდა არ გეჩვენებათ, რომ «ჭინკას» როლში ვიმყოფებით, როცა ველაპარაკებით ასე აპელაციურად - ამერიკის ზურგს უკან ამოფარებულები - რუსეთს? აბა სხვა რითი უნდა ავხსნათ (თუ საერთოდ აქვს ამას ახსნა), როდესაც «გმირულმა ქართულმა დაზვერვამ გამოააშკარავა», თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი «ბუდე» რუსული დაზვერვისა საქართველოში. ისიც კი ვერ შეძლეს აეხსნათ ხალხისთვის, თუ რა იყო ამ «ჯაშუშების» მიზანი, მათი მისწრაფებები ჩვენს სახელმწიფოში, ვინაიდან იმ «ჯაშუშურ ჯგუფში» ერთი პიროვნებაც არ იყო, რომელიც თავისი სამსახურეობრივი თუ პირადი ცხოვრების ავტორიტეტით რაიმე ძალას წარმოადგენდა. ასეთი კატეგორიის ხალხს (მეეზოვეებს, პარიკმახერებს, მეისრეებს, მტვირთავებს და სხვებს) კონტრდაზვერვის მუშაკები გასული საუკუნის დასაწყისში და 40-50-ან წლებში თუ «ავერბოვკებდნენ», _ ახლა კი უკვე XXI საუკუნეა, ხალხო. მერედა, გამართეს «ცირკი», დააპატიმრეს, მერე გაზეთებში და ტელევიზიაში მოაწყვეს პიარშოუ, შემდეგ ამერიკისა და ევროპის ზეწოლით გაანთავისუფლეს და კვლავ არაპროფესიონალური შოუ მოაწყვეს: ორმა მაღალი ტანის რატომღაც ქალბატონმა პოლიციელმა ხელჩაკიდებული მიიყვანა «ვერაგი ჯაშუში» წითელ ხიდთან და მოახდინეს გადაცემა თუ გაცვლა, ვერ გავიგე. გამახსენდა ძველი ფილმი მზვერავებზე «მკვდარი სეზონი», სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული რუსი თუ გერმანელი თუ ქართველი ჯაშუში აბელი, გაცვალეს საბჭოთა კავშირში დატყვევებულ ამერიკელ მზვერავ მფრინავ პაუერსზე. ალბათ იქიდან ისესხეს სცენარი. მაგრამ ეს ორი შემთხვევა იმდენად სხვადასხვა დონისაა, რომ მათი შედარებაც კი მკრეხელობაა. რუსეთის პრეზიდენტმა დაახლოებით ასე თქვა: «ჩვენ ასე არ გველაპარაკებიან, ამის უფლებას არავის მივცემთო». ვერაფერს დავამატებ. მე მგონია, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, სწორად თქვა. შემდეგ მივიღეთ ის, რაც მივივღეთ. ჩაკეტილი საზღვრები, სავაჭრო ემბარგო, რუსეთიდან გამოძევებული იმიგრანტები და მრვალი სხვა. სრულებითაც არ მინდა არა მარტო გავამართლო მათი ეს ქმედება, მეთოდები, რომლითაც ყოველივე ეს ჩაატარეს, მაგრამ

ხანდახან ჩვენს თავშიც უნდა ჩავიხედოთ და ცოტა კრიტიკულად შევაფასოთ ჩვენი ქმედებები. მაშინ ალბათ ნაკლებ შეცდომებს დავუშვებთ.

ის, ვინც ეს კომედია მოაწყო, სრულებითაც არ დაზარალებულა. დაზარალდა ისევ ხალხი, დავდივართ და ჩამოვდივართ სამშობლოში ბაქოს, ერევნის, კიევის, მინსკის და, თქვენ წარმოიდგინეთ ხანდახან - სტამბოლის გავლით. ვიხდით ორჯერ მეტ ფულს. თუმცა გვიმტკიცებენ, სავაჭრო ემბარგომ არ დაგვაზარალაო, მაგრამ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს, ასეთი რამ საბაზრო ეკონომიკის განვითარების კანონსა და თეორიასაც ეწინააღმდეგება. მე მგონი, ჩვენც არაფერს გვარგებს «ჭინკას თეორია».

P.S. აბელი (ფსევდონიმია, ნამდვილი გვარი და ბიოგრაფია სიკვდილის შემდეგაც არ გამოქვეყნებულა) გახლდათ ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი. დაზვერვაში მუშაობდა გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან. ყოველთვის მტრის ზურგში ე.წ. არალეგალურ მზვერავად. დააპატიმრეს დაახლოებით 1956-57 წლებში ქალაქ ნიუ-იორკში. ჩუმად გავრცელებული ინფორმაციით: თითქოსდა ხრუშჩოვს საფრანგეთში ვიზიტის დროს «წამოსცდა» რაღაც ინფორმაცია, რომელიც დააფიქსირეს, შეისწავლეს და შემდეგ თანდათანობით გავიდნენ აბელზე.

1958 წელს შედგა აბელის სასამართლო პროცესი ქ. ნიუ-იორკში, მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა. შემდეგ როგორც მოგახსენეთ, დასავლეთ ბერლინში აღმოსავლეთ ბერლინის ხიდზე გაცვალეს ამერიკელ მზვერავ პაუერსზე.

სასამართლოში აბელს ადვოკატად აუყვანეს ერთ-ერთი გამოჩენილი ამერიკელი იურისტი _ ადვოკატი დონოვანი, რომელმაც შემდეგში 60-ანი წლების შუალედში დაწერა წიგნი ამ სასამართლო პროცესის შესახებ. ეს წიგნი საიდუმლო გრიფით სულ რამდენიმე ათეული ეგზემპლიარი გამოიცა საბჭოთა კავშირში, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. ერთი წიგნი დაცული იყო ჩვენი აკადემიის წიგნსაცავში, სადაც წავიკითხე. საბჭოთა კავშირში მცირე ტირაჟით იცემოდა ისეთი წიგნები, რომლებიც წარმოადგენდნენ ოპერატიულ ინტერესს, შემდეგ ეს წიგნები ეგზავნებოდათ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. ასე იყო გამოცემული უინსტონ ჩერჩილის, დე გოლის, ფრანკოს და სხვათა მემუარები. თავის წიგნში დონოვანი წერდა დაახლოებით შემდეგს: «სასამართლოზე მოსამართლეს მიუმართავს აბელისთვის, დაასახელეთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და სხვა, რაზედაც აბელს უპასუხია: გვარი - აბელი, ნაციონალობა არ მახსოვსო, შეიძლება ქართველი ვიყოო».

არსებობს ვარაუდი, რომ აბელი ისე, როგორც მეორე ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი ზორგე, ეროვნებით გერმანელები იყვნენ. არ არის გამორიცხული, რომ აბელი წარმოშობით საქართველოს გერმანული სოფლიდან «ლუქსემბურგიდან» იყო. ასეთი სოფელი, გერმანელებით დასახლებული, თბილისთან ახლოს არსებობდა. მაგალითად, ჩვენს სასიქადულო და საამაყო მეცნიერს აკაკი შანიძეს ბავშვობაში ერთ-ერთ ასეთ გერმანულ ოჯახში უსწავლია გერმანული ენა, რომელსაც როგორც მშობლიურს, ისე ფლობდა...

რელიგიის შესახებ

(70-ანი წლების შუალედი და დასასრული)

რატომ მაინცდამაინც 70-ანი წლების შუალედი და მისი დასასრული? მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს (საქართველოს

უშიშროების კომიტეტში _ 1966-1981 წწ.), სწორედ ამ წლებში მქონდა გარკვეული შეხება იმ პროცესებთან, რომლებიც ვითარდებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიაში...

როგორც მოგახსენეთ, საერთოდ რელიგიის ყველა მიმართულების ნამდვილი დევნა ჯერ კიდევ დიდი «ბელადის» ვ.ი.ლენინის მართველობაში დაიწყო. ეხლა უკვე კარგად ცნობილია ის დოკუმენტები, რომელსაც ლენინი აწერდა ხელს, რომელიც მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი ათეული ათასობით მღვდელმსახური დაეხვრიტათ, გაენადგურებინათ ეკლესიები, საკულტო დაწესებულებები და სხვა. შემდეგ მისმა ყველაზე საუკეთესო მოწაფემ ი. სტალინმა გააგრძელა. რელიგიასთან ბრძოლა ბოლშევიკების სახელმწიფო პოლიტიკად იყო გამოცხადებული. ის, ვინც არ დახვრიტეს, გადაასახლეს და ციმბირის ტრამალებში დაასაფლავეს, ვიდრე ისევ და ისევ არ დასჭირდათ რელიგია, რომლის ძალისხმევაც მოსახლეობაზე მაინც დიდ გავლენას ახდენდა. როცა გაუჭირდა, ამიტომაც მიმართა ი. სტალინმა საბჭოთა ხალხს სიტყვებით «ჩემო დებო და ძმებო...» (რაც, რა თქმა უნდა, ქრისტიანული ტერმინოლოგიიდან იყო ნასესხები). ერთიც უნდა ითქვას: თუ დავაკვირდებით კომუნისტების იდეოლოგიას, მის ძირითად პოსტულატებს, ისინი ძირითადად ქრისტიანული რელიგიიდან ე.ი. ბიბლიიდან არის მოპარული და შემდეგ კომუნისტურ ყაიდაზე გადამღერებული.

ეს ისე, სიტყვაზე, თორემ ამის თქმით არა მგონია ახალი ამერიკა აღმომეჩინოს, ამ თემაზე ბევრი დაწერილა და ბევრი დაიწერება ალბათ კიდევ. ერთია უცილობელი: ამ ავბედით ჟამს ფსიქიური გადახრების სენით არამარტო ბოლშევიკები იყვნენ შეპყრობილნი, არამედ, საუბედუროდ, მასის უმრავლესობაც. ახლა, როცა ვუყურებ კინოდოკუმენტურ მასალებს, თუ როგორი გამომეტყველება აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც ეკლესიებს ანგრევდნენ, ხატებს წვავდნენ, მღვდელმსახურებს ხვრეტდნენ, ისეთი აზრი მებადება, რომ ესენი დამიანები კი არ არიან, რაღაც ზომბირებული ბრბო, მასა. რა თქმა უნდა, ამ ბარბაროსობისაკენ მათ ბოლშევიკებმა მოუწოდეს, შეიძლება პირადი მაგალითიც უჩვენეს, მაგრამ ძირითად მასას ხომ ხალხი წარმოადგენდა (თუ, რა თქმა უნდა, თვითონ ბოლშევიკებს ხალხად არ ჩავთვლით), სწორედ ის ხალხი, რომელიც სულ რამდენიმე დღის, თვის, წლის უკან თავის ძირითად დროს ეკლესიებში ატარებდა, ლოცულობდა, აღმერთებდა ღმერთს და მის მოძღვრებას? სწორედ ეს ხალხი, სულ რაღაც მოკლე დროში ბრბოდ ქცეული, ანადგურებდა მას, რასაც თვითონ და მისი წინაპრები თითქმის ორი ათასი წელიწადი ემსახურებოდნენ. ერთი რამეც შევნიშნე იმ უამრავი მასალა-დოკუმენტის, კინოდოკუმენტური ფირების გასინჯვისას, სადაც ასახულია ქრისტიანული, მართლმადიდებლური ეკლესიების ნგრევის, აფეთქების, მიწიდან აღგვის, ხატების განადგურებისა და წაბილწვის ეპიზოდები. არსად არ მინახავს, კადრები, სადაც თვით გუშინდელი მორწმუნენი ანადგურებდნენ თავიანთ საკულტო შენობებს (კერძოდ, მხედველობაში მაქვს მუსულმანების მიერ მეჩეთების ნგრევა, ანდა იგივე ქმედება _ ბუდისტების მიერ ჩადენილი და ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა კათოლიკები ანადგურებდნენ თავიანთ ეკლესიებს). ეს ერთი გამოუცნობი, ფსიქიატრებისათვის საყურადღებო ფენომენია, რომელიც ყველაზე მეტად მართლმადიდებელ ეკლესიას შეემთხვა. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში განადგურდა თითქმის ყოველი მეორე ეკლესია. დახვრეტილ და რეპრესირებელ მღვდელმსახურთა რაოდენობამ ათეულ ათასს გადააჭარბა. ალბათ ბრბოს ეს ქმედება არცაა გასაკვირი, რადგან ისინი ხომ მათი შთამომავლები არიან, რომლებიც, აღტაცებულნი, ყვავილებით შეხვდნენ მაცხოვარს იერუსალიმში მისი

შესვლის დროს, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, შეჰყვიროდნენ რომის პროკურატორს და იუდეველთა მეფეს ჰეროდეს: «ჯვარს აცვიო, ჯვარს აცვიო!», რომელიც არც ისე აგრესიულად იყო განწყობილი მაცხოვრის მიმართ.

რას წარმოადგენდა 70-ანი წლების შუახანებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია? გადაშენების გზას ადგა, ქაღალდზე 14 ეპარქიად იყო დაყოფილი, სინამდვილეში მხოლოდ 13(?!) არსებობდა, თუ ამას არსებობა ჰქვია. ეპარქიები განიცდიდნენ როგორც ფინანსურ, ისე საკადრო კრიზისს, ვინაიდან არ იყვნენ დაკომპლექტებულნი საკმაო რაოდენობის მღვდელმსახურებით. ყოველ წელს მცხეთის სასულიერო სემინარიაში შევსება მხოლოდ 7-10 კაცს შეადგენდა, რადგან პარტიული და უშიშროების ორგანოები ყველა მათთვის ჩვეული «მეთოდებით» ეწინააღმდეგებოდნენ ქართულ ეკლესიაში ახალგაზრდა კადრების მოდინებას. 1921 წლიდან საქართველოში წარმოებულმა ბოლშევიკების პოლიტიკამ თანდათანობით დეგრადაციისა და გადაგვარების პირამდე მიიყვანა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია _ ერთ დროს გამაერთიანებელი, ენისა და წეს-ჩვეულებათა ერთადერთი დამცველი ძალა, რამაც შეიძლება ითქვას, ისტორიულად გადაარჩინა ქართველი ერი, მისი ენა და ყოფადობა. ამიტომაც კომუნისტური (ბოლშევიკური) პოლიტიკა ეკლესიის მიმართ ყოველთვის იყო მიზანმიმართული, რათა დაეთრგუნათ ეროვნული სულისკვეთება და მყარი ნიადაგი შეექმნათ ე.წ. საბჭოთა კონგლომერატის, საბჭოთა ადამიანის ფორმირებისათვის. რუსული კულტურა, რუსული ენა ძირითადი წარმართველი ძალა უნდა გამხდარიყო. პროცესებს, რომელიც რუსეთის იმპერიამ (ცარიზმმა) ვერ დაამთავრა, მისი მემკვიდრეები _ ბოლშევიკები ამთავრებდნენ. ამიტომაც იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ყოველივე ეროვნულის, ენის, კულტურის დამთრგუნველი. უპირველეს ყოვლისა უნდა გაენადგურებინათ სწორედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ყოველივე ეროვნულის მატარებელი, მისი გული და სული. საბჭოთა კავშირის მთელ პოლიტიკურ რუკაზე ერთ მთლიან სახელმწიფოში გაერთიანებული იყვნენ მუსულმანი ერები (ტაჯიკები, თურქმენები, თათრები, ყაზახები და სხვ.), ბუდისტები (ტუველები, ყალმუხები, ბურიატები), კათოლიკები (ბალტიისპირეთი) და რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, _ თავიანთი მართლმადიდებლური, კათოლიკური და სხვა სექტანტური კონცეფციების მატარებლები. ძირითადი იდეოლოგიური კომუნისტური პროპაგანდა მიმართული იყო ამა თუ იმ რეგიონში გაბატონებული რელიგიების წინააღმდეგ, ათეისტური წესისა და ცხოვრების დანერგვისათვის. ასეთივე პოლიტიკა იყო საქართველოშიც, მაგრამ იგი გაცილებით აგრესიული და ვერაგი გახლდათ, რადგან მათ კარგად ესმოდათ, ქართული მართლმადიდებლობის განადგურებით გაანადგურებნენ ქართველობას, ენას, მის თვითმყოფადობას. საუკუნეების განმავლობაში ქართველისათვის ილია წმინდანის მიერ ნაანდერძევი ფორმულა _ ენა, მამული სარწმუნოება _ აქტუალური იყო არა მარტო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, არამედ მთელი ქართული ისტორიის განმავლობაში. იგი აქტიური იყო ქართული რენესანსის დროსაც _ X-XIII საუკუნეებში, შავბნელი ძნელჟამიანობის დროსაც XIV-XVIII საუკუნეებშიც, და რუსეთის იმპერიის საქართველოში ბატონობის დროსაც.

დიახ, დაახლოებით ასე წარმომიდგენია ჩემი შეხედულებით და საქართველოს უშიშროების კომიტეტში თუ სხვადასხვა სახელწოდებით არსებულ უშიშროების ორგანოებში ათეული წლების განმავლობაში (1921-1991 წლები) დაგროვილი მასალებით ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ეს მასალები რამდენიმე ათეულ ტომს შეადგენდა. როცა ხელი მიმიწვდებოდა, არ დამეზარა და ძირითადი ტომები

გადავიკითხე. ახლა მათი გაცნობა შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან არ ვიცი, ავბედით სამოქალაქო ომის დროს უშიშროების კომიტეტის სარდაფებში ამოწვეს თუ 1989 წლიდან დაწყებული _ სატვირთო მანქანებით _ სხვა ოპერატიულ მასალებთან ერთად _ გაზიდეს გაურკვეველი მიმართულებით, არადა, მიმაჩნია, რომ უშიშროების მასალებს (ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა არ იყოს) არაფერი ეშველება, ე.ი. სამუდამოდ დაკარგულია. ის, რაც არსებობს, თუკი არსებობს, მაინც ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, მისი განადგურებული, გადასახლებული, რეპრესირებული ხალხის ისტორია, რა თქმა უნდა, ბოლშევიკური თვალთახედვით დანახული და აღწერილი, მაგრამ პროფესიონალი მკითხველი და ისტორიკოსი ბევრ საინტერესოს ამოიკითხავს მასში...

როგორც მოგახსენეთ, ამ მოგონებების დაწერის დროს, არავითარი საარქივო მასალა საწერ მაგიდაზე არ მედო და არ მქონდა საშუალება პირველწყაროებში ჩამეხედა. რაც დავწერე, ყველაფერი ის არის, რაც გამახსენდა, რისი მოწმეც პირადად ვიყავი... რა თქმა უნდა, როდესაც პირადად ვკითხულობდი საიდუმლო მასალებს, არასოდეს მომსვლია აზრად, რომ ჩემი «არქივი» შემედგინა, ასლები გადამეღო. ეს გამორიცხული იყო. ამის არც უფლება მქონდა. თავი «გმირად» არ მომაქვს, თითქოსდა არალეგალურად ვაგროვებდი-მეთქი და, მართალი გითხრათ, იმ წლებში მხოლოდ ავადმყოფურ გონებაში შეიძლება დაბადებულიყო აზრი კომუნისტური წყობის დანგრევისა. ვინ წარმოიდგენდა, რომ როგორც ფაშისტებმა ვერ შექმნეს ათასწლიანი სახელმწიფო (რეიხი), ისე კომუნისტებიც (ბოლშევიკებიც) მხოლოდ რაღაც 70 წლამდე იბოგინებდნენ ამ ქვეყანაზე?! რა არის 70 წელი კაცობრიობის ისტორიისა, რა არის 13 წელი ფაშისტების მართველობისა?! მე მგონია, არაფერი, მაგრამ იმასაც თუ გავიხსენებთ, თუ რამდენი მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მათ ბატონობას, მაშინ თათარ-მონღოლთ შემოსევები, ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის თუ ნაპოლეონის სისხლიანი ბრძოლები თამაშებად მოგვეჩვენება.

დიახ, ბევრი მასალა იყო დალექილი უშიშროების კომიტეტში. ქრონოლოგიას თუ მივყვებით (ჩემი მეხსიერებით) პირველი ეტაპი _ ყველაზე მძიმე, რაც რელიგიურმა დევნამ მოგვიტანა, იყო პერიოდი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და სამოქალაქო ომის დროს, როდესაც განუკითხავად ნადგურდებოდა ეკლესია და მძვინვარებდა ვ. ლენინის ტერორი. თუ მასალებს დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ბოლშევიკებს თავის მმართველობის დასაწყისში მიზნად ჰქონდათ დასახული არა რაღაც შესუსტება, დაზიანება ყოველგვარი რელიგიური კონცეფციისა, არამედ მისი სრული განადგურება, მოსპობა და ახალი რელიგიის _ კომუნიზმის იდეალების დამკვიდრება. მათ ფსიქიურად გადახრილ ცხელ თავებში, რომლებიც მსოფლიო კომუნისტური რევოლუციით იყო შთაგონებული, ადგილი არ უნდა ჰქონოდა არავითარ რელიგიას და, მით უმეტეს, ქრისტიანულს (რუსეთის იმპერიის სახელმწიფო რელიგიას). მაგრამ თანდათანობით დარწმუნდნენ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციების არარეალობაში (უნგრეთი, გერმანია), სადაც მათ კუდით ქვა ასროლიეს და მათი ავადმყოფური ფსიქიკაც კი მიხვდა, რომ ასე უცებ, ერთი დაკვრით რაც არ უნდა მსხვერპლი შეეწირათ (არა თავისი _ არამედ ხალხის), ამ მიზანს ვერ მიაღწევდნენ და დაიწყეს რელიგიის კონცეფციების ეტაპობრივი განადგურება.

როგორც მოგახსენეთ, პირველი ეტაპი იყო მცდელობა ძირფესვიანად გაენაგურებინათ რელიგია (საქართველოში ძირითადად ქრისტიანული), მოეშალათ დიდი ვაივაგლახით 100 წლის აღდგენილი ავტოკეფალია, ფიზიკურად მოესპოთ

მისი ხელმძღვანელები. მიუხედავად მრავალი დათმობისა და კომპრომისებისა, ისინი მაინც განადგურებულ იქნენ. შემდეგ გამოჩნდა ღირსეული ადამიანი, ნამდვილი წინამძღვარი ქართული ეკლესიისა კალისტრატე ცინცაძე, რომლის შორსმჭვრეტელურმა და კომპრომისულმა საეკლესიო პოლიტიკამ გარკვეულ წილად გადაარჩინა ქრისტიანობა საქართველოში. მიუხედავად იმ პროვოკაციებისა, დევნისა და მეთვალყურეობისა კომუნისტების მხრიდან, რომლის გარემოცვაშიც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, მან ღირსეულად შეასრულა თავისი პატრიოტული მოვალეობა, თავის განსწავლულობით და გარკვეული დიპლომატიური ნიჭით არაერთი უხეში შემოტევისაგან იხსნა ქართული ეკლესია. მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ 30-ანი წლების დასაწყისიდან, თითქმის სამამულო ომის დაწყებამდე, როდესაც რეპრესიები მძვინვარებდა, მან შესძლო ეკლესიის გადარჩენა. შემდეგ ეფრემ მეორესა და დავით მეხუთეს შედარებით მშვიდობიანობის დროს მოუხდათ მოღვაწეობა. ამ ღირსეულმა ხალხმა თავიანთი კომპრომისებით აღსავსე საეკლესიო პოლიტიკით შეუნარჩუნეს ხალხს რელიგია და ამით გარკვეულ წილად ეროვნული სულისკვეთება. და აი, 1977 წელს უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს სულიერი მამა დავით მეხუთე მიიცვალა და დადგა საკითხი, თუ ვინ დაიკავებდა მის ადგილს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მაშინ ამ საკითხის მთლიანობაში აღქმა შეუძლებელი იყო (ქვეყანაში კომუნიზმის რენესანსის იდეა ბატონობდა, უკვე გამოცხადებული იყო, რომ აშენდა განვითარებული სოციალიზმი და ხალხი უნდა დარაზმულიყო კომუნიზმის მშენებლობისათვის).

არავინ დაიჯეროს, რომ მაშინდელი ქართული რელიგიის კულტის მაღალ თანამდებობებზე ვინმე ინიშნებოდა (ან აირჩეოდა) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ავანგარდის _ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანხმობის გარეშე. ეს პრინციპი უცილობელი იყო გასულის საუკუნის 20-ანი წლებიდან საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამდე.

ერთი ცნობილი რუსული გამოთქმა არსებობს: «История не знает сослагательного наклонения». ძნელია ამ გამოთქმაში სიტყვას _ «сослагательного» _ უპოვო თავისი შინაარსობრივი სინონიმი. ძირითადი ეს მაინც ასე უნდა გავიგოთ: რა მოხდებოდა მსოფლიო ისტორიაში, ესა თუ ის ფაქტი რომ არ მომხდარიყო. მაგალითად, არ გაჩენილიყო სტალინი, ლენინი, ჰიტლერი, ნაპოლეონი და სხვები, რა მოხდებოდა, საქართველოს ისტორიული რენესანსი X-XIII საუკუნეებში თათარ-მონღოლთა შემოსევებს რომ არ დაემხო და ასე შემდეგ. არავინ არ იცის, ბატონებო, რა მოხდებოდა. რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ ამის შესახებ, ყველას თავისი აზრი ექნება, ერთმანეთისაგან განსხვავებული, და იქნება მხოლოდ ვარაუდი, ვერსია და მეტი არაფერი... რა მოხდებოდა, რომ მაშინ ქართული ეკლესიის სათავეში არ მოსულიყო ან ვერ მოსულიყო სულმნათი ადამიანი, ადამიანი მისიონერის ფუნქციით, თვით ღმერთისგან მოვლენილი ქართველთათვის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II? არ იფიქროთ, რომ მისი გზა ქართული ეკლესიის სათავისკენ ია-ვარდით იყო მოფენილი. არამც და არამც! დიდი საშიშროება არსებობდა იმისა, რომ ამისათვის ხელი შეეშალათ გარკვეულ, ჩვენთვის უკვე ცნობილ ძალებს (კომპარტიიდან და უშიშროებიდან), ვინაიდან დიდ ძალისხმევას ამ პოსტის დაკავებისათვის იჩენდა მაშინ «მეუფე» კერატიშვილი, რომელსაც მხარს უჭერდნენ გარკვეული ძალები როგორც კომპარტიაში, ისე უშიშროების სამსახურში.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც საზოგადოებისათვის ცნობილია (თუ არ ახსოვთ, მაშინდელ გაზეთებშიც შეუძლიათ გაეცნონ) კერატიშვილის მორალური სახე, მისი

ადამიანური გადაგვარების ეტაპები, _ გისვამთ კითხვას: რა მოხდებოდა? რა გზით წავიდოდა ქართული ეკლესია, ეს ადამიანი რომ «აერჩიათ» ამ პოსტზე? დასკვნა აქ ერთია. ეს იქნებოდა დამაქცეველი, დამღუპველი არა მარტო ქართული ეკლესიისათვის, არამედ ქართული ეროვნული სულის შენარჩუნების საქმეში.

ღმერთი იყო ჩვენი მფარველი და საღმა აზროვნებამ გაიმარჯვა... საქართველოს პატრიარქად აკურთხეს ილია II, ხოლო კერატიშვილს იქ მიუჩინეს ადგილსამყოფელი, რომელსაც მისი ბიოგრაფიული წარსული იმსახურებდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ «არჩევაში» ხელი არ შეუშალეს, მაგრამ ბოლომდე მაინც არასოდეს ენდობოდნენ კათოლიკოს-პატრიარქს. მეთვალყურეობა მასზე ყოველთვის ხორციელდებოდა... ყოველ დილას უშიშროების მესვეურებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ მისი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, მის რეზიდენციაში მიმდინარე საუბრებს და ა.შ. მოსასმენი აპარატურა არც ისე შორს იყო განლაგებული (ლესელიძის ქუჩაზე განთავსებულ საქართველოს სპორტკომიტეტის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის კაბინეტში, რომელიც ხალხში ღვთისმოსავი ადამიანის ავტორიტეტით სარგებლობდა).

არ ვიცი, ხვდებოდა თუ არა ამას უნეტარესი, მაგრამ ერთი კი იყო, ინფორმაციის ამ წყაროდან უშიშროებას არასოდეს რაიმე საინტერესო ინფორმაცია არ მოუპოვებია.

ერთსაც გეტყვით: არასოდეს მიფიქრია, ჩემი პერსონა თავს მომეხვია პატრიარქისათვის, და მომეხსენებია, რომ ვარ თქვენი საკურატოროს უფროსი-მეთქი. არ ვიცი, ეს ნაბიჯი მაშინაც მკრეხელობად მიმაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას ძალიან გულმოდგინედ აკეთებდნენ ჩემი წინამორბედნი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკლესიას ყოველდღიური ყურადღება არ აკლდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა კომიტეტისაგან, რომელსაც მაშინ ბატონი მაისურაძე თავმჯდომარეობდა, ხოლო მისი ღვიძლი ძმა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ მაისურაძე კი მთელ იდეოლოგიურ (მათ შორის ეკლესიასაც) ფრონტს ხელმძღვანელობდა _ მაშინ ალბათ ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ეკლესია არამარტო სახელმწიფოს დიდი «მზრუნველობის» საგანს წარმოადგენდა, არამედ თითქმის ერთი ოჯახის «საშინაო» საქმედაც კი იქცა. თუმცა ეს შინაური ურთიერთობა რელიგიის საქმეთა მმართველს მაისურაძეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა: ერთხელ _ ზაფხულში მას სახლში ეწვია ერთი უცხო სტუმარი, დარეკა ბინის ელექტრო-ღილაკზე და მასპინძელმა გაუღო კარები. როგორც გამოძიებამ დაადასტურა, სტუმარი ძალიან ზრდილობიანად შეეკითხა მასპინძელს: «მაპატიეთ, ეს თქვენი ბრძანებით, ბატონო მაისურაძეო, რელიგიის საქმეთა რწმუნებულიო». მიიღო რა დადებითი პასუხი: «მაპატიეთ, ბატონო, ერთი წუთით შეგაყოვნებთო». ცელოფანის პაკეტიდან ამოიღო ნაჯახი და მასპინძელს მოუქნია. ღმერთმა თუ ფიზიკურმა მომზადებამ, უფრო სწორად ჩეკისტურმა და დიპლომატიურმა ალღომ უშველა და მაისურაძემ აიცილა პირველი დარტყმა. შემდეგ ბინაში შეუვარდა მოძალადე და იქაც სცადა მისი დაჭრა ან მოკვლა, მაგრამ იმ დღეს ღმერთი მის მხარეს იყო: ფიზიკურად იგი სტუმარზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, განაიარაღა მოძალადე და მილიციას ჩააბარა. სახელმწიფოს არ აწყობდა, რომ თავდამსხმელის ძალადობის მოტივი პოლიტიკური ხასიათისა ყოფილიყო და ამიტომ სერიოზულად არ მიიღეს მისი განცხადება გამოძიების დროს, რომ მისი თავდასხმა განპირობებული იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით. როგორც ყოველთვის, თავმდამსხმელი გააგზავნეს ე.წ. «ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე», სადაც, რა თქმა უნდა, მორჩილმა ფსიქიატრებმა პატიმარი შეურაცხადად გამოაცხადეს.

სასამართლომდე საქმე არ მისულა, ისე გაამწესეს ქართული ეკლესიის «დამცველი» ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიულ კლინიკაში სამკურნალოდ. ქართულმა ეკლესიამ პანაშვიდი გადაიხადა გადარჩენილი ადამიანის საპატივცემულოდ, ხოლო მე დანარჩენ პარტიულ თუ სამეურნეო აქტივთან ერთად (ძირითადში ამხ. მაისურაძის მეგობრებთან ერთად) რესტორანში კარგ პურ-მარილს გეახელით. როგორც წესია, ბატკანი შევწირეთ ამხანაგის გადარჩენას.

როდესაც წყდებოდა არამარტო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ ქართველი ერის შემდგომი არსებობისათვის მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც მოგახსენეთ, დიდი საშიშროება არსებობდა იმის გამო, რომ ერის სულიერ წინამძღოლობას ეპოტინებოდა მორალურად გადაგვარებული პიროვნება კერატიშვილი და არა მარტო კერატიშვილი. საზოგადოებაში გავრცელდა ჭორები, თითქოსდა ქართული ეკლესიის წინამძღოლობა მოისურვა დისიდენტმა ზვიად გამსახურდიამ... ამ «ჭორებმა» (არ იყო გამორიცხული, რომ იგი თვით გამსახურდიას მომხრეების მიერ იყო გავრცელებული) საკმაოდ შეაშინა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა, მისი უშიშროების კომიტეტი: ვაი და ვუი ჩვენს თავს, თუ ეს მართლაც ასე მოხდაო, ამით ხომ ზვიად გამსახურდია თითქმის ლეგალური პოზიციებიდან დაიწყებს ანტისაბჭოთა აგიტაციასო. ამას კი მოსკოვი არათუ არ გვაპატიებს, ამან შეიძლება ჩვენი თბილი სავარძლები დაგვაკარგვინოსო. და, რაც შეიძლება «სწრაფად» დაიწყეს მათთვის (და არა ეკლესიისთვის ან ქართველი ხალხისთვის) კომპრომისული პიროვნების ძებნა და არჩევანი შეჩერდა... მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ისტორიულ მომენტში ღმერთმა არ მიატოვა ქართული ეკლესია, ქართველი ხალხი და სულიერ წინამძღოლად მოუვლინა დინჯი, წყნარი, განსწავლული, ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებული, ეკლესიისა და ერის წინამძღვარი, მართლაც უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

დიახ, უფლის ნება იყო, რომ ილია II მოევლინა საქართველოს სულიერ მამად (კათაოლიკოსად ყველა ქართველთა). მაგრამ იმ დროს ამ არჩევანის მანიპულირება სავსებით დამოკიდებული იყო ორი საბჭოთა სტრუქტურის _ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ კათოლიკოსობის სავარძლის მაძიებელ კერატიშვილსაც ჰყავდა ლობისტები, როგორც ცენტრალურ კომიტეტში, ასევე სუკში და მათი კანდიდატიც არანაკლებ კოდირებული იყო, ვინაიდან მისი მოსვლა ქართული ეკლესიის სათავეში მათ არამარტო გარკვეულ ფინანსურ ასპარეზს უხსნიდა, არამედ იძლეოდა შესაძლებლობას, ეკლესიის სათავეებში მოეყვანათ არა ავტორიტეტული პიროვნება, არამედ მართვადი მარიონეტი და ამით მოსკოვისთვისაც ეამებინათ.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, უფალმა მაინც გაიმარჯვა და გაიმარჯვა იმაში, რომ ამ ხალხს არ მიაღებია ეს საბედისწერო გადაწყვეტილება, და ეს მაშინ, როდესაც მათი მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა. ყოველივე ეს _ ამ საქმეებში ასე თუ ისე კარგად ჩახედულ ადამიანს _ ღმერთის სასწაულმოქმედებად მიმაჩნია.

იმასაც ვიტყვი: ილია მეორემ კურთხევისთანავე არ «გაუმართლა» თავის იძულებით ლობისტებს, დაიწყო ეკლესიის რეორგანიზაცია, ახალგაზრდების მიზიდვა, დაამყარა კავშირი ინტელიგენციასთან (მწერლებთან, კომპოზიტორებთან და, რაც მთავარია, მეცნიერებათა აკადემიასთან, კვლევით ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ ინსტიტუტებთან, რამეთუ მათთან ურთიერთობა საშუალებას აძლევდა გაემაგრებინა კომუნისტების მიერ შერყეული ფუნდამენტი. შემდეგ გამოჩნდნენ ახალგაზრდა კონსულტანტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია

ილია მეორეს გვერდით ისეთი სპეტაკი მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ ნ.ჭავჭავაძე, პ.გუგუშვილი, მ.ლორთქიფანიძე, რ.ჩხეიძე და სხვები), რამაც დიდი დადებითი მუხტი მისცა კათოლიკოსის მოღვაწეობის პირველ წლებს.

ცდილობდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება მის «დამორჩილებას»? რა თქმა უნდა, ცდილობდა და არა ერთხელ და ორჯერ. იბარებდნენ ცეკაში, მიდიოდნენ მასთან «აუდიენციაზე» პარტიის იდეოლოგიური «ფრონტის» მუშაკები, არაერთხელ ესტუმრნენ რეზიდენციაში სუკის ხელმძღვანელი იდეოლოგები ნ.მაისურაძე, რ.ქვარცხავა და სხვები და უტარებდნენ ე.წ. პროფილაქტიკურ «გამაჯანსაღებელ» საუბრებს, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც არ ჩანდა. ასეთი საუბრების შემდეგ იწერებოდა, რა თქმა უნდა, წერილობითი ცნობები «ჩატარებული პროფილაქტიკური მუშაობის შესახებ», იგზავნებოდა წერილები და დეპეშები ცენტრში და ა.შ. კათოლიკოსი დინჯად, მშვიდად, აუღელვებლად ატარებდა ჯერ კიდევ პატარა ჩანასახის სახით ეკლესიის აღორძინების ღონისძიებებს...

ერთიც უნდა ითქვას და აუცილებლად, ამ საუბრების დროს, რამდენადაც ვიცი, კათოლიკოსი უმეტესად დუმდა, აქა-იქ თუ ჩაურთავდა რეპლიკას. მშვიდად შეჰყურებდა თანამოსაუბრეს თვალებში, თითქოსდა გიპნოზს უკეთებსო, და ეს «სახელგანთქმული იდეოლოგიური მოლაყბეები» გარკვეული პერიოდის შემდეგ თვითონაც წყნარდებოდნენ, ეკარგებოდათ პარტიული პათოსი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი დამორჩილებულნი და დამშვიდებულნი ხვდებოდნენ ამ მაგიური თვალების გამჭოლავ გამოხედვას და ტოვებდნენ მოსაუბრეს ისე, რომ ვერ გაეგოთ, რა მოხდა, რა ზეციურმა ძალამ შეზღუდა და შებორკა მათი აღმაფრენა, ისე რომ, თვით მკითხველმა განსაზღვროს, ვინ ვის უტარებდა მაშინ ე.წ. პროფილაქტიკურ საუბარს. ერთი კითხვაც დაებადება ალბათ მკითხველს: საიდან იცის ამ განცდებისა და დიალოგების შესახებ ამ სტრიქონების დამწერმაო? გიპასუხებთ: პირადად მე არასოდეს დავსწრებივარ ამ საუბრებს, თუმცა სამსახურეობრივი მოვალეობით მევალებოდა კიდეც, ვინაიდან მაშინ სწორედ იმ განყოფილების უფროსი გახლდით სუკში, რომელიც რელიგიას კურირებდა. მაგრამ ეტყობა, ღმერთმა გადამარჩინა, და არასოდეს ვხლებივარ ილია მეორეს, თუმცა მაშინ ეს დიდ პატივად ითვლებოდა და ამას არავინ თაკილობდა. იყვნენ ოპერატიული მუშაკები, რომლებიც მომახსენებდნენ ხოლმე საერთო მდგომარეობას. გარდა ამისა, ჩემს მოადგილედ ითვლებოდა ოპერატიული მუშაკი უშიშროების კომიტეტისა, რომელიც ამავე დროს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან (წაიკითხე - ცეკასთან და სუკთან) არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის (მინისტრის რანგში) მოადგილე იყო.

საუბრებს კი ატარებდნენ, მაგრამ შემდეგში საჭირო იყო ამ საუბრების, წერილობით ცნობებისა და აუდიოჩანაწერების გაშიფრა და გაანალიზება. ამ «შავ საპატიო სამუშაოს», ჩემდა საუბედუროდ, მე მავალებდნენ, რადგანაც ამას გარკვეული პროფესიული მომზადება ესაჭიროება. ეს მართლაც «შავი სამუშაოა», ამიტომაც არაერთხელ მისაუბრია ამ იდეოლოგებთან, როგორც ცეკაში, ისე უშიშროებაში, რომ მომესმინა მათი შთაბეჭდილებები, შეხედულებები, აზრები, აქცენტები, რათა ისინი შემდეგ გამომეყენებინა «ანალიტიკურ» საბოლოო დასკვნებში.

ღმერთს მაინც სურდა, რომ ჩვენ შევხვედროდით. აკი მოგახსენეთ, შემეძლო შევხვედროდი თითქმის ორი წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც იმ ავბედითი განყოფილების (რელიგიის საქმეთა განყოფილების) უფროსად დამნიშნეს და დამნიშნეს ჩემი სურვილის გაუთვალისწინებლად, სწორად რომ ვთქვათ _

იძულებით. ამის შესახებ რომ გამომიცხადეს, ღმერთია მოწმე, შოკში ჩავვარდი. არ მსურდა და არც შინაგანი ხმა მკარნახობდა. ერთი თვე ვიავადმყოფე ნერვიული სტრესის გამო. არ ვიცოდი რა მეპასუხა, რით გავრიდებოდი ამ დანიშვნას. ჩვეული ხრიკი გამოიყენეს, მეგობარმა დამიბარა და მითხრა დაახლოებით შემდეგი: მას ესტუმრა ჩემი კოლეგა კადრების დარგში _ ინაურის მოადგილესთან დაახლოებული კაცი (მისი ლაქია) და საუბარში დაახლოებით შემდეგი უთხრა: «როგორც გავიგე, შენი მეგობარი ახალ თანამდებობაზე დანიშნეს, და რატომღაც უარს ამბობს, ფეხს ითრევს, ავადმყოფობას იგონებს. ასე ჰგონია, ჩვენ მოგვატყუებსო, არაფერი გამოუვა, ერთ-ორ დღეს ვაცლით და მერე პროვინციაში ვუკრავთ თავს, «დავაწინაურებთო». მართალი გითხრათ, ასეთი პერსპექტივა თბილისელ კაცს, ოჯახის მარჩენალს, სრულებითაც არ მაწყობდა და მეორე დღესვე გავედი სამსახურში...

შემდეგ ერთმა ჩემმა «კეთილმოსურნე» კარიერისტმა კოლეგამ, მაშინ ჩემზე უფროსმა სამსახურში, პირად საუბარში ასეთი რამეც მითხრა: შენი იქ დანიშვნა ჩემი ინიციატივა იყო, მე შევედი ხელმძღვანელობასთან ამ წინადადებით, ჩემი აზრით, საკმაოდ გავლენიანი და სარფიანი «საქმე» ჩაგაბარეთო. აი, თურმე სად იმალებოდა ძაღლის თავი. თურმე სარფიან საქმეს მაბარებდნენ და მე უარს ვამბობდი. მაგ თანამდებობაზე ბევრი ნატრულობს დანიშვნასო?! ასეთი ფილოსოფიისა და განწყობილების მატარებლები მაშინდელ სუკში უმცირესობაში არ იყვნენ.

როგორც მოგახსენეთ, კათოლიკოსს მხოლოდ ერთხელ შევხვდით და ისიც როდის? ჩემი შვილის გიას დასაფლავებისას. გათიშული ვიყავი თავს დამტყდარი უბედურებისაგან, მაგრამ მაშინაც გამიკვირდა ეს თხოვნა: მთხოვეს საწყალი გიას ნეშთი სიონში დამესვენებია საღამოს და დილას გამოსამშვიდობებელი პანაშვიდი იქვე ჩატარებულიყო (ვიმეორებ, ეს ჩემი ან ოჯახის ინიციატივა არ იყო). რა თქმა უნდა, დავთანხმდი...

ჩემი ოჯახის უბედურების კულმინაციის დროს, ალბათ დაახლოებით რაღაც ოცდაათი წუთი (არ ვიცი, რამდენი) რჩებოდა პანაშვიდის დამთავრებამდე, რომ ჩემთან მოვიდა მეუფე აბრაამი და ჩამჩურჩულა: «რამდენიმე წუთში პატრიარქი მოვა სამძიმრის მოსახდელად და გიას უკანასკნელი წესის ასაგებადო. მას მიაჩნია, რომ იმდენად დიდი გია ფოცხვერიას დამსახურება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებაში (გიამ ხომ ქართული ეკლესია და მსახურება დაარსა ლონდონში), რომ მან საჭიროდ ჩათვალა პირადად მოსულიყო ამ დიდად ღვთისმოსავ ადამიანთან გამოსამშვიდობებლადო. ალბათ ისიც გაახსენდა, პირადად რომ იცნობდა, გია ხომ მას ახლდა ინგლისის დედოფალთან აუდიენციის დროს?! შემობრძანდა პატრიარქი, მოგვიახლოვდა, რაღაც არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი გრძნობა დამეუფლა. შეიძლება ასეც არ უნდა მოვქცეულიყავი; არ ვიცი, როგორ, რა შეგრძნებით, მის მუხლებთან აღმოვჩნდი, ხელებს ვუკოცნიდი და არ ვიცი რას ვთხოვდი, პატიებას, შეცოდებას, ცოდვების მონანიებას, შეწყალებას თუ რას? მან ხომ არაფერი იცოდა, მხოლოდ მე ვიცოდი ჩემი წარსული, ჩემი შეხება მის მოღვაწეობასთან, მის ე.წ. სამსახურთან. ასეთ პარადოქსს გვიმზადებს ხოლმე ცხოვრება. და მხოლოდ ღმერთია ერთადერთი განმსჯელი ჩვენი ქმედებისა. პატრიარქი მოვიდა, ღვთისმოსავ, მორწმუნე, ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობის მქადაგებელ გია ფოცხვერიასთან გამოსათხოვებლად, თავისი სურვილით, ღმერთის შთაგონებით და იქ მუხლებში ჩაუვარდა, პატიებასა და ცოდვების მონანიებას შესთხოვდა არამარტო გაუბედურებული მამა, მშობელი, არამედ უშიშროების მუშაკი, რომელიც თავისი სამსახურეობრივი მოვალეობით იძულებული იყო ოპერატიული მეთვალყურეობა ეწარმოებია მასზე, ეკლესიაზე! რაა

ეს, თუ არა ცხოვრების პარადოქსი?! დიახ, და მხოლოდ ღმერთი გვმართავს და წარმართავს ჩვენს ქმედებებს.

ერთი, მხოლოდ ერთი რამ დამრჩა სანუგეშო: ისე «ვიმუშავე» ოპერატიულად, რომ ჩემი ქმედებით, არავითარი ზიანი არ მიმიყენებია მართლმადიდებლობისათვის. შინაგანად ალბათ თანავუგრძნობდი კიდეც. ამის მოწმე მხოლოდ ღმერთია. სხვა რამ რომ ვთქვა ან დავწერო, არ იქნება დამაჯერებელი, თავის მართლებას დაემსგავსება და თუ სწორს არ ვამბობ, ამაზეც ვაგებ პირადად პასუხს.

იგორ გიორგაძის შესახებ

პირველად ამ ადამიანს ალბათ 70-ანი წლების დასაწყისში შევხვდი, როდესაც ი.გიორგაძე საქართველოს უშიშროების კომიტეტში სამუშაოდ მოვიდა. ჩვენ სხვადასხვა სამსახურებში ვმუშაობდით და ამიტომ პირველ ხანებში იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ვხვდებოდით მხოლოდ სპორტულ მოედანზე ე.წ. სპორტულ დღეებში, ასეთი დღეები კი კომიტეტში კვირაში ორჯერ იმართებოდა. პირველი შთაბეჭდილებით იგი მეტად ცოცხალი, მოძრავი, კომუნიკაბელური ახალგაზრდა ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთს მოყვარულთა დონეზე საკმაოდ კარგად თამაშობდა. ყოველთვის გარშემორტყმული იყო ამხანაგებით (მისი თანატოლი უშიშროების მუშაკებით). ერთი იყო შესამჩნევი: ქართულ ენას საკმაოდ ცუდად ფლობდა, ძლიერი რუსული აქცენტით საუბრობდა. როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, მას რუსული განათლება ჰქონდა მიღებული, დედა ეროვნებით რუსი ჰყავდა, სახლშიაც რუსულად საუბრობდნენ. მამამისი პანტელეიმონიც რუსული ყაიდის პიროვნებაა. შემდეგში, 80-ანი წლების ბოლოს, არაერთი შეხვედრის დროს, ჩვენი დიალოგი ყოველთვის რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ იგი საკადრო სამხედრო გახლდათ (მესაზღვრე) და თავის კარიერის განმავლობაში, ალბათ, მრავალი სამსახურეობრივი ადგილი გამოიცვალა, მაშინ მისი რუსული ორიენტაცია საკმაოდ გასაგები აღმოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, როცა იგორი მოვიდა სამსახურში, იგი უკვე გენერალ პანტელეიმონ გიორგაძის შვილი გახლდათ და უშიშროების თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის «ყურადღებას» იპყრობდა (რა თქმა უნდა, გარდა ბატონ ინაურისა). ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მამამისი კულუარულ ჭორებში ინაურის შემცვლელადაც განიხილებოდა და მას შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერთან ვ. მჟავანაძესთან. როგორც სანდო წყაროებიდან იყო ცნობილი, პირველი მათი შეხვედრა 60-ანი წლების ბოლოს მომხდარა, როცა «ძმაკაცები» ვ. მჟავანაძე და ა. ინაური «შემთხვევით» თუ მიზანდასახულად სანადიროდ წაბრძანებულან ახალციხის რაიონში, სადაც მაშინ მესაზღვრე პოლკოვნიკი პანტელეიმონ გიორგაძე ახალციხის სასაზღვრო რაზმის უფროსი გახლდათ. როგორც ამბობენ, პანტელეიმონს დიდი «ორგანიზატორული» ნიჭი გამოუჩენია ამ ისტორიული ნადირობის ორგანიზებაში. ჩემთვის უცნობია, რამდენი გარეული ღორი და დათვი დააბეს მაშინ პ. გიორგაძის ხელქვეითებმა, მაგრამ ის კი არის ცნობილი, რომ ვ. მჟავანაძე ფრიად კმაყოფილი დარჩენილა ამ ნადირობით და პოლკოვნიკი სათევზაოდაც მიუწვევია ბათუმში, საიდანაც მათი კონტაქტი გაგრძელებულა. პირად საუბარშიც მოსწონებია პანტელეიმონი, რომელიც ენერგიული, მჭევრმეტყველი, იუმორით დაჯილდოვებული ადამიანი აღმოჩნდა, თანაც ორივე რუსული ყაიდის და აღზრდის პიროვნება გახლდათ... ამ ნადირობიდან

5-6 თვის შემდეგ პოლკოვნიკი პანტელეიმონ გიორგაძე გენერალური შტაბის კურსანტად მოგვევლინა, რაც ერთი დიდი ნაბიჯი იყო გენერლის წოდებამდე. მართლაც, ერთი წლის შემდეგ გენერალი გიორგაძე უკვე ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების უფროსად მოევლინა თბილისს. ასეთი ელვისებური წინსვლა კი მაშინ კომუნისტური პარტიის და მისი ლიდერის ლობირების გარეშე ფაქიტურად შეუძლებელი იყო. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ა.ინაურს მჟავანაძის გათვლებით ახალი კონკურენტი საკმაოდ გაუფუჭებდა ხასიათს, მითუმეტეს, რომ ვასილმა კარგად იცოდა, თუ რა გავლენიანი და ყოვლისშემძლე მფარველები ჰყავდა ა.ინაურს მოსკოვში.

ასეთი «ხრიკები» და ჭორები მისი პერსონის გარშემო არ მოსწონდა ამხანაგ ინაურს. მისი ჩეკისტური პროფესიონალობის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა თვითონაც არ დებდა თავს ქართველ ძერჟინსკობაზე, მაგრამ ერთ ილეთს კი კარგად ფლობდა: თუ კონკურენტი გამოუჩნდებოდა პარტიულ აპარატში ან თავის მოადგილეებს შორის, მიზანდასახულად აწარმოებდა მათ კომპრომენტირებას და ამის საშუალებით თავიდან იცილებდა არასასურველ კონკურენტებს. ასე მოექცა იგი გენერალ ქავთარაძეს, პოლკოვნიკ კაციტაძეს, გენერლებს ზარდალიშვილს, ჯორბენაძეს და მრავალ სხვას. თვით ვასილ მჟავანაძეს საკმაოდ ძვირად დაუჯდა ა.ინაურის ასეთი ხრიკები: 1972 წლის ოქტომბერში, როცა ინაურის მიერ მოსკოვში მიწოდებულმა ინფორმაციამ ხელი შეუწყო, რათა შექმნილიყო საკავშირო მთავრობისა და ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დოკუმენტი «საქართველოში და კერძოდ თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი არაჯანსაღი არაპარტიული მდგომარეობის შესახებ», რასაც რამდენიმე თვეში ამხ. ვ.მჟავანაძის პენსიაში გასვლა მოჰყვა... არ დაიჯეროთ, რომ ყოველივე ეს მჟავანაძის «მეგობრის» ა.ინაურის «დახმარების» გარეშე მოხდა.

ამ პაექრობამ და ჭორებმა, რომელსაც, რა თქმა უნდა, თვით ინაური წარმართავდა, გამოიწვია ის, რომ პ. გიორგაძის შვილს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მუშაობისას არავითარი უპირატესი მდგომარეობა არ ჰქონდა შექმნილი. ფერებით კი ეფერებოდნენ, პატივს სცემდნენ გენერლის შვილს, მაგრამ სამსახურეობრივად არაფრით არ გამოარჩევდნენ. ამიტომაც არავითარი სამსახურეობრივი წარმატებისთვის მას დაახლოებით 7-8 წლის განმავლობაში არ მიუღწევია. შემდეგ ჯერ სოხუმში აფხაზეთის უშიშროებაში გაამწესეს სამუშაოდ, შემდეგ _ ფოთში და ავღანეთის კომპანიის დაწყების დროს, დაახლოებით 1979-1980 წლებში, ჯერ მოსკოვის სადივერსიო სკოლაში ახეხიეს 6 თვე ჩექმები, მალე კი საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლასთან ერთად, სპეცნაზელი გიორგაძე ავღანეთში აღმოჩნდა და იქ პირველ საომარ სპეცოპერაციებში ჩაება. კერძოდ _ ავღანეთის პრეზიდენტის სასახლის აღებაში და ამინის ლიკვიდაციაში მონაწილეობდა. ჩვენთვის, უშიშროების მუშაკებისთვის, გაუგებარი იყო მაშინ, თუ როგორ მოხდა გენერლის შვილი ავღანეთში. მაგრამ ამის გათვლა არც ისე ძნელია. ალბათ ა.ინაური ვარაუდობდა: აი გაიღება კარი და ადიუტანტი მომახსენებს, რომ გენერალი პ. გიორგაძე გელოდებათ მისაღებშიო. ადვილი მისახვედრი იყო _ თუ რისთვის, იმისთვის, რომ სთხოვოს ყოვლისშემძლე თავმჯდომარეს მისი ერთადერთი ვაჟის ამ ხიფათისაგან (ავღანეთში მივლინება) გადარჩენა. მაგრამ ამხანაგმა პანტელეიმონმა ეს «სიხარული» მეგობარ ალექსის არ მიანიჭა. ყოველ შემთხვევაში, ღმერთის წყალობით, ჩვენი გმირი ამ მივლინებიდან ცოცხალი დაბრუნდა და თანაც საკმაო ცხოვრებისეული და პროფესიული მომზადებაც გაიარა, რომელიც შემდეგში კარგად გამოადგა

«რევოლუციის» ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მეტად სახიფათო საკარიერო წინსვლისათვის.

ამხანაგმა ინაურმა ესეც არ აკმარა კონკურენტ პანტელეიმონს და 80-ანი წლების დასაწყისში პირადად მოსკოვში «ჩაუწყო» სამწლიანი თუ ხუთწლიანი მივლინება კუბაში _ ფიდელის მრჩეველად. ეს კი აბეზარი კონკურენტის მოშორების ყველაზე კარგი საშუალება აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ინაური ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ სავარძელი არავის დაუთმო. ერთადერთი, რაც თეორიულად და პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა, ამ სავარძლის თან წაღება ვერ მოახერხა. თუმცა ასეთი რამ თვით სტალინმაც ვერ შესძლო.

შემდეგ, სამოქალაქო ომის თუ «ამბოხების» დროს, იმარჯვა ი. გიორგაძემ, შექმნა «ავღანელებისაგან» სპეცნაზი, განთავსდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში, რითაც გარკვეულწილად იქცა «დამოუკიდებელ» სამხედრო ძალად საქართველოში. რამდენადაც ვიცით, ვითომ ქართული არმიის «სარდალს» თ. კიტოვანს ემორჩილებოდა, მაგრამ ეს ვითომ, სინამდვილეში კი ალბათ თვითონ მიხვდებით, ვის, კერძოდ იმათ, ვინც აფინანსებდა ამ «დამოუკიდებელ» საჯარისო გაერთიანებას. შემდეგ ედუარდი ჩამოვიდა და დაუწყო კუკუდამალობანას თამაში. ე.შევარდნაძემ კარგად უწყოდა, თუ რა ძალას წარმოადგენდა ი.გიორგაძე მაშინდელ საქართველოში, მაგრამ ეს მაშინ მას აწყობდა ძალების თანაფარდობის შესანარჩუნებლად და პირადად თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის. ამიტომაც პირველ ხანებში უშიშროების სამინისტრო არაპროფესიონალ, მაგრამ ზედმიწევნით ფრთხილ ი. ბათიაშვილს უბოძა, როგორც ამბობენ, ჯაბა იოსელიანის რეკომენდაციით. ასეთი უშიშროების მინისტრი, რომელსაც მთლიან კონტროლს გაუწევდა, მას აწყობდა. შემდეგ, როცა მოღონიერდა, მისი პირადი ოპონენტების ჯ. იოსელიანის მხედრიონისა და თ. კიტოვანის გვარდიის საპირისპიროდ საჭირო გახდა უფრო ძლიერი პროფესიონალის მინისტრად დანიშვნა და აქ გაახსენდა იგორ გიორგაძე. ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთ გამოცდილ, ყოველგვარ ქარცეცხლში გავლილ პოლიტიკოსს, როგორიც ე.შევარდნაძე გახლდათ, არ შეიძლება არ სცოდნოდა, თუ რომელ ძალას წარმოადგენდა ი. გიორგაძე და თუ სად ჰყავდა მას რეალური უფროსები და მრჩეველები, მაგრამ ამას მაშინ მისი გათვლით აუცილებლობა მოითხოვდა, დიდი პოლიტიკა მოითხოვდა. ალბათ გაახსენდა, თუ «საქართველოსთვის საიდან ამოდის მზე». ი. გიორგაძე უშიშროების მინისტრად დაინიშნა, უფრო სწორად _ ყოველივე იმის მინისტრად, რაც გადარჩა იმ ვაკხანალიის შემდეგ უშიშროების სამსახურიდან. რამდენადაც მოსკოვში ვიცოდით, სახელმწიფო თითქმის არ აფინანსებდა სამინისტროს, ამიტომაც ი. გიორგაძის მეთაურობით სამინისტრო თვითდაფინანსებაზე გადავიდა. ბატონებო, ეს აფრიკის ბანდუსტანია, რომელიმე იმპერატორ ბოკასას მეთაურობით და მეტი არაფერი! მაგრამ ასეთი იყო დრო და ასე ყოფილა ქართველი ხალხის ბედი. და განა მარტო უშიშროების სამინისტრო ცხოვრობდა ასეთი წესით. არა, ბატონებო, ასეთი იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, თავდაცვის სამინისტრო და სხვა. და ეს ყველაფერი ერთ ჯამში იხარშებოდა, ყველა თავის თავზე ფიქრობდა, პირად გამდიდრებაზე, სახელმწიფო კაპიტალის წაგლეჯვაზე, იქურდებოდა და იძარცვებოდა ყველაფერი, რაზედაც ხელი მიუწვდებოდათ...

ერთ მშვენიერ დღეს მინისტრმა გამომიძახა. შესანიშნავ ხასიათზე დამხვდა რუსეთის იმპერიის უშიშროების მინისტრი. ვიცოდი, რომ ერთი დღით ადრე მოსკოვში საქართველოს მთავრობის დელეგაცია ჩამოვიდა მოსალაპარაკებლად,

რომლის შემადგენლობაშიც გახლდათ საქართველოს უშიშროების მინისტრი ი. გიორგაძე.

საუბარი მინისტრმა დაიწყო. მაცნობა, რომ შედგა მოლაპარაკება ი.გიორგაძესთან და საქართველოს მხარესთან მიაღწიეს თანხმობას, რათა შექმნილიყო რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების (უშიშროება, შინაგან საქმეთა სამნისტრო, პროკურატურა, თავდაცვის სამინისტრო) გაერთიანებული წარმომადგენლობა რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოსთან. აქ კი მინისტრმა მომილოცა და დაუფარავი სიხარულით მაუწყა, რომ ამ შეთანხმების მიღწევის შემდეგ სიტყვა აიღო ი. გიორგაძემ და აღნიშნაო, არ ღირსო ალბათ გადადება იმ საკითხისა, თუ ვინ უნდა დაინიშნოს შექმნილი წარმომადგენლობის ხელმძღვანელადო, და თითქოს მისი სიტყვებით იგორს დაახლოებით შემდეგ უთქვამს: «ჩვენ და თქვენც (რუსული მხარე) იცნობთ ამ ადამიანს, რომელიც ადრე საქართველოში უშიშროების კომიტეტში მუშაობდაო, ახლა კი რუსეთის უშიშროების მინისტრის თანაშემწეაო. ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც გამოცდილ ღირსეულ ოფიცერს და ვაყენებთ მის კანდიდატურას ამ თანამდებობაზეო, მით უმეტეს ამ ადამიანს, რამდენადაც ვიცი, კარგად იცნობს ბატონი თენგიზ კიტოვანიო». აი ასე, ჩემს დაუსწრებლად, რომ იტყვიან გამათხოვეს, თუ ჯვარი დამწერეს. მაგრამ ასეთი მეთოდი მაშინდელი პოლიტიკური ელიტისათვის ჩვეული იყო და არა მგონია ახლანდელიც ამას თაკილობდეს.

აი, რას მილოცავდა ბატონი მინისტრი. ისიც დააყოლა: თანამდებობით თითქმის ყველა დასახელებული ძალოვანი მინისტრის მოადგილის რანგში მოგიწევთ სამსახურიო. ეს კი მისი გაგებით, უნიკალური შესაძლებლობა იყო კარიერის მომავალი წარმატებისათვის.

მადლობა ღმერთს, ალღომ არ მიღალატა და ამ დიალოგის განმავლობაში მოვიფიქრე ის, რაც უნდა მეთქვა, და მგონია, არ შევმცდარვარ, რაც შემდეგში მოვლენათა მიმდინარეობამ, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, არაერთხელ დამიმტკიცა.

ვთხოვე, რამდენიმე წუთით მოესმინა ჩემი შეხედულება ამ ფაქტის გარშემო და დაახლოებით შემდეგი მოვახსენე: «მოდით და ეხლა სწორედ გავარჩიოთ, თუ რას ნიშნავს ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნა. ალბათ ჩემი და ჩემი მომავალი სამსახურის ძირითადი მიზანი იქნება რუსეთის ფედერაციაში და კერძოდ _ მოსკოვში პოლიტიკური მიმდინარეობის თვალყური _ კონტრდაზვერვისა და დაზვერვის ფუნქციის შესრულება, გარკვეულწილად ამისათვის, აგენტურული თუ არა, სანდო პირების ინსტიტუტის შექმნა ინფორმაციის მიღებისთვის. ესე იგი პირადად თქვენს წინააღმდეგ მუშაობა, იმ ხალხის ოპერატიული დამუშავება, ვისთანაც უკვე ათეულ წელზე მეტია ვმუშაობ და ა.შ. დავუშვათ, ასეთ მუშაობას ვეწევი, დავუშვათ, ამას თქვენი კონტროლის ქვეშ ვაკეთებ, მაშინ ეს უკვე დეზინფორმაცია იქნება იმ ქვეყნის (არ დაგავიწყდეთ, ჩემი სამშობლოს) მიმართ, მერედა, თბილისში რომ ჩავალ, როგორ წარმოგიდგენიათ, როგორი დოზირებით მივაწოდო საქართველოში (შევარდნაძეს, იოსელიანს, კიტოვანს, გიორგაძეს) ლუბიანკაზე «მოპოვებული» თუ «შექმნილი» ინფორმაცია, ანდა ვინ დამიჯერებს, რომ რომელიმე მათგანი არ ხელმძღვანელობს ყოველივე ამას, ანდა ერთი კაცი შეიძლება იყოს 5-6 კაცის მსახური-მეთქი?!».

მართალი გითხრათ, არ მოეწონა ჩემი ნათქვამი, სახეზე ღიმილი შეაშრა. ერთი მითხრა, წადი, იმუშავეო. ამის შემდეგ ამ საკითხზე არ გვისაუბრია.

შემდეგში ასეთი სამსახური შეიქმნა კიდეც ცოტა შეცვლილი სახით, მას შემდეგ, რაც საქართველო СНГ-ში შევიდა. ხან რუსეთის შინაგან სამინისტროს შენობაში

განთავსდა, ხან საქართველოს საელოჩოში, სადაც საქართველოდან ყოველთვის ინიშნებოდა პიროვნება იმ კრიტერიუმით, თუ რამდენად ერთგულნი იყვნენ ისინი მინისტრისა, ერთ დროს რამდენიმე წლით მოსკოვში მცხოვრები ყოფილი მილიციის უბნის ინსპექტორი დანიშნეს, რომლის პროფესიონალიზმიც გარკვეულ ღიმილს და იუმორს იწვევდა. ბოლოს როგორც შექმნეს, ისე გააუქმეს, რომ არავის შეუმჩნევია...

დიდხანს ვერ ითანამშრომლეს ედუარდმა და იგორმა, როგორც კი შევარდნაძის პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისკენ გადაიხარა, მაშინვე მოხდა ის პირველი ტერაქტი მის წინააღმდეგ, რომელიც ი. გიორგაძეს მიაწერეს (თუ მან ჩაიდინა), ყოველ შემთხვევაში, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტერაქტი გათამაშებული არ იყო, ასეთი აფეთქების დროს, ასეთ შეზღუდულ ტერიტორიაზე არ შეიძლება რაიმეს გათამაშება. მართალია, ტერაქტის ობიექტი (ე.შევარდნაძე) მცირე გაკაწვრებით გადარჩა, მაგრამ იგი ბედმა გადაარჩინა. იმ მასალებზე დაყრდნობით, რაც გვაჩვენეს ტელევიზიით და დაწერეს გაზეთებში, რა თქმა უნდა, ყველა ეჭვი უშიშროების სამინისტროსკენ მიუთითებდა. ერთია, რომ ტერაქტი მეტად უნიჭოდ და არაპროფესიულ დონეზე ჩატარდა, ამიტომაც სრულებითაც არ ვამტყუნებ იგორს, რომელმაც ის მაინც კარგად გათვალა, რომ საქართველოში დარჩენის არავითარი იმედი აღარ უნდა ჰქონოდა და დროულად მოჰკურცხლა. მაშინდელი კი არა, ახლანდელ საქართველოში არსებული სასამართლო სისტემითაც, მას არავითარი შანსი არ ჰქონდა თავი გაემართლებინა. დავუშვათ, რომ მას არ ჩაუტარებია ეს ტერაქტი. იმაში მაინც ხომ იყო «დამნაშავე» ან პასუხისმგებელი, რომ მისი მინისტრობის დროს მოხდა. ასე რომ, საქართველოს მსოფლიო სტანდარტების მქონე ციხეებში ჯდომას კონსპირაციულ აგარაკებზე ცხოვრება არჩია. მანამდე ერთი სამსახური კი გაუწია თავის «შეფს» შევარდნაძეს. სამტრედიაში დაეწია თ. კიტოვანს (მის ყოფილ შეფს), დააპატიმრა, ხელბორკილები დაადო და ედუარდს ჩააბარა.

აი, მეორე, ორთაჭალაში ჩატარებული ტერაქტი კი ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ, რომელსაც აგრეთვე მას (ი. გიორგაძეს) ანდა ზვიადისტებს მიაწერენ, ნამდვილად «ჩაწყობილი», სახელმწიფოს (მისი უშიშროების) კონტროლით ჩატარებული ტერაქტია. გარეგანი ნიშნებითაც კი მიხვდება პროფესიონალი, რომ ხელისუფლებამ დაუშვა ეს ტერაქტი, რათა შემდეგ პოლიტიკურ ოპონენტებს გასწორებოდა.

ასეთი ტერაქტების დიდი ოსტატი გახლდათ სადამ ჰუსეინი, კადაფი, მაო ძედუნი და სხვა დიქტატორები, რომლებიც დაახლოებით სამი, ხუთი წუთით ადრე გადაურჩებოდნენ ხოლმე სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერაქტს ახალგაზრდა უდანაშაულო კაცის სიცოცხლე შეეწირა, მისი ცოდვა ედუარდსა და მისი ქვეშევრდომების სინდისზეა. დანარჩენი სცენარი, თუ როგორ გაუკეთეს ევაკუაცია, ვიღაცა სომეხი პატრიოტი ტაქსისტის დახმარებით ტერაქტის ადგილიდან, ისეთი ზღაპარია, რომ ბავშვიც არ დაიჯერებს. ეს რომ მართლაც ასე მომხდარიყიო, ნუთუ ბატონ ედუარდს კოსტიუმიც კი არ გაეხა, ან სახე არ გაემურა აფეთქებით, ანდა თითიც არ გაეკაწრა, ან შოკირებული არ იყო (ეს მედიცინის თვალსაზრისით ფაქტიურად შეუძლებელია). მართალია, ძლიერი ნებისყოფის, რკინისებური ნერვების პატრონია ბატონი ედუარდი, სახით არასოდეს გამოხატავს იმას, რაც აქვს ჩაფიქრებული, ყველა დროის საუკეთესო საგარეო საქმეთა მინისტრად წარმოუდგენია თავი, მაგრამ არამც და არამც ნაპოლეონის საგარეო საქმეთა მინისტრ ტალეირანამდე ვერ მივა (ასე მგონია მე ეს!).

ჩამოყვანით კი ჩამოიყვანეს და შეიკედლეს იგორი რუსეთის მთავრობამ, მაგრამ უფასოდ არავინ არ აპირებდა მის შენახვას. ჯერ საქართველოში ედუარდ

შევარდნაძის რეჟიმის «ოპოზიციურ» ძალად მოიაზრეს, მერე _ ახალი ახალგაზრდა მთავრობის მოწინააღმდეგედ და ა.შ. ეს ნაბიჯი ნამდვილად უსუსურად მიმაჩნდა, რადგან ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული და ეხლაც ამაში უფრო მეტად ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთს საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, მისი ხალხის განწყობილების შესახებ სრული ობიექტური ინფორმაცია არ გააჩნია. ცოტა-ოდენი წარმოდგენაც რომ ჰქონდეთ, ი. გიორგაძის საქართველოში «გამეფების» იდეის აბსურდულობაში ადვილად დარწმუნდებოდნენ. ჩემი კოლეგებისგან «ჩაკრული» ჩეკისტური საუბრით მომისმენია და უკითხავთ კიდეც ვითომდა «შემთხვევით», აქვს თუ არა ი. გიორგაძეს რაიმე პოლიტიკური პერსპექტივა საქართველოში დაბრუნებისა? დაუმალავად მითქვამს მათთვის და ეხლაც ვამბობ: აქვს-მეთქი, იმ შემთხვევაში, თუ ი.გიორგაძეს, ისე როგორც სერგო ორჯონიკიძეს, თეთრ ცხენზე ამხედრებულს და თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს შეიყვანს ჯარი-მეთქი. ისე, სასურველია ტანკები თეთრად შეღებოთ და თვით გიორგაძე ტანკში შიგნით იჯდეს, თავი არ გამოაყოფინოთ, რომ არ წააცალონ-მეთქი.

ახლახან ი. გიორგაძემ გარკვეული თანხა გამოყო პარტიის შესაქმნელად და ქალბატონ ირინე სარიშვილის აქიტურობისათვის პოლიტიკაში, როგორც იგორ გიორგაძის თანამებრძოლისა. ირინე სარიშვილის ამ კომპანიაში გამოჩენა კი ნამდვილად აბსურდი გახლავთ, ვინაიდან დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ალბათ არ არსებობს ი. სარიშვილისებურად გაკოტრებული პოლიტიკოსი. ამბობენ ქალბატონი ირინე ის საცობია, რომელიც ყველა ბოთლს შეიძლება მოერგოსო. ადამიანურად ვერ გამიგია, თუ როგორ შეიძლება შეიცვალო ათასჯერ მაინც პოლიტიკური პლატფორმა ერთმა ადამიანმა? ნუთუ იმის შეგნება მაინც არ გააჩერებს, რომ მიცვალებულის ხსოვნა დაიცვას. არ ვიცი, არა მგონია, ამის პასუხი თვითონ მას ჰქონდეს. ოღონდ პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანდეს და სულს თუნდაც ეშმაკს მიჰყიდის. სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკოსი დღევანდელ საქართველოში მხოლოდ ქალბატონი ირინე არ გახლავთ. აბა, საქართველოში რა გამოლევს შადიმან ბარათაშვილებს და... ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებში ვინმე ჟორჟოლიანისა და მისი «პარტიის» ჩართვას, ეს მთლად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ბატონო საქართველოს «კეთილმოსურნეებო», _ ეს პროვოკაცია ე.ი. გარკვეული ოპოზიციური ძალის შექმნა გიორგაძის მომხრეების სახით, თუკი ე. შევარდნაძის ანარქიის დროს არ გააკეთეთ, ახლა ამ ახალგაზრდა მთავრობასთან რაში გჭირდებათ?! ეს ბიჭები ისეთი უბრალოები არ არიან, როგორც გეჩვენებათ, ისინი ხელისუფლებას, რომელსაც ასე დაეწაფნენ, ასე ადვილად, არავითარი ევოლუციური ხერხით, ვარდებისა და გვირილების რევოლუციით არ დასთმობენ და მით უმეტეს არ დაუთმობენ პოლიტიკურად გაკოტრებულ ი. გიორგაძეს, ი. სარიშვილს და მათთან შეკედლებულ ვიღაც «პოლიტიკოსებს»... ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მე ამიხდა ეს წინასწარმეტყველება. ცოტახანი ამიტინგეს, ახმაურეს ეს ხალხი და შემდეგ? შემდეგ ციხეში გამოამწყვდიეს, სასამართლო ცირკიც ჩაუტარეს აბსურდული ბრალდებებით, ვინაიდან ეს «პოლიტიკური ძალა» პერსპექტივაში ხელისუფლებისათვის არავითარი საშიში არ იყო. მთავარია მოსკოვისათვის ეჩვენებინათ, თუ ვინ იყო საქართველოში ბატონი. ერთი გონივრული ნაბიჯი კი გადადგა ხელისუფლებამ, რომ არ დააპატიმრა, არ გაასამართლა ირინე სარიშვილი. მაშინ გარკვეულ სამსახურსაც გაუწევდა პოლიტიკური ლეშის მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. ვიღაცამ კარგად გათვალა, რომ თავისუფალი (ამავ დროს შვილ-ების დედა) ი. სარიშვილი თავისი ქმედებით უფრო მეტად უტეხავდა სახელს ამ

ვითომდა პოლიტიკურ მოძრაობას. აი, გიორგაძის ცოლისდის ორი შვილის დედის დაპატიმრება კი ხელისუფალთა სინდისზე იყოს. ეს არამარტო შეცდომაა, ამაზე მეტია, უბრალოდ დანაშაულია. მაგრამ ეს არავის არ ანაღვლებს. ალბათ პოლიტიკურ ნებას იჩენენ, ანახვებენ ხალხს, რომ ყველა ზომებს მიმართავენ ქვეყანაში ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის წინააღმდეგ.

ი. გიორგაძის მოსკოვში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ აეროპორტ ვნუკოვოში გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა, ყოფილმა ჩემმა თბილისელმა კოლეგამ ბერულავამ ინტერვიუში დაახლოებით შემდეგი განაცხადა: ჩვენ, აფხაზებს, გვაბრალებენ, რომ გვყავს მოსკოვში (მთავრობაში) ლობი. ეს მართალი არ არის. აი, მაგალითად, შეეკითხეთ რუსეთის უშიშროების მინისტრს, თუ ვინაა და რა ეროვნებისაა მისი ერთ-ერთი თანაშემწე და ის ალბათ გეტყვით, რომ ის ეროვნებით ქართველიაო. ასეთი გამოთქმა, რა თქმა უნდა, უფრო მეტად, მინისტრის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიდრე ჩემს წინა-აღმდეგ. მეგონა გამანთავისუფლებდნენ სამსახურიდან, მაგრამ 1993 წელს რუსეთის პარლამენტის გარეკვამ, თეთრ სახლზე პარლამენტის წინააღმდეგ ტანკების შეტევამ და მას შემდეგ წარმართულმა მოვლენებმა, 1994 წლის აგვისტოში მე და ჩემი მინისტრი ერთად გაგვიყვანა თადარიგში.

ბოლოს, როცა ე.წ. პოლიტიკურ გააქტიურებას ცდილობდნენ, ი. გიორგაძის მომხრეებმა შექმნეს ე.წ. «პარტია» საქართველოში და წარმომადგენლობა (ოფიციალური) მოსკოვში თავისი პრესცენტრით. ჩემი ვარაუდით შეიძლება კანდიდატურას ეძებდნენ ამ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის პოსტზე. ვაი თქვენ თავს, უბედურო პინკერტონებო, ნუთუ ვერ გაიგეთ, მე ასეთ კუკუდამალობანას აღარ ვთამაშობ, მეყო, რაც ვითამაშე. ვისვენებ, ბატონებო, დამიჯერეთ ვისვენებ, თადარიგში ვარ და ამის სათანადო ცნობაც გამაჩნია საპენსიო წიგნაკის სახით. თუმცა მათ ალბათ მარტო იმ გამოთქმისა სჯერათ _ «ჩეკისტი პენსიაში არასოდეს გადისო...» მაგრამ, ეს მათი პრობლემაა და არა ჩემი. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საქართველოში ყოფნის დროს, შევხვდი ერთ-ერთ ყოფილ უშიშროების მინისტრს, ჩემი ახალგაზრდობის მეგობარს და ამხანაგს და ვთხოვე, ახლა მაინც ეთქვა (ორივე პენსიაში ვართ-მეთქი), თუ რატომ და რა მოტივით, რა მასალებზე დაყრდნობით ვიქეცი საქართველოში ოპერატიული დამუშავების ობიექტად. ან რატომ მემალებოდა დიდი ჩეკისტი ი. ბათიაშვილი თბილისში ჩემი ვიზიტის დროს (რის შესახებაც დამატებით შემდეგში მოგახსენებთ). დიდხანს მიყურა და მითხრა, მე რა მექნა, ირაკლიმ «გახსნა» ეს საქმეო, მერე ედუარდს მოახსენესო და მე ხომ არ გავაუქმებდიო, ანდა რაში მჭირდებოდა მისი გაუქმება, ასე, როგორც «მეგობარი», ყოველთვის მხედველობის არეში მეყოლებოდიო, _ იხუმრა. ხომ კარგი ხუმრობაა? მე კი, ახლა რომ ვუკვირდები, სახუმაროდ საქმე ნამდვილად არ მქონდა. აქაოდა, ან საქართველოს «ჭკვიან» და რუსეთის «პროფესიონალ» კონტრდაზვერვას რომ დავეპატიმრებინე, საქმის შეთითხვნას დიდი ღონე არ დასჭირდებოდა. ძერჟინსკის, ვიშინსკის, ეჟოვის, ბერიას, რუხაძის, რაფავას და სხვათა მემკვიდრეები, თუ საჭირო იყო, არა მარტო ორმაგ მზვერავობას დამიმტკიცებდნენ, არამედ, თუ ამის სურვილიც ექნებოდათ, გვინეისა და ბანგლადეშის შპიონობასაც მომაწერდნენ, და მერე შენ, რამდენიც გინდა, ამტკიცე, რომ აქლემი არა ხარ. ეს არც იმდენად სასაცილოა, ბატონო! ერთსაც გეტყვით და ამით დავამთავრებ ამ თემაზე საუბარს: მე პირადად არაფრის არ მეშინოდა, ვინაიდან არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩამიდენია, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოში და რუსეთშიც ერთი რამის უნდა

მშინებოდა: ჩემი ე.წ. «სადაზვერვო მუშაობის» გამომჟღავნება ვინმეს პოლიტიკური ქულის მოსაპოვებლად არ დასჭირებოდა. რუსეთში კი ისიც მესმოდა, რომ მთელი ეს კომპანია მიმართული იყო უფრო მეტად რუსეთის უშიშროების პირველი მოადგილის გენერალ ნ.გოლუშკოს წინააღმდეგ (ვიდრე ჩემს წინააღმდეგ), რათა ამ ღირსეული პიროვნების კომპრომეტირება მოეხდინათ იმით, რომ საქართველოს შპიონი ჰყავდა შეკედლებული. ალბათ კი არა, ეს ნამდვილად აწყობდა მაშინდელ რუსეთის უშიშროების მინისტრს, მილიციიდან მისულ ბარანიკოვს, რომლის სანქციითაც აღმოვჩნდი ოპერატიულ დამუშავებაში. ამით ხომ ორ კურდღელს იჭერდა: მე მათთვის ვინ ვიყავი, აი თავის მოადგილეს კი, თუ საჭირო შეიქმნებოდა, თავისუფლად მოიშორებდა.

ორი ქვეყნის «აგენტი»

დაახლოებით 1992 წლის შემდგომაა. გამომიძახა რუსეთის უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგილემ (რომლის მრჩევლადაც ვმუშაობ, უკვე რამდენიმე თვეა). ასეთი გამოძახებები იმდენად ჩვეული იყო სამუშაო პროცესში, რომ არავითარი ყურადღება ამისათვის არ მიმიქცევია. დინჯად და აუღელვებლად ვე-ახლე ნიკოლოზ გოლუშკოს (რომლის უშუალო რეკომენდაციითაც ვმუშაობდი მასთან). ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ ყოველთვის მოუცლელმა გოლუშკომ მდივანს ორი ფინჯანი ჩაი შეუკვეთა, მიმიპატიჟა მოსასვენებელ ოთახში და კარგი კონიაკითაც გამიმასპინძლდა. ასეთმა «უჩვეულო» დახვედრამ გარკვეული ეჭვები აღმიძრა. რა ხდება? როგორ მოხდა, რომ მან ასე მოიცალა ჩემი პერსონისათვის-მეთქი (ამაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, ეს რომ საღამოს საათებში მომხდარიყო, სამუშაო დროის გასვლის შემდეგ და არა დილით). რა თქმა უნდა, არაფერი შევიმჩნიე და ალბათ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვემზადე საუბრისათვის. გასაკვირი ის გახლდათ, რომ ის ჩემი უშუალო უფროსი იყო და დავალების მოცემისათვის ასეთი ანტურაჟი არ უნდა დასჭირებოდა. ყოველივე ეს ძალიან ჰგავდა ე.წ. «დავერბოვკების» პროცესს... ესეც ვერ გამეგო, მე ხომ მისი სანდო კაცი ვიყავი და რაში სჭირდებოდა ასეთი სცენის გათამაშება. თუმცა ოცდაათი წელი ნამუშევარი ვიყავი უშიშროების სისტემაში და არაფერი მიკვირდა. ბატონმა ნიკოლოზმა შორიდან მომიარა, გამომკითხა ოჯახის შესახებ (რომელსაც პირადად კარგად იცნობდა), ბავშვების შესახებ და ა.შ. შემდეგ იკითხა, რამდენი ხანია საქართველოში არ ვყოფილვარ, თუ მაქვს რაიმე ინფორმაცია ჩემი ნაცნობების და მეგობრების შესახებ. სახელმწიფო გა-დატრიალების შემდეგ რამდენად შეეხო მათ ის საკადრო ცვლილებები. განვიხილეთ და შევაფასეთ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს (ე.შევარდნაძე, ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი) შესაძლებლობები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში) შექმნილი სიტუაცია. დიდხანს რომ არ გავაგრძელო, ამ საუბრის კონკრეტიკა შემდეგში მდგომარეობდა: «არ მინდა, ჩემმა წინადადებამ რაიმე ბრძანების სახე მიიღოს, ვესაუბრე მინისტრს (ბარანიკოვი), რომლის თანხმობაც მივიღე და «თხოვნა» შემდეგში მდგომარეობს: საქართველოდან ოპერატიული ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია. მოსკოვში არ არის ზუსტი მონაცემები იქ მიმდინარე პროცესების შესახებ, არ არის გამოკვეთილი ლიდერთა პოზიციები რუსეთთან მიმართებაში. ვერ გაგვიგია და ძნელად პროგნოზირებადია მათი განწყობილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში გაწევრიანების შესახებ, რაშიაც რუსეთის ფედერაცია ძლიერ არის დაინტერესებული და, ჩვენი

შეხედულებით, ამაში თვით საქართველოც უნდა იყოს დაინტერესებული. არ არის გარკვეული (ეს კი ცოტა არ იყოს სინამდვილეს არ შეეფერებოდა) აჭარის (ა. აბაშიძის) განწყობილება საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ. ამიტომ ჩვენი წინადადებაა გაემგზავრო საქართველოში შემდეგი მარშრუტით _ ბათუმი, თბილისი, შეხვდე იქ ადგილობრივ ლიდერებს, სახელმწიფო მოხელეებს, ამხანაგებს, მეგობრებს და ჩაატარო სათანადო «პროპაგანდული» ლობირება საქართველოსა და რუსეთს შორის გარკვეული მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. ორივე მხარისათვის საინტერესო მნიშვნელოვან საკითხებზე. ჯერჯერობით შეიძლება ამას არაოფიციალური სახეც მივცეთ, რათა შემდეგში მოვამზადოთ ხელშეკრულებაო» და ა.შ.

ყურადღებით ვუსმენდი მოსაუბრეს და პარალელურად იმასაც ვფიქრობდი, რათა არ დამეშვა საბედისწერო შეცდომა და ჩემი გადაწყვეტილება შემდეგში სანანებელი არ გამხდომოდა. გონებაში გავთვალე, რამდენად იყო ყოველივე ეს სასარგებლო რუსეთისათვის და რამდენად საქართველოსათვის. სიტუაცია მართლაც დაძაბული და გაურკვეველი გახლდათ. საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ (გარდა შევარდნაძისა) პოლიტიკაში და სახელმწიფო მართვაში სრულიად გაურკვეველი პირები (კიტოვანი, იოსელიანი). მხოლოდ რევოლუციას შეეძლო ასეთი პირების სახელმწიფო მართველობაში მოყვანა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რომ «სახელმწიფოს» მართვა რაღაც გაურკვეველი ქურდული და ძველბიჭური მენტალიტეტით ხდებოდა. ისედაც გაუბედურებული საქართველო _ მცირე ხნით დილეტანტური მმართველობის შემდეგ _ სხვა უბედურების წინაშე აღმოჩნდა. რუსეთი კი ჯერჯერობით «დემოკრატიას თამაშობდა». პრეზიდენტი ელცინი ჯერ კიდევ ხელისუფლების წარმატების ეიფორიაში იყო. მის გარემოცვაში ირიცხებოდნენ დემოკრატები (საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი, ადმინისტრაციის უფროსი ფილატოვი, სახელმწიფოს უშიშროების საბჭოს მდივანი ბურბულისი, შუხრაი და სხვები).

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, დავთანხმებულიყავი ამ «თხოვნაზე» (თუ ბრძანებაზე), ვინაიდან, თუ უარს ვიტყოდი, მაშინ ოფიცრის დაუწერელი კანონით პატაკი უნდა ჩამებარებინა თადარიგში გასვლის შესახებ, მითუმეტეს, ის ინფორმაცია, რასაც მოვიპოვებდი, შემეძლო გამომეყენებინა მომავალში იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც შეიქმნებოდა შემდეგში. არავინ იცოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები (როგორც საქართველოში, ისე რუსეთში). აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც კი შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, შევარდნაძის, იოსელიანის, კიტოვანის შემადგენლობით, მსგავსად ძველი რომის იმპერიის ტრიუმფატორებისა, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ სამეულში ე.შევარდნაძე გაიმარჯვებდა, რადგან პოლიტიკაში და აგრეთვე გარკვეული სინდისიერი თუ მორალური შინაარსით, იგი სხვა დონის პიროვნება იყო. თავისი ცხოვრების წესით მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის არავითარ მორალურ თუ სულიერ ბარიერს არ შეუშინებია და არც ერთი წუთით არ უფიქრია უკან დახევა. ასეთი ხალხი საერთოდ კარიერიზმის სენით არის დაავადებული, მათი ეს თითქმის პარანოიკური სწრაფვა ხელისუფლებისაკენ ფსიქიკური ატროფირების წერტილამდე მიდის. მითუმეტეს, მისი მაშინდელი «ოპონენტები» მის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდნენ. შედეგი წინასწარ იყო ცნობილი. «ბებერი მელა» აძინებდა მათ სიფხიზლეს, აჯილდოებდა ორდენებით, სახელმწიფო დელეგაციების მეთაურებად ნიშნავდა. ამით კიდევ ერთხელ აჩვენებდა გარე სამყაროს: აი, ვისთან ერთად მიხდება სახელმწიფოს მართვაო. მათ კი ქედმაღლობა

და ძველბიჭური მენტალიტეტი არ აძლევდათ იმის საშუალებას, თვალი გაეხილათ და ნებაყოფლობით არ შეეყოთ თავი «ბებერი მელას» მომზადებულ ყულფში. უფრო სწორედ ალბათ გარემოცვის (მლიქვნელების და მეხოტბეების) გავლენით დაიჯერეს, რომ «ჭკვიანები» არიან, მხედართმთავრები, სახელმწიფო მოღვაწეები. და ეს მართლაც ისე მოხდა, როგორც ვვარაუდობდი. თანდათანობით ორივე სახელმწიფო მოღვაწე (ქურდი და ძველი ბიჭი) ჯერ ციხეში გამოამწყვდია (არა აქვს მნიშვნელობა _ რისთვის და რატომ, ან ვინ იყო ამაში მართალი ან მტყუანი, მთავარია, ეს მოხდა მაშინ,როცა ამის ძალა ეყო) და სრული პოლიტიკური დისკრეტიზაციით ჩამოაშორა მათთვის ახალ «საყვარელ საქმეს» _ ქვეყნის მმართველობას. მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგში მოხდა.

იმასაც ვიტყვი, რასაც ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებით ვხვდები: ერთადერთი, რითაც შეეძლოთ მათ (იოსელიანს და კიტოვანს) ამ ხვედრის თავიდან აცილება, იყო მხოლოდ ერთი გზა _ ე. შევარდნაძის ფიზიკური მოსპობა. ამისათვის მათ ზნეობრივი ბარიერის გადალახვა უნდა შესძლებოდათ, ეს კი მათი ცხოვ-რებისეული მენტალიტეტით შეუძლებელი გახლდათ. იმდენად ძლიერად გრძნობდნენ თავს ქართულ პოლიტიკაში, რომ არაფრის არ ეშინოდათ, ორივეს თავისი საჯარისო შენაერთი ჰყავდა _ გვარდია და მხედრიონი, შევარდნაძეს კი _ მშიერი, მწყურვალი, ჩაუცმელი, დეზორგანიზებული ჯარი და კორუმპირებული შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა და სხვა... მათ წარმოედგინათ, რომ ჩამოიყვანეს ვითომდა ბუტაფორიული სახელმწიფო მართვისთვის ე.შევარდნაძე, თვითონ კი სახელმწიფო მართვის ძირითად ბერკეტებს გააკონტროლებდნენ და ისე იცხოვრებდნენ, როგორც სურდათ. ეს კი შეცდომა იყო. შევარდნაძე იმის კაცი არ იყო, კიტოვანსა და იოსელიანს ვირის მუშად დადგომოდა და ეს კიდეც დაუმტკიცათ. ეს ისტორია ძალიან წააგავს ოქტომბრის გადატრიალებისას ებრაული კლანის (ბელადების) ტროცკის, კამენსკის, რიკოვის, ბუხარინის და სხვათა შეცდომას, როცა 1919 წელს მათ ნებაყოფლობით დაუთმეს სტალინს პარტიული ხელმძღვანელობა, რაც დაახლოებით რამდენიმე წლის შემდეგ სიცოცხლის ფასადაც დაუჯდათ. ვინ თქვა, ისტორია არ მეორდებაო? არა, ბატონებო, ისტორიები, ფაქტები მეორდებიან, ოღონდ პერსონაჟები იცვლებიან.... აი ასეთი ემოციური განწყობილებით მივიღე გადაწყვეტილება გამოვმგზავრებულიყავი საქართველოში სათადარიგო (Челночник) დიპლომატის და არა სადაზვერვო მისიით...

მივემგზავრები ბათუმში ა.აბაშიძესთან შესახვედრად. ამ დროს, შემატყობინეს, რომ ა.აბაშიძეს დედა გარდაცვლია. ჩემი ჩასვლა ბათუმში სამძიმარზე სრულიად მოტივირებული იქნებოდა და არ გამოიწვევდა დამატებით კითხვებს და ვერსიებს... ბათუმში ჩავედი, ვესტუმრე ა.აბაშიძეს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ «ხაზეინად» და «ბაბუად» არ მოიაზრებოდა. მას პათოლოგიური შიში ჰქონდა იმისა, რომ არ «მოეხსნათ» სამსახურიდან, თუმცა არჩევითი თანამდებობის მფლობელი იყო, მაგრამ მან, როგორც გამოწრთობილმა კომუნისტმა, კარგად უწყოდა, რომ ეს არჩევითობა არავითარ გარანტიას არ აძლევდა. განსაკუთრებით ეშინოდა აჭარაში გვარდიის ჩასვლისა (რითაც თ. კიტოვანი ემუქრებოდა), ეშინოდა მხედრიონის აღზევებისა აჭარაში და მისი ემისრების ჩასვლისა ბათუმში. ამ დროს ის ფარულად თუ აშკარად ცენტრალურ ხელისუფლებაში ე. შევარდნაძეს უჭერდა მხარს. ეს ალიანსი ე. შევარდნაძესაც აწყობდა და იყო გაუთავებელი კუკუდამალობანას თამაში იოსელიანს, კიტოვანსა და აბაშიძეს შორის. რა თქმა უნდა, ეს «წინააღმდეგობები» ეკონომიური და ფინანსური რესურსების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლით იყო განპირობებული. ძირითადი ფულადი ნაკადი საზღვრიდან შემოდიოდა. სარფის

საზღვაო დერეფანი ჯერ კიდევ ერთადერთი იყო პოსტსაბჭოთა სივრცისათვის (მოქალაქეებისათვის). იაფფასიანი თურქული ნივთების გადაადგილებისათვის (როგორც სახმელეთო ისე საზღვაო გზით), როგორც სარწმუნო ინფორმაციით ვიცოდი, ყოველდღიურად საზღვარს კვეთდა ათასობით ადამიანი. თითოეულს ეს გადაადგილება საბაჟო გადასახადის სახით რამდენიმე ათეული დოლარი უჯდებოდა, რომლის 75% აჭარის ხელმძღვანელს ელექებოდა ჯიბეში, დანარჩენი 25% რუსი მესაზღვრეებისა იყო. სწორედ ამ დროს გაღვივდა დიდი «ურთიერთსიყვარული და პატივისცემა» ა.აბაშიძესა და ბათუმში განლაგებულ რუსული სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობას შორის. როგორც კი რაიმე «საშიშროება» შეიქმნებოდა აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარზე, მაშინვე რუსები ჩაერეოდნენ საქმეში.

ვინც იცის და განუცდია ცხოვრებისეულად განსხვავება იმ დასაფლავებისა, რომელიც თან ახლავს მაღალჩინოსანი მოხელის ნათესავების დაკრძალვას, ის მიხვდება, თუ რა სახე ჰქონდა ამ სამწუხარო პროცესს. ვინ არ ჩამოვიდა მთელი საქართველოდან სამძიმრისათვის, ვინ არ ეცადა და ცდილობდა გამოეხატა თავისი წუხილი ამ ფაქტის გამო?! სახელმწიფო მოხელეები, ინტელიგენცია, მსახიობები, მხატვრები და სხვა და სხვა. მხოლოდ დაკვირვებულ ადამიანს შეეძლო შეემჩნია, რომ მწუხარების ამ ტალღაში არ აღმოჩნდნენ იოსელიანისა და კიტოვანის დაჯგუფების წევრები, ე.ი. ძირითადად შევარდნაძისტები იყვნენ, რადგან მაშინ, ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში, ზვიადისტები ა.აბაშიძეს მოღალატედ თვლიდნენ. ამაში გარკვეული სიმართლეც იყო, ვინაიდან _ როგორც ყველა მედროვემ _ ა. აბაშიძემაც არ გაამართლა მისი მამა-მარჩენალის ზ. გამსახურდიას იმედები და გაჭირვების დროს თითიც კი არ გაანძრია მისი რეჟიმის გადასარჩენად...

აბაშიძეს არავითარი თხოვნა ან დარწმუნება იმაში, რათა გაგრძელებულიყო მტკიცე «მეგობრული» ურთიერთობა რუსეთთან, არ სჭირდებოდა, რომ იტყვიან, ორივე ხელით მზად იყო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობისათვის, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა და დარწმუნებულიც იყო, რომ მისი რეჟიმის შენარჩუნებისათვის ეს აუცილებელი გახლდათ. რუსეთთან მეგობრობა გარანტიას აძლევდა დღეს და გარანტიას მისცემდა შემდეგში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან პერმანენტული თავდაცვისათვის. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული რესპუბლიკის ლიდერის პრეტენზია. გულში ალბათ ნატრობდა კიდეც. მაგრამ ნატვრას ხომ არ აუკრძალავ ადამიანს?!

ჩამოვედი თბილისში. აქ კი პროფესიულმა გამოცდილებამ და ალღომ არ მიღალატა. ორი, სამი დღის «დასვენების» შემდეგ აღმოვაჩინე, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტრო თუ რუსეთის სამხედრო დაზვერვის სამმართველოს მუშაკები მითვალთვალებდნენ. სადაც ვიყავი, სტუმრად, ქუჩაში თუ სახლში, ერთი ან ორი მანქანა ე.ი. ორი ბრიგადა მმწყემსავდა... არ მომეწონა, მაგრამ რა მექნა?! უბრალოდ, ახალგაზრდობა გამახსენდა, კონტრდაზვერვის აკადემიაში მიღებული ცოდნა, საზღვარგარეთ მუშაობის, კონსპირაციული მუშაობის (გადაადგილებების) შენიღბვა თუ ათესვა. ისე, უნდა ვაღიარო, ძალიან არ «ვხულიგნობდი» და ხანდახან ხუმრობით თუ «შევეთესებოდი» ჩემს «დარაჯებს», შემდეგ ხელაწეული აშკარად ვბარდებოდი მათ მეთვალყურეობას, რითაც ვამჩნევდი _ დიდ «სიხარულს» ვანიჭებდი მათ... ისე, ზედმეტი «შეთესვები» მათ არ უყვართ და თუ გადაამლაშე, შეიძლება «შემთხვევით» კარგა გემრიელა მოგთეთქონ _ ისიც შემთხვევითი ჩხუბის ინსცენირებით. ამიტომ, გამომდინარე ჩემი გამოცდილებიდან, მათთან დიდი «შეხუმრება» სრულებითაც არ მაწყობდა... ე.შევარდნაძის ადმინისტრაციის უფროსად

მაშინ მუშაობდა მისი დიდი ხნის სანდო პირი, მისი აღზრდილი, პარტიულ-კომკავშირული მუშაკი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელსაც კარგად ვიცნობდი და მისი მეშვეობით მინდოდა ე.შევარდნაძესთან შეხვედრა. ეს საკმაოდ ლოგიკურადაც მიმაჩნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შევამჩნიე ასეთი მამაშვილური «ყურადღება» საქართველოს უშიშროების სამინისტროდან, გადავწყვიტე შევხვედროდი მათ მინისტრს ი. ბათიაშვილს, რომელსაც კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ თბილისიდან. მისი მამის დიმიტრის (დიმა) ამხანაგი გახლდით, დიმა კი ჩემი შვილის გ. ფოცხვერიას რეჟისორი გახლდათ, გია ორ ფილმში მის ასისტენტად მუშაობდა. ისე რომ, ეს «ბავშვი», რომ იტყვიან, ჩემს ხელში თუ არა, ჩემს მხედველობის არეში გაიზარდა, მითუმეტეს, გამახსენდა მისი ბოლო ვიზიტი მოსკოვში 1990 წელს, როდესაც მან შეამჩნია ე.წ. მეთვალყურეობა საკავშირო სუკის მუშაკებისა და ეშმაკურად გადაწყვიტა ალბათ მათი «განეიტრალება». დამირეკა ტელეფონით და მთხოვა, რამდენიმე დღით ხომ არ შეიძლება თქვენთან ოჯახში გავჩერდე, საქმეებზე ვარ ჩამოსულიო, და თუ შემიკედლებთ, დიდ პატივს დამდებთო... სტუმარი ღვთისაა და აბა უარს როგორ ვეტყოდი ჩემი ამხანაგის შვილს, მაგრამ ერთმა გარემოებამ დამაფიქრა, აქ რაღაც «ჩორტი» ხომ არ არის დამალული-მეთქი? მართლაც, ასე აღმოჩნდა, გავარკვიე, რომ სუკის გარკვეულ სამსახურებს მოსკოვში ჩამოსული ქართველი «დისიდენტი» ი.ბათიაშვილი ოპერატიულ დამუშავებაში ჰყავთ: დასდევდნენ ქუჩაში, სასტუმროში, უსმენდნენ და ა.შ. ალბათ ყოველივე ეს არ მოეწონა «დისიდენტს» და მე გავახსენდი, ალბათ ისე ძლიერ მოეწონა თავისი აღმოჩენა ჩემთან (მაშინ უშიშროების პოლკოვნიკთან) დაბანაკებულიყო, რომ გულში ეცინებოდა ასეთი ღირსეული «ხრიკის» მოგონების გამო: პირდაპირ გულში «ჩაეხუტებოდა» სუკს და თავიდან აიცილებდა რაიმე მოსალოდნელ გართულებებს მოსკოვში ყოფნის დროს... დავადგინე თუ არა, რომ ჩემი «მეგობარი» ოპერატიულ რკალში ჰყავთ ჩემს კოლეგებს, შევედი სამმართველოს უფროსთან და ავუხსენი შექმნილი «სიტუაცია» «დისიდენტ» ი.ბათიაშვილის გარშემო. აკი მოგახსენეთ, ალბათ ბათიაშვილი გულში იცინოდა თავისი აღმოჩენის გამო-მეთქი (ეს ვარაუდია მაინც), მე და უფროსმა კი ნამდვილად გავიცინეთ ამ «ხრიკის» გამო, რითაც უკვე უფლება მომეცა სახლში მიმეღო «ქვეყნის დამაქცევარი დისიდენტი» და მეწარმოებია მისი ყოველდღიური «აღმზრდელობითი» მუშაობა. არ მახსოვს, რამდენხანს დარჩა ირაკლი ჩვენს ოჯახში (ალბათ 15-20 დღე) ჩემი მეუღლის დედობრივი მზრუნველობის ქვეშ. ცხადია, საკმაოდ მოიმაგრა ფიზიკური ძალები ხელისუფლებასთან «ბრძოლისთვის»... მთელი მისი სტუმრობის განმავლობაში «დურაჩკას» ვთამაშობდით. არასოდეს მიკითხავს მისთვის ჩამოსვლის მიზეზი ან გადაადგილების გეოგრაფია, რადგან ეს ისედაც ვიცოდი ოპერატიული მასალებიდან. ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ ამას ვამადლი: ვასვი, ვაჭამე, დავაპურე, ჩავაცვი და გავათბე ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ანტისაბჭოთა მოძრაობის «დისიდენტი». გამოთხოვებისას სტუმარმა დიდი მადლობა გადამიხადა და გამომიცხადა მზად ყოფნა თბილისში ანალოგიური მასპინძლობისთვის.

გამახსენდა ეს ეპიზოდი ი.ბათიაშვილთან ურთიერთობისა და ვიფიქრე დაახლოებით იგივე მეთოდის გამოყენებით შევხვედროდი პირადად მას და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას... ტელეფონით დავუკავშირდი ირაკლის და აქ დაიწყო ჩვეულებრივი «ცირკი», ორი თუ სამი დღე ვცდილობდი მის «დაჭერას». მპირდებოდა დღეს ამა და ამ საათზე მიგიღებთ, მერე შეცვლიდა აზრს, გადაიტანდა შეხვედრის ვადას, ადგილს. შევამჩნიე, ეშინოდა შეხვედრა სუკის _ მაშინ რუსეთის უშიშროების სამინისტროს პასუხსაგებ პირთან. შემდეგში ისიც კი მითხრა,

საავადმყოფოში ვწვებიო სასწრაფო ოპერაციისთვის. მოთმინებით ვეთამაშებოდი მეც ამ «კუკუდამალობანას», ვიდრე არალეგალურ მდგომარეობაში არ გადავიყვანე: სასწრაფო მივლინებით გაემგზავრა ჯერ კახეთში და მერე იმერეთში. იმის ჭკუაც კი არ ეყო, გულახდილად მოეხსენებია თავისი უშუალო უფროსისათვის (ე. შევარდნაძისათვის) _ ასე და ასეა, ასეთი კაცი მეძებს, ნება მომეცით შევხვდე, მოვუსმინო სასმენი კონტროლის ქვეშ, საინტერესოა, რა უნდა, ალბათ რაღაც დავალება აქვს, შეიძლება ეს ჩვენთვისაც საინტერესო იყოსო და სხვ. მაგრამ ასეთ ელემენტარულ გათვლასაც პროფესიონალიზმი სჭირდება და ჩვენი «გმირი» სრულებითაც არ არის და არ იყო ნაპოლეონის პოლიციის მინისტრის ჟოსეფ ფუშეს ნიჭით დაჯილდოვებული, რომელიც სამღვდელო პირი (ეპისკოპოსი) იყო და ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე მსტოვარი გახდა.

დღეს 2007 წლის დეკემბერია და ჩვენი «გმირი» დაპატიმრებულია, გასამართლებულია, და თუ არ მეშლება, 7 წელი აქვს მისჯილი _ «სახელმწიფო მოღალატეობის» მუხლით, ამაზე აბსურდული (ყოველ შემთხვევაში, იმ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, ძირითადად სატელეფონო საუბრებისა _ ბათიაშვილსა და «მეამბოხე» კვიციანს შორის) არაფერი მსმენია და გამიგია, გარდა, რა თქმა უნდა, ვიშინსკის და სტალინის კანონმდებლობისა და მათ დროს წარმოებული სახელმწიფო რეპრესიებისა... ასეთი რამ მხოლოდ ტოტალურ დიქტატორულ ქვეყანაში, მაგალითად ბელორუსიაში, ლიბიაში, ჩრდილოეთ კორეაში ან რომელიმე აფრიკის ბანანის რესპუბლიკაში თუ მოხდება და ხდება კიდეც. მაგალითად, ბელორუსიაში, სადაც რეჟიმის მოწინააღმდეგე რამდენიმე ათეული ლიდერი საერთოდ ფიზიკურად გაქრა... რა მაქვს მხედველობაში? კერძოდ, ის, რომ ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ და ფაქტობრივად დავუმტკიცებ ოპონენტებს, რომ 1967 წლიდან _ ი.ანდროპოვის უშიშროების კომიტეტში თავმჯდომარედ მოსვლის დღიდან _ არ მახსოვს და არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე დისიდენტი ან სახელმწიფო ღალატში შემჩნეული პირი მიეცათ პასუხისგებაში საიდუმლოდ _ ე.ი. არასანქციონირებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერის საფუძველზე ანდა წერილობითი მიმოწერის პერლუსტრაციის საფუძველზე. მაშინაც კი, წარმოიდგინეთ, პარტიული ორგანოები, სასამართლო თუ პროკურატურა მოითხოვდა დოკუმენტაციას, ისეთი სახით მათ ლეგალიზაციას, რომელიც დაშიფრავდა (დამალავდა, არ გამოამჟღავნებდა), რომ გარკვეული პიროვნება თუნდაც ოდესღაც იყო შეზღუდული მოქალაქეობრივ უფლებებში და მის სატელეფონო საუბრებს ისმენდნენ ან წერილებს ხსნიდნენ და კითხულობდნენ. კომუნისტური რეჟიმიც კი არ მიდიოდა ასეთ სამართალდარღვევაზე. აიძულებდნენ ოპერატიულ სამსახურებს ამ საიდუმლო მასალების ლეგალიზაციას, ეს კი ოპერატიული ღონისძიების ჩატარების ერთ-ერთი რთული საქმე იყო და საკმაო დროს და გონებრივ დატვირთვას მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ამ «ღონისძიებების» ჩატარებისას გარკვეულ პროვოკაციებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ანტისაბჭოთა გზავნილები (წერილები) «შემთხვევით ზიანდებოდა», შემდეგ ფოსტაში 3-4 კაცისაგან (აგენტურისაგან) შედგენილი კომისიები მათ ოფიციალურად ხსნიდნენ და «აღშფოთებულნი» ამ წერილების ანტისაბჭოთა შინაარსით, სახელმწიფო ღალატის მცდელობის ვითომდა აღმოფხვრისთვის _ უკვე ოფიციალური წერილით ატყობინებდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ამა თუ იმ მოქალაქის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაზე... შემდეგ კი უშიშროების მექანიზმი ამუშავდებოდა და ეს მოქალაქე აღმოჩნდებოდა იქ, სადაც მათ მიაჩნდათ საჭიროდ, ე.ი. საპატიმრო იზოლიაციაში... შედარებით ძნელი იყო საიდუმლო სატელეფონო საუბრების ლეგალიზაცია, მას უფრო რთული ოპერატიული

დამუშავება ესაჭიროებოდა. ხელოვნურად უნდა შეექმნათ ისეთი წინაპირობები, როდესაც ობიექტი ან მისი თანამზრახველები თავიანთ გარემოცვაში გაიმეორებდნენ დაახლოებით იმას, რასაც ამბობდნენ სატელეფონო საუბრებში (ამას ჩეკისტურად ობიექტის აგენტურული დამუშავება ერქვა). ასეთი «ღონისძიებები» არც თუ ისე ადვილი ჩასატარებელი იყო. შემდეგ... შემდეგ ნაცადი მეთოდი _ ოფიციალური განცხადება აგენტურისა, ე.წ. სანდო პირებისა (ასეთი ხალხის კატეგორიაც იყო აღრიცხვაზე უშიშროების კომიტეტში)...

უშიშროების კომიტეტში არსებობდა ე.წ. იდეოლოგიური სამსახური, საკმაოდ ლამაზ ციფრს ამოფარებული მეხუთე სამსახური. იგი გახლდათ «მარჯვენა» ხელი კომუნისტური პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური სამსახურისა (განყოფილებისა), მისი ავანგარდი დისიდენტურ და ანტისაბჭოთა ელემენტებთან ბრძოლაში. აწარმოებდა აგენტურულ-ოპერატიულ მუშაობას ყველა იმ ძალის წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ. შემდეგ ამ სამმართველოს გორბაჩოვის «პერესტროიკის და გარდაქმნის» პერიოდში «მეტი დემოკრატიული» შირმის მინიჭების მცდელობით მეხუთე სამმართველოს მაგიერ დაარქვეს «კონსტიტუციური კანონიერების დაცვის სამმართველო», შემდეგ საბჭოთა კავშირის მიწურულს გადააკეთეს «კანონიერების დაცვის სამმართველოდ»... შემდეგში ეს სამმართველო რაღაც სამსახურის სახით შეიყვანეს ტერორიზმთან ბრძოლის მთავარ სამმართველოში. მაგრამ, როგორც იტყვიან (ყოველ შემთხვევაში, ლოგიკის თვალსაზრისით), ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია. რა სახელწოდებაც არ უნდა ჰქონდეს ამ სამსახურს, ერთი უცილობელია, ასეთი სამსახურის არსებობა და მისი ფუნქციონირება ძალიან სჭირდება ხელისუფლებას, რადგან მას ყოველთვის აინტერესებს, თუ რას ფიქრობს ოპონენტი, დისიდენტი, არამმართველი პარტიის წევრი თუ ლიდერი. ამის დასადასტურებლად ისიც არის საკმარისი, თუ როგორი კომპრომატების ომი გაჩაღდა ე.წ. სატელეფონო ფარული ჩანაწერების გამო...

თუმცა კომუნისტური რეჟიმის დროს ასეთი სატელეფონო ჩანაწერების სანქციებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იძლეოდა, ოპერატიული მონაცემების (თუგინდ პირველადი) საფუძველზე. ამისათვის არავითარი «გარეშე ძალის» ჩარევა (სასამართლოს გადაწყვეტილება) საჭირო არ იყო... და ახლა რა შეიცვალა, თუკი ამისათვის ვითომდა სასამართლო გადაწყვეტილებაა საჭირო, რა, ვინმე იცავს ამ კანონს?! ყოველ შემთხვევაში, ამ კანონით ყველა ის პიროვნება ან ორგანიზაცია, ვინც აწყობს ფარულ ტელეფონურ ჩანაწერებს, უნდა ისჯებოდეს კანონის ძალით... ისჯებოდეს კი არა, არავის არ მოსდის აზრად, ხმა აიმაღლოს ამ უკანონობაზე, რამდენადაც საზოგადოებისათვის ცნობილია ი. ბათიაშვილი სწორედ ასეთი სატელეფონო (ფარული ჩანაწერების) მხილებით არის გასამართლებული. ერთსაც გავიმეორებ: გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან 90-ანი წლების დასაწყისამდე (ე.ი. საბჭოთა კავშირში) არცერთი, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი (დისიდენტი) ან კრიმინალი არ გაუსამართლებიათ მხოლოდ სატელეფონო (ფარული) მიყურადების მამხილებელი მასალების საფუძველზე. მასალები უფრო მეტად ოპერატიულ ხასიათს ატარებდნენ და იყვნენ იმის დამადასტურებელნი, რომ ესა თუ ის ობიექტი ეწეოდა ანტისაბჭოთა ქმედებას თუ კრიმინალური ჩანაფიქრის მატარებელი იყო. იმასაც ვიტყვი, რომ ასეთი მასალები არასოდეს წარედგინებოდა ღია სამოქალაქო სასამართლოებს. მათი განხილვა და შესწავლა მხოლოდ სამხედრო საველე სასამართლოების პრეროგატივა გახლდათ. და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში (შპიონაჟის წინააღმდეგ). აი, აქ არის ზუსტად «ძაღლის თავი ჩამარხული». კი,

ბატონო, ოპერატიულო სამსახურო, მიიღე ფარული სატელეფონო ჩანაწერი და დარწმუნდი, რომ ობიექტი «მტრული» ელემენტია, მაგრამ ამას, ხელმძღვანელობის გარდა, ვერავის ვერ უჩვენებ. კეთილი ინებე და უზრუნველყავი სხვა «წესით» მიღებული მასალის ლეგალიზაცია. აი ეს პროცესი კი საკმაოდ რთულია, ხშირად გადაუწყვეტავიც და მოითხოვს დიდ ინტელექტუალური და აგენტურულ-ოპერატიული ძალების დახარჯვას, როგორც ეტყობა, ახლა ამისთვის არა სცალიათ.

რაც გიამბეთ, ძალიან სქემატური გაგებაა იმ რთული ღონისძიებებისა, რომელიც ახლავს ამ მასალების ლეგალიზაციას. უფრო დაწვრილებით ამ თემაზე სპეციალური ლიტერატურაც არსებობს, მაგრამ არავითარი ლიტერატურა არ გამოგადგება, თუ არ გაქვს პრაქტიკული ნიჭი და ტვინი... აი, დაახლოებით რა უნდა ჩაეტარებიათ თანამედროვე პინკერტონებს, რომ ი. ბათიაშვილისათვის წაეყენებინათ ბრალდება თუნდაც «სამშობლოს მოღალატეობის მცდელობისთვის». სტალინს, ბერიას, ვიშინსკის, ეჟოვს, იაგოდას თავიანთ პარანიკურ ფანტაზიებშიც არ მოუვიდოდათ აზრად ადამიანის გასამართლება მისი «დანაშაულის ჩადენის მცდელობის პროცესში», ე.ი. დანაშაული ჩადენილი არ არის, არავითარი პრაქტიკული ქმედება არ მომხდარა, გარდა სატელეფონო საუბარში რაღაც ბუნდოვანი ფრაზებისა: «აბა ფრთხილად იყავი. მოუწოდე როგორც შენს ხალხს, ისე სახელმწიფოს ჯარს, ძმათა სისხლი არ დაიღვაროსო»... და ამაზე აპატიმრებ, ასამართლებ ადამიანს. ყოველივე ამას ოპერატიული მუშაობის, გამოძიების, სასამართლოს, პროკურატურის და მთელი სახელმწიფო აპარატის იმპოტენცია შეიძლება ეწოდოს. მათი ლოგიკით რა საჭიროა დამატებითი ღონისძიებების ჩატარება, ხელისუფლება ხომ ჩემს ხელშია და ვისაც მინდა, დავიჭერ და ვისაც მინდა, იმას დავსჯი. ყოველ შემთხვევაში, ეს ფორმულა გამართლდა საბრალო გვირგვლიანისა და რობაქიძის «სასამართლო» განხილვის დროს და ასევე მოექცა იგივე აპარატი ი. ბათიაშვილს. ადრეც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, ი.ბათიაშვილი არ არის ის პიროვნება, რომელიც შეგნებულად, მიზანდასახულად წავიდოდა ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ძალიან ფრთხილია, ბაწარზე გასულ ჯამბაზივით ბალანსირებდა მთელი ცხოვრება, «ზომიერი დისიდენტი» გახლდათ და ასე მოიქცა კიდეც ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

დღეს 2008 წლის იანვარია, ახალი წელი, ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეები. პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები. მთავრობამ (წაიკითხე პრეზიდენტმა, თუმცა მაპატიეთ _ პრეზიდენტობის კანდიდატმა) შეწყალების აქტი მიიღო, პატიმრობიდან გაანთავისუფლეს ყოფილი კონტროლის პალატის თავმჯდომარე მოლაშვილი, ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი მირცხულავა და აგრეთვე ჩვენი გმირი ბათიაშვილი, ისევ და ისევ ამ «შეწყალების» თანაავტორი გახლავთ უნეტარესი და უწმინდესი ილია II.

როგორც გამოცხადდა საზოგადოებისათვის, ისინი ამნისტიით შეიწყალეს, და გაიხსენეთ, მკითხველო, თუ როგორ პასუხობდა საბჭოთა მთავრობას ასეთ «შეწყალებებს» მერაბ კოსტავა, რამდენადაც ვიცი, მას ასეთი ჰუმანური შეწყალება რამდენჯერმე შესთავაზეს და ყოველთვის უარი თქვა. მხოლოდ ერთ «რამეს» სთხოვდნენ _ დაედო პირობა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარ უარყოფით ქმედებებს შეწყვეტდა, მოინანიებდა «ცოდვებს». მაგრამ მერაბი თავისი რკინის ხასიათით ალბათ განუმეორებელი პიროვნება იყო. რას იზამ, ყველას ხომ ვერ მოსთხოვ, მერაბ კოსტავა იყო?! თუმცა, მოლაშვილი და მირცხულავა ძალიან დიდი გაჭირვებით შეიძლება პოლიტიკურ პატიმრებად ჩაითვალონ, მათი დაპატიმრება (რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის მუხლით _ ეკონომიური სამართალდარღვევისათვის) შეიძლება ნაწილობრივ მაინც შეიცავდა სიმართლეს,

რადგან მაშინ არ იპარავდა მხოლოდ ზარმაცი ან ის, ვისაც, სახელმწიფოს ფულთან არავითარი შეხება არ ჰქონდა და ამიტომ მირცხულავა და მოლაშვილი გამონაკლისი ხომ არ იქნებოდნენ?! _ მაგრამ მათი დაპატიმრება პირადი ანგარიშსწორება უფრო იყო, მითუმეტეს _ მოლაშვილისა, რომელიც ძლიერ ოპონენტობას იჩენდა ვარდების რევოლუციის ლიდერების მიმართ. რაც შეეხება ი. ბათიაშვილის დაპატიმრებას, აქ ალბათ შერწყმული იყო, როგორც პირადი ანგარიშსწორება, ისე ნამდვილად გაუთვლელი, გაუანგარიშებელი ქმედებები, რადგან ის არ წარმოადგენდა რაიმე პოლიტიკურ საშიშროებას.

დღეს 13 იანვარია, ძველით ახალი წელი დგება, ხალხს არ სცალია დღესასწაულისთვის, რიყეზე მიტინგია... მოწყობილია გამოფენა არჩევნების ფალსიფიკაციის შესახებ... თუმცა ისმის კითხვა, რად უნდათ გამოფენის გამართვა, თუკი შეიძლება ამ «უცილობელი» «დამამტკიცებელი» საბუთების წარდგენა სასამართლოში, თუნდაც ასლებისა, თუკი ორიგინალების დაკარგვის ეშინიათ? მაგრამ ეს არ აწყობთ და არ სურთ, რადგან პიარკომპანიისთვის ასეთი მეთოდები უფრო ჭრის, მეტ ეფექტს იძლევა და აძლევს საშუალებას დამარცხებულ ოპოზიციას _ საჭირო შემთხვევაში «არალეგიტიმური» უწოდოს ხელისუფალს. იმას კი არ ფიქრობს, ყოველივე ეს ქართული სახელმწიფოსთვის რა საშიშროებას წარმოადგენს... ყველაფერი ქართველი ხალხის სახელით კეთდება, საწყალი ხალხის სახელით!

დავუბრუნდეთ ჩემს ვიზიტს თბილისში. შევხვდი ე. შევარდნაძის ადმინისტრაციის უფროსს ვაჟა ლორთქიფანიძეს, ავუხსენი ჩემი საქართველოში გამომგზავრების მიზეზი... ავუხსენი, რომ მოსკოვის მიერ შეთავაზებული პირობები ალბათ თანაბრად უნდა აწყობდეს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ხელისუფლებას-მეთქი. ბატონი ვაჟა ყოველთვის გამოირჩეოდა პოლიტიკოსისათვის ჩვეული სიდინჯით. არ აჩქარებულა, არ აღელვებულა და შემპირდა, რომ მოახსენებდა შეფს და პასუხს შემატყობინებდა. პასუხი დადებითი აღმოჩნდა და დაახლოებით ერთი-ორი დღის შემდეგ აღმოვჩნდი «იმელის» შენობაში _ სახელმწი-ფო საბჭოს თავმჯდომარის მისაღებში. ბატონი ვაჟა უაღრესად დაკავებული გახლდათ სამსახურეობრივად, იმის დრო არ ჰქონდა, რომ მისაღებში ჩემთან ერთად ეცადა. ჩააბარა ჩემი თავი ისე, რომ არ წარვუდგენივარ ვინა ვარ მისაღების უფროსს (უშიშროებიდან მომაგრებულ თანამშრომელს) და წავიდა. აი, აქ კი დაიწყო ნამდვილი «ცირკი», ახალგაზრდა უშიშროების მუშაკი დაიბნა, არ შევეშვე უფროსთან არ შეეძლო, აბა ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებას ხომ არ აღუდგებოდა წინ? არადა, ალბათ ნაბრძანები ჰქონდა თავის უშუალო უფროსებისაგან (უშიშროების სამინისტროდან) დაეფიქსირებინა ყველა, ვინც კი ბატონ ედუარდთან კაბინეტში შედიოდა. ძალიან კი ეცადა ჩემთან კონტაქტში შემოსულიყო. ხან ჩაით გამიმასპინძლდა და ხან თურქული ყავით, ცქმუტავდა პატარა ლეკვივით, რომელსაც პატრონი გაუწყრება ხოლმე, უადგილო კითხვებს მისვამდა. ადვილი მისახვედრი იყო, მისი ასეთი ქცევა, მაგრამ მე ვდუმდი, ვაკვირდებოდი, შემდეგში რას მოიმოქმედებდა, რომ იტყვიან, ნებაყოფლობით «დურაჩკას» ვთამაშობდი, მითუმეტეს, დრო საკმაოდ მქონდა. რამდენადაც მახსოვს, ედუარდ შევარდნაძესთან ამ დროს ვაჟა ადამია იმყოფებოდა (მაშინ მეტად საჭირო პიროვნება, აფხაზეთში მეომარი ძალის ერთ-ერთი უფროსი, რომელიც გარკვეულწილად არც კიტოვანს ემორჩილებოდა და არც იოსელიანს და თავისი მეომრებით შევარდნაძის მომხრეებში მოიაზრებოდა). მათი საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ალბათ ერთი საათნახევარი ან ორი საათი საუბრობდნენ. ამ ეპიზოდის შემყურეს გულში მეცინებოდა ახალგაზრდა ჩეკისტის არაპროფესიონალობის გამო, მაგრამ ამას ხომ არ

შევიმჩნევდი?! პირადად მე მაწყობდა, სცოდნოდა ვინ ვიყავი, რადგან ამას აუცილებლად შეატყობინებდა თავის უშუალო უფროსს (ი.ბათიაშვილს ან?). ეს კი მოსკოვში ჩემი ალიბისათვის მეტად საჭირო იყო. ამიტომაც ბოლოს გადავეცი ჩემი პირადი სავიზიტო ბარათი. უნდა გენახათ მისი სახე ან გამომეტყველება, როგორ გაიხარა, ასე მეგონა, გადამკოცნის-მეთქი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ე.შევარდნაძესთან საუბარი დაახლოებით 30-35 წუთი გაგრძელდა. აღარ გავიმეორებ, რაც უკვე ადრე მოგახსენეთ. ავუხსენი ბატონ ედუარდს, თუ ვინ ვიყავი და რისთვის ვეახლე მას, გადავეცი მოსკოვის თხოვნა მოლაპარაკებისა და კონტაქტების აღდგენის შესახებ და ა.შ. ასეთი კონტაქტები მოსკოვსა და თბილისს შორის დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შედგა, აგრეთვე შედგა ე.შევარდნაძის, ბ.ელცინის და ვ.არძინბას შეხვედრა და მოლაპარაკება. მე რა თქმა უნდა ამ შეხვედრებზე არავინ დამასწრებდა. უბრალოდ ვახლდი კრემლში ჩემს უფროსს (უშიშროების მინისტრს, როგორც კონსულტანტი). რომ იტყვიან, «მავრმა თავისი საქმე გააკეთა».

ორიოდე სიტყვა ედუარდ შევარდნაძეზე. ბატონი ედუარდი ალბათ ეტალონია ადამიანისა, ვისაც მოსაუბრის მოსმენა შეუძლია, ერთხელაც არ გამაწყვეტინა სიტყვა, მისი სახე თითქოსდა შენიღბული იყო, უფრო სწორად არაფერს არ გამოხატავდა, მხოლოდ რეპლიკებით შემოიფარგლებოდა, არავითარი დასტური ან უარყოფა ჩემს მიერ (მოსკოვის მიერ) შეთავაზებულ წინადადებებზე არ გამოუთქვამს, ჯერ ერთი, სტატუსით მე მისი დონის ადამიანი ხომ არ ვიყავი, რომ ჩემთან მოლაპარაკება ეწარმოებინა?! ერიდებოდა ყოველგვარ ანალიზს, ფაქტების შეფასებას, შეეხო ობიექტურ სიტუაციას, რომელიც საქართველოში და აფხაზეთში შეიქმნა და გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთი, როგორც ჩვენი დიდი მეზობელი, თვითონაც უნდა იყოს დაინტერესებული საქართველოში მშვიდობის დამყარებისათვის. მოსკოვში მუშაობის დროს არაერთხელ დავსწრებივარ (ჩემს ხელმძღვანელთან ერთად, როგორც მისი თანაშემწე) სხვადასხვა სამთავრობო თათბირებს, უშუალოდ რამდენიმე საათის განმავლობაში დავკვირვებივარ და შემისწავლია რუსეთის მაშინდელი ხელისუფლების ლიდერების მუშაობის სტილი, საუბრის მანერა, საუბარში ჩართვის მექანიზმი და ადამიანის მახასიათებელი ბევრი სხვა თვისებების მოწმე გავმხდარვარ... ბატონ ედუარდთან საუბარმა მაინც დიდი შეთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ძალიან ძლიერი მოსაუბრეა, თვალებში გიყურებს, თითქოს რენტგენით გაშუქებს, არც ერთი სიტყვა არ გამოეპარება. არ ვიცი, მე ასე მომეჩვენა, რომ ეს პიროვნება დიდი მსახიობიცაა, ძალიან კარგად აქვს შესწავლილი თავისი როლი, მანერა, ცხოვრების წესი და კარგად აქვს შეგნებული ისიც, რომ მაღლა დგას, მაღლა დგას გარშემო ხალხთან ურთიერთობაში.

საინტერესო თავგადასავლები მოსკოვში დაბრუნების შემდეგ დაიწყო. ჩამოვედი თუ არა აეროპორტში, იქვე შევამჩნიე «კუდები», რომლებმაც სახლში მიმაცილეს და შემდეგ დილით ადრე სამსახურში გამყვნენ. ყოველივე ეს თუ გასაგები იყო თბილისში, მოსკოვში ასეთმა «ყურადღებამ» ჩემი გაკვირვება გამოიწვია. თბილისში თბილისელი პინკერტონები აქტიურობდნენ. აქ მოსკოვში რა ხდებოდა, ვერ გავიგე... იმავე დღეს მიმიღეს მინისტრმა და მისმა პირველმა მოადგილემ, რომელთაც ზეპირად მოვახსენე ყოველივე ის, რაც გადამხდა ან შემემთხვა ამ მოგზაურობის დროს. მათი განკარგულებით რუსეთის პრეზიდენტის სახელზე დავწერე წერილი _ მინისტრის ხელმოწერით. შემდეგ ჩემს უშუალო უფროსს მოვახსენე, თუ როგორ აღმოვაჩინე თბილისში მეთვალყურეობა, გამოვხატე გაკვირვება იმის შესახებ, რომ იგივე მეორდება მოსკოვში. ბუნებით და ხასიათით ფრთხილმა ნ.გოლუშკომ ჩემი

მონაყოლი ხუმრობაში გამიტარა: «აი, თბილისში რომ ეს ასე იყო, კიდევ დაგიჯერებ, მოსკოვში კი, რასაც ყვები, შენი ფანტაზიის ნაყოფი იქნებაო». თუმცა, როგორც მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, მან შემდეგში დიდი კორექტირება შეიტანა ჩემ სამსახურეობრივი მოვალეობების მიმართებაში. ვატყობდი, როგორ მცირდებოდა ჩემი შეხება სახელმწიფო საიდუმლოების დოკუმენტზე და იზრდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალებები. ასე გავხდი მინისტრის მოადგილესთან ერთად სხვადასხვა სამთავრობო კომისიის წევრი, დაწყებული ეკოლოგიური საკითხებით _ დამთავრებული რუსეთის ჩრდილოეთის მცირე ხალხთა განსახლების პრობლემებით (შეიძლება, თქვენ გეცინებათ კიდეც, ახლა ამის წაკითხვისას, მე კი მაშინ სასაცილოდ ნამდვილად არ მქონდა საქმე).

ერთ მშვენიერ დღეს კოლეგამ (თანაშემწემ) მიმიწვია ჩაის დასალევად, სადაც დაახლოებით 5 წუთში «შემთხვევით» გვესტუმრა უშიშროების სამინისტროს შიდა თავდაცვის უფროსი (კონტრდაზვერვის უფროსი), გენერალი, გვარად პრონინი, რომელიც ანხორციელებდა ოპერატიულ-საგამოძიებო მეთვალყურეობას უშუალოდ სამინისტროს მუშაკებზე და მათი ოჯახის წევრებზე. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ამხანაგ პრონინს სურდა უშუალოდ გამცნობოდა (რომ იტყვიან, თვალებში ჩაეხედა, აქვე, უშიშროების სამინისტროს შუაგულში), «აი ნახეთ, როგორ სადაზვერვო აქტიურობას იჩენენ ჩვენი ყოფილი «მეგობრებიო», კერძოდ _ საქართველო, უკრაინა, ბალტიისპირეთიო! ამ დღეებში სოჭის სასტუმროში დავაკავეთ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ორი ოპერატიული მუშაკი, რომლებიც ჩქარა აღიარებენ თავიანთ საჯაშუშო ქმედებასო». მე არ ვიცი, რას აღმოაჩენენ ის თქვენ მიერ დაკავებული ქართველი ჯეიმს ბონდები, ერთი კი ვიცი, და ვერ წარმომიდგენია სოჭში, სასტუმროში თეორიულად და პრაქტიკულად რა სადაზვერვო ინფორმაციის შეკრება შეიძლება-მეთქი, ჩემი გაგებით, იქ არავითარი სადაზვერვო პოზიციები არ არსებობს-მეთქი, ისიც ვერ წარმომიდგენია რუსეთის პასუხსაგები ჩინოვნიკები ამ ფინანსურად გაღლეტილ სახელმწიფოს ასევე გაღლეტილ ბავშვებთან როგორ ითანამშრომლებენ-მეთქი. შეიძლება ძალიანაც არ მოეწონა ჩემი ნათქვამი, მაგრამ ერთს კი დამპირდა: «როგორც კი გამოვააშკარავებთ ამ «მზვერავების» საქმიანობას, როგორც რუსეთში იციან სანაძლეო, ერთი ბოთლი არაყი თქვენზე იქნებაო». რატომ ერთი ბოთლი, მზად ვარ ხუთიც დაგიდგათ, თუ ამის დამამტკიცებელ საბუთებს მოიპოვებთ, ოღონდ არა ვიშინსკის მეთოდებით-მეთქი. სამსახურეობრივი მოვალეობა არ აძლევდა გენერალს პირში მოეხალა ჩემთვის: «შენ თვითონ, შენ თვითონ ვინა ხარო?» მაგრამ, ეს ხომ მისი პრობლემა იყო. მე კი, რა თქმა უნდა, იმ დღეებში სახუმაროდ და სასაცილოდ ნამდვილად არ მქონდა საქმე... შემდეგში ისე თქვენ გაგიმართლოთ, როგორც მე გამიმართლა. რამდენიმე დღეში ის ორი საწყალი «მზვერავი» საქართველოს გადასცეს ჩუმად და მორცხვად ისე, რომ ბოდიშიც არ მო-უხდიათ. შემდეგ ჩემი უფროსი, სულ რაღაც ორ თვეში, მინისტრად დაწინაურდა. როგორც არაერთხელ მომიყვა, პირველი, რაც გააკეთა, გამოიძახა ეს შენი პრონინი და შეეკითხა, რა საქმეებს ამუშავებ შენს დაქვემდებარებულ სამმართველოშიო (მანამდე ამის უფლება მას არ ჰქონდა, რადგანაც ეს სამსახური მხოლოდ მინისტრს ემორჩილება და მეტს არავის ე.ი. არც ერთ მის მოადგილეს). მცირე პაუზის შემდეგ ამ ყველა დროის და თაობის ვაი-მზვერავს თუ კონტრდაზვერვის მუშაკს უტიფრად მოუხსენებია: «გვაქვს რამდენიმე ოპერატიული შესწავლისა და დამუშავების საქმე უშიშროების სამინისტროს მუშაკებზე, მაგრამ ყველაზე პერსპექტიულად მიგვაჩნია ოპერატიულ-აგენტურული საქმე ჩვენს ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკზე, როგორც უცხოეთის დაზვერვის აგენტზეო», _ და დაუსახელებია ჩემი გვარი. დაახლოებით

ერთ წელიწადს ელოდა ამ დიალოგს! ანდა საიდან იცოდა ჩემმა უფროსმა, რომ მინისტრად დანიშნავდნენ, ვინაიდან მაშინდელი მინისტრი ბარანიკოვი უშუალოდ პრეზიდენტ ელცინის ძმაკაცი და არყის სმაში პარტნიორი იყო, მაგრამ ღმერთმა ასე ინება, უღალატა ძმაკაცმა პრეზიდენტს და ნ. გოლუშკო მინისტრის სავარძელში აღმოჩნდა. როგორც შემდეგში არაერთხელ მიამბო, როგორც პირადად მე, ისე მეგობრების წრეში, პრონინისთვის დაახლოებით ასე უპასუხია: «ეს რომელია, ჩემი თანაშემწე რომ იყო, როცა მინისტრის პირველი მოადგილე გახლდითო და ახლა როგორც მინისტრის _ ჩემი მრჩეველი არისო!» «დიახ, ბატონოო», _ მოუხსენებია ამ ვაი-მზვერავს. «მერე ეს როგორო, აქ, სამინისტროს ცენტრში, მის შტაბში, ასეთ გარემოცვაში უცხო ქვეყნის მზვერავი გყოლიათ და მე არაფერი ვიცოდიო, ანდა, რატომ არ ჩათვალეთ საჭირო ამის შესახებ გაგეფრთხილებიეთო?» როგორც ყოველთვის, დამნაშავეები მკვდარ მოწმეებს რომ დააბრალებენ, ისე უპასუხია: « მე რა მექნა, მინისტრმა მიბრძანაო». აკი მოგახსენეთ, ძალზე ფრთხილი ადამიანი იყო და არის ბატნი ნ. გოლუშკო და ამიტომაც დიდხანს არ გაუგრძელებია საუბარი ამ ადამანთან. გამოუღია სეიფიდან ჩემი მოგზაურობის შესახებ ასლი, იმ წერილის ასლი, რუსეთის პრეზიდენტის სახელზე რომ გაიგზავნა ჩემი მოსკოვში ჩასვლის შემდეგ და მიუცია წასაკითხად ამ გენერლისათვის. ისიც დაუყოლებია: «აბა, ეს რა პროფესიონალიზმია, ანდა რა დილეტანტობა, უფრო სწორად, ჩემი პიროვნების მიმართ მიმართული აქცია უფრო არის ამ საქმის წარმოებაო». ეჰ, გაშავებულა და გაყვითლებულა ამხანაგი გენერალი, მაგრამ რა უნდა ექნა?! ასე იცის ზედმეტმა იდიოტურმა ინიციატივის გამოჩენამ და პირადმა მლიქვნელობამ. ვერ გათვალა წინასწარ, რა შედეგი მოჰყვებოდა მის ასეთ «შემოქმედებას», ვინაიდან ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, რომ მის საყვარელ მინისტრს გააძევებდნენ და ნ. გოლუშკო მის სავარძელს დაიკავებდა. უფრო სწორად, მას შებრუნებული შედეგის მიღწევა სურდა: რუსეთის უშიშროების სამინისტროში უცხო ქვეყნის (საქართველოს) შპიონის დაპატიმრება, ამით მისი უფროსის _ მინისტრის პირველი მოადგილის დისკრედიტაცია, მისი სამარცხვინო გაძევება სამინისტროდან, მაგრამ, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: მინისტრი გააძევეს, ხოლო თვითონ ორ კვირაში ნაკლები მოცულობის სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, სადაც ნაკლებ სისულელეების ჩადენას შესძლებდა, რუსეთის საბაჟოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს, ერთ წელიწადში კი იქიდანაც გააძევეს კორუპციის ფაქტის გამო.

ყოველივე ამის შემდეგ მეც მოვედი ცოტა ხუმრობის ხასიათზე და, რამდენადაც შემეძლო და რამდენ საშუალებასაც მაძლევდა ჩემი იუმორის ნიჭი, ვეხუმრებოდი როგორც საქართველოში უშიშროების უკვე ყოფილ მინისტრებს, ისე რუსეთში ამ «დიდ მზვერავს», თუმცა, კარგად რომ დავაკვირდეთ, ეს ისტორია მთლად სასაცილო არ გახლავთ.

ძველი ჩეკისტის ნაამბობი და სხვა

1977 წელია. უკვე მეორე წელია, რაც ქუთაისში ვმუშაობ, საქართველოს უშიშროების კომიტეტის ქუთაისის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

ახლა, ე.წ. «ვარდების რევოლუციის» შემდეგ, არავის უკვირს, 25-30 წლის ახალგაზრდები რომ მინისტრებად მუშაობენ. ხანდახან ეკრანს რომ ვუყურებ, თავი სადღაც არარეალურ სამყაროში მგონია. თითქოს ეს ხალხი ბავშვობის სახლობანას

თამაშობენ და ჩვენ კი თეატრალური სპექტაკლის მაყურებლები ვართ-მეთქი. მაგრამ ვაი, რომ სინამდვილე უფრო მკაცრია და ჩვენ რეალური მოვლენების მომსწრენი ვართ და არა თეატრალური წარმოდგენისა, რომელიც ადრე თუ გვიან მთავრდება და შენ უბრუნდები რეალობას. არა, ეს ასე არ არის, უფრო სწორად _ პირიქით ხდება და ამას ვერსად გაექცევი.

მითუმეტეს, ძალიან საინტერესოა «მოსაზრებანი» ერთი ახალგაზრდისა, მთავრობაში თუ ხელისუფლებაში მთავარ პოლიტიკურ რუპორს რომ წარმოადგენს და ხალხს «წარმატებით» უხსნის ეკრანიდან საგარეო პოლიტიკის ნიუანსებს, საშინაო პოლიტიკის ანაბანას თუ აბორტის სავალალო შედეგებს მოსახლეობის გამრავლების საქმეში.

მაპატიეთ, სიტყვა გამიგრძელდა. იმას მოგახსენებდით, მაშინ 70-ანი წლების შუალედში 34 წლის კაცისთვის ასეთი თანამდებობა დიდ პატივად ითვლებოდა და პერსპექტივის საშუალებებს აძლევდა ადამიანს.

1977 წელს ახლოვდებოდა 100 წლისთავი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის «რკინისებური» ჩეკისტის, ჩეკას პირველი თავმჯდომარის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის დაბადებიდან, რისთვისაც მთელი საბჭოეთი ემზადებოდა და მითუმეტეს საქართველოს ჩეკისტური ორგანიზაცია. მახსოვს, ერთ-ერთმა ქუ-თაისელმა მოქანდაკემ ჩვენი თანამშრომლის მეშვეობით შემოიტანა წინადადება, რომ მისი თაბაშირში ჩამოსხმული ძერჟინსკის ძეგლი ქუთაისის უშიშროების განყოფილების ეზოში დაგვედგა. ჩვენმა ამ «ინიციატივამ» თბილისში და მოსკოვში დიდი მოწონება დაიმსახურა და შევუდექით საქმეს.

აქ ცოტა უკან უნდა დავბრუნდეთ. ორიოდე სიტყვით მინდა მოგითხროთ თუ რა ისტორიულ შენობაში იყო განთავსებული მაშინდელი უშიშროება. ეს იყო XVIII საუკუნის არქიტექტურული ტიპის შენობა, სადაც ადრე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი პრინცი ოლდენბურგი ცხოვრობდა (თუ მისი რეზიდენცია იყო). 70-ანი წლებისათვის შენობა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საყრდენი ბოძები ირყეოდა. ქვის უზარმაზარი ჩუქურთმები ყოველდღე შეიძლება ჩამოვარდნილიყვნენ და დაეზიანებიათ გამვლელნი. ამიტომაც თბილისის და ქუთაისის აღმასკომს გამოვაყოფიეთ თანხები და გავარემონტეთ ისტორიული ძეგლი.

ერთი ძალიან ლამაზი ლეგენდაც არის დაკავშირებული ამ შენობასთან. პირდაპირ ქუჩას გადმოჰყურებს დიდი აივანი შენობის მთავარი ოთახისა, სადაც განთავსებული იყო თურმე ქუთაისის გენერალ გუბერნატორის სამუშაო კაბინეტი. ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით შუადღისას, ქუთაისის ბულვარში სასეირნოდ გამოსულა სვანი თავადი _ წლოვანებით ახალგაზრდა დადეშქელიანი, რომელიც თურმე მაღალი აღნაგობისა (210-212 სმ) გახლდათ. ქუთაისის ბულვარში მოსეირნე ახალგაზრდა თავადებს ნახევრად ხუმრობით მიუხლიათ დადეშქელიანისათვის, რომ ის სტუმარი კი არ არის ქუთაისის გენერალ გუბერნატორისა, არამედ ჩვეულებრივი ტყვე, რომელსაც აკრძალული აქვს სამშობლოში _ სვანეთში დაბრუნება (მართლაც ისტორიულად მტკიცდება ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიის მესვეურებმა სვანეთიდან გამოასახლეს დადეშქელიანების გვარი და აღარ აპირებდნენ მათ იქ დაბრუნებას). ამ რეპლიკას საკმაოდ გაუფიცხებია ახალგაზრდა დადეშქელიანი, დახტომია ცხენს და გაუჭენებია ოლდენბურგის სასახლისაკენ... საუბედუროდ ისევე, როგორც თბილისში, როცა დარეჯან დედოფალმა რუსი გენერალი მოჰკლა შეურაცხყოფისათვის, აქაც თარჯიმანი არ დახვედრია და გამხეცებულ დადეშქელიანსა და რუს გენერალს ერთმანეთისა ვერა გაუგიათ რა. როგორც მოწმეების დაკითხვის შემდეგ გარკვეულა, რუს გენერალს სიტყვა «Собака»

რამდენჯერმე გაუმეორებია. მართალია, დადეშქელიანი რუსულზე საკმაოდ მწყრალად იყო, მაგრამ სიტყვა «Собака» კი კარგად სცოდნია და ამ სიტყვაზე მას რუსი გენერლისათვის ხანჯალი ჩაუცია (თვითმხილველების და მოწმეების ჩვენებით, ეს ხანჯალი საკმაოდ დიდი ყოფილა). შემდეგ თავადი გავარდნილა აივანზე, იქიდან პირდაპირ ცხენზე დამხტარა და გაუქუსლია. მისი გაჩერება ვერავინ ვერ შესძლო, მაგრამ რიონის პირას ჩასაფრებულ რუს ჯარს შეჰყრია, რომლებსაც ხიშტებზე აუგიათ თავადი დადეშქელიანი...

როგორც მოგახსენეთ, შენობა ასე თუ ისე გავარემონტეთ (სამწუხაროდ, ეს რესტავრაცია არ იყო, ვინაიდან ამის თანხებს არავინ მოგვცემდა) და ვემზადებოდით ფელიქსის ძეგლის გასახსნელად.

უნდა მოგახსენოთ, რომ შენობას შესანიშნავი ტყით დაბურული შიდა ეზო ჰქონდა და ემიჯნებოდა ქუთაისის «დინამოს» სტადიონს.

ერთ მშვენიერ დღეს, სადილობის დროს, ეზოში რომ ვისვენებდი, შევნიშნე: შენობაში შემოვიდა ჩია ტანის, ჩეკისტის ფორმაში გამოწყობილი მაიორი. ეს პიროვნება ადრეც შემიმჩნევია ჩვენს შენობაში. ჩემს კითხვაზე თანამშრომლებმა მითხრეს, 80-ს გადაცილებული ჩვენი კოლეგაა, ჩვენს ბუფეტში დადის სიგარეტის შესაძენადო (კარგი სიგარეტი მაშინ დეფიციტი იყო). დადის და დადის, იაროს _ ვიფიქრე და ამით ამოვწურე მაშინ ეს საკითხი. ამჯერად კი არ ვიცი, რა «ბზიკმა მიკბინა», მოვინდომე მასთან გასაუბრება. ვიფიქრე: ახლოვდება საიუბილეო დღეები, ეს კაცი გამოცდილი, ჭარმაგი ჩეკისტია, მოვუწყობთ შეხვედრას, ვაჩუქებთ რაღაცას, ისიც გვიამბობს თავის მუშაობაზე, ძველი კოლეგების შესახებ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. რა გულუბრყვილო უნდა იყო კაცი, რომ ეს იფიქრო?! ნუთუ არ უნდა წარმომედგინა, თუ როდის მუშაობდა ეს კაცი უშიშროების ორგანოებში?! მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. დაცვას ვთხოვე მოეპატიჟებინა ეს პიროვნება ბაღში, სადაც მინდოდა დავლაპარაკებოდი, მომეწვია ძეგლის გახსნაზე და კოლექტივთან შეხვედრაზე. ეზოში სკამზე ვზივარ და ამ დროს მომიახლოვდა მხცოვანი ჩეკისტი. თავაზიანად მოვიპატიჟე სკამზე, მოვიკითხეთ ერთმანეთი, მე ავუხსენი ჩემი მოპატიჟების მიზანი, შევეკითხე სად და რა წლებში მუშაობდა ჩვენს ორგანოებში. მოხუცი შესანიშნავი მოსაუბრე აღმოჩნდა. დაახლოებით მომიყვა შემდეგს: ორგანოებში მოვიდა ჯერ კიდევ ოციანი წლების შუალედში, იმუშავა დაახლოებით ოცდაათი წელი, მუშაობდა ამავე შენობაში, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებოდით. 30-ან წლებში იყო ВЧК-ში ЧОН-ის რაზმის უფროსი (ЧОН _ ბანდიტიზმთან მებრძოლი სპეციალიზირებული ოპერატიული სამხედრო ქვეგანაყოფი). იმავე ЧОН-ის უფროსი გახდა სამამულო ომის დროს და მის რაზმს რამდენიმე შეტაკება მოუხდა 1941-1942 წლებში გერმანელ დივერსანტებთან. ჩემს კითხვაზე _ ხომ არ გაიხსენებდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების რაიმე საინტერესო ეპიზოდს, მოხუცი გამოცოცხლდა და მითხრა: რა თქმა უნდა, ბევრი საინტერესო მახსოვს, ბევრის მოგონება შემიძლიაო, და მაგალითად გაიხსენა ერთი ეპიზოდი: «დაახლოებით 30-ანი წლების შუალედი იყო. მე, ახალგაზრდა ლეიტენანტი, ამ შენობაში ვმუშაობდი, ЧОН-ის უფროსი ვიყავი. აი, ხომ ხედავთ, თქვენი შენობის მარჯვნივ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს. ერთ დროს ინჟინრების საერთო საცხოვრებელი იყო. ქუთაისში რაღაც საკავშირო მნიშვნელობის რომელიღაც ობიექტის მშენებლობა დაიწყეს. ჯერ ეს სახლი ააშენეს, სადაც საცხოვრებლად რუსეთიდან ჩამოსული ინჟინრების ოჯახები ცხოვრობდნენ. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ო, რა ცოლი ჰყავდა ამ კაცს! სახელი ახლაც მახსოვს _ ოლია. არა მგონია, ასეთი ლამაზი ქალი თუ დადიოდა მაშინ ქუთაისში. მეც ახალგაზრდა ვიყავი და დავუწყე არშიყი ამ ქალს. მთელი დღე

მისი ფანჯრის წინ დავაჭენებდი ცხენს, საჩუქრებიც გავუგზავნე, მივანიშნე კიდეც, მაგრამ რად გინდა, ყველა ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა, არაფრით არ მემორჩილებოდა, არავითარ კონტაქტზე არ მოდიოდა, პაემანზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ერთი სიტყვით, ცივი უარი მივიღე. არადა მისი ტრფიალი მოსვენებას არ მაძლევდა... ერთ მშვენიერ დღეს მილიციელს მოვაყვანინე ეს ოლია ჩემს კაბინეტში და ავუხსენი ჩემი «გაჭირვებული» მდგომარეობა, რას არ ვპირდებოდი, მაგრამ ვერ დავითანხმე... საუბრის ბოლოს, როცა დარწმუნების ყველა ხერხი ამომეწურა, ვუთხარი, თუ არ დამემორჩილები, შენს ქმარს დავიჭერ და გავაციმბირებ-მეთქი. ამ სიტყვებზე ხარხარი დაიწყო და დაცინვით მითხრა: ქმარი რა შუაშია, შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალეო... მე კიდევ ერთხელ გავუმეორე ჩემი მუქარა და დავპირდი, თუ ზეგ 12 საათზე ამა და ამ ადგილზე არ მოხვალ, მაშინ ვნახოთ ვინ გაიცინებს-მეთქი. ამით დამთავრდა მაშინ ჩვენი საუბარი. მოუთმენლად ველოდი პაემანის დღეს. წავედი დანიშნულ ადგილას ფაეტონით და ამაოდ ველოდე თითქმის 2-3 საათი. გაბრაზებული დავბრუნდი სამსახურში და რამდენჯერმე გავიჯირითე მისი ფანჯრების წინ, მაგრამ ამაოდ, არავინ მომაქცია ყურადღება. მეც გავაკეთე ის, რაც ჩაფიქრებული მქონდა. მეორე დღეს, დილით, ჩავუსაფრე მილიცია სამსახურში მიმავალ ოლიას ქმარს, დავაპატიმრეთ ისე, რომ არავისთვის არაფერი მითქვამს და მოვათავსე ამ შენობის სარდაფში წინასწარი პატიმრობის საკანში. გავიდა ორი დღე და იკადრა ჩემმა ოლეჩკამ ჩემთან მოსვლა. შემოვიდა კაბინეტში ტირილით და მთხოვა უდანაშაულო ქმრის განთავისუფლება. დამპირდა, ხვალ აუცილებლად გამოვალ პაემანზე დანიშნულ ადგილასო, ოღონდ ქმარი გაანთავისუფლეო. მეც შევპირდი, ამ საღამოს, როგორც შებინდდება, გაგინთავისუფლებ ქმარს-მეთქი... და «დამშვიდებული» ოლია წავიდა სახლში... მაგრამ ჩემი სიხარული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩვენი საუბრიდან 2-3 საათში განგაში გამოცხადდა: თბილისიდან დარეკეს და გვიბრძანეს ЧОН-ის რაზმი (30 ცხენოსანი მეომარი) სასწრაფოდ სვანეთში გადაგვესროლა, რომელიღაც ბანდასთან საბრძოლველად. იმ სისწრაფეში ვის ახსოვდა შენი ოლია ან მისი ქმარი... დაახლოებით სამ საათში მე ჩემი რაზმით უკვე სვანეთის გზაზე მივიჩქაროდი. იმაზე ვფიქრობდი, თუ სად და ვისთან მოგვიხდებოდა ბრძოლა, ვინაიდან გვითხრეს, საბრძოლო დავალებას, მესტიაში რომ ახვალთ, იქ მიიღებთ თბილისიდან ჩამოსული უფროსებისაგანო...

ეჰ, რას ვაკეთებდით იქ, ვის ვებრძოდით, ეს ალბათ ცალკე მოსაყოლია. ერთი კია, რომ ამ ბრძოლაში შვიდი მებრძოლი დაგვეღუპა. საბრძოლო ამოცანა შევასრულეთ და დაახლოებით თვენახევრის შემდეგ დავბრუნდით ქუთაისში. ვერ ვიტყვი, რომ შორეული სვანეთის იმ ბრძოლებში ხშირად მახსენდებოდა ოლეჩკა ან მისი ქმარი, ცოცხალი გადავრჩებოდი თუ არა, ისიც კი არ ვიცოდი.

ერთი სიტყვით, ჩამოვედი ქუთაისში, შევედი კაბინეტში, ცოტაოდენ დავისვენე და მოვიკითხე ჩემი პატიმარი ე.ი. ოლიას ქმარი. მოკითხვით კი მოვიკითხე, მაგრამ რად გინდა? არცერთ საკანში არ აღმოჩნდა. ჩემს შეკითხვაზე გამომძიებელმა მიპასუხა: დაახლოებით ერთი თვის წინ ორმა თუ სამმა პატიმარმა სცადა ციხიდან გაქცევა და სამორიგეო ნაწილმა ადგილზე გაანადგურაო. მოვიკითხე დახოცილთა სია და მათ შორის არ აღმოვაჩინე ეს უბედური ოლიას ქმარი?! რა მექნა? მეწყინა, მაგრამ აბა ჩემი წყენა რას უშველიდა ამ საქმეს?!».

ახლა, როცა ყოველივე ამას ვწერ და ვიგონებ იმ ძველი გადმოსახედიდან, ასე მგონია, რომ ახალს არაფერს ვყვები ჩვენს შავბნელ წარსულზე. მკითხველი საკმაოდ შეეჩვია ასეთი «ეპიზოდების» მოსმენას, მაგრამ მაშინ?.. მაშინ ჩემთვის ყოველივე ეს დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო. რა მექნა არ ვიცოდი. თითქოსდა თვალებში

ბურუსი ჩამიდგა. ვერც ამ მოხუცებულს ვხედავდი, მისი ხმაც რაღაც შორიდან მომესმოდა. ეს კია, სასწრაფოდ ავდექი და გავეცალე იქაურობას. რაღაც წავილუღლუღე თავის გასამართლებლად და სამუშაო ოთახში ჩავიკეტე. ორი-სამი საათის განმავლობაში არავინ მიმიღია. ტელეფონების ზარსაც არ ვპასუხობდი... და ვფიქრობდი, ვსაყვედურობდი ჩემს თავს ამ გამოჩენილი იდიოტური ინიციატივის გამო. პირველი, რაც აზრად მომივიდა, იყო: ამეკრძალა ამ კაცისათვის ჩვენ შენობაში შემოსვლა. შემდეგში ეს მოსაზრება უარვყავი, რა აზრი ჰქონდა ამას? ვის ან რას დავუმტკიცებდი ამით? ვინ მომისმენდა და ვინ გაიზიარებდა ამ ჩემს აზრს? შემდეგში უფრო მეტიც მელოდა: ქუთაისიდან დაბრუნებულს _ თბილისში _ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას _ მომიხდა რამდენიმე ათეული, თუ ასეული არა, რეპრესირებულთა საგამომძიებლო «საქმეების» გაცნობა, და უკვე შემეძლო სტრიქონებს შორის ამომეკითხა მათი ცხოვრებისეული ტრაგედიები.

ერთადერთი ბოლო საქმე, რომელიც წავიკითხე რეპრესირებულთა საქმეებიდან, ბიძაჩემის დავით გაბუნიას (დეიდაჩემის ქმრის) საქმე იყო... მე უკვე მოსკოვში ვმუშაობდი. ერთ-ერთ მორიგი შვებულებისას თბილისში ყოფნის დროს, ვთხოვე ამხანაგს, საქართველოს კაგებეს მეათე გაყოფილების (არქივის) უფროსს ამ საქმის გაცნობა. მანამდე თავს ვიკავებდი. არ ვიცი, რატომ. ალბათ იმიტომაც, რომ არ მინდოდა საწყალი დეიდასთვის და დეიდაშვილებისათვის ტრავმა მიმეყენებინა. ე.წ. «საქმე» სულ 12-15 ფურცელს წარმოადგენდა: დასმენის ანონიმური წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბიძაჩემი ტროცკისტია, რადგან მენშევიკურ ჯარში ოფიცრად მუშაობდა და ა.შ. მერე _ მხოლოდ ორი დაკითხვის ორფურცლიანი ოქმები და ბოლოს _ «ტროიკის» განაჩენი: «მიესაჯოს 10 წლის პატიმრობა, სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევით და ყოველგვარი მიმოწერის აკრძალვით». ეს განაჩენი ფაქიურად დახვრეტას ნიშნავდა, ანდა უფრო სწორად _ ადამიანის ცოცხლად დამარხვას. საქმეში იყო აგრეთვე საწყალი დეიდაჩემის ორი თუ სამი წერილი, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების მოხელეებისადმი თხოვნით, ობიექტურად განეხილათ მისი მეუღლის საქმე. მაგრამ ეს წერილები ყოველგვარი რეაგირების გარეშე იყო ჩაკერებული საქმეში.

დეიდა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ფიქრადაც არ მომსვლია, მისთვის მომეყოლა ეს ამბავი. ერთი კი გავაკეთე: ვთხოვე, მოეყოლა თუ როგორ დააპატიმრეს ბიძია. აი რა მიამბო: «1937 წელს ბიძაშენი ქ. ბათუმის აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ვცხოვრობდით ქალაქის ცენტრში, კეთილმოწყობილ სამოთახიან ბინაში. ბიძაშენი შვებულებაში გავიდა, დილით, ადრე დაახლოებით ათ საათზე ოჯახით დასასვენებლად უნდა გავმგზავრებულიყავით. მანქანაც იყო ათი საათისთვის გამოძახებული. ამ დროს, დაახლოებით ათის ნახევარზე კარებზე ზარის ხმა გაისმა. აღმასკომის შიკრიკი მოვიდა და ბიძაშენს უთხრა, _ არ ვიცი, რას ეძებენ სამსახურში, რომელიღაც საბუთს ეძებენ, ვერაფრით ვერ მიაგნეს და გთხოვეს, თუ შეიძლება ერთი 10-15 წუთით გადმობრძანდეთ (აღმასკომის შენობა სახლთან რაღაც 70-100 მეტრში იყოო) და მოაძებნიოთ ის დოკუმენტიო. ამაზე ბიძაშენი გაბრაზდა. ეს რა ხალხია, შვებულებაშიც კი არ მასვენებენო. ახლავე მოვალ, მოვუნახავ იმ დასაწვავ საბუთს, დამელოდეთ, მოვალ, ერთად დავლიოთ ჩაი და გავემგზავროთო... ამ სიტყვებით გამოეთხოვა საწყალი ცოლ-შვილს და, ისე დალიოს შენმა მტერმა, შვილო, ჩაი, როგორც ბიძაშენმა იმ დღეს დალია... ამის შემდეგ ხარკოვამდე გავყევი ეშელონს, რომლითაც პატიმრები მიჰყავდათ. რაც კი ოქროულობა და ფული მქონდა, ყველაფერს მატარებელში დაცვას ვაძლევდი, ხანდახან პურს ვუგზავნიდი ქმარს, თბილი ტანსაცმელიც გავუგზავნე, შემდეგში მე და კიდევ ოთხი თუ ხუთი ქალი,

ჩემსავით გაუბედურებულები, მატარებლიდან გადმოგვყარეს. ფეხით ძლივს გავიარეთ ალბათ ათი თუ თხუთმეტი კილომეტრი. დავბრუნდით ხარკოვში, შემდეგ _ რის ვაივაგლახით _ საქართველოში. ბავშვები ნათესავებთან (დედაშენთან) მყავდა მიბარებული. დავბრუნდი ბათუმში. ერთი კვირა ვიცხოვრე ბინაში, შემდეგ აღმასკომიდან და მილიციიდან მოვიდა ხალხი. ბურანში მესმოდა მათი ხმა: «თქვენ ტროცკისტის _ ხალხის მტრის ოჯახი ხართ, ამხელა ფართობის დაკავების უფლება არა გაქვთ, აქვე გამოგიყოფთ ერთ ოთახს ანდა ქალაქში სხვა ერთოთახიან კომუნალურ ბინაში გადაგიყვანთო». შემეშინდა, მეც არ დამიჭირონ-მეთქი (რაც მაშინ არც თუ ისეთი იშვიათობა იყო) და საერთოდ გავეცალე იქაურობას, სოფელში დეიდაშვილებთან წავედი ბავშვებთან ერთად საცხოვრებლადო»...

დაახლოებით 1986-1987 წელია. გამომიძახა საკავშირო კაგებეს საინსპექციო-ორგანიზაციული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გენერალმა პოდგაინიმ. როცა შევედი, თათბირი იწყებოდა. გენერალმა შეკრებილ ოფიცრებს (სხვადასხვა სამმართველოების მუშაკებს) გამოგვიცხადა, რომ ერთ კვირაში ამ კაბინეტში შეკრებილნი _ დაახლოებით 10-12 ოფიცერი _ მისი მეთაურობით უნდა გავმგზავრებულიყავით მაგადანის ოლქის უშიშროების კომიტეტის სამმართველოს საინსპექციო შესამოწმებლად (ასეთი შემოწმებები საერთოდ გეგმიური იყო). მართალი გითხრათ, ამ ბრძანების მოსმენამ იქვე კაბინეტში უსიამოვნო მოგონებები გამოიწვია ჩემს გონებაში. რა უცნაურია?! მართლაც ბედის ირონიაა, ზევით უკვე გაგაცანით ჩემი «ბედნიერი» ბავშვობა, ჩემი ოჯახის გამგზავრება მაგადანში. შემდეგ იქ მამაჩემის ტრაგიკული სიკვდილი და სხვა უარყოფითი ემოციები, რაც შორეულ აღმოსავლეთში განიცადა ჩემმა ოჯახმა, საწყალმა დედამ და ძმამ, და ახლა კიდევ ერთხელ უნდა ჩავსულიყავი იქ, კიდევ ერთხელ გონებაში გამეტარებია ყოველივე ეს, მაგრამ რას ვიზამდი, როცა სამხედრო ხარ და სამხედრო ფარაჯა გაცვია, თითქმის გამორიცხულია დაუმორჩილებლობა. ერთხელ, მახსოვს, ჯერ კიდევ თბილისში ვმუშაობდი და იქ მოხდა ასეთი ფაქტი: ერთ ოფიცერს (გვარს არ დავასახელებ, თავისი ცოდვა თითონ ეყოფა და მისი შვილები და შთამომავლები რა შუაში არიან, თუ მათი მამა უბრალოდ მშიშარა კაცი აღმოჩნდა) უბრძანეს დაახლოებით ერთ თვეში მივლინებაში გამგზავრება ავღანეთში. მან პირველი, რაც გააკეთა, შეაგროვა სხვადასხვა სამედიცინო ცნობები მეუღლისა და შვილების ავადმყოფობის შესახებ, წარადგინა კადრებში, ჩართო ნაცნობი მფარველების არმია და ამგვარად მიაღწია იმას, რომ თავიდან აიცილა ავღანეთში გამგზავრება. რა თქმა უნდა, ამ კაცის მაგივრად სხვა «შეარჩიეს» და ის გაგზავნეს. რამდენიმე თვეში შეტყობინება მოვიდა ავღანეთიდან: თქვენი ის «სხვა» ოფიცერი საბრძოლო დავალების შესრულების დროს გმირულად დაიღუპაო. ამ ფაქტის შემდეგ ამ ოფიცერს, როგორც მუნიანს, ისე ექცეოდნენ, არავის არ სურდა მასთან ურთიერთობა. ის კი არაფერს არ იმჩნევდა, აქაო და მე რა შუაში ვარო. თითქოსდა იურიდიულად მართლაც არაფერში დამნაშავე არ იყო, მაგრამ სინდისი? თუმცა რა აუცილებელია ყველას ჰქონდეს ეს სინდისი?

მაგადანში გამგზავრებას ისიც მიმძიმებდა, რომ ვიცოდი: 35 წლის შემდეგ იქაური კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მამის საფლავს ვერ მივაგნებდი, რადგან გადმოცემითაც ვიცოდი, რომ იქ, სადაც მამა დავასაფლავეთ, 40-50-ან წლებში რეპრესირებულებსაც ასაფლავებდნენ და ახლა, 80-ანი წლების დასასრულს, კულტურისა და დასვენების პარკი გაეშენებინათ, ბავშვებისათვის დიდი გასართობი ცენტრით, დაახლოებით მაგადანური დისნეილენდი მოუწყვიათ.

ზაფხულის თბილი ამინდები იდგა ქალაქში, თეთრი ღამეების ციკლი: დღე და ღამე სულ განათებული იყო. ვისაც ეს ბუნების მოვლენა არ უნახავს, მას ბევრი რამ

დაუკარგავს ცხოვრებაში. ასეთი ღამეები მინახავს სანკტ-პეტერბურგში, მურმანსკში, ვლადივოსტოკში, მაგადანში, ნორილსკში, დუდინკაში (პამირის ოლქი). არაჩვეულებრივი ბუნების მოვლენაა პოლარული თეთრი ღამეები. მთელი ღამის განმავლობაში ცაზე მზის გავარვარებული დისკოა ჩამოკიდებული. სპეციალურად სასტუმრო თუ საცხოვრებელ ბინებში მუქი ფერის ფარდებია ჩამოკიდებული, რომ მზისგან «დაიცვა» თავი და ღამის იმიტაცია მოახდინო, რათა შესძლო დაძინება და დასვენება. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საათობრივი რკალის დიდი განსხვავებაა (დაახლოებით 8 საათი), ჭირს დაძინება. მაგრამ ნუ გეშინიათ, ადამიანი ისეთი ცხოველია, ყველა პირობებს ეჩვევა, ციხის ჯურღმულებში სძლებს, წყალში და ტალახში მუხლებამდე ჩაფლული თვლემს, ფეხით ჩამოკიდებული არ კვდება და, ასე წარმოიდგინეთ, არც ბირმინგემის სასახლეში ცხოვრებაზე ამბობს უარს.

ამით იმის თქმა მინდოდა, რომ მთელი 10 დღის განმავლობაში, რაც მაგადანში მივლინებაში გახლდით, თითქმის ყოველდღე რამდენიმე საათით მარტო ვსეირნობდი და თვალით ვეძებდი მამის საფლავს. თითოეული გადადგმული ნაბიჯი კი მაგრძნობინებდა, თითქოს აი ახლა, ახლა დავაბიჯე მამის საფლავს ან ვინმე უცნობი მოქალაქის ან რეპრესირებული ადამანის საფლავს.

როცა გავიგე, რომ თბილისში ვერაზე, ე.წ. კიროვის პარკში, სულ რაღაც 30-ან წლებში ჯერ კიდევ სასაფლაო ყოფილა, მას შემდეგ იქ არ შევსულვარ. ერთი კი უნდა ითქვას: ის, ვინც წინაპრების საფლავებს პატივს არა სცემს და ანადგურებს, რათა იქ გასართობი პარკები შექმნას, ის ადამიანი, ალბათ ეშმაკისეულია. მისი ცოდვა ალბათ მის შთამომავლობასაც შეაწუხებს.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ, ერთ დღეს ვთხოვე სამმართველოს უფროსს, ნება მოეცა ჩამეხედა იქაურ არქივებში (მაინტერესებდა, რაიმე კვალი ხომ არ დარჩა ბიძაჩემის დავით გაბუნიას დაღუპვის შესახებ), ვინაიდან 1956 წლის რეაბილიტაციის ცნობაში მინიშნებული იყო, რომ 1937 წელს პატიმარ დ. გაბუნიას «ტროიკამ» 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მიმოწერის უფლების გარეშე, რაც ადამიანის ცოცხლად დამარხვას ნიშნავდა. ძნელი სათქმელია, რა უფრო «ჰუმანური» იყო განაჩენით, პირდაპირ დახვრეტა უწამებლად, თუ 10 წელი ნელ-ნელა ყოველწუთს ტანჯვა-წამება და შემდეგ, რა თქმა უნდა, სიკვდილი, როცა გამოგეცლება ყოველგვარი ფიზიკური თუ მორალური ნებისყოფა და ცოცხალ ლეშს დაემსგავსები. სტატისტიკით გახდა ცნობილი, რომ ასეთი მსჯავრდადებულების თითქმის 99% ციხეში ან გადასახლებაში დაიღუპა.

რეაბილიტაციის ცნობაში ეწერა, რომ დ. გაბუნია 1944 წელს გარდაიცვალა ქ. მაგადანში, გულის უკმარისობის გამო. ამიტომ დიდი ძებნა არ დამჭირვებია, მივაგენი პატიმარ დ. გაბუნიას ე.წ. პირად საქმეს, რომელიც სულ რამდენიმე ფურცლისაგან შედგებოდა. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა «საქმის» ბოლო ფურცლები: ერთხელ მაინც აღმოჩნდნენ უშიშროებისა და პროკურატურის მუშაკები მართლები: მართლაც, როგორც რეაბილიტაციის ფურცლით შეატყობინეს ოჯახს, დ. გაბუნია 1944 წელს ნოემბერში დაიღუპა, მაგრამ არა გულის უკმარისობით: სხვა პატიმრებთან ერთად დაუხვრეტიათ! ამ ეპიზოდსაც ასე დაწვრილებით ალბათ არ აღრიცხავდნენ, მათთვის უბედური შემთხვევაც რომ არ დამთხვეოდა ასეთ «ჩვეულ» ოპერატიულ ღონისძიებას: ბადრაგი, რომელსაც განუხორციელებია დახვრეტა (ათი კაცის შემადგენლობით), დაბრუნების დროს ქარბუქში მოხვედრილა, მანქანა გადაბრუნებულა და ხუთი ჯარისკაცი ადგილზევე გარდაცვლილა, ხოლო ორი ოფიცერი მიყენებული ჭრილობებისა და მოყინულობების გამო დაღუპულა. რო-გორც აღწერილია სამხედრო კომენდანტის პატაკში, ისინი სამხედრო პატივით

დაუსაფლავებიათ იცით სად? იქვე, სადაც საერთო საფლავში ჩაუყრიათ დახვრეტილები _ 87 კაცი და ქალი, ე.ი. ერთმანეთის გვერდით განუსვენებიათ უდანაშაულოდ დახვრეტილი პატიმრები და მათი ჯალათები... ეს კი ნამდვილად ბედის დაცინვა თუ ბედის ირონია იყო. ასე რომ, ჯაბუებისა და ჩიქოვანების ორივე სიძემ _ მამაჩემმა და ბიძაჩემმა _ თავისი სამუდამო განსასვენებელი მაგადანის მიწაში ჰპოვეს.

კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც აღწერილია ამ ე.წ. პატაკში: «დახვრეტის ადგილზე ხუთი სატვირთო მანქანით გავემგზავრეთ, მანქანები ხშირად ფუჭდებოდა, გვიხდებოდა მათი გზაზე შეკეთება. ამ დროს მანქანიდან ისმოდა პატიმრების განუწყვეტელი ყვირილი და შეძახილები: «ჩვენ დასახვრეტად მივყავართ, ჩვენ დასახვრეტად მივყავართ!» ბადრაგის ჯარისკაცები სპეციალურ საჩხვლეტ ჯოხებს უშენდნენ ბრეზენტით გადახურულ სატვირთო მანქანებს, ისმოდა ყვირილი და ტკივილით მიყენებული ვაი-ვიში... ამ ჯოხებით რომ ვერ დააწყნარეს პატიმრები, მაშინ მეორე ხერხს მიმართეს: აიღეს ხის ჯოხები, რომელსაც ერთ თავში გაკეთებული ჰქონდა საჩხვლეტი ხიშტი და მეორე მხარეს ჩაქუჩი, და ამ «ხელსაწყოთი» ჯერ ცხრილავდნენ ბრეზენტს, ხოლო შემდეგ ჩაქუჩებით აწყნარებდნენ პატიმრებს. ადამიანმა თვალი რომ დახუჭოს და უბრალოდ წარმოსახვაში წარმოიდგინოს ეს დამსჯელი სცენა, ალბათ ჭკუაზე გადავა, ანდა დავფიქრდეთ, რა არის ყოველივე ეს?! საერთო ფსიქოზი, სიგიჟე თუ რა? ანდა როგორი აგიტაციით და პროპაგანდით უნდა მოწამლო ადამიანის ფსიქიკა, რომ ასეთ უსიტყვო შემსრულებლად _ რობოტად აქციო?

ერთმა დაკითხვის მოწმემ (დაუკითხავთ უშიშროების კაპიტანი 1954 წელს, როცა ბერიას და მისი ჯგუფის გარშემო აგროვებდნენ მასალებს) აჩვენა: 1947 წლის იანვარში მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა, სადაც ჩვენი «მუშაობა» უარყოფითად იყო შეფასებული იმის გამო, რომ თითქოსდა არ ვიჩენთ საბჭოთა სახელმწიფოს მტრების მიმართ საკმაო სიმკაცრეს და ამიტომაც გადასახლების ადგილებში დისციპლინა საკმაოდ მოისუსტებსო. გენერლის ბრძანებით მაშინვე შედგა სადამსჯელო ბადრაგი, რომელიც გაემგზავრა ერთ-ერთ ბანაკში. პატიმრებს მუშაობა უკვე დაემთავრებინათ და ინვენტარს აბარებდნენ საწყობში. ესეც არ აცალეს, გამორეკეს ყველა სასწრაფოდ (ნეტა სად ეჩქარებოდათ?), ჩასხეს მანქანებში და იქვე ორი-სამი კილომეტრის გავლის შემდეგ ყველა _ 193 კაცი დახვრიტეს!!!

ისტორიის მეცნიერება თითქოსდა ცდილობს ამ ფსიქოზის (რეპრესიების ჩატარების) ან უარყოფას, ან მათი «აუცილებლობის» დამტკიცებას, მაგრამ ჯერჯერობით, არა მგონია, რაიმე დასაბუთებული დასკვნა გამოეტანოთ.

ამ საშინელებების მხოლოდ მოყოლა-დაფიქსირება არაა საკმარისი. საჭიროა ისეთი სახელმწიფო მექანიზმის შექმნა, რომ ყოველივე ეს არ განმეორდეს, საჭიროა შეიქმნას ობიექტური გამოძიების მექანიზმი, შედგეს ახალი საყოველთაო სასამართლო პროცესები, საჭიროა ამ პარანოიის დაგმობა სამართლებრივი წესით (კანონით). მაგრამ ეს ასე არ ხდება. პირიქით, პაპმა პავლე მეორემ 350-400 წლის წინათ ჩადენილი ინკვიზიციის ბოროტებებისათვის ბოდიში მოიხადა, გერმანიამ ბოდიში მოიხადა ებრაელების წინაშე, ბოდიში მოიხადა და კომპენსაციები გადაუხადა ომის დროს იძულებით გადაადგილებულ პირებს, საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრებს და ა.შ. არა მგონია, ამით კათოლიკური ეკლესიის ან გერმანიის სახელმწიფოს პრესტიჟი დაცემულიყოს?! პირიქით, ცივილიზებული ხალხის თვალში მათი პრესტიჟი მხოლოდ აიწია, მათ გადალახეს თავიანთი კომპლექსები, მოინანიეს ცოდვები, ბოდიში მოიხადეს... მაგრამ ბოდიშის მოხდა და მონანიება ყველას არ შეუძლია. რომ აღიარო დანაშაული და ბოდიში მოიხადო ჩადენილ დანაშაულებებზე, მაშინ ალბათ

მოგიხდება ფულადი კომპენსაციების გადახდა. ეს ფაქტი კი ისეთ ცხოველურ გაღიზიანებას იწვევს, რომ ამის შეგნება მათ ფსიქიკაში ფაქტიურად შეუძლებელია. არა მარტო სახელმწიფოს მეთაურები, არამედ ხალხიც უნდა იყოს მზად ამისთვის. განა გერმანელმა ხალხმა არ იცოდა, რომ კომპენსაციის თანხა მათი ჯიბეებიდან (ბიუჯეტიდან) გაიცემოდა? მერე რა? ვინმემ აიმაღლა საპროტესტოდ ხმა? არავინ, გარდა ყბადაღებული ნეონაცისტებისა.

მაგადანში, იმ ძველ სასაფლაოზე, სადაც განისვენებს მამა და ბიძაჩემი, სადაც განისვენებენ რეპრესირებული პატიმრები და მათი ჯალათები, ახლა, როგორც მოგახსენეთ, კულტურისა და დასვენების პარკია, საბავშვო გასართობი მოედნებით, ზაფხულში საცეკვაო მოედნებით, კაფეებით და რესტორნებით. იმ მონაცემებით, რომელსაც მე ვფლობ, აქ დასაფლავებულია დაახლოებით 56900 ადამიანი, მათ შორის _ 13997 ქართველი. ამ ადგილზე პარკი კი არ უნდა იყოს გაშენებული, არამედ _ საერთო მემორიალი რეპრესიებში დაღუპულებისა, მაგრამ მემორიალი რომ ააშენო, უნდა აღიარო სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის დანაშაულებრივობა. მაგრამ ამისათვის ვართ კი მზად? არა, არა ვართ! ყოველ შემთხვევაში, ის, ვინც ამისათვის მზად უნდა იყოს, არ არის მზად და ღმერთმა უწყის, როდესმე მოემზადება კი?

მერედა, ამოიღო ვინმემ ხმა, ანდა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაგმეს ეს უმსგავსობა, ანდა ეროვნულმა ინტელიგენციამ აიმაღლა ხმა ყოველივე ამის წინააღმდეგ?.. არა და არა! და ყველანი მორცხვად გაჩუმდნენ. ეს სიჩუმე და უმოქმედობა კი შემდეგში ძვირად უჯდება საზოგადოებას და კაცობრიობას... ისინი გაჩუმებულები იყვნენ გასული საუკუნის 20-ანი წლებიდან, როცა ევროპის და აზიის ორ წამყვან ქვეყანაში _ გერმანიისა და რუსეთის (საბჭოთა კავშირის) იმპერიებში სისხლიანი ნიაღვრები მოედინებოდა და შემდეგ მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს, არც მეტი და არც ნაკლები!..

ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთმა ტყვემ, გერმანელმა პასტორმა თავის მემუარებში ჩაწერა: «მე გავჩუმდი, როცა ფაშისტები კომუნისტებს ანადგურებდნენ, მე ვდუმდი, როცა ებრაელებს დაუწყეს ჟლეტა, დარბევა... მერე, როცა ჩემს დასაპატიმრებლად მოვიდნენ, უკვე არავინ დარჩა, ვინც მე დამიცავდაო». სრული ჭეშმარიტებაა. დღეს მსოფლიო ისეა მოწყობილი, რომ არავის არ გამოუვა, იცხოვროს ცნობილი რუსული ანდაზით: «Моя хата с краю!» არ გამოვა! გაჩუმება, დადუმება ისევ კატასტროფამდე მიგვიყვანს!

მაპატიეთ, სიტყვა ძალიან გამიგრძელდა. დავუბრუნდეთ 1977 წლის ქუთაისს, უშიშროების შენობას, მის რემონტს, რკინისებური ძერჟინსკის საიუბილეო თარიღს და მის თაბაშირის ძეგლს, რომელიც უშიშროების შენობის ეზოში უნდა დაგვედგა... როგორც მოგახსენეთ, შენობას საძირკველის გამაგრება სჭირდებოდა. ამ დროს ქელასიდან დარეკეს, თქვენს ეზოში გარკვეული პროფილაქტიკური სამუშაოები უნდა ჩავატაროთო, ორი თუ სამი ელექტროგაყვანილობის ჭაა გასაწმენდიო. მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მთელი თქვენი უბანი შეიძლება ელექტროენერგიის გარეშე დარჩესო... ასეთი არგუმენტების მოსმენის შემდეგ, როგორ შეიძლებოდა, არ დავთანხმებულიყავით?!. გამოვყავით შენობის დაცვის მორიგეები და ელექტრიკოსები შეუდგნენ საქმეს. ამასთან ერთად, როგორც მოგახსენეთ, შენობის სარდაფშიც მიმდინარეობდა ფუნდამენტის გასამაგრებელი სამუშაოები... არ გასულა ორი თუ სამ დღე, რომ კაბინეტში შემოვიდა ელექტრიკოსების ბრიგადის გაფითრებული უფროსი და მომახსენა: არ ვიცი, რა ხდება, დავანგრიეთ ძველი ბეტონის ჭები და დავიწყეთ ახლის გათხრა, რომ ბეტონი

ჩაგვესხა. მიწის სამუშაოების წარმოების დროს მუშებმა ადამიანის თუ ცხოველის კიდურების ნაწილები იპოვესო. ადამანის სხეულის კიდურები უფრო უნდა იყოს, ვიდრე ცხოველისო. წამობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ ყველაფერიო. გვითხარით, შემდეგში როგორ მოვიქცეთო, გავაგრძელოთ თუ არა მუშაობაო... რა თქმა უნდა, რამდენიმე წამში შემთხვევის ადგილზე გახლდით... და უნდა მოგახსენოთ, ამაზე შემაზრზენი სანახაობა ალბათ ცხოვრებაში არ მინახავს. მიწაზე ეყარა რამდენიმე კიდურის ნაწილები. ეს კი უკვე სახუმარო საქმე არ იყო. ვუბრძანე სასწრაფოდ შეეჩერებინათ სამუშაოები, მე კი ავედი კაბინეტში და თბილისში შევატყობინე ხელმძღვანელობას მომხდარი ფაქტის შესახებ. მითხრეს, რამდენიმე ხნის შემდეგ შეგატყობინებთ ჩვენს გადაწყვეტილებასო... და მართლაც შემატყობინეს: ალბათ ინაურის ერთ-ერთი მოადგილის (გენერალ «ზ»-ს) ხმას ისედაც გავიგონებდი, ტელეფონში რომ არ ეყვირა, თანაც ისეთი რუსულ-ქართული სალდაფონური ეპითეტებით იყო შემკული, რომ ორივე ენის ჟარგონის ლექსიკონებს ღირსეულად შეავსებდა. აქვე უნდა მოგახსენოთ: თვით ა.ინაური უშიშროებაში მოვიდა კავალერიიდან და თან მოიტანა გინების ისეთი ღირსშესანიშნავი ლექსიკა, რომ მათი გამგონე _ ძველი რუსეთის არმიის გრენადერები და ჰუსარები _ ალბათ სირცხვილისაგან გაწითლდებოდნენ (ამიტომაც, მისი მოადგილეები, ყოველ შემთხვევაში _ გენერალი «ზ», ამაში ღირსეულად ბაძავდნენ თავის უფროსს). წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, რომ იტყვიან, უდანაშაულო დამნაშავე ვიყავი. ჯერ კიდევ დამთავრებული არ მქონდა პატაკი აღნიშნული «ფაქტების» შესახებ, რომ კაბინეტში მეწვია მშენებელთა ბრიგადირი და მითხრა: ფუნდამენტის გამაგრების სამუშაოების წარმოების დროს აღმოვაჩინეთ სამი სამარხიო. ჩავედით სარდაფში და დაახლოებით იგივე სურათი ვნახეთ, რაც ადრე ეზოში. შემდეგში ამ ფაქტის შესახებ ქალაქკომის პირველ მდივანს მოვახსენე და ერთი თუ ორი თვის განმავლობაში, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საბაბით, გამოვიკვლიეთ მთელი ეზო. ჩვენდა გასაოცრად, ბევრი არაფერი გვიპოვია. უკვე აღმოჩენილ სამარხებს ორი თუ სამი დაემატა და ისინი ერთად გადავასვენეთ ქუთაისის სასაფლაოზე.

აი, რა ცოდვიანი ისტორიის მქონე შენობაში იყო განთავსებული საქართველოს უშიშროების კომიტეტის ქუთაისის განყოფილება _ ყოფილი პრინც ოლდენბურგის სასახლეში.

გენერალი მაზნიაშვილი

ნება მიბოძეთ, ჩემი გადასახედიდან გავიხსენო ეპიზოდი, რომელიც პირადად შემეხო საქართველოს კაგებეში მუშაობის პერიოდში და ეხება ამ ბუმბერაზ პატრიოტ ქართველს და მის ტრაგიკულ ბედს.

დაახლოებით 70-ანი წლების შუალედის ამბავს ვიხსენებ. ზუსტი თარიღი არ მახსოვს, რადგან არავითარ საარქივო მასალებს არ ვფლობ, ვინაიდან ამის ნებართვა არ მითხოვია არც რუსეთის, არც საქართველოს მთავრობისათვის, თუმცა არცა ვარ დარწმუნებული, რომ ასეთ ნებართვას მივიღებდი. მართალი გითხრათ, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, თუ რა გადარჩა კაგებეს იმ მდიდარი არქივებიდან, რომელიც ეხება 1921 წლიდან მთელი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პერიოდს, ვინაიდან დანამდვილებით ვიცი, თუ როგორ ეზიდებოდნენ სატვირთო მანქანებით, 1989 წლიდან დაწყებული, საქართველოში არსებულ საარქივო და ოპერატიულ მასალას რესპუბლიკის კაგებეს შენობიდან და, რამდენადაც ვიცი, ამჟამად კარგად

არის გადანახული რუსეთის ერთ-ერთი დიდი ქალაქის სპეციალურ საცავებში. ალბათ საჭიროების შემთხვევაში წინ დაგვიდებენ, როგორც სამხილებელ მასალებს. შემდეგში, რაც დარჩა არქივების ამ წმენდისას, გარკვეული დიდი ნაწილი დაიწვა ყოფილი კაგებეს შენობაში «სამოქალაქო» ომის დროს, როდესაც ეს შენობა ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ქობალიას ხელმძღვანელობით მიწასთან გაასწორეს, რადგან დარწმუნდნენ, რომ მაშინდელმა საქართველოს კაგებეს ხელმძღვანელებმა მთლიანად გაყიდეს კანონიერი პრეზიდენტის ხელისუფლება და ერთხმად მიემხრნენ ე.წ. ოპოზიციის (ჯ.იოსელიანს, თ.კიტოვანს) და ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც განაწყენებული იყო ზ.გამსახურდიას პოლიტიკით...

მაპატიეთ, სიტყვა გამიგრძელდა... ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონში მომესმა ხმა გენერალ გ. ჯორბენაძისა (ა.ინაურის მოადგილე, კონტრდაზვერვის ხაზით), რომელმაც მთხოვა შევსულიყავი მასთან. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, რადგან მაშინ ქვეგანაყოფის უფროსი გახლდით და სამსახურეობრივად უშუალოდ არ ვემორჩილებოდი გენერალ ჯორბენაძეს. უფრო სწორად, იგი ჩემს ქვეგანყოფილებას არ კურირებდა. საერთოდ, ამ ადამიანთან სუბორდინაციის ფარგლებში ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა, ვატყობდი, რომ გარკვეულ წილად პატივს მცემდა. საერთოდ კი ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, გარკვეული დამოუკიდებელი «პოლიტიკა» ეწარმოებინა. იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ ადამიანს, რამდენადაც ინფორმაციას ვფლობდი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ ინტელიგენციასთან და მეც პირადად დადებითად ვიყავი განწყობილი მისდამი, ვინაიდან ინტელიგენციის უმრავლესობა ქართული საზოგადოების ღირსეულ წევრებად მიმაჩნდა.

შევედი კაბინეტში გენერალთან და დავალება მივიღე. როგორც გამაფრთხილა, თხოვნა კონფიდენციალური იყო, შეთანხმებული გახლდათ ჩემს მაშინდელ ხელმძღვანელთან გენერალ შ.ზარდალიშვილთან. დავალების არსი კი შემდეგში მდგომარეობდა: საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემოვიდა ქარელში მაცხოვრებლები ძმების მაზნიაშვილების განცხადება _ თხოვნა იმის შესახებ, რომ კიდევ ერთხელ (უკვე მესამედ ან მეოთხედ) განეხილათ მათი მამის გენერალ მაზნიაშვილის რეაბილიტაციის საკითხი, ვინაიდან ადრე ყოველთვის უარყოფით პასუხს აძლევდნენ. ძმები მაზნიაშვილები იტყობინებოდნენ, რომ შეიქმნა პარადოქსალური სიტუაცია მათი მამის კეთილი ხსოვნის და რეაბილიტაციის გარშემო. კერძოდ, დრამატურგმა ვალერიან კანდელაკმა დაწერა პიესა «დრო 24 საათი», რომლის მთავარი გმირიც გახლდათ გენერალი მაზნიაშვილი. პიესაში დადებითად ფასდებოდა მისი დიდი წვლილი 1921 წელს ჭოროხთან ქართული დივიზიის ბრძოლებში თურქ დამპყრობლებთან, რომელთაც ისარგებლეს საქართველოში შექმნილი რთული მდგომარეობით (1921 წლის თებერვალში ბოლშევიკებმა დაამხეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა და თბილისიდან განდევნეს ჟორდანიას მთავრობა), შემოიჭრნენ ბათუმის ოლქში და დაიკავეს იგი. პიესაში ასახული იყო ის ფაქტი, რომ გენერალმა მაზნიაშვილმა არ შეასრულა ბრძანება მთავრობისა, არ გადაისროლა ბათუმთან განლაგებული ქართული დივიზია მენშევიკების მთავრობის დასახმარებლად, შეუტია თურქ დამპყრობლებს და დედა-საქართველოს შეუნარჩუნა აჭარა. ვ. კანდელაკის პიესა დადგა ბათუმის თეატრმა და საკმაო წარმატება მოიპოვა ბათუმის და არა მარტო ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში. შემდეგ ეს წარმოდგენა ბათუმის თეატრმა გასტროლების დროს წარმოადგინა მარჯანიშვილის თეატრში, სადაც თბილისის მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო. ამას მოჰყვა მეტად საინტერესო რამ,

საქართველოს კულტურის სამინისტრომ იმ წელს ფულადი პრემია მიანიჭა ბათუმის თეატრის ამ დადგმას და ფულადი პრემიით და საპატიო სიგელით დააჯილდოვა არა მარტო ბათუმის თეატრი, არამედ ის მსახიობიც, რომელმაც საკმაოდ წარმატებულად შეასრულა გენერალ მაზნიაშვილის როლი (სხვათაშორის, მენშევიკების მთავრობამ მაზნიაშვილის ქმედება რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში ღალატად შეაფასა და, მიუხედავად დროის დეფიციტისა, სამხედრო-საველო სასამართლომ 1921 წლის თებერვალში გენერალ მაზნიაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა შეუფარდა).

მაზნიაშვილები პროკურატურის წინაშე საკითხს ასე სვამდნენ: მამაჩვენი მენშევიკებს გადაუდგა, ამით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში, ჩაიდინა გმირობა _ აჭარა შეუნარჩუნა საქართველოს და დღემდე რეაბილიტირებული არ არის. პიესა, რომელიც მის საგმირო საქმეებს შეეხება, წარმატებით იდგმება საქართველოში, იღებს საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოს და ამავე დროს მთავარი გმირი რეაბილიტირებული არ არის. წერილში მოყვანილი იყო შემდეგი ფაქტი: განმცხადებლების ცნობით თითქოსდა 1921 წლის თებერვლის ბოლოს ქ.ოზურგეთში შედგა კონსპირაციული შეხვედრა გენერალ მაზნიაშვილსა და სერგო ორჯონიკიძეს შორის, სადაც თითქოსდა ს.ორჯონიკიძემ მოიწონა გენერლის ქმედებები (თურქების აჭარიდან განდევნის შესახებ) და დაპირდა პირად ხელშეუხებლობას გასაბჭოების შემდეგ და თითქოს მისცა განკარგულება (ან შეთანხმდნენ) იმის შესახებ, რომ იმ დივიზიას, რომელსაც გენერალი ხელმძღვანელობდა, გარდაქმნიდნენ წითელი არმიის დივიზიად და მის უფროსობას გენერალ მაზნიაშვილს მიანდობდნენ. წერილში დასახელებული იყო აგრეთვე შემდეგი ფაქტი: 1922 წლამდე გენერალი ჭოროხთან იმყოფებოდა თავისი (უკვე წითელი) დივიზიით და წმენდდა აჭარას თურქი ჯარების ნარჩენებისაგან, იცავდა საქართველოს, საბჭოთა კავშირის საზღვრებს თურქების შემოტევისაგანო. 1922 წლის მაისში იგი თბილისში ჩამოსულა, 2-3 თვეში დაუპატიმრებიათ, მიუსჯიათ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა (სახელმწიფო ღალატის მუხლით?!) და შემდეგ ერთ თვეში შეუწყალებიათ ამნისტიით. მოვლენები თითქმის დეტექტიურად ვითარდებოდა. 1924 წელს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამბოხების რამდენიმე თვით ადრე, გენერალი ისევ დაუპატიმრებიათ _ უკვე საბჭოთა საქართველოს ღალატისათვის და ისევ სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა მიუსჯიათ.

მკითხველი ალბათ არ დაიჯერებს, მაგრამ ყველაფერი ეს დადასტურდა ჩემს მიერ წარმოებული გამოძიებით. დადასტურდა ისიც, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ (იგულისხმება საბჭოთა კავშირის მთავრობა) ისევ და ისევ «აპატია» გენერალ მაზნიაშვილს «ღალატი» და სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით(?!) მას სასჯელის უმაღლესი ზომა შეუცვალეს, მიუსაჯეს მხოლოდ ხუთი წლით საბჭოთა საქართველოდან (საბჭოთა კავშირიდან) გასახლება-გაძევება საზღვარგარეთ?!

1924 წელს (ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებამდე 1,5-2 თვით ადრე) მაზნიაშვილი თავისუფლად გამოეთხოვა ოჯახს, თავისუფლად ავიდა გემზე ბათუმში და თავისუფლად გაემგზავრა თურქეთს (სტამბულს), თურქეთის მთავრობის დიდი მტერი, მათი ანექსიის ჩანაფიქრის ღირსეული მოწინააღმდეგე, რომლის სამხედრო ნიჭმა და შემართებამ განდევნა ისინი აჭარიდან. ვერ ვიტყვი, თურქების მიერ წარმოებულ ამ სამხედრო კომპანიას რამდენი ასეული ან ათასი ასკერი შეეწირა, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთი სამხედრო ქმედება უმსხვერპლოდ არ ჩაივლიდა და, მითუმეტეს, გააფთრებული ბრძოლები ჭოროხთან ბევრ ქართველს და თურქს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს

მთლიანობისათვის დაღუპულ ამ უსახელო გმირებს ერთ ობელისკს მაინც დავუდგამდით საქართველოში, თუმცა შემეშალა, რატომ უსახელო გმირებს? _ თუ კაცი მოინდომებს შეიძლება არქივების მოძიება და ყველა იმ ქართველის გვარების და წოდების აღდგენა, რომლებიც შეეწირნენ საქართელოს. ჩემი გაგებით, მათი დამსახურება სამშობლოს წინაშე არაფრით არ ჩამოუვარდება ქართველი იუნკრების (გვარდიელების) გმირობას კოჯორთან.

გენერლის შვილები ცდილობდნენ მიეღწიათ მამის რეაბილიტაციისათვის. ასე მკაცრად საბჭოთა დიქტატურის სასტიკი რეპრესიების დროს არავის არ მოქცევიან. მამაჩვენს არა მარტო საქართველოს ერთიანობის შენარჩუნებაში ჰქონდა დიდი წვლილი, არამედ საბჭოთა ხელისუფლების წინაშეც აქვს გარკვეული დამსახურებაო. ამის დამადასტურებლად ასახელებდნენ ფაქტს _ ოზურგეთში გენერლის კონსპირაციულ შეხვედრას ს.ორჯონიკიძესთან, მის კონფიდენციალურ დავალებას _ არ დახმარებოდა მენშევიკურ მთავრობას, ჩაეკეტა ქართული უკვე «წითელი» ჯარით თურქეთის საზღვარი. შვილების ვარაუდით, გენერალი უცხოეთში საბჭოთა ხელისუფლების _ ს.ორჯონიკიძის დავალებით იყო მივლინებული. ისინი არ ასახელებდნენ ლ.ბერიასა და მის თანამებრძოლებს, რომელთა დავალება გენერლისადმი უკურეაქციას გამოიწვევდა მამის რეაბილიტაციის საქმეში. რამდენადაც ვიცი, ზუსტად იმ წლებში 1922 წლიდან ლ.ბერია გადმოყვანილ იქნა ბაქოდან თბილისში სამუშაოდ, ჯერ საქართველოს ჩეკას უფროსის პირველ მოადგილედ, შემდეგში მის თავმჯდომარედ, დაახლოებით 20-ანი წლების ბოლოს გადავიდა პარტიულ სამუშაოზე. თუმცა არა მგონია, ყოველივე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს გენერალ მაზნიაშვილის ბედისწერაში.

გენერალმა ჯორბენაძემ მთხოვა შემესწავლა მასალები, გადამემოწმებინა ფაქტები, შემედარებინა ისინი ერთმანეთისათვის, გარკვეული ანალიზი მომეხდინა წარსულისა და პერიოდულად მისთვის მომეხსენებია (მხოლოდ მისთვის და მეტი არავისთვის), რასაც მოვიკვლევდი. მომცა უფლება მივლინებებისა და სათანადო ფინანსური დახმარებაც აღმითქვა.

მართალი გითხრათ, გაოგნებული დავრჩი ამ დავალების მიღების შემდეგ. ხელში მქონდა მხოლოდ განცხადება და მეტი არაფერი. თუ მასში მოყვანილ ფაქტებს დავუჯერებდით, საკმაოდ დეტექტიურ მასალასთან მქონდა საქმე, ძალიან საინტერესო ისტორიულ პიროვნებასთან, ეროვნულ გმირთან.

პირველი, რაც გავაკეთე: საქართველოს უშიშროების არქივიდან გამოვითხოვე, კი არ გამოვითხოვე, არამედ ჩავედი ძველი კაგებეს სარდაფში, სადაც იყო მოთავსებული არქივი და მათ შორის _ 1937 წლის რეპრესირებულთა საგამოძიებო საქმეები (თუ შეიძლება მათ «საგამოძიებო საქმეები» ეწოდოს). სულ რაღაც 10-15-20 ფურცელი იყო (შეიძლება ნაკლებიც): პირველი ფურცელი _ აგენტურული შეტყობინება (ან ასლი) ან ანონიმური შეთითხნილი დასმენა. შემდეგ _ დაკითხვის ოქმი, 1-2 ფურცელი, სადაც ძირითადად პატიმარი არ აღიარებდა, რომ იყო ანტისაბჭოთა დაჯგუფების, გადატრიალების მცდელობის მონაწილე, იაპონიის, გერმანიის, ინგლისის, ირანის, თურქეთის და სხვა სახელმწიფოთა აგენტი. აქ დაკითხვა წყდებოდა. შემდეგი ოქმი (ალბათ, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად გაუძლო პატიმარმა წამებას, ცემას, დამცირებას და დაკითხვას) დათარიღებული იყო ერთი კვირის, ერთი თვის არ რამოდენიმე თვის მოგვიანებით: გამომძიებლის კითხვაზე _ აღიარებს თუ არა ყველაფერს, რაც იცოდა და რაც ალბათ არც იცოდა ან გაეგო მათ შესახებ, _ პატიმარი უკვე ხელს აწერდა ან გამომძიებლის ხელნაწერ დაკითხვის ოქმს ან საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილ, დროთა განმავლობაში გაყვითლებულ ტექსტს. ეს «მამხილებელი»

დოკუმენტიც ორ-სამ ფურცელს შეიცავდა. შემდეგ ორ ფურცელზე წარმოდგენილი იყო ე.წ. «სამეულის» _ «სასამართლოს» გადაწყვეტილება (რაიკომის მდივნის, პროკურორის და ჩეკას რწმუნებულის ხელმოწერით), სადაც დადასტურებული იყო მსჯავრდადებულის (და არა ეჭვმიტანილის) «ძირგამომთხრელი, მტრული ქმედება საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის» და, რაც მთავარია, რეზოლუციის სახით გამოტანილი განაჩენი.

შემდეგში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ორი წელიწადი ვიყავი კომისიაში, პროკურატურასთან ერთად, რომელიც განიხილავდა რეაბილიტაციის საქმეებს. გავეცანი ალბათ ასეულ ასეთ საგამომძიებლო საქმეს და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ მათ თავისი შინაარსითა და გაგებით არ შეიძლება ვუწოდოთ საგამომძიებლო საქმეები, ვინაიდან მათში არ იყო არავითარი მცდელობა, რაიმე ოპერატიული ღონისძიებით, კრიმინალისტური გამოკვლევით, ფაქტობრივი მასალების შეგროვებით მხილებისა. იყო მხოლოდ მბრძანებლური შეკითხვა «გამომძიებლისა»: «აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ ხართ ამა და ამ ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრი. დაასახელეთ თანამზრახველები, დაასახელეთ, თუ ვინ გიკარნახათ, ვინ გიბიძგათ ამ ქმედებებისაკენ, ვინ «დაგავერბოვკათ» და ა.შ. და ა.შ. რა თქმა უნდა, პატიმარი ყოველივე ამას უარყოფდა. მაშინ გამომძიებელი ურჩევდა: «გირჩევთ, გულახდილად გვიპასუხოთ დასმულ კითხვებზე, რამეთუ თქვენი და თქვენი თანამზრახველების ძირგამომთხრელი ანტისაბჭოთა ქმედება, თქვენი აგენტობა ტანზანიის თუ უგანდის (?!) დაზვერვის სასარგებლოდ დადასტურებულია (?!) და თქვენს წინააღმდეგობას, რომ დამალოთ თქვენი მტრული ზრახვები, არ დაასახელოთ თქვენი ძირგამომთხრელი საქმიანობის თანამზრახველნი, არავითარი აზრი არა აქვს, ყველა თქვენი და მათი ქმედებები ჩვენთვის ცნობილია, მათი გვარები და სახელები ჩვენ ვიცით, ისინი დიდი ხანია თქვენ გასახელებენ, როგორც მონაწილეს, ხელმძღვანელს ამ ამბოხისა» და ა.შ. და ა.შ. და თუ პატიმარი გაჰყვიროდა, ბღაოდა, ევედრებოდა გამომძიებელს, რომ ყოველივე იმაში, რასაც მას აბრალებდნენ, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არავითარი თანამზრახველების დასახელება არ შეუძლია, _ მაშინ გამომძიებელი წყვეტდა დაკითხვას. პატიმარი ალბათ (ჩემი ვარაუდით, და სხვანაირად რა უნდა ვიფიქროთ) გადადიოდა იგივე გამომძიებლის ან მისი თანაშემწე ჯალათების ხელში. და იმის მიხედვით, თუ რამდენი ხნის შემდეგ იყო დათარიღებული მომდევნო დაკითხვის ოქმი, უნდა ვივარაუდოთ, რამდენ ხანს გაუძლო საწყალმა ცემას, ტანჯვას, გვემას და დამცირებას. შემდეგ დაკითხვაზე, როგორც წესი, თითქმის 98-99% აღიარებდა «ჩადენილ დანაშაულს» და «მზად» იყო მოეწერა ხელი ყოველგვარ აღიარებაზე.

ერთი დაკვირვებაც: განაჩენები (რეზოლუციის სახით), რომლებიც ითვალისწინებდნენ სხვადასხვა ვადით პატიმრობას, ხელმოწერილი იყო ქიმიური ლურჯი მელნით, ხოლო «მიესაჯოს დახვრეტა» _ «расстрелять!» წითელი მელნით. ეს ავადსახსენებელი სიტყვა და სხვა ტექსტიც რუსულ ენაზე იყო წარმოებული, რადგან კაგებეში რუსული წარმოება გახლდათ, რათა ცენტრის ხელმძღვანელობას წაეკითხა და შეეფასებინა ქართველი ჩეკისტების წარმატებული «ღონისძიებები» მტრების გამოვლენის საქმეში.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული არქივი: ძირითადად დროთა განმავლობაში გაყვითლებულ მუყაოს ყუთებს, რომლებშიც რუსული ანბანის მიხედვით ჩაწყობილი იყო საგამომძიებლო საქმეები, ერთ ყუთში _ დაახლოებით 10-15 საქმე ეტეოდა. არქივს მეთვალყურეობდა ოპერატიული სამუშაოებიდან ჩამოწერილი ქალი ან კაცი, ჩვენს შემთხვევაში

ქალბატონი ბრძანდებოდა, თავის დროზე ალბათ საკმაოდ «ეშხიანი», ვინაიდან მის «ეშხს» შეეწირა კარიერა კაგებეს ერთ-ერთი განყოფილების უფროსი პოლკოვნიკისა, რომლის საყვარლობა უარყო თურმე ამ ქალბატონმა. სხვათა შორის, რომელიმე მუშაკის ამ სარდაფში გამოჩენა საკმაოდ გამოაცოცხლებდა ხოლმე ამ ქალის მონოტონურ სამსახურს, იგი სიამოვნებით დაგათვალიერებინებდათ მის «სამფლობელოს» და წარმოგიდგენდათ გასაცნობად საჭირო საქმეს. შეგეძლო იქვე გამოყოფილ საწერ მაგიდაზე გაცნობოდი ამ საქმეს ან თან წაგეღო სამუშაოდ. ამის შესახებ მხოლოდ საკუთარი ჩანაწერი უნდა გაგეკეთებინა «საქმის» სარჩევში. 60-ანი წლების შუალედში ასეთი «საქმეების» აღებისთვის ხელმძღვანელობის არავითარი ნებართვა არ იყო საჭირო, რომ იტყვიან, უბრალოდ გენდობოდნენ, შემდეგში კი ნდობის თამასა თანდათან ასწიეს, ჯერ ქვეგანყოფილების უფროსი გაძლევდა ამის უფლებას, შემდეგ კი განყოფილების უფროსი, ვინაიდან, რამდენადაც ვიცი, 60-ან წლებში კაგებეში ტაბუ მოხსნეს და დაიწყეს იმ მუშაკების მიღება ოპერატიულ სამსახურში, ვისაც მშობლები ან ახლობლები რეპრესირებული ჰყავდათ და, ამიტომ არქივის გაცნობის მსურველთა რიცხვმა საკმაოდ იმატა, რაც შეამჩნია საარქივო განყოფილებამ და გარკვეული შეზღუდვები შემოიღო. ჩემდა გასაკვირად, გენერალ მაზნიაშვილის საქმე არც თუ ისე მცირეფურცლოვანი აღმოჩნდა, რაც ჩემთვის ყველაზე გასაკვირი იყო, გენერალს, დაკითხვის ოქმის გარდა, მიუცია პირადი ხელნაწერი, ჩვენებაც დაახლოებით 4-5 ფურცელზე მემუარისტის ჩანაწერებს უფრო ჰგავდა, ვიდრე პატიმრის დაკითხვის ოქმს. შემდეგში კვლევისა და გამოძიების დროს აღმოვაჩინე საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული მისი მოგონებების კრებული, გამოცემული დაახლოებით 30-ანი წლების დასაწყისში, რომელიც თითქმის იმეორებდა გამომძიებლისთვის მიცემულ ხელნაწერს.

თავდაპირველად მისი თხრობისა და საქართველოს არქივის მონაცემებით დადგინდა, რომ გენერალი არ იყო ქართული წარმოშობისა. მისი წინაპრები (ბაბუის მამა) XIX საუკუნის ბოლოს გადმოსახლებულან საქართველოში გვარად Мазнёв-ები. ბებია და დედა გენერალს ქართველი ეროვნებისა ჰყავდა. საუკუნის ბოლოს ახალგაზრდა Мазнёв-ი რუსეთში წასულა სასწავლებლად _ ოფიცერთა სკოლაში. პირველი მსოფლიო ომი მაიორის წოდებით დაიწყო, 1916-ში პოლკოვნიკია, 1916 წლის ბოლოს _ რუსეთის იმპერიის გენერალი, წმ. გიორგის მედლებისა და ორდენების კავალერი (სხვათა შორის, წმ. გიორგის მედლებს ოფიცრებს არ ანიჭებდნენ, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა).

დაახლოებით 1915 წელს გენერალს ცოტათი გვარი შეუცვლია _ Мазнёв-ი Мазниев-ად გადაუკეთებია. ამით გარკვეულწილად გაუქართულებია და გაუკავკასიურებია. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მიუტოვებია რუსეთი, ჩამოსულა საქართველოში და სამსახური შეუთავაზებია მთავრობისათვის _ როგორც სამხედრო სპეციალისტს. მენშევიკურ მთავრობას მისთვის ქართული საჯარისო ერთეულის ჩამოყალიბება დაუკისრებია. ამ პერიოდში გენერალი მთლად გაქართველებულა და გვარი მაზნიაშვილი მიუღია. მისი დაუღალავი მეცადინეობით შეიქმნა ქართული დივიზია და ბრიგადა, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობდა და მეთაურობდა. ჯერ იყო და, ქართველმა მენშევიკებმა მისი «ჯარი» საქართველოს ჩრდილოეთში გააგზავნეს და მან დიპლომატიურად არ მიიღო მონაწილეობა აფხაზი სეპარატისტების ამბოხების ჩახშობაში (ამისათვის ჩართეს გვარდია ჯუღელის მეთაურობით). სამაგიეროდ, გენერალ მაზნიაშვილის მეცადინეობით საქართველოს შეუერთდა სოჭის ოლქი, საქართველოს საზღვარი ადლერიდან 25-30 კილომეტრზე გადიოდა. ასეთ

ფარგლებში სცნო საქართველოს ტერიტორია 1920 წელს ერთა ლიგამ და რუსეთის ფედერაციის ბოლშევიკურმა მთავრობამ ლენინის ხელმძღვანელობით. მოვლენებს წინ გავუსწრებ და მოგახსენებთ: სპეციალურად წავიკითხე რუსი გენერლის _ თეთრი არმიის მხედართმთავრის დენიკინის მოგონებები. საბედნიეროდ, კაგებეში ბევრი წიგნი იყო _ ე.წ. კონფისკატი _ პოლიტიკური, რელიგიური, სოციოლოგიური, ბიოგრაფიული და სხვა, რომელსაც აგზავნიდნენ საზღვარგარეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციები (ცერეუს და ევროპის დაზვერვის ფილიალები), იდეურად გამოწრთობილი საბჭოთა ხალხის «გასარყვნელად» და კაპიტალისტური წყობის პროპაგანდისათვის. რაც თავი მახსოვს, 32 წლის მუშაობის განმავლობაში, 98% ასეთი ლიტერატურისა კონფისკაციაში გადიოდა და შემდეგ კაგებეში მცირერიცხოვანი მკითხველი თუ გამოუჩნდებოდა. 70-ან წლებში, როცა დაიწყო ჩვენი მოქალაქეების შედარებით «ადვილი» გასვლა საზღვარგარეთ, თითქმის ყველას ინდივიდუალურად აფრთხილებდნენ, რომ თუ კი ეცდებოდნენ ასეთი სახის წიგნების შემოტანას, შემდგომში მათ საზღვარგარეთ ვოიაჟს წერტილი დაესმებოდა. იყო თუ არა მათ შორის ვინმე «გმირი», ვინც არღვევდა ამ წესს? რა თქმა უნდა, მცირეოდენი, მაგრამ მაინც იყო, ასეთი ლიტერატურის ამოღება შემდეგ კაგებეს უხდებოდა მოსახლეობიდან, განსაკუთრებით ინტელიგენციიდან, სტუდენტებიდან (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვევით მოგახსენებთ).

თავის მოგონებებში გენერალი დენიკინი დაახლოებით შემდეგს წერდა: «დღეს მქონდა მოლაპარაკება ქართველ თუ რუს გენერალ მაზნიოვთან. ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ სოჭის ოლქზე, ჩვენ კი გვსურს, რომ ქართველებმა თავის ტერიტორიაზე გამოატარონ თეთრ არმიაში თურქეთის ფრონტიდან წამოსული რუსი არმიელები და ოფიცრები. ეს კი ძალიან კარგია და დღეს ყველაზე უფრო მეტად საჭიროა ჩვენთვის. მე, რა თქმა უნდა, ჩუმად მოვისმინე მისი პრეტენზიები სოჭის ოლქზე. ღმერთმა ქნას, ხელი შეგვიწყოს, დედა-რუსეთი რომ გავანთავისუფლოთ ბოლშევიკური ჭირისაგან და შემდეგ, შემდეგ გენერალ მაზნიევსაც მოვუვლი და მთელ საქართველოსაც. ამიტომ დავეთანხმე ქართველებს». ეს შეხვედრა და მათი საუბრის შინაარსი, გადმოცემული აქვს გენერალ მაზნიაშვილს თავის ძალიან მოკლე მემუარებში, რომელიც მან გამოსცა მას შემდეგ, რაც ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან. დაპატიმრების შემდეგ, 1937 წელს, როგორც მოგახსენეთ, მაზნიაშვილმა პირადად ხელნაწერით მისცა ჩვენება საქართველოს ВЧК-ს გამომძიებელს, სადაც აღწერს ეპიზოდს მისი გასახლებისა, როდესაც საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ შეიწყალა და 1924 წელს მის მიერვე მისჯილი სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა საბჭოთა საქართველოდან (წაიკითხე, საბჭოთა კავშირიდან) ხუთი წლის გასახლებით შეუცვალა! ერთი წუთით გაანალიზეთ ეს ფაქტი: შესძლებდა თუ არა საბჭოთა საქართველოს მთავრობა ამ გადაწყვეტილების მიღებას, საბჭოთა მთავრობისა და მისი უზენაესი სასამართლოს დასტურის გარეშე? რა თქმა უნდა, არა, და, რა თქმა უნდა, ეს მაშინ ფაქტიურად შეუძლებელი იყო. მაგრამ ფაქტი მაინც ჯიუტია. ამ უცნაური გადაწყვეტილების გამო იბადება მრავალი კითხვა: ე.ი. ვიღაცა დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ასეთი გადაწყვეტილების მიღებით. ამის შესახებ გენერალი დუმს და არაფერს ამბობს თავის მემუარებში და გამომძიებლისათვის მიცემულ ხელნაწერ ჩვენებაში. რა არის ეს? ასეთ ფაქტს, ასეთ შეთანხმებას ადგილი არა ჰქონდა, თუ გენერალი იცავს კონსპირაციას, და იგი რაღაცა მექანიზმებით დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის (საქართველოს) სპეცსამსახურებთან (დაზვერვასთან)?! გენერალი კი სდუმს, მაგრამ მისი შვილები საკმაოდ გამჭვირვალედ და გასაგებად, იმ მასალების ანალიზით, რაც მათ გააჩნდათ,

მიუთითებდნენ გენერალ მაზნიაშვილის პირად ნაცნობობასა და სიახლოვეს ს. ორჯონიკიძესთან, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში ოზურგეთში თითქოსდა კონსპირაციულად შეხვდა მაზნიაშვილს, მისცა განკარგულება, არ მოეხსნა ჯარები აჭარიდან, არ დახმარებოდა დამხობის პირას მისულ და შემდეგ უკვე დამხობილ მენშევიკურ მთავრობას, დაავალა ქართული წითელი დივიზიის შექმნა და ხელმძღვანელობა. შემდეგ კი რატომღაც, ვითომდა ეს ნდობა დაიკარგა, ორჯერ გაასამართლეს, ორჯერ შეიწყალეს და შემდეგ საზღვარგარეთ გაასახლეს. ხომ არ იყო ყოველივე ეს წინასწარჩაფიქრებული, წინასწარდაგეგმილი საიდუმლო ღონისძიება, რომ გენერალ მაზნიაშვილისათვის შეექმნათ, ახლა რომ იტყვიან, იმიჯი (ავტორიტეტი), არა ბოლშევიკების მთავრობის მიმართ ლოიალური, კარგი დამოკიდებულებისა, არამედ სხვა მიზნით: აი ნახეთ, როგორ ბოროტად დაუფასეს გენერალს მისი დამსახურებები საბჭოთა მთავრობის მიმართ, საქართველოს მიმართ, ქართველი ხალხის მიმართ და იმის მაგივრად, რომ დაეჯილდოვებინათ, წაეხალისებინათ, ორჯერ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და მერე გადაასახლეს. დამეთანხმებით, ყოველივე ეს ძალიან ჰგავდა ან ჰგავს სინამდვილეს. გენერლის შვილები განცხადებაში მიუთითებენ, რომ მათი მამა საბჭოთა ქვეყნის მიმართ ყოველთვის ლოიალურად დამოკიდებული იყო, ქვეყანის პატრიოტი იყო, ამას ამტკიცებს მ.კანდელაკის პიესაც, მისი თეატრებში დადგმის ისტორია, მინიჭებული პრემია. მამა გადასახლებაში საბჭოთა მთავრობის (დაზვერვის), კერძოდ ს. ორჯონიკიძის დავალებას ასრულებდაო. ვიმეორებ, იმ წლებში, როცა ყოველივე ამას წერდნენ, ლ.ბერიას გვარის ხსენება განცხადებაშიც კი მკრეხელობად ჩაითვლებოდა და მათი აზრით ხელს შეუშლიდა მათი თხოვნის დადებითად გადაწყვეტას, თუმცა ზუსტად იმ წლებში, 20-ან წლებში ზუსტად ის იდგა საქართველოს ჩეკას სათავეში და უფრო შესაძლებელია მის სხარტ და ავანტიურულ გონებაში წარმოქმნილიყო ეს გეგმა მენშევიკების მთავრობაში (რომელიც მაშინ პარიზში იყო გახიზნული) თავისი ადამიანის (ე.წ. აგენტის) შეგზავნისა. იქნებ ზუსტად ამისთვის იყო საჭირო შეექმნათ გენერლისთვის ლეგენდა საბჭოთა ქვეყნის «მტრისა» და მის დამსახურებისადმი უმადურისა.

აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ ეპიზოდს «მტრის ხატის» შექმნისათვის. როგორც მოგახსენეთ, გენერალ მაზნიაშვილის შეწყალება მოხდა რამდენიმე თვით ადრე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ქართველ პატრიოტთა აჯანყების დაწყების წინ. რა არის ეს? უბრალო დამთხვევა თუ წინასწარგათვლილი ჩანაფიქრი?! თუ მოვლენათა განვითარებას მივყვებით და გენერალ მაზნიაშვილის «შეწყალებას» გავაანალიზებთ, ახალი კითხვები წარმოიშვება: გენერალი მაზნიაშვილი ბრუნდება თავის მამულში, ქარელის რაიონში, დაახლოებით ათი დღის შემდეგ ჩადის ბათუმში და იქ შეუფერხებლად ადის თურქეთის გემზე, რომელსაც იგი სტამბოლში ჩაჰყავს. შემდეგ? შემდეგ გენერალი რატომღაც არ ჩქარობს სტამბოლიდან გამგზავრებას, რჩება იქ და თითქოს რაღაცას ელოდებაო... ნუთუ გასაკვირი არ არის ის ფაქი, რომ გენერალმა მაზნიაშვილმა, რომლის მეთაურობითაც ქართულმა ჯარმა კუდით ქვა ასროლია თურქ ასკერებს, მათ გენერალიტეტს და 1921 წლის იანვარ-თებერვალ-მარტში დამამცირებელი სამხედრო დამარცხება აწვნია თურქებს, ნებაყოფლობით ჩადის სტამბოლში და ასე ღიად ცხოვრობს იქ? ნუთუ გენერალს არ უნდა სცოდნოდა, რომ თურქეთის მთავრობას ასეთი მოკლე მახსოვრობა არა აქვს და თავისუფლად შეეძლო დაეპატიმრებინა და გაესამართლებინა იგი, როგორც სამხედრო დამნაშავე?! ძნელი საფიქრებელია, ვინმე ან საბჭოთა კავშირიდან, ან ევროპიდან გამოსარჩლებოდა

გენერალ მაზნიაშვილს. და თუ ეს სწორია, საინტერესოა რატომ აირჩია გენერალმა მაზნიაშვილმა საბჭოეთიდან ლეგალური გახიზვნისათვის (გასახლებისათვის) ყველაზე რთული და საშიში მარშრუტი?! რა? არ შეეძლო გასულიყო საბჭოთა კავშირიდან მისი ევროპული ნაწილის გავლით? მე მგონია, შეეძლო, მაგრამ ეს ვიღაცას სჭირდებოდა, ვიღაცამ წინასწარ გათვალა და ამიტომაც მოხდა ისე, როგორც იყო ჩაფიქრებული(მაგრამ საკითხავია ვის მიერ?). არა მგონია, ისეთ ჭკვიან პიროვნებას, როგორც მაზნიაშვილი იყო, აერჩია ეს სახიფათო მარშრუტი... და თუ ამაში დამეთანხმებით, მაშინ თვითონ თქვენ იფიქრეთ, მკითხველო, და წამოაყენეთ რომელიმე ლოგიკური ვერსია. თუკი სპეცსამსახურების (დაზვერვის) მეთოდით ვიმსჯელებთ, გენერლის ამ მოქმედებებშიაც ჩადებული იყო რაღაც მარცვალი ლოგიკისა. არ არის გამორიცხული, რომ თურქეთში ცხოვრებისათვის მას სათანადო დოკუმენტაციაც ჰქონდა, ანდა _ ვინმეს რომ არ დაეფინანსებია, ისე როგორ იცხოვ-რებდა იქ რამდენიმე თვეს და როგორ დაეხმარებოდა საქართველოდან დევნილ ქაქუცას თანამებრძოლებს ევროპაში გამგზავრების საქმეში?!

შემდეგ... შემდეგ საქართველოში მოხდა ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება ქ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით და შემდეგ ბოლშევიკებმა ჩვეული სისასტიკით ჩაახშეს ეს აჯანყება. მხოლოდ ერთეულებმა და ათეულებმა დაიხიეს აჭარისაკენ, ორიოდე დღით გამაგრდნენ იქ და ბათუმიდან გადაიხვეწნენ უცხოეთში, ჯერ სტამბოლში და შემდეგ შეუერთდნენ საქართველოდან გადახვეწილ მენშევიკურ მთავრობას, ინტელიგენციას და საქართველოდან გადახვეწილ ქართველ პატრიოტებს პარიზში, სადაც ყველაზე დიდი დიასპორა შეიქმნა ქართველ დევნილთა... აი, ამ დროს გამოიჩინა გენერალმა დიდი ორგანიზატორული ნიჭი მოვლენათა მართვისა. სათავეში ჩაუდგა ქ. ჩოლოყაშვილის რაზმელთა მიღებას სტამბოლში, მათ დაბინავებას, დაპურებას(?!), შემდეგში კი სტამბოლიდან გამგზავრებას (მცირეოდენი ფინანსებით?!) საფრანგეთში ან იუგოსლავიაში და სამხრეთ ამერიკაშიც კი. ნუთუ არ გებადებათ კითხვა იმის შესახებ, საიდან და როგორ მოახერხა ან უზრუნველყო თვითონაც სამშობლოდან დევნილმა, გახიზნულმა, გადასახლებულმა გენერალმა მაზნიაშვილმა ყოველივე ეს?! არ ვიცი, შეიძლება კიდევ ვხვდებოდე, მაგრამ თქვენც იფიქრეთ, ჩემო მკითხველო... სად და როგორ მოინახა ამის ფინანსები?! და რაც მთავარია, რა? _ ანალიზის ასეთი დიდი ნიჭით დაჯილდოებული გენერალი მაზნიაშვილი ვერ მიხვდა იმას, რომ ამ ქმედებებით ეხმარებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს, მეამბოხეებს, რომელთაც არა ერთი კომუნისტი დახვრიტეს ან ბრძოლაში მოკლეს?! მაშინ საბჭოთა მთავრობა, მისი კანონმდებლობა ასეთ ხალხს სამშობლოს, ხალხის მოღალატეებად მოიაზრებდა და თუ გენერალი «სამშობლოს მოღალატეებს» ეხმარებოდა, მაშინ არ იცოდა, რომ სამშობლოში, ოჯახში (სადაც სამი მცირეწლოვანი შვილი დატოვა) დაბრუნების საშუალებას კარგავდა?! რა თქმა უნდა, იცოდა. ეს ფაქტი უცილობელია და სადავო არ უნდა იყოს... მაშ, რასთან გვაქვს საქმე? ყველაფერი შეიძლება ვიფიქროთ, გარდა იმისა, რომ მაზნიაშვილს არ ჰქონდა წინასწარგათვლილი თავისი ქმედებები. ამის დამადასტურებლად ისიც გვეყოფა, რომ გენერალი მაზნიაშვილი ხუთწლიანი გადასახლების შემდეგ თავისუფლად დაბრუნდა საქართველოში 1929 წელს და დაიწყო მუშაობა, როგორც საგამოძიებო საქმიდან ჩანს, ბუღალტრად და დაპატიმრებამდე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ქარელში. მაშინ გამოსცა მან თავისი ცნობილი მემუარები (1930 წელს) და ის ფაქტი, რომ «სამშობლოს მტრებს» ეხმარებოდა, არავინ არ გაუხსენა. ამით, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სანამ პარიზში წავიდოდა, იქ ქართულ დიასპორას შეუერთდებოდა და

დაამყარებდა მაშინდელი ევროპისათვის ლეგიტიმურ, დიპლომატიურად ცნობილ საქართველოს მთავრობასთან კონტაქტს, მას უნდა «გამოესყიდა» ის «დანაშაული», რომელიც მენშევიკური მთავრობის შეხედულებით ჩაიდინა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ 1921 წლის თებერვალში არ გადმოისროლა ქართული ჯარი თბილისთან (კოჯორთან) და ამით ხელი შეუწყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის მმართველობის დამხობას. მენშევიკების შეხედულებათა ყველაზე ვერაგი მტერი 1921 წლის თებერვალში იყო საბჭოთა რუსეთი. ამიტომ პირველად უნდა დაეცვათ საქართველო მე-11 რუსული არმიის ინტერვენციისაგან, ხოლო შემდეგ, საკუთარი თუ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ხელშეწყობით, უკან დაებრუნებინათ აჭარა. ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით იკარგებოდა არა მარტო აჭარა, არამედ მთლიანად ეროვნული დამოუკიდებლობა. ისევ ვუბრუნდებოდით რუსეთის იმპერიის ქოლგას, ახალი სახელწოდებით _ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. სხვათა შორის, აწ უკვე გარდაცვლილ ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს და სხვა მენშევიკური მთავრობის ლიდერებს ეს აზრი არასოდეს შეუცვლიათ და ამის შესახებ წაკითხული მაქვს მათ მემუარებში, მათ მიერ საფრანგეთში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში, და ა.შ. რომელიც საკმაოდ მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იგზავნებოდა საქართველოში და ძირითადად ქართული კაგებეს კონფისკაციის სახით ილუქებოდა საქართველოს უშიშროების სეიფებში (სხვათა შორის, ამ ლიტერატურის იქიდან გამოტანა და რომელიმე პარტიული მუშაკისათვის ჩუქება ან წასაკითხად თხოვება, დიდ პატივისცემად ითვლებოდა).

გენერალმა მაზნიაშვილმა წარმატებით გაართვა თავი ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმელების ევაკუაციას საბჭოთა საქართველოდან და შემდეგ თურქეთიდან საფრანგეთში და არა მარტო რაზმელების, არამედ რამოდენიმე სამოქალაქო პირის ევაკუაციასაც (რომლებიც თან გაჰყვნენ მათ, რადგან ეშინოდათ საბჭოთა მთავრობის რეპრესიებისა, ვინაიდან მიაჩნდათ და საფუძვლიანადაც, რომ მათ მთავრობა არ აპატიებდათ ამბოხების ხელშეწყობას და თანაგრძნობას მეამბოხეთა იდეებისა). მაზნიაშვილი ამ საქმეს თითქმის 5-6 თვე ხელმძღვანელობდა სტამბოლში... შემდეგ კი თავისუფლად ისე, რომ არავის ამისათვის ხელი არ შეუშლია, ავიდა ევროპაში მიმავალ გემზე და ჩავიდა საფრანგეთში. როგორც შემდეგში იხსენებს თავის ჩვენებაში, პარიზში ჩასულ გენერალს საქართველოს დიასპორის წარმომადგენლები არაერთგვარი განწყობილებით დახვდნენ... ქ. ჩოლოყაშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა გულითადი შეხვედრა მოუწყვეს, მაშინდელ ემიგრაციულ პრესაში დადებითი წერილებიც გამოჩნდა, ქართველმა ემიგრანტმა პოეტმა ყიფიანმა ლექსიც კი მიუძღვნა გენერალ მაზნიაშვილის გმირულ პატრიოტულ ქმედებას. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ მას უნდობლობა გამოუცხადა. მათ არ ჰქონდათ დავიწყებული 1921 წლის თებერვლის «ღალატი», არც ის, რომ გენერალმა არ შეასრულა მათი ბრძანება და არც ის, რომ მენშევიკური მთავრობის სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით მაზნიაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. ამდენად ყოველგვარი კონტაქტი ემიგრაციულ მთავრობასთან არარეალური ჩანდა... მაგრამ დრო და მოვლენები გენერლის სასარგებლოდ მუშაობდნენ... როგორც მოგახსენეთ, თითქმის 30-ანი წლების დასაწყისამდე ევროპა (ინგლისის გარეშე, რომელმაც სსრკ აღიარა 1924 წელს) და ევროპის ქვეყნებს შორის _ საფრანგეთი საქართველოს სოციალისტურ (მენშევიკურ) მთავრობას ლეგიტიმურად სცნობდა, ჯერ კიდევ მუშაობდა პარიზში და ევროპის ზოგიერ ქვეყანაში საქართველოს საელჩოები და ამ მთავრობებთან პერიოდულად მაინც (ალბათ უფრო თვალის ასახვევად და დემოკრატიული პრინციპების დაცვის

მცდელობისათვის) იმართებოდა დიპლომატიური შეხვედრები, მოლაპარაკებები და მათ შორის _ მოლაპარაკებები სამხედრო დახმარების მიმართულებითაც. აი აქ ემიგრაციული მთავრობა გადაუჭრელი დილემის წინაშე დადგა, მთელ ემიგრაციაში ვერ მოინახა და ვერც მოინახებოდა გენერალ მაზნიაშვილის სამხედრო დონისა და განათლების ადამიანი (ქართველი გენერლები, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, რევოლუციურმა ტალღამ შექმნა და ვერავითარი სამხედრო სტრატეგიით გენერალ მაზნიაშვილის მეტოქეებად ან პარტნიორებად ვერ ჩაითვლებოდნენ). ამიტომ საქარ-თველოს მენშევიკურმა მთავრობამ გენერალ მაზნიაშვილის მხარდამჭერთა გარკვეული ზეგავლენით (ქ.ჩოლოყაშვილი მისი რაზმელებით) მიიღო გადაწყვეტილება, ევროპისა და ამერიკის მთავრობებთან სამხედრო თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების წარმართვა მიენდოთ გენერალ მაზნიაშვილისათვის... ამან კი კარი გაუღო გენერალს _ აქტიურად ჩართულიყო დიალოგში არა მარტო უცხოეთის სამხედრო მოღვაწეებთან, მათ დიპლომატიურ კორპუსთან, _ არამედ ჰქონოდა ყოველდღიური კონტაქტი მენშევიკურ მთავ-რობასთან, დაახლოვებოდა მათ წევრებს და ამავე დროს აქტიური მონაწილეობა მიეღო ქართული სათვისტომოს ცხოვრებაში, გარკვეულწილად წარემართა ისინი, გავლენა მოეხდინა მათ განვითარებაზე... ალბათ მიმიხვდით, მკითხველო!.. აქ ვსვამ ერთ კითხვას: მთელი ეს «კომედია» მაზნიაშვილის ბიოგრაფიის შექმნისათვის ვიღაცა კარგი რეჟისორის დაწერილი სცენარი ხომ არ იყო?

სხვათა შორის, გენერალ მაზნიაშვილის შვილები თავიანთ განცხადებაში, აკი მოგახსენეთ, საკმაოდ გამჭვირვალედ სწერდნენ იმის შესახებ, რომ მათი მამა საბჭოეთის მტერი კი არა _ არამედ მისი მხარდამჭერი, მისი გამარჯვების ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო (რას არ გააკეთებ კაცი და მით უმეტეს შვილი, რომ შენს მამას «კეთილი» სახელი დაუბრუნო, აღადგინო «სიმართლე» და ა.შ. თუმცა ახლა ამ ფაქტებს ისინი, ცოცხლები რომ იყვნენ, ალბათ სხვა თვალით შეხედავდნენ და საამაყოდ სულ სხვა კრიტერიუმები ექნებოდათ).

კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგითხრობთ, რომელიც გადახდა გენერალს საფრანგეთში. ამის შესახებ გენერალი მაზნიაშვილი თავის ხელნაწერ ჩვენებაში საქართველოს ჩეკაში დაახლოებით შემდეგს წერდა: «1927 წელს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ვაწარმოებდი მოლაპარაკებას საფრანგეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსთან გენერალ ფურიესთან (გვარი ამ ფრანგი გენერლისა რატომღაც ყოველთვის მახსოვდა _ ჯ.ფ.). მოლაპარაკება ძირითადად, რა თქმა უნდა, შეეხებოდა ჩვენს მთავრობებს შორის სამხედრო თანამშრომლობას და, რაც ყველაზე მთავარი იყო, იმის მიღწევას, რომ საფრანგეთს გაეწია სამხედრო და ფინანსური დახმარება საქართველოს მთავრობისათვის, რათა ჩვენ გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოებისა და ღონისძიებების ჩატარების შემდეგ დავბრუნებულიყავით საქართველოში და აღგვედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა. მოლაპარაკებები გრძელი და მომქანცველი იყო, ისედაც ფლეგმატური პიროვნება ფურიე სულ ნაკლებ და ნაკლებ ინიციატივას იჩენდა მოლაპარაკებების მიმართ. როგორც სამხედრო, იგი წინ ვერ აღუდგებოდა მიცემულ ბრძანებას _ ეწარმოებინა ჩვენთან მოლაპარაკება, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობდა მისი გაჭიანურებისათვის, რათა ჩვენ თვითონ გვეთქვა უარი მოლაპარაკების წარმოებაზე და მისი ჩაშლა ჩვენ დაგვბრალებოდა. «წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო» _ ჩვენც ჩვენი მხრით მეტი რა გზა გვქონდა?! მოთმინებით ვაყალიბებდით ჩვენს თხოვნას და ამით ვემსგავსებოდით _ "Назойливых грузин"-ს (სხვათა შორის, გამახსენდა, გენერალმა თავის ხელნაწერი ჩვენება რუსულ ენაზე

დაწერა და როცა მას ვკითხულობდი, ხშირად მოხიბლული ვიყავი თხრობის მწყობრი რიტმით, და, რაც მთავარია, რუსული ენის ცოდნით. ჯ.ფ.). ერთხელ, როდესაც უკვე ორი თუ სამი საათი ასე ამაოდ ვესაუბრე ფურიეს, რითაც ხშირად ვიმსახურებდი მის, ევროპულად აღზრდილი კაცისათვის, უჩვეულო მთქნარებას, გენერალმა ფურიემ მთხოვა მივსულიყავი კედელზე ჩამოკიდებულ მსოფლიო რუკასთან. მე მივედი და ავიღე საჩვენებელი ჯოხი. გენერალმა მთხოვა მენახვებია რუკაზე საბჭოთა კავშირში, რუსეთის ტერიტორია. მე უხალისოდ გავაკეთე ეს (რაღაც გუმანით ვხვდებოდი, რომ ფრანგი პროვოკაციას მიწყობდა). შემდეგ დაამთქნარა და მთხოვა რუკაზე მომეხაზა საქართველოს ტერიტორია. აქ კი ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ფრანგი უბრალოდ დამცინოდა (დაგვცინოდა). ე.ი. ამით მითხრა ის სათქმელი, რასაც ამდენი ხნის (ორი-სამი თვის) განმავლობაში დიპლომატიურად არ ამბობდა და ალბათ დაახლოებით ასე ჟღერდა: «თქვენ, ქართველებს, ჩვენ ფრანგები სულელები ან გიჟები ხომ არ გგონივართ, რომელი ჭკუაზემყოფელი პოლიტიკოსი ან სამხედრო გაანაწყენებს ამხელა ტერიტორიის და სამხედრო ძალის მქონე ქვეყანას თქვენი პატარა რწყილის ხელა ქვეყნისთვისო». აი, რა წავიკითხე დაახლოებით გენერალ ფურიეს დამცინავ გამოხედვაში... ეს კი აშკარად აბუჩად აგდება, დაცინვა იყო. მე საჩვენებელი ჯოხი დავდე და ჩემს ადიუტანტთან ერთად ჩუმად დავტოვე მოლაპარაკების ოთახი. ამის შემდეგ ეს გენერალი არც მინახავს. მგონი, 1928 წელს გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალეს ფრანგებმა».

რას წარმოადგენდა დახვრეტილი გენერლის საგამომძიებლო საქმე? არაფერს ისეთს, რაც რამე მტრულ ქმედებეში ამხილებდა მას. «გამოძიება» სულ ორი თვე მიმდინარეობდა, შემდეგ ე.წ. «ტროიკის» გადაწყვეტილება დახვრეტის სასჯელის გამოტანის შესახებ, შემდეგ შვილების სამი მიმართვა-განცხადება რეაბილიტაციის თხოვნით, რომლებიც წლების განმავლობაში ყოველგვარი რეაქციის გარეშე იყო დატოვებული, გარდა პირველი განცხადებისა, რომელსაც ერთვოდა საქართველოს პროკურატურის დასკვნა, იმის შესახებ, რომ მეფის და მენშევიკების გენერალი მაზნიაშვილი საბჭოთა კავშირში არსებული წყობის მოწინააღმდეგეა, ტროცკისტია (?!) და რეაბილიტაციას არ იმსახურებსო. შემდეგ კი, ამ დასკვნაზე დაყრდნობით, ყველა წერილი-განცხადება უპასუხოდ, განუხილველად იყო ჩაკერებული საქმეში.

გავეცანი თუ არა საქმეს, შევკრიბე მასალები, რაზედაც ხელი მიმიწვდებოდა საქართველოს უშიშროების არქივებში. გავეცანი გარკვეულ დამატებით მასალებს მაზნიაშვილის პიროვნების გარშემო, რადგან 1924 წლიდან რეპრესირებულთა ზოგიერთ საქმეში გადიოდა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე. გადავხედე აგრეთვე სხვა მასალებს, საქართველოს არქივში დაცულ საეკლესიო წიგნებს, საიდანაც გამოიკვეთა მაზნიაშვილის რუსული ეთნიკური წარმოშობა, თუმცა ამას არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა და იგი მხოლოდ დადებითად ახასიათებდა გენერალს, როგორ საქართველოს პატრიოტს.

გარკვეული ანალიზის შემდეგ შევადგინე გამოძიების შემდეგი გეგმა: უპირველეს ყოვლისა, დავთანხმებოდი შვილების ვერსიას, რომ რეპრესირებული გენერალი მაზნიაშვილი საბჭოთა ქვეყნის მტერი არ გახლდათ (გარკვეული მასალებიც ამას ამტკიცებდნენ), შემდეგში შემეკრიბა მასალები მისი რეაბილიტაციისთვის, რაც პირადად ნამდვილად მსურდა.

თუკი გენერალი მაზნიაშვილი 1921 წლის შემდეგ, როცა გახდა წითელი არმიის გენერალი, ასრულებდა საბჭოთა მთავრობის სპეცდავალებებს, შეიძლება მიმეკვლია რაღაც დოკუმენტისათვის, რაც ამ ვერსიას ვარაუდიდან ფაქტობრივ მასალად გადააქცევდა. მაშინ პროკურატურისათვის მიცემულ დასკვნაში ყოველივე ამას

სათანადო შეფასებებს მივცემდი და თან დავურთავდი რჩევას მისი რეაბილიტაციის შესახებ. ალბათ მკითხველს გაუკვირდება, როცა ვამბობ რჩევას მივცემდით-მეთქი. მაგრამ არაფერია გასაკვირი. როცა რამეს გვეკითხებოდნენ ცენტრალური კომიტეტიდან ან პროკურატურიდან, ან შინაგან საქმეთა სამინისტროდან _ ჩვენ არასოდეს საბოლოო გადაწყვეტილებებს არ ვიღებდით, ყოველთვის აზრს გამოვთქვამდით, რეკომენდაციებს ვაძლევდით. შემდეგ მათი გადასაწყვეტი იყო ძირითადი საკითხი. მაგრამ, როგორც ვიცი, თითქმის 99%-ს ჩვენი მოსაზრებებისა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სხვაგან კანონად იღებდნენ, რადგან არავის არ უნდოდა «ვაჟკაცობა» გამოეჩინა და თავზე აეღო მიღებული გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა, როგორც გოგოლმა ჩიჩიკოვს ათქმევინა «авось, потом, чтоб чего-либо не вышло».

მოვამზადე წერილები, ხელი მოვაწერინე გენერალ ჯორბენაძეს და სად არ გავაგზავნე, მათი ჩამოთვლა მგონი გამიჭირდება. ვეცდები ზოგიერთი მათგანი მაინც გავიხსენო:

_ საკავშირო სუკის არქივში (სუკის ქართული აბრევიატურა, თუ არ ვცდები, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ არალეგალურად გამოცემულ ჟურნალებში ამოვიკითხე, მე მგონი, ის იყო ამ ორგანიზაციის ასეთი მოხსენიების პირველი ავტორი და ნათლია, რაც საკმაოდ შეურაცმყოფელი იყო მაშინ, ვინაიდან ფაქტობრივად სუკი _ საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტს ნიშნავს თავისი დასახელების პირველი ასოებით, მხოლოდ მისი აღქმა რუსული ვნახე, არა მგონია, მის თანამშრომლებს და პირდად მე დიდ სიხარულს მანიჭებდა).

_ საბჭოთა კაშირის კაგებეს პირველ მთავარ სამმართველოს (დაზვერვა) არქივში.

_ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს, დაზვერვის მთავარ სამმართველოს არქივში.

_ საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო განყოფილების არქივში.

_ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ საქმეთა არქივში (კერძოდ, საფრანგეთში საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობის არქივის მასალებში ჩასახედად)...

_ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.

_ საქართველოს კომუნისტური პარტიის საიდუმლო განყოფილებაში.

_ საქართველოს კომუნისტური პარტიის ინსტიტუტის (იმელის) არქივში.

წერილები ასეთი შინაარსისა იყო: გენერალი მაზნიავშვილი გახლდათ პირველი სამამულო ომის გმირი, საქართველოს მენშევიკების არმიის გენერალი, შემდეგში კავშირი ჰქონდა ს. ორჯონიკიძეთან. იმყოფებოდა საფრანგეთში, იქ კონტაქტში იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრებთან, ემიგრაციაში მყოფ რუსული ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ლიდერებთან, ახლო ნაცნობობა ჰქონდა გენერლებთან დენიკინთან, ვრანგელთან, ალექსეევთან, კუტეპოვთან, მილერთან, სხვასთან და ა.შ. რეზიუმეში ვთხოვდით: არის ვერსია, რომ იგი სპეციალური დავალებით იყო გადასახლებული (მივლინებული) საზღვარგარეთ და თუ ეს მართალია, გთხოვთ დაგვიდასტუროთ-მეთქი.

დაწერით კი დავწერე, ლოგიკა ჩემს წერილებში თითქოსდა იყო, ხელიც მოვაწერე და ამით დასტური მივიღე გენერალ ჯორბენაძისა, მაგრამ რად გინდა? დიდხანს ველოდი და ველოდი პასუხებს. არ მახსოვს, ვინ გაგვხადა პასუხის ღირსი. მე მგონი, მხოლოდ მესამე-მეოთხე წერილის პასუხი მივიღეთ: საკავშირო კაგებეს არქივებიდან და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოდან. სხვებმა

პასუხის ღირსიც კი არ გაგვხადეს, მით უმეტეს, პარტიულმა ორგანოებმა. ეს კი კარგად მახსოვს: ერთ მშვენიერ დღეს, ასე ნახევარი წელიწადი მაინც იყო გასული ჩემს მიერ წარმოებული «გამოძიებიდან», დამირეკა პირადად ჯორბენაძემ და მთხოვა მასთან შევსულიყავი. ვერ გეტყვით, რომ ხმის ტემბრი გამოძახებისა მომეწონა, მაგრამ რას ვიზამ, გენერალ-მაიორს პოდპოლკოვნიკი არ დავუჯერებდი თუ რა? 32 წლის განმავლობაში უშიშროების სისტემაში ვიმუშავე და გამომიმუშავდა ერთი ალღო: რა თანამდებობებზეც არ ვმუშაობდი (საქართველოში ოპერრწმუნებულიდან განყოფილების უფროსის მოადგილემდე, საკავშირო კაგებეში უფროსი ოპერრწმუნებულიდან _ რუსეთის უშიშროების მინისტრის თანაშემწის, მრჩევლის, იგივე სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე), უფროსების გამოძახების ხმის ტემბრით, მათი ჩემდამი მიმართვის ფორმით, თითქმის ყოველთვის, ვიდრე ჩემი კაბინეტიდან მივიდოდი უფროსთან, უშეცდომოდ გამოვითვლიდი, თუ რა საუბარი მელოდა იქ, წამახალისებელი თუ... ასე იყო იმ დღესაც. შევედი გენერალთან, რომელიც გარკვეულწილად მოწყენილი გახლდათ. მან მითხრა, სასწრაფოდ შემეწყვიტა ეს ჩემი «გამოძიება», საქმე მოპოვებულ მასალებთან ერთად არქივში ჩამებარებინა და შევდგომოდი ჩემს ძირითად საქმეს, რაც სამსახურეობრივად მევალებოდა. გამოსვლისას ერთიც მოაყოლა: ვიღაც ტუტუცმა დარეკა თავმჯდომარესთან და ასე უთხრა: «თქვენ რა, მეტი საქმე არა გაქვთ, ვიღაც ანტისაბჭოთა ელემენტის, მოღალატე გენერლის საქმეებში რომ იქექებითო?» ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვა ინაურის «აღმზრდელობითი» რუსული გინებებით უხვად შემკული საუბარი მის მოადგილესთან, შემდეგ კი შედგა ჩვენი საუბარი, მართალი გითხრათ, შედარებით ზომიერი, რადგან გურული ჯორბენაძე რომ გაფიცხდებოდა, ჩემს მტერს! თუმცა მე რა შუაში ვიყავი? თვითონ მიბრძანა, თვითონ ჩამაბა ამ «ავანტიურაში» და მადლობა მას, რომ შეინარჩუნა ტაქტი და უსამართლოდ არ გამლანძღა. არ ვიცი, ეს იყო მიზეზი თუ სხვა, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გადამიყვანეს «პარალელურ» თანამდებობაზე.

შემდეგში გენერალ ჯორბენაძეს მხოლოდ ერთხელ შევხვდი რამდენიმე დღით, დავხვდი მოსკოვში ჩკალოვის სამხედრო აეროპორტში, იგი მეუღლესთან ერთად უკან ბრუნდებოდა ავღანეთში 4-5 თვიანი მივლინების შემდეგ. სასტუმრო «მოსკვაში» მოვაწყვე, ვისაუბრეთ, ცოტა დავლიეთ კიდეც. გავიხსენეთ გენერალ მაზნიაშვილის საქმე, გამოვხატეთ სინანული, რომ ვერ დავეხმარეთ შვილებს. ჯორბენაძე და მისი მეუღლე მიყვებოდნენ ავღანეთში მიმდინარე საომარ პროცესებზე, ტერორზე, დივერსიებზე და სხვ. მე იმდენი მქონდა გაგებული ჩემი კოლეგებისაგან ავღანეთის გარშემო, რომ ვერ გეტყვით, ყურადღებით ვუსმენდი-მეთქი. რომ იტყვიან, «კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო». ამ საუბრიდან სამ თვეში თავი ამოვყავი ავღანეთში (ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ). ახლა კი, თქვენის ნებართვით, აქ დავამთავროთ თხრობა ჩემი და გენერალ მაზნიაშვილის «შეხვედრისა» შორეულ 70-ან წლებში.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ თხრობის შემდეგ, მკითხველისთვის მიმინდვია.

ხოლო თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მოგახსენებთ: რა თქმა უნდა, მაზნიაშვილი საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტია, გმირია, 1921 წლის თებერვალში მან მიიღო პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება (შემდეგში ეს ისტორიის მსვლელობამაც დაადასტურა). დაეხმარებოდა თუ არა იგი მენშევიკებს კოჯორთან, ეს ფაქტი ვერაფერს შეცვლიდა, წითელ მე-11 არმიას ვერაფერი შეაჩერებდა, საქართველოს ეროვნული თავისუფლება იმ პერიოდში განწირული იყო. წარმოუდგენელია, რუსეთის (საბჭოთა კავშირის) პოლიტიკური ინტერესების გამო, სომხეთში და

აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკები ყოფილიყვნენ და საქართველო დამოუკიდებელი დარჩენილიყო (მაშინ რუსეთის იმპერიაში ბაქოს ნავთობის საბადოებს თბილისიც სჭირდებოდა). და, რაც მთავარია, ოქტომბრის ამბოხებაში, საბჭოთა სისტემის გამარჯვებაში, ებრაელების შემდეგ, ყველაზე დიდი როლი ეთნიკურმა ქართველებმა _ კავკასიურმა ეთნოსმა ითამაშა. როგორ შეიძლებოდა დაეშვათ ჯუღაშვილს (სტალინს), ს.ორჯონიკიძეს, ა.ენუქიძეს, მ.ცხაკაიას და მრავალ სხვა ბოლშევიკ ლიდერს, რომ მათი სამშობლო ბოლშევიკური საქართველო არ ყოფილიყო. მაშინ ისინი კრემლის მანქურთები აღმოჩნდებოდნენ. ეს კი, მათ ამბიციურ მიზნებს თუ გავითვალისწინებთ, არამც და არამც არ აწყობდათ. მაშინ სტალინი ხომ სტალინი ვერ გახდებოდა და სერგო ორჯონიკიძე _ სერგო ორჯონიკიძე _ ბელადები საბჭოეთისა. ამიტომ ვიმეორებ, 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობა განწირული იყო. ხოლო გენერალ მაზნიაშვილს რომ თურქების ინტერვენციისაგან აჭარა არ გაეთავისუფლებინა, ღმერთმა იცის, დღეს იგი დედა-საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდა თუ არა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ აჭარა რუსეთის იმპერიაში მხოლოდ 1885-1886 წლებში შევიდა, ე.ი. დაუბრუნდა საქართველოს და მას შემდეგ სულ რაღაც 35-36 წელი იყო გასული და იქ მაშინ თურქული (მუსლიმანური) თესლი ჯერ კიდევ ღვიოდა.

მთიანი ყარაბახის პრობლემა

მთიანი ყარაბახის პრობლემა მთელი საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ისეთივე მტკივნეული საკითხი იყო აზერბაიჯანის სოციალისტური სახელმწიფოსთვის, როგორც აფხაზეთის სეპარატიზმი საქართველოსთვის. იქაც თითქმის სტაბილურად, ყოველი 10-15 წლიანი ციკლის გასვლის შემდეგ, იქმნებოდა ახალ-ახალი გამოვლინებანი სომხური სეპარატიზმისა, რაც საბჭოთა სინამდვილეში «სომხური ნაციონალიზმის» ტერმინით იყო მონათლული. საკავშირო უშიშროების მიერ მიღებული ინფორმაციებით ტალღა სეპარატიზმისა და ნაციონალიზმისა პერიოდულად აღწევდა პიკს. ასე იყო, მაგალითად, პარტიის გენერალურ მდივნად ხრუშჩოვის მოსვლის პირველ წლებში. ასეთი საგანგაშო სურათი შეიქნა ყარაბახში 1964-65 წლებში, გენერალურ მდივნად ლ. ბრეჟნევის მოსვლისას. შემდეგ იყო 1975-1976 წლების მოვლენები... სომეხი მაცხოვრებლების «მშვიდობიანი» დემონსტრაციები, მათი ძალადობრივი დაშლა, და ა.შ. ამას მოჰყვა სეპარატისტთა ლიდერების დაპატიმრება, სასამართლო პროცესები და შემდეგ მათი იზოლირება და გასახლება სუკის «დუბრავ-ბანაკებში». ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ცენტრის ზეწოლისა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მიმართავდა უფრო გადამწყვეტ კარდინალურ ზომებს ყარაბახის «სომხური სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის» აღმოფხვრისათვის და არა ისე, როგორც საქართველოს მთავრობა იქცეოდა, რომელიც ყოველთვის ეძებდა კომპრომისებს აფხაზებთან მიმართებაში და უფრო დამჯერი იყო ცენტრის «ნაციონალური» პოლიტიკისა, რაც საკმაო წილად ათავხედებდა სეპარატიზმს აფხაზეთში. რუსული ხატოვანი გამოთქმით რომ ვთქვათ, მოქმედებდა "синдром безнаказанности". ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზთა სეპარატისტულ ქმედებებს საკმაო ლობისტები ჰყავდათ მოსკოვში. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ საბჭოეთის კომპარტიის ყოვლისშემძლე იდეოლოგი ნ. სუსლოვი (მართალია _ ფარულად) ამ სეპარატიზმის მამამთავრად შეიძლება მოვიხსენიოთ. ეს კაცი კი მაშინ თავისი გავლენით ქვეყნის პოლიტიკაზე

გაცილებით სჭარბობდა დღევანდელ აფხაზ სეპარატისტთა ლობისტებს, ბატონებს ბაბურინს, მიგრანიანს, ზატულინს, მარკოვს, კოლესნიკოვს და სხვას და სხვას. ჩვენდა საუბედუროდ, მათი ჩამონათვალი ძლიერ შორს წაგვიყვანს.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სომხურ ნაციონალიზმს და სეპარატიზმს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა მდიდარი სომხური დიასპორისა. მაგრამ არსებობს ერთი მაგრამ. საბჭოთა სინამდვილეში ეს მხარდაჭერა ჩანასახშივე ისპობოდა ჩეკისტების ოპერატიული მუშაობის შედეგად. სეპარატიზმი ის სენია, რომელსაც დიდხანს ვერ დამალავ, ვერ ჩაახშობ, რადგან მათი ლიდერები ძირითადად ფანატიკური, რადიკალური აზროვნების ხალხია, რომელ ერსაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ: ცივილიზებული ევროპის ბასკები (ესპანეთში) თუ ფლამანდიელები (ბელგიაში), ალბანელები (კოსოვოში) და ქურთები (თურქეთში), ლათინოამერიკელები (სამხრეთ ამერიკაში, და სხვა ჯურის სეპარატისტები აფრიკის მთელ რიგ სახელმწიფოებში. განსაკუთრებით საშიში არიან ისინი მაშინ, როცა იგრძნობენ რომელიმე დიდი ძალის მხარდაჭერას, ანდა ისეთი სახელმწიფოს დასუსტებას, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი. და ასეთი დროც დადგა. როგორც ადრე მოგახსენეთ, 1986 წელს გორბაჩოვმა და მისმა გუნდმა მხოლოდ ლაყბობაში ჩაყლაპა ალმაათის მოვლენები, შემდეგ ფერღანის არეულობები... აქ უკვე სასურველი ნიადაგი იგრძნო საკმაოდ ჭკვიანმა და პრაქტიკულმა ერმა _ სომხებმა. პირველი მერცხალი ყარაბახის ამბებისა ან მათი მსოფლიო არენაზე გამოტანისა _ იყო 1987 წელი, როცა საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი, სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საბჭოთა კავშირში აღიარებული ეკონომისტი, იმ წლებში (1987-1991წ.წ.) გორბაჩოვის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში, აბელ აგაბაბიანი გამოვიდა სიტყვით პარიზში ერთ-ერთ მსოფლიო ეკონომისტთა ყრილობაზე და საკმაო დრო დაუთმო ყარაბახის პრობლემებს, აზერბაიჯანის მთავრობის მიერ სომეხთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დევნის საკითხებს. ისიც აღნიშნა, რომ ყარაბახის არსებობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ერთ-ერთ ოლქად არის ისტორიული სინამდვილის დამახინჯება და რომ ისტორიულად მთიანი ყარაბახი ყველთვის დედა-სომხეთის განუყოფელი ნაწილი იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, საყოველთაოდ ცნობილი აკადემიკოსის ეს «გაბედული» (თუ წინასწარ გათვლილი სომეხი ლობისტების მიერ) სიტყვა მსოფლიო ტელევიზიისა და პრესის ყურადღების ცენტრში მოხვდა. არ დარჩენილა უყურადღებოდ ეს ფაქტი არც საკავშირო უშიშროების კომიტეტისათვის, რომელმაც სათანადო შეტყობინება გაგზავნა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ, როგორც იმ წლებში ხდებოდა, უყურადღებოდ დარჩა... თესლი არეულობისა დაითესა, დაახლოებით რამდენიმე თვეში ამხანაგი გორბაჩოვი ვიზიტად ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს, მოიარა რამდენიმე შტატი და კერძოდ ქალაქი ლოს-ანჯელესი, სადაც «ჩააწყვეს» თუ ისე მოხდა, რომ იქაურმა თავისი მატერიალური სიმდიდრით განთქმულმა სომეხთა დიასპორამ (გულბეკიანთა შთამომავალნი, კირკორიანის კლანი და სხვა) გორბაჩოვს და მის თანამმართველს სახელმწიფოს მართვის საქმეში ძვირფას მეუღლეს რაისა მაქსიმოვნას დიდი გრანდიოზული შეხვედრა-ბანკეტი მოუწყვეს (თუ ამერიკის პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, კარგა ძვირადღირებული ბრილიანტის საჩუქარიც მიართვეს ქალბატონს). გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გორბაჩოვს დაუსვა კითხვა იმის შესახებ, თუ რა აზრისაა იგი აკადემიკოს ა. აგაბაბიანის ცნობილი განცხადების შესახებ. გორბაჩოვმა მისთვის ჩვეული არაფრისმთქმელი პასუხი გასცა (ამის

დიდოსტატი გახლდათ ბატონი გორბაჩოვი), მაგრამ ჩიტი მაინც გამოფრინდა: უნებლიეთ სიტყვა ასე დაამთავრა «Да, можно согласиться, там в Карабахе есть вопросы и их надо решать». აი, ეს კი მეტისმეტი იყო: დემოკრატიასთან კუკუდამალობანას მოთამაშე კომპარტიის ლიდერმა აღიარა პრობლემა და მისთვის ჩვეული დემაგოგიურობით ის კი არ თქვა, რა პრობლემაა ეს და როგორი გზით უნდა გადაწყდეს. ეს სიტყვები, ჩემი აზრით, იყო პირველი ზარი, რომელიც ხელ-ფეხს უხსნიდა ყარაბახში სეპარატისტებს. სულ რაღაც 2-3 თვეში (ალბათ, დეკემბერში) სოფელ აგდამში, რომელიც სომხებითა და აზერბაიჯანელებით იყო მაშინ დასახლებული, მოხდა პროვოკაციული ფიზიკური შეხლა-შემოხლა სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის. რამდენიმე დაშავდა. ორი სომეხი დაიღუპა. არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ფაქტი ფაქტია: არეულობის მიზეზი იყო არა საყოფაცხოვრებო მომენტები, არამედ ეროვნული შუღლი (ვიღაცა უკვე კარგად მუშაობდა, აგიტირებდა, აღვივებდა ამ შუღლს). ამ ვითომდა მცირე ფაქტზე მოხდა ცენტრის ელვისებური რეაგირება: ყარაბახში ჩავიდა პროკურატურის მუშაკთა ოპერატიული დელეგაცია, ასე წარმოდგინეთ, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით და გამოიძია ეს მეტად «მნიშვნელოვანი» ინციდენტი. შემდეგ ერთმა ფაქტმაც დაასხა ნავთი (უნებლიეთ თუ მიზანდასახულად): ყარაბახის მივლინებიდან ერევანში ჩავიდა პროკურორი, რომელიც გამოვიდა სომხური ტელევიზიის პირველ არხზე და სხვა საკითხებთან ერთად თქვა ის, რაც ალბათ ან არ უნდა ეთქვა, ან ისე არ უნდა ეთქვა, როგორც თქვა. გაიხსენა აგდამის ინციდენტი და აღნიშნა, რომ სომეხ და აზებაიჯანელ გლეხებს შორის შეტაკებას შეეწირა ორი ადამიანი _ ეროვნებით სომეხი და რომ შეტაკება მოხდა ეროვნული გაუგებრობის საფუძველზე. შეგიძლიათ გადაამოწმოთ ფაქტები, თარიღებში, დროში, მაგრამ ერთი ფაქტია: ზუსტად რამდენიმე დღეში დაიწყო აქტიური სეპარატისტული მიტინგები, მანიფესტაციები, არეულობები ქალაქ სტეფანაკერტში (ყარაბახის დედაქალაქი). შემდეგი შეტაკებანი იყო სუმგაითში, ბაქოში... ომი... და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ _ ყარაბახის სომხური რესპუბლიკა.

რამდენჯერ დავფიქრებულვარ ამ საკითხზე: აი, მაგალითად, რა ერთსულოვნებასა და ურთიერთგაგებას იჩენენ ერთმანეთის მიმართ აფხაზი, ოსი, დნეპრისპირეთის სეპარატისტები, ცდილობენ ერთად იყვნენ, მიიღონ საერთო დეკლარაციები, დებენ რაღაც გაურკვეველ ხელშეკრულებებს, ერთი სიტყვით, ძმობენ და მეგობრობენ... მათ შორის იშვიათად თუ დავინახავთ ყარაბახის «დამოუკიდებელი» რესპუბლიკის წარმომადგენლებს. რატომ ხდება ეს? მე მგონი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიაღწიეს იმას, რაც სურდათ _ დე იურე ვითომ დამოუკიდებლობას. ამას გარდა დაიპყრეს ტერიტორია, რომელიც დედასომხეთთან აკავშირებთ. ამიტომაც ჩვეული სომხური პრაგმატიზმიდან გამომდინარე მეტი რა უნდათ? თანდათანობით ინტეგრირდებიან ერთიან რესპუბლიკაში და დიდი ხანია იმართებიან ერევნიდან (აკი სომხეთის პრეზიდენტიც მათი შთამომავალია). რატომ და რისთვის გააღიზიანონ დემოკრატიული და ცივილიზებული ევროპა და ამერიკა?! თუ აფხაზმა, ოსმა, და დნეპრისპირეთის სეპარატისტებმა «მოიპოვეს» დამოუკიდებლობა ან შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში, აი, მაშინ კი თავისდროზე წამოყოფენ თავს და... თუ გადავხედავთ კერძო რუსულ პრესას ან სატელევიზიო გადაცემებს, შევამჩნევთ ერთ უცილობელ ფაქტს: ყველაზე ხმამაღლა, ყველაზე ხშირად და ყველაზე რადიკალურად არიან განწყობილნი ე.წ. სომხური ეთნოსის მქონე ვითომდა რუსიКჟურნალისტები, საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც შეუნიღბავად ლობირებენ აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს, «ასწავლიან» რუს ხალხს

(პატრიოტიზმის წიაღში გახვეულნი), თუ როგორ იმოქმედონ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, დნეპრისპირეთში. ერთი ასეთი დიდი «მეგობარი» და «კეთილისმოსურნე» გვყავს ქართველებს ბატონ ანდრანიკ მიგრანიანის სახით.

მივლინება ფერღანაში

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, 2007 წლის 13-14 ივნისია, ჩავრთე ტელევიზორი, ქართული არხები ძირითადად ორი ინფორმაციით არიან დაკავებულნი: პირველი, პრეზიდენტის ვიზიტი საფრანგეთში. მისი შეხვედრა უკვე «მეგობრად» მონათლულ პრეზიდენტ სარკოზისთან. მეორე: პრიმაკოვის, ამ არანაკლებ ბებერი მელას, ვიდრე ედუარდია, ჩამოსვლა საქართველოში. მისი ნოსტალგიური გამომეტყველება, როცა ე.შევარდნაძე უხსენეს: «აუცილებლად დავურეკავო და თუ დამპატიჟა...» მართლაც ჭუჭყიანია პოლიტიკა და პოლიტიკოსის არსებობა, დღესაც მახსოვს, როგორ ირონიული სახით ეკითხებოდა მაშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრი რუს გენერალს ტელევიზიის ეკრანზე: «აი, მითხარით, გეთაყვა, რა მოუვა, მაგალითად, მსუბუქ, თუნდაც ბრონირებულ მანქანას რომ მოხვდეს თქვენი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი?». ტელეოპერატორი ამ კითხვის დასმის შემდეგ გვიჩვენებდა რუსი გენერლის გაკვირვებულ ირონიულ სახეს, რომელიც პასუხობდა რუსეთის ყოვლისშემძლე პრემიერს: «როგორ თუ რა მოუვა მანქანას? მისგან არაფერი არ დარჩებაო». აქ კი პრემიერი ჩაიხითხითებდა და ეკრანზე გამოჩნდებოდა ე.შევარდნაძის პერსონალური «მერსედესი», რომელსაც ტერორისტების ყუმბარა მოხვდა... რა მიზანი ჰქონდა ყოველივე ამის ჩვენებას ტელეეკრანზე? მხოლოდ ერთი მიზანი, ეჭვი შეეტანათ ამ ტერაქტის საერთოდ არსებობაზე და დაეჯერებინათ მისი ე.წ. «თეატრალური» გათამაშება, ამის უცილობელი დამადასტურებელი იყო პრიმაკოვის ირონიული კითხვა და სარკაზმით სავსე ხითხითი...

შემდეგ არავისთვის არ იყო დამალული ის ინფორმაცია, თუ როგორ ეჭვიანობდა მაშინ ჯერ კიდევ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი _ ყოფილ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრზე. ე.შევარდნაძე ყოვლისშემძლე იმპერიის, სუპერსახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, პრიმაკოვი კი დასუსტებული, დაავადმყოფებული იმპერიის მართლაც დიდი ნაწილის, მაგრამ მაინც ნაწილის და არა მთლიანი იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. მას სურდა ყველა დროის გამოჩენილი მინისტრი ყოფილიყო, მაგრამ სმოლენსკის მოედანზე საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის აჩრდილი დადიოდა. ეს კი მოსვენებას არ აძლევდა ამბიციურ ე.პრიმაკოვს, ამიტომაც იყო მისი მინისტრობის დროს პრესაში და ტელევიზიაში აგორებული ტალღა ე.შევარდნაძის დისკრეტიზაციისა, აქაო და, ე.შევარდნაძემ ბერინგის სრუტის აკვატორია აჩუქა ამერიკელებსო, არ დასცალდა, თორემ კურილიის კუნძულებსაც აჩუქებდა იაპონელებსო და საერთოდ თავისი ქმედებით ე. შევარდნაძესაც დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა კავშირის დასამარების საქმეშიო (ამაში კი ნამდვილად არ ცდებიან მისი ოპონენტები). პარადოქსულია მხოლოდ ორი ფაქტი. XX საუკუნის 20-ან წლებში ფაქტიურად ერთმა ქართველმა ი.სტალინმა შექმნა ჯერ არნახული იმპერია მსოფლიო რუკაზე, ხოლო საუკუნის ბოლოს მეორე ქართველმა, თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით, დაასამარა ეს იმპერია. რაც არ უნდა ითქვას და ვინც რა უნდა თქვას, XX საუკუნეში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც კაცობრიობის ისტორია ძირფესვიანად შეაბრუნა, მსოფლიოს განვითარების ვექტორი გადააადგილა. ამ

საუკუნის ყველა მოვლენა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ არის სამი გლობალური მოვლენა ცივილიზაციის განვითარების საქმეში. 1. ოქტომბრის გადატრიალება _ ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება და, რაც მთავარია, საბჭოთა იმპერიის შექმნა, მისი ევოლუცია აგრარული ჩამორჩენილი (ეკონომიკურად) ქვეყნიდან _ სუპერსახელმწიფომდე, მსოფლიოს მეორე ქვეყნად ჩამოყალიბებამდე. 2. მეორე მსოფლიო ომი _ მსოფლიოსთვის არნახული ომი თავისი საომარი ტერიტორიის პერიმეტრით, უდიდესი ტექნიკისა და საომარი აღჭურვილობის გამოყენების თვალსაზრისით, იმ ქვეყნების საჯარისო არმიების ოდენობით, რომლებიც ჩართული იყვნენ საომარ მოქმედებებში. 3. საბჭოთა კავშირის დაშლა _ ვარშავის პაქტის დაშლა _ ბერლინის კედლის დანგრევა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაბრუნება ცივილიზებულ ევროპულ ოჯახში, იმპერიის დაშლის შედეგად კავშირში «ნებაყოფლობით» შესულ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის გამოცხადება და ა.შ. და ა.შ. დამეთანხმებით, რომ ამ სამმა მოვლენამ ძირეულად შეცვალა ცივილიზებული სამყაროს განვითარება. დამეთანხმეთ? თუკი თანახმა ხართ, მაშინ საამაყოა თუ არა ეს? ამ სამივე მოვლენაში ძირითადი «აღმაშენებელი», «გამამარჯვებელი» და «დამასამარებელი» როლი შეასრულა ქართულმა გენმა, ქართულმა სულმა, და თუ ეს ასეა, ახლა წარმოიგინეთ, რას წარმოადგენს საქართველო თავისი ტერიტორიითა თუ ხალხის რაოდენობის მიხედვით მსოფლიო რუკაზე, მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში. პატარა წერტილს ან პატარა კუნძულს, რომელსაც კარგადაც კი ვერ შეამჩნევ რუკაზე, მაგრამ ფაქტი ჯიუტია...

მაპატიეთ, გადავუხვიე თხრობის საგანს... საქართველოს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ მზადდება კანონი საქართველოს პარლამენტში განსახილველად იმის შესახებ, რომ დაკანონდეს საქართველოდან დევნილი ე.წ. თურქი-მესხების დაბრუნება თავის სამშობლოში. ამ ინფორმაციამ, ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ყოველთვის, პოლიტიკური შოუს სახე მიიღო. მთავრობის წარმომადგენლები მენტორული ტონით არწმუნებენ ხალხს, რომ ეს საჭირო გადაწყვეტილებაა, აუცილებელია იმ პირობის შესრულება, რომელიც სახელმწიფომ დადო ევროსაბჭოში გაწევრიანებისას. ოპოზიცია რისი ოპოზიციაა, თუ წინააღმდეგი არ იქნება?! ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს ოპოზიციას ოპოზიციურობის ფენომენი ვერ გაუგია და ვერ შეუთვისებია. ოპოზიციურობა იმას კი არ ნიშნავს, ყველაფრის (რასაც მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას) საწინააღმდეგო თქვა. არა, ბატონებო, არსებობს პოლიტიკური ლოგიკა, მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობის ლოგიკურობა, მისი გათვლა სივრცეში და დროში და არა ყველაფრის უგულებელყოფა.

1989 წლის სამი ივნისია, შაბათი დღე, უკვე ღამის 11 საათი. მე და ჩემი ცოლისძმა თამაზ იაშვილი, მოსკოვის სიცხით შეწუხებულები, გამუდმებით ცივ ლუდს მივირთმევთ და ხანდახან, დაახლოებით 10-15 წუთის ინტერვალით, არაყს ვწრუპავთ, კარგად შეზარხოშებულები ვართ, სიმღერაც კი მინდა წამოვიწყო, მაგრამ ალბათ არც ისე მთვრალი ვარ, რომ ჩემი სიმღერა ვაკადრო ადამიანს, რომელსაც შესანიშნავი მუსიკალური სმენა აქვს და არც თუ ისე ცუდად მღერის... ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის გამუდმებული წკრიალი, დაახლოებით ისეთი, როგორც საქალაქთაშორისო ზარის წკრიალი. ყურმილი თამაზმა აიღო და ჩუმად გადმომცა. ვუპასუხე თუ არა აბონენტს, ვატყობ, მეორე მხარეს სიხარულისაგან ტაში შემოჰკრეს იმის გამო, რომ შაბათს, ზაფხულში, ღამის 11 საათსა და ოცდაათ წუთზე სახლში აღმომაჩინეს. საუბრის შინაარსი ასეთია: «დაახლოებით ერთ საათში ან მაქსიმუმ საათნახევარში თქვენ უნდა გამოცხადდეთ ვნუკოვოს სამთავრობო ე.წ. ვიპ-

აეროპორტში, მორიგე მანქანას ახლავე გამოგიგზავნით, დანიშნული ხართ სამივლინებო ჯგუფის უფროსის მოადგილედ, ალბათ ამ საღამოს, დაახლოებით ორ საათში გაემგზავრებით თვითმფრინავით მივლინებაში. სად _ არ ვიცი და ნუ შემეკითხებით, ადგილზე აგიხსნიან ყველაფერსო». ჩემი სატელეფონო მოსაუბრე აღმოჩნდა საკავშირო უშიშროების კომიტეტის პასუხისმგებელი მორიგე გენერალი. მე, როგორც შემეძლო, ჩემი ნასვამი მდგომარეობიდან გამომდინარე, ავუხსენი, რომ ვერა ვარ «ფორმაში», საკმაოდ ნასვამი ვარ, წესიერი დინჯი აზროვნებაც არ შემიძლია და რა მივლინებაზე შეიძლება ლაპარაკი-მეთქი. მოსაუბრემ უარყო ჩემი ე.წ. «გამამართლებელი» მტკიცებულებები და ამიხსნა, რომ მას ნაბრძანები ჰქონდა _ ყოველივე ეს ჩემთვის გადმოეცა, ხოლო შემდეგი პასუხისმგებლობა მას არ ევალებოდა, რომ ხვალ დილით პატაკით მოახსენებდა ხელმძღვანელობას ჩვენი საუბრის შინაარსს. რადგან კარგად ვიცოდი, რომ ჩემი უარი არაერთგვაროვნად იქნებოდა გაგებული, დავემორჩილე ბედს და შევუდექი გამგზავრებისათვის მზადებას. პირველ ყოვლისა, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ვიღებდი ცივ შხაპს. არ ვიცი, რამდენად გამომაფხიზლა შხაპმა, ის კია, რომ საათნახევარში აეროპორტში ვიყავი, პირველი, ვინც იქ ვნახე, იყო საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი ფილიპე ბობკოვი. მისმა თანაშემწემ სათათბირო კაბინეტში მიგვიწვია. ფ.ბობკოვმა აგვიხსნა, რომ დღეს სამ ივნისს უზბეკეთის საოლქო ქალაქ ფერღანაში მასობრივი გამოსვლები დაიწყო უზბეკი მოსახლეობისა, რომელიც მიმართულია იქ მცხოვრები ე.წ. თურქ-მესხების წინააღმდეგ (მოსახლეობისა, რომლებიც გადასახლებული იყვნენ 1944 წელს საქართველოდან). არისო მსხვერპლი, მათი რაოდენობა ჯერ კიდევ უცნობიაო, ბრბომ დაარბია და ცეცხლს მისცა ის მიკრორაიონი, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ თურქი-მესხებიო.

ჩავსხედით თვითმფრინავში, თვითმფრინავი საკავშირო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების სარდლის, არმიის გენერლის მატროსოვის პერსონალური სალონ-თვითმფრინავი იყო. მალე შემოგვიერთდა უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფერღანის ოლქის პარტიული ლიდერი, რომელიც მოსკოვში უმაღლესი საბჭოს სესიაზე გახლდათ. ავფრინდით თუ არა, შევუდექი იმ ოფიცრების სიის შედგენას, ვინც გამოძახებული იყო, რამეთუ არავინ არ იცოდა, თუ რომელი უწყებების და სამმართველოების მუშაკები იყვნენ ისინი, მორიგის მიერ სპონტანურად შეკრებილი ხალხი: დაახლოებით 100 ოფიცერი, არანაკლები მაიორის წოდებისა, უმრავლესობა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მუშაკები და ერთი ათეული _ საგამომძიებლო სამმართველოს გამომძიებლები. მოვახსენე ამის შესახებ ფ.ბობკოვს (მთავარ სალონში), რომელიც ამ დროს ობკომის მდივანთან საუბარში იყო გართული, აქ უნებლიეთ ყური მოვკარი პარტიული ლიდერის შემდეგ სიტყვებს: «რა ცუდია, რომ მომაცდინეს უმაღლეს საბჭოში საინტერესო მუშაობასო, ეს რა პანიკა ატეხეს პატარა კრიმინალური გარჩევისათვის, არა მგონია, ვითარება ფერღანაში რაიმე დაძაბულობას შეიცავდეს, ალბათ, ხვალ თუ არა ზეგ, უკან დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთო». საბრალო პარტიული მუშაკი, ასე მოწყვეტილი იყო რეალურ სინამდვილეს და ეს კაცი ხელმძღვანელობდა მთელ ოლქს (გამომგზავრებამდე უკვე მოსმენილი მქონდა «თავისუფლების რადიოს» გადაცემა და ამიტომ საშიშროება ძლიერ რეალურად მესახებოდა).

ქალაქში დილით დაახლოებით ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე ჩავფრინდით, თვითმფრინავმა რამდენიმე წრე შემოარტყა აერპორტს, ჩვენ თითქმის ყველა ილუმინატორებიდან გადავყურებდით. არასოდეს ჩემს ცხოვრებაში არ მენახა ასეთი

სურათი. გამახსენდა ომისდროინდელი, ბავშვობაში ნანახი ფილმები, როცა კინოოპერატორები წარმოგვიდგენდნენ ცეცხლის ალში გახვეულ ქალაქის უბნებს. ქვევით დაახლოებით რამდენიმე კილომეტრის დიამეტრით ჩანდა ალმოკიდებული სახლები, აფეთქებული მანქანები, ხალხის ბრბო _ ან გაუბედურებული ხალხისა, ან მაროდიორებისა და ა.შ. დავეშვით აეროპორტში. რამდენიმე წუთში თვითმფრინავთან სამხედრო ქვეგანაყოფი გაჩნდა ჯავშანმანქანებით, გადაგვიყვანეს აეროპორტის სამთავრობო რეზიდენციაში. აეროპორტში განლაგებული სამხედრო ქვეგანაყოფის უფროსმა წოდებით პოდპოლკოვნიკმა ფ.ბობკოვს და პარტიულ ხელმძღვანელს მოახსენა, რომ სრულ გათენებამდე და ადგილობრივი ქუჩების დაზვერვის გარეშე არ იღებდა პასუხისმგებლობას ქალაქში ჩვენს ტრანსპორტირებაზე, შეეძლო გამოეყო მხოლოდ რამდენიმე, ოთხი თუ ხუთი მსუბუქი მანქანა, ორი ჯავშანმანქანა და ერთი ათეული ჯარისკაცებისა ჩვენი მეგზურობისათვის, რადგან აეროპორტში ტერიტორიას საჯარისო ნაწილებიდან ვერ დააცარიელებდა: «ამ საღამოს იყო რამდენიმე მცდელობა, ე.წ. დემონსტრანტებისა (ბრბოსი) აეღოთ თავის კონტროლის ქვეშ ფერღანის აეროპორტის ტერიტორიაო», ჩვენც მეტი რა გზა გვქონდა, დაველოდეთ გათენებას. დაახლოებით დილის რვა საათზე გამოყოფილი სამხედრო ესკორტის თანხლებით გავემართეთ ქალაქში. სიცილის ხასიათზე რომ ვყოფილიყავი, ნამდვილად სასაცილოდ გამოიყურებოდა ჩვენი სატრანსპორტო ესკორტი: უსაფრთხოების მიზნით პარტიული ლიდერი თავისი დიდი ღიპით (დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის მამაკაცი) ძლივს «ჩავტენეთ» სამხედრო ჯავშანმანქანაში. მთელი ქალაქი დაცარიელებული იყო, რამდენიმე ადგილას გვიხდებოდა მარშრუტის შეცვლა ადგილობრივი გაის ინსტრუქციით, რომ არ გადავყროდით ე.წ. აგრესიულად განწყობილ დემონსტრანტებს და ბრბოს, რომელსაც თითქმის მთელი ქალაქი ტერორიზებული ჰყავდათ. არანაირ სასტუმროებში ჩვენს განთავსებაზე საუბარი არ შეიძლებოდა. ძლივძლივობით მივაღწიეთ ოლქის უშიშროების სამმართველოს შენობას. შენობა ცარიელი დაგვხვდა, ორგანიზაცია გავუკეთეთ მის უსაფრთხოების დაცვას, ოპერატიულ შემადგენლობას, ძირითადად რუსული ეროვნებისას, დავურიგეთ იარაღი _ საწყობში არსებული ორი ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ათეული ავტომატი, ყუმბარები და სამხედრო ამუნიცია. გავემგზავრეთ კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის შენობაში, რომელიც თითქმის გარშემორტყმული იყო აგრესიულად განწყობილი მომიტინგეებით, რომლებიც ანტითურქულ-მესხურ რეპლიკებს გაიძახოდნენ, მოითხოვდნენ მათ გაძევებას ოლქიდან და ქალაქიდან. როგორც შეგვატყობინეს, დარბეულ თურქ-მესხებს, ვისაც გადარჩენა მოუხერხებია, ქალაქის გარეუბანში არსებულ სამხედრო ბაზისათვის (სატანკო დივიზიის ტანკოდრომისათვის) შეუფარებია თავი. ეს ე.წ. ტანკოდრომი ტრიალ მინდორზე იყო განლაგებული, ტანკების გამუდმებული გადაადგილების გამო გადათხრილ, უსწორმასწორო ერთ ხრიოკ ტერიტორიას წარმოადგენდა, სადაც არ იყო თითქმის არც ერთი საცხოვრებელი ნაგებობა. თუ კი იმასაც ვიტყვით, რომ უზბეკეთში, კერძოდ _ ფერღანაში, ზაფხულის ამ დროს დაახლოებით +40+45 გრადუსი სიცხე იცის, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ვითარებაში იმყოფებოდნენ იქ თავის სახლებიდან დევნილი თურქი-მესხები (ქალები, ბავშვები, მოხუცები). ბევრმა მათგანმა არ იცოდა, თუ რა ბედი ეწია მათ ახლობლებს, ვინ გადარჩა, ვინ დაიღუპა. ამის დადგენა მაშინ ფაქტიურად შეუძლებელი გახლდათ, ქალაქი ჯერ კიდევ ამბოხებულების ხელში იყო.

4-5 ივნისს მონაცვლეობით ხან უშიშროების სამმართველოს შენობას, ხან საოლქო კომიტეტის შენობას ვიცავდით (თუმცა, უნდა ითქვას, რომ უშიშროების კომიტეტის შენობასთან მომიტინგეები არ გამოჩენილან). აი, უკვე ორი დღე თითქმის არ გვიძინია, ობკომის შენობაში ვართ, გარშემო მომიტინგეებია. ხუთში შუადღეს შემოცვივდნენ შენობის პირველ სართულზე და დაარბიეს იქაურობა. მილიციამ დიდი გაჭირვებით შესძლო მათი შენობიდან გაყვანა. ე.წ. «თავდაცვის შტაბი» შენობის სარდაფში (ბომბსაფარში) იმყოფება (ასეთი ბომბსაფარები თითქმის ყველა რესპუბლიკაში და საოლქო ქალაქში არსებობდა). მე, როგორც შტაბის უფროსის მოადგილე, შენობის მეხუთე სართულზე საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის კაბინეტში ვარ განწესებული, აქ იკრიბება ძირითადად ყველა ინფორმაცია რაიონებიდან, აქ ხორციელდება კავშირი რესპუბლიკის მთავრობასთან, მოსკოვთან. აქედან, თუ ეს აუცილებელია, ვუკავშირდებით აბონენტებს, ძირითად შტაბს (სარდაფის ბომბსაფარს). ხანდახან თუ გადავიხედავ ფანჯარაში, საიდანაც დაახლოებით 50-60 მეტრშია აგრესიული მიტინგი (რამდენიმე ათასი ადამიანი, ქალები, მამაკაცები, ძირითადად ახალგაზრდები). თავიანთ ენაზე ან რუსულად ანტითურქულ მოწოდებებს გაიძახიან. ამ ხნის განმავლობაში ისე შევეჩვიე ამ ხმაურს, რომ შინაგანი დაუფლებული აპატიით არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ. საინტერესოა საერთოდ განწირული კაცის ფსიქოლოგია. მოვალეობა უფლებას არ გაძლევს სხვანაირად მოიქცე. აქ უნდა იყო და შეასრულო შენი სამუშაო, თუ ბრბო შემოცვივდა, არავითარი გარანტია არა გაქვს, როგორ მოიქცევი? ესვრი ვინმეს? არ ვიცი ეს ახლა და არ ვიცოდი ამის შესახებ მაშინაც. თუ ერთი წუთი დავფიქრებულვარ ამაზე მაშინ, დაახლოებით ასე მიფიქრია, ვიმოქმედებ სიტუაციის მიხედვით-მეთქი და აქ გავჩერებულვარ, რადგან ჩემი ფანტაზია ამ საგანგებო ვითარებაში უფრო შორს ვერ ვრცელდებოდა. დაახლოებით ასეთსავე სიტუაციაში (თუ უარესში არა) აღმოვჩნდი 1991 წლის 21 აგვისტოს _ გკჩპეს აღსასრულის საღამოს _ საკავშირო უშიშროების კომიტეტის ცენტრალურ შენობაში (ლუბიანკაზე), მაგრამ ამის შესახებ შემდეგში და ქვემოთ.

დაახლოებით ღამის ორი საათია, ბომბსაფარიდან დამირეკა გენერალმა კარბაინოვმა (შტაბის უფროსის მოადგილემ ე.ი. კოლეგამ) და მთხოვა სიგარეტი (გამიკვირდა, ვიცოდი რომ არ ეწეოდა). ვუთხარი, რომ გამითავდა, მაგრამ აქ სეიფის თავზე (ობკომის მეორე მდივნის სეიფი) სამი ბლოკი იმპორტული «მალბორო» დევს-მეთქი და: «Тащи сюда, все равно - помирать, так умрем с музыкой»-ო. სასმელი? სასმელი ხომ არ გინახავს სადმეო, _ მოვახსენე, ბუფეტში რამდენიმე ბოთლი იმპორტული და სომხური კონიაკი დევს-მეთქი: «Так тащи сюда все это»-ო. მეც რა მეთქმოდა, აბა გენერლის ბრძანებას არ შევასრულებდი თუ რა? გადავიხედე ეზოში: ისევ აბობოქრებული ბრბო, ისვრიან ქვებს, აგურებს. პირველი სართულის და მეორე სართულის ფანჯრების ლაწალუწი ისმის პერიოდულად. «Ех, помират так с музыкой»-მეთქი, _ გავიფიქრე და სანოვაგით დატვირთული გავეშურე ლიფტისაკენ, რომელიც თავშესაფარში ჩასასვლელი ერთადერთი საიდუმლო ლიფტი გახლდათ. დაახლოებით საათნახევარი ვეცადეთ სამსახურის შესახებ არ გვესაუბრა, რუსები რომ იტყვიან, «расслабились». ვეწეოდით დეფიციტურ იმპორტულ «მარლბოროს», ვსვამდით სურნელოვან იმპორტულ ყავას და ვწრუპავდით შესანიშნავ (ყოველ შემთხვევაში, იმ დროისთვის ჩვენთვის ცნობილ) სომხურ კონიაკს. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ კი არ ვლოთობდით, არამედ «ვისვენებდით». ხანდახან ტელეფონის ზარის ხმა გვაწყვეტინებდა საუბარს, როგორც ყოველთვის, გვპირდებოდნენ სამხედრო ძალით დახმარებას, რათა მომიტინგეების ანუ

აგრესიულად განწყობილი ბრბოს თავდასხმა შენობაზე მოგვეგერიებინა. ასეთი შეპირებები უკვე მთელი დღის განმავლობაში გვესმოდა და იმდენად შევეჩვიეთ მათ, იმდენად გაცრუებული გვქონდა იმედი, რომ უკვე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით ამ შეპირებებს. დაახლოებით მახსენდება ჩემი ფსიქიკური მდგომარეობა მაშინ იმ ბუნკერში: გაქცევას და დამალვას არსად არ ვაპირებდი და სად უნდა გავქცეულიყავი, სამხედრო ვალდებულებით იქ უნდა ვყოფილიყავი, სადაც ჩემი ამხანაგები იყვნენ. სიკვდილზე ფიქრის დრო არ მქონდა, ამაზე არც მიფიქრია, ვინაიდან ამ თემაზე ფიქრი გონებაში პანიკას თესავს, ეს კი ძლიერ საშიშია. მეშინოდა თუ არა? რა თქმა უნდა, მეშინოდა, ფანჯრიდან რომ ვუყურებდი ამ აგრესიულ ბრბოს. თუ ნორმალური ფსიქიკის ადამანი ხარ, რა თქმა უნდა, გეშინია, მაგრამ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ამ გრძნობებს არ უნდა აჰყვე, სამხედრო ხარ და უნდა აკეთო შენი საქმე. ადრეც ჩავვარდნილვარ მსგავს სიტუაციაში _ ავღანეთში მივლინების დროს. მაგრამ ამაზე შემდეგ...

დაახლოებით საღამოს ოთხ საათზე შეგვატყობინეს, რომ სპეცდანიშნულების ორი ბატალიონი (დაახლოებით 800 კაცი) მოვიდა დასახმარებლად და ჩვენც გავედით ეზოში მათ დასახვედრად. ჯავშანმანქანიდან გადმოვიდა ახოვანი, ტანმაღალი პოლკოვნიკი და, კარგად გაერკვა რა სიტუაციაში, დამხდურებს შორის სამხედრო პატაკი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ფილიპ ბობკოვს ჩაბარა: «მზად ვართ სამხედრო დავალებების შესრულებისთვისო». ფ.ბობკოვი შეეკითხა პოლკოვნიკს, რამდენი ხანია გზაში ხართო? დაახლოებით ათი საათია, შეუჩერებელი სატრანსპორტო მარშით მოვდიოდით თქვენ დასახმარებლადო. გენერალმა უბრძანა (შემდეგში, როცა დავფიქრდი და გავაანალიზე მისი ბრძანება, მივხვდი თუ რა ბრძნული და მართალი იყო ეს ბრძანება). ამ ბრძანების შინაარსით გათვალისწინებული იყო ბრბოს ფსიქიკური მდგომარეობა და, რაც მთავარია, საწყენად არ ვამბობ, აღმოსავლეთის ხალხისათვის დამახასიათებელი ლოგიკა. ისინი ემორჩილებიან ძლიერს და ძლიერი ძალის პოლიტიკას. ფ. ბობკოვმა დაახლოებით შემდეგი ბრძანება გასცა: «არ მიაქციოთ არავითარი ყურადღება მიტინგის აგრესიულობას, განალაგეთ თქვენი მეომრები შენობის სახურავზე, გააღეთ ფანჯრები და დააყენეთ სამიზნეები, გაშალეთ კარვები, ტექნიკა განალაგეთ შენობის პერიმეტრის გარშემო, შემდეგში ცოტა დაისვენეთ, ამ დროში კიდეც გათენდება და შემდეგ ბრძანებას დაახლოებით ორი ან სამი საათის განმავლობაში მოგცემთ სიტუაციიდან გამომდინარეო».

გათენდა... სამხედროების მიერ ძალის დემონსტრირების ინსცენირებამ შედეგი გამოიღო: ფანჯრიდან ვაკვირდებოდი თუ როგორ იცლებოდა მოედანი მომიტინგეებისაგან. ჯერ განახევრდა, შემდეგ შაგრენის ტყავივით დავიწროვდა და დაახლოებით დილის შვიდ საათზე ადგილობრივი მილიციის მუშაკებისაგან შემდგარი კორდონის შეცვლა რომ დაიწყო სლავური გამომეტყველების მეომრებით, მაშინ მომიტინგეებმა დატოვეს შენობის წინა მოედანი ისე, რომ არავითარი წინააღმდეგობის მცდელობაც არ გამოუჩენიათ.

დაახლოებით დილის ათ საათზე გავემგზავრეთ უშიშროების კომიტეტის შენობაში. ქუჩები თითქმის დაცარიელებული იყო, იქაც სიმშვიდე დაგვხვდა და ნება მივეცით ჩვენს თავს, ერთი სამი საათით მაინც დაგვეძინა კაბინეტებში სკამებზე მოკალათებულებს. საღამოს სასტუმროში განვლაგდით, გზაში ორჯერ მოგვიხდა ავტობუსებიდან გამოსვლა და ე.წ. ადგილობრივი დაცვის მოწყობა, რამეთუ ავტობუსებს ტყვიები დაუშინეს. ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველივე ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია. სასტუმროში სინათლე არ იყო, მაგრამ წყალი მოდიოდა, რამაც საშუალება

მოგვცა შხაპი მიგვეღო. გავედით თუ არა მე და ჩემი აზერბაიჯანელი კოლეგა ბალაბეკ ბალაბეკოვი სასტუმროს ნომრის აივანზე სიგარეტის მოსაწევად, გაისმა პისტოლეტისა თუ ავტომატის ერთჯერადი სროლის ხმა. ერთი ტყვია ჩვენს ფანჯრის მინას მოხვდა, რამაც უარი გვათქმევინა გაგვეგრძელებინა «დასვენების» იდილია. როგორც იქნა, დავიძინეთ, ალბათ 16-17 საათი გვეძინა, ვერაფრით ვერ გაგვაღვიძეს.

შტაბმა შექმნა ე.წ. ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფები (დაახლოებით რვა-ათი კაცი): ოპერატიული მუშაკები, გამომძიებლები, კრიმინალისტები (ძირითადად მოსკოვიდან მივლინებულები) და ოთხი თუ ხუთი მეომარი _ დამხმარე ძალა. ჯგუფებს დავუსახეთ მიზანი, გასულიყვნენ შემთხვევის ადგილზე (თურქი-მესხების კომპაქტურ დასახლების ადგილას ე.წ. «მახალებში») და იქ თითოეულ სახლში ჩაეტარებინათ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. მობილიზებული იყო მთელი ქალაქის სასწრაფო დახმარების მანქანები, სატვირთო მანქანები და სხვა.

შეიქმნა მეორე სახის ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფები, რომლებსაც ევალებოდათ გასულიყვნენ სამხედრო სატანკო დივიზიის პოლიგონზე ე.წ. ტანკოდრომზე, სადაც განთავსებული იყვნენ დევნილი თურქი-მესხები და ჩაეტარებინათ მათი გამოკითხვა ან, თუ საჭირო შეიქნებოდა, დაკითხვები ეწარმოებინათ ჩადენილი დანაშაულებების სამოწმობო მასალების შესაგროვებლად და, რაც მთავარია, უბრალოდ სიები შეედგინათ, რათა გავრკვეულიყავით, ვინ დაიღუპა და ვინ გადარჩა.

მოვიპოვეთ ქალაქის იმ რაიონის ტოპოგრაფიული რუკები, სადაც ცხოვრობდნენ თურქი-მესხები, რათა დაგვეფიქსირებინა თითოეული ოჯახი _ გადარჩენილი თუ დაღუპული _ მათი ადრეული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რამეთუ მათი გამოყვანა ტანკოდრომიდან და შემთხვევის ადგილზე გაყვანა, პრაქტიკულად შეუძლებელი გახლდათ. ფერღანაში ჯერ კიდევ იყო, ჩვენი მონაცემებით, შეიარაღებული ბანდები. სიტუაცია იმდენად გაურკვეველი გახლდათ, რომ მხოლოდ რვა ივნისს შევძელით ოპერატიული ჯგუფების ჩართვა საქმეში, ე.ი. ამბოხის ხუთი დღის შემდეგ. მე, როგორც შტაბის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს, მევალებოდა ამ ოპერატიული ჯგუფების ორგანიზება და მათი მუშაობის ინსპექტირება. დამიჯერეთ, მიჭირს შემდეგი თხრობა... კალამი დროებით გადავდე და სიგარეტის მოსაწევად გავედი...

ჩემს მტერს, რაც მე იქ ვნახე: ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ადამიანს შეეძლო თავისივე მსგავსი ადამიანის ასეთი სისასტიკით მოსპობა. შაჰ-აბასის მხეცობები თუ აღა-მაჰმად-ხანის და სხვა, ბავშვობაში წაკითხული ისტორიები თვალნათლივ სახეზე მქონდა: ბევრი გვამი თავწაცლილი, ნაჯახით თუ სხვა «საბრძოლო» იარაღით მოკვდინებული. ცალკეული ეზო გადამწვარი სახლებით ბრძოლის ველს წააგავდა, ალბათ წარმოსადგენია თუ რა ტრაგედიები დატრიალდა თითოეულ ეზოში თავდამსხმელებსა და ოჯახის წევრებს შორის. აქა-იქ მიმოფანტული გვამები: ეზოში ძირითადად მამაკაცებისა და ქალების, სახლის ზღურბლებთან _ მოხუცების, სახლში _ დამწვარი ისე, რომ მამაზეციერიც კი ვერ იცნობდა, გვამები, გვამები და მათ შორის _ მცირე ზომის და ფორმის _ ე.ი. ბავშვებისა. შეიძლება მსხვერპლი აგრესორებს შორისაც იყო, მაგრამ მათი გვამები ალბათ ახლობლებმა _ თანამებრძოლებმა წაიღეს და უკვე დასაფლავებულებიც იყვნენ (მუსულმანებს ხომ სიკვდილის შემდეგ _ მეორე დღის მზის ამოსვლამე მარხავენ).

არავითარ იდენტიფიკაციაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. არ იყო ამის არავითარი არც ტექნიკური საშუალება და არც სათანადო დრო. დარბევის მსხვერპლნი უკვე ხუთი-ექვსი დღის გარდაცვლილნი იყვნენ, გარეთ 40-45 გრადუსი პაპანაქება იდგა. აირწინაღების გარეშე მუშაობა შეუძლებელი იყო. საშიშროება იმისა, რომ

ინფექციური ავადმყოფობები გავრცელებულიყო, ძლიერ დიდი გახლდათ. თავდაპირველად თუ ტოპოგრაფიულ რუკაზე ვცდილობდით მინიშნება ჩაგვეტარებინა _ რომელ ეზოში რა სახის გვამი ვიპოვეთ, ბოლოს ეს «სამუშაოც» შეწყდა. სამედიცინო სამსახურისა და ჯარისკაცეების დახმარებით უბრალოდ ვაგროვებდით გვამებს, ვფუთავდით ან... ამის საშუალება ყოველთვის არ იყო (ფუთების დეფიციტის გამო). ალბათ მორგში აბარებდნენ მძღოლები მათ, ამ გაუბედურებული ხალხის გვამებს, რათა ხვალ დილის მზის ამოსვლამდე მიწისთვის მიებარებინათ (თურქი-მესხებიც ხომ მუსულმანები არიან და მუსულმანური წესით უნდა დაემარხათ). ეს კი ხელს აძლევდა გამოძიებას, რამეთუ არავითარ გვამების იდენტიფიკაციაზე თავის ტეხა არ იყო საჭირო. იყო მხოლოდ ციფრი. აღმოვაჩინეთ, შევფუთეთ, მორგში ჩავაბარეთ ამდენი და ამდენი გვამი და ამით გათავდა გამოძიების დიდი წილი მუშაობისა. ანდა რა საჭირო იყო ყოველივე ამ უბედურების დოკუმენტაცია, კინო თუ ფოტოფირზე გადაღება? მაშინაც ვხვდებოდი, რომ ამისათვის არავის არ დასჯიდნენ, არავის არ მისცემდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და, რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ თითქოს რაღაც გამოძიების მაგვარი პროცესი ტარდებოდა, შემდეგ იმასაც საღათას ძილით დაეძინა. შემდეგ კი ამისათვის უბრალოდ არავის ეცალა... მალე საბჭოთა იმპერიაც მიესვენა, შეიქმნა «დამოუკიდებელი» სახანო, ყოფილი პარტიის ცკ პირველი მდივნის კარიმ-ხან პირველის თამადობით. და აბა საწყალი თურქი-მესხებისათვის ვინ მოიცლიდა? ორჯერ განიცადა ამ ხალხმა გენოციდი: 1944 წელს, როცა გაასახლეს საქართველოდან შუა აზიის ტრამალებში, და შემდეგ, როცა განუკითხავად ამოჟლიტეს ფერღანაში, და მერე რა? _ განა ვინმე დაისაჯა, ვინც ჩაიდინა ეს მხეცობა? არა, არავინ არ დასჯილა და არა მგონია, რომ როდესმე დაისაჯოს.

ცივილიზებული სამყარო, მისი საერთაშორისო ინსტიტუტები, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ორგანიზაციები ე.წ. გაერო, ევროპარლამენტი, ჰააგის სასამართლო და სხვები ხშირად სამართლიანად იმაღლებენ ხმას, ახსენებენ კაცობრიობას 1915 წლის სომხების გენოციდზე თურქეთის იმპერიაში, ებრაელების ჟლეტაზე ფაშისტური გერმანიის ხელისუფალთა მიერ. ეს იმიტომ, რომ ამ უდანაშაულოდ დაღუპულ ორი ერის წარმომადგენლებს, რომ იტყვიან, ჰყავთ პატრონები მათი შთამომავლების სახით, რომლებსაც თავისი ქონებრივი და ინტელექტუალური პოტენციალით შეუძლიათ და ძალა შესწევთ აიმაღლონ ხმა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც მათ წინაპრებმა განიცადეს. მაგრამ აბა, რა პატრონი ჰყავთ ამ გაუბედურებულ, 1944 წლიდან დევნილ თურქ-მესხებს?! ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამ დანაშაულის ჩამდენნი დაუსჯელნი დარჩებიან. უბრალოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს მათთვის არა სცალიათ.

ჩემი ფერღანიდან მოსკოვში გამომგზავრების (10 სექტემბერი) შემდეგ ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფები კიდევ განაგრძობდნენ მუშაობას, შეგროვილ იქნა ზღვა მასალა ჩადენილი ბოროტმოქმედებების შესახებ. გადაღებულ იქნა ათასი ფოტო, რამდენიმე ათეული კილომეტრი კინოფირი, ნაწილი უზბეკეთში დავტოვეთ გამოძიებისათვის, უმრავლესი მოსკოვში იქნა ტრანსპორტირებული და უშიშროების კომიტეტის დახურულ კინოსტუდიაში შეიქმნა ერთ საათზე მეტი ხანგრძლივობის დოკუმენტური ფილმი, რომელიც, როგორც ვიცი, კრემლში პოლიტბიუროს წევრებმა ნახეს. მაგრამ ისმის კითხვა: ახლა სადაა ეს მასალა, გენოციდის უტყუარი დოკუმენტი?

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მიბრძანეს, ინსპექცია ჩამეტარებინა საგამოძიებო ჯგუფებისათვის, რომლებიც ტანკოდრომზე დევნილ თურქ-მესხებთან მუშაობდნენ. დაახლოებით წარმომედგინა, თუ რა პირობებში ცხოვრობდა იქ ეს საწყალი ხალხი, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ანტისანიტარიულ პირობებში, საშინელ სიცხეში, სამხედრო კარვებში 15-20 კაცი ერთად ცხოვრობს. იქვე აკეთებენ საჭმელს, იქვე ბანენ ბავშვებს, საშინელი შმორის სუნი ტრიალებს. დილით მივა საგამომძიებლო ჯგუფი სამუშაოდ, საათნახევარში «აუშენებს» სამხედრო კარავს, იმუშავებს დაღამებამდე, დაახლოებით 8-9 საათამდე და მეორე დილას რომ მოვა სამუშაოდ, კარავი უკვე «ოკუპირებულია» მოსახლეობის მიერ და ასეთი სურათი თითქმის ერთი თვის განმავლობაში მეორდებოდა.

დაახლოებით ივნისის შუა რიცხვებში შტაბში გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფერღანაში ჩამოვიდნენ ე.წ. «დამოუკიდებელი» ჟურნალისტები მოსკოვიდან და მათ შორის არის ჟურნალისტი-ოპერატორი გიორგი ხაინდრავაო. შემეკითხნენ, თუ გამიგია რაიმე ამ ჟურნალისტის შესახებ. მე პირადად გიორგის არ ვიცნობდი, ვიცნობდი მის მამას და ბიძას და დადებითი დახასიათება მივეცი მათ. იმდენად არ უნდოდათ და თავი არა ჰქონდათ რაიმე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა (ფ.ბობკოვი ამ დროს უკვე მოსკოვში იყო დაბრუნებული), რომ არავითარი პროტესტი ჟურნალისტების ჩამოსვლის შესახებ შტაბს არ გამოუხატავს. ერთია, რომ მათ გამოუყვეს ე.წ. «დაცვა» და ამ სახის მეთვალყურეობა მათი ქმედებისა. მერე ე.წ. მასალებში ჩვენი საგამომძიებლო ჯგუფები უკვე სამი თუ ოთხი დღე მუშაობდნენ და საკმაოდ «გაასუფთავეს» იქაურობა.

სიტყვამ მოიტანა და შემიძლია მოკლედ მოგახსენოთ ხაინდრავების ოჯახის შესახებ: ის, რაც ე.წ. «ხარბინელების» მონაყოლიდან ვიცოდი (სამსახურში მუშაობისას) და რაც გავიგე გიორგის და ივლიანეს მამასთან ურთიერთობაში და ბიძასთან ალექსანდრე (ალიკა) ხაინდრავასთან პირად ურთიერთობის დროს. ხაინდრავების ოჯახი ჩინეთში ქალაქ ხარბინში ცხოვრობდა. ჩემი ინფორმაციით ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე აღმოჩენილან ემიგრაციაში (დანამდვილებით ვერ ვიტყვი, შეიძლება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ). როგორც მონაყოლიდან და საქართველოს უშიშროებაში «დალექილი» მასალებიდან ვიცი, მათი ბაბუა საკმაოდ მდიდარი კომერსანტი გახლდათ და დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა, მატერიალურად ეხმარებოდა როგორც რუს, ისე ქართველ ემიგრანტებს. აუშენებია ხარბინში მართლმადიდებლური ეკლესია, კვირაში ორჯერ აწყობდა უფასო სადილებს. გარდაიცვალა დაახლოებით 50-ანი წლების ბოლოს. გიორგისა და ივლიანეს ბებია, მამა და ბიძა საცხოვრებლად თბილისში გადმოსახლებულან. ხარბინში მათ უკვე დამთავრებული ჰქონდათ რუსული გიმნაზია. როცა გავეცანი, ალექსანდრე ცოტათი, რომ იტყვიან, ჩიქორთულად მაინც ლაპარაკობდა ქართულ ენაზე, ხოლო ლევანის ძირითადი სალაპარაკო ენა რუსული იყო (რა თქმა უნდა, ორივე ძმა ბავშვობიდანვე თავისუფლად ფლობდა ინგლისურს). ძმებმა უმაღლესი სასწავლებელი თბილისში დაამთავრეს, 60-ანი წლების ბოლოს და 70-ანი წლების დასაწყისში უფროსი ხაინდრავა მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ჯერ უფროსი მასწავლებელი, შემდეგ კი რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი გახლდათ. იყო (მე მგონი) საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ახლაც ინახება ჩემს ბიბლიოთეკაში მის მიერ ნაჩუქარი მოთხრობების კრებული. ალექსანდრე კი დიდი გავლენიანი კაცი გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: იყო უცხოეთის განყოფილების გამგე და რექტორის, ყოვლისშემძლე (ვასილ მჟავანაძის მეგობრის) იოსებ ბუაჩიძის

თანაშემწე. თბილისში ითვლებოდა ინგლისური ენის დიდ სპეციალისტად. და, წარმოიდგინეთ, 65 წელს მიღწეულ რექტორს ინგლისურიც კი შეასწავლა, რითაც საკმაოდ «ტრაბახობდა» ი.ბუაჩიძე და თათბირების დროს კიდეც «ჭორაობდა» ინგლისურ ენაზე თავის თანაშემწესთან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კომუნიკაბელური ალიკა საზოგადოებაში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. რამდენადაც ვიცი, გარკვეული «რეკორდი» ჰქონდა დამყარებული ცოლების რაოდენობაში. ოთხმოციანი წლების შუალედში მგონი უკვე 10 მეუღლე ჰყავდა გამოცვლილი. მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ ე.წ. ყოფილ ცოლებს ეხმარებოდა მატერიალურად და განშორების შემდეგაც არცერთთან «ცუდი» ურთიერთობა არა ჰქონია, თითქმის ყველასთან «მეგობრობდა», რაც მაშინ ჩვენი ქართული მენტალიტეტის გაგებით უცნაურად გამოიყურებოდა.

უმცროსი ძმისაგან განსხვავებით, უფროსი ხაინდრავა ზედმეტად დინჯი, წყნარი, სიტყვაძუნწი ადამიანი აღმოჩნდა. ერთხელ სავსებით შემთხვევით ალექსანდრემ გამაცნო უფროსი ძმა. ალიკას არ დაუმალია და აუხსნა, ვინ ვიყავი, სად ვმუშაობდი და სხვა. მახსოვს, მომაჩერდა წყნარი, დინჯი თვალებით, თვალი თვალში გამიყარა, დამაკვირდა, თითქოს მეკითხებოდა, ეს ჩვენი შეხვედრა შემთხვევითია, თუ უშიშროების ორგანოების მიერ «ჩაწყობილი». მაშინ რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ ზოგად თემებზე, შემდეგ ისევ უმცროსი ძმის თანდასწრებით რამდენიმე ეპიზოდური შეხვედრა მქონდა მასთან. ერთ-ერთ შეხვედრაზე შევთავაზე: აი თქვენ მწერალი ბრძანდებით, რატომ არ დაწერთ მოგონებებს ხარბინის ქართველი ემიგრაციის შესახებ-მეთქი, ირონიულად გაიცინა და რუსულად მიპასუხა: «А, это ведь не приветствуется сейчас, и неужели это будет комуто интересно?». მე გავაგრძელე ჩემი საუბარი და ვუთხარი, ბევრი მსმენია ჩემი ნათესავი ხაინდრავებისაგან მამათქვენის ქველმოქმედების შესახებ ემიგრაციაში და ამის შესახებ მაინც უნდა დაწეროთ-მეთქი. «Да, это не плохая идея»-ო. არ ვიცი, შეასრულა თუ არა მან ეს დაპირება, შემდეგ 80-ანი წლების დასაწყისში მე მოსკოვში გადამიყვანეს სამუშაოდ და ამის შემდეგ თითქმის ორივე ძმა დავკარგე მხედველობის არედან. ახლა, როცა ტელევიზორს ვუყურებ და ვაკვირდები ივლიანეს და გოგას, ვხვდები, რომ ორივე მამამისის და ღირსეული ბაბუის ღირსეული შთამომავლები არიან, ყოველ შემთხვევაში _ თავიანთი ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების დაცვაში.

ერთსაც გავიხსენებ: 60-ანი წლების ბოლოს ხაინდრავა _ პედინსტიტუტის დოცენტი, თავისი არცთუ ისე ანტისაბჭოთა, უფრო მეტად _ ლიბერალური შეხედულებების გამო საქართველოს უშიშროების კომიტეტის პოლიტიკური სამძებრო განყოფილების შესწავლის ობიექტი გახლდათ. მაგრამ რად გინდა, შესწავლით კი სწავლობდნენ, მაგრამ ფრთხილ და დინჯ მწერალს ვერაფერი ისეთი ვერ ათქმევინეს, რაც მათ საშუალებას მისცემდა, მასთან თუგინდ ე.წ. პროფილაქტიკური საუბარი ჩაეტარებინათ. ამიტომ, რამდენადაც ვიცი, ეს «მასალები» შემდეგ «მორცხვად» გაანადგურეს.

დაახლოებით 1968 წელია, უშიშროების კომიტეტში ახალი მისული ვარ სამუშაოდ და ამ დროს მოსკოვიდან შიფროდეპეშა მივიღეთ: ამერიკის შეერთებული შტატებიდან (ვაი, უბედურებავ, თვით ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იმპერიალიზმის ბურჯიდან, ჩვენი ძირითადი მტრის ბუნაგიდან) საქართველოში ჩამოდის ეროვნებით რუსი აშშ მოქალაქე, 70 წელს მიღწეული (გვარი არ მახსოვს), რომელიც საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად აცხადებს იმას, რომ თითქოსდა უნდა მოინახულოს ყოფილი ხარბინელი მილიონერის, ანტისაბჭოთა ელემენტის, ქართველი ემიგრანტის, აწ უკვე გარდაცვლილი ივლიანე ხაინდრავას ცოლი

(საკუთარი და) და დისშვილები. ჩვენი მონაცემებით, ეს კაცი დაახლოებით 50-ან წლებში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელე იყო, არ არის გამორიცხული მისი კავშირი სადაზვერვო ორგანიზაციებთან და ასე შემდეგ. გთხოვთ (წაიკითხე _ გიბრძანებთ) ჩაატაროთ თქვენს ხელთ არსებული ყოველგვარი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები, რათა შევძლოთ დავადგინოთ ამ ადამიანის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის ნამდვილი მიზანი და აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი ამერიკის სადაზვერვო ორგანიზაციებთანო. სასაცილოა, არა? თუ უფრო მეტად _ სატირალია? ვერ წარმოიდგინეს, რომ მოხუცებულ კაცს, უცოლშვილოს, შთამომავლობის გარეშე დარჩენილ მარტოხელა ადამიანს _ თავისი ღვიძლი დის, დისშვილების და დის შვილიშვილების ნახვა მოუნდა... და ამიტომ შეთხზეს ეს ზღაპარი. შემდეგ, ასეთი ზღაპრები ბევრი წავიკითხე და მათი გაშიფრვაც მომიხდა. ეს ზღაპრები ხანდახან ურთიერთგამომრიცხავი იყო და ჩვენი კაგებეს მიერ მათი გაშიფრვის დროს ხშირად კურიოზულ შედეგებს ვიღებდით.

საჭირო იყო ამ ამერიკელი ბიძის ოპერატიული შესწავლა. შედგა სამოქმედო გეგმა რამდენიმე ფურცელზე. ამერიკელმა ბიძამ სურვილი გამოთქვა ეცხოვრა არა სასტუმროში, არამედ _ თავის დასთან. მაშინ ხაინდრავები ე.წ. გორკის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, «ვარანცოვზე» და ჰქონდათ ძველი ნაგებობის ორსართულიანი ხისა და აგურის სახლი პატარა ეზოთი. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ამ ბინაში სპეცტექნიკის (მოსასმენი მაგნიტოფონის) დამონტაჟება. ეს კი საკმაოდ ოპერატიულად რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა, ვინაიდან ოჯახი შედგებოდა ხუთი სულისაგან: მამა, _ პედინსტიტუტის დოცენტი, დილით სამსახურში მიდიოდა (ეს კარგია), შვილები ივლიანე და გიორგი _ სკოლაში (კარგია), სახლში რჩებოდნენ დედა და ბებია. დიდი ძალისხმევა დასჭირდა უშიშროებას, რომ ისინი სახლიდან გამოეტყუებინათ. ბებია ექიმმა პოლიკლინიკაში წაიყვანა, მხოლოდ დედა ვერასგზით ვერ «გავიყვანეთ» სახლიდან. ახალი მუშაკი ვარ, რომ იტყვიან, ჯერჯერობით «მწვანე». ჩვენი ქვეგანყოფილების უფროსი იყო ალექსანდრე ხუციშვილი, ინტელიგენტი, ზრდილი, დინჯი, ზომიერი ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში, კარგი რუსულის მცოდნე, საკმაოდ ნაკითხი, შესანიშნავი მოსაუბრე. შემდეგში _ აფხაზეთის ავტონომიური ოლქის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე _ ქალაქ გაგრის უშიშროების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გადაიყვანეს. ეს თანამდებობა პრესტიჟულად ითვლებოდა, ვინაიდან გაგრის ზონაში განლაგებული იყო დაახლოებით ორი ათეული საკავშირო ე.წ. ვიპ-დასასვენებელი კომპლექსი, დაწყებული ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკიდან, სადაც ჩასვენდა ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური კარიერა. იქაური ქალაქის განყოფილების უფროსს ევალებოდა აგარაკების ზონის ოპერატიული მეურვეობა. ისინი ე.წ. კულტურულ ღონისძიებებსაც უწყობდნენ საკავშირო მთავრობისა და პარტის ბოსებს და «ართობდნენ» კიდეც ანეკდოტებით. საერთოდ, ადგილობრივი უშიშროების უფროსთან ნარდის თამაში და გასეირნება მოსკოვისა და თბილისის ბოსებისათვის კარგ ტონად ითვლებოდა. აბა მილიციის მუშაკებთან ხომ არ ისეირნებდნენ ბიჭვინთის ნაძვნარში?! პარტიულ მუშაკებთან ურთიერთობა უკვე მოწყენილი ჰქონდათ (და, როგორც წესი, ამას ერიდებოდნენ კიდეც) ან შეიძლება გარკვეულწილად მათ თავს არც კი უყადრებდნენ. უშიშროების მუშაკები სულ სხვა იყო. მით უმეტეს, მათ ენაზე კბილის დაჭერაც იცოდნენ. არ ვიცი, შემდეგში, 5-6 წლის მუშაობის შემდეგ, სად და ვისთან რა შეეშალა ა. ხუციშვილს? ის კია, რომ ამ თანამდებობიდან დაწინაურებას ვერ ეღირსა და იქვე გაუშვეს ე.წ. დამსახურებულ

პენსიაზე. მე მგონი, იმდენად არ შეშლია, რამდენადაც თანამდებობრივი კონკურენციის ან შურის მსხვერპლი გახდა.

მაშ ასე, ქვეგანყოფილების უფროსთან ერთად გავედით ოპერატიული ღონისძიების ჩატარების ადგილზე გორკის ქუჩაზე და ველოდებით ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლების მოსვლას, რათა შევუდგეთ ხაინდრავების ბინაში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებას. ჩვენ ხომ უნდა ვუხელმძღვანელოთ ამ დიდ ღონისძიებას, რომლის შედეგიც იმედს გვაძლევს, რომ გამოვააშკარავებთ ამერიკის იმპერიალიზმისა და ცერეუს აგენტს, რომელიც ცრუობს, თითქოსდა საქართველოში შორეული ამერიკიდან იმიტომ ჩამოდის, რომ ავადმყოფი და ინახულოს და საჩუქრები ჩამოუტანოს ოცი წლის უნახავ დისშვილებს და შვილისშვილებს (არა, ბატონო, ეს ხრიკები არ გაგივათ! აქა ხარ შენ და აქა ვართ ჩვენ! ვნახოთ _ ვინ ვის? თითქოს სასაცილოა, არა? მაგრამ ეს არ არის მონაგონი. უშიშროების ორგანოების ძალებისა და საშუალებების ასეთი ფუჭად გამოყენების ნუსხა ძლიერ შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ამით დავჯერდეთ).

ვდგავართ საფარში და ველოდბით, მაგრამ ოპერატიულ-ტექნიკური ჯგუფი არ ჩანს, ეს კი გვაღელვებს, დრო მიდის, სახლიდან გაყვანილ ოჯახის თითოეულ წევრზე ოპერატიული მეთვალყურეობა მიმდინარეობს (მათ შორის მაშინ საშუალო სკოლის მოსწავლეებზე ივლიანეზე და გიორგიზე, ორ ძმაზე _ ლევანზე და ალექსანდრეზე, პოლიკლინიკაში გაყვანილ ბებიაზე და ა.შ.). ვახორციელებ რაციებით კონტაქტს ოპერატიულ ჯგუფებთან. მდგომარეობა საკმაოდ დაძაბულია, ეს ხალხი კი იგვიანებს. არა, ბატონო, თურმე სრულებითაც არ იგვიანებს, უბრალოდ ჩვენ (მე და ჩემი უფროსი) გაგვათამაშეს: გორკის «პროსპექტზე» უკვე 15-20 წუთია შევამჩნიეთ ოთხიოდე მამაკაცი, საკმაოდ ღარიბულად ჩაცმულები, თუნუქის დაჟანგული ვედროებით, რაღაცა ტილოებითა და დონ კიხოტის შუბისმაგვარი გრძელი ჯოხებით. მართალი გითხრათ, არ გვესიამოვნა ასეთი ახალი ტიპების გამოჩენა, მაგრამ რას ვიზამთ? მილიციონერები ხომ არ ვიყავით, ხალხისათვის ქუჩაში სიარული აგვეკრძალა, და ჩვენც, ჩვენს ფიქრებში გართულები, «ვიტანდით» ამ აბეზარა ელემენტების «თარეშს» ქუჩაში. ეტყობა, «გათამაშება» დროში გაიწელა და ამ ჯგუფს გამოეყო ერთი მამაკაცი, ასევე ღარიბულად ჩაცმული, სახე თითქმის არ უჩანდა, ისე ჰქონდა გამურული, მოგვიახლოვდა, გაგვიღიმა, სახელებით მოგვმართა და შეგვეკითხა: «რაო, ბატონებო, ვერ გვიცანითო?!» ასე შეგვრჩა ხელში ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის ქვეგანაყოფის უფროსი მაიორი ი. მურადელი. თურმე ოპერატიულ ჯგუფს ხაინდრავების ოჯახში შესასვლელად შემდეგი ხერხი მოუგონებია: ამ ქუჩაზე ჯერ კიდევ ბევრი სახლი იყო, რომლებიც შეშით თბებოდა ზამთარში და ამის გამო ხშირი იყო ხანძრების საშიშროება. ე.წ. «დიმახოდები» არასოდეს იწმინდებოდა და თითქოს რაიონულმა აღმასკომმა და ადგილობრივმა სახლმმართველობამ გამოჰყო «ტრუბოჩისტების» (ბუხრების გამწმენდი) ჯგუფები სახლებში ბოლსადენების გასაწმენდად... ეს ხერხი გამოგონებით კი «გამოიგონეს», მაგრამ აბა ვინ დაიჯერებდა ძველ თბილისში და საერთოდ თბილისში «ტრუბოჩისტების» არსებობას? ეს რა, ბალტიისპირეთი (ლიტვა, ესტონეთი, ლატვია) იყო, თუ პარიზი ან ბრიუსელი?! ამ გამოგონებისათვის ისინი საკმაოდ «დაისაჯნენ». მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. მიადგა ჯგუფი ხაინდრავების ოჯახს, დიასახლისი სიამოვნებით დაეთანხმა პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარებაზე. დაახლოებით ერთ საათსა თუ ორ საათში ოჯახს «დიმახოდები» გავუწმინდეთ და ამავე დროს დავამონტაჟეთ ორი ე.წ. «Шайба» (ხმის გადამცემი აპარატი). ამით ა. ხუციშვილისა და ჩემი საქმიანობა დამთავრდა. კი დამთავრდა, მაგრამ არა

ოპერატიული ჯგუფისა. ოპერატიულ ჯგუფს იგივე სახანძრო პროფილაქტიკური ღონისძიებები უნდა ჩაეტარებინა დაახლოებით ორ-სამ სახლში მაინც. ინფორმაცია უბანში ელვისებურად გავრცელდა. ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდნენ, ე.წ. კლიენტები, რომლებიც «მაღარიჩს» ჰპირდებოდნენ, ოღონდ მათ სახლებშიც ჩატარებულიყო ეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. ამიტომაც ოპერატიული ჯგუფი «ბაზაზე» გვიან ღამით დაბრუნდა, საკმაოდ შეზარხოშებული, პატივნაცემი გულუხვი მასპინძლებისაგან (ქართველი, სომეხი, ებრაელი და ა.შ.) და გარკვეული ფულადი ანაზღაურებითაც. შემდეგში ეს ინციდენტი იუმორის თემად იქცა. ჯგუფის წევრები ხუმრობდნენ: «რად გვინდა ეს უშიშროების კომიტეტის მშიერი ოფიცრობა, წავიდეთ, «ტრუბოჩისტებად» ვიმუშაოთ და სამ დღეში გავაკეთებთ ერთი თვის საფასურსო».

ჩამოვიდა, როგორც იყო, თბილისში ის «იმპერიალისტი» ხაინდრავების ბიძა, ვსდიეთ და ვუსმინეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგრამ რა? ძალიან იაფფასიანი საჩუქრები ჩამოიტანა, არც დისშვილებს აჩუქა ამერიკული მანქანები და არც დის შვილიშვილებს. დავადგინეთ, რომ საბჭოთა კავშირი და მისი მთავრობა გულზე არ ეხატებოდა (ან რატომ უნდა ჰყვარებოდა?), ე.ი. ანტისაბჭოთა ელემენტი იყო. მაგრამ პრაქტიკულად არავითარი ანტისაბჭოთა ქმედება არ ჩაუდენია. ხო, კიდევ დავადგინეთ, რომ საკმაოდ ავად გახლდათ, კერძოდ _ პროსტატა აწუხებდა და საშარდე ბუშტის ანთებაც ჰქონდა. ამიტომ დისშვილებმა რამდენჯერმე წაიყვანეს ქართველ დასტაქრებთან, სადაც შესანიშნავად, გულთბილად მიიღეს ექიმებმა და წამლები უფასოდ მისცეს, სტაციონარულ მკურნალობაზეც თანახმანი იყვნენ. შემდეგ, რომ აუხსნეს ამერიკელ ბიძას, რომ ყველა ეს საექიმო კონსულტაციები და წამლები უფასო იყო, კინაღამ ინფარქტი დაემართა. ეს როგორაო, იქ ამერიკაში ეს ყველაფერი იმდენი თანხა დამიჯდებოდა, რომ ვერასოდეს გადავიხდიდიო. რომ აუხსნეს, საბჭოთა კავშირში უფასო მკურნალობა და უფასო საშუალო და უმაღლესი განათლება გვაქვსო, დიდხანს არ სჯეროდა და ხუმრობაში ჩაუთვალა ახლობლებს. შემდეგ ისიც რომ უთხრეს, ის პროფესორები და ექიმები, შენ რომ გაგსინჯეს და კონსულტაციები ჩაგიტარეს, ჩვენი მეგობრები არიანო და არავითარი ფულადი გასამრჯელო არ აუღიათო, მთლად გასაბჭოვდა ხაინდრავების სტუმარი და, ვიზის ვადა რომ არ გათავებოდა, ალბათ დარჩენილ მოხუცებულობის დღეებს ახლობლებთან გაატარებდა მზიურ საქართველოში. რამდენადაც შემდეგ შევიტყვე, საქართველოში ვიზიტის შემდეგ ხაინდრავების ბიძა და ბაბუა წელიწადნახევარში გარდაიცვალა.

აი, ასეთი იყო ეს «დიდი ოპერატიული ღონისძიება» _ ჩატარებული ამერიკელი «ჯაშუშის» გამოსავლენად.

მაგრამ ინფორმაციის მთლიანობისათვის, იმასაც მოგახსენებთ, თუ რა წვალება შეხვდა ა. ხუციშვილს, როცა მოსკოვში დეპეშით ატყობინებდა ოპერატიული ღონისძიებების შესახებ. მთელი თავისი გამოცდილება და რუსული ენის მარაგის მოხმარება დასჭირდა, რომ «არც შამფური დაეწვა და არც მწვადი». ცენტრიდან მიღებულ «ინფორმაციაში» იმის შესახებ, რომ ობიექტი ყოფილი ცერეუს აგენტი გახლდათ და ახლაც მათთან კავშირში იმყოფებოდა, ეჭვს ვერავინ შეიტანდა, ამის უფლება არავის ჰქონდა და მით უმეტეს _ პროვინციას. ამიტომაც დეპეშაც ასეთი მიკიბულ-მოკიბული გამოვიდა: «რა თქმა უნდა, სწორი ბრძანდებით. თავისი ქცევით და შენიღბული საუბრებით ობიექტი ნამდვილად სპეცსამსახურის მუშაკისათვის დამახასიათებელი ნიშნებით მოქმედებდა, ქუჩაში მოძრაობის დროს ხშირად ათვალიერებდა არემარეს, გამვლელებს, ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდა პირად

საუბრებში, ანტისაბჭოთა განწყობილებას ნერგავდა გარემოცვაში და თუ ჩვენ, ჩატარებული ოპერატიულ-ტექნიკური და აგენტურული მოქმედებებით, მთლიანად ვერ გამოვააშკარავეთ მისი ნამდვილი სახე, _ ერთადერთ მიზეზად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ობიექტი ამჟამად ძლიერ სნეულია (პროსტატით, საშარდე ბუშტის ანთებით) და ამიტომაც სათანადო დრო ვერ დაუთმო თავის ადრე ჩაფიქრებულ ძირგამომთხრელ მუშაობასო...»

მაპატიეთ, თხრობას გადავუხვიე. დავუბრუნდეთ ფერღანასა და თურქი-მესხების თემას. ამისთვის ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო ჩემი ადრეული (7-8-9 წლის ვიყავი ალბათ) ბავშვობიდან: დაახლოებით 40-ანი წლების შუალედია. რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში დავიწყე სიარული, ერთი სიტყვით, «თეატრალი» გავხდი. სცენაზე მახსოვს ხორავას «ოტელო», ვასაძის «იაგო», მახსოვს ჩერქეზიშვილის ქალბატონი ჭავჭავაძე (დედა), მაშინ ახალგაზრდა გიორგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე და, რა თქმა უნდა, ეროსი მანჯგალაძე «ოიდიპოსში», მედეა ჩახავა «ესპანელ მღვდელში» და ა.შ. ამას იმიტომ ვყვები, რომ გავიხსენო ახლანდელი გაგებით პროპაგანდისტული (თორემ ეს სიტყვა მაშინ საერთოდ არ გამეგო ალბათ) პიესა «ჩაძირული ქვები», რომელშიაც მთავარ როლს ასრულებდა მსახიობი კიკნაძე (თავისი მაშინდელი წლოვანებით ე.მანჯგალაძისა და რ.ჩხიკავაძის თანატოლი). მაშინ მეჩვენებოდა, რომ ის მომავალი წამყვანი მსახიობი უნდა გამხდარიყო რუსთაველის თეატრში. პიესის შინაარსი, რამდენადაც მახსოვს, ბანალური იყო, ერთი ქართული სოფლის ცხოვრება, რომელიც მაშინდელ თურქეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. იმის შესახებ, რომ სოფლელები მაჰმადიანები იყვნენ, პიესაში არაფერი იყო ნათქვამი. საუბარი იყო მათ კომპაქტურობაზე, ურთიერთმხარდაჭერაზე, ქართული ადათ-წესის დაცვაზე, მათ ოცნებებზე _ ეცხოვრათ მზიურ ქვეყანაში, საბჭოეთში, თავის ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში და ა.შ. და ა.შ. მათ ჰყავდათ ლიდერი, ავტორიტეტი სოფელში, რომელსაც მსახიობი კიკნაძე ასრულებდა. ქართველებს მხოლოდ ერთი დიდი რამ აღელვებდათ: ბნელი ძალა თურქეთის ხელისუფლებისა, ადგილობრივი ჩინოვნიკების სახით, ანგრევდა და ანადგურებდა ძველ ქართულ ციხესიმაგრეებს, ეკლესიებს, და ისტორიულ ქვებს ქართული ორნამენტებით იყენებდა სამშენებლო მასალად. ამაში ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდა მათ ქართული მოსახლეობა, წინამძღოლთან ერთად, რომლებიც სიცოცხლის ფასად არ აძლევდნენ საშუალებას _ წაეშალათ ქართული ისტორიული ძეგლებისა და ეკლესიების კვალი. მაგრამ ეს მცირერიცხოვანი ქართველი პატრიოტები რას გახდებოდნენ თურქეთის სახელმწიფო ძალმომრეობის წინააღმდეგ?! ფინალური სცენა ძალიან შთამბეჭდავი იყო. ქართველებმა ყველა ძალა იხმარეს, რომ არ აეფეთქებინათ ზღვის თუ მდინარის სანაპიროზე არსებული ციხესიმაგრე თუ ეკლესია. მაგრამ აფეთქების ხმა მაინც გაისმა. მუსიკალური ეფექტი აფეთქებისა: ჩაბნელებული სცენა, პროჟექტორები ხანდახან თუ გაანათებენ სცენის ცალკეულ მცირე ტერიტრიას, ქართველები ლანდებივით დარბიან სცენაზე, ისმის მათი (ქალების, ბავშვების, მამაკაცების) განწირული გოდება. თურქებმა მაინც აღისრულეს დათქმული, ააფეთქეს კიდევ ჩვენი ერთი ისტორიული ძეგლი, უფრო მეტიც, ამ შერკინებას შეეწირა გმირი ქართველი (მსახიობი კიკნაძე). პროჟექტორი წუთიერად გაანათებს სასიკვდილო აგონიაში მყოფს სცენაზე. და ფარდა ნელ-ნელა იხურება. ასეთი იყო ფინალი ამ პიესისა. შემდეგ მახსოვს წუთიერი პაუზა მაყურებლებისა, ვინაიდან ისინი, როგორც მე, შოკირებულნი იყვნენ. შემდეგ? შემდეგ _ ტაში, მქუხარე ტაში. ინთება სინათლე. მახსოვს ანთებული თვალები მაყურებლებისა, განსაკუთრებით ახალგაზრდების და

ბავშვებისა (დილის 12 საათის სპექტაკლია). სხვები არ ვიცი, მაგრამ მე კარგად მახსოვს ჩემი ბავშვური აღშფოთება მომხდარი უსამართლობის გამო. სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, თეატრის გასასვლელში თოფი და სამხედრო ფარაჯა რომ მოეცათ, ალბათ წავიდოდი საომრად, სიმართლის აღსადგენად, რომ სასტიკად დამესაჯა ჩვენი, ქართული წარსულის შემლახველნი.

აი, ბატონებო, რა არის პროპაგანდა და სად მივყავართ მას. ეს ყველაფერი უბრალოდ არ მომიყოლია. აქ დიდი პარალელი არსებობს თურქი-მესხების გასახლებასა და ამ პროპაგანდას შორის: კერძოდ, ამ პიესის დადგმას, პრესაში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების სტატიებს _ ისტორიული ჯავახეთის, ლაზეთის შესახებ, რომლებიც თურქეთის იმპერიალიზმის უღელქვეშ იყვნენ. ახლა (2007 წლის ივნისში), ქართულ ტელევიზიაში გამართულ დისკუსიებზე თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნების კანონის მიღების შესახებ, რატომღაც არავინ არ იხსენებს, თუ რა იყო ძირითადი მიზეზი 1944 წელს მათი ჯავახეთიდან გასახლებისა.

ეს იყო გამიზნული, მიზანდასახული აქცია საბჭოთა მთავრობისა. სამამულო ომი თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა, საომარი მოქმედებანი თითქმის საბჭოთა სახელმწიფოს გარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ყველა დროის და ყველა ხალხის ბელადს თვალი რუსეთის იმპერიის სანუკვარ განუხორციელებელ ნატვრაზე ეჭირა _ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე. თუ ამ სრუტეებს და მეფე ქალაქს სტამბულს (კონსტანტინოპოლს) ფლობ, მაშინ შავი ზღვა შენი ბასეინია და, რაც მთავარია, იბრუნებ შენი წინაპრების კუთვნილებას, მემკვიდრეობას ბიზანტიის იმპერიისა და მათ ღერბს, რომელიც რუსეთის იმპერიის ღერბი იყო თითქმის 250 წელი. მას შემდეგ, რაც ვასილი მესამემ XIV საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორის ასული მოიყვანა ცოლად, რუსეთის ყველა მეფე თუ იმპერატორი თავს აწ დაცემული ბიზანტიის იმპერიის, მათი საიმპერატორო გვარეულობის _ კომნენების მემკვიდრედ თვლიდა. ეს სურვილი ვერ შეისრულა პეტრე პირველმა (ფანჯარა ევროპაში კი გაჭრა, მაგრამ შავ ზღვამდე არ დასცალდა). ეს სურვილი ვერ შეისრულა რუსეთის ყოვლისშემძლე გერმანელმა ქალბატონმა ეკატერინე მეორემ. მაგრამ სტალინი რის სტალინია თუ თავის ხალხს ამ საუკუნოვან სურვილს არ აღუსრულებს?!

ომი! ბატონებო, ომი მზადდებოდა თურქეთთან, მაგრამ არა დამპყრობლური _ არამედ სამართლიანი, სომხეთისათვის და საქართველოსათვის წართმეული მიწებისათვის, მათი ისტორიული ძეგლების დაბრუნებისათვის ე.ი. ისტორული სიმართლის აღდგენისათვის! და თუ ომი დაიწყებოდა, სრულებითაც არ სჭირდებოდა მას საბჭოთა კავშირის (საქართველოს) სამხრეთით მისთვის სავსებით გაურკვეველი მცირე ერი თუ ტომი, რომელმაც თვითონ არ იცოდა _ რა ეწოდებინა თავის თავისთვის. მცირე 25-30% თავს ისტორიულ ქართველებად თვლიდა, დანარჩენი _ თურქებად და, რაც მთავარი იყო, ორივე მუსულმანები იყვნენ. ეს კი საეჭვო იყო, თუ რატომ, ღმერთმა უწყის? უბრალოდ საეჭვონი იყვნენ, რომ არ შეექმნათ ომის დროს პროთურქული მეხუთე კოლონა. ამიტომაც გახდა აუცილებელი მათი ჯავახეთიდან ამოძირკვა და 24 საათში გასახლება შუა აზიაში, აქეთ იყო მიმართული 40-ანი წლების შუალედის საბჭოთა პროპაგანდა. მართალია, ეს ჩანაფიქრი სხვადასხვა მიზეზების გამო სტალინმა ვერ განახორციელა, ვერ შევიდნენ მისი ძლევამოსილი წითელი ჯარები კონსტანტინეს ქალაქში, მაგრამ მისი დამქაშები ამ შეცდომას მაინც არ მოინანიებდნენ და ბოდიშის მოხდით არ დააბრუნებდნენ ჯავახეთში მკვიდრ მოსახლეობას. ყოველ შემთხვევაში, თვით ქართველი კაცისათვის ამ გასახლებას არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია. ძირითადად მათ ტერი-

ტორიაზე განლაგდა მეზობელი ერის ეთნოსი, რომელიც ახლა გაჰყვირის: «არ დავინახო, აქ დააბრუნოთ «მესხები», აქ უკვე ჩვენ ვცხოვრობთ და თუ მაინც იზამთ ამას, მაშინ ქართველებმაც და თურქ-მესხებმაც, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო». რას იზამ, გვემუქრებიან კიდეც. ჩვენ ისედაც ბევრი გვიჭირს დღეს და ახალ ჭირს რომ არ ვინდომებთ? ეს იციან და ამით გვაშინებენ.

ეჰ, ამაზე ამბობენ, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოგითხრეთ თურქი-მესხების ბედის უკუღმართობის გარშემო, ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რომ 70-ანი წლების ბოლოს ეს საკითხი გარკვეულწილად აღელვებდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ზ.გამსახურდიას და მის თანამებრძოლეებს. ზ. გამსახურდია რამდენჯერმე შეხვდა თურქი-მესხების ლიდერებს, აწარმოებდა მათთან მოლაპარაკებას. ეძებდა მათ შორის ქართული ორიენტაციის მქონე პირებს, რომლებსაც ჰპირდებოდა უპირატეს დახმარებას საქართველოში მათი გადმოსახლების საქმეში. ე.ი. რამდენადაც გავათვითცნობიერე მისი მაშინდელი პოზიცია, იგი გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოში შეიძლება დავაბრუნოთ ქართული ძირის, ქართველი ეთნოსის მატარებელი თურქი-მესხები და არა თურქული ორიენტაციის მქონე მესხები. ზ. გამსახურდიას ამ საქმეში ძლიერ ეხმარებოდა და მასთან ერთად შექმნა ე.წ. ტანდემი ისტორიკოსმა გურამ მამულიამ. მათი პოზიციები ძირითადად ემთხვეოდა ერთმანეთს. დაახლოებით წელიწადნახევარში მათი პოზიციები, როგორც თურქი-მესხების გადმოსახლების შესახებ, ისე ეროვნული მოძრაობის მიმართულებებით, საკმაოდ დაუპირისპირდა ერთმანეთს და მათი ტანდემიც დაიშალა. ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამის ძირითადი მიზეზი მაინც ორივე პიროვნების გადაჭარბებული ამბიციურობა გახლდათ.

ამრიგად, ამ პერიოდში უშიშროების კომიტეტის თვალთახედვაში მოჰყვა ახალი «ობიექტი» გურამ მამულია. ადამიანის შესწავლა ყოველთვის იწყება მისი ბიოგრაფიიდან, მშობლებიდან. ცნობილი იყო, რომ გ.მამულიას მამა 30-ან წლებში იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც მთელ რიგ პარტიულ მუშაკებთან ერთად იქნა რეპრესირებული და დახვრეტილი.

მისი საგამომძიებლო საქმე, შედარებით მოკრძალებული მოცულობისა იყო, დაახლოებით 80-100 ფურცელი (და არა რამდენიმე ტომი). გამოძიება ჩვეული წესით ვითარდებოდა. ჯერ პატიმრის მიერ ყველაფრის უარყოფა, შემდეგ შეწყვეტილი დაკითხვა, შემდეგ, ერთი კვირის, თუ თვის შემდეგ, აღდგენილი დაკითხვა (დაპატიმრებულის ფიზიკური ტანჯვის ოპერატიული «ღონისძიებების» ჩატარებისას დანაშაულის აღიარება), «სასამართლო ტროიკა», განაჩენი, დახვრეტა... ასე იყო გ.მამულიას მამის გარშემო და ამაზე ყურადღების გამახვილებაც არ ღირდა, რომ ამ «საქმეში» არ წამეკითხა ერთი ეპიზოდი. დაახლოებით 1954 წელს, როცა დააპატიმრეს ლავრენტი ბერია და მისი დამქაშები (დეკანოზოვი, ძმები მამულოვები, კოგანი, რომლებიც ადრე საქართველოს ვეჩეკაში მუშაობდნენ ბერიას დროს და მათ სინდისზეა ბევრი რეპრესირებულის სისხლი), მაშინ კიდევ ერთხელ მიბრუნებულან მამულიას საქმესთან, რათა მასში ეპოვათ ლავრენტი ბერიას მაკომპრომენტირებელი მასალა (ვინაიდან ცნობილი იყო, რომ მამულია ლ.ბერიას პირადი ბრძანებით დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს). 1954 წლის თებერვალში საქართველოს უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილებაში დაკითხულ იყვნენ ორი ქალბატონი, რომლებც 1937 წელს მემანქანეებად მუშაობდნენ საქართველოს ვეჩეკაში. დაკითხვისას ამ ქალბატონებმა მისცეს ხელნაწერი ჩვენება, სადაც დაახლოებით

შემდეგი მიუთითეს: ვიმყოფებოდით გამომძიებელ კნადიანის კაბინეტში, სადაც მიმდინარეობდა დაპატიმრებული მამულიას დაკითხვა. პატიმარი საშინლად ნაცემი იყო, დაზიანებული ჰქონდა ხელისა და ფეხის კიდურები, ერთი თვალის გუგა საერთოდ ამოგდებული ჰქონდა. ამ დროს კარები გაიღო და კაბინეტში ლ.ბერია შემოვიდა, პირველი, რაც ბრძანა, ის იყო, რომ განეგრძოთ დაკითხვა და იქვე სავარძელში ჩაჯდა... ამ ქალბატონების ჩვენებით, პატიმარს ისე ჰქონდა ხედვა დაქვეითებული და შეიძლება ფსიქიკაც, რომ არავითარი რეაქცია არ მოუხდენია ლ. ბერიას შემოსვლის ფაქტის გამო. დაკითხვა გაგრძელდაო... გამომძიებლის კითხვაზე, აღიარებს თუ არა მამულია იმას, რომ იყო ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის წამყვანი ლიდერი და აღიარებს თუ არა იმას, რომ აპირებდა ტერორით საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების ლიკვიდაციას და კერძოდ _ დიდი სტალინის მოკვლას, _ დიდი პაუზის შემდეგ, მთელი სულიერი და მორალური ძალების მობილიზების შემდეგ, უარყოფითი პასუხი ერთი სიტყვით გაუცია: არა! ამის თქმა იყო და, წამომხტარა გამომძიებელი კნადიანი და, მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტში ამ დროს იმყოფებოდა რესპუბლიკის კომპარტიის პირველი პირი, სასტიკი სიძლიერის მუშტი უთხლეშია პატიმრისთვის. საწყალი პატიმარი დაეცა და არავითარი ნიშანწყალი სიცოცხლისა არ ეტყობოდაო. შემოსულა ბადრაგი და გამომძიებელს და ბადრაგს ერთად გაუთრევიათ კაბინეტიდან. ამ დროს კაბინეტში შემოსულა საგამომძიებლო სამსახურის უფროსი ეფიმ კოგანი. ბერიასა და მას შორის საუბარი შემდგარა, სადაც ბერიამ შეაქო საგამომძიებო სამსახური კარგი მუშაობისთვის და წასვლისას სხვათაშორის შეეკითხაო: «რა გვარია ეს ახალგაზრდა გამომძიებელი, ახლა დაკითხვას რომ აწარმოებდაო?» «კნადიანიო», _ უპასუხია ე. კოგანს. «ხო, მართლა, ძალიან მომეწონა ეს ახალგაზრდა კაცი, კარგად მუშაობს. ვიცი, კარგი შედეგებიც აქვს, წინადადებას გაძლევთ (წაიკითხე _ ვბრძანებ) ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვოთ და ერთკვირიანი შვებულება მისცეთო», _ და გასულა კაბინეტიდან. აი ეს იყო განსაკუთრებული, რაც წავიკითხე ამ «საგამომძიებლო» საქმეში.

რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, თუკი ვინმეს ხელი მიუწვდება, რომ გაანალიზოს რეპრესირებული ქართველი ინტელიგენციისა და მეცნიერების და სხვა კატეგორიის მოსახლეობის ე.წ. რეპრესირებულთა «საგამომძიებლო» საქმეები, _ აღმოაჩენს რომ გამომძიებლად უპირატესად ჰყავდათ ეთნიკურად სომხური ან ებრაული წარმოშობის ჩეკისტები (კოგანი, კაგანი, კნადიანი, ზახაროვიჩი, ძმები მამულოვები, დეკანოზოვი და სხვა). ეს ისე, თორემ როგორც კრიმინალს და კაცისმკვლელს არ ააქვს ნაციონალობა და რელიგიური მრწამსი, ასე არა აქვთ ნაციონალობა ჯალათებს. ჯალათი საფრანგეთშიც და საქართველოშიც ჯალათია!

P. შ. ფერღანის სისხლისმღვრელ მოვლენებთან დაკავშირებით, გამოძიებით დამტკიცდა შემდეგი: ფერღანის გარეუბანში ე.წ. «შანხაიში», რომელიც ემეზობლებოდა უზბეკურ დასახლებას, კომპაქტურად ცხოვრობდნენ თურქი-მესხები. აქაურ ახალგაზრდულ «კაფეში» ძირითადად თურქი-მესხი ახალგაზრდები იკრიბებოდნენ. უზბეკი და რუსი მოსახლეობის ახალგაზრდობის წარმომადგენლები იშვიათად თუ შევიდოდნენ «დასასვენებლად» ან დასალევად, რადგან ეს «კაფე» თურქი-მესხების «მაფიის» ჭერქვეშ იყო და ისინი განაგებდნენ აქ ყველაფერს... მაგრამ, რომ იტყვიან, ეშმაკს არ სძინავსო და დაახლოებით 30 თუ 31 მაისს აქ მოხდა ლოკალური შეტაკება თურქ-მესხ ახალგაზრდებსა და უზბეკებს შორის. ამ ჩხუბის დროს დანით დაჭრეს ორი თუ სამი თურქი-მესხი ახალგაზრდა და საერთოდ მოჩხუბართაგან უფრო დაზიანდა თურქ-მესხთა ნაწილი...

მეორე დღეს ჩხუბში ჩაერივნენ უზბეკი და თურქ-მესხთა ქურდული ავტორიტეტები, რომლებმაც კაფეში მოაწყვეს მოლაპარაკება. ამ ქურდული გარჩევის დროს ალბათ ნერვებმა უმტყუნა თურქ-მესხთა ქურდულ ავტორიტეტებს, რომლებიც თავს დაესხნენ უზბეკებს. უნდა ითქვას, რომ ამ «გარჩევისთვის» თურქი-მესხები სათანადოდ მომზადებულან, რადგან ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი აღმოჩნდნენ და რაც შეიძლება უმოწყალოდ სცემეს უზბეკი ავტორიტეტები. და არამარტო გალახეს და დაასისხლიანეს, არამედ უკვე სიკვდილის პირას მიყვანილ მსხვერპლს მიაყენეს მორალური და ეთიკური შეურაცხყოფა, ჩაყარეს ტუალეტში და გადააფსეს. გამოძიებამ ეს დაადგინა, როგორ მოწმეების ჩვენებით, ისე მოკვლეული მასალებით.

ამ ლოკალურ შეტაკებას მოჰყვა მხოლოდ ერთი მსხვერპლი: უზბეკი ნაციონალობის ქურდმა ავტორიტეტმა ვერ აიტანა არამარტო მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფა, არამედ ქურდული სამყაროსათვის არნახული ვანდალიზმი და იმავე ღამეს თავი მოიკლა. როგორც მუსულმანების რელიგიური წესი, ის მეორე დღეს მზის ჩასვლამდე დაასაფლავეს. ადგილობრივმა პარტიულმა და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ ე.წ. «ქურდულ გარჩევას» და არ მოახდინა ადგილობრივი სამართალდამცავი სამსახურების (მილიცია, უშიშროება, პროკურატურა და სხვა) მობილიზაცია, ამიტომაც მოვლენები სტიქიურად განვითარდა. უზბეკი «ქურდის» დასაფლავება უზბეკი ეროვნების მოსახლეობის მანიფესტაციად იქცა. პირველსავე დღეს დაიწყო სტიქიური მიტინგები უზბეკი მოსახლეობისა, გაისმა პირველი შეძახილები ფერღანიდან და საერთოდ უზბე-კეთიდან თურქი-მესხების გასახლების შესახებ, დამნაშავეთა მკაცრი დასჯის შესახებ. შედარებით მცირერიცხოვანი მანიფესტაცია გაიმართა 2 ივნისს, ხოლო 3 ივნისს დილის 10 საათზე დემოსტრანტები გამოვიდნენ მიტინგზე (რამდენიმე ათასი კაცი) ოლქის ადმინისტრაციული შენობის წინა მოედანზე, სადაც მოწყობილი იყო სახალხო აღლუმებისათვის მარმარილოს ტრიბუნა და იდგა უზბეკური გამომეტყველების ლენინის ძეგლი. საერთოდ, უნდა მოგახსენოთ: მოვლილი მაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა, ოლქი, მხარე და მინახავს ალბათ რამდენიმე ასეული ლენინის ძეგლი. ყოველთვის ვამჩნევდი ერთ თავისებურებას, ყირგიზეთში ლენინი ყირგიზს ჰგავდა, ყაზახეთში _ ყაზახს, სომხეთში _ სომეხს, ბალტიისპირეთში ევროპეიზირებული იყო და ა.შ. ალბათ ეს ადგილობრივი მოქანდაკეების შემოქმედების ნაყოფი იყო. ამ მხრივ გინესის წიგნშია შესატანი ტაჯიკეთის მთავარი გამზირი, სადაც განთავსებული იყო ძირითადი პარტიულ-ადმინისტრაციული, სამეცნიერო ცენტრები, თეატრები, კინოთეატრები, გაზეთების თუ ჟურნალების რედაქციები და სხვა. ამ პროსპექტზე დაახლოებით ერთი კილომეტრის რადიუსში დავითვალე 13-14 ლენინის ძეგლი, თითო-თითო ყველა შენობასთან, ყველას თავისი ლენინი ჰყავდა. მთავრობას რა უნდა ექნა, ხალხს უყვარდა და ხომ არ დაუშლიდა ამ სიყვარულს (ეს ისე, სიტყვამ მოიტანა).

გავაგრძელოთ თხრობა. როგორც მოგახსენეთ, 3-ში გაიმართა მეტად მრავალრიცხოვანი მიტინგი, ამ მიტინგს ნამდვილად ეტყობოდა, რომ იყო საკმაოდ ორგანიზებული, ალბათ ჰყავდა ლიდერებიც. როგორც შემდეგში დადგინდა, დაახლოებით 12 საათზე მოედანზე გაჩნდა წყლის და ლუდის გამაგრილებელი სასმელები, ნაყინი, გამოჩდა საზოგადოებრივი კვების ტრანსპორტირებული მანქანები, რომლებიც მომიტინგეებს უფასოდ უმასპინძლდებოდნენ. დაიწყო ორატორების გამოსვლა და დამამცირებელი შეძახილები თურქი-მესხების მიმართ, ძირითადად იმის შესახებ, რომ ისინი ფერღანაში არავითარ კანონებს არ

ემორჩილებიან, ქურდული და კრიმინალური მენტალიტეტის მატარებლები არიან და, რაც მთავარია, უმადურობას იჩენენ. ჩვენ ისინი შევიკედლეთ, ვასვით, ვაჭამეთ და თავზე წამოგვაჯდნენო. გაისმოდა კატეგორიული მოთხოვნები მათი უზბეკეთიდან და კერძოდ _ ფერღანიდან გასახლების შესახებ და სხვა. რა თქმა უნდა, ადგილობრივი პარტიული თუ ადმინისტრაციული ხელმძღვანელობიდან მომიტინგეებთან გასვლა და საუბარი არავინ არ იკადრა. როგორც ადრე მოგახსენეთ, ოლქის პარტიული ლიდერი მოსკოვში იმყოფებოდა უმაღლესი საბჭოს სესიაზე და უიმისოდ ე.ი. ადგილობრივი პარტიული ხანის გარეშე აბა ვინ აიღებდა თავის თავზე პასუხისმგებლობას? საერთოდ უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთში ძალიან ძლიერია მმართველის (ხანის, შახის თუ, რაც გინდა დაარქვი) ავტორიტეტი. როგორც წესი, მას არამარტო სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ემორჩილებიან, არამედ მონური თაყვანისცემით უჯერებენ ისე, როგორც მგლების ხროვაში ლიდერ მგელს ჰყავს დამორჩილებული მთელი ხროვა მანამ, სანამ არ მოხუცდება, სისუსტეს ან უძლურებას არ შეამჩნევენ. მერე, როცა ამას შეამჩნევენ, თავს დაესხმიან და დაგლეჯენ. ასე იყო, და დღესაც ასეა, საუბედუროდ, ხალხში, რა თქმა უნდა, არაცივილიზებულ ხალხში, თუმცა?! ერთი სიტყვით, უყურადღებოდ, სტიქიურად მიტოვებულმა, და ამით «გათავხედებულმა» ბრბომ იხუვლა და ერთ-ერთი «ორატორის» წამაქეზებულ შეძახილზე: რადგან ხელისუფლება არ გვისმენს და არავითარ ღონეს არ იღებს დამნაშავეების დასასჯელად, ჩვენ თვითონ წავიდეთ თურქი-მესხების უბანში და თვითონ გავუსწორდეთ მათ, ვაიძულოთ დატოვონ უზბეკეთიო, _ და ხალხის მრავალათასიანი ტალღა დაიძრა თურქი-მესხების საცხოვრებელი უბნისაკენ. თურქი-მესხების კომპაქტურად დასახლებულ უბანს დანარჩენი ფერღანისაგან მდინარეზე გადებული კაპიტალური ხიდი ჰყოფდა. აგრესიულად განწყობილ უზბეკ მომიტინგეებს ამ ხიდზე მისვლისთვის დაახლოებით 45 წუთი ან ერთი საათი სჭირდებოდა. კიდევ შეიძლებოდა (თუ კი ეს ვინმეს უნდოდა?) მდგომარეობის განეიტრალება და სისხლისღვრის თავიდან აცილება, შეიძლებოდა ამ ხიდის ბლოკირება. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ხელისუფლებას (ადგილობრივ უზბეკებს) შეიძლება არც სურდათ ამის გაკეთება, ისევე, როგორც ადგილობრივ მილიციას, რომელიც ვითომდა «ნეიტრალიტეტს» იჩენდა. მომიტინგეებმა ხიდი უვნებლად გადალახეს და მოხდა ის, რაც მოხდა, რისი მოწმეც ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე, როგორც მაშინ აღვიქვი და ახლა გამახსენდა. ერთიც შეიძლება დავამატოთ, რაც მაშინ თვალში მეცა, როცა ოპერატიულმა ჯგუფებმა მოვახერხეთ თურქი-მესხების უბანში შესვლა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის აღწერას, ფოტოგრაფირებას და სხვა საგამომძიებლო ღონისძიებებს ერთ დღეში და ერთ კვირაშიც ვერ შესძლებდა ვერავითარი ოპერატიული ჯგუფი და ამიტომ აქ მუშაობას დაახლოებით 2 თვე მაინც ვაწარმოებდით. ამას იმიტომ ვყვები, რომ როცა თვალი შეეჩვია იქაურობას, გონება ასე თუ ისე დაწყნარდა, დაკვირვებისა და ანალიზის მეტი უნარი მოგვეცა, შევნიშნე ერთი უცილობელი ფაქტი: თურქი-მესხების კომპაქტური დასახლება, შედარებით უფრო კომფორტული, კეთილმოწყობილი იყო: მოვლილი სახლები, პატარა ბოსტნები, ვაზი, ხეხილი, შინაური ცხოველები. ძალიან ბევრ ეზოში იდგა სატვირთო თუ მსუბუქი მანქანების ავტოფარეხები. როგორც შემდეგში გავარკვიეთ, თურქი-მესხების უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეთა კასტას წარმოადგენდა, მუშაობდნენ მექანიკურ და ქიმიურ ქარხნებში, მექანიკოსებად, ინჟინრებად, მუშებად, მათ შრის იყვნენ ტაქსის მძღოლები, სატვირთო მანქანის მძღოლები და ა.შ. და ა.შ. ამიტომ შეიმჩნეოდა, რომ ეს მოსახლეობა გაცილებით უკეთეს მატერიალურ პირობებში

ცხოვრობდა, ვიდრე ადგილობრივი უზბეკები. ყოველივე ეს გარკვეულ შურს იწვევდა უზბეკი მოსახლეობისა და შური და ბოღმა იმ დღეებში ვანდალიზმში გადაიზარდა.

მივლინება ყაზახეთში

1986 წლის დეკემბერია. როგორც იყო, დამთავრდა საბჭოთა სახელმწიფოში უძლური და მოხუცებული კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნების (ქვეყნის მეთაურების) განუწყვეტელი პანაშვიდები და დაკრძალვები. როგორც მოგეხსენებათ, წელიწადნახევარ-ორ წელიწადში ერთმანეთის მიყოლებით საბჭოთა ხალხმა გამოიგლოვა ქვეყნის სამი ლიდერი: ლ. ბრეჟნევი, ი. ანდროპოვი და ნ. ჩერნენკო. როგორც მაშინ გვეჩვენებოდა, დაიწყო ახალი ერა საბჭოთა ქვეყნისათვის, გენერალურ მდივნად აირჩიეს ენერგით სავსე ახალგაზრდა. ყველას ასე ეგონა, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობას, რომ ახლა მაინც გვეშველებოდა, მოვიდა ადამიანი, რომელმაც ყოველგვარი «შპარგალკის» გარეშე წარმოთქვა სიტყვა ტრიბუნასთან. როგორც ანდაზაშია ნათქვამი _ «კაცს არ აფასებ, სანამ უარესს არ შეეყრებიო». რა ვიცოდით, რომ ყოვედღიური ლაყბობა უკეთესი ცხოვრებისათვის უფრო დამღუპველი აღმოჩნდებოდა, ვიდრე მოხუც დასნეულებულ ლიდერთა უმოქმედობა?! მაგრამ ყოველივე ეს შემდეგში გახდა ცნობილი. მანამ კი, 1985 წლის ზამთარში, ხალხს იმედი ჩაესახა გულში. დაიწყო საკადრო ცვლილებები. საგარეო საქმეთა მინისტრად ედუარდ შევარდნაძე გადმოიყვანეს საქართველოდან. ახლა არავის არ ახსოვს, თუ რა რეზონანსი ჰქონდა მაშინდელ საქართველოში ჟურნალ «ცისკარში» დაბეჭდილ გ. გეგეშიძის ალეგორიულ მოთხრობა-ზღაპარს, მიძღვნილს ამ ფაქტისადმი, არადა, მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი მწერლისა იმ დროს დიდი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირება იყო. ამ მოთხრობაში ასახულმა სინამდვილემ აქტუალობა დღესაც არ დაკარგა. ის, რაც ავტორმა იწინასწარმეტყველა, ყველაფერი, საუბედუროდ, აგვიხდა. შემდეგ, როგორც ყოველთვის, ქვეყნის ახალმა ლიდერმა დაიწყო პარტიული ლიდერების შეცვლა რესპუბლიკებში და თავდაპირველად მიადგა ყაზახეთის საბჭოთა რესპუბლიკას და მის პარტიულ ლიდერს დინმუხამედ კუნაევს. ეს ადამიანი, მართალია, ლ. ბრეჟნევის მეგობარი გახლდათ და მის მიერ დაწინაურებული (ლობირებული) პიროვნება, მაგრამ სხვა პოლიტბიუროს წევრებისაგან განსხვავდებოდა სიდინჯით, ერუდიციით, იყო საკავშირო აკადემიის წევრი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ყაზახეთის პარტიული აპარატის ხელმძღვანელობამდე მუშაობდა ამ ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად. კარიერა კომკავშირში და პარტიაში კი არ ჰქონდა მოპოვებული, არამედ ყაზახეთის მეცნირების ჩასახვის სათავეებთან იდგა, ის იყო ეროვნებით პირველი ყაზახი, რომელიც ყაზახეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვეყნის მმართველობაში მოვიდა. ეს იყო მოსკოვის, კრემლის და თვით ლ. ბრეჟნევის დიდი ნდობა, რომელსაც იგი, კეთილსინდისიერი და ერთგული შრომით ამართლებდა. მაგრამ «დრონი მეფობენ და არა მეფენი»... გორბაჩოვმა 1986 წლის დეკემბერში კუნაევი პენსიაში გაამწესა. რა თქმა უნდა, ჯერ საკმაოდ ტალახში ამოსვარეს მისი ავტორიტეტი ე.წ. «მამხილებელი» მასალებით რესპუბლიკის და საკავშირო გაზეთებში და ტელევიზიაში. სხვათა შორის, ამ ადამიანს ადრეც ვიცნობდი, თუ ამას ცნობა ჰქვია. 1981 წელს, როდესაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ დიდი ზარზეიმით აღნიშნა გასაბჭოების 60 წელი, მაშინ საქართველოს ეწვია საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადი ლ. ბრეჟნევი და მასთან ერთად თითქმის

მთელი პოლიტბიუროს შემადგენლობა, მათ შორის _ კუნაევიც. მე დავალებული მქონდა ყახაზახეთის დელეგაციის უშიშროების უზრუნველყოფა. ასევე თითო-თითო პიროვნება იყო გამოყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ცენტრალური კომიტეტიდან და მთელ ჩვენს ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ნოდარ ჭითანავა. იმ ხუთი დღის განმავლობაში, რაც ეს დელეგაცია საქართველოში გახლდათ, მე და ჩემი ჯგუფი თითქმის არ მოვშორებივართ მათ, ვახლდით ყველგან, სადაც კი გაწერილი იყო მათი სადღესასწაულო პროგრამა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა უკვე შედგა აღლუმი რუსთაველის გამზირზე, შემდეგ _ სადღესასწაულო ბანკეტი რესტორან «არაგვში» და ა.შ., _ კუნაევის დაცვის უფროსმა გადმომცა შეფის თხოვნა: კუნაევს სურდა მისულიყო მისი მასწავლებლის _ აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის საფლავთან, ყვავილები მიეტანა და პატივი ეცა დიდი მეცნიერისათვის. რა თქმა უნდა, საკითხი სასწრაფოდ შევათანხმეთ ხელმძღვანელობასთან. თუმცა რესპუბლიკის მეთაურები დიდი სიხარულით არ შეხვდნენ ამ ფაქტს, ვინაიდან იგი ღონისძიების ნუსხაში არ იყო გათვალისწინებული. მეორე დილით გავემგზავრეთ მთაწმინდის პანთეონისკენ. სამწუხაროდ, გზაში თავსხმა წვიმა წამოგვეწია, რამაც საკმაოდ გაამძელა პანთეონში ასვლა. აზრიც კი მომივიდა, ხომ არ შევთავაზო უკან დაბრუნება-მეთქი, მაგრამ ჩვენი სტუმარი ისეთი აუღელვებელი სახით იჯდა, რომ სიტყვის ამოღების უფლება ვერ მივეცი თავს. როგორც იყო ავაღწიეთ. ავედით პანთეონში. ბატონმა კუნაევმა დააწყო ყვავილები ნ. მუსხელიშვილის საფლავთან და მოულოდნელად წვიმამ გადაიღო, მზემ გამოანათა. ექსკურსია პანთეონში თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. შევატყვე, რომ სტუმარი კმაყოფილი გახლდათ. ჩვენ კი, იქ მყოფი ქართველები, დიდი პატივისცემის გრძნობით განვიმსჭვალეთ ამ ადამიანის მიმართ.

ახლა კი, 1986 წლის დეკემბერში, საკავშრო უშიშროების კომიტეტში შეადგინეს ოპერატიული ჯგუფი თითქმის 30 თანამშრონლის შემადგენლობით და სპეცრეისით გადაგვისროლეს ალმა-ატაში, სადაც დაიწყო საპროტესტო გამოსვლები კუნაევის თანამდებობიდან გადაყენებისა და მის ადგილზე არა ეროვნული კადრის _ რუსი ეროვნების _ საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი მეორე მდივნის კოლბინის დანიშვნის გამო.

25 დეკემბერს ჩავედით, 26 დეკემბერს გამოაცხადეს მთავრობის გადაწყვეტილება. ხალხმა ცენტრალურ მოედანზე შეკრება დაიწყო, რაოდენობამ რამდენიმე ათასს მიაღწია, გაიმართა მიტინგი, ჯერჯერობით მიტინგი კონტროლს ექვემდებარებოდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, თანახმად «ბრბოს თავშეყრის» თეორიისა, იგი გახურდა, გააგრესიულდა. საიდანღაც გაჩნდა რკინისა და ხის ხელკეტები, აყარეს ქვაფენილი და დაიწყო მომიტინგეთა და შინაგან საქმეთა ჯარების დაპირისპირება, რამაც გამოიწვია (პირველად ახალი მთავრობის დროს) სისხლიანი შეტაკება. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ იყო, მაგრამ დაჭრილთა რაოდენობა ორივე მხრიდან რამდენიმე ათეულ ადამიანს შეადგენდა. დაკავებულ იქნენ მიტინგის ლიდერები და სულისჩამდგმელები (დაახლოებით 50 კაცი). აქედან შემდეგ პატიმრობაში მხოლოდ ხუთი კაცი დარჩა, რომლებიც 1986 წელს ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს(?!).

ამ თემაზე საერთოდ საუბარი არ ეღირებოდა, რომ არა შემდეგი ფაქტი: ეს იყო პირველი ე.წ. «ცხელი წერტილი» საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ყველა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, დაინტერესებული იყო, თუ რა რეაგირებას მოახდენდა საბჭოთა მთავრობა ახალი «ნაციონალიზმის» გამოვლინების ფაქტზე. მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილება, სადაც

დაგმობილ იქნა ე.წ. «ყაზახური ნაციონალიზმის» გამოვლინების ფაქტები, დასახულ იქნა მთელი რიგი «ღონისძიებები» მისი აღმოფხვრისათვის. მაგრამ რად გინდა?! როგორც ეს გადაწყვეტილება, ისე სხვა მომდევნო გადაწყვეტილებები სინამდვილეში არა მარტო არ სრულდებოდა, არამედ გამოქვეყნებისთანავე მივიწყებას მიეცემოდა ხოლმე. ამან კომუნისტური რეჟიმის მარწუხებში მცხოვრებ საბჭოთა ხალხს ცოტა არ იყოს დაბნეულობის სინდრომი შეჰყარა. შემდეგ უფრო მეტიც: დაიწყო პოლიტიკური თამაშები დასავლეთთან, ამერიკასთან. საბჭოთა ხალხისთვის ჯერ კიდევ უცნობი ტერმინოლოგიები _ «პერესტროიკა», «გარდაქმნა», «აჩქარება» და სხვა, თავი წამოწიეს და ლეგალურ პოზიციებზე გადავიდნენ ე.წ. «ნაციონალისტური», «ანტისაბჭოთა» ელემენტები მოკავშირე რესპუბლიკებში, ე.წ. «დემოკრატიული გარდაქმნების» ლიდერები ცენტრში _ პოპოვი, აფანასევი, სობჩაკი, შემდეგ ვითომდა «დემოკრატი» ელცინი და სხვა და სხვა. ამას მოჰყვა ჯერ ფერღანის მოვლენები, შემდეგ _ ყარაბახი, შემდეგ _ აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნეპრისპირეთი და სხვა. მე ვიტყოდი, არა სტიქიური, არამედ არამართვადი პროცესები, რამაც მიგვიყვანა იქ, სადაც მივედით, საბჭოთა იმპერია ხუხულასავით დაგვემხო თავს. ისე დავიშალეთ მარტივ მამრავლებად, რომ განცალკევების გარდამავალ გაყრის სტრუქტურაზე არ გვიფიქრია. ამან კი მიგვიყვანა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კოლაპსამდე, სადაც ვიმყოფებოდით და ვიმყოფებით არა ერთი წელი და, კაცმა არ იცის, როდის გამოვალთ ამ მდგომარეობიდან. არადა, ცივილიზებულ სახემწიფოში ყველაფერი ეს სულ სხვანაირად ხდებოდა, როცა დაიშალა ბრიტანეთის იმპერია, საფრანგეთის კოლონიური მმართველობა და სხვა. მახსოვს, 60-ან წლებში, როცა ინგლისის კოლონიურმა დაშლამ უკუქცევადი სახე მიიღო, საბჭოთა გაზეთები გადაჭრელებული იყო დაახლოებით შემდეგი შინაარსის ინფორმაციებით: ამა და ამ წელს და თვეს მოხდა მოლაპარაკება ბრიტანეთის ხელისუფლებასა და აფრიკის ამა და ამ ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, იმის შესახებ, რომ ბრიტანეთი 1969-1970 წლებში ამა და ამ ქვეყანას მისცემს დამოუკიდებლობასო. ეს კი ჩემს კომკავშირულ-პარტიული პროპაგანდით გაჟღენთილ გონებას ვერ წარმოედგინა და არც უნდოდა იმის გაგება, თუ რატომ 7-8-9-10 წლის შემდეგ და არა დღეს ან ხვალ. არადა, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ განცალკევება ასე ერთბაშად არ ხდება, ეს მთელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეურნეო ღონისძიებების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, უნდა მოიცავდეს მთელ რიგ წინასწარ გათვალისწინებულ, თანდათანობით გადადგმულ ნაბიჯებს, რომ არ მივიღოთ ნგრევა და ქაოსი.

ფაშო!

საქართველოს უშიშროების კომიტეტში (1966-1981წ.წ.) არსებული სიტუაციის წარმოდგენა შეუძლებელია ამ კოლორიტული ფიგურის გარეშე. არ ვიცი, ვინ ან როდის შეარჩია ფაშო ამ თანამდებობაზე. ყველა ოფიცერი თუ სამოქალაქო პირი, რომელიც ამ სისტემაში მუშაობდა, გარკვეულ სპეცშემოწმებას გადიოდა და როგორც ამბობენ, ასეთი შემოწმების შემდეგ ჯერ კიდევ 40-ანი წლების შუალედში მოევლინა ფაშო საქართველოს უშიშროებას მეეზოვედ.

ეროვნებით, როგორც ვიცი, ქურთი გახლდათ, დიდი პროფესიონალი თავის საქმისა, ყოველშემთხვევაში, მთელი ეზო და მისი ტერიტრია სანიმუშო სისუფთავის ეტალონს წარმოადგენდა. აბა გაებედა ვინმეს და ნაგავი დაეყარა ან სიგარეტის ნამწვი

გადაეგდო იქ, სადაც არ შეიძლებოდა. წარმოიდგინეთ, ჩრდილივით აღმოჩდებოდა შენ გვერდით და «შენიშვნას მოგცემდა», «შეგარცხვენდა». ამას აკეთებდა არა მორიდებთ, არამედ _ აშკარად (ცხადია, ეს არ შეეხებოდა ხელმძღვანელობას, რომელსაც ის კარგად იცნობდა).

ყველას უკვირდა პირველხანებში მაინც მისი ეს «თავხედობა». თუმცა გასაკვირიც არაფერი იყო: წლოვანებით და სტაჟით უფროსი ჩეკისტები აგიხსნიდნენ, რომ ფაშო თვით ყოვლისშემძლე თავმჯდომარეს ალექსი ინაურს «მეგობრობდა».

მათი «მეგობრობა» 50-ანი წლების შუალედში დაწყებულა დაახლოებით ასე: შიდა ეზოში პატარა საკმაოდ ღრმა აუზსა და ფანჩატურიან სკვერს განსაკუთრებული მონდომებით უვლიდა ფაშო. ერთხელ სამსახურში მისულ ა. ინაურს ამ ფანჩატურში შეუმჩნევია ფაშო, მისულა მასთან, ხელი ჩამოურთმევია და რამდენიმე წუთს უსაუბრია კიდეც (წარმოუდგენელი დემოკრატიულობის და უშუალობის გამოვლინების ფაქტი 60-ანი წლებისთვის). შემდეგ უფრო მეტიც: წელიწადში რამდენიმეჯერ გაუმეორებია ეს ამხ. ინაურს და თანამშრომლები არაერთხელ დიდი სიამოვნებით შესცქეროდნენ ფანჯრებიდან სკამზე თბილად მოსაუბრე მეეზოვესა და გენერალ-პოლკოვნიკს. მალე ერთი ღირსშესანიშნავი რამ მოუხდენია ამ საუბრებს: რამდენიმე თვეში ფაშოს და მის ოჯახს (რამდენადაც ვიცი, 7-8 შვილი ჰყავდა) კეთილმოწყობილი ორი ბინა 2 და 3-ოთახიანი მიუღიათ ვარკეთილის (მაშინდელი მესამე მასივის) დასახლებაში.

ამის შემდეგ ფაშოს ვეღარ იცნობდით. წელში გაიმართა, დილით ადრე მოვიდოდა, ყველაფერს დაალაგებდა, ეზოს მოასუფთავებდა, სუფთად ჩაიცვამდა და გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ყოველ დილით (ყოველშემთხვევაში, მე მანამ იქ ვმუშაობდი) დაჯდებოდა ასე გამოწყობილი აუზთან ფანჩატურში და ელოდებოდა «მეგობარს», იქნებ ღმერთმა ქნას, კარგ ხასიათზე იყოს და მობრძანდესო. კარგად უწყოდა ეშმაკმა ფაშომ, რომ მის ასეთ აღზევებას შურის თვალებით შეჰყურებდნენ ფანჯრებიდან ყოვლისშემძლე კგბე-ს მუშაკები, რომელთა უმრავლესობისთვისაც გენერალ-პოლკოვნიკთან საუბარი კი არა, მიახლოვებაც სანუკვარი ოცნება იყო. ჩემი დაკვირვებით ერთი რამ აღმოვაჩინე: ამხ. ინაურმა შეიძლება იცოდა სახელი და მამის სახელი თავის მოადგილეებისა ან მეტად «საჭირო» სამსახურების უფროსებისა, დანარჩენი თანამშრომლებით კი არასოდეს არ დაინტერესებულა და მხოლოდ პარტიულ კრებებზე და ოპერატიულ თათბირებზე თუ ხვდებოდა მათ. არ მახსოვს, რომ ვინმესთვის მიემართოს სახელით და მამის სახელით, ან წოდებით, უბრალოდ პირადად მიმართავდა რუსულად _ «Ты» ან სტუმრებს _ «Вы».

რა ხრიკებს არ მიმართავდა ფაშო, რომ თავმჯდომარეს ყურადღება მიექცია აუზისათვის. წითელი თევზებიც კი შეიძინა და გაუშვა წყალში და საერთოდ იქაურობა წალკოტად აქცია. კარგი ვაჟბატონი იყავი და შენობაში შესვლის წინ დიდხანს დაყოვნდებოდი აუზთან, ფაშო ცქმუტავდა და სახეზე უკმაყოფილება გამოეხატებოდა, თავს იკავებდა, რომ არ აფეთქებულიყო და თავს რომ ვერ იკავებდა, ადგებოდა და გარშემო უვლიდა იქაურობას. განიშნებდა, წადი, გამეცალეო. ჩვენ კი, «ხულიგანი» ახალგაზრდა ოფიცრები, აუზთან მიმდებარე წყლის ჭავლს განგებ ზანტად ვსვამდით, ვამთქნარებდით, ხანდახან შევეკითხებოდით: «ფაშო, როგორა ხარ? ახალი რა მოხდა?» ასეთ თავხედობაზე ფაშო «შეტევით» გიპასუხებდათ: «თავი დამანებეთ, თქვენ რა _ დილიდან პახმელიაზე ხომ არა ხართ. წადით, იმუშავეთო». თან ცალი თვალით ჭიშკრის კარებს უყურებდა, თავმჯდომარე არ მოვიდეს და ამ ოინბაზებმა არ ჩაგვიშალონ საუბარიო.

განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა ფაშო, თუ ჩვენს პროდუქტების მაღაზიაში რაიმე დეფიციტურს მიიღებდნენ: მისთვის არავითარი რიგი თუ ლიმიტი (ტალონი) არ არსებობდა. როგორც ყოველთვის, გენერლებისათვის განკუთვნილი რაოდენობის პროდუქტებით დატვირთული მიდიოდა სახლში. აი, ასეთი გახლდათ ფაშო _ არამარტო უშიშროების, არამედ ძველი თბილისის კოლორიტული ფიგურა, შეიძლება ითქვას, კომიტეტის ყოვისშემძლე თავმჯდომარის დეფაქტო მოადგილე.

დაახლოებით 80-ანი წლების ბოლოს გავიგე, რომ «მეგობრის» გარდაცვალების შემდეგ ფაშოს დიდხანს არ უცოცხლია, სამსახურში აღარ დადიოდაო, ცხოვრების ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგა და სულ რაღაც 3-4 თვეში მიიცვალაო.

ამბავი იმის შესახებ? თუ როგორ არ უნდოდა «ფ-ეს» «მსჯავრდადებულთა» დახვრეტა

როგორც ადრე მოგახსენეთ, უშიშროების სისტემაში ოფიცრის მიღების ვადა, როგორც წესი, ერთი ან ორი წლით იწელებოდა. სამსახურში მისაღები კანდიდატი ათასნაირად მოწმდებოდა. სწავლობდნენ მის წარსულს, ოჯახს, წარმომავლობას, მიდრეკილებებს როგორც გახსნილი, ისე ოპერატიულად (აგენტურულად) მიღებული ინფორმაციით, რათა არ დაეშვათ არასანდო ელემენტების მიღება ავანგარდის რიგებში, არაფერი რომ არ ვთქვათ მეტად მკაცრ სამედიცინო შემოწმებებზე, რომლებიც, როგორც წესი, კადრებში ჩარიცხვამდე რამდენჯერმე ტარდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც იყო არაერთი შემთხვევა, როცა სამსახურში მოდიოდა ცხოვრებისეულად არა საკმაოდ მომზადებული თანამშრომელი, არც თუ ისე იშვიათად ახალგაზრდულ რომანტიკას აყოლილი, საქმეში ნაკლებად ჩახედული და სხვა. მაგიურ სიტყვებს «კონტრდაზვერვა», «დაზვერვა», «სპეცსამსახური» მაინც თავისი გაჰქონდა. ამას თუ დავუმატებთ მაშინდელ საბჭოთა კინოფილმებს, დეტექტიურ რომანებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც იდეალიზირებულნი იყვნენ კგბეს მუშაკები, მაშინ ადვილი გასაგებია, რომ კადრების მიზიდვის საკითხში უშიშროების კომიტეტს უფრო მეტად პრედეფიციტი ჰქონდა, ვიდრე დეფიციტი. ასე ვიტყოდი, გარკვეული კონკურსი იყო. ახლა ხშირად უარყოფენ ხოლმე რაიმე კავშირს უშიშროების კომიტეტთან. სინამდვილეში მეხსიერების დიდი დაძაბვა არ დაგჭირდება, რომ გაიხსენო დღეს წარმატებული კარიერის ასაკოვანი მრავალი «საზოგადო მოღვაწე», რომელთაც არა ერთხელ უთხოვიათ (თავისი გავლენიანი ნათესავებისა და მშობლების მეგობრებით ლობირებითაც) უშიშროების სამსახურში მიღება და შემდეგ თუკი გარკვეული ჯანმრთელობის თუ სხვა მიზეზების გამო უარი გვითქვამს, საკმაოდ განაწყენებულან კიდეც.

ასეთი რომანტიზმითა და უშიშროების სამსახურის იდეალიზაციის გამო მოვიდა სამუშაოდ არა ერთი ახალგაზრდა. მაგალითად: ერთ-ერთი საქართველოში ცნობილი სამედიცინო ოჯახის შვილი, თვითონაც ექიმი «ფ-ე», გამოჩენილი მეცნიერების ოჯახის წარმომაგენელი «ტ-ე», პერსპექტიული მათემატიკოსი «თ-ე» და მრავალი სხვა. მოსვლით კი მოვიდნენ, მაგრამ ცხოვრების სინამდვილეს რომ შეეჯახნენ, მათი განწყობა მალე შეიცვალა. არსად ჩანდა დაზვერვის პერსპექტივები, კონტრდაზვერვის იდილიური მრავალმხრივ ჩახლართული ოპერატიული ღონისძიებები და მრავალი სხვა. ამიტომაც, საუბედუროდ, ასეთი ხალხი ვერ უძლებდა ფსიქიკურ სტრესს და, როგორც წესი, ძალიან ჩქარა ალკოჰოლში იკლავდა

თავის დარდებს, რომლისადმი მისწრაფებას არავისთვის არ მოუტანია დადებითი შედეგი. ამიტომაც ამ ხალხმა ძირითადში ძალიან სავალალოდ დაამთავრა თავის ცხოვრება.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენი თხრობის მთავარ გმირს. დაახლოებით 70-ანი წლების შუალედია, უშიშროების ორგანოებში ჩარიცხეს ახალგაზრდა კაცი, როგორც გავიგეთ სწავლის ხუთოსანი, პერსპექტიული მათემატიკოსი, რომ იტყვიან «без пяти минут кандидат наук, профессор»-ი.

ცოტა ხანში შევამჩნიეთ ყველაზე დიდი ნაკლი _ გულუბრყვილობა. ეს ძალიან დიდი ნაკლია, მით უმეტეს _ უშიშროებაში. ცნობილი ფილმის «მონანიების» ერთ-ერთ ჩეკისტ გმირს დოქსოპულოსაც თუ გავიხსენებთ, ის არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს გულუბრყვილოდ, პირიქით _ ვერაგია და გაიძვერა.

ამ ახალგაზრდას რამდენიმეჯერ მიუმართავს პროფესიონალური კითხვებით ოპერატიულ მუშაკ «ფ-ესთვის» და მასაც, რაც შეიძლება, კორექტურულად და წყნარად გაუცია მისთვის პასუხი დასმულ კითხვებზე.

ერთ მშვენიერ დღეს ოპერატიული მუშაკი «ფ-ე» ამჩნევს, რომ ჩვენმა გმირმა ფაქტიურად შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა «ფ-ესთან», შეწყვიტა მასთან ე.წ. კონსულტაციები, პირად შეხვედრისას გაურბის და ა.შ. რა თქმა უნდა, ასეთი მკვეთრი ცვლილებები ამ ახალგაზრდის ქმედებებში «ფ-ემ» ჩქარა დააფიქსირა, რამეთუ კარგად მოეხსენებოდა მისი კოლეგების ე.წ. «ხუმრობები» და «ხრიკები» და შეეცადა ახსნა-განმარტება მიეღო იმ გამობრძმედილი ოპერატიული მუშაკებისგან, რომლებიც ისხდნენ სამუშაო კაბინეტში «თ-ესთან». პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ერთ მშვენიერ დღეს «თ-ე» შესულა თავის კაბინეტში მას შემდეგ, რაც იმყოფებოდა კაბინეტში «ფ-სთან» და უთქვამს დაახლოებით შემდეგი: «აი, ჩვენ ერთად ვსხედვართ სამუშაო კაბინეტში უკვე რამდენიმე თვეა, თქვენ ჩემთვის არასოდეს არ გცალიათ, არასოდეს მიმიღია თქვენგან კვალიფიცირებული პასუხი სხვადასხვა პროფესიულ კითხვაზე. აი, სულ სხვა პიროვნებაა ბატონი «ფ-ე», რომელიც რამდენჯერმე დამიჯდა წყნარად და ამიხსნა ესა თუ ის ჩემთვის საინტერესო საკითხი. რა, ის არ არის დაკავებული? ამასთან ერთად «ფ-ე» ჩემი კურატორი სრულებითაც არ არისო»... ოთახში ცოტახნით სიჩუმე დამყარებულა. პაუზის შემდეგ ერთ-ერთ გამოცდილ მუშაკს (მის კურატორს) აუღია სიტყვა და უთქვამს: «შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, სულ რამდენიმე თვეა, მუშაობ ამ ორგანიზაციაში, კონტრდაზვერვაში. ჩვენი საქმე არაა ეს, მაგრამ მოგიყვებით ერთ ეპიზოდს «ფ-ეს» ოპერატიული მუშაობიდან და ამის შემდეგ შენ თვითონ განსაზღვრე, ვინ არის ამხანაგი «ფ-ე» და რისი სწავლება შეუძლია მას თქვენთვისო. ჩვენი აზრით კი ერთი რამ უცილობელია, თქვენ თავიდანვე გეშლებათ ადამიანების შეცნობაო. ეს კი ჩვენ სამსახურში ძალიან ცუდი შედეგის მომტანი არისო. ამის შემდეგ მოუყოლია შემდეგი ზღაპარი: ჩვენთან, უშიშროებაში, პერიოდულად იხვრიტება სასამართლოების მიერ ანტისაბჭოთა ქმედებებისათვის გამოვლინებული შპიონები. ჩვენ სარდაფებში არსებულ სასაკლაოზე ამისთვის არიან სპეციალურად გამოყოფილი მუშაკები, ის ხალხი, რომელიც ნებაყოფლობით ასრულებს ასეთ დავალებებს (რადგან სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი მუშაკი არ არსებობსო). ამ ღონისძიების ჩატარებისათვის მუშაკებს ეკონომიურად ახალისებენ, ყოველთვიურად იღებენ ფულად პრემიას 50 მანეთის ოდენობით თითოეულ დახვრეტილზეო. აი, ამ ინფორმაციის შემდეგ შენ თვითონ განსაზღვრე, ვინ და რა ადამიანი არისო «ფ-ე». ერთი პირობა აუღიათ მისგან, რომ ამ «ინფორმაციას» არავისთან არავითარ შემთხვევაში არ გასთქვამდა. ოპერატიული მუშაკების მონაყოლიდან სჩანდა, რომ «თ-ე» გაფითრებულა, შემდეგ ცახცახი

დაუწყია, სახეზე გაურკვეველი ფერის ლაქები გამოკვეთია, ძლივს დაუწყნარებიათ და ერთადერთი რაც მთელი არტისტიზმით უთხოვიათ _ არ გაეთქვა ინფორმაცია, რამეთუ ამისათვის მათ სამსახურიდან დაითხოვდნენ და ვერაგი «ფ-ეც» შურს იძიებდა მათზე.

გაგიგიათ ამაზე მეტი აბსურდული ზღაპარი?! ისიც 70-ანი წლების შუალედში? ვინ უნდა იყო, რა ჭურში უნდა ცხოვრობდე, რომ ეს ზღაპარი დაიჯერო?!

მივყვეთ მოვლენათა მიმდინარეობას: ერთ მშვენიერ დღეს, როცა «ფ-ე» იჯდა თავის კაბინეტში სხვა თანამშრომლებთან ერთად, წინასწარ დაწერილი სცენარის გათვალისწინებით მასთან შევიდნენ ოპერატიული მუშაკები «გ-ძე» და «თ-ე» რაღაც საკითხის გასარკვევად; «თ-ე» არ მისალმებია «ფ-ეს». ამ დროს «ფ-ეს» ტელეფონის ზარმა დარეკა. «ფ-ემ» უპასუხა: ახლავე მოვდივარ, დიახ! დიახ! იარაღიც მომაქვსო და გავიდა კაბინეტიდან. რამდენიმე წუთში «ფ-ე» დაბრუნდა, კაბინეტში იგივე ხალხი დახვდა. «ფ-ემ» დემონსტრაციულად გააღო სეიფი, შეაგდო პისტოლეტი, შემდეგ თავი ჩაქინდრა, ხელები თავზე შემოიჭდო, ერთი-ორჯერ ამოიოხრა და ჩაილაპარაკა: «არ შემიძლია მეტი, არ შემიძლია, შემეშვით, ხალხო, შემეშვითო». შემდეგ უაზროდ მიაპყრო თვალები ჭერს, მიმოიხედა გამჭვალავი, არაფრისმთქმელი გამოხედვით შეხედა კაბინეტში მყოფ გაოგნებულ კოლეგებს, თვალი ახალგაზრდა «თ-ეს» მიაპყრო და მკაცრად ჰკითხა: «თქვენ, ახალგაზრდა, რა წოდებისა ბრძანდებითო». «ლეიტენანტი გახლავართ, ბატონოო, ლეიტენანტიო». «ო, ეს საკმაოდ სცვლის სიტუაციასო, _ უბრძანებია «ფ-ეს», _ აი, მე, კაპიტანი «ფ-ე» გიბრძანებ, ჩვენს სარდაფში ორი სტუდენტი და-ძმა არიან 19 თუU 20 წლისანი, სიკვდილმისჯილნი დასახვრეტად და ხვალ დილით თქვენ უნდა დახვრიტოთო. 16 საათზე შემოდით ჩემთან და დამატებით ინსტრუქციებს მიიღებთო». «თ-ე» დაიბნა, სახტად მიაჩერდა კოლეგებს, ეძებდა მათ თვალებში დახმარებას, გამოსარჩლებას. მაგრამ ყველა გაჩუმდა და ადგილზე გაქვავდა. მაშინ «თ-ემ» უეცრად ისტერიული ყვირილი დაიწყო: «არა, არა, არ დავხვრეტ! არა, არა, არ დავხვრეტ!» და ოთახიდან გავარდა. ატყდა სიცილი, ხარხარი და ამათ ეგონათ, რომ «ინციდენტი» ამოწურული იყო, მაგრამ ამ «ინციდენტს» ჰქონდა თავისი უკვე ლოგიკური განვითარება, ყოველ შემთხვევაში _ ამხანაგ «ფ-ესათვის».

დაახლოებით 16 საათზე, როცა იგი დაბრუნდა სამსახურში, გამოიძახეს უფროსთან, სადაც მას დახვდნენ ამ განყოფილების უფროსის მოადგილეები, პარტიული კომიტეტის მდივანი და მოსთხოვეს პასუხი ჩატარებული ე.წ. «შაყირის» გამო, თან აუხსნეს, რომ დაახლოებით 12 საათზე «თ-ემ» დაწერა პატაკი უშიშროების ორგანოებიდან მისი დათხოვნის შესახებ, სადაც აცნობა უფროსობას, რომ «ფ-ე» ავალებს მას ხალხის დახვრეტას, ეს კი მას არ შეუძლია და ამიტომ ითხოვს წასვლას ორგანოებიდან.

ყოველივე ეს დამთავრდა იმით, რომ ამხანაგ «ფ-ეს» ერთი კარგი საყვედური სტკიცეს პარტიული ხაზით, ოღონდ პირად საქმეში შეუტანლად (ასეთი პარტიული სასჯელი იყო მაშინ).

აი, ასეთი ისტორია დატრიალდა მაშინ კაგებეს შენობაში. ამ კაცმა შემდეგში უფრო მეტი უცნაურობებიც ჩაიდინა. გაანთავისუფლეს (გააგდეს) მხოლოდ მაშინ, როდესაც მისმა ქმედებამ საკმაო დისკრედიტაცია გაუწია კაგებეს, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების ხუმრობის საგნად იქცა. მაგრამ, რა თქმა უნდა, გააგდეს ჩუმად, წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ვინაიდან იმ ფაქტის გახმაურება არაფერს კარგს არ მუტანდა უშიშროების კომიტეტს.

ამბავი პატიმრების მუსიკალური საათის შესახებ ფელიქს ძერჟინსკის კლუბში

ტრადიციულად საბჭოთა სახელმწიფოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობები, მთავრობის სასახლე, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების სამინისტროს (კომიტეტის) შენობები ერთმანეთთან ტერიტორიულად ძალიან ახლოს იყო განლაგებული, მით უმეტეს _ ძალოვანი სტრუქტურები ფაქტიურად ერთმანეთს ემიჯნებოდნენ. ასე იყო ცენტრში და მოკავშირე რესპუბლიკებშიც. როგორც წესი, მათ აერთიანებდა საერთო მოედანი, სადაც აღმართული იყო ჩეკას დამაარსებლის ძერჟინსკის ძეგლი, რომელიც რა თქმა უნდა, თავისი სახის გამომეტყველებით ყირგიზეთში ყირგიზი იყო, ტაჯიკეთში _ ტაჯიკი და ა.შ. ცხადია, ყველაზე მშვენიერი ძეგლი ამშვენებდა მოსკოვის ლუბიანკის მოედანს, კაგებეს შენობებით გარშემორტყმულს. ორადორი ქვეყანა, სადაც ასეთი ძეგლი არ აღმართულა, იყო ესტონეთი და საქართველო და ისიც არა იმიტომ, რომ რაღაც ფარული წინააღმდეგობა გასწიეს. უბრალოდ, საქართველოსა და ესტონეთის უშიშროების კომიტეტები ისეთ ვიწრო სივრცეში იყვნენ განლაგებულნი, რომ იქ არაფრით არ ხერხდებოდა ასეთი ძეგლის დადგმა. ამიტომაც ქართველი ჩეკისტები შურის თვალით შევყურებდით კოლეგებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რომლებსაც შეეძლოთ ყოველდღე რამდენიმეჯერ ეხილათ მათი მამა და მასწავლებელი «ცხელი გულით, ცივი გონებით და სუფთა ხელებით». რას იზამ, როგორც ყოველთვის, ქართველებს ამჯერადაც ბედი არ გვწყალობდა.

ახლა წარმოიდგინეთ ასეთი არქიტექტურული ანსამბლი შენობებისა, რომლებიც თავის მონახაზით ქმნიდნენ კაგებესა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ შიდა ეზოს, ლესია უკრაინკის ქუჩაზე (აღმართზე) და ამ ორივე შენობას მთელი გაყოლებით ჩაკეტილ ოთხკუთხა სივრცის ატმოსფეროს უქმნიდა ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურისა და დასვენების კლუბი, სადაც განთავსებული იყო დიდი კინოთეატრი, ქორეოგრაფიისა და ვოკალის ანსამბლები, ბავშვთა სხვადასხვა წრეები, ხელოვანთა კავშირები და მრავალი სხვა კულტურულ-განმანათლებელი სამხატვრო დაწესებულება. ასე რომ, როდესაც ამ კლუბში მეცადინეობები ტარდებოდა (განსაკუთრებით გაზაფხულობით და ზაფხულობით, ღია ფანჯრების გამო) ეზოში გამოსული ან კაბინეტებში სამუშაოთი გართული ჩეკისტები იძულებული ვიყავით, მოგვესმინა დამწყებ ვოკალისტთა და მუსიკალური გამების, გამაყრუებელი თუ არა, საკმაოდ ერთფეროვანი, ერთტაქტიანი განუწყვეტელი კაკაფონია. აი ასე უნებლიეთ უშლიდნენ ხელს ხელოვნებას მოწყურებული ახალგაზრდები და ბავშვები (უმეტესად შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების კომიტეტის მოსამსახურეთა შთამომავალნი) მათ მამებს ქართველი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისა და აყვავების საქმეში. რა თქმა უნდა, ასეთ «თავხედობას» ძალოვანები არავის აპატიებდნენ, მაგრამ რა ექნათ, ყოველივე ის, რაც ხდებოდა, მათი შვილების კულტურული ინტელექტის ამაღლებას ემსახურებოდა?!

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ უშიშროების ეზოს შუაგულში, საკმაოდ ახლოს, კლუბის შენობასთან არსებობდა ე.წ. ბუხარი _ ქაღალდების დასაწვავი ღუმელი, სადაც ჩეკისტები ანადგურებდნენ ყოფილ საიდუმლო მასალას და გაუქმებულ საიდუმლო საბუთებს. კომიტეტის შენობაში დაახლოებით 4-5 ასეული ოპერატიული მუშაკი მუშაობდა, თითოეულ მათგანს კი ერთ თვეში 1 ან 2 ფუთა დასაწვავი მასალა

უგროვდებოდა და რაკი მხოლოდ ერთი ღუმელი არსებობდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა «კონკურსი» იარსებებდა ამ ღუმელთან მისაღწევად. ასე რომ, ხშირად ამას ვაკეთებდით არასამუშაო დროს ან სასადილოდ შესვენებისას. ასე წარმოიდგინეთ, ღუმელთან მისვლის გრაფიკიც კი არსებობდა სხვადასხვა სამსახურებისათვის, რათა არ შექმნილიყო გაუთვალისწინებელი რიგები. ერთიც უნდა ითქვას: ვაი შენ თავს, თუ ყველა მასალას ბოლომდე ფერფლად არ აქცევდი და თუ «ვინმე» (ვინმე კი არა კადრების ან თავმჯდომარის ადმინისტრაციის მუშაკი) აღმოაჩენდა ღუმელთან ნახევრად დამწვარ ფურცელს საიდუმლო გრიფით და შესძლებდა ამ ხელნაწერით ავტორის ვინაობის დადგენას (ეს კი ძნელი არ იყო, ისეთი პროფესიონალი კრიმინალისტები მუშაობდნენ ჩვენთან). ასეთ უყაირათობას საიდუმლოების დაცვის დარღვევად ჩაგითვლიდნენ და ამ ვაი ფურცელს ძალიან დიდხანს ცხვირთან გიტრიალებდნენ, როგორც მამხილებელ მასალას. თუმცა მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: ალბათ ამ გასანადგურებელ მასალებში იმდენი იყო საიდუმლო მასალა, რამდენიც ალბათ წყლის ფორმულაშია. ასეთ პიროვ-ნებებს, რომლებიც მსგავს დაუდევრობას გამოამჟღავნებდნენ, წაახალისებდნენ სახელმწიფოებრივი სიფხიზლის გამოჩენისათვის. ეს კი გარკვეული სტიმული იყო ასეთი დამსმენების გასამრავლებლად.

ამიტომაც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ყოველი გამოცდილი მუშაკი ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები შავი მასალა «შეექმნა», რათა ნაკლებად ყოფილიყო მიჯაჭვული ამ ღუმელთან. ხშირად ახალ მოსულ ოფიცრებს ავალებდნენ ამ საპატიო მოვალეობას გარკვეული ინსტრუქციების ჩატარების შემდეგ.

სიტყვა გაგვიგრძელდა და მოსათხრობმა შეიძლება ნაკლები ყურადღება დაიმსახუროს. მაგრამ მაპატიეთ, რადგან ვითვალისწინებდი იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა გასაგები მიზეზების გამო (მათდა საბედნიეროდ) უშიშროების ეზოში არ დასეირნობდა, და ამიტომ ვეცადე ამეწერა ტერიტორია, სადაც მოხდა ეს იუმორისტული შემთხვევა.

ერთ მშვენიერ ზაფხულის მზიან დღეს, როდესაც თბილისში ჰაერის ტემპერატურა დაახლოებით +35-ს ან მეტს აღწევს, სადაზვერვო სამსახურმა ორ ახალგაზრდა, პერსპექტიულ მუშაკს მეტად პასუხსაგები დავალება მისცა: მათ უნდა გაენადგურებინათ (დაეწვათ) რამდენიმე ფუთა. ახალგაზრდები ამ დავალებას დიდი მონდომებით და პედანტურობით ასრულებდნენ. ამ დროს მათ მიუახლოვდათ, უშიშროების გამოცდილი მუშაკი (წოდებით კაპიტანი თუ მაიორი), რომელიც ცნობილი იყო თავისი იუმორის ნიჭით და რომ იტყვიან, «თბილისელი კინტოების» ყველა «აფერისტობები» იცოდა. მივიდა, გაესაუბრა, გამოკითხა აქაური თუ იქაური, მერე მოკლე ისტორიები მოუყვა ჩეკისტების ცხოვრებიდან და აქ მოხდა ის, არც უნდა მომხდარიყო: ძერჟინსკის კლუბის ფანჯრებიდან მოისმა ჩვენთვის უკვე ცნობილი მუსიკალური კაკაფონია, დოლის ხმა, სხვადასხვა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტთა ერთფეროვანი გამები და ა.შ. და ა.შ. ახალგაზრდებმა რომ დაინახეს მათი მოსაუბრე უშიშროებაში საკმაო ხნით მომუშავე პიროვნებაა, ერთ-ერთმა მოკრძალებით ჰკითხა: «ხომ არ იცით საიდან მოისმის ეს გამუდმებული გამაყრუებელი ერთფეროვანი მუსიკალური საკრავების ხმაო?» (ალბათ ჭურში ისხდნენ, თორემ ამის დადგენას აბა რა უნდოდა?!).

აქ გამოცდილმა მუშაკმა, დავარქვათ მას პირობითად «ედიკა», ყურები ცქვტა. ასეთ მიამიტურ კითხვას ნამდვილად არ ელოდებოდა მომავალი მზვერავებისაგან. როგორც შემდეგში გვიამბო, ჯერ უფიქრია, ხომ არ მაშაყირებენო, ნუთუ ასეთი მაგრები არიანო, მაგრამ ისეთი მიამიტი სახეები ჰქონიათ, რომ ეს აზრი უარუყვია და

პაუზის შემდეგ განუმარტავს: «როგორ, თქვენ არ იცით, რომ აქ სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვთ გაერთიანებული საპატიმრო წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრებისთვისო». მერე დაიხედა საათზე და უთხრა: «ახლა პატიმრების დასვენების ერთსაათიანი დროა და ისინი ნერვიული გადატვირთვების ანუ სტრესების მოსახსნელად უკრავენ ინსტრუმენტებზეო. ასე რომ, ჩვენ ძალიან ჰუმანურად ვექცევით პატიმრებსო». თქმით კი უთხრა, მაგრამ მაინც ეგონა, მათში ეს ინფორმაცია გაკვირვებას და სიცილს გამოიწვევდა, ხუმრობაში ჩაუთვლიდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დარწმუნდა, რომ «ეს ჩემი შაყირი იყიდეს». ამით მეტი ნდობა მოიპოვა მათ შორის, რამაც მისცა საშუალება, თავისი ორი ფუთა მათთვის შეეწერა დასაწვავად და თვითონ თანამშრომლებთან გაიქცა «ველიამინოვზე» სოსისისა და ლუდის მისართმევად და ეს ამბავი უამბო.

აი, ასეთი «ისტორია» მოგვითხრო ედიკამ ლუდის სმის დროს... აბა ჩვენ ვინ ვიქნებოდით, თუ არ შევადგენდით ჩვენი შემდეგი ქმედებების «სცენარს» ახალგაზრდა მზვერავთა ხასიათის, სიმტკიცის გამოსავლინებლად. ერთი თუ ორი დღის შემდეგ ედიკა ესტუმრა კაბინეტში ამ ახალგაზრდებს და შეეკითხა, რამდენ ხანს წვავდით «მეშოკებსო». დაახლოებით ერთი ან საათნახევრის განმავლობაშიო. მაშინ ედიკამ მიიღო მეტისმეტად სერიზული სახე და აუწყა მათ შემდეგი: «პატიმრებს უჩივლიათ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან იმის შესახებ, რომ მათი მუსიკალური განტვირთვის საათებში, ვიღაც სამი ოპერატიული მუშაკი ღუმელთან რაღაცას დიდხანს სწვავდაო, დააყენესო საშინელი ბოლი, რომელიც ჩვენს ოთახებში შემოდიოდა, სტრესების მოხსნა შეუძლებელი გახდა და დასვენების საათი შევწყვიტეთო. ამით სასტიკად დაირღვა ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებებიო, ვინაიდან ჩვენს დასვენების საათებში ასეთი რამ აკრძალულიაო. მოითხოვენო ამ მუშაკების დადგენასო და მათ დასჯასო». ისიც გაანდო, რა თქმა უნდა საიდუმლოდ, რომ თითქოსდა მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება ამ პიროვნებების დასადგენად და რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ეჭვი თქვენზე აქვთ მიტანილიო. ერთი თხოვნაც მაქვსო, თქვენ ახალგაზრდები ხართ, სულ ერთი თუ ორი თვეა რაც მოხვედით სამუშაოდ, გამოუცდელობის გამო ნამდვილად გაპატიებენ ამას, მე კი სასტიკად დამსჯიანო და გთხოვთ, ნუ გამთქვამთ, რომ თქვენთან ვიყავიო, ანდა _ მე ხომ ადრე წავედი და, მით უმეტეს, არაფერი დამიწვავსო.

ედიკა დიდი იუმორით ყვებოდა ამას და საკმაოდ ვიცინეთ, როცა მისთვის ჩვეული არტისტიზმით დაგვიხატა სახტად დარჩენილი ახალგაზრდების სახეები. ყველაზე მეტად გასაკვირი ის იყო, რომ პირველად დაუჯერეს ის ზღაპარი და შემდეგ უფრო შესტოპეს. ერთი სიტყვით, ვიცინეთ რაც შეგვეძლო. ეჰ, ჩვენ კი ვიცინეთ, მაგრამ «საწყალ» ედიკას სრულებითაც არ ჰქონია სასაცილოდ საქმე. დაახლოებით 2-3 საათში დაიბარეს უფროსებმა და, ჩემს მტერს, რაც მას უთხრეს და «აუხსნეს», ცხვირწინ აუფრიალეს ამ ახალგაზრდების მიერ დაწერილი პატაკები თავმჯდომარის სახელზე, სადაც აღიარებდნენ ჩადენილ «დანაშაულს», «მოითხოვდნენ პატიებას» და პირობას დებდნენ, რომ შემდეგში არ ჩაიდენენ მსგავს საქციელს. ამავე დროს იუწყებოდნენ, რომ მათთან ერთად ამ «ღონისძიებას» ესწრებოდა (თანამონაწილეობდა) ამა და ამ სამსახურის უკვე დიდი ხნის მუშაკი კაპიტანი «ედუარდი», რომელმაც ახსნით კი აუხსნა, თუ რა ხდებოდა, მაგრამ არ გააფრთხილა ისინი, რომ მათი ქმედება «უკანონია» და დროულად არ მიუთითა მათ შეცდომებზე. არ ვიცი, ეხლა გეცინება თუ არა, მკითხველო, მაგრამ იმ წლების გადმოსახედიდან, რომელიც აქამდე გავიარე, მე მგონი ეს «ისტორია» იმდენად სასაცილო არ არის, რამდენადაც სატირალი (ხომ არ გაგონებთ ამ პატაკების შინაარსი, სხვა დასმენებს,

რასაც სიცოცხლეები შეეწირა? ფინალი ამ ისტორიისა კი შემდეგი იყო: ედიკამ საყვედური მიიღო ოპერატიული ხაზით, ხოლო პარტიული ხაზით _ გაფრთხილება).

შემდეგში, ორ თუ სამ წელიწადში, ეს ახალგაზრდები (რამეთუ მათ ლობისტები აღმოაჩნდათ) რამდენიმე წლით საზღვარგარეთ გაგზავნეს სამუშაოდ. შემდეგში არაფერი გამიგია მათ შესახებ.

შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ზღაპარი მოგიყევით. დაე ასე იყოს, ოღონდ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუკი ჩვენი გმირები ამ მონათხრობს წაიკითხავენ, ნამდვილად ამოიცნობენ თავიანთ თავს.

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ «გადავარჩინე» ერთი ჩეკისტის ოჯახი დატერორებას

როგორც ადრე მოგახსენეთ, იმ დროს, როდესაც სამუშაოდ მივედი უშიშროების კომიტეტში (1966 წელი), იქ ჯერ კიდევ მუშაობდნენ ე.წ. «ძველი კადრები» ანუ თანამშრომლები, რომლებიც მიღებულნი იყვნენ სამსახურში 40-ანი წლების დასაწყისში ან შუალედში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათი რაოდენობა არც თუ ისე დიდი გახლდათ, რადგან უკვე რამდენიმეჯერ იყო ჩატარებული ჩეკისტების რიგების «წმენდა». კერძოდ, ყველაზე დიდი «წმენდა» საქართველოში ჩატარებულა 1953-1954 წლებში _ ი. სტალინის გარდაცვალებისა და ლ. ბერიას დაპატიმრება-დახვრეტის ხანაში. მეორე დიდი «წმენდა» ჩაუტარებიათ 1956-1958 წლებში, როცა ნიკიტა ხრუშჩვმა შეიარაღებული ძალები ძლიერ შეამცირა. ამას მოჰყოლია თითქმის ძირეული დათხოვა სამხედრო კონტრდაზვერვის მუშაკებისა. ისე, რომ ნიკიტას მიმართ უშიშროებაში ყოველთვის ნეგატიური ატმოსფერო სუფევდა. ზუსტად ამ წლებში მომხდარა უშიშროების კადრების დიდი შევსება პარტიულ-კომკავშირული მუშაკებით და, ასე განსაჯეთ, შემდეგში _ საქართველოს კომპარტიის ყოვლისშემძლე პირველი მდივნის ე. შევარდნაძის თანამებრძოლი (თანამედროვე) პარტიულ-კომკავშირული აქტივით. იმ თაობის ხალხი (შემდეგში კომიტეტის ხელმძღვანელობაში მოსული) არაერთხელ ტრაბახით იხსენებდა ედუარდთან ერთად ნამუშევარ წლებს. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ თვით ბატონი ედუარდის კანდიდატურა ძალზე რეალურად განიხილებოდა იმ წლებში მისი უშიშროების კომიტეტში მუშაობის თვალსაზრისით. მაგრამ ცხოვრება ხომ პარადოქსებითაა სავსე. იმ დროს ამხანაგი ედუარდი «გადაურჩა» ამ საკადრო მივლინებას პარტიის ავანგარდის რიგებში. იმასაც ამბობდნენ, ჯანმრთელობამ (?) უღალატაო. თუმცა რა, რამდენიმე (12-15 წლის შემდეგ) მან მაინც შეავსო ქართველ ჩეკისტთა რიგები, მაგრამ უკვე მილიციის შემადგენლობაში. ასე რომ, რასაც ღმერთი მიგისჯის, ის გარდაუვალია.

60-ანი წლების შუალედში უშიშროების კომიტეტს, როგორც მოგახსენეთ, შემორჩა მხოლოდ რამდენიმე ათეული ძველი კადრი, რომლებიც სრულებითაც არ ამართლებდნენ იმ თაობის ჩეკისტებზე არსებულ წარმოდგენას მათი ჯალათობისა და არაორდინალური სამსახურეობრივი სისასტიკის შესახებ.

ძირითადი მათი მასა ტოვებდა შთაბეჭდილებას წყნარი, მშვიდი, თითქსოდა რაღაცით «დაჩაგრული» ადამიანებისა, არ უყვარდათ წარსულზე ლაპარაკი (რომ იტყვიან, სიტყვასაც ვერ წამოაცდენინებდი). ერთადერთი, რასაც იხსენებდნენ, ეს იყო სტილი ი. სტალინის მუშაობისა, ვინაიდან ბელადს, როგორც წესი, დღისით ხშირად ეძინა და საღამოდან გათენებამდე მუშაობდა. და რადგან ის ასე მუშაობდა, მისი მმარ-

თველობის უკანასკნელ 10-15 წელიწადს ყველა სახელმწიფო ჩინოვნიკი ზევიდან ქვევით (სამსახურეობრივი იერარქიის მიუხედავად) ასეთი «სტილით» მუშაობდა: წვალობდნენ თვითონ და სხვებსაც აწვალებდნენ. ამასთან ერთად მათ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ ის სამსახურეობრივი დატვირთვა, რაც ჰქონდათ მაშინ უშიშროებაში, რადგან იმდენად დატვირთულები იყვნენ, რომ საკუთარი ოჯახისათვისაც არ ეცალათ.

ერთი ასეთი მეტად ორიგინალური პიროვნება გახლდათ, ასე უკვე 50 წელს მიღწეული, უფროსი ოპერატიული მუშაკი, მაიორი ვარლამ თ-ია, მშვიდი და აუღელვებელი, არასოდეს არ ერეოდა სხვის საუბარში, არასოდეს არ ამოიღებდა ხმას პარტიულ თუ ოპერატიულ თათბირებზე, იყო თავისთვის, რომ იტყვიან, აკეთებდა თავის საქმეს, არავის საქმეებში არ ერეოდა, თუ ეს აუცილებელი არ იყო. არ მონაწილეობდა არც საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩუმად მოვიდოდა სამსახურში, გავიდოდა სამსახურეობრივი საქმეებისთვის ე.წ. «ობიექტზე», დაბრუნდებოდა ასევე წყნარად, მიუჯდებოდა თავის საყვარელ მაგიდას, რამდენიმე საათი რაღაც ოპერატიულ მასალას ამზადებდა, ისე რომ, გარე სამყარო მისთვის თითქმის არ არსებობდა. შემდეგში საკმაოდ გვიან 20-21 საათზე ყველაფერ ამას შეუძახებდა სეიფში, დალუქავდა და ასევე წყნარად გაუყვებოდა გზას სახლისაკენ, არც თუ ისე შორს _ ყოფილ ძნელაძის ქუჩაზე.

პატარა დაკვირვებაც კი ეყოფოდა ადამიანს, რომ ამ კაცში აღმოეჩინა დიდი მსგავსება გენიალური გოგოლის გმირისა _ აკაკი აკაკიევიჩისა. მასაც ჰქონდა ე.წ. «პრაზდნიკები» (1 მაისი, 7 ნოემბერი). ჩაიცვამდა თავის საყვარელ სამხედრო ფორმას, ჩამოიკიდებდა ჩინ-მედლებს და დადგებოდა მთავრობის სადღესასწაულო ტრიბუნასთან ახლოს. თან მოვალეობას (მორიგეობას) ეწეოდა, თან ტკბებოდა იმ სიამოვნებით, რასაც იღებდა სამხედრო აღლუმის შემხედვარე და მშრომელთა დემონსტრაციით აღფრთოვანებული. აი, მაშინ რომ გენახათ მისი სახე, დარწმუნდებოდით, თუ რა დიდ სიამოვნებას (კაიფს) იღებდა. ეს იყო ალბათ მისი სულიერი და მორალური სიამოვნების უმაღლესი მწვერვალი.

მაგრამ, როგორც გავიგეთ, ასეთ ზედმიწევნით დიდი დისციპლინის ადამიანსაც ჩაუდენია გამოუსწორებელი შეცდომა თუ სამსახურეობრივი დანაშაული. როგორც «ოპერატიული გამოძიების» შემდეგ დავადგინეთ, ამხანაგი ვარლამი 40-ანი წლების შუალედში თუ დასასრულს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, დაუნიშნავთ წალენჯიხასა თუ ჩხოროწყუში უშიშროების _ მაშინ ენკავედეს _ განყოფილების უფროსად. ეს კი დიდი საკადრო დაწინაურება გახლდათ და ჩვენი გმირი თავისი გულმოდგინე მუშაობით ცდილობდა დაემტკიცებინა ხელმძღვანელობისათვის, რომ ისინი არჩევანში არ შემცდარან... მკითხველს შეიძლება დაებადოს შეკითხვა, რაში სჭირდებოდა უშიშროებას თავისი განყოფილებები წალენჯიხაში ან ჩხოროწყუში? მაგრამ ეს ხომ 40-ანი წლები იყო?! თუმცა 70-ანი წლების შუალედშიც მომრავლდნენ უშიშროების ფილიალები თელავში, სიღნაღში, საგარეჯოში, ჩოხატაურში, ჯავაში და ა.შ.

სიტყვა გაგვიგრძელდა. მაპატიეთ. ერთ-ერთ პირველ მაისის ჩვენი გმირი, როგორც რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რაიონის სამთავრობო ტრიბუნაზე იდგა და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ესალმებოდა «უწყვეტ» ნაკადს დემონსტრანტებისა. დემონსტრაცია წალენჯიხაში თურმე 45 წუთი გაგრძელდა, შემდეგ, როგორც თვითონ იხსენებდა, გაიმართა ბანკეტი რესტორანში. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ჩვენი გმირი ტელეფონით გამოიძახეს თბილისში, ისიც გაემგზავრა და დილით გამოცხადდა კადრების განყოფილების უფროსთან. მან

უთხრა, რომ თავმჯდომარე იბარებდა (მაშინ რუხაძე გახლდათ თავმჯდომარე). შესულა მასთან და პატაკით მოუხსენებია, ვინც არის. თავმჯდომარემ ღილაკს დააჭირა ხელიო. შემოსულა საკომენდანტო სამსახურის უფროსი, რომელმაც განუცხადა თურმე, რომ ის დაპატიმრებულია. აართვეს იარაღი და წაიყვანეს ე.წ. შიდა პატიმრობის ციხეში (იქვე НКВД-ს შენობაში). თითქმის 10 დღის განმავლობაში არავითარი კონტაქტი არ მქონდაო გარე სამყაროსთან. მისი პიროვნებით არ დაინტერესებულან არც გამოძიების მუშაკები, არც მისი კოლეგები ოპერატიული სამსახურიდან. დაახლოებით 10-15 დღის გასვლის შემდეგ ისე, რომ მანამდე, როგორც გითხარით, მისი პიროვნებით არავინ დაინტერესებულა, «საწყალი» პატიმარი გაანთავისუფლეს, დაუბრუნეს ყველა ჩამორთმეული რეგალიები, დაბანეს, დავარცხნეს, გაწმინდეს და ასეთ მდგომარეობაში ისევ აახლეს კაბინეტში НКВД-ს თავმჯდომარეს რუხაძეს. მანაც ინსტრუქციის თანახმად ჩააბარა პატაკი კომისარს: «Тов. генерал-майор, майор Т-е в ваше распоряжение прибыл»-ო. თუმცა, როგორც თვითონ ყვებოდა შემდეგში, სწორად ვერ წარმოედგინა, თუ რა სტატუსით წარდგენოდა უფროსს, წალენჯიხის უშიშროების უფროსად თუ პატიმრად. მაგრამ მოიკრიბა მთელი გამბედაობა და უთხრა ის, რაც მოგახსენეთ. გენერალი შეყოვნებულა, ერთი-ორჯერ გამჭოლი თვალებით შეუთვალიერებია თავიდან ფეხებამდე, თითქოს უკვირდაო, ეს ვინ არის ან როგორ მოხვდა ჩემს კაბინეტშიო. შემდეგ, როგორც იყო, დუმილი დაურღვევია და მიუმართავს: «Вам все понятно, или есть вопросы»-ო. ეს კი მეტისმეტი იყო, ადამიანი ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ყოველგვარი ახსნის გარეშე ორი კვირა საკანში გამოამწყვდიეს, ისე რომ საერთოდ არ იცოდა რა ხდებოდა მის გარშემო, სად იყო ოჯახი, ცოლ-შვილი, მშობლები, ახლობლები და ახლა ეკითხებიან: «Вопросы есть?»-ო... აქ კი ვერ მოვითმინეო, მოვიკრიბე მთელი ძალები და როგორც იყო ამოვილუღლუღეო: «За что, тов. генерал, сидел или сижу?»-ო. თურმე სწორედ ამ შეკითხვას ელოდა ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღების დიდოსტატი გენერალი. გაუხსნია კარადა, ამოუღია კონვერტი და მაგიდაზე დაუყრია რამდენიმე დიდი ფორმატის ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყო ჩვენი გმირი პირველი მაისის დღესასწაულის სამთავრობო ტრიბუნაზე, რაიკომის ხელმძღვანელებთან ერთად, გამოწყობილი სამხედრო ფორმაში, ოღონდ ისე, რომ სამხედრო ქუდი თავზე არ ეხურა და მარჯვენა ხელი მელოტ თავზე ჰქონდა დაფარებული. როგორც შემდეგში აგვიხსნა, იმ დღეს წალენჯიხაში მცხუნვარე მზე ყოფილა და ამხანაგი ჩეკისტი მელოტ თავს ხელის მოძრაობით იცავდა. აი, აქ კი გენერალმა ვეღარ მოითმონა და წამოუძახია: «Ты что, ёбани мать, не знаешь, как воинскую честь дават, тем более – трудящихся народу?»-ო. აი, ასეთი სურათი გადაუღია ვიღაც «კეთილისმყოფელ» ფოტოგრაფს იმ დღეს წალენჯიხაში და შემდეგ ეს «დანაშაულის მამხილებელი» მასალა НКВД-ს კომისრისთვის უახლებია. «Ты сейчас понял, что совершил?» _ დაუმთავრებია ყოვლისშემძლე გენერალს. იმდენი ვიძახე, იმდენჯერ გავიმეორე «Конечно, тов. генерал, конечно, тов. генерал, простите, виноват, больше не буду, больше не буду»-მეთქი, სანამ გული არ ავუჩუყე და ბრძანება არ გასცა, სასწრაფოდ მოვეშორებინე მისი კაბინეტიდანო. სახლში დაბრუნებულ ვარლამს დახვდა დამგლოვიარებული, ნახევრადდაობლებული ცოლ-შვილი, მშობლები, რომლებისთვისაც განუცხადებიათ, რომ თითქოს იგი მივლინებაში გაამგზავრეს რუსეთში. არცერთმა მისმა კოლეგამ თუ «მეგობარმა» სინამდვილე (ან კი იცოდნენ სინამდვილე?) ოჯახს არ აცნობა. ამიტომაც მთელი ამ ორი კვირის განმავლობაში გულგახეთქილნი ელოდნენ მამას, შვილს ისე, რომ არ იცოდნენ მის შესახებ არაფერი. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს წყნარი

ადამიანი, რომელსაც, როგორც გითხარით, სიტყას ვერ ამოაღებინებდით, ყოველივე ამას ყვებოდა (ცოტას რომ დალევდა) იუმორით, თვითონაც იცინოდა და ჩვენც გვაცინებდა... ეჰ, მართალი გითხრათ, მაშინ კი მეცინებოდა, მაგრამ ახლა რომ მახსენდება ასეთი ეპიზოდები, ნამდვილად არ მეცინება, ვინაიდან ერთბაშად თუ წარმოვიდგენთ საკანში გამომწყვდეული ადამიანის ორკვირიან გვემას, მისი ოჯახის სასოწარკვეთილ მდგომარეობას, _ აბა, მითხარით, ამაში რა არის სასაცილო?! და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი ეს მოხდა ვიღაც თვითკმაყოფილი, თავის ძალაუფლებაში შეყვარებული და დარწმუნებული გენერლის განკარგულებით, ცხადია, ამით მან გააფრთხილა თანამშრომლები: ჩემი მეთვალყურეობა ყველგან და ყველაფერში ვრცელდებაო, ფრთხილად იყავით, არც თქვენ გელით დანდობაო.

ასეთი «უცნაურობებიც» ჰყვარებია ამხანაგ გენერალს: ერთხელ ორი კვირის განმავლობაში მოგზაურობდა მივლინებით საქართველოში ორ ახალგაზრდა ადიუტანტთან _ მამია ჯაფარიძესთან და ვახტანგ ჩხიკვიშვილთან ერთად ე.წ. CB ვაგონით. გზაში ადიუტანტები ართობდნენ გენერალს ნარდის, ბანქოსა და დომინოს თამაშით. როგორც წესი, ყოველთვის აგებდნენ. თბილისში დაბრუნებისას, გენერლის ბრძანებით ორივე ახალგაზრდა ადიუტანტი დაუპატიმრებიათ და გაუპვახტში მოუთავსებიათ. როგორც გენერალს «აუხსნია» მათთვის _ «За подхалимство». ორიგინალური გადაწყვეტილებაა, არა?

ახლა დავუბრუნდეთ ისევ 60-ანი წლების შუალედის თბილისს და ჩვენს გმირს. როგორც ადრე მოგახსენეთ, იგი თავისი ცოლ-შვილით ცხოვრობდა ყოფილი ძნელაძის, ამჟამად თაბუკაშვილის ქუჩაზე. ერთ-ერთ იტალურ, უფრო ზუსტად კი _ ძველი თბილისის ეზოში. და ბედნიერება ჰქონდა, ემეზობლა ერთ-ერთ თბილისელ «ძველ გოგოსთან» _ თუ არ მეშლება, სახელად მედიკო მ-შვილთან. ეს გოგონა მეტად კოლორიტული ფიგურა გახლდათ მაშინდელ თბილისში. ალბათ ყველა იცნობდა, შესანიშნავი, მაღალი, ლამაზი სახით, ტან-ფეხით, ქერა თმებით. ერთი შეხედვით ძალიან მიმზიდველი ქალიშვილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ანტურაჟი იყო, გარედან ასე ჩანდა. მისთვის არავითარი ავტორიტეტი არ არსებობდა. არც ჩხუბსა და აყალმაყალს მოერიდებოდა: ისეთ დღეს დააყენებდა აბეზარ თაყვანისმცემელს, რომ თავს აწყევლინებდა და ქუდმოგლეჯილს გააქცევდა. ერთი სიტყვით, ცხოვრობდა, როგორც სურდა, გარესამყაროსთან ამყარებდა ისეთ ურთიერთობებს, როგორც საჭიროდ მიაჩნდა. ამბობდნენ, იარაღის კარგი ხმარებაც იცოდაო. ვაი იმას, ვინც წინ აღუდგებოდა. მრავალრიცხოვან მის «დაპატიმრებებს» ბოლო არ უჩანდა. აი, ასეთი ქალბატონისთვის აბა რა ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო მეზობელი ჩეკისტი _ ჩვენი ვარლამი და შედეგმაც არ დააყოვნა. ერთ მშვენიერ დღეს, ხმაურიანი ღრეობის შემდეგ, რომელიც მედიკოს ბინაში გაიმართა, მეზობლების თხოვნით ჩეკისტმა ვარლამმა სახალხოდ უსაყვედურა მედიკოს არაეთიკური ქცევისათვის. აბა მედიკო რისი მედიკო იქნებოდა, რომ სათანადო უშვერი სიტყვებით არ მოეშორებინა «აბეზარი» ჩეკისტი, რომელმაც ძალიან ჩქარა მიატოვა «ბრძოლის» ველი და თავის ბინისაკენ «მოკურცხლა», მაგრამ, სამწუხაროდ, «ინციდენტი» ამით არ ამოწურულა... მეორე თუ მესამე დღეს ცოტა თუ მეტად ნასვამმა მედიკომ აიღო ლურსმნები და ჩაქუჩი და დემონსტრაციულად ამოჭედა ვარლამის ბინის (მაშინ ოთახის) კარი. აბა რომელი მეზობელი გაბედავდა და შეუშლიდა ხელს?! გულგახეთქილი მოივარდა ვარლამი სამსახურიდან და შეშინებული ოჯახი პატიმრობისაგან გაანთავისუფლა. შემდეგ მედიკო, პერიოდულად, როცა მოეხასიათებოდა, იმეორებდა ამ «დამსჯელ» ღონისძიებებს. ვითარება სასტიკად

დაიძაბა. რაიონული მილიცია «ნეიტრალიტეტს» იცავდა, თან იცინოდა და ქილიკობდა. დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია მაშინ, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ვარლამი, რომელიც ეზოს საერთო-საზიარო ტუალეტში იმყოფებოდა, მედიკომ დემონსტრაციულად ამოჭედა. ოჯახის მიერ გამოძახებულმა მილიციის თანამშრომლებმა ძლივსძლივობით დაამშვიდეს აღელვებული მედიკო და ამხანაგი ვარლამი «ტუალეტის საპატიმროდან» გაანთავისუფლეს.

იმ დღეს სამსახურში ძლივს მოვიდა ცოცხალმკვდარი, ფერდაკარგული, განადგურებული და შეურაცხყოფილი ვარლამი. რა თქმა უნდა, თითქმის არასოდეს გვინახავს მხიარული, მაგრამ იმ დღეს მისმა მდგომარეობამ ყველა გაგვაკვირვა. პირველად იყო, რომ შველას ითხოვდა, გულახდილად გვიამბო ყველაფერი, აგვიხსნა, რომ იმ საბედისწერო «შენიშვნის მიცემის» შემდეგ მისი და მისი ოჯახის მდგომარეობა აუტანელი გახდა, მედიკოს ტერორის ქვეშ მოექცა და ა.შ.

არავინ არ იცოდა, რითი დავხმარებოდით, რითი გვენუგეშებინა. «მოვკლავ და მოვისვენებო», _ გაიძახოდა სასოწარკვეთილი ვარლამი.

უცებ რაღაც გამახსენდა. ვარლამს ვუთხარი: ახლა მე წავალ ქალაქში, ერთი ორ-სამ საათში დავბრუნდები. მანამდე არაფერი მოიმოქმედო, დაწყნარდი და რომ დავბრუნდები, ყველაფერს აგიხსნი, ვეცდები დაგეხმარო-მეთქი და სასწრაფოდ გავედი კაბინეტიდან.

რამდენადაც უკვე ვიცოდი, მედიკოსთვის არავითარი ავტორიტეტი არ არსებობდა (მით უმეტეს, მილიცია). მაგრამ ვიცნობდი ერთ ადამიანს, რომელიც, რომ იტყვიან, მისი ტოლი ან მეტი «ავტორიტეტი» იყო. ეს გახლდათ სოლოლაკელი ჩემი თანატოლი «იშტარა». აი ასე, დილით ადრე ვესტუმრე იშტარას სახლში. სხვათა შორის, იშტარას საწყალ აწ გარდაცვლილ მამასაც ვიცნობდი, მეტად კეთილშობილ იურისტს. იშტარასაგან განსხვავებით, მისი ძმა (ასევე იურისტი) იშვიათი სიდინჯითა და წყნარი ხასიათით გამოირჩეოდა. ავუხსენი იშტარას ვარლამისა და საერთოდ ჩვენი უშიშროების «გასაჭირი» და ვთხოვე დახმარება, რომ როგორმე შეგვერიგებინა მოპირისპირე მხარეები. ამის შემდეგ მე და იშტარა სახლში ვესტუმრეთ მედიკოს, რომელსაც ჯერ იშტარა ესაუბრა, შემდეგ ერთად ვისაუბრეთ. ო, შემდეგ მოხდა ისეთი რამ, რაც ფელინის, პაზოლინის, ფარაჯანოვს თუ ოთარ იოსელიანს შეშურდებოდათ. ტელეფონით გამოვიძახე ვარლამი. შევიკრიბეთ ეს ოთხეული რესტორან «გემოში» და ერთი, რომ იტყვიან, გემრიელად ვიქეიფეთ, შევარიგეთ ჩეკისტი ვარლამი და «ხულიგანი» მედიკო. აი, აქ, ამ სუფრაზე თუ რა დიალოგი გაიმართა, რა თანამიმდევრობით, რა ემოციებით, რა ქართული თუ რუსული სიტყვიერების ნიმუშებით, რა არტისტიზმით შეზავებული მედიკოსა და ვარლამის, ჩემი და იშტარას მახვილსიტყვაობით, _ ამას, დამერწმუნეთ, ჩემი კალამი ვერ აღწერს. მე მგონი, ნოდარ დუმბაძის ნიჭია საჭირო. მე მაინც ამ ქართველ მწერალს მივანდობდი ამ საქმეს, რამეთუ მთელი ამ «ცირკის» მოქმედი გმირები ყველა ქართველები ვიყავით. და მხოლოდ ქართველი თუ აღწერს ყოველივე ამას. «ინციდენტი» ამოიწურა. ამის შემდეგ არავითარ შემოტევას მედიკოს მხრივ ადგილი არა ჰქონია. მხარეთა ურთიერთშეთანხმების თანახმად, ჩვენ დავიცავით საიდუმლოება და «დაზავების» პირობების შესახებ არავისთან არაფერი განგვიცხადებია.

არ გასულა სულ რაღაც 2-3 წელი, რომ ერთ-ერთი რაღაც «ინციდენტის» (გარჩევის) შემდეგ მედიკო ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. მთელი თბილისის თუ არა, მოქალაქეთა უმრავლესობა, მისი თანატოლები, თბილისის ძველი ბომონდი, აცილებდა მედიკოს, თბილისის ამ კოლორიტულ, თავისებურ, განუმეორებელ

პიროვნებას უკანასკნელ გზაზე. შემდეგში იშტარაც ასევე ტრაგიკულად დაიღუპა. ბატონი ვარლამი კი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა...

ამბავი რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის კარტოგრაფიული რუკისა

ვისაც ეს კარტოგრაფიული ხელოვნების ნიმუში არ უნახავს თავისი თვალით, ის ვერ დაგვიჯერებს. მაგრამ ფაქტი ფაქტია და უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილებაში, ერთ-ერთი გამომძიებლის «გ-ძეს» კაბინეტში, მთელი კედლის გასწვრივ ეკიდება ეს რუკა. გარკვეული თუ სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ყველა ცდილობდა შესულიყო ამ კაბინეტში, როგორც სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში და დაეთვალიერებია ეს არაჩვეულებრივი, გრაფიკულად შესანიშნავად გაფორმებული ფერადი რუკა _ საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ. რუკას საკმაოდ დიდი ოთახის ერთი კედელი თითქმის მთლიანად ეკავა: იყო სიგრძით დაახლოებით 4-5 მეტრი და სიგანით 5-6 მეტრი. რაღაც განსაკუთრებით უცხო წარმოების ქსოვილზე დამზადებული _ ალბათ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იყო შექმნილი და თითქმის 160-170 წლის გასვლის შემდეგაც არ ეტყობოდა არავითარი დაზიანება. საომარი მოქმედებების ამსახველი სურათები დიდი პროფესიონალიზმით იყო შესრულებული. ასეთ გრაფიკულ რუკას, როგორც მაშინ, ისე ახლაც ვერსად იპოვით და მისი ადგილი საგამომძიებლო სამსახურის ერთ-ერთი კაბინეტი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ _ ძალიან ბევრი მუზეუმი ინატრებდა ასეთ ნიმუშს თავის საცავში. გაგიკვირდებათ, ალბათ, თუ საიდან შეიძლება მომხდარიყო ხელოვნების ეს ნიმუში НКВД-ს შენობაში. ახსნა ამ ფენომენისა მეტად მარტივი იყო: საერთოდ, ჯერ კიდევ 60-ან წლებში უშიშროების კომიტეტში ბევრს ისეთ ავეჯსა და ქანდაკების ნიმუშს აღმოაჩენდით, რომელნიც მუზეუმებში განთავსებას უფრო იმსახურებდნენ. საგამოძიებოში იყო განთავსებული ნიკოლოზის დროინდელი წიგნის კარადები: ბროკგაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიები, დალის ლექსიკონები, დარგობრივი ენციკლოპედიები, რევოლუციამდე გამოშვებული მხატვრული თუ ისტორიული ლიტერატურა, უნიკალური კაკლის ხით დამზადებული ჭურჭლის კარადები თუ ტანსაცმლის გარდერობები და ა.შ. აქვე, კომიტეტის პარტკომის ბიბლიოთეკაში, ლენინის, მარქსისა თუ ენგელსის ტომებთან ახლოს ჩამწკრივებული იყო რევოლუციამდე გამოსული მრავალტომიანი ფოლიანტები _ «История русской тюрьмы», «Теологический справочник», Руссо, Вольтер, Дидро და სხვა და სხვა. ზოგიერთ კაბინეტს «ამშვენებდა» ხის რბილი ავეჯი, შავი ტყავით და გობელენებით, იშვიათი ძველი სტილის მოვერცხლილი და მოოქროვილი სამელნეები და სხვა.

ყოველივე ეს სხვა არა იყო რა, თუ არა რეპრესიების დროს დაპატიმრებულთა ოჯახებიდან (წარმოიდგინეთ, რა ოჯახი იქნებოდა ყოველივე ასეთი ანტურაჟის მფლობელი ოჯახი!) რეკვიზირებული ე.წ. «დანაშაულის მამხილებელი» უძრავი ქონება. ბევრი მათგანი წაიყვანეს დილით ადრე, გამთენიისას, გაუსამართლებლად დახვრიტეს და შემდეგ მათი ოჯახიდან გამოტანილ ავეჯს და მატერიალურ ნივთებს ვინღა გამოეკიდებოდა?! ერთიც უნდა ითქვას: ამ «ხალხს» სახლშიც ბევრი რამ წაუღია, ანდა კი არ წაუღია, ნაწილი სამსახურში მოიტანეს, რომ უფრო კომფორტულად ემუშავათ... და შემდეგ მთელი ძალისხმევით და ენერგიით ეღვაწათ «ხალხის საკეთილდღეოდ». აბა, მარტო თავისთვის ხომ არ აშენებდნენ საყოველთაო სამართლიანობის სახელმწიფოს?! ერთი კია: ამ საქმეში ისეთი გულმოდგინებით და

ენთუზიაზმით მუშაობდნენ, რომ დაპირებული სამოთხის აშენებამდე შეიძლება ხალხი აღარ დარჩენოდათ, მაგრამ მაშინ ამაზე აბა ვინ ფიქრობდა საერთოდ?

ერთი სიტყვით, გვქონდა ეს ისტორიული _ ხელოვნების ნიმუში რუკა და გვყავდა მისი პატრონი, ამ შედევრზე უზომოდ შეყვარებული გამომძიებელი «გ», რომელიც, ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც სპეციალური ჩვრებით, სითხეებით და სხვა მასალებით წმენდდა, ასუფთავებდა ამ რუკას, რომ არავითარ გარემოს მის იერზე ზიანი არ მიეყენებინა. ამ დროის განმავლობაში ჩვენმა გმირმა თადათანობით შეისწავლა ამ ამბის ისტორია. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ისტორიული ცნობები დაუკავშირა რუკაზე გამოსახულ სქემებს და შეეძლო, 1-2 მილიმეტრის სიზუსტით აეხსნა თუ სად იდგნენ ბოროდინოს ბრძოლის დროს კუტუზოვი, ბაგრატიონი, ბარკლაი-დე-ტოლი, სხვა გენერლები, სად იყო ნაპოლეონის კარავი და ზუსტად გაერკვია თუ რა ხდებოდა იმ ომის დღეს ბოროდინოზე. ყოველივე ამას ისეთი სიზუსტით, ისეთი მონდომებით გვიყვებოდა, რომ ასე გეგონებოდათ, ამ საომარი მოქმედების მონაწილე გახლდათ, ახლა ვეტერანია და ახალგაზრდებს უამბობს ომის წარმოების შესანიშნავ პერიპეტიებს. მოყოლის დროს ჰქონდა არტისტული გარდასახვის შესანიშნავი ნიჭი, ხან ნაპოლეონი იყო, ხან კუტუზოვი, ხან ბაგრატიონი, და კიდევ ძალიან უყვარდა რატომღაც კავალერისტი მიურატის განსახიერება.

ეს კაცი სამი ძირითადი კრიტერიუმით ცხოვრობდა: ოჯახი, სამსახური და კარტოგრაფიული რუკა. ოღონდ ერთ რამეში ბოდიში უნდა მოგიხადოთ: შეიძლება მისი ცხოვრების კრიტერიუმები რეალური თანამიმდევრობით ვერ მოგაწოდეთ.

აქ იწყება მთავარი «ისტორია»: რამდენიმე სართულით მაღლა, ასეთსავე კაბინეტში იჯდა ერთი ოპერატიული მუშაკი _ დაჯილდოვებული ხმის იმიტაციის არაჩვეულებრივი ნიჭით. არ ვიცი, რა მოიგო უშიშროების ორგანოებმა იმით, რომ ეს პიროვნება აქ მუშაობდა, მაგრამ ერთ რამეში გარწმუნებთ (რაკი საკმაოდ გათვითცნობიერებული ვარ თეატრალურ თუ საესტრადო ხელოვნებაში), ეს ადამიანი რომ მსახიობი გამხდარიყო, ნამდვილად დიდ წარმატებას მოიპოვებდა, როგორც ნიჭიერი ხელოვანი და განუმეორებელი პაროდისტი.

რა თქმა უნდა, წინასწარშემუშავებული სცენარის მიხედვით «ხულიგანმა შეთქმულებმა» ამ არტისტის ჩართვით მოაწყვეს იუმორის დღე უშიშროებაში. ერთ-ერთ კაბინეტში ჩაკეტილმა არტისტმა მთელი თავისი იმიტაციისა და პაროდიის ნიჭი გამოიყენა, დაურეკა ტელეფონზე გამომძიებელს და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მისაღების მორიგის (ადიუტანტის) ხმით უთხრა შემდეგი: «ამხანაგ თავმჯდომარეს რაღაც საკითხი წამოეჭრა, მასთან სტუმრად იმყოფება ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის საკითხში, ამიტომაც ამხანაგი ინაური გთხოვს, ამოიტანო შენი ისტორიული რუკა მის კაბინეტში. არ არის გამორიცხული, რომ მათ რაღაც ისტორიული განმარტებები მოგთხოვონო». არც ისეთი ხვითო იყო ჩვენი გმირი, როგორც «შეთქმულებს» ეგონათ. ჯერ დაფიქრდა, შეიძლება მომეჩვენაო, შემდეგ გაბედა და პირდაპირ საიდუმლო ტელეფონით «დაუკავშირდა» ამხანაგ ინაურს (რა თქმა უნდა, ეს ტელეფონი წინასწარ იყო გამორთული თავმჯდომარის მისაღებში და საერთოდ ინაური მხოლოდ მთავრობის აპარატის ტელეფონით სარგებლობდა). დარეკა და მოახსენა «Тов. генерал, это Вы дали приказ привести к вам карту?»-ო. ამხანაგმა ინაურმაც (ან ჩვენმა პაროდისტმა) ერთი შეუკურთხა: მე რა, რამდენ ხანს უნდა ველოდო მაგ რუკასო?

ასეთ ფსიქოლოგიურ წნეხს კი ვერ გაუძლო ჩვენმა კარტოგრაფმა, სასწრაფოდ _ რამდენადაც ეს შეიძლებოდა, ჩამოხსნა რუკა, გაასუფთავა, შეფუთა და გაემართა, რა

თქმა უნდა, ფეხით მეორე სართულიდან მეექვსე სართულამდე, გამორიცხული იყო ამ გაბარიტების ნივთის ლიფტით ატანა. დასახმარებლად არავინ არ მიიწვია, სახუმარო საქმე ხომ არ იყო, კაბინეტში გენერალ-პოლკოვნიკი ინაური და საქართველოს კომპარტიის იერარქიით მეორე-მესამე კაცი ელოდებოდნენ და მათთან საუბრის მოწმე სრულებითაც არ სჭირდებოდა. თანაც ასეთი მითითება საჭიროდ რომ ჩაეთვალა, თვით თავმჯდომარე გასცემდა. დიდის ვაი-ვაგლახით, დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში, გაიარა მხოლოდ ორი სართული. «შეთქმულთა» რაოდენობამ საკმაოდ იმატა, კაბინეტში ჩაკეტილ «შაყირისტებს» ამ სეირის მაყურებელი «მზვერავები» პერიოდულად აწვდიდნენ ინფორმაციას მოვლენათა მიმდინარეობის შესახებ და ისინიც სიცილით იგუდებოდნენ. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. როდესაც ჩვენმა გმირმა გადალახა მეოთხე სართული და მეხუთე სართულს შეუდგა, მდგომარეობამ კრიტიკული ხასიათი მიიღო. სულ რაღაც 10-12 წუთში ჩვენი გმირი გადალახავდა ამ მანძილსაც და თავისი ტვირთით თავმჯდომარეს მიადგებოდა. ასეთი პერსპექტივა კი არავის აწყობდა. სასწრაფოდ გამოვარდა «შეთქმულთა» ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ისე რომ არც შეუხედავს ჩვენი გამომძიებლისათვის, ავარდა მეექვსე სართულზე, შევარდა მისაღებში და აუხსნა მორიგე ადიუტანტებს შექმნილი კურიოზული სიტუაცია, ე.წ. «შაყირის» შინაარსი. მისაღებიდან გამოცვივდნენ ადიუტანტები, თავმჯდომარის მძღოლები, შეეგებნენ გამომძიებელს და დაუწყეს ახსნა, რომ გაეხუმრნენ, თხოვდნენ პატიებას და ა.შ. და ა.შ. ზოგი გაჰყვიროდა, თავმჯდომარემ გადაიფიქრაო, მაგრამ შეურაცხყოფილი და დამცირებული ჩვენი გმირი არაფრით არ სთმობდა პოზიციებს და ჯიუტად მიიწევდა თავმჯდომარის კაბინეტისაკენ. არც დაყვავება სჭრიდა, არც ჩხუბი. ადამიანს ვერ იცნობდით, ისე იყო გაცეცხლებული. «შეთქმულთა» საბედნიეროდ, თავმჯდომარე კაბინეტში არ გახლდათ, თორემ ასეთი აყალმაყალს შეიძლება მის ყურამდეც მიეღწია. როგორც იყო, დააწყნარეს, დაეხმარნენ შეფუთულის უკან მეორე სართულზე ტრანსპორტირებაში, მაგრამ მან მაინც იძია შური თავის გამთამაშებლებზე: პირველი, რაც გააკეთა, მეორე დღეს შევიდა კაბინეტში იმ ჩვენთვის ცნობილ იმიტატორთან და მთელი ბოთლი მელანი გადაასხა თავზე. მეტი რა დაგვრჩენოდა, საღამოს შევკრიბეთ ფული და ჩვენი გმირი დავპატიჟეთ რესტორანში. ცოტა ხანს დაძაბულები ვიჯექით, შემდეგ ღვინომ და კარგმა თამადამ თავისი გაიტანა და კარგადაც მოვილხინეთ დილამდე. შემდეგ დილის 6 საათზე ხაში დავაყოლეთ და მერე ჩავებით სამუშაო რიტმში.

ქუთაისის ენერგომომარაგების (ქელასის) უფროსის «დაპატიმრება»

იუმორის ნიჭით, როგორც მოგახსენეთ, ჩეკისტების არაერთი თაობა იყო დაჯილდოვებული, მაგრამ სხვადასხვა დროს (ჩეკისტური ყოფისა) მას სხვადასხვა ელფერი ეძლეოდა. 1976-1978 წლებში, როცა ქუთაისში ვმუშაობდი, რაღაც საკითხების გადასაწყვეტად კაბინეტში მესტუმრა უშიშროების ქუთაისის განყოფილების ყოფილი უფროსი (დაახლოებით 1948-1953წწ.) ამხანაგი «გ». სწორედ ამ დროს ვაწარმოებდით უშიშროების განყოფილების შენობის რემონტს. სხვათა შორის ვუთხარი: რა კარგი ელექტროგაყვანილობა ჰქონია შენობას, ელექტრიკოსები «დაიტანჯნენ» მისი დემონტაჟის დროს, თითქმის თითის სიმსხო სპილენძის მავთულები არის-მეთქი. მან ამ შენიშვნაზე მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა და

შემდეგ მიამბო: დაახლოებით 1948 წელს ელექტროგაყვანილობა თითქმის მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, დღის ნებისმიერ დროს სინათლე გვეთიშებოდა და შეიქნა ხანძრის გაჩენის საშიშროება. მივმართე ჩემს კარგ მეგობარს, ყოფილ თანაკლასელს, რომელიც მაშინ ქელასის მმართველი გახლდათ და აქ დაიწყო ჩემი აუტანელი ტანჯვაო. ყოველდღე, როცა დავურეკავდი ან ერთად ვიყავით, სულ მპირდებოდა: დღეს-ხვალ, მაპატიე, ხვალ აუცილებლად შევცვლი ელექტროგაყვანილობასო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მკაცრი საყვედური და გაფრთხილება მივიღე თბილისიდან. თუკი მდგომარეობას ვერ შევცვლიდი, აუცილებლად დამსჯიდნენ. მერე ისიც გაიხსენეთ, რომ იმ წლებში არამარტო უშიშროება, არამედ მთელი სახელმწიფო სტრუქტურები ღამის რეჟიმში მუშაობდნენ, და ახლა წარმოიდგინეთ, ყველა შენობა თითქმის განათებულია და ყოვლისშემძლე НКВД ჩაბნელებულში ზის. ეს კი შეიძლება დაცინვის საბაბიც გამხდარიყო. ყველა სხვას რაღაცას მოვუხერხებდი, მაგრამ ამ ბავშვობის მეგობარს ვერაფერი მოვუხერხეო. ჯვარს მაცვა თავისი ტყუილებითო. ერთ მშვენიერ დღესაც ჩემი მოთმინების ფიალა აივსო და დილით ადრე, როცა ჩემი მეგობარი (ქელასის უფროსი) სახლიდან გამოვიდა და სიმღერ-სიმღერით გაეშურა სამსახურში (ალბათ პახმელიაზე იყო ის მამაძაღლიო), ჩავუსაფრე НКВД-ს ხალხი და ჩუმად, ისე რომ არავის გაეგო, არც ოჯახს, არც მეზობლებს და ახლობლებს, ავწაპნე ქუჩიდან, მოვაბრძანე უშიშროებში და დავამწყვდიე ჩვენს სარდაფშიო. ქე მყავდა აქ გამომწყვდეული ორი-სამი დღე ისე, რომ კაციშვილმა არ იცოდა სად გაქრა ეს კაციო. მომვარდნენ დასახმარებლად ახლობლები, ცოლ-შვილი, ატირებულები, ვეცადე დამემშვიდებინა, ვანუგეშე, შეიძლება მივლინებაში წავიდა-მეთქი და საქმიანი სახით დავიწყე მისი ძებნა.

იყურყუტა სიბნელეში, საკანში გამოკეტილმა ყოველგვარ კონტაქტს მოწყვეტილმა «ჩემმა მეგობარმა» და შემდეგ პატარა ბარათი გამომიგზავნა: «ჩემო მეგობარო და ახლობელო, მაპატიე, თუკი რამე სახელმწიფო დანაშაულში არ მდებთ ბრალსო. კარგად ვიცი, რაც დავაშავეო, გთხოვ, გამომიშვი და ერთ დღეში ისეთ ელექტროგაყვანილობას დაგიმონტაჟებ, თბილისში მთავრობის სახლსაც კი შეშურდებაო». გამოუშვი ის ბედოვლათი და ჩემი მანქანით მივიყვანე სახლში. ერთი კი გავაფრთხილე, არსად არ წამოგცდეს იზოლაციის ფაქტი, თორემ ციმბირი უკან დაგრჩება-მეთქი.

მართლაც, სულ რაღაც ერთ კვირაში მისმა ხელოსნებმა სულ მთლიანად შეცვალეს შენობის ელექტროგაყვანილობა იმპორტული (გერმანული) მავთულითო...

აი, ასეთი ძალა გვქონდა მაშინ, _ შესტირა წარსულს ჩეკას გადამდგარმა პოდპოლოვნიკმა.

ქართული სტუმარმასპინძლობა ანუ «დელფინების თეორია»

უფროსმა გამომიძახა და შემომჩივლა: «რა ვქნათ, ხომ იცი, სტუმრები გვყავს, სამი დღეა ვუმასპინძლდები და სულ ამოვწურე ჩემი დელფინების რესურსებიო. ხომ არ შეგიძლია დამასვენო ერთი-ორი დღით, თუ გყავს ვინმე სანდო დელფინი, წაიყვანე ეს ხალხი და გაუმასპინძლდიო». ერთი კი ვიფიქრე, დელფინი რა შუაშია-მეთქი, მან თითქოსდა წაიკითხა ჩემი აზრები: «როგორ ვერ ხვდებიო? დელფინები ხომ ადამიანის მეგობრები არიან, მით უმეტეს, როცა მათ უჭირთო». მეტი ახსნა აბა რა საჭირო იყო. ამის შემდეგ მივხვდი, რომ ასეთი საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფი

(ინსტიტუტი) უნდა მყოლოდა. არ დავაყოვნე და დავურეკე ბიძაჩემს მიშა ფოცხვერიას, მთელ თბილისში ცნობილ ხელგაშლილ მოქეიფეს, შესანიშნავ თამადას და ორი საღამო სტუმრები, რომ იტყვიან, ჩავახრჩვეთ ქეიფში. ყოველთვის მიშა ბიძიას ხომ ვერ «შევაწუხებდი»? ასეთი «კეთილი» ხალხი საკმაოდ მყავდა სკოლის თუ ინსტიტუტის ამხანაგებს შორის, უნდა ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე ამხანაგების ჯგუფიც «გვეხმარებოდა»..

ვასრულებდი რა დირექტივას და მითითებას თბილისიდან, შექმნილი პრობლემა ქუთაისშიც ასეთივე მეთოდით გადავწყვიტე. შინაგან საქმეთა სამმართველომ შეუკვეთა 12-15 კაციანი პურ-მარილი ჩემი (ჩვენი) სტუმრებისათვის რესტორან გოგისვანიძეებში. სანამ სტუმრები შეიკრიბებოდნენ (ძირითადად წყალტუბოში დასასვენებლად მყოფი კოლეგები, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელი მუშაკები), მივედი რესტორანში, დავათვალიერე გაწყობილი მაგიდა და, ასე მეგონა, გული გამოსიკდებოდა: გრძელ მაგიდაზე ტევა არ იყო, თითქმის სამსართულიანი კერძები გაუწყვიათ. «ეს, ბატონო, «ზაკუსკა» არისო, შემდეგში, სტუმრები რომ მოვლენ, შეუკვეთეთ ხაჭაპური, მწვადი, ქაბაბი, დედალი, კუპატი და ასე შემდეგო». ღმერთო ჩემო, იქ რაც იყო, ალბათ 100 კაცს ეყოფოდა, ფულადი გამოსახულებით კი ალბათ ჩემი თვიური ხელფასის ათმაგი ოდენობა დასჭირდებოდა. მართალი გითხრათ, ერთმა ეჭვმა კი გამიელვა თავში: აი, ახლა მოვლენ სტუმრები, და ამას რომ ნახავენ, გამიბრაზდენიან, შებრუნდებიან, შეურაცხყოფად მიიღებენ და წავლენ-მეთქი და ამით ჩემი კარიერაც ჩაესვენება-მეთქი, მაგრამ უკან დასახევი გზა უკვე აღარ არსებობდა...

სინამდვილეში ყოველგვარი შიში ამაო გამოდგა: სტუმრებმა შესანიშნავად მოილხინეს, იცეკვეს, იმღერეს ისე, როგორც შეეძლოთ და დიდად კმაყოფილებმა დატოვეს რესტორანი.

მაგრამ ერთი უცნაურობა კი ახლდა ქართულ გულუხვ სტუმარ-მასპინძლობას: არაერთხელ გამიგონია: «თქვენ სულ სხვა ქვეყანაში ცხოვრობთო, სულ სხვანაირად ხართ მატერიალურად მოძლიერებულები, ე.ი. მდიდრები ხართო». რაც არ უნდა აგეხსნა, არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაინც არ გიჯერებდნენ და სჯობდა გაჩუმებულიყავი.

ჯიგარო-დათო

რაკი ჩეკისტების ცხოვრებაში იუმორის თემას შევეხეთ, არ შეიძლება, უფრო სწორად, მკრეხელობა იქნება, არ გავიხსენოთ ჩვენი მეტსახელად «ჯიგარო-დათო», უფროსი თაობის ჩეკისტი. არ ვიცი, რა კრიტერიუმებით შეარჩიეს იგი ამ სამსახურში, მაგრამ ერთი კი უცილობელი იყო: იმდენად ალალმართალი, გულღია, სიტყვაუხვი, მე ვიტყოდი, გულუბრყვილო გახლდათ, რომ ამ საიდუმლო ორგანიზაციაში მისი მუშაობა ნამდვილად გაოცებას იწვევდა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ იგი უკმაყოფილი იყო სამსახურით. პირიქით, თვითკმაყოფილების განწყობილებით ცხოვრობდა, იარაღსაც სიამოვნებით დაატარებდა, ნაცნობ-მეგობრებს ყოველთვის ეხმარებოდა. მაგრამ ჩვენ, ახალგაზრდა თაობამ, ძალიან მალე აღმოვაჩინეთ მისი «სუსტი» მხარეები. ამიტომაც, ბოროტად ვიყენებდით ყოველივე ამას. ხელფასს რომ ავიღებდით, აუცილებლად დავპატიჟებდით, «ველიამინოვზე» ან სადმე საქაბაბეში. პირველად არაფრით არ დავახარჯინებდით ფულს, შევუკვეთავდით ხინკალს, ქაბაბს და ღვინოს. ერთი ლიტრი ღვინის მიღების შემდეგ სულ სხვა ხდებოდა «ჯიგარო»,

ვითომდა იპარებოდა მებუფეტესთან, შეუკვეთავდა გაცილებით მეტ პურ-მარილს, აავსებდა სუფრას, მზად იყო _ მთელი ხელფასი დაეხარჯა და აბა ჩვენ მეტი რა გვინდოდა? ვიქეიფებდით, ვერთობოდით და შემდეგ ხელმკლავგაყრილი გვიან საღამოს ჩავაბარებდით «ჯიგაროს» მის მეუღლეს. გამომშვიდობების სცენა ნამდვილად თეარალიზებული იყო: ზრდილობის გამო მის მეუღლეს წამოსცდებოდა «შემობრძანდითო» და ამას როგორ «ვაპატიებდით», ყოველგვარი თხოვნის გამეორების გარეშე შევცვივდებოდით სალხში, მოვილხენდით და პიანინოზე და გიტარაზეც დავამღერებდით, რა თქმა უნდა, რამდენადაც ამის საშუალებას ვოკალის ნიჭი გვაძლევდა, თუმცა ჩვენს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საკმაოდ გამოირჩეოდნენ ამ მხრივ. ჩვენ კი ვილხენდით და «ჯიგაროს» მოლხენას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ამ დროს მისი მეუღლე საკმაოდ აგრესიული სახით შემოგვყურებდა. როგორც წესი, ჩვენ ამას «ვერ ვამჩნევდით». მთავარია, «ჯიგარო» ჩვენთან იყო.

გვიან ითხოვა დათომ ცოლი, ბავშვიც გვიან ეყოლათ _ შესანიშნავი გოგონა. რა თქმა უნდა, ყველა მშობელს უყვარს საკუთარი შვილი, მაგრამ «ჯიგაროს» სიყვარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასე, 6-7 წლისა იყო გოგონა და საბავშო ანსამბლში მღეროდა. დათოს შეეძლო მთელი დღე ესაუბრა მისი გოგონას ვოკალური ნიჭის შესახებ და ჩვენც ყოველნაირად ვუქებდით და ვადიდებდით ამ ნიჭს. ის კი უყურადღებოდ არ სტოვებდა ამ ჩვენ შექებას: დაგვპატიჟებდა ლუდზე, შემდეგ ღვინოზე და ა.შ.

ერთ მშვენიერ დღეს დათომ გამოგვიცხადა «ბიჭებო, საათის სამართავი ბორბალი დამეკარგა კაბინეტშიო (ე.ი. «маятник»-ი დაჰკარგვია).» ვისაც არ უცხოვრია 60-ან წლებში, ვერ გაიგებს, თუ რა ატრიბუტს წარმოადგენდა მაშინ საათი. ახლა ზოგ ადამიანს რამდენიმე მაჯის საათი აქვს, მაშინ კი ერთი საბჭოური «победа»-ს ქონაც სიმდიდრედ ითვლებოდა. ერთხელ კი გვაუწყა, მაგრამ ამით არ გაჩერებულა, ორი-სამი დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ შემოგვჩივლა დანაკარგის შესახებ. ერთხელაც, საქმეებზე რომ გავიდა ქალაქში, კაბინეტი დავათვალიერეთ და ვიპოვეთ ის დასაღუპი «маятник»-ი, მაგრამ ასე უმაყარიჩოდ ხომ არ გადავცემდით პატრონს?! შევადგინეთ ზეპირი სცენარი, ჩავედით ოპერატიულ-ტექნიკურ განყოფილებაში, ისეთსავე რიგით ოპერატიულ მუშაკთან, როგორებიც ჩვენ ვიყავით, საშა მაისურაძესთან, «ვითხოვეთ» მისგან ე.წ. «миноискатель»-ი ანუ «металоискатель»-ი, ამივედით «ჯიგაროს» კაბინეტში და მისი თანდასწრებით გადავაადგილეთ, გადავწიეთ, ავაქოთეთ მთელი კაბინეტის ავეჯი, სეიფები, სკამები, მაგიდები და ოი, საოცრებავ, «ვიპოვეთ» «მაიატნიკი», საზეიმოდ გადავეცით დათოს, მოვმართეთ საათი, მივულოცეთ «ჯიგაროს» და მანაც არ დააყოვნა, დაგვპატიჟა ლუდზე, გაწეული ტექნიკური დახმარებისათვის საშა მაისურაძეც გავიყოლიეთ და ასე აღვმოვჩნდით იმ საღამოს საქეიფო სუფრაზე.

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ოპერატიულმა მუშაკმა 1% «პრემია»

დაახლოებით 60-ანის ბოლო წლებია. სახელმწიფო უშიშროების საგამომძიებლო სამსახურმა მე და ჩემი ორი ახლგაზრდა კოლეგა ჩაგვრთო საგამოძიებო ჯგუფში. ადრე ჩატარებული სხვადასხვა ოპერატიული ღონისძიებების დამუშავების შემდეგ მოხდა საქმის რეალიზაცია: დაპატიმრებები, ჩხრეკები და სხვა. ჩხრეკა საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა, თითქმის 12-13 საათს. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად

არასასიამოვნო პროცესია ეს ღონისძიება, ემოციურად დაძაბული და, ვიტყოდი, რომ გარკვეულ წილად ძარცვასაც მოგაგონებს, ფარულ ძარცვას, პროკურორის, მილიციის მუშაკების მონაწილეობით. ერთი კი ცხადია, რაშიც მაშინ დავრწმუნდი: არსებობდნენ და არსებობენ ამ საქმის დიდოსტატები, რომლებსაც თითქმის ვერაფერს დაუმალავ. ისეთი პუნქტუალობით, კაკუნით, რაღაც ხელსაწყოების დახმარებით ეძებენ ბინაში გადამალულ ფულს, განძს, რომ ყოველივე ამის შემყურეს თმები ყალყზე დაგიდგება. რწმუნდები, რომ ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, თუკი რამის საიდუმლოდ შენახვა უნდა, აგრეთვე მიმკვლევის ფანტაზიასაც არა აქვს საზღვარი, როცა დამალული განძის აღმოჩენა სურს.

დიდი ფსიქოლოგიური პაექრობა იმართება მეპატრონესა და მიმკვლევ-გამომძიებელს შორის. თუკი მეპატრონე ცდილობს, რაც შეიძლება არანერვიული, არაგამომწვევი გამომეტყველება მიიღოს, რათა არ გასთქვას თავისი საიდუმლო, გამომძიებელი სრული მოთამაშეა: არტისტობს, აკვირდება გარემოს, პუნქტუალურად სწავლობს, ვიზუალურად თუ რაღაც «ხელსაწყოთი» (შეიძლება იგი ფიქტიურიც იყოს) ამოწმებს _ თითოეულ მილიმეტრს. ხან ხმამაღლა გამოხატავს ემოციებს, ხან გაჩუმდება, თითქოს რაღაც ხმაურს თუ ხმას სწავლობს. თან გამუდმებით შეჰყურებს სახეში ჩხრეკის ობიექტს, ხან _ ვითომ სრულებითაც არ აინტერესებს მისი რეაქცია და სადღაც სივრცეს შეჰყურებს, თითქოს იქ უნდა წაიკითხოს გადამალულის საიდუმლოებაო. როგორც წესი, წინასწარდაწერილი სცენარის მიხედვით აკვირდება ობიექტს და მის რეაქციას. ყოველივე ამას არც მოგახსენებდით, მაგრამ ეს არც თუ ისე სასიამოვნო ღონისძიება საკმაოდ დიდ არტისტიზმს შეიცავს ორივე მხრიდან. არავინ იცის ვისი გამარჯვებით დამთავრდება ფარული ნერვების ბრძოლა. არც ერთმანეთს უმხელენ ისინი გამარჯვების თუ დამარცხების ემოციებს.

ყოველ შემთხვევაში, იმ დღეს ჩხრეკა დამთავრდა და ამოღებულ იქნა ობიექტის (რომ იტყვიან _ «ტენევიკის») დანაშაულებრივი ქმედების მამხილებელი მასალა. რამდენიმე დიდი ფუთა დეფიციტური, საკმაოდ ძვირად ღირებული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ოქროულობა, ნიკოლოზის დროინდელი ოქროს მონეტები, ნაღდი საბჭოთა ფული (35 500 მანეთი) და, ასე წარმოიდგინეთ, ვალუტა _ 2150 ამერიკული დოლარის სახით. მართალი გითხრათ, მაშინ პირველად ვნახე საერთოდ დღისით-მზისით ამერიკული დოლარი, მით უმეტეს _ ასეთი ოდენობით საბჭოთა ფული.

მეორე დღეს ვზივარ ჩემთვის კაბინეტში, ამ შთაბეჭდილებებით დატვირთული და რაღაც დოკუმენტს ჩავყურებ. ამ დროს შემოვიდა ახალგაზრდა კოლეგა, რომელიც ჩემთან ერთად მონაწილეობდა ჩხრეკაში და მანაც გამიზიარა იგივე შთაბეჭდილებები. ამ საუბარში რომ ვიყავით გართული, ისე, სხვათა შორის შემეკითხა (ალბათ ზრდილობის გამო), რასა წერო? აი, ამ კითხვაზე კი გამიჩნდა (თითქოსდა ავანტიურული), ჩემი აზრით _ სახუმარო აზრი და დაახლოებით შემდეგი ვუპასუხე: «როგორ არ იცი, აი, გუშინ ჩხრეკაში რომ ვმონაწილეობდით, ხომ ნახე რამდენი ოქრო, განძი და ფული ამოვიღეთ, რამდენი მანეთით გავზარდეთ სახელმწიფოს ბიუჯეტი და სახელმწიფოც არ არის ამ შემთხვევაში უმადური-მეთქი: ჩხრეკაში მონაწილე გამომძიებლებს და ოპერატიულ მუშაკებს კანონის ძალით «ამოღებული» თანხის 1% გვეკუთვნის და ვინც ამის შესახებ განაცხადს გააკეთებს, შესაბამისი პატაკით მიმართავს ხელმძღვანელობას, მას მიაკუთვნებენ ამ თანხას, ან გადაანაწილებენ მსურველებს შორის-მეთქი». ცოტა შევისვენე და გავაგრძელე: «თუმცა შენ ეს არ გეხება, შენ მამა თავზე გადგას, ყველაფერში გეხმარება, შეძლებული კაცია და აბა ასეთი დახმარება რაში გჭირდება, ასეთი დახმარება ჩემსავით

წყალწაღებულისთვის არის გამიზნული-მეთქი». დავამთავრე სიტყვა და ველოდი რეაქციას, გახუმრებას, სიცილს და ა.შ. მაგრამ ამ ჩემს «რეჩს» არავითარი რეაქცია არ მოჰყვა. მიყურა ცოტახანს გაკვირვებულმა და ერთი კი მითხრა: ვინ გითხრა და მოგახსენა, რომ მამაჩემი შეძლებული კაცია, მამაჩემი ერთი პატიოსანი უმწიკვლო სახელმწიფო მოხელეა სტატისტიკურ სამმართველოშიო _ და ცივად დატოვა კაბინეტი.

რა მექნა, ხომ არ გავეკიდებოდი და ბოდიშს ხომ არ მოვუხდიდი, ანდა რაში მქონდა ბოდიში მოსახდელი? ერთი კია, რომ კომუნისტობის დროს გარკვეული მატერიალური შესაძლებლობა კომპრომატად ითვლებოდა და ყველა ცდილობდა დაემალა საზოგადოების თვალისთვის პირადი სიმდიდრე.

გავიდა ერთი თუ ორი დღე და ეს არაფრისმთქმელი სიტუაცია სრულებით დამავიწყდა. უცებ ჩემმა უშუალო უფროსმა მიმიხმო თავის კაბინეტში. შევედი. პიჯაკი ჩაიცვა და მითხრა _ წავიდეთო, განყოფილების უფროსი გიბარებსო (ეს კი ახლაგამოჩეკილი მუშაკისთვის დიდი «პატივი» გახლდათ და ცოტა ჩავფიქრდი). შევედით განყოფილების უფროსთან. მაშინ «შახირა» იყო ჩვენი უფროსი. უცნაურად შემომხედა, თვალი თვალში გამიყარა, ირონიული ღიმილიც ვიგრძენი მის გამოხედვაში. აიღო ტელეფონი (დავაკვირდი _ სამთავრობო), დარეკა და მოახსენა: ჩემთან არიან, შეიძლება მოვიდეთო? ალბათ დასტური მიიღო, ჩაიცვა პიჯაკი და გავუდექით გზას. აქ კი ცოტა «მანდრაჟმა» ამიყვანა. ჩავრთე ჩემი ტვინის უჯრედები (ახლა რომ იტყვიან _ ტვინის კომპიუტერი) და დავიწყე ვერსიების გამოთვლა: რისთვის? რატომ? თუ მახალისებენ, ამის მიზეზი არაფერი მიმიცია, თუკი მსჯიან, რისთვის? გადაადგილების ტრაექტორიის მიხედვით მივხვდი, რომ მივდიოდით თავმჯდომარის მოადგილესთან კადრების საკითხებში, ამხანაგ «შახთან», თუმცა მაშინ, როგორც მახსენდება, «შახი» არ ერქვა, ეს შემდეგი დამსახურების გამო შეარქვა კოლექტივმა. იმასაც ამბობენ, მოსწონდაო, რადგან თავმჯდომარეს არაფრისმთქმელ «ბაბუს» ეძახდნენ და «ბაბუსთან» შედარებით «შახი» უფრო პრესტიჟულად ჟღერდა. სულ რაღაც 50 მეტრი უნდა გაგვევლო, მაგრამ ჩემთვის სასტიკად გაიწელა დრო და მანძილი. ჯერ ხელმძღვანელობა შევიდა, შემდეგ, ალბათ 5 წუთში, მეც დამპატიჟეს. შევედი, ზრდილობის გამო დაჯდომაც არ შემოუთავაზებიათ, «შახმა» იკითხა: ეს არის ის «შაყირისტიო». მიიღო დასტური და ამოიღო, მაგრამ რა ხმა ამოიღო, დაახლოებით 10-15 წუთი არ გაჩერებულა: ხან ოინბაზი მიწოდა, ხან კინტო, ხან ჟულიკი. ჟულიკი რა შუაში იყო ვერ მივხვდი და საერთოდ ვერაფერს მივხვდი, _ მოკრძალებით ამოვილუღლუღე: რა მოხდა-მეთქი? რა დავაშავე-მეთქი? ო, ეს მეტისმეტი იყო! თვალწინ ამიფრიალეს იმ «ხვითოს» (ჩემი კოლეგის) პატაკი იმის შესახებ, რომ ოჯახური სიდუხჭირის გამო მოითხოვდა ჩხრეკიდან ამოღებული განძის 1%-ის ანაზღაურებას. აბა რა მეთქმოდა? გაჩუმება ვარჩიე, ვუყურებდი დასაკლავი ძროხის ცრემლიანი თვალებით უფროსებს და «მამაო ჩვენოსავით» ვიმეორებდი: «Простите, больше не буду»-მეთქი. არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდა ეს ჩემი «წამება», მაგრამ, როგორ იყო, გამომიშვეს... იმ ერთ დღეში კომიტეტში ძალიან ცნობილი პიროვნება გავხდი, კაბინეტებში ჩაკეტილი ოპერატიული «სასტავი» ერთმანეთს ჩუმად გადასცემდა ამ «შაყირს» ისე, რომ არავის გაეგო.

მაგრამ, როგორც შემდეგში დავადგინე, თავიდან მოვლენები სულ სხვანაირად განვითარებულა და თავდაპირველად ხელმძღვანელობა სრულებითაც არ ყოფილა ჩემს მიმართ აგრესიულად განწყობილი. თურმე ჩვენი საუბრის შემდეგ ჩაკეტილა ის «ხვითო» თავის კაბინეტში, დაუწერია პატაკი, მოუთხოვია 1%-ანი «დახმარება» და შეუტანია ქვეგანყოფილების უფროსთან. საკმაო იუმორით დაჯილდოვებულ უფ-

როსს არაფერი უთქვამს, გაუცინია, ჩაუდევს პატაკი საქაღალდეში და სხვა დოკუმენტებთან ერთად მოუხსენებია განყოფილების უფროსისთვის, რომელსაც, როგორც მითხრეს, საკმაოდ მხიარულ განწყობილებაზე მოუყვანია ისინი. შემდეგ უფრო მეტი: განყოფილების უფროსს პატაკი «შახისთვის» წარუდგენია. და იქაც მოწონება დაუმსახურებია. აი, აქ რომ გაჩერებულიყვნენ, ჩემთვის კარგი იქნებოდა, მაგრამ «შახს» «ბაბუსთვის» (თავმჯდომარისთვის) მოუხსენებია (გაუცნია შედეგრი) და ელოდა კარგ ხასიათზე დავაყენებ უფროსსო. მაგრამ ოი, საშინელებავ (ყოველ შემთხვევაში _ ჩემთვის!). «ბაბუ» ალბათ ცუდ ხასიათზე იყო და შეუღრენია: «Что за х... вы, чем там занимаитесь, делать вам нечего», _ და გინებით უკან გადმოუსროლია დოკუმენტი. აი, ამ წუთიდან დაიწყო ჩემი ეგზეკუცია: _ დაბრუნებულ «შახს» დაუბარებია «შახირა» (განყოფილების უფროსი) და ქვეგანყოფილების უფროსი და ჩაუხდია მათთვის შარვალი.

ამის შემდეგ დაუბარებიათ ის ბედოვლათი. ისიც წასულა «აღიარებაზე»: მე რა შუაში ვარ, ფ-ემ მიკარნახაო და ამიხსნაო, ისიც მითხრაო, შენ ნუ დაწერ, ასეთი «პრემია» ჩხრეკის შემდეგ ხელმოკლე ოპერატიულ მუშაკებს ეკუთვნისო, მამაშენი კი მდიდარი კაციაო და შენ არ მოგცემენ ამ «პრემიასო». აბა მითხარით, მამაჩემი რა მდიდარი კაციაო, _ გულუბრყვილოდ უკითხავს კიდეც. აი, თურმე სად იყო ძაღლის თავი დამარხული? რას იზამ? _ ასეთი დრო იყო მაშინ.

ჯაყო და ჩიპო

ამ «პერსონაჟების» ერთმანეთთან დაცილება ნამდვილად მიუტევებელი ცოდვა იქნება მთხრობელისათვის, რამეთუ ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ, _ ხასიათებით პერპენდიკულარულად განსხვავებულები. «ჯაყო» _ ცოცხალი, მოძრავი, სიტყვახშირი, «ჩიპო» _ წყნარი, მშვიდი, სიტყვაძუნწი. სულ ერთად დადიოდნენ, რომ იტყვიან, ერთიან «სამსახურეობრივ პროდუქტს» ქმნიდნენ. ძირითადი მოვალეობა მათი კი განსხვავებული იყო. ჰყავდათ უამრავი მეგობარი თუ ნაცნობი შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს შორის, პროკურატურაში და, რაც მთავარია, ვაჭრობის მუშაკებს შორის. არ არსებობდა რაიმე დეფიციტური საკვები ან საქონელი, მათ რომ არ ეშოვათ. ხშირად ესტუმრებოდნენ სავაჭრო საწყობებს, გამოჰქონდათ იქიდან ყოველივე საჭირო და გულუხვად ურიგებდნენ, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობას. ამიტომაც მათი სამუშაო «ასპარეზი» სასტიკად გასაიდუმლოებული გახლდათ. სხვას ახლოს არ იკარებდნენ, მხოლოდ ეს დუეტი იყო ამ «საპასუხისმგებლო დავალებებში» ჩართული. ამიტომაც გარკვეულ წილად ხელმძღვანელობისგან მეტად დაფასებულ კადრებად ითვლებოდნენ.

ერთხელ ბედმა მიწია და «ჯაყოს» შუამდგომლობით მეც გახლდით «ექსკურსიაზე» საქარხნო რაიონში განლაგებულ ერთ-ერთ «გასაიდუმლოებულ» დეფიციტური საქონლის საწყობში. ამ სცენის აღწერა მეტად საინტერესოა და იგი შეიძლება თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ნიმუშად ჩაითვალოს. მივედით, შევედით დირექტორის კაბინეტში. ასეთი აქტიური და მოძრავი «ჯაყო» ცხოვრებაში არ მინახავს. ჯერ ძმაკაცურად მიესალმა დირექტორს, მერე ჩაეხუტა, გადაკოცნა და შემდეგ შეუდგა საქმეს: «გავიგე კოსტიუმები მიგიღია, კაბები, პალტოები, ფეხსაცმელები», _ სიტყვის ამოღებაც არ აცალა საწყალს, ჩასჭიდა ხელი, გაუყარა ხელმკლავი, ჩაიყვანა საწყობში და თვითონ დაუძახა ნოქრებს (სახელები ზეპირად იცოდა). ხსნიდა მუყაოს ყუთებს, ალაგებდა იქიდან საქონელს, ზომავდა, წონიდა,

ცალკე აწყობდა, შემდეგ შეაფუთია რამდენიმე ფუთა, გადაუხადა ფული (რა თქმა უნდა _ ფაქტიური ფასებით და არაკომერციული დანამატებით). რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი დირექტორს, ნოქრებს და მანქანაში ჩასხდომისას ერთხელ კიდევ ჩაეხუტა, ჩაკოცნა დირექტორი...

მთელი ამ «ცირკის» დროს, ჩუმად და წყნარად იდგა ჩვენი «ჩიპო». ხმას არ იღებდა. ხანდახან, მომეჩვენა თითქოსდა, სახეზე წითლდებოდა (მაგრამ ალბათ მომეჩვენა). ჩემს რეაქციაზე ზედმეტია ლაპარაკი. ასეთი კარგად გამოხატული თეატრალური ინსცენირება კარგახანია არ მენახა, რომ იტყვიან, დამტკბარი ვიყავი «ჯაყოს» მსახიობობით, მისი ნიჭით, დირექტორის პირდაღებული სახით, კუთხეში მიმდგარი «ჩიპოს» დამორცხვებული გამოხედვით.

მანქანაში რომ ჩავსხედით, აქ კი შეცვალა «ჯაყომ» თავისი ტონი: «აბა რა ეგონა მაგ ბანდიტს, მაგ ქურდს?!» თან ზეპირად ჩამოთვალა თუ რა წამოიღო (წამოგვიღო). ასახელებდა საქონლის ფაქტობრივ ფასს, უმატებდა კომერციულს, რომელსაც საწყობი დაარიცხავდა მაღაზიას (თუკი საერთოდ მისცემდა). ამას უმატებდა მაღაზიაში მიღებული ფასის დანამატს ე.ი. გამოჰყავდა საქონლის საბოლოო ფასი, რომელსაც იხდიდა მყიდველი (თუ ამას მოახერხებდა, რამეთუ იქაც ცალკე «ბლატი» იყო საჭირო) და დაასკვნიდა: აი, პალტოში 25 მანეთი მოგიგეთ, ფეხსაცმეში _ 20 მანეთი და ა.შ. და ა.შ. ამრავლებდა «შემენილი» საქონლის რაოდენობაზე და საბოლოოდ გამოჰყავდა «მოგების სმეტა», რამდენიმე ათეული თუ ასეული მანეთი. ეს კი მაშინ დიდი ფული იყო (ვინაიდან საშუალო ხელფასი უშიშროებაში 250-350 მანეთი გახლდათ).

რაც მთავარია, «ჯაყოს» ფსიქოლოგიური პორტრეტის სისრულისათვის საჭიროა აუცილებლად აღინიშნოს: ამ დროს ის იყო აღგზნებული, გახარებული ოპერაციის ასეთი ხელოვნებით ჩატარების გამო და, რაც მთავარია, თავი გმირად წარმოედგინა. აღარ ამთავრებდა: «აბა რა ეგონათY მაგ ქურდებს, ბანდიტებს?! ჩვენ სადა გვაქვს იმის ფული, რომ ამდენი გადავიხადოთ?!». საინტერესოა და საკითხავია: ვინ ვიყავით მაშინ თვითონ ჩვენ: «ჯაყო», «ჩიპო» და მე? ნუთუ უშიშარი რობინ ჰუდები, არსენა მარაბდელები თუ ისეთივე «ბანდიტები და ქურდები». მე მგონია, უფრო ბოლო ვარიანტია სინამდვილესთან ახლოს, მაგრამ რას იზამ, «ჯუნგლების ქვეყანაში ჯუნგლების კანონით თუ არ იცხოვრებ, დაიღუპები!» ეს ფრაზა «ჯაყოს» გავაცანი და შემდეგ მისი საყვარელი გამოთქმა გახდა. ხელმძღვანელობას ყურადღების გარეშე არ დარჩენია «ჯაყოს» და «ჩიპოს» განსაკუთრებული დამსახურებები სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების საქმეში და ისინი მალე დააწინაურეს პერიფერიული ქვეგანყოფილებების უფროსებად. როგორც ამბობენ, იმ პატარა შეზღუდულ ასპარეზზე ცოტახანს გასჭირვებიათ ძმაკაცებს. შემდეგში ალღო აუღიათ შექმნილი სიტუაციისათვის, დაძმაკაცებიან რაიკომის მდივანსა თუ აღმასკომის თავმჯდომარეს და პატარა «ბანდუსტანის» პატარა ბატონებიც გამხდარან. ამიტომაც იმ რაიონებიდან ყოველ დღესასწაულზე მოედინებოდა თბილისში დეფიციტური ძღვენი. იმასაც ამბობენ, რომ ერთხელ ლამის სავალალოდ არ დასრულებულა მათთვის მუშაობის ეს სტილი, ბეწვზე გადარჩენილან დაპატიმრებას (მაშინ, როცა მათი რაიკომის მდივნები უკვე დააპატიმრესო). მაგრამ არ იფიქროთ, მკითხველო, რომ მათ ან მათ რაიონულ ხელმძღვანელობას თბილისის მესვეურები კორუფციის გამო სდევნიდნენ. არამც და არამც! ეს უბრალოდ ახალი ცეკას მდივნის «იშკილები» იყო: ყოფილი კონკურენტების და მათთან დაახლოებული პირების მოსაშორებლად, თორემ ისე ჩვენი გმირები არაფერ შუაში არ იყვნენ. უბრალოდ, სპილოების ჩხუბის დროს გოლიათებს ფეხებში არ უნდა გაეჩხირო, თორემ უნებლიედ გაიჭყლიტები.

შუშუ

ძველი ჩეკისტური თაობის «ღირსეული» წარმომადგენელი გახლდათ უშიშროების კომიტეტის პოლიტიკური (მეხუთე) სამსახურის ერთ-ერთ ქვეგანყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი, ბატონი «შუშუ», რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით მიაღწია ასეთ სამსახურეობრივ «აღზევებას».

არ მინდა ისეთი წარმოდგენა შეიქნეს, თითქოს დავცინოდე ან ვამასხარავებდე. დამიჯერეთ, სრულებითაც არა. უბრალოდ ეს ადამიანები თავიანთი ორიგინალობით, გამორჩეულობით იმდენად საინტერესონი იყვნენ, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიგექცია. გარკვეულ წილად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გოგოლის, ჩეხოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, დ. კლდიაშვილის, ნ. დუმბაძის პერსონაჟები გაცოცხლებულან, _ აქვე, შენს გვერდით დადიან და საქმიანობენო. მთელი გალერეა შეიკრიბა ფსიქოლოგიურად გამორჩეული ორიგინალებისა. ამიტომაც უშიშროებაში 60-ან წლებში მისულმა ახალგაზრდა შევსებამ საკმაოდ ჩქარა მოუნახა მათ ზედმეტი სახელები, რომელიც ასე თუ ისე გარკვეულ წილად ახასიათებდნენ მათ, როგორც პიროვნებებს და ინდივიდებს.

კულუარულ თუ პირად საუბრებში მათ მხოლოდ ასეთი ზედმეტი სახელებით მოვიხსენიებდით და უმეტეს შემთხვევაში, ისინი სრულიადაც არ იყვნენ ღირსების დამამცირებელნი. თუმცა გამონაკლისებიც არსებობდა. ამ მდიდარ გალერეაში გვყავდა: «ბაბუ», «ლოტჩიკი», «შახი», «ჯიგარო», «ჯაყო», «შავი პანტერა», «შახირი», «შუშუ» და ასე წარმოიდგინეთ _ «ტრიპერაც».

ერთ-ერთი «დამსახურებული» ადგილი ეკავა ამხანაგ «შუშუს», ყოველთვის საქმიანს, შრომისმოყვარეს. ყოველ პარტიულ კრებაზე თუ ოპერატიულ თათბირებზე მუდამ ჩანაწერებს აკეთებდა სამუშაო ბლოკნოტში, რომელიც დანომრილი იყო და საიდუმლოების კატეგორია ჰქონდა მინიჭებული. განსაკუთრებულ გულმოდგინებას კონსპექტის შედგენისას იჩენდა, თუ მოხსენებით ხელმძღვანელი მუშაკები გამოდიოდნენ (თავმჯდომარე, მისი მოაგილეები, განყოფილების უფროსები, ცენტრიდან მოვლინებული კოლეგები და სხვა). არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში, იქ მუშაობის პერიოდში ასეთი რამ მე არ მახსოვს) რაიმე კრება ან თათბირი, რომელზედაც იგი სიტყვით არ გამოსულიყო, თავისი «შეხედულებები» არ გამოეთქვა, რომლებიც 100%-ით ემთხვეოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის კურსს. ამიტომაც დაუფასეს «შუშუს» გულმოდგინება და რამდენიმე წელში ყოველგვარი როტაციის გარეშე იგი ყოვლისშემძლე მეხუთე სამსახურის პარტიული ბიუროს მდივანი გახდა, შემდეგ ქვეგანყოფილებაც ჩააბარეს. ამაზე მეტი რა უნდოდა?! ალბათ ეს წლები ყველაზე ბედნიერი წლები იყო მის ცხოვრებაში. უცნაურობა სიტუაციისა იმაში მდგომარეობდა, რომ თითქმის ყველა რიგითმა თანამშრომელმა თუ ხელმძღვანელმა მუშაკმა იცოდა კარგად «შუშუს» განსაკუთრებული, ყოველთვის ღიმილის მომგვრელი ქცევები, სიარულის განსაკუთრებული მანერა, ხმამაღალი სიცილი. ყველამ უწყოდა, რომ მას თავისთვის შექმნილი ჰქონდა პირადი სამყარო, სადაც ცხოვრობდა, რითაც სუნთქავდა, და ამავე დროს, რატომღაც, ეს ყველას აწყობდა, განსაკუთრებით _ ხელმძღვანელობას. მისი სახით ჰყავდათ სამსახურზე ფანატიკურად შეყვარებული მუშაკი, რომელიც არავითარ დავალებებს არ გაურბოდა და ყოველთვის მზად იყო, დაუყოვნებლივ შეესრულებინა ხელმძღვანელობის ნებისმიერი ბრძანება, განსაკუთრებით _ კი ისეთი

«გადამღლელი და მომქანცველი» დოკუმენტების შედგენა, როგორიც იყო ყოველკვარტალური, ყოველწლიური ანგარიშები, ცენტრთან მიმოწერა, სხვადასხვა უწყებებთან მიმოწერა და ათასი სხვა. «შუშუ» აქ შეუცვლელი მუშაკი იყო. ჩაიკეტებოდა კაბინეტში და გამორთავდა ტელეფონს. ამ დროს უმჯობესი იყო ახლოს არ მიჰკარებოდი. მაინც არ გაგცემდა ხმას. იჯდა ჩაფიქრებული და ადგენდა «დოკუმენტს». იგი მსგავსი «დოკუმენტების» მთელ არქივს ფლობდა: ნიმუშებს, ჩასწორებულებს ხელმძღვანელების მიერ, მათი საყვარელი ხატოვანი თუ ჩვეული ფრაზებით, წინადადებებით. გადმოიღებდა სეიფიდან, დაიწყობდა წინ და ამ ქაღალდების მორევში თვითონ თითქმის არ ჩანდა. არც ისეთი ხვითო იყო, რომ დროზე ადრე «გამოეცხო» დოკუმენტი. ეს ხომ ეჭვს დაბადებდა?! ამიტომ ზუსტად, დროულად «შექმნიდა» უფროსებისათვის ესოდენ საჭირო მასალას.

ყველაზე დიდი «ცირკი» მაშინ იმართებოდა, როცა უფროსი დაურეკავდა, _ სასწრაფოდ შემოდით ჩემთანო. გუმანით ხვდებოდა, რომ ახალი დავალების მისაღებად ეძახდნენ. სასწრაფოდ მიატოვებდა ყველაფერს და მისთვის ჩვეული მანერით გარბოდა უფროსთან. რამდენიმე ხანში იქიდან ისეთი კმაყოფილი სახით გამოდიოდა, რომ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ერთ ხელში საჭირო ქაღალდების დასტა ეკავა, მეორე ხელში _ საიდუმლო ბლოკნოტი და ახლა უკვე აუჩქარებლად, ჩაფიქრებული, დინჯად მიაბიჯებდა კაბინეტისკენ. ვაი, შენი ბრალი, თუ ამ დროს რაიმეს შეეკითხებოდი. უცნაური თვალებით შემოგხედავდა, თითქოს ეცოდებოდი კიდეც, რა მოცლილი ხარ, რა წვრილმანი კითხვები გაწუხებსო. შემდეგ კი, თუ მისი თანატოლი ან თანამდებობით უმცროსი იყავი, შემოგძახებდა: «ვერ ხედავ, კაცო, დაკავებული ვარ, ასეთი პასუხსაგები დოკუმენტის შედგენა დამავალეს და ისიც ისეთ მცირე დროში, რომ არ ვიცი, როგორ გავართვა ამას თავი და შენთვის სადა მცალიაო».

ბუნებით? ბუნებით, რა თქმა უნდა, კეთილი და გულისხმიერი ადამიანი გახლდათ ბატონი «შუშუ», მაგრამ არავინ ცდილობდა მისთვის გული გადაეხსნა, რადგან მისი პარტკომობა და ხელმძღვანელობასთან სიახლოვე გარკვეულ ეჭვებს ბადებდა.

გავიდა რამდენიმე წელი, ჩაიარა ქარცეცხლიანმა 90-ანი წლების დასაწყისმა. ერთხელ, ალბათ 1992-1993 წლებში თბილისში გახლდით და ერთ-ერთ სამინისტროში ვესტუმრე ამხანაგს _ მაშინ მინისტრის მოადგილეს. ჩვენთვის ვისხედით და წყნარად ვსაუბრობდით. ამ დროს უცებ კარი გაიღო, შემოვარდა ერთი აჩქარებული და აღელვებული კაცი და ისე, რომ გამარჯობის თქმა არ აცალა, კაბინეტის მფლობელს, მოახსენა: «აი, მოგართვით, ბატონო, ის დოკუმენტები, რომლებიც გსურდათო». შემდეგ, ასევე ჩქარა, თითქმის ისე, რომ რაიმე რეაქციის მოხდენა ვერ მოვასწარი, გავიდა კაბინეტიდან.

სახტად დავრჩი, ეს ჩვენი საყვარელი «შუშუ» იყო. საკმაოდ მოხუცებულა, თითოს დაბერებულა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მტრედს ფრთები შეაჭრეს და ბატივით დადისო. ვერ შევამჩნიე თვალებში ადრეული ელვარება, სიცოცხლით კმაყოფილება, მომეჩვენა, რომ ეს სულ სხვა კაცი იყო, სხვა ფსიქიკის, სხვა სამყაროდან. უცებ ყრუდ მომესმა ამხანაგის ხმა: ვერ იცანი, ეს ხომ შენი ყოფილი კოლეგაა, ახლა თადარიგშია და ჩვენთან კადრების განყოფილების უფროსად მუშაობსო. ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნეს ჩემი ვარაუდის სიმართლეში. გამოვეთხოვე ამხანაგს, გამოვედი და ცოტახანს კორიდორში ბოლთას ვცემდი, ვფიქრობდი, შევსულიყავი თუ არა ყოფილ კოლეგასთან, მომეკითხა, გვესაუბრა და ა.შ. მაგრამ არ ვიცი რატომ, მივიღე საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ჩუმად გამოვედი რუსთაველის პროსპექტზე და გავუყევი გზას. ვერა და ვერ შევარჩიე

«შუშუსთან» საუბრის თემა. რა თქმა უნდა, არ ვიყავი მართალი, მაგრამ რას იზამ?! როგორც შემდეგში გავიგე, რამდენიმე თვეში გარდაცვლილა, შედარებით ახალგაზრდა _ ასე, 60-62 წლისა. მაშინ ვიფიქრე: ალბათ სიცოცხლე არც კი აინტერესებდა, რამეთუ გამოეცალა ის საყრდენი ცხოვრებისა, რომელიც ასულდგმულებდა ჩვენს «შუშუს».

ბიჭიკო დადიანი

ბავშვობიდან მახსოვდა ეს კეთილშობილი ინტელიგენტი, ზრდილი, დახვეწილი არისტოკრატული მანერების მქონე პიროვნება. არც თუ ისე იშვიათად მოდიოდა 40-ან წლებში ჩვენთან ოჯახში სტუმრად ბებიასთან (მართა ჩიქოვანთან), რომლის ნათესავიც გახლდათ. მისი სტუმრობა ყოველთვის დღესასწაული იყო ჩემთვის, ვინაიდან იმ გაჭირვებულ დროს ისე არ გვესტუმრებოდა, პატარა «საჩუქარი» არ მოეტანა ჩემთვის, ხოლო მისი საუბარი ბებიასთან მეგრულ ენაზე, ჩემი ბავშვური გაგებით, თავისი სიდარბაისლით, მდიდარი დიპლომატიური შესავლებით, ნამდვილ თეატრალურ სანახაობას წარმოადგენდა, რადგან ძირეულად განსხვავდებოდა ურთიერთობისა და დიალოგის წარმართვის იმ მიმდინარეობისაგან, რომელსაც მიჩვეული ვიყავი თბილისის იტალიურ ეზოში გაზრდილი ბავშვი, სადაც 40-45 ოჯახის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა. მართალია, ეზოში ქართული ენა სატიტულო ენად ითვლებოდა და მაცხოვრებლებში ქართველები ვჭარბობდით, მაგრამ მაშინ მე მაინც საკმაოდ კარგად ვფლობდი სომხური, აზერბაიჯანული, ოსური და ქურთული ენების საწყისებს.

აი ასე, სიზმარში მოგონებების სახით დამრჩა ამ ღირსეული ადამიანის სახე. შემდეგ გარდაიცვალა ბებია, დაიწყო ყმაწვილკაცობა, სტუდენტობა, სამსახური და თითქმის ოცი წელი არ შევხვედრივარ ბიჭიკო დადიანს. როცა წამოვიზარდე, დედასთან საუბრების შედეგად თანდათან აღვადგინე ნათესავების წრე, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან და, როგორც შემეძლო, განვაახლე მათთან კონტაქტები. ასე შევხვდი ხელმეორედ ამ პიროვნებას დაახლოებით 60-ანი წლების ბოლოს. სამწუხაროდ, იგი ჩვენი «აღდგენილი» ნათესაობის შემდეგ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში გარდაიცვალა.

დაახლოებით ერთ-ორ წელიწადს არ ვუმხელდი, თუ სად ვმუშაობდი. შემდეგ «გულახდილად» ვუამბე ერთ-ერთი პურ-მარილის დროს ჩემი მუშაობის შესახებ უშიშროების სამსახურში. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. შემდეგ ღიმილით მითხრა: «ბებიაშენი ალბათ საფლავში გადაბრუნდა, როცა გაიგო შენი სამსახურის ამბავიო». და რამდენიმე წუთში სიცილით დააყოლა: «თუმცა ამაში არაფერია გასაკვირი, «კვიცი გვარზე ხტისო». ალბათ მხედველობაში ჰყავდა ბიძაჩემი (დედის ძმა, ვალოდია ჯაბუა, რომელიც XX საუკუნის 20-ან წლებში აჭარაში მუშაობდა უშიშროების სამსახურის უფროსად). არ ვიცი, ამ შემთხვევამ თუ სხვა რამემ განაპირობა და იმ დღესვე გაიხსენა თავისი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი, რომელიც ძლიერ საინტერესოდ მომეჩვენა დასახასიათებლად იმ ეპოქისა და ამიტომ ვკადნიერდები და მოგითხრობთ.

«დაახლოებით 18-19 წლისა ვიყავი, როცა საქართველომ «დამოუკიდებლობა» მოიპოვა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ბევრი უსიამოვნების მიყენება მოასწრო, ჩამოგვართვეს მამულები, უძრავ-მოძრავი ქონება. მაგრამ ის, რაც გასაბჭოების შემდეგ დაიწყო _ ბოლშევიკების მიერ დევნა ჩვენი საგვარეულოსი და პირადად ჩემი, ჯოჯოხეთს მაგონებს. მაშინ, როცა ჩემი ქარაფშუტობის გამო ჩვენი

ოჯახი ანაკლიიდან ჯერ თურქეთში, ხოლო შემდეგ პარიზში აღმოჩნდა ემიგრაციაში, მე ჩამოვრჩი ოჯახს, ვინაიდან ვერსად ვერ მომნახეს, ალბათ სადმე ვქეიფობდი ან ქალთან ვერთობოდი. საწყალ დედაჩემს წასვლაც არ უნდოდაო, სულ დაიკაწრა თურმე სახე ჩემს მოლოდინში. მაგრამ მოხდა ის, რაც ალბათ უნდა მომხდარიყო და მე საბჭოთა საქართველოში დავრჩი, ახალგაზრდა კაცი ყოველგვარი პროფესიისა და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე. რამდენიმე ხანს ბებიაშენმა შემიკედლა, დამაპურა და დამაძინა, მერე ბევრი ვიფიქრე, რა გზას დავდგომოდი, რა სპეციალობა ამერჩია, რომ კომუნისტებს, რაც შეიძლება, ნაკლები მიზეზი ჰქონოდათ ჩემი დაპატიმრებისა ან რეპრესიული ღონისძიებების ჩატარებისთვის. ამიტომაც ოჯახს არ მოვეკიდე, მეშინოდა ბავშვების ცოდვაში არ ჩავმდგარიყავი. როგორც თავადს, უმაღლეს სასწავლებელში სწავლებაზე უარი მითხრეს, ამიტომაც დავამთავრე საბუღალტრო ტექნიკუმი და მოანგარიშედ, ბუღალტრად ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებებში. შემდეგ, დაახლოებით 30-ან წლებში, თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. შეგნებულად არ ვეწეოდი არავითარ პოლიტიკურ მოღვაწეობას. პოლიტიკური ანეგდოტების მოყოლის დროსაც კი ვეცლებოდი იქაურობას. ე.ი. ყველანაირად ვცდილობდი, რომ ჩეკასთვის არ მიმეცა მიზეზი. მაგრამ მათ ალბათ ჩემი თავადური წარმოშობაც ჰყოფნიდათ, და ისიც, რომ მთელი ჩვენი ოჯახი პარიზში იყო გადახვეწილი. ეს კი მაშინ საბჭოთა მოქალაქისათვის დიდ ცოდვად ითვლებოდა. ამიტომაც ნამდვილად არ მახსოვს, რამდენჯერ დამაპატიმრეს, რამდენი თვით მაყურყუტეს ციხეებში, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ყოველთვის მანთავისუფლებდნენ. ჩემმა დაპატიმრებებმა იმდენად მასიური სახე მიიღო, რომ როცა რუსთაველის პროსპექტზე ან თბილისის სხვა ქუჩაზე ვსეირნობდი, თუკი მანქანის მუხრუჭის ხმას გავიგონებდი, ვჩერდებოდი და თვალებით ვეძებდი «მეგობარ» ჩეკისტებს, რომლებიც ისე შემეჩვივნენ, რომ თვალებით მანიშნებდნენ, მანქანაში ჩავმჯდარიყავი და მეც უსიტყოდ ვუსრულებდი მათ «თხოვნას». ეს ისე «ლამაზად», უხმაუროდ ხდებოდა, რომ გარშემო ხალხი ვერ ხვდებოდა, რომ კაცი დააპატიმრეს: უფრო სწორად, ეგონათ «მეგობრებმა» მანქანაში მიიწვიეს და საქეიფოდ მიჰყავთო. ერთხელაც, დაახლოებით 30-ანი წლების შუალედში, ასეთი გათამაშებული სცენარით აღმოვჩნდი საქართველოს ვჩკ-ას საგამომძიებლო სამსახურში და პირდაპირ _ ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ გამომძიებელთან _ ამხანაგ ბოჯგუასთან (გამომძიებლის გვარი მოგონილი არ არის, დადიანის დასახელებულია). აი, ვდგავარ, რომ იტყვიან, სმენაზე, ჩესუჩის თეთრი შარვლით, პარუსინის თეთრი ფეხსაცმელებით, თეთრი პერანგით და ველოდები, თუ რა ახალ «პროვოკაციას» მომიგონებს ბოჯგუა, რომ ჰქონდეს მიზეზი ფიზიკური შეურაცხყოფის მოყენებისა. გამოცდილებით უკვე ვიცოდი, რომ რაც არ უნდა მეპასუხა, ბოჯგუა მუდამ «ჩასაფრებული» იყო ცემის მიზეზის მოსაგონებლად და ამიტომაც გიტარის სიმებივით დაჭიმული ვუსმენდი, რაიმე ზედმეტი არ წამომცდენოდა. მაგრამ ბოჯგუა რა ბოჯგუა იქნებოდა, რომ მიზეზი ვერ მოენახა?! რამდენიმე წუთს მიყურა გაშტერებული თვალებით და მერე მკითხა: სად მიდიოდიო? სახლში ვბრუნდებოდი, ბატონო-მეთქი. ვინ არის შენი ბატონიო, ეს როგორ მაკადრეო, გაცეცხლდა. ჩუმად შევაპარე: მაპატიეთ, ამხანაგო-მეთქი. აქ კი სულ გადაირია, ვინ არის შენი ამხანაგი, შე გადაგვარებულო, ქვეყნის დამაქცეველოო, _ ერთი-ორჯერ წამოიწია დასარტყმელად, მაგრამ ისე საცოდავად მოვიკუნტე, რომ საცემრად ვერ გამიმეტა. შემდეგ _ კუთხეში დადექიო _ და თვითონ რაღაცის წერა დაიწყო. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ მთელი საუკუნე მომეჩვენა. ბოლოს თავი ასწია ამხანაგმა ბოჯგუამ, სერიოზული სახე მიიღო, შემომხედა და შემეკითხა: შე კაპიტალიზმის გადმონაშთო (რა შუაში იყო აქ

კაპიტალიზმი, ვერაფრით ვერ გავიგე, მაგრამ რას ვიზამდი), შენაო, კითხვა თუ გიყვარსო? რას გულისხმობთ, ბატონო-ამხანაგო-მეთქი? რასა და, ქართულ ან რუსულ მწერლებს თუ კითხულობო (იმ დღეებში გაზეთებში იბეჭდებოდა მასალები საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის შექმნის შესახებ). არ ვიცი, მე მგონი, ამან განაპირობა ალბათ ეს შეკითხვები-მეთქი, ასე ვიფიქრე მე საწყალმა. როგორ არა ვკითხულობ-მეთქი. რომელ მწერლებსო. აი, მაგალითად, შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანს», აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს... და შევჩერდი. რუსული, რუსული მწერლებიდან ვის კითხულობო? და ოი, უბედურო ჩემო თავო, წამომცდა თუUრა იყო, არ ვიცი, მოვახსენე: ლევ ტოლსტოის-მეთქი... სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ შევამჩნიე, ბოჯგუა ჯერ გაწითლდა, შემდეგ გაყვითლდა, რაღაც ლაქები დაედო სახეზე, იბღავლა: აი, შე ნაძირალა, თავადო, შე გარეწარო (სიტყვები უფრო არადელიკატური იყო), თავადი ხარ და თავადებს კითხულობ ხომ, ამდენ მწერლებში ეგნატე ნინოშვილმა რა დაგიშავაო, წამოხტა და დამიწყო ცემა სახეზე, ტანზე, ალბათ 10-15 წუთი იმუშავა, «იბოქსავა» ჩემს ტანზე, სანამ ცხვირიდან სისხლი არ წამომივიდა და ჩემი თეთრი სამოსი მთლად თუ არა ნახევრად მაინც სისხლში არ ამოისვარა. შემდეგ წამომაყენა, კუთხეში დამაყენა და ასე მითხრა: თუ არ გინდა დაგიმატო, იდექი მანდ, სანამ არ გეტყვი, გამოდი კუთხიდანო. მივიდა ონკანთან, ხელი დაიბანა და ისევ წერა განაგრძოო. არ გასულა რამდენიმე წუთი, კაბინეტში ბოჯგუასთან დაუკაკუნებლად შემოვიდა ალბათ მისი კოლეგა _ რაღაც ინფორმაციით შეწუხებული და დაუწყო ახსნა რაღაც პრობლემისა, რომელმაც ძალიან შეაწუხა ეს პიროვნება. ამ დროს თითქოს იგრძნო, ან შეიძლება ბოჯგუამ ანიშნა, რომ კაბინეტში მარტო არ იყვნენ და უცებ შემობრუნდა ჩემსკენ, მომიახლოვდა და ბოჯგუას ჰკითხა: «ვინაა ეს შტერი, შპალერივით რომ აგიკრავს კუთხეშიო». არ ვიცი რა დამემართა, თვალთ დამიბნელდა, უცებ წარმოვიდგინე ჩემზე ფიქრით გათეთრებული საწყალი დედა, პარიზის ქუჩებში მოსეირნე მამაჩემი, ჩემთვის უცნობი _ გაფრანგებული ძმისშვილები და დისშვილები და არ ვიცი რატომ, ამიტყდა ისტერიული ხარხარი, თან თვალებზე ცრემლები მომადგა. თან ვტიროდი და თან ვხარხარებდი. ის კი მახსოვს, რომ ვერაფრით ვერ გამაჩერეს, ვერც ბოჯგუამ და ვერც მისმა ამხანაგმა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი ეს ისტერიული ტირილი და ხარხარი, ეს კი ბუნდოვნად მახსოვს, ერთი თუ ორი გრაფინი წყალი გადამასხეს, შემდეგ ექიმიც გამოიძახეს, რომელმაც რაღაც, მგონი, ნიშადური მასუნთქა. მერე არ ვიცი საიდან იშოვეს, რაღაც პერანგი და შარვალი მომიტანეს, ერთი თუ ორი ზომით პატარა. როგორც იქნა ჩამაცვეს და მანქანით მიმიყვანეს სახლში. ეს კი მომაძახა ბოჯგუამ: ეცადე, თვალში კიდევ არ მომხვდეო.

აი, ასეთი ტრაგიკომედიური ფარსი დატრიალდა 1935 წლის ზაფხულის მზიან დღეს ვჩკ-ას შენობაშიო», _ დაასრულა თავისი ამბავი ბიჭიკო დადიანმა.

ეს გახსენება მიეძღვნა ჩემი ბავშვობის ნათელ მოგონებას _ ჩვენი ოჯახის ახლობელს, ბიჭიკო დადიანის, მე ვიტყოდი _ ტრაგიკული ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელმაც ასე თუ ისე მიგვაბრუნა კომუნისტური დიქტატურის შავბნელ ხანასთან, რეპრესიებთან, უსამართლობასთან. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ეს ფაქტი, მან მაინც ვერ გატეხა ბიჭიკოს სული და შეგნება და ამ «ეპიზოდს» (მისთვის ცხოვრების ტრაგიზმის მწვერვალს) იუმორით ყვებოდა თვითონ, «იცინოდა» და სხვასაც აცინებდა, თუმცა ამაში სასაცილო და სამხიარულო არა იყო რა. მაგრამ ასეთია ძლიერი ადამიანის ბუნება. დროთა განმავლობაში ტრაგიკული უბედურება იუმორით აღიქმება, ალბათ, იუმორმა გადაარჩინა ხალხი დიდი უბედურებისაგან და საერთოდ, თუ გაქვს უნარი ხანდახან იუმორით შეხედო შენ თავგადასავალს, უფრო

გაუძლებ ცხოვრების ორომტრიალს, ბრძოლას არსებობისათვის და ადგილის დამკვიდრებისათვის ამ ცხოვრებაში...

იუმორის ნიჭი, მართალი, ლაღი _ არავითარ შემთხვევაში მოსაუბრის ან ოპონენტის დამამცირებელი _ მართლაც ღმერთის მიერ ნაბოძები ნიჭია ისევე, როგორც ვოკალი, მხატვრობა, მეცნიერება და სხვა. ამიტომაც არის, რომ დიდ ბუმბერაზ მეცნიერებსა და მწერლებს, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ მათ ნაწილს, ახასიათებდათ უცნაურობანი, რომელიც იუმორით აღიქმებოდა და დარჩა ისტორიაში, აბა, ვის არ ახსოვს და არ წაუკითხავს დიდი აკაკის ნაკვესები, მისი კვიმატი ენის ნიმუშები, მაგრამ არავის არ მიუწერია დიდი ილიასთვის იუმორის ნიჭი, პირიქით, ეს დიდი პიროვნება ყოველთვის პირდაპირობით გამოირჩეოდა, რითაც ალბათ დიდ ზიანს აყენებდა უფრო მეტად თავის თავს. მაგრამ ერთი ნიმუში მისი გენიალური მახვილგონიერებისა მაინც შემოგვინახა ხალხმა. კერძოდ, ეს ანეკდოტი თუ სინამდვილე ჯერ კიდევ ბავშვობაში მიამბო ჩემი ბავშვობის «მეგობარმა», უკვე 70 წელს მიღწეულმა კახელმა მეზობელმა: ერთხელ საგურამოს მამულში სწვევიან დიდ ილიას გლეხები სტუმრად, ერთ გლეხს კითხვა დაუსვამს: «ბატონო ილია, გთხოვთ აგვიხსენით რა ხდება? ამ ბოლო დროს სოფლებში ხშირად ჩამოდიან ე.წ. «აგიტატორები» თბილისიდან, ზოგი თავის თავს მენშევიკს უწოდებს, ზოგი კი _ ბოლშევიკს და მოუწოდებენ ხალხს მთავრობის დამხობისაკენ, «სოციალური სამართლიანობისაკენ». აგვიხსენით, ბატონო, ვინ არიან ეს ხალხი და რა სურთ მათო?» ილიას წუთიერი დუმილის შემდეგ უთქვამს: «ვეცდები ისე აგიხსნათ, რომ გაიგოთო. აი, ურემი რომ გაივლის, შებმული ხარები მიწაზე ნეხვს ხომ დატოვებს, მერე ურმის ბორბალი რომ შემთხვევით გადაუვლის ამ ნეხვს და ორად გაყოფს, _ ის რაც დარჩება მისგან _ დიდი ნაწილი _ «ბოლშევიკები» არიან, ხოლო მცირე _ «მენშევიკებიო». ახლა წარმოიდგინეთ, თუ ეს ანეკდოტი ხალხმა ნახევარი საუკუნეზე მეტხანს შეინახა თავის ზეპირსიტყვიერებაში, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მალე მიაღწევდა ეს იუმორის საუნჯე ფილიპე მახარაძესთან და ნოე ჟორდანიასთან და შურისძიებამაც არ დააყოვნა!

ისევე, როგორც ხუმრობენ და ოხუნჯობენ საზოგადოების სხვადასხვა წევრები (60-70-ან წლებში გამოვიდა რამდენიმე წიგნი: «ფიზიკოსები იცინიან», «მუსიკოსები ოხუნჯობენ», «კურიოზული შემთხვევები გამოჩენილ მეცნიერთა ცხოვრებიდან» და მრავალი სხვა), ასევე მიმართავენ იუმორს ჩეკისტებიც. რამდენიმე «ნიმუში» მათი განსაკუთრებული ნიჭისა უკვე გიამბეთ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იუმორს არც ისე დიდად აფასებდნენ უშიშროების კომიტეტში, მაგრამ ზოგიერთი გამონაკლისი მაინც არსებობდა. იუმორის დიდი გამოვლინება იყო ე.წ. «ატესტაციების» დაწერა თანამშრომლებზე. განმარტებისათვის მოგახსენებთ, რომ ასეთი ატესტაციები იწერებოდა ოფიცრებზე სამსახურეობრივი დაწინაურებისას და მორიგ სამხედრო წოდებაზე ან მთავრობის რომელიმე ჯილდოზე წარსადგენად. ეს იყო ფორმალიზმისა და შაბლონის საუკეთესო მაგალითი. თითქმის 100% ამ ე.წ. ატესტაციებისა ერთმანეთს ჰგავდა, მხოლოდ გვარი და სახელი იცვლებოდა და ზოგიერთისთვის დამახასიათებელი პირადი ბიოგრაფიული მომენტები. სხვა ყველაფერი იკრძალებოდა. არ შეიძლებოდა რაიმე ახლის თქმა და, რაც მთავარია, ასეთი ატესტაციის მიღმა არასოდეს არ იდგა ინდივიდი, პიროვნება. ერთხელ ვცადე და ერთ ახალგაზრდა ოფიცერს დავუწერე: «კარგად ფლობს იუმორს და ცდილობს ფილოსოფიურად შეხედოს მოვლენას-მეთქი». შენს მტერს, რაც მე გადამხდა ამ ჩემი «სანიმუშო ატესტაციისათვის». სად არ

დამიბარეს, უფროსებთან, პარტკომში, წამიკითხეს ნოტაციები, გამაფრთხილეს, მიმითითეს და თითქმის გადამაჩვიეს იუმორს.

ეპიზოდები ტურისტული მოგზაურობისა საზღვარგარეთ

არ მინდა მკითხველს შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიისა და მისი ავანგარდის _ უშიშროების კომიტეტის «მზრუნველობის» და «ყურადღების» ცენტრში მხოლოდ საბჭოთა ტერიტორიაზე იმყოფებოდა. სრულებითაც არა, ასეთ «მამაშვილური» ყურადღებით საბჭოთა მოქალაქენი გარემოცულნი იყვნენ მაშინაც, როცა საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ. თუმცა ეს პრაქიტკა, არ შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 70-ან წლებში დაიწყო. იგი დიდი ხანია არსებობდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა მოქალაქეების გადაადგილება საზღვარგარეთ მაშინ ძლიერ შეზღუდული იყო, ასეთ შემთხვევებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

ყინული გალხვა დაახლოებით გასული საუკუნის 70-ან წლებში, როცა ჯერ პატარა სარკმელი გაუღეს საბჭოთა ხალხს საზღვარგარეთ ტურიზმისა თუ მეცნიერულ თუ სამსახურებრივ მივლინებებში გამგზავრებისა. შინაგან საქმეთა სამინისტროე|ბში შეიქმნა ე.წ. ОВИР-ები ანუ ვიზების გაცემისა და მათი რეგისტრაციის განყოფილებები, ჯერ მხოლოდ სამინისტროში, შემდეგ _ საქალაქო, შემდეგ _ რაიონული.

მიუხედავად ხალხის მატერიალური გაჭირვებისა, საბჭოთა კავშირში და, მით უმეტეს, საქართველოში, აღმოჩნდა საკმაო რაოდენობის მსურველი საზღვარგარეთ მოგზაურობისა. თუმცა მაშინდელი საშუალო ხელფასის თანაფარდობაში ასეთი «შეძლებული» ხალხი თეორიულად არ უნდა ყოფილიყო. ეს თეორიულად, პრაქტიკულად კი ასეთი ხალხი საკმაოდ აღმოჩნდა (ვაჭრობის მუშაკები, ძალოვანი სტრუქტურის მუშაკები, მათი ოჯახის წევრები, პარტიული ფუნქციონერები და მრავალი სხვა).

საზღვარგარეთ მოგზაურობა ან მუშაობა არა მარტო ხალხის სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყაროს წარმოადგენდა, არამედ გარკვეულ წილად მათი მატერიალური კეთილდღეობის ზრდას უწყობდა ხელს. არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ ყოველგვარი მოდური თუ დეფიციტური ჩასაცმელის შეძენა მხოლოდ სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლის წევრებთან შეიძლებოდა, რადგან ისინი ყველაზე ხშირად დადიოდნენ საზღვარგარეთ და ჩამოჰქონდათ ე.წ. «შმოტკები». სამწუხაროდ, მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თუ რა ეკონომიას ეწეოდა საზღვარგარეთ საბჭოთა მოქალაქე (მითუმეტეს _ არტისტები), ზომიერების ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ხშირი იყო ნებაყოფლობითი შიმშილი, რათა მეტი საქონელი შეეძინათ და ჩამოეტანათ ოჯახისათვის, ახლობლებისათვის და, ასე წარმოიდგინეთ, გასაყიდადაც... მიჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან ძეხვი, ყველი, ფაფეულობა და სხვადასხვა კვების პროდუქტები, რათა იქ გამოეკვებათ თავი.

თითქმის ყველა დელეგაციაში, რომელიც საზღვარგარეთ მემგზავრებოდა, ჩართული იყო უშიშროების მუშაკი, რომელსაც ევალებოდა დელეგაციის უსაფრთხოების დაცვა საზღვარგარეთ. ამავე დროს, დელეგაციას, როგორც წესი,

ხელმძღვანელობდა პარტიული თუ კომკავშირული ფუნქციონერი ან მინისტრთა საბჭოს ჩინოვნიკი (რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ხარჯზე).

ჩეკისტის (ანუ ოპერატიული მუშაკის) ჩართვა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ერთგვარ წახალისებად ითვლებოდა და აქაც იყო გარკვეული ე.წ. «კონკურსი» და «ქიშპობა», თუ ვის სად ჩართავდნენ, რომელ ქვეყანაში და რამდენი ხნით. სასურველი იყო, რაც შეიძლება მეტი ხნით, რადგან, ამაზე იყო დამოკიდებული შენი მატერიალური (ვალუტის) შემოსავალი. აქაც იყვნენ ე.წ. «რეკორდსმენები». მაგალითად, ოპერატიული მუშაკი «ტ», რომელმაც თითქმის ათი წელი იმოგზაურა სუხიშვილებთან ერთად და მოიარა თითქმის მთელი მსოფლიო. მაგრამ ასეთები, გამონაკლისებს წარმოადგენდნენ. რა თქმა უნდა, ყველაზე «პრესტიჟულად» სუხიშვილის და რამიშვილის ანსამბლთან ერთად გამგზავრება ითვლებოდა, მაგრამ ეს მეტად ნომენკლატურული საკითხი და უშიშროების ხელმძღვანელობის პრეროგატივა გახლდათ.

1971 თუ 1972 წელია, გაზაფხულის თვეები, ჩამრთეს სტუდენტურ ტურისტულ მოგზაურობაში დასავლეთ ბერლინში. ძირითადად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემოქმედებითი ჯგუფი აღმოჩნდა (სტუდენტური კაპელა, მოცეკვავეთა ჯგუფი). სხვათა შორის, ამ ჯგუფში ირიცხებოდნენ შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი სტუდენტურ-ახალგაზრდული ანსამბლ «ცისფერი ტრიოს» წევრები, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ კაპელაში მღეროდნენ. არ გამოვრიცხავ, რომ მათი ცალკე ტრიოდ ჩამოყალიბება ზუსტად ამ მოგზაურობის დროს მოხდა.

ჩვენი მასპინძლები დასავლეთ ბერლინის სოციალისტური პარტიის ახალგაზრდა აქტივისტები იყვნენ. მიგვიღეს შესანიშნავად, სტუდენტებისათვის საკმაოდ ნორმალურ სასტუმროში მოგვათავსეს და ბიჭებიც თავს არ იშურებდნენ, მით უმეტეს, რომ მოცეკვავეთა ჯგუფში სუხიშვილის ანსამბლის წევრები ირიცხებოდნენ, ხოლო მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მომღერალთა კაპელა ერთ-ერთი საუკეთესო იყო რესპუბლიკაში. დიდი და დამსახურებული მოწონება დაიმსახურეს ახალგაზრდებმა. კულტურული პროგრამაც კარგად იყო შედგენილი, დაგვათვალიერებინეს ქალაქი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები. ომის შემდეგ ფენიქსივით აღდგენილი გაჩირაღდნებული დასავლეთი ბერლინი მართლაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა, აღმოსავლეთ ბერლინთან განსხვავებით, სადაც პირადად მე რამდენჯერმე მომიხდა ყოფნა დღის სხვადასხვა დროს, დილას და საღამოს. თუ დასავლეთი ბერლინი რეკლამებით იყო გაჩირაღდნებული, აღმოსავლეთში უხერხულობას გრძნობდი. რას იზამ, ასეთი იყო მაშინდელი ცხოვრების სინამდვილე...

ერთ მშვენიერ დღეს გიდმა წაგვიყვანა რეიხსტაგის დასათვალიერებლად. რეიხსტაგი დასავლეთ ბერლინში მდებარეობდა და თითქმის ემიჯნებოდა ე.წ. საზღვარს, ბეტონის კედელს, აშენებულს კომუნისტების მიერ 1951 წელს. მისთვის არქიტექტურულად გათვალისწინებული გუმბათის გარეშე რეიხსტაგი მაინცდამაინც არ სტოვებდა რაღაც პომპეზური ნაგებობის შთაბეჭდილებას. შენობის შიგნით მუზეუმის მაგვარი დაწესებულება იყო განთავსებული. გავეცანით რა მის ექსპონატებს, გიდმა (რუსული წარმოშობის ქალბატონი, ემიგრანტების ოჯახიდან) მიგვიწვია გასასეირნებლად იქვე, რეიხსტაგის მომიჯნავე პარკში (არა მგონია, ეს გასეირნება წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილიყო მასპინძლობის პროგრამაში). იქვე, ბეტონის სამმეტრიან კედელთან, შევნიშნეთ რამდენიმე საფლავი, ალბათ 5 ან 6. სულ რაღაც 10-15 მეტრში აღმოსავლელ გერმანელთა საგუშაგოები იყო განლაგებული, შემდეგ ხელოვნური არხი. რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე უნდა დაგვბადებოდა კითხვა,

საიდან იყო ამ სკვერში საფლავები და ვისი იყო ისინი. მაგრამ სიჩუმე ვარჩიეთ, რადგან უკვე გაფრთხილებული ვიყავით საბჭოთა საელჩოს სათანადო მუშაკებისაგან, რომ საფლავები ეკუთვნოდათ იმ ადამიანებს, რომელნიც ეცადნენ ამ საზღვრის გადალახვას და, რაც ყველაზე საშინელება იყო, ისინი მოწინააღმდეგე მხარემ დახვრიტა ამ კედლის, არხის გადალახვისას. ისინი შემდეგში დასავლეთის მხარემ მიიღო მხოლოდ ცხედრების სახით და ამ გმირობის პატივისცემის ნიშნად აქვე დაასაფლავა. საფლავებზე ჯერ კიდევ არავითარი ძეგლი ან მემორიალი არ იდგა, ჯერ კიდევ დასაფლავების დროს მიტანილი გვირგვინები იყო შემორჩენილი. აქ მოხდა გაუთვალისწინებელი «ინციდენტი», თუ ამას «ინციდენტი» შეიძლება ეწოდოს. დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ინსტიტუტის კაპელის ლოტბარი, აწ განსვენებული გიზო კუბლაშვილი მივიდა ერთ საფლავთან, აიღო საფლავიდან გადმოცვენილი რამდენიმე გვირილა და საფლავის ყვავილებს შეუერთა. წამიერმა სიჩუმემ დაისადგურა. გიდი გახევდა. არ ელოდა ასეთ ადამიანურ ჟესტს. თითქოსდა ყველამ ერთმანეთს ერთი წამით შევხედეთ და შემდეგ? რა შემდეგ, ჩვეულებრივად გავაგრძელეთ გზა, თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო. მართლაც, რა მოხდა, თუ კაცმა ამ ჟესტით მიცვალებულს პატივი მიაგო?! მაგრამ ისიც გაიხსენეთ, რა დრო იყო: დასაფლავებულები სოციალიზმს გაექცნენ და სამშობლოს «მოღალატეებად» ითვლებოდნენ.

როგორც მოგახსენეთ, არავის განსაკუთრებული ყურადღება ამისათვის არ მიუქცევია, გარდა გიდისა, მაგრამ, როგორც შემდეგში მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, თვით გიზოზე მის ქცევას დიდი გავლენა მოუხდენია. შეიძლებოდა ასეთი ქმედება მას ძვირად დაჯდომოდა, თუკი როდისმე კიდევ დააპირებდა საზღვარგარეთ გამგზავრებას.

სტუდენტური შემოქმედებითი ჯგუფი ჯერ კიდევ მოსკოვში გავიცანი, არავითარ კონსპირაციას იმის შესახებ, თუ ვინ ვიყავი, აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან ჯგუფში სულ ორნი ვიყავით უცხონი, ჯგუფის ხელმძღვანელი (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი) და მე (უშიშროების თანამშრომელი).

როგორც ოპერატიული მონაცემებით ვიცოდი, ჯგუფი საკმაოდ «მომზადებულა» საზღვარგარეთ გასტროლებისათვის, ბარგი გავსებული იყო შავი და წითელი ხიზილალის ყუთებით, ფოტოაპარატებით, უთოებით და სხვა პროდუქტებით თუ საყოფაცხოვრებო ნივთებით.

ვერ წარმოიდგენთ, თუ რა გარკვეული ფსიქოლოგიური თუ ადამიანური დაკვირვების ობიექტი ხდები ამ დროს. ყველას აინტერესებს ვინ ხარ? რა ხასიათის, რა გიყვარს, რა არ გიყვარს?.. ყველა თავისთვის ქმნის შენ ფსიქოლოგიურ თუ ლოგიკურ პორტრეტს, ცდილობს დაგიახლოვდეს, «დაგიმეგობრდეს», რომ იტყვიან, შენი კაცი გახდეს, მითუმეტეს - დასაწყის ფაზაში, სანამ საქონელი არ გაუსაღებია».

ახალგაზრდები ვიყავით და რას ვიზამდით?! მოსკოვში ერთად ვიპურმარილეთ და როცა სმაში «შევხურდით», ერთ-ერთი თამამი ახალგაზრდა მეკითხება: «აი, რას იზამთ, ბატონო ჯემალ, რომ აღმოაჩინოთ, დელეგაციის წევრები ვაჭრობენ, რაღაცას ყიდიან, ყიდულობენ და ა.შ.?». ცოტა შევცბი, ასეთ პირდაპირ და «თავხედურ» კითხვას არ ველოდი. მითუმეტეს, ეს დამგზავრება ჩემთვისაც პირველი იყო. ჯერ თვითონაც არ ვიცოდი როგორ მოვიქცეოდი გარკვეული სიტუაციის შემქნისას. იმასაც თუ გაითვალისწინებთ, თუ რა ინსტრუქციები მივიღე ჯერ თბილისში და მერე მოსკოვში, მაშინ ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, რა «დომხალი» მიტრიალებდა თავში. გამახსენდა ერთი ებრაული ანეკდოტი და მაშინვე მივიჩნიე,

რომ ალეგორიულად მაინც იძლეოდა პასუხს დასმულ შეკითხვაზე: «იყო ერთი ებრაელი, ღვთისმოსავი წესიერი ადამიანი, შეუყვარდა ქრისტიანი ქალი, ქალიც დიდი სიყვარულით პასუხობდა. მაგრამ რა ექნა ამ ღვთისმოსავ ადამიანს? იცოდა, რომ დიდ ცოდვას სჩადიოდა, არ ჰქონდა უფლება ქრისტიანი ასულის სიყვარულისა, მრავალსაუკუნოვან ებრაულ დოგმას არღვევდა. რა ექნა? ეძებდა გამოსავალს. მივიდა რაბინთან, აუხსნა თავისი გასაჭირი და სთხოვა: ღვთის კაცი ხარ, მომინახე «თალმუდში» რაიმე მუხლი, რომელიც ნებას მომცემს ქრისტიანი ქალი ცოლად მოვიყვანოო. აქ კი განრისხებულა რაბინი: «ეს როგორ გამიბედეო, როგორ მაკადრეო, როგორ შეიძლება ჩვენი რელიგიის ასეთი ხელყოფაო, ახლავე გასცილდი მაგ ქალსო». წამოსულა ჩვენი შეყვარებული ებრაელი სახლში. რას არ ეცადა, რა არ იღონა, მაგრამ ის ქრისტიანი ასულის სიყვარული ვერ განდევნა გულიდან, ისევ ეახლა რაბინს, მუხლებში ჩაუვარდა და შესთხოვა: «ნება მომეცი, ცოლად თუ არა, საყვარლად მაინც ვიყოლიო ჩემი შეყვარებულიო». განრისხებულ რაბინს წიხლებითა და მუჯლუგუნებით გამოუძევებია ის ებრაელი. ამის შემდეგ დაიწყო ამ კაცის სულიერი დაცემა. გალოთდა, მორალურად მოეშვა, სიყვარულიც კი დაივიწყა, ჰალუცინაციების სამყაროში გადასახლდა, დაკარგა ძილი და მოსვენება. ერთ მშვენიერ დღეს შუაღამეს გამოეღვიძა, ძილი არ ეკარება, საშინელი მოჩვენებების სამყაროში აღმოჩნდა. წამოხტა, მოჰკიდა ხელი ნაჯახს და გაიქცა რაბინისკენ, რომელიც მისი ესოდენ სულიერი დაცემის წყაროდ მიაჩნდა. მიუახლოვდა რაბინის სახლს, ხედავს, ფანჯრებში სინათლეა. შეანგრია კარები და ოი, ღმერთო, ამას რას ხედავს: ჩვენი წითელწვერებიანი რაბინი ლოგინში ნებივრობს რამდენიმე მეძავ ქალთან ერთად. მივარდა ნაჯახით, გადმოათრია ლოგინიდან, მოუქნია ნაჯახი და თან ეუბნება: «შე გარეწარო, შენა, მე, პატიოსან კაცს, ქრისტიანი ქალის შერთვა ამიკრძალე, შენ კი გარყვნილებას ეწევი, რა უფლება გაქვს სხვას ჭკუა დაარიგოო». რაბინმა უპასუხა: «მე რა ცოდვასაც ჩავდივარ, ამის პასუხს თვითონ ვაგებ ღმერთთანო, ეს ჩემი საქმეაო, აი, შენ კი ერთი ყეყეჩი და სულელი კაცი ხარო, როგორ შეიძლება ღვთის მსახურს შეეკითხო და მისგან თანხმობა მიიღო იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ღმერთის წესის ღალატიო. შე სულელო, თუგინდ გეთხოვა, თუგინდ საყვარლად გაგეჩინა ის ქალი, ამის შესახებ მე რაბინს როგორ მეკითხებოდი და თუ მეკითხებოდი, რა პასუხს ელოდიო».

მორალი აქ ერთია: არ შეიძლება მთავრობის მოხელეს შეეკითხო: შეიძლება თუ არა კანონი დავარღვიოო. გამგებმა გაიგო!

როგორც მოგახსენეთ, «დატვირთული» წამოვიდა ჯგუფი და «გამოცდილი» კოლეგების დახმარებით ჩქარა გაასაღეს «საქონელი». ერთადერთი, ვინც «დაზარალებული» აღმოჩნდა, გახლდათ პატიოსანი იუზა და ისიც იმიტომ, რომ ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ასე წარმოიდგინეთ, ყოველ დილას, სადმე რომ გავემგზავრებოდით, შეიპარებოდნენ ეს «ხულიგნები» ჩვენს ოთახში, გადაუქოთებდნენ ჩემოდანს და ისიც იმათ შესჩივლებდა, ასეთი უცნაურობები ხდება ჩემს თავსო. ეს «ხულიგნები» კი ამშვიდებდნენ და არიგებდნენ, ალბათ შენი მეზობელი აკეთებს ამასო. ასეთმა უკბილო თუ კბილიანმა ხუმრობამ ჩვენი საყვარელი იუზა თითქმის ნერვიულ კრიზისამდე მიიყვანა. გამირბოდა, არ მელაპარაკებოდა, სულ გულჩათხრობილი და უხასიათო იყო... მივხვდი, რაღაც ხდებოდა მის თავს. პატარა აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიება ჩავატარე. მოგონილი მიზეზით გადავედი საცხოვრებლად სხვა ნომერში. შემდეგ მივიღე ინფორმაცია. დახმარებიან ის ვერაგები, გაუსაღებიათ მისი «საქონელი», გაყოლიან მაღაზიაში, რომ იტყვიან, «ჩაუშმოტკიათ» და ჩვენი გმირიც მოვიდა ხასიათზე.

ერთხელ მთხოვეს, თუ შეიძლება, ამოდით სტუმრად იუზასთან, პატარა ვახშამი გვაქვსო. ამ დროს მისი ნაყიდი საქონელი მთელ ოთახში მიმოუფენიათ, ვითომდა დათვალიერების მიზნით. როცა კარებზე დავაკაკუნე, მასპინძელი შემეკითხა, რომელი ხარო. ჩემს პასუხზე ერთი სიტყვა გავიგე - «ვაიმეო!» 1-2 წუთიანი პაუზის შემდეგ, კარები რომ გაიღო, დავინახე არეული ოთახი, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, ყველა საგანს ზეწარი ჰქონდა დაფარებული. არ შევსულვარ, გუმანით მივხვდი, რაც მოხდა. მასპინძელს ერთი ბოთლი ლუდი ვთხოვე, იმანაც მაცივრიდან გამოიღო, სიამოვნებით მომაწოდა და გავეცალე იქაურობას. შემდეგში ეს ისტორია თბილისში გავიხსენეთ... ბევრი ვიცინეთ, იუზაც ვაცინეთ, თუმცა გერმანიაში ის სრულებითაც არ იყო სიცილის ხასიათზე.

სტუმრად დამმობილებულ ქალაქ საარბრიუკენში

საბჭოთა სინამდვილის დროს ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაციის გამგზავრება ერთ-ერთ წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოში, როგორიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გახლდათ, მართლაც დიდ ისტორიულ და კულტურულ მოვლენას წარმოადგენდა. ალბათ გავლენა იქონია იმანაც, რომ სწორედ ერთ წელიწადში უნდა შემდგარიყო მსოფლიო ფორუმი ფინეთში, სადაც მიღებულ იქნა ე.წ. «ჰელსინკის დეკლარაცია» და ამიტომაც საბჭოეთმა გადადგა ასეთი დიდი ნაბიჯი ევროპასთან დაახლოებისა. რამდენადაც მახსოვს, დელეგაცია მეტად მრავალრიცხოვანი იყო. ერთდროულად მიემგზავრებოდა კაპიტალისტურ სამყაროში საბჭოთა საქართველოს კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია თითქმის 300 წევრის შემადგენლობით: რუსთაველის თეატრი _ სპექტაკლით «სამანიშვილის დედინაცვალი», ოპერის თეატრი სამი სპექტაკლით _ «დაისი», «პიკის ქალი» და «ჩალხია», სახელმწიფო კაპელა, სახელმწიფო კვარტეტი, ანსამბლი «რუსთავი». დელეგაციაში ჩართულნი იყვნენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და სხვა. ამის გარდა, შეიქმნა 2 თუ 3 ტურისტული ჯგუფი, რომლებიც ახლდნენ ამ დელეგაციას _ თითქმის 60-70 ტურისტის შემადგენლობით. ამ დელეგაციაში თავმოყრილი იყო ძირითადად მაშინდელი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ელიტა და, რა თქმა უნდა, ცნობილი მსახიობების, კომპოზიტორების, მხატვრების მეუღლეები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო ოფიციალურ დელეგაციაში ვერ მოხვდნენ.

მიმაჩნია, რომ ასეთი «გრანდიოზული» ტურნეს მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელი რუსპუბლიკის ხელმძღვანელობამ, რომელიც სულ რაღაც ერთ წელზე მეტი არ იყო, რაც მოვიდა მმართველობაში და ინტელიგენციასთან დაახლოებისათვის ასეთი კამპანია მართლაც რომ საჭირო იყო. მაგრამ არსებობს ერთი ფაქტორი, რომელზედაც ცალკე მინდა მოგახსენოთ. ეს არის გერმანელი რეჟისორი და კულტურის მოღვაწე ჰ. ვედერკინდი, რომლის მონდომებამ და დაუღალავმა ენერგიამ შესძლო ამ ღონისძიების განხორციელება. ბევრი მინახავს საქართველოზე, მის კულტურაზე, ხალხზე შეყვარებული ადამიანი, მაგრამ ისეთი, როგორც ბატონი ვედერკინდი იყო, ალბათ იშვიათად თუ იბადება. არ ვიცი, ამ პიროვნებამ რა კვალი დატოვა საერთოდ გერმანულ თეატრალურ (სარეჟისორო) ისტორიაში, მაგრამ იმას კი იმსახურებს, რომ მადლიერმა ქართველმა ხალხმა მოიხსენიოს თავის ისეთ მეგობრებთან ან კეთილმსურველებთან ერთად, როგორებიც

იყვნენ: ინგლისელი და-ძმა უორდროპები, უნგრელი მხატვარი ზიჩი, ფრანგი არტურ ლაისტი და სხვები.

როგორც წესი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ეჭვის თვალით უყურებდნენ ბატონ ვედერკინდის ამ უმწიკვლო მოღვაწეობას გერმანული და ქართული კულტურების დაახლოების საქმეში და, რა თქმა უნდა, ეგონათ და «სჯეროდათ», რომ ბევრ რამეს ის აკეთებდა სპეცსამსაურების დავალებით. მაგრამ ყოველივე მცდელობა, რომ ამ ადამიანში რაღაც სხვა მიზანი ან მისწრაფება აღმოგეჩინა, კრახით მთავრდებოდა, ვინაიდან ის თავისი ცხოვრების წესით, ქმედებებით, აზროვნებით და სხვა პარამეტრებით არაფრით არ ჯდებოდა ამ ჩარჩოებში.

ნამდვილი «ცირკი» მაშინვე დაიწყო, როგორც კი გამოცხადდა, რომ დელეგაცია მიემგზავრება გერმანიაში. კულტურისა და თეატრის მოღვაწეები, რა თქმა უნდა, კონკურსგარეშე ხვდებოდნენ გამგზავრებულთა სიაში, აი ტურისტების დელეგაციის ჩამოყალიბებისას კი დიდი პრობლემები გაჩნდა, თითქმის მთელ ნახევარ საქართველოს უნდოდა ტურისტად გამგზავრება. დაიწყო გაუთავებელი ლობირება ტელეფონის ზარებით, ჩაწყობები ცეკაში, უშიშროებაში, პროფკავშირებში და სხვა გავლენიან ორგანიზაციებში. შემდეგ, როგორც იქნა, დადგინდა სიები, ჩამოყალიბდა დელეგაცია, «შემოწმდა» და ერთ მშვენერ დღეს მთელი ეს ხალხი 250-300 ადამიანი დაიბარეს ცეკას შენობაში (ჩიტაძის ქუჩაზე). ორი საათის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის უცხოეთის განყოფილების ახლადდანიშნული უფროსი უტარებდა ხალხს ე.წ. «ინსტრუქტაჟს», თუ როგორ მოქცეულიყვნენ კაპიტალისტურ სამყაროში, ისეთი პათოსით, ისეთი ენერგიით ყვებოდა ყოველივე ამას და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მთელი ცხოვრება იქ უცხოვრია და ისე შეუსწავლია იქაურობა, როგორც თავისი ხუთი თითი. მოგვიწოდებდა სიფხიზლისაკენ, რათა არ წამოვგებულიყავით კაპიტალისტების მიერ დაგებულ «პროვოკაციებზე» და არ შეგვერცხვინა საბჭოთა მოქალაქის სახელი.

ყველაზე მთავარი საკითხი, რომელზეც მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება, ეს იყო დელეგაციის დაცვა «პროვოკაციისაგან», რომელიც შეეძლო მოეწყო გერმანიაში _ მიუნხენში მცხოვრებ ქართველ მსახიობს ნუგზარ შარიას, რომელიც, ჩვენი მონაცემებით, რადიო «თავისუფლების» ქართულ რედაქციაში მუშაობდა: «ერიდეთ მასთან შეხვედრას, პირად საუბარს, ინტერვიუს, ერიდეთ მის დაპატიჟებებს კერძო ბინებში, რესტორნებში, კაფეებშიო». თუკი ნ.შარია ვინმეს შემთხვევით ან გამიზნულად შეხვდებოდა, ამ ქართველ მოქალაქეს მისთვის ზურგი უნდა შეექცია, გასცლოდა იქაურობას, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ უნდა «გაქცეოდა» მას. თუ იმასაც წარმოვიდგენთ, თუ როგორ შეხვდნენ შემდეგ ერთმანეთს რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, გოგი გეგეჭკორი და სხვა მრავალი შარიას დღისით-მზისით, მაშინ, რა თქმა უნდა, იუმორის ხასიათზე დადგებით.

დარბაზი ზრდილობის გამო ყურადღებით უსმენდა ორატორს, თორემ ისე გონებით უკვე გერმანიაში იყო და ალბათ იმაზე ფიქრობდა, რა წაეღო და რა შეეძინა იქ. როგორც ვიცოდი, ყველაზე მეტი უსიამოვნება ნ.შარიას ფაქტორის გამო შეხვდა დედამისს, რომელიც რამდენიმეჯერ დაიბარეს სათანადო ორგანოებში, თხოვეს და ურჩიეს, რათა დაერეკა შვილთან და გაეფრთხილებინა, რომ არამც და არამც არ მიკარებოდა ახლო ქართულ დელეგაციას და ამით არ ჩაეშალა დაგეგმილი გრანდიოზული კულტურული ღონისძიება. შეიძლება ითქვას, რომ დედის შთაგონებით და ახლობლების უშიშროების გათვალისწინებით ნ.შარიამ თითქმის შეასრულა ეს თხოვნა ერთი გამონაკლისით, რაზედაც შემდეგში მოგახსენებთ.

დაამთავრა თუ არა ეს ე.წ. გონების გამორეცხვის ღონისძიება, ცეკას განყოფილების გამგემ თავის კაბინეტში დაგვტოვა დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი «ჩეკისტები», 7-8 თანამშრომელი. ოპერატიული თანამშრომლები ისე იყვნენ შერჩეულ, რომ თითეულ შემოქმედ კოლექტივში ერთი ოპერატიული მუშაკი იყო განწესებული. კაბინეტშიც პირადად გვესაუბრა პარტიული ფუნქციონერი და მოგვიწოდა სიფხიზლისაკენ, და, რაც მთავარია, გამოთქვა იმედი, რომ ჩვენი პატარა კოლექტივი თავს გაართმევს ამ დიდ პასუხისმგებლობას და დელეგაცია ყოველგვარი ინციდენტის გარეშე დაბრუნდება სამშობლოში. გამომშვიდობებისას წარმოსთქვა ფრაზა, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში: «ჩვენ, ე.ი. ცენტრალურმა კომიტეტმა, ვიცით, რომ თქვენი ჯგუფი (7 თუ 8 ოპერატიული მუშაკი) მცირერიცხოვანია ასეთი პასუხსაგები ამოცანის შესრულებისათვის, მაგრამ იმედი გვაქვს, თავს გაართმევთო».

არ იფიქროთ, რომ ასე მხოლოდ ახლა ვფიქრობ, როცა კომუნისტების ხუხულა დაინგრა. გამოვედი თათბირიდან და გავიფიქრე: ეს კაცი შეგნებულად «გვაშაყირებს» თუ თავს ისულელებს-მეთქი, ვინაიდან 7-8 ოპერატიული მუშაკის ჩართვა დელეგაციაში უკვე საოცრებად მიმაჩნდა. თანაც, გერმანიაში საქართველოს კულტურის და ხელოვნების დეკადა უნდა გამართულიყო თუ ქართველ ჩეკისტთა კვირეული?! რა თქმა უნდა, პირადად მე ძალიანაც მსურდა გერმანიაში კვლავ გამგზავრება, ისიც იმ კოლექიტვთან, რომელსაც კარგად ვიცნობდი და პატივს ვცემდი, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს?!

თუ ჩემს ბავშვობას გავიხსენებდი, მაშინ პირადად მე უნდა მოვრიდებოდი «პროვოკაციას» ან «შანტაჟს» ჩემი ყოფილი თანაკლასელისაგან ნუგზარ შარიასაგან. მაგრამ ჩემი ჩართვა დელეგაციის შემადგენლობაში გარკვეულ წილად მიზანდასახული იყო, რათა კი არ მოვრიდებოდი, არამედ შევხვედროდი მას და ჩამეტარებინა გარკვეული «საუბარი» იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ეხებოდა ნ.შარიას «სამშობლოს ღალატის» გამო. ამ საკითხების ჩამოთვლას ნამდვილად აზრი არა აქვს, რადგან მათ უკვე დაკარგეს აქტუალობა. ამ მიზნის მისაღწევად შევხვდი, სახლში ვეახლე ნუგზარის დედას, რომელიც სასტიკად განიცდიდა შვილის, როგორც მას მიაჩნდა, საბედისწერო გადაწყვეტილებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და კულტურის სამინისტრო მას სთხოვდა გავლენა მოეხდინა შვილზე, რომ ის არ შეხვედროდა ქართველ ტურისტებს, უშიშროების ორგანოები სთხოვდნენ საპირისპიროს: შეხვედროდა თავის ყოფილ თანაკლასელს, ახლა უკვე უშიშროების ოპერატიულ მუშაკს, რომელსაც აინტერესებდა ე.წ. «გარკვეული საკითხები» მის შესახებ და, რაც მთავარია, მისი ახალი სამსახურის შესახებ რადიო «თავისუფლებაში». მაგრამ ნუგზარს არ უცდია ჩემთან არც შეხვედრა და არც ტელეფონით დაკავშირება. შემდეგ ერთი ასე შეთავაზება მას კიდევ ჰქონდა უშიშროებიდან 2-3 წლის შემდეგ, მაგრამ იმ შეხვედრაზეც უარი განაცხადა. ეტყობა, რადიო «თავისუფლება» ხელფასს ტყუილად არ არიგებდა. ყველასთვის ცნობილია, რომ მას ამერიკის სადაზვერვო სამმართველო მფარველობდა და ამერიკის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

ერთიც უნდა ითქვას: ნ.შარიას «ფენომენი», მისი ე.წ. წასვლა, როგორც მაშინ უწოდებდნენ «სამშობლოს ღალატი»(?!), სრულებითაც არ შეიძლება მივაკუთვნოთ «დისიდენტობას», ვინაიდან იგი, როგორც პიროვნება, არასოდეს არ ამაღლებულა ამ დონემდე. დაიბადა და გაიზარდა მეტად წარმატებულ ოჯახში. 40-50-ან წლებში ოჯახს გარკვეულწილად მფარველობდა ლ.ბერიას მარჯვენა, თუ მარცხენა ხელი, აკადემიკოსი, პარტიული ფუნქციონერი პეტრე შარია, რომელიც მამამისის ძმა

გახლდათ. შემდეგში, სტალინის სიკვდილისა და ბერიას დატუსაღების შემდეგ, დააპატიმრეს პ.შარიაც. მერე, მართალია, გაანთავისუფლეს, მაგრამ ყოფილი გავლენა როგორღა ექნებოდა?! 50-ანი წლების შუალედიდან თითქმის 60-ანი წლების დასასრულამდე პარტიული იერარქიით თუ სახელმწიფოებრივი თანამდებობებით ძლიერ დაწინაურდა მისი მეორე ბიძა (დედის ძმა) მ.კუჭავა, და შარიას ოჯახმა კვლავ დაიბრუნა ძველი გავლენა საზოგადოებაში. ბავშვობაში მსახიობობით გატაცებული ნუგზარი საშუალო სკოლაში მხოლოდ ფორმალურად თუ სწავლობდა, დადიოდა ცხენოსნობაზე, ფარიკაობაზე, ცურვაზე და ითვისებდა ყველა იმ ჩვევებს, რაც მას შემდეგში მსახიობის სპეციალობისათვის სჭირდებოდა. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ მუსიკალურად მეტად განვითარებული გახლდათ, შესანიშნავად უკრავდა პიანინოზე, გიტარაზე, მღეროდა ბრწყინვალე ბასით, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, _ მით უმეტეს, იმავე ჩვენს კლასში სწავლობდა შემდეგში უკვე საყოველთაოდ ცნობილი მომღერალი ქალბატონი მედეა ძიძიგური. სულ რამდენიმეჯერ მქონდა საშუალება სკოლის პერიოდში მომესმინა ამ შესანიშნავი დუეტისათვის. ყველაზე ბოლოს ეს მოხდა 1958 წლის ივლისში სკოლის გამოსაშვებ საღამოზე, რომელიც სახელოვანი მსახიობის ბუხუტი ზაქარიაძის ოჯახში გადავიხადეთ (მისი ქალიშვილი მანანაც ჩვენს კლასში სწავლობდა). ის ბანკეტი მართლაც განუმეორებელი იყო. მთელი საღამო ბიძია ბუხუტი (თამადა) ლექსებს გვიკითხავდა, ნუგზარი და მედეა მღეროდნენ. ბანკეტის 12-13 საათი 12-13 წუთში გაფრინდა და დატოვა მხოლოდ მოგონებები.

როგორც მოგახსენეთ, ნუგზარს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი წარმატებული კარიერისათვის. ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი _ კინოფილმში გადაიღეს, მერე მეორე ფილმში _ «ხევისბერი გოჩა». თუ რამდენად გაართვა შარიამ ონისეს როლს თავი, ეს საკითხი კრიტიკოსებისათვის მიმინდვია, მაგრამ ახალგაზრდა, დამწყები მსახიობისათვის ეს დიდი წარმატება იყო, სულ რაღაც 24 წლისამ მიიღო საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. ასეთი ფაქტი კი საბჭოთა სინამდვილეში თითქმის არ ხდებოდა, თუ არ გავიხსენებთ 50-ან წლებს, როდესაც სტალინს უნახავს ფილმი «ტარას ბულბა» ბონდარჩუკის შესრულებით (რომელიც მაშინ 20-21 წლისა ყოფილა) და უთქვამს: «Вот настоящий народный артист»-ო და მეორე დღესვე ამ 20-21 წლის ბიჭისთვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობა მიუნიჭებიათ. მაგრამ ეს ხომ სხვა დრო იყო და ისიც სტალინთან დაკავშირებული. ახალგაზრდა ნ.შარია კი მიწვეული იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კინოსტუდიების მიერ, გახსნილი ჰქონდა გზა საზღვარგარეთ (?!) სხვადასხვა კინოფესტივალებში მონაწილეობისათვის. რამდენიმე წელიწადში მოიარა ევროპის ქვეყნები, იყო სტუმრად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ _ ჰოლივუდში. როცა 1993 წელს, საფრანგეთში ვიზიტის დროს, გაიქცა, ოპერატიული მონაცემების გამოძიებით დადგინდა, რომ ჰოლივულში ყოფნისას ნ.შარია შეუმოწმებიათ ე.წ. სასინჯ გადაღებაში _ ვითომდა ჰერკულესის როლისათვის. ყოველივე ამის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ მას შეექმნა გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარი ნიჭის შესახებ. მაგრამ დასავლეთმა შარია არც ისე გულუხვად მიიღო. გარკვეული პიარკომპანიის შემდეგ, რაც მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, მას აგრძნობინეს, რომ არავის არ სჭირდება. გარკვეულ წილად დაეხმარა მხოლოდ ქართული ემიგრაცია და კერძოდ _ ზურაბაშვილების ოჯახი. შემდეგ კი მოეწყო სამუშაოდ ანტისაბჭოთა რადიოსადგურ «თავისუფლებაში».

გარკვეულ წილად მისასალმებელი იყო, რომ თვით ნუგზარი თავის პიროვნებისაგან არა ქმნიდა ახალ კოსტავას თუ გამსახურდიას, მაგრამ ხანდახან მაინც საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდა, როცა «ამათრახებდა» საბჭოთა სინამდვილეს და აქებდა მოპოვებულ თავისუფლებას, რომელიც მას სამშობლოში საკმაოდ და გადაჭარბებულადაც ჰქონდა და შეიძლება სწორედ ეს იყო მისი საბედისწერო გადაწყვეტილების მიზეზი...

საარბრიუკენში მაინც ვერ მოითმინა და შეეცადა დაკავშირებოდა ტელეფონით თავის ამხანაგ კოლეგებს. ჩავდივარ სასტუმროში დილას საუზმეზე. ჩემს გვერდით აღმოჩნდა ღვთაებრივი ხმით დაჯილდოვებული ჰამლეტ გონაშვილი. მცირე პაუზის შემდეგ თითქოს ამოხეთქაო, ხმამაღლა, ისე, რომ თითქმის ყველამ გაიგონა, მომმართა: «ბატონო ჯემალ, წუხელ დაახლოებით შუაღამეს, ტელეფონის ზარი გაისმა, ავიღე ყურმილი და ნუგზარ შარია აღმოჩნდა. მომესალმა და მთხოვა რამაზ ჩხიკვაძესთან დამეკავშირებინა. აბა მე რა ვიცოდი, როგორ დამეკავშირებინა ნუგზარი და რამაზი და ყურმილი დავდეო». ისეთი შეწუხებული იყო, თითქოს რაღაც სახელმწიფოებრივი დანაშაული ჩაედინოს. ვინც არ იცის მაშინდელი სიტუაცია, ალბათ ვერ წარმოიდგენს ამ კეთილშობილი პიროვნების განცდებს, ალბათ მთელი ღამე არ ეძინა, ფიქრობდა, ეთქვა თუ არა ამის შესახებ.

იქვე საუზმობდნენ რამაზი და მისი მეუღლე ნატალია. ისინი დაიძაბნენ, შეცბენ, შემდეგ დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა: «Интересно, а почему он тебя должен был искать? Вы никогда ведь не были друзьями» _ წამოიძახა ქალბატონმა ნატალიამ. «Не знаю, не знаю, это какая-то ошибка. Тебе наверно показалось, Гамлет». მაგრამ ბავშვური გულუბრყვილობით დაჯილდოვებული ბატონი ჰამლეტი იმდენად გულწრფელი იყო, რომ ისევ განაცხადა: «არა, რამაზ, შენ გეძებდაო და შენი ტელეფონი მთხოვაო». ისე რომ, «შანსი», რომელიც მისცეს ცოლ-ქმარმა ჩხიკვაძეებმა, ჰამლეტმა ვერ გამოიყენა.

აქ კი ბატონი დოდო ალექსიძე ჩაერთო საუბარში და მისთვის ჩვეული იუმორით განაცხადა: «А, что тут странного, вы всегда были собутильникам и наверно хотел пригласить выпить»-ო. ეს კი მეტისმეტი იყო და კიდევ კარგი, რომ ბატონი დოდო იმ დილას გადარჩა...

თუმცა, ცოტა ხანში მას ძვირად დაუჯდა ეს «უკბილო ხუმრობა».

არ გასულა ორი თუ სამი დღე და დაახლოებით სადილის შემდეგ დამპატიჟეს სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში, სადაც ბატონი რევაზ თაბუკაშვილი ცხოვრობდა. მთხოვეს მათთან ერთად დამესვენებია და მომართვეს ცივი ლუდი. ისინი «პრეფერანსს» ითამაშებდნენ. დამარწმუნეს, რომ არაფერი ცუდი არ მოხდებოდა, რომ უბრალოდ ერთ-ერთ ამხანაგს «ათამაშებენ» და ჩემი ყოფნა იქ იმ დროს, როგორც უშიშროების მუშაკისა, მიზანსცენით იყო გამართლებული. შემპირდნენ, ყველაფერს შემდეგში აგიხსნითო. მეც დიდი მონდომებით შევუდექი ჩემი საპატიო მისიის შესრულებას. არ გასულა რაღაც 30 თუ 45 წუთი, ოთახში შემოვიდა ბატონი დოდო ალექსიძე, მოგვესალმა, შეგვათვალიერა ყველა, ცოტა ხანს ვითომ კარტის თამაშს უყურა და მერე რამდენიმეჯერ შემოგვიარა გარშემო. ეტყობოდა, შეწუხებული იყო, თითქოსდა რაღაცის თქმა უნდაო. ბოლოს მაინც არაფერი თქვა და გავიდა. მომეჩვენა, რომ უცნაურად მიყურებდა პირადად მე, ისე, რომ მეც მივხვდი რაღაცას, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც, რომ ყველაზე მეტად ჩემი იქ ყოფნა არ ესიამოვნა.

გავიდა ისევ 30-35 წუთი და ისევ შემოვიდა, ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, უმიზნოდ იყურებოდა აქეთ-იქით, ბოლოს ვერ მოითმინა და, როგორც სჩვეოდა, რუსულად მიმართა ბატონ რეზოს: «Вот посмотри (ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი), это

письмо от Шария, нашел в номере в дверях, просит встретиться с ним в супермаркете буквально через 10-15 минут. Что делать, обещает, что если рядом будут общие знакомые из делегации, то не подойдет, а догонит потом по дороге и т.д.» ბატონმა რევაზმა გამოართვა წერილი, ხმამაღლა წაიკითხა, თან ალაგ-ალაგ ისვენებდა, განსაკუთრებით კითხულობდა იმ აბზაცებს, სადაც ვითომდა ნუგზარი დოდოს იხსენიებდა: «Мой учитель»7 «Мой мастер»... აქ კი ვერ მოითმინა ბატონმა დოდომ, ამოიოხრა და თქვა: «Какой я ему мастер, какой я ему учитель, откуда он это все взял?4-ო. ბატონმა რევაზმაც არ დააყოვნა: 3Нет, нет, Вы не правы, Вы конечно ему учитель и наставник, Вы давали ему главные роли в театре, одна только роль Амирана что стоит в Вашей пьесе». აქ კი საბოლოოდ «მოტყდა» ბატონი დოდო, მაგრამ გამთამაშებლებმა თავი ვერ შეიკავეს და სიცილი ატეხეს, ისეთი სიცილი, რომ მეშინოდა არ გაგუდულიყვნენ. ბატონმა დოდომ ერთხანს უყურა ამ სცენას, შემდეგ ერთი გემრიელად შეუკურთხა რუსულად საზოგადოებას, სულ «цигане» და «поддонки» უძახა და გაეცალა იქაურობას.

რამდენადაც ვიცი, შერიგება საკმაოდ ძვირი დასჯდომიათ ამ ბატონებს _ ერთი კარგი პურ-მარილი.

იმის შესახებ, თუ რა ბრწყინვალედ და წარმატებულად დამთავრდა ქართველ კულტურის მოღვაწეთა სტუმრობა გერმანიაში, ბევრი დაიწერა და ალბათ შემდეგშიც დაიწერება. პირადად ჩემთვის დიდი დღესასწაული იყო, თითქმის ერთი თვე ამ გარემოცვაში ყოფნა.

ერთი რამის თქმაც საჭიროა, რამეთუ მაშინ ეს დიდ მოვლენად შეიძლება ჩათვლილიყო: საარბრიუკენის თეატრთან გადაჭიმული იყო დიდ ტრაფარეტი, სადაც რუსულად და გერმანულად ეწერა მისალმება დაახლოებით შემდეგი შინაარსისა: «მივესალმებით საბჭოეთის კულტურის მოღვაწეებს». ერთ თუ ორ დღეში გაჩნდა მეორე ტრაფარეტიც გერმანულ და ქართულ ენებზე: «მივესალმებით ქართული კულტურის მოღვაწეებს».

სპეციალურად საარბრიუკენში საფრანგეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდა მცირერიცხოვანი დელეგაცია ქართული ემიგრაციისა, განსაკუთრებით სრული შემადგენლობით ჩამოვიდა ზურაბიშვილების ოჯახი, დედა, მამა, ქალიშვილი ელისო და ვაჟიშვილი ოთარი. მამა ზურაბიშვილი მაშინ საფრანგეთში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი გახლდათ, ქალიშვილი ელისო იტალიაში მუშაობდა საფრანგეთის საელჩოში, ოთარი, როგორც მახსოვს, ჯერკიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. ერთხელ სასტუმროში, ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან სტუმრობისას, ელისომ, ოთარმა და მათმა თანატოლმა სპეციალობით ფიზიკოსმა, გვარად ოთხმეზურმა, შეასრულეს ორი თუ სამი ქართული სიმღერა ისე ლამაზად და შეხმატკბილებულად, რომ თვალებზე ცრემლი მოგვადგა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ეპიზოდი ზრდილობიანი ქცევის და ცხოვრების წესისა, რომელიც «ჩაიდინა» ქალბატონმა (დედამ) ზურაბიშვილთა ოჯახისა: საარბრიუკენის თეატრის სცენა. ჩაქრა სინათლე. გაისმა ღვთაებრივი «დაისის» პირველი აკორდები. ამ დროს ქალბატონმა ოდნავ ჩაახველა, გავიდა რამდენიმე წამი და კიდევ ჩაახველა. შემდეგ ადგა, გავიდა ვესტიბიულში, იქ ალბათ მოიყვანა თავი «წესრიგში» და დაბრუნდა... ვითომდა აქ არაფერიო, ასე შეიძლება იფიქრო, მაგრამ ისიც ხომ უნდა გაიხსენო, თუ რამდენ ათეულ წელს ელოდა ქალბატონი, რომ ეს ჰანგები მოესმინა, და მაინც არ მისცა თავს უფლება, ვინმესთვის ხელი «შეეშალა», რას იზამ, ასეთი დახვეწილი კულტურის ხალხიც არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს გარკვეული გაკვეთილი იყო.

ჩემთვის საინტერესო იყო აგრეთვე, პირადად მენახა ბატონი ოთარ ზურაბიშვილი (რომელიც როგორც ახალ ირკვევა, ისეთივე ობიექტური და პრინციპული ადამიანი დარჩა, როგორც იყო ყოველთვის).

გამახსენდა «მასალები», რომელიც წაკითხული მქონდა ჯერ კიდევ თბილისში. 1972 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლ.ბრეჟნევის ვიზიტის დროს საფრანგეთში, კერძოდ _ პარიზში, ელისეის მინდვრებთან მისი საავტომობილო კორტეჟის გადაადგილების დროს, ქართველმა ემიგრანტებმა მანქანას თითქმის «შეუგდეს» ხელფეხშეკრული და პირში ჩვარჩაჩრილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გულზე ტრაფარეტი ეკიდა: «დაპყრობილი საქართველო». ეს ახალგაზრდა გახლდათ სწორედ ოთარ ზურაბიშვილი, შვილი ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელისა... დამერწმუნეთ, ამის გაკეთება უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული და სავსებით შესაძლებელია ტრაგიკულად დამთავრებულიყო.

საკმაოდ საინტერესო იყო დელეგაციისათვის გათვალისწინებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი, მოვიარეთ რამდენიმე ქალაქი, ვიყავით ბატონ ვედერკინდის ქალაქგარეთა სახლში, სადაც დაგვხვდა აბრა ქართულ ენაზე: «ვედერკიდაშვილის აგარაკი». წაგვიყვანეს ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი), რომელიც საარიდან სულ 20-25 კილომეტრითაა დაშორებული, დაგვათვალიერებინეს ევროსაბჭოს სხდომათა დარბაზი.

რომელი ჩვენგანი წარმოიდგენდა მაშინ, რომ გავიდოდა სულ რაღაც ორი-სამი ათეული წელი და ამ დარბაზში დელეგატებად მოწვეული იქნებოდნენ ქართველი დეპუტატები, ტრიბუნაზე გამოვიდოდნენ ქართველები ქართულ, ინგლისურ თუ ფრანგულ ენებზე და გაიმართებოდა მსჯელობა დამოუკიდებელი საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე?!

ერთი ეპიზოდი

ერთ «კურიოზულ» შემთხვევასაც მიგიყვებით საბჭოთა სინამდვილიდან, რომელიც 80-ან წლების შუალედში გადამხდა ეგვიპტეში მივლინების დროს. ქალაქ ალექსანდრიასთან არის (ყოველ შემთხვევაში, მაშინ იყო) პატარა თანამედროვე ქალაქი, სადაც განლაგებული იყო ალუმინის გადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირმა აუშენა «მოძმე» არაბ ხალხს ჯერ კიდევ ნასერთან მეგობრობის დროს. რა თქმა უნდა, ნასერის მომდევნო ეგვიპტის ლიდერები არავითარი ფულის გადახდას არ აპირებდნენ. ისიც უთქვამთ: შეგიძლიათ დემონტაჟი გააკეთოთ და უკან წაიღოთ თქვენი ქარხანაო. ქარხანაში დამონტაჟებული იყო დასავლეთ გერმანიაში ნაყიდი მეტად ძვირად ღირებული ალუმინის სადნობი ელექტროღუმელები. რამდენადაც ვიცი, ასეთი ღუმელები მაშინ საბჭოთა კავშირშიც კი არ ირიცხებოდა. არ ვიცი რატომ და რისთვის, ეგვიპტელების ჯინაზე თუ მათ დასასჯელად, მიიღეს გადაწყვეტილება დემონტაჟის შესახებ და ამიტომაც მიავლინეს ეგვიპტეში თითქმის 50 სპეციალისტი მეტალურგი მემონტაჟე. მე, როგორც პირველი სამოქალაქო სპეციალობით ინჟინერ-მეტალურგი, მათ სიაში აღმოვჩნდი.

არ მოგაწყენთ იმის მოყოლით, თუ რა «გულთბილი» მიღება მოგვიწყვეს ეგვიპტელებმა. ერთია, რომ «ბაზის» გარეთ თითქმის ვერ გავდიოდით, ვინაიდან მაშინვე აგვედევნებოდა «დაქირავებული» ახალგაზრდების ხროვა, რომელიც

გამუდმებით გაიძახოდა ანტირუსულ ლოზუნგებს და ამის შემდეგ დაგვიშენდა დამპალ პომიდვრებს და ციტრუსებს.

ერთ მშვენიერ დღეს კაიროდან, საბჭოთა საელჩოდან დარეკეს და მთხოვეს: არა გვაქვს ახლა ფიზიკური საშუალება გამოვემგზავროთ, ალექსანდრიაში იმყოფება საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ტურისტული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც ირიცხება დეპუტატი, ეროვნებით ქართველი, სოციალისტური შრომის გმირი. შეგვატყობინეს, რომ ავად გამხდარა. გთხოვთ გაემგზავროთ ამა და ამ სასტუმროში, ინახულოთ და შეგვატყობინოთ, რა ხდებაო.

სხვა რა გზა მქონდა. გავემგზავრე ალექსანდრიაში, მივედი სასტუმროში და ამას რას ვხედავ: საწოლში წევს ჩემი უფროსი ძმის ანზორის თანაკლასელი, როგორც მოგახსენეთ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ბავშვობაში დიდად უსაქმური, რომ იტყვიან _ სრული ოროსანი, რომელმაც საშუალო სკოლა შემდეგ დაამთავრა, როდესაც «გმირი» გახდა. საშინლად კვნესის, შეწუხებულია, ვატყობ, დიდ და საშინელ ტკივილებს განიცდის. გამოვეცნაურეთ ერთმანეთს, გავიხსენეთ ბავშვობა, ორთაჭალა, მტკვარი, მეტეხი და სხვა მრავალი. ამიხსნა, რომ კუჭი სტკივა და მის არეში აქვს საშინელი გვემა. Dუკვე ასე 2-3 საათია. ვურჩიე ექიმის გამოძახება, რაზედაც სასტიკი უარი მითხრა, აბა ამის ფული სადა მაქვსო. მართალი გიხრათ, არც მე მქონდა ამის ფული და სრულებითაც არ ვიყავი განწყობილი ქველმოქმედებისათვის. ასე გაგრძელდა თითქმის საღამოს 9-10 საათამდე. შემდეგ ფული გამიჩნდა, ერთ საათში გაჩნდა ექიმი, რაღაც წამალი დაალევინა, რაღაც ნემსი გაუკეთა და წავიდა. დაიბარა, ყველაფერი რამდენიმე საათში კარგად იქნებაო. ექიმი კი წავიდა, მაგრამ ავადმყოფს ვერაფერს კარგს ვერ ვამჩნევ. ისევ წუხს, ტკივილები აწუხებს. შემდეგ მომიბრუნდა და მთხოვა დაახლოებით შემდეგი: «ქართველები ვართ, ბავშვობა ერთად გაგვიტარებია. საერთო მეგობრებიც ბევრი გვყავს, ვატყობ, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ, ალბათ დილამდე მოვკვდები, შენ სახელმწიფოს კაცი ხარ, ერთი უკანასკნელი თხოვნა მაქვს, ჩემი გვამი აქ არ დაატოვებინო, მოახერხე ისე, რომ საქართველოში ჩამასვენონ, იქ, ჩემს თბილისში დამასაფლავონო». შემდეგ მოყვა თავის «ბიოგრაფიას». აბა მე რა გმირი ვარ, ან უმაღლესი საბჭოს დეპუტატიო, ერთი უბრალო უსწავლელი ორთაჭალელი ბიჭი ვარ. სწავლა არ მოვინდომე, სად არ ვიმუშავე, მერე კალატოზობა ვისწავლე. ჩემდა ბედად რუსეთში ვიღაც კალატოზი აღმოჩნდა გვარად ზლობინი, ვითომდა ბრიგადირი. გამოცვალა თავისი წარმატებული ბრიგადა ჩამორჩენილზე და იქაც წარმატებას მიაღწია. 2-3 თვის საწარმოო გეგმა ერთ თვეში შეასრულა. მომნახეს თბილისის პარტიულმა მუშაკებმა და შემომთავაზეს იგივე გამეკეთებინა. მეც რაში მენაღვლებოდა, გავაკეთე ის, რაც საჭირო იყო. გამომაცხადეს გაზეთებში და ტელევიზიაში, სადაც ქართველ ზლობინად მიხსენებდნენ. ამას მოჰყვა შრომის გმირობა, დეპუტატობა და ცხოვრებამ სულ სხვა ელფერი მიიღო. ხანდახან მეძახიან მოსკოვში სესიებზე. ჩამოვდივარ იქიდან ჩაშმოტკილი, დეფიციტური ჩასაცმელებით, რომლებსაც სესიის დროს ვყიდულობ სპეცმაღაზიებში, მაგრამ ადამიანის კუჭი და ჯილაგი გაუმაძღარია. შემიჩნდნენ ცოლი და სიდედრი, წადი საზღვარგარეთ, ჩამოიტანე რამეო... და აქ ისე ხმამაღლა და გემრიელად, შეუკურთხა ცოლს და სიდედრს, რომ შეიძლება კიდეც გაიგონეს შორეულ თბილისში. აი, მათი ბრალია, მაგ სულძაღლების, რომ აქ ამ სიშორეს ვკვდებიო. შენ თვითონ მითხარი, აბა რა ჩემი საქმეა პირამიდები, ფარაონების თუ მათი ცოლების გამომშრალი მუმიები?! სპეცდავალებით გამოვემგზავრე, კერამიკის ჭაღები უნდა ჩავიტანო, ოქროულობა,

რომელიც აქ იაფი ღირსო და მრავალი სხვა. მით უმეტეს, როგორც საკავშირო დეპუტატს, დიპლომატიური პასპორტი მაქვს და საზღვარზე ხელშეუხებელი ვარო.

აი, ასეთი აღსარების მოწმე გავხდი მაშინ შორეულ ეგვიპტეში. როგორც შემეძლო, დავამშვიდე. გავიდა ცოტა ხანი და ჩაეძინა, მეც სავარძელში ჩამძინებია და დაახლოებით დილის 7-8 საათზე ისევ შევხედე ჩემს «გმირს». გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დილის სურათმა სასტუმროში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ალბათ ცხოვრებაში პირველად ვირწმუნე სასწაული. ეს ჩემი გმირი ოთახში ბოლთას სცემდა საღსალამათი, არავითარი ტკივილი არ აწუხებდა, სახეზე ჩვეული ფერიც დაბრუნებოდა. თურმე უკვე ორი საათია, რაც ელოდება ჩემს გაღვიძებას, რომ გამოჯანმრთელება მახაროს. დაახლოებით დილის ხუთ საათზე დიდი წვალებით «უშობია» კენჭი, დაახლოებით 2-3 მილიმეტრის დიამეტრისა (ის წამალიც ალბათ ამისთვის იყო გაანგარიშებული, რომ დაეჩქარებინა «მშობიარობა»). მეც გავიზიარე მისი სიხარული, ვისაუზმეთ, დავრეკე საელჩოში, შევატყობინე «ოპერაციის» წარმატებული დასასრული, რამაც მათი სიხარულიც გამოიწვია, რადგან ასე ადვილი საქმე ხომ არ იყო საკავშირო დეპუტატის, გმირის, ეგვიპტეში ავადმყოფობა და სიკვდილი, რაც მათ ალბათ დიდ დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა.

მეგონა, ამით გათავდა ეს ამბავი: მე სამსახურში დავბრუნდი, დეპუტატმა კი განაგრძო პირამიდებისა და მაღაზიების შესწავლა... მაგრამ, თურმე სადა ხარ? ერთ დღეში ჩემს პატარა ქალაქში ჩამოვიდა დეპუტატი, ლუდზე დამპატიჟა, გამიბა საუბარი და დამიწყო «ბოდიშების მოხდა». მაპატიე, ისე მიჭირდა, თვითონაც არ ვიცი, რას ვამბობდი, ასე მახსოვს, ცოლ-შვილს ვლანძღავდი, საბჭოთა კავშირიც მივაყოლეო და დაიწყო გაუთავებელი «ბოდიშები»... დაახლოებით იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომელიც აღწერილი აქვს გენიალურ ჩეხოვს თავის ნოველაში «ჩინოვნიკის სიკვდილი». სადაც უბედურმა ჩინოვნიკმა უნებლიეთ დააცხიკვა მელოტ თავზე გენერალს და ამის შემდეგ იმდენჯერ იხადა ბოდიში, ვიდრე გენერალმა არ გამოაგდო და რის გამოც გული გაუსკდა და მიიცვალა, ოღონდ იმ გამონაკლისით, რომ ჩემი «გმირი», სულ უფრო და უფრო «მაწვებოდა». შემდეგ შემომთავაზა: ყველა ამ ცოდვის შვილები ვართ, შენც გყავს ცოლ-შვილი, შენც გინდა მათ ჩაუტანო ალბათ დეფიციტური ჩასაცმელიო და თუ რამე გასაყიდად გაქვს ჩამოტანილი, მე მომეცი, მე მყავს ხალხი და გავაყიდინებო, შენ რაიმე ხიფათი არ შეგემთხვესო. ძლივს დავარწმუნე, რომ აქ საკმაო ხელფასს გვიხდიან და არ ვსაჭიროებ ასეთ დახმარებას-მეთქი. შევატყვე, არ მოეწონა ჩემი პასუხი, შეწუხდა, ჩაიყო ხელი ჯიბეში, ამოიღო ალბათ რამდენიმე ასეული დოლარი და შემომთავაზა მატერიალური თუ მორალური დახმარებისათვის. ესეც რომ უარვყავი, ძალიან შეწუხებული წავიდა. როგორც მივხვდი, ისეთი რამ უნდა გაეკეთებინა, რომ იმედი ჰქონოდა, მის «საიდუმლოებას» არ გავთქვამდი... არა მგონია, ეს შემთხვევა სასაცილო იყოს, ალბათ უფრო სატირალია. რას იზამ, ასეთი იყო დრო და ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, ერთეულ გამონაკლისებს არ წარმოადგენდნენ.

გია და გიას წინაპრები
(გია ფოცხვერიას ორტომეულის ბოლოსიტყვაობა)

I

გიორგი (გია) _ ჩემი და ლიანას პირველი სიხარული, პირველი გახარება ცხოვრებაში და ჩვენი განუკურნელი ტკივილი სიცოცხლის ბოლომდე... რამეთუ ჩემი და ლიანას ცხოვრება ფაქტიურად წარმოუდგენელია ჩვენი გიას გარეშე... ფაქტია და ამას ვერსად გავექცევით, რომ ის ცხოვრება, ის სიხარული, ის მისწრაფება, რაც ჩვენ გაგვაჩნდა, უკვე ვერ გამეორდება... გიამ თან წაიღო საფლავში თვით ჩვენი სულისკვეთება სიცოცხლისა და არსი ამ ქვეყანაზე ჩვენი არსებობისა...

ჩვენდა საუბედუროდ, მე და ლია რეალისტები ვართ და ცხოვრების ამ მკაცრ სინამდვილეს ვერსად გავექცევით.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს ჩვენი დავითი (კახა), მისი შვილები ნიკოლოზი (ნიკა), დიმიტრი (დიმა), ჩვენი რძალი (შვილი) ნატო, მაგრამ მათ თავისი განუყოფელი ადგილი უკავიათ და ეკავებათ ჩვენ სიყვარულში მათ მიმართ...

დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ, რომ გვერდით ვიდგეთ ჩვენ შვილებთან, შვილიშვილებთან, სანამ ღმერთი მოგვცემს ამის საშუალებას და ყველაფერს გავაკეთებთ მათი კეთილდღეობისათვის, ვეცდებით ჩვენს დავითს შევუმსუბუქოთ ის დანაკლისი, რაც მან გადაიტანა ძმის დაკარგვის გამო, რამეთუ გია არა მარტო ძმა იყო მისი, არამედ მამობრივი მზრუნველობით ზრდიდა მას და მთელი ცხოვრება ჰქონდა მისი იმედი, იმედი იმისა, რომ ჰყავდა უფროსი ძმა, რომელიც მხარში ამოუდგებოდა ჭირში და ლხინში. მადლობა ღმერთს, რომ დავითს და ნატოს ესმით ეს ჭეშმარიტება, რომ ვერასოდეს შეგვიცვლიან ჩვენ გიას და ესმით ის მწუხარება, რაც თავს დაგვატყდა ჩვენ, მშობლებს. «ღმერთო მაღალო, ისმინე ჩვენი ვედრება, ჩვენი თხოვნა, არცერთ მშობელს არ მოასწრო შვილის სიკვდილი... თუნდაც მტერს».

პირველად გია ვნახე დაბადების მეორე დღეს... პატარას მშვიდად ეძინა. შემდეგ ბავშვობა. იზრდებოდა მხიარული, ცელქი, მოხარული ამა ცხოვრებისა. არაფერში გადაჭარბება არ იცოდა, არც ცელქობაში და არც მხიარულებაში. განვლილი წლების გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ხანდახან ბავშვობის დროსაც კი იყო ჩაძირული თავის ფიქრებში და ბავშვურ ფილოსოფიაში, წყნარად მაყურებელი ცხოვ-რებისა.

ისე აგვეწყო მე და ლიას ცხოვრება (ლია პირველ კურსზე იყო, როცა გათხოვდა და თან მუშაობდა), ბავშვის აღზრდა ბებია-ბაბუების ხელში აღმოჩნდა. ლია სწავლობდა, მუშაობდა სახლში და გარეთ, მე კი პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ე.წ. სამსახურეობრივი კარიერის გზაზე. «აბსოლუტური» ნულიდან დავიწყეთ ოჯახის შენება. ბინის უქონლობა, მატერიალური შეზღუდვები, არც გავლენიანი ე.წ. «ბიძები» და «დეიდები». ლიას მშობლები, ბებია, ბაბუა შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდნენ, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო სამკარისი ოჯახის მატერიალური არსებობისათვის. იყო დრო (1964-1967), როცა მე და ლია ორ-სამ სამსახურში ვმუშაობდით, რომ ოჯახი შეგვენახა, ფეხზე დაგვეყენებინა (და ეს ყევლაფერი მაშინ, როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, სიცოცხლით სავსე და არც ისე უარყოფითად ვიყავით განწყობილი დროსტარებისადმი). მაგრამ არ ვიცი, საიდან (რა თქმა უნდა, ღვთის შემწეობით) შევიძინეთ მე და ლიამ ასეთი ენთუზიაზმი, პასუხისმგებლობა ოჯახის, შვილების, მშობლების მიმართ, რამაც ასე ერთად გვამყოფა აი უკვე 43 წელიწადი. ხელიხელჩაჭიდებულნი ვცხოვრობდით, ვაშენებდით ოდესღაც ბრწყინვალე, მდიდარ, მაგრამ XX საუკუნის 20-ან წლებში უკვე წაქცეულს, შემდეგში გაპარტახებულ ფოცხვერიებისა და იაშვილების გაერთიანებულ ოჯახს. გია იყო ის პატარა მეგზური ჩვენი ცხოვრებისა, რომელმაც გვასწავლა მშობლობა და მეგობრობა. ერთად ვიზრდებოდით, ერთი სულით ვცხოვრობდით. შემდეგ გიას სკოლაში სწავლა, დაახლოებით სამი-ოთხი თბილისის სკოლა გამოიცვალა.

არადამაკმაყოფილებელი ბინის გამო გვიხდებოდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. 1973 წლიდან (შეუღლების 10 წლის შემდეგ), როგორც იქნა, დავსახლდით საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩაზე. გიას სკოლაში თითქმის არავითარი პრობლემა არ შეუქმნია ჩვენთვის, გარკვეულ პერიოდებში VI-VII კლასებამდე ხუთებზე სწავლობდა, შემდეგ შეერია ოთხები. ძალიან მომთხოვნი აღმოჩნდა პედაგოგების მიმართ. ყველა იმ საგანს, რომლის მასწავლებელიც მოსწონდა, აუცილებლად კარგად სწავლობდა. განსაკუთრებულ ნიჭს იჩენდა მათემატიკაში. მერვე კლასიდან, კონკურსის შემდეგ, ჩაირიცხა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სპეცსკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1981 წელს. მახსენდება ერთი დიალოგი ჩემსა და ჩემს შვილს შორის, როცა გია მეცხრე კლასში იყო: «გია, თუ ცოტას მოინდომებ, თავისუფლად შეგიძლია ხუთოსანი იყო». დაფიქრდა რამდენიმე წუთით და მიპასუხა: «მამა, ჩვენს სკოლაში ერთი ნამდვილი ხუთოსანია, ბუნებით მონიჭებული მათემატიკოსი, შეიძლება გენიოსიც არისო (გვარი არ მახსოვს), იმასთან ჭიდილი არ შემიძლია ჩემი გაქანებით და ნიჭით. დანარჩენი ორი ხუთოსანი დედიკოების გავლენით არიან ხუთოსნები და მათ გვერდზე ყოფნა არ მსურსო». არ ვიცი, რამდენად ძლიერი ბავშვური ლოგიკა იყო, მაგრამ ამ თემაზე მასთან საუბარი შევწყვიტე, რადგან შთამომავლობით გიას გვარში ბევრი ჰყავდა «ხუთოსანი», და ე.წ. ხუთოსნობას თუ არ დააყოლე ცხოვრების გამოცდილება, წინააღმდეგობის გადალახვის ნებისყოფა, ისე ვერაფერს მიაღწევ ამ ცხოვრებაში (ეს ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვიცი). გავიხსენებ ერთ ეპიზოდს გიას სკოლაში სწავლების პერიოდიდან. გია მეშვიდე კლასშია, ქუთაისის პირველ სკოლაში (ყოფილი გიმნაზია). შაბათი დღეა. მე სამსახურში ვიმყოფები. ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილში სკოლის დირექტორის ხმა ისმის (ხანშიშესული, სიმპათიურ, ინტელიგენტი ბრძანდებოდა, შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი). განწირული ხმით (შეიძლება მომეჩვენა) მატყობინებს: «თქვენმა შვილმა იჩხუბა ამხანაგებთან, ტრავმა მიიღო». არ მახსოვს, როგორ გამოვიძახე მანქანა, რამდენ წუთში ან წამში ვიყავი სკოლაში. სკოლის ეზოში მხვდებიან დირექტორი, პედაგოგები (ამან სულ დამაბნია, ვერ აღვიქვამ რა მოხდა). გულს და გონებას მიღრღნის ფიქრი: «რაიმე უბედურება ხომ არ არის ჩემს თავს?»... შევდივარ დირექტორის კაბინეტში და რას ვხედავ. დირექტორის კაბინეტი საკმაოდ დიდი ფართობისაა, საერთო მაგიდიდან გამოუტანიათ დირექტორის სავარძელი (საკმაოდ გაცვეთილი, ოდესღაც მოოქრო-ვილი), რომელიც დგას კაბინეტის შუაში და შიგ ზის გაყუჩებული, ცოტაოდენ ცხვირდაზიანებული ჩემი გია (შემდეგში ეს დაზიანება გაჰყვა მთელი ცხოვრება და მისცა ნამდვილი ბერძნულ-კავკასიური იერი). მომეჩვენა, რომ ყველა ერთად მიხსნიდა თუ რა მოხდა. მხოლოდ გიაა გაჩუმებული, შევეკითხე: «ლაპარაკი შეგიძლია-მეთქი?» «რა თქმა უნდაო». მეტს არაფერს ამბობს და ვატყობ, არც არაფერს მეტყვის. ვთხოვე დირექტორს, პედაგოგებს, მარტო დამტოვეთ ბავშვთან, დაველაპარაკები-მეთქი. არ უნდათ გასვლა, გრძნობენ პასუხისმგებლობას. თხოვნა გავიმეორე აუღელვებლად და კორექტულად. ყველანი გავიდნენ. ჩვენი დიალოგი დაახლოებით ასეთი იყო:

_ გია, რა მოგივიდა?

_ ვიჩხუბე.

_ გტკივა რამე?

_ არა, არაფერი არ მტკივა, რამდენიმემ შემომიტია...

_ აბა რას შესკუპებულხარ მაგ სკამზე ბოგდახანივით გაუნძრევლად?

_ რა ვიცი, როცა გაგვაშველეს, ბიჭები გაიქცნენ, ალბათ ახლა სკოლაში არც არიან, მე კი იმ წუთშივე ფაქტიურად «დამატყვევეს» პედაგოგებმა, შემომიყვანეს აქ, დამსვეს სავარძელში, იოდი და სუნამო წამისვეს. მიბრძანეს, არ გაინძრეო. მივხვდი, შენ დაგირეკავდნენ.

_ გია, ვინ გცემა, ვის ეჩხუბე?

_ მამა, ხომ იცი, არ გეტყვი. დაკითხვა მომიწყვეს და არ ვუთხარი. არც შენ გეტყვი. ძალიან გთხოვ, ნუ ჩაატარებ შენებურ გამოძიებას, მე თვითონ გავუსწორდები მათ. არავითარი ბოღმა არ მაწუხებს, მეც ვიყავი საკმაოდ დამნაშავე.

_ გია, სიარული თუ შეგიძლია?

_ რა თქმა უნდა, მამა. _ წამოხტა, შევატყვე არაფერი არ სტკივა. მხიარულად არის, იცინის...

_ გია, ჩადი, მანქანაში ჩაჯექი, სახლში წავიდეთ.

_ გთხოვ, მამა, არაფერი არ უთხრა დედას და ბებიას, ინერვიულებენ.

_ კარგი, გია.

გამოვედი, დავამშვიდე დირექტორი, პედაგოგები. ვუთხარი, რომ არავითარი პრეტენზიები მათ მიმართ არა მაქვს. ერთ ცხოვრებად ღირდა მათი შეხედვა ასეთი ფინალის შემდეგ. შემდეგ ჩემმა გიამ შესანიშნავად აღწერა ეს ეპიზოდი თავის ნოველაში «ვალერია». როგორც გვიან გავიგე, ბიჭებიEშერიგებულან და კარგი მეგობრებიც იყვნენ წლების განმავლობაში.

რატომ გავიხსენე ეს ეპიზოდი? მე მგონია, იგი კარგად ახასიათებს გიას პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. ასეთი მრავალი ეპიზოდის გახსენება შეიძლება... მხოლოდ ერთზე შევჩერდები. საკმაოდ დიდი კამათი მოგვივიდა ერთ თემაზე. გიას და მის კლასელებს X-XI კლასებში მორიგეებად ნიშნავდნენ სკოლაში, რათა მიექციათ ყურადღება უმცროსკლასელებისათვის. სკოლის დირექტორმა მაცნობა, რომ გია არ იჩენდა საკმაო სიმკაცრეს უმცროსკლასელების მიმართ... ჩემს კითხვაზე თუ რატომ აკეთებდა ამას, მან დაახლოებით ასე მიპასუხა: «მამა, ისინი ხომ თავისუფალი, ლაღი ადამიანები არიან. გაიხარონ, აძვრნენ მერხებზე, ზომიერად უბათქუნონ ერთმანეთს და ა.შ. მათ ასაკში მეც ასე ვიქცეოდი. მე ვერ შევზღუდავ მათ თავისუფლებას. ისე კი ყურადღებით ვარ, რომ ერთმანეთს არაფერი დაუშავონო». ვერაფერი ვუპასუხე, ბავშვის, უკვე ყმაწვილის, ლოგიკა ძალიან მომეწონა და თან გამაკვირვა, მაშინ, დაახლოებით 70-ანი წლების ბოლოს, ასეთი რამის გაგონებას არ ველოდი. ერთს კი მივხვდი. ეს ბავშვები სხვანაირად აზროვნებენ, სხვანაირად უყურებენ ცხოვრებას. თანდათან ქრება მათში ფანატიზმი კომუნისტური აღმშენებლობის იდეისა.

ახლა ალბათ სასაცილოა (შეიძლება სატირალიც), მაგრამ, როცა კომკავშირში მიღებდნენ, ერთი წელი მოვიმატე. მთელი ღამე არ მეძინა, ვნერვიულობდი. კომკავშირის რაიკომში სამი საათით ადრე მივედი. აი რას ნიშნავდა სტალინური პროპაგანდული მანქანა.

საწყალ ბებიას, დედას, რომელთაც რეპრესირებული ჰყავდათ შვილი, ძმა, სიძე და ა.შ., არასოდეს არ უგინებიათ ჩემთან და ძმასთან საბჭოთა ხელისუფლეფლება. არც უცდიათ. ჩვენს აღზრდას, რა თქმა უნდა, ქრისტიანული წესებით ცდილობდნენ, მაგრამ თვით მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლების მცდელობა არ ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ ეშინოდათ, ეშინოდათ, რომ კომუნისტურ რეჟიმს ისევე არ ჩავეყლაპეთ მათი საყვარელი ხალხი. ლოცულობდნენ ჩუმად, თავისთვის, რამდენჯერ ვითომ «მძინარეს» მინახავს და მომისმენია, როგორ ლოცულობდა ბებია,

დედა. მათი სიტყვები «ღმერთო, შენ მიეც სიცოცხლე, გახარება ჩემს ანზორს და ჯემალისო...» და შემდეგ პირჯვარს გადაგვწერდნენ ძილში და ჩუმად გვკოცნიდნენ.

ვერ ვიტყვი, გიას დაახლოებით 10 წლამდე წიგნების კითხვა უყვარდა-მეთქი. ამაზე არა ერთი «ლექცია» წავუკითხე. წავაწყდი გარკვეულ წინააღმდეგობას. შემდეგ სხვა მეთოდს მივმართე. წიგნები, წიგნები _ მე მათ მთელი ცხოვრება ვაგროვებდი, მოსწავლეობის და სტუდენტობის დროს, შემდეგ კი ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო მათი შეგროვება პრობლემას არ წარმოადგენდა, მათ შორის ისეთი წიგნებისაც, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს აკრძალული იყო. მოვიტანდი წიგნებს, დავაწყობდი მაგიდაზე, ვთხოვდი ლიას, დედას, არ შეელაგებინათ კარადაში. საუზმის, სადილის ან სახლში დასვენების დროს ვუყვებოდი დედას, ლიას, რომლებიც ოჯახური საზრუნავის გამო შეიძლება არც მისმენდნენ, თუ რა წიგნები მოვიტანე, ვუყვებოდი მათ დაახლოებით შინაარს, ავტორების შესახებ, მათ ბიოგრაფიას და ა.შ. და ა.შ. ვცდილობდი, მათ არ შეემჩნიათ, რომ ამას მიზანდასახულად ვაკეთებდი. გადის ერთი-ორი დღე, ვატყობ, წიგნები მაგიდაზე გადაუშლიათ, შემდეგ უცდიათ წაეკითხათ, შემდეგ კი მივიღე ის, რაც მივიღე. გიას საინტერესო წიგნს (ისტორიული ლიტერატურა, დრამატურგია, პროზა, პოეზია და ა.შ.) ხელიდან ვერ გამოსტაცებდი და ხშირად ოჯახში რიგიც იყო რომელიმე წიგნის წაკითხვის თანმიმდევრობისა და, რა თქმა უნდა, მხოლოდ გიას შემდეგ.

გიამ დაამთავრა სწავლა სკოლაში, დადგა დრო არჩევანისა, სამწუხაროდ, ჩვენს შორის შედგა ძალიან ზერელე საუბარი პროფესიის არჩევისა. გია უფრო მეტად მისმენდა. არ გაიხსნა, არ მითხრა სათქმელი და მე ე.წ. ოჯახური ტრადიციების დაცვის ფილოსოფიით ვურჩიე ინჟინერი გამხდარიყო. დამეთანხმა. ასე გახდა გია სტუდენტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, იმ დროს ალბათ ყველაზე «პრესტიჟული» ფაკულტეტისა _ «ავტომშენებლობის». რამდენი ახალგაზრდა ჩათვლიდა თავს ბედნიერად ესწავლა ამ ფაკულტეტზე და შემდეგ ან ავტოინსპექტორი ან ავტოპროფილაქტიკის თანამშრომელი გამხდარიყო და ეშოვა ფული, სიმდიდრე დაეგროვებინა... მაგრამ ეს არჩევანი ჩვენი ოჯახისათვის და თვით გიასთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

დაახლოებით მესამე კურსის დასაწყისში (როდესაც ჩვენი ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად), გია მარტო დავტოვეთ თბილისში ბებიისა და მეზობ-ლების ანაბარა. ეს კი ჩემი და ლიას ალბათ ყველაზე გამოუსწორებელი სტრატეგიული შეცდომა იყო, რომ გია არ გადავიყვანეთ მოსკოვში. რატომ იყო ეს შეცდომა? თუნდაც იმიტომ, რომ გია მოსკოვში სხვა ატმოსფეროში, სხვა გარემოცვაში მოხვდებოდა და ა.შ. ალბათ სულ სხვა გზით წავიდოდა ამ ცხოვრებაში და აგვცილდებოდა ეს ტრაგედია, რაც შეგვემთხვა ტემზის ნაპირებზე.

ერთ-ერთი თბილისში ჩემი ჩასვლისას, შევამჩნიე, რომ გია გამოიცვალა და მერე როგორ: ინსტიტუტში სწავლას უკლო, გახდა გულჩათხრობილი, მთელი დღეებით იკეტებოდა თავის ოთახში, უსმენდა მუსიკას. საღამოობით ცოტა ეძინა და წერდა, წერდა ლექსებს. როგორც იქნა, დედამ გაარკვია თუ რა ხდებოდა. აუღო ალღო შვილის განწყობას. მითხრეს, რომ გიას არ უნდა სწავლა, არ უნდა გახდეს ინჟინერი და ა.შ. უნდა რეჟისორობა და კინოს გადაღება და ბოჰემური (ჩემი მაშინდელი აზრით) ცხოვრება. ჩემდა საუბედუროდ, წინააღმდეგობა გავუწიე, რამეთუ ვერ მივხვდი, ვერ გავაანალიზე შექმნილი მდგომარეობა, ვერ გავუგე შვილს, დედამისს, ვერ შევიგრძენი და ვერ აღვიქვი თვით გიას ფილოსოფიური სამყარო, მისი სული, მისი განწყობილება (რაც შემდეგ ძალიან ძვირად დამიჯდა). მივიღეთ ე.წ.

კომპრომისული გადაწყვეტილება. დაამთავროს პოლიტექნიკური და შემდეგ, თუ აზრს არ შეიცვლის, დავეხმარები მიზნის მიღწევაში. ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მივხვდი, რომ გია არ იყო ის პიროვნება, რომელიც აზრს შეიცვლიდა, თუ რამეს გადაწყვეტდა, ფანატიკური მიზანდასახულობით შეუდგებოდა ამ გადაწყვეტილების შესრულებას. აქაც დავუშვი გამოუსწორებელი შეცდომა. მე დავკარგე სამი წელი გიას გაზრდაში და ვაიძულე შვილი, სამი წელი ჩემი ხათრით და მორიდებით ეკეთებინა ის, რაც არ მოსწონდა და არ სურდა. ღმერთი რომ დამხმარებოდა და მიმეღო სწორი, გიასთვის სასურველი (მართალია, პრინციპული და არაორდინარული) გადაწყვეტილება, დღეს შეიძლება ჩემი შვილი ცოცხალი მყოლოდა, რამეთუ ისევ და ისევ ვიმეორებ, შეიცვლიდა თუ არა მკვეთრად ცხოვრების ატმოსფეროს და წესს, ალბათ (ჩემდა საუბედუროდ მხოლოდ ალბათ) სულ სხვა გზით წავიდოდა მისი ცხოვრება და შეიძლება (შეიძლება მხოლოდ) არ მივსულიყავით ამ ტრაგიკულ ფინალამდე.

უკვე სტუდენტობის პერიოდში გია გარკვეულწილად ჩაება რეჟისურაში, თან სწავლობდა და თან ეხმარებოდა ერთ რეჟისორს ძველი ქართული მუნჯური ფილმების აღდგენაში («ამოკი», «ელისო», «მატარებელი» და სხვა). მართალია, იმ რეჟისორს დაავიწყდა შემდეგ გიას აღნიშვნა ტიტრებში, როგორც ასისტენტისა, მაგრამ ეს ეპიზოდი მის სინდისზე იყოს.

დაამთავრა თუ არა სწავლა, გიას ერთი დღეც არ უმუშავია მიღებული სპეციალობით. მუშაობა დაიწყო (1984-1985) ტელევიზიაში, ტელეფილმების სტუდიაში ე.წ. «ეკრანში». მალე რეჟისორმა დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილმა დაიწყო თავისი «შედევრის» ფილმ «ცარიელი ბინის» გადაღება და გია მისი ასისტენტი გახდა. არ ვიცი, რა სარეჟისორო სკოლა გაიარა გიამ ამ «სახელოვანი» რეჟისორის მეშვეობით, მთავარია გია კმაყოფილი იყო (რამეთუ რაიმე ცუდს მას ვერავისზე ვერ ათქმევინებდი).

გასახსენებელია კიდევ ერთი ეპიზოდი ჩემი გიას ცხოვრებიდან, რომელსაც ალბათ შეეძლო, თუ მთლიანად არა, გარკვეულწილად შეეცვალა მისი ცხოვრების გზა და რაც საბაბს მაძლევს ახლა ვიფიქრო, რომ შეიძლება ეს ტრაგიკული ფინალი არ დამდგარიყო. 1989 წელს გიამ შეიტანა საბუთები მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო კურსებზე. გამოცდები აპრილ-მაისში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ გადაიტანეს ნოემბერში. ამ დროს გავიგეთ, რომ აგვისტოში თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ცნობილი რეჟისორი გიორგი შენგელაია ქმნიდა სარეჟისორო ჯგუფს. გიამ გადაწყვიტა ისევ დაბრუნებულიყო თბილისში და ჩაებარებინა გამოცდები. მე მგონი, ეს შემთხვევა საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ოჯახისათვის და თვით გიასთვისაც. რადგან მას მოსკოვში რომ ჩაებარებინა, ეს მთლიანად შეცვლიდა მის გარემოცვას, ინტერესებს, მისწრაფებებს, მაგრამ ისევ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

შემდეგ _ სწავლა თბილისში, 9 აპრილის ღამე თბილისში, ქვეყნის დანგრევა, სამოქალაქო ომი, ცხინვალი, აფხაზეთი... ყველაფერმა ამან გადაიარა ჩემი შვილის თავზე, შემდეგ უახლოესი მეგობრის (თანაჯგუფელის) კახა ჩანტლაძის ტრაგიკული სიკვდილი, იმ მეგობრისა, რომელიც მან გადაიღო საკურსო ფილმში, რომლის სცენარითაც გმირი (კახა) კვდება. რა იყო ეს? გარკვეული წინასწარმეტყველება თუ ბედის ირონია? არა მგონია, რომელიმე ადამიანს, გარდა მშობლებისა და ახლობლებისა, ასე განეცადა კახას სიკვდილი. დაუჯერებელია, მაგრამ ვიცი, რომ კახას ტრაგიკულ გარდაცვალებაში რატომღაც მასაც თავი დამნაშავედ მიაჩნდა...

დაახლოებით ამ პერიოდში შედგა ჩვენი არასასიამოვნო საუბარი. არ ვიცი, ეს განგება იყო თუ რა? ჩემდა საუბედუროდ, სახლში მოვიტანე ტერენტი გრანელის ლექსების კრებული. ძალიან მომეწონა, ვაქე რითმა, წყობა ლექსისა. ვუთანაგრძნე პოეტის ტრაგიკულ ბედს, მაგრამ გარკვეულწილად დავგმე მისი პესიმიზმი, ლტოლვა სიცოცხლიდან წასვლის, ოდა სიკვდილისა და ა.შ. გიამ წაიკითხა და არა მარტო წაიკითხა, გრანელი (ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში) გახდა მისი პირველი სათაყვანებელი პოეტი. ამას მოჰყვა არასასიამოვნო საუბარი, რომლის დროსაც გია ყოველგვარად იცავდა და ამართლებდა პოეტის პესიმიზმს, მისტიციზმს და ა.შ. ამან კი საკმაოდ დამაფიქრა. «გია, ტერენტის სულ სხვა ცხოვრება ჰქონდა, გაჭირვება, შიმშილი, მას ვერ გაუგეს. შენ რა გიჭირს, ჯანღონით სავსე პერსპექტიულ ახალგაზრდას. გაქვს მიზანი, ისწავლე, იშრომე და მიაღწევ დასახულ მიზანს-მეთქი». მაგრამ, ამაოდ. საუბედუროდ, შევატყვე, რომ ჩვენს შორის რაღაც კედელი გაჩნდა. ამაში დავრწმუნდი, როცა (უნდა გავამხილო) მისი ნებართვის გარეშე წავიკითხე მისი ლექსები. ო, ღმერთო ჩემო, 18-19-20-21 წლის ახალგაზრდა ამხელდა თავისი გაგებით და ფილოსოფიით ამ ცხოვრების ამაოებას, ხოტბას ასხამდა იმქეყნიურ ცხოვრებას, სიკვდილს და ა.შ. ძალიან მტკივნეულად (მე ვიტყოდი, გადამეტებულად) განიცდიდა ამხანაგების ღალატს, ორგულობას, მათი ამ ქვეყნიდან წასვლა კი ტრაგედიად წარმოედგინა, ჭარბად იყო მისტიკა, რელიგია და ა.შ. დიახ! შედგა საუბარი, რომელმაც არავითარი შედეგი არ გამოიღო. გიას დარწმუნება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ამ საუბარმა მომიტანა მხოლოდ ის, რომ იგი, როგორც პოეტი, ჩაიკეტა და შემდეგ ისე კარგად ინახავდა ნაწერებს, რომ მე ისინი აღარ მინახავს და ამ ეპიზოდის შემდეგ არ უცდია წაეკითხა ჩემთვის რომელიმე მისი ლექსი. საუბედუროდ, ახლა, როცა გია აღარ არის, და მე არამარტო შევკრიბე, სისტემაში მოვიყვანე და წავიკითხე მისი თითქმის ყველა ლექსი, ნოველა და რომანი, შემიძლია მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება: გია ფოცხვერიას, დაწყებული ბავშვობის წლებიდან (ჩემდა საუბედუროდ), ჰქონდა მიდრეკილება მისტიკისადმი, როგორც ღვთისმოსავ ადამიანს, სჯეროდა და წავიდა ამ ცხოვრებიდან დაჯერებული. წავიდა იმ შეგნებით, რომ ყოველთვის იქნება ჩვენთან, რომ ილოცებს ჩვენთვის და ზეციდან დაგვეხმარება სწორად, ქრისტიანულად. მართალია, წინ ვუსწრებ მოვლენებს, მაგრამ არ შემიძლია არა ვთქვა შემდეგი: თითქმის მის ყველა ლექსში არის თხოვნა მაცხოვარის, ღმერთის მიმართ, რომ შეუნდოს მას ცოდვები, რომ ცოდვილია და ა.შ.

ჩემი ცხოვრების გადასახედიდან მე _ ერთ-ერთ მოკვდავს _ შემიძლია ვთქვა: გიას, რომელმაც ასე (ჩემი გაგებით და შეგნებით) წმინდად იცხოვრა, რა ისეთი ცოდვები ჰქონდა, რას ინანიებდა ასე, რა იყო მისი აღსარებების მიზეზი? ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, ყველა ცოდვილი ვართ ამ ქვეყანაზე, მაგრამ ხომ არსებობს ცოდვილობაშიც განსხვავებები? თუ ჩემი გაგებისათვის ეს აღუქმელია? თუ გია ცოდვილია, მაშინ ვინ ვარ მე, ვინ არიან და რამდენად ცოდვილნი არიან მის გარშემო მყოფი ადამიანები, რომლებიც თავს მორწმუნეებად თვლიან, დადიან ეკლესიაში, სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ... ლოცულობენ... ლოცულობენ... და შემდეგ გამოვლენ თუ არა ეკლესიიდან, გადაიწერენ პირჯვარს და ებმებიან ამ მკაცრი ცხოვრების სინამდვილეში, იბრძვიან (ყველა მართალი თუ არამართალი ქმედებით) დასახული მიზნის მისაღწევად?

არ ვიცი, ვერ გამიგია, რა ისეთი ცოდვები აწუხებდა ჩემს გიას, რაც გავიგე მისი ჩანაწერებიდან, ლექსებიდან, მოთხრობებიდან? საუბედუროდ, ჩემი გია ყველა მისი ახლობლის, ამხანაგის, მეგობრის ცოდვების თანამოზიარე იყო, გულში ატარებდა ყველა მათ ცოდვას და ლოცულობდა, ღმერთს შესთხოვდა მათი სულის გადარჩენას,

მათ ზნეობრივ სისუფთავეს, შესთხოვდა ღმერთს, რომ ისინი სწორ გზაზე დაეყენებინა.

ერთხელ ლონდონში სტუმრად ვიყავი გიასთან, შემთხვევით, აბაზანიდან გამოსულს მუხლებზე მაზოლები შევამჩნიე, ისეთი, როგორიც ადრე კარგი მშრომელი კაცის ხელებზე ან მეშახტის მუხლებზე მინახავს. ვერ გავიგე რა ხდებოდა. ნუთუ პირადი გვემით, ლოცვით შეიძლებოდა მთელი მისი ახლობლების ცოდვების მონანიება? ვერ მივხვდი და ახლაც ვერ ვხვდები, რატომ და რისთვის იტვირთა ჩემმა შვილმა ეს მისია, ეს ხომ არავის დაუვალებია მისთვის, მაგრამ ამას რომ მიხვდე, მაშინ გია უნდა იყო... საუბედუროდ, გვიან, ძალიან გვიან მივხვდი, რომ ჩემი შვილი ამქვეყნიური ადამიანი არ იყო და ცხოვრების იმ წესით და აღქმით, რითაც ჩემი შვილი ცხოვრობდა, ის ფაქტიურად დიდ რისკზე მიდიოდა... საუბედუროდ, ამას უკვე დიდიხანი ვხვდებოდი, შიშნარევი განცდებით ვრეკავდით და ველოდებოდით მე და ჩემი მეუღლე მის ტელეფონის ზარს ლონდონიდან. «წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო» _ სულ გვქონდა იმედი, რომ რაღაც გამოსწორდებოდა და შეიცვლებოდა გიას ცხოვრებაში, შექმნიდა ოჯახს, გაუჩნდებოდა ბავშვები. მაგრამ ამაოდ...

ეს თემა გარკვეულწილად პატარა ანალიზს მოითხოვს. არ მინახავს და არ შემხვედრია ადამიანი _ ასეთი «ბედშეკრული» სიყვარულში. ვისაც გია უყვარდა (შესანიშნავი კარგი ოჯახიშვილები, შემდეგ კარგი მეუღლეები, დედები), მათ გია მეგობრობას სთავაზობდა. ჩემი გადასახედიდან, რომელიმე მათგანი მისი ცოლი რომ გამხდარიყო, ისინი უფრო მეტად გაუგებდნენ ჩემს შვილს... მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საერთოდ მისი ყმაწვილკაცობიდან დაოჯახების თემა მასთან საუბარში აკრძალული თემა იყო. მახოვს, ერთხელ მე და დედამ ვუქეთ მისი მეგობრის და. ისეთი დღე დაგვაყარა, თქვენს მტერს: «როგორ გამიბედეთ და ჩემი მეგობრის დაზე ასეთი რამე მითხარითო».

მეგობრობის თემა _ ეს საზოგადოებრივი ინსტიტუტი ცხოვრებისა, ჩვენს ოჯახში პირველადი იყო, გვიყვარდა მეგობრები, ვაღმერთებდით მათ და გიაც ამ ატმოსფეროში იზრდებოდა. ჩვენ, მე და დედამისმა, ცხოვრების გამოცდილებიდან გავიგეთ, რა არის მეგობრის ღალატი, ორპირობა და ფლიდობა. გიასთვის ეს ცნებები გაუგებარი იყო, შინაგანად განიცდიდა და არასოდეს იტყოდა ამის შესახებ. მთელი თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი მიუძღვნა მეგობრებს, მათ სიყვარულს, სიხარულს და მათ გაჭირვების გაზიარებას, მათი ცოდვების თანამონაწილეობას, მაგრამ, საუბედუროდ, უკან ვერ მიიღო ერთი მეათედიც კი იმისა, რაც გასცა. არ ვამტყუნებ მათ და არც შეიძლება გამტყუნება. ეს გია იყო ასეთი და ვერავის ვერ მოსთხოვ იმას, რომ ისინიც ასეთები ყოფილიყვნენ. ისინი გიას გარეშე თავიანთი ცხოვრებით და საზრუნავით ცხოვრობდნენ. გიასთვის იცლიდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ სურდათ და ჰქონდათ ამის დრო და საშუალება. გიას შეეძლო მთელი დღე შეევსო მისი მეგობრების შესახებ საუბრით. ხანდახან გული მომდიოდა, მოდი შვილო, გამოვცვალოთ თემა, ვილაპარაკოთ ისტორიაზე, პოლიტიკაზე, ლიტერატურაზე და ა.შ. მაგრამ გია გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო მეგობრულ ურთიერთობაში.

ღმერთმა შეუნდოთ მათ... ახლა, როცა გია აღარ არის, კარგი იქნება, თუ რომელიმე მათგანი, დაუფიქრდება იმას, თუ რა იყო გია მათთვის და რანი იყვნენ ისინი გიასთვის. დარწმუნებული ვარ, ამ ხალხმა არა მარტო იმისათვის უნდა ილოცონ, რომ ღმერთმა შეუნდოს გიას მისი ცოდვები, არამედ უფრო მეტად უნდა ილოცონ იმაზე, რომ ღმერთმა შეუნდოთ მათ საკუთარი ცოდვები. სად იყვნენ მაშინ, როცა ტრაგედია

ასე ახლოს იყო? ნუთუ არ ატყობდნენ, ვერ ხვდებოდნენ, რომ გია აპათიის, ნოსტალგიისა და დეპრესიის სენით იყო შეპყრობილი? ვიცი, გია არ დაუჯერებდა მათ შენიშვნებს, შეიძლება გაეგდო კიდეც ისინი სახლიდან, მაგრამ ახლა ეს ხალხი თავის სინდისის და თუნდაც ღმერთის წინაშე მართლები იქნებოდნენ.

რა არის ეს, თუ არა წაყრუება და გულგრილობა? არცერთმა ე.წ. მისმა «მეგობარმა» არ შეგვატყობინა მშობლებს გიას ასეთი კრიზისული მდგომარეობა. არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ლია ლამანშს გადაცურავდა და შვილთან წავიდოდა, რომ გადაერჩინა.

მაპატიე, ღმერთო, და შემინდე! არა, გიას სიკვდილში არავის არ ვამტყუნებთ მე და დედამისი. თვით გიაა დამნაშავე ამაში, რომ ვერ გავიგეთ, ვერ ვუშველეთ, ვერ ვანუგეშეთ და ვერ ვიპოვეთ გზა მისი გულისკენ. რას იზამ, ახლა უკვე ვერაფერს ვერ გამოვასწორებთ.

*

1998 წლის ბოლოა, ახალი 1999 წელი დგება. კენტის უნივერსიტეტმა მიგვიწვია, რათა დავესწროთ 1998-1999 სასწავლო წლის გამოშვების დღესასწაულს კენტინბერგის ბრწყინვალე სააბატოს შენობაში. განუმეორებელი დღეა. ბრწყინვალეა თვით დღესასწაული... გია ინგლისური ენის სასწავლებლად ჩავიდა ლონდონში სამი თვით და ხუთ წელიწადში ინგლისური ენის რვა საფეხური დასძლია. ახლა კი ფილოსოფიის (კინო და მედია) ოსტატია. ბანკეტზე ყველა გვილოცავს, გვეხვევა და ა.შ. გიამ მითხრა, ერთი-ორი წელიწადი მაცადე, მამა, და სადოქტოროს ჩაგაბარებო. მეტი რა სიხარული უნდა მიანიჭოს შვილმა მშობლებს და ჩვენც გახარებულები ვართ. განსაკუთრებით დიდ სიამაყეს იწვევს ჩემში იმის შეგრძნება, რომ რადიოგადაცემით აცხადებენ კურსდამთავრებულთა გვარებს და მათ შორის ჩემი შვილია, ქართველი _ საქართველოდან, იმ საქართველოდან, რომელიც 1999 წელს გაპარტახებულია, დაჩოქილია, არშემდგარია _ როგორც სახელმწიფო. გონება მეუბნება, აი ჩვენი შველა, ქართველთა შველა, ამ ხალხს შეუძლია, ახალ თაობას, ჩემი შვილის თაობას, რომლებიც დაამთავრებენ კენტის, კემბრიჯის, ოქსფორდის, სორბონის, ბერლინის და სხვა უნივერსიტეტებს, ჩავლენ საქართველოში განსწავლულები, განათლებულნი და შექმნიან, ააღორძინებენ ახალ საქართველოს, ისე როგორც 1918 წელს ჩავიდნენ საქართველოში ჯავახიშვილი, პეტრიაშვილი, მელიქიშვილი, ბერიტაშვილი და, სხვათა შორის, მისი დიდი ბაბუა (ლეონტი ფოცხვერია, პეტერბურგის უნვერსიტეტდამთავრებული), მისი დიდი ბებია ალექსანდრა ჩხენკელი (პეტერბურგის სამასწავლებლო ინსტიტუტის ცნობილი «ბესტუჟევას» კურსდამთავრებული). მაგრამ მათ ეს არ დასცალდათ. განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს ის, რომ ეს ხდება კენტინბერგის საკათედრო ეკლესიაში, ინგლისის საეკლესიო წინამძღვრის ტაძარში, სადაც არაერთი ინგლისელი მეფე უკურთხებიათ. აქაა საფლავები ბევრი ინგლისელი წარმატებული და წარუმატებელი მეფისა, საეკლესიო მამამთავრისა და სხვა წარჩინებულთა, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს ინგლისის ღირსეულ ისტორიაში. აქ, ამ ეკლესიის კედლებში, ახლა გაისმის პირველად ქართული სიტყვა, ქართული გვარი _ მისტერ ოტსკვერია გივი და ეს მომენტი, ეს წამები ჩემსა და ლიას ცხოვრებაში ერთ სიცოცხლედ ღირდა (მერე გიამ მიამბო, როგორ ავარჯიშებდა 10-15 წუთს ინგლისელ დიქტორს, რომ მას შედარებით უშეცდომოდ წარმოეთქვა ჩვენი გვარი).

II

წარმოშობით ფოცხვერიები (რაც მე ვიცი გადმოცემით წინაპრებისაგან) სოფელ ჭაკანში, სამტრედიის რაიონში, XVIII საუკუნის 50-ან წლებში გადასახლდნენ ლეჩხუმიდან. ფოცხვერიების გვარის «მემატიანე» ბებია ბაბილინა გიორგობიანის გადმოცემით, ოქტომბრის რევოლუციამდე ფოცხვერიები წელიწადში რამდენჯერმე სალოცავად და შესაწირად ნიკორწმინდაში დადიოდნენ (რისი მომსწრე თვითონ ყოფილა, როგორც ახალგაზრდა რძალი). ყმა გლეხები არ ყოფილან, თავისუფალი საეკლესიო გლეხები იყვნენ. დაახლოებით XIX საუკუნის 50-60-ან წლებში ბაბუაჩემის ბაბუას ლევანს დიდი ნავი შეუსყიდია და თურქეთში (ტრაპეზუნში) დადიოდა სავაჭროდ, თამბაქო, ჩაი, შაქარი ჩამოჰქონდა. ბაბუაჩემის მამა ზაქარია უფრო ნიჭიერი ე.წ. მენეჯერი ყოფილა. შეგროვილი ფულით დუქნები აუშენებია სამტრედიასა და ქუთაისს შორის და წარმატებით ხელმძღვანელობდა საქმეს. აუშენებია დიდი სახლი სამტრედიაში და ქუთაისში. ზაქარიამ ყველა მის შვილს (ოთხი შვილი _ სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი) გიმნაზია დაამთავრებინა. ბაბუაჩემი მათ შორის უფროსი იყო, 1882 წელს დაბადებული. შემდეგ ბაბუაჩემი ლეონტი, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით და წარჩინებით სწავლობდა, «გაეპარა» მამამის ზაქარიას და გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც 1907 წლიდან 1914 წლამდე სწავლობდა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (დაამთავრა ორი კურსი), შემდეგ კი ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაუმთავრებია (დიპლომები ჩვენს ოჯახშია დაცული). ბაბუაჩემის მამა ზაქარია ისე განაწყენებულა შვილის წასვლით, ე.წ. ეკონომიური ბლოკადა გამუცხადებია და არ ეხმარებოდა შვილს სწავლის პერიოდში. მისი ლოგიკა მარტივი იყო, წერილებში წერდა: «შვილო, მე შენ საკმაო განათლება მიგაღებინე, შენ უფროსი შვილი ხარ, მოვალე ხარ ამომიდგე მხარში და განავითარო ჩვენი სავაჭრო საქმენიო».

ეჰ, ღმერთო ჩემო, ვერც ლეონტი ფოცხვერიას და ვერც გია ფოცხვერიას ვერ გააკეთებინებდი იმას, რაც მათ არ სურდათ.

ფული რომ ეშოვა, ბაბუაჩემი ზამთარ-ზაფხულ პეტერბურგის ბაზარში იჯდა და ე.წ. «прошение»-ბს უწერდა რუს გლეხებს კაპიკებად. ბებია ალექსანდრა ჩხენკელი ბაბუა ლეონტის პეტერბურგში შეხვდა, წარმომიდგენია რა სიყვარულით უნდა ყვარებოდათ ერთმანეთი, რომ მატერიალურად ორი უმწეო სტუდენტი ჩქარა 1908 წელს დაქორწინდა. ბებიას მამა სიმონი ხონის ეკლესიის მღვდელი იყო. ბებიას ხუთებზე დაუმთავრებია ხონის პროგიმნაზია, შემდეგ სახელმწიფოს ხარჯზე ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია დაუმთავრებია. შემდეგ ორი წელი უმუშავია ხონის გიმნაზიაში პედაგოგად, დაუგროვებია ფული და მშობლების ლოცვა-კურთხევით სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გამგზავრებულა.

შემდეგ მიამბეს: ამაყ ჩხენკელებს ძალიან უარყოფითად აღუქვამთ ის ფაქტი, რომ მათი შვილი ვიღაც გლეხ ფოცხვერიას გაჰყვა ცოლად. ბებიაჩემის დას (აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის დედას) სახლში შავი ფარდებიც ჩამოუკიდია და ისე წაუვიდეს თქვენს მტერს საქმე, როგორც ბებიას და ბაბუას. პირველი შვილი ერთი წლისა დაეღუპათ. 1918 წელს დაბრუნდნენ საქართველოში ი. ჯავახიშვილის და პ. მელიქიშვილის თხოვნით. რაც კი პეტერბურგში ქონება შეიძინეს, რევოლუციამ შთანთქა. ბებია 1924 წელს სრულიად ახალგაზრდა _ 39-40 წლისა გარდაიცვალა, პეტერბურგის ჰავამ დააავადა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დატოვა სამი შვილი _ ორი ძმა და ერთი და. მამა მათ შორის უფროსი იყო. 1928 წელს გარდაიცვალა მამის ძმა _ სულ რაღაც 13-14 წლის ირაკლი. მამა და მამიდა (თინა) ხან

დეიდასთან, ხან ბიძასთან (ნოე ჩხენკელთან), სახელოვანი არქიტექტორის ვანო ჩხენკელის სახლში იზრდებოდნენ. მამა და ბიძა ჩხენკელი ერთ სასწავლო ჯგუფში ირიცხებოდნენ უნივერსიტეტის სამშენებლო-არქიტექტურულ ფაკულტეტზე.

ბაბუაჩემის მამას ზაქარიას სოფელ ჭაკანში თავისი სახსრებით ეკლესია და წისქვილი აუშენებია. ამ წისქვილში დღესასწაულებზე და კვირაში ორჯერ გლეხებს უფასოდ აფქვევინებდა სიმინდს.

1977 წელს ვიყავი ერთი დღით ჭაკანში, მაშინ ეკლესია (გამოყენებული საწყობად) ჯერ კიდევ იდგა ფეხზე, წისქვილიც მუშაობდა და შევხვდი ფოცხვერიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვდათ ბაბუა ლეონტი, დიდი ბაბუა ზაქარია და მათი კეთილი საქმეები.

1892 წელს ბაბუაჩემის ბაბუას ლევანს მთელი მისი ოჯახი გამოუწყვია სათანადოდ და წაუყვანია ქუთაისში სურათის გადასაღებად. ფოტოზე გამოსახულია: გიას ბაბუის ბაბუა ლევანი, ბაბუის მამა ზაქარია, დიდი ბებია ხვახვალა, დიდი ბებია მზექალა, ბაბუა ლეონტი, მისი ძმები ალექსანდრე და ზაქრო, მათი და ლიზა. ამაზე ბრწყინვალე და შესანიშავი რა უნდა გაეკეთებინა გიას ბაბუის ბაბუას მამას ლევანს?

საერთოდ, იმდენად დიდია ფოცხვერიებს შორის გენეტიკური გამოძახილი (რომ იტყვიან, სისხლის ყივილი), რომ თითქმის ყველანი სისხლის ნათესავად თვლიან ერთმანეთს. ოჯახში შემორჩენილი გადმოცემებით თანდათან ჩემს გაგებაში ჩამოყალიბდა დაახლოებით 4-5 შტო ფოცხვერიების განშტოებისა, რომლებიც აგერ უკვე 150 წელზე მეტია, ერთმანეთთან არ ჰკარგავენ მჭიდრო ნათესაურ კავშირს. XIX საუკუნის 20-ან წლებში ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენელი (რომლებიც ბიძაშვილებად ან ბიძაშვილის შვილებად თვლიდნენ ერთმანეთს). ასეთები იყვნენ ბათლომე ფოცხვერია (სპეციალობით რკინიგზელი). ჰყავდა ოთხი შვილი. მამიდა თამარი ერთ-ერთი ულამაზესი ქალდატონი გახლდათ, მრავალი ათეული წელი იმუშავა პროკურატურაში. მისი ქალიშვილი ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის თამაზ კვაჭანტირაძის მეუღლეა.

გასული საუკუნის 50-ანი წლებიდან თბილისში დიდ კოლორიტულ პიროვნებას წარმოადგენდა მიხეილ ბათლომეს ძე ფოცხვერია, კარიერის დასაწყისში საფეხბურთო კლუბის «სპარტაკის» უფროსი, შემდეგ ვაჭრობის მუშაკი, ადამიანი საკმაოდ შეძლებული, ხელგაშლილი, მოქეიფე, ცნობილი თამადა და მრავალი კეთილშობილური თვისებით დაჯილდოებული და, რაც მთავარია, ქველმოქმედი, გაჭირვებულთა დამხმარე. მისი უფროსი ქალიშვილი სახელოვანი ქართველი მომღერლის თენგიზ ზეინკლიშვილის მეუღლე გახლდათ. მისი შვილი მიხეილი სპეციალობით ექიმი-ტოქსიკოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის სკლი-ფასოვსკის სახელობის საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიური განყოფილების უფროსია, როგორც თავისი საქმის პროფესიონალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსკოვის სამედიცინო წრეებში.

მამაჩემის ბიძაშვილი ალექსანდრე ფოცხვერია, სპეციალობით ბუღჰალტერი, არაჩვეულებრივად მოსიყვარულე,, კეთილშობილი, ქველმოქმედი პიროვნება გახლდათ. მისი შვილი ვასიკო (ვასილი) ფოცხვერია _ შესანიშნავი იურისტი _ თითქმის ოთხი ათეული წელი თბილისის პროკურორის უცვლელ მოადგილედ მუშაობდა. ვასიკოს შვილი ზურაბი, ჟურნალისტი, გაზეთ «ლელოს» რედაქორი გახლდათ. ახლა საფეხბურთო გუნდის «ვითას» პრეზიდენტია. მეორე ძმა ლევანი ბიზნესმენია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ის ფოცხვერიები, რომლებიც, აი უკვე ერთი საუკუნეა, მოსკოვში ცხოვრობენ. გასული საუკუნის დასაწყისში მოსკოვში

საცხოვრებლად გადავიდა ბაბუაჩემის ლეონტის ბიძაშვილი ანდრო ფოცხვერიას შვილი მიხეილი, რომელიც გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან მოსკოვში «სამტრესტის» მმართველი გახლდათ. ჰყავდა რუსი ეროვნების ცოლი და ოთხი შვილი, სამი ვაჟიშვილი (ბორისი, ევგენი, ვიქტორი) და ერთი ქალიშვილი. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობენ მათი შთამომავლები, სულ 10 ოჯახი.

ბატონი ბორის ფოცხვერია, 1919 წელს დაბადებული, მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, მსოფლიოში ცნობილი თურქოლოგია, მსოფლიო თურქოლოგთა ასოციაციის საპატიო წევრია, თურქეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო-საზღვარგარეთელი წევრი. დაჯილდოებულია თურქეთის რესპუბლიკის ორდენით. თითქმის ხუთი ათეული წელიწადი გარკვეულწილად განსაზღვრავდა საბჭოთა მთავრობის და რუსეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას თურქეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში. მიუხედავად ხანდაზმულობისა (89 წლისაა), ახლაც რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკია. ბ.ფოცხვერია ავტორია დაახლოებით 15 მეცნიერული წიგნისა, რომლებიც ეძღვნება თურქეთის ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ფოლკლორს და, რაც მთავარია, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას სხვადასხვა პერიოდებში. დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, რაც შესანიშნავად ფლობს თურქეთში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროცესებს. მისი სიტყვით, თითქმის გასული საუკუნის 50-ან წლებიდან შესანიშნავად იცნობდა და ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა თურქეთის პრეზიდენტებთან, პრემიერმინისტრებთან, მეჯლისის თავმჯდომარეებთან და სხვა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებთან.

ერთი პატარა კურიოზული ეპიზოდიც შეგვემთხვა მე და ბიძაჩემს... 1989 წელს ერთად ვიმყოფებოდით თურქეთში, კერძოდ სტამბულში გამართულ თურქოლოგთა მსოფლიო კონგრესზე. რამდენიმეჯერ დამირეკეს სასტუმროში, ალბათ, შეეშალათ და ბატონი ბორისი ვეგონე. როცა ავუხსენი, რომ პროფესორი ბორის ფოცხვერია კი არა, მისი მოგვარე და ნათესავი, რიგითი საბჭოთა თურქოლოგი ჯემალ ფოცხვერია გახლდით, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. თუმცა ამას არავითარი სირთულეები ჩემთვის იქ ყოფნის დროს არ შეუქმნია და მე «წარმატებით შევასრულე საბჭოთა მთავრობისა და პარტიის დავალება». ყოველ შემთხვევაში ასეთი შეფასება მიიღო ჩემმა მივლინებამ 1989 წელს თურქეთში.

ბორისის უმცროსი ძმა ევგენი (ჟენია), 1926 წელს დაბადებული, სპეციალობით ეკონომისტია, დიდხანს მუშაობდა საბჭოთა ვაჭრობის სისტემაში (ეტყობა, ეს გენი ჭარბობს ჩვენში, ფოცხვერიებში). მისი შვილი არკადი მოსკოვში ცნობილი მხატვარია, ჰყავს ორი ვაჟი.

კიდევ ერთ ღირშესანიშნავ პიროვნებაზე მოგახსენებთ, ბაბუაჩემის ბაბუის ბიძაზე მღვდელ ალექსანდრე ფოცხვერიაზე, რომელიც მოხსენიებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებში (ტომი IV), როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე: «Участником бунта был священик Александр Поцхверов (Поцхверия) из Самтредского уезда. Осужден и сослан без лишения священного сана в г. Тамбов...».

დედაჩემი არიადნა, გიას ბებია, მატერიალურად საკმაოდ ძლიერ ისააკ ჯაბუას ოჯახში დაიბადა. ჰყავდა ორი ძმა (კონსტანტინე, ვალოდია) და ერთი და ლიდია. დედაჩემის დედა მართა წარმოშობით ბრწყინვალე თავადების ჩიქოვანების გვარიდან გახლდათ. როგორც მიგახსენეთ, ჩემს დიდ ბაბუას პავლე ჩიქოვანს და მის მეუღლეს ლიზა აჩბას, ძალიან უარყოფითად მიუღიათ ჯაბუებთან დამოყვრების ამბავი:

რამდენადაც ვიცი ბებიას მონაყოლიდან, მხოლოდ სამი-ოთხი წლის შემდეგ შერიგებიან ქალიშვილს და სიძეს. თუმცა ბაბუაჩემი ისააკი ძალიან წარმატებული სახელმწიფო მოხელე გახლდათ, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ზუგდიდში პრისტავად (დაახლოებით XIX საუკუნის 90-ან წლებში) დაუწყია მუშაობა და ბოლშევიკების მოსვლამდე ზუგდიდის მაზრის უფროსის მოადგილედ უმუშავია.

ბებიაჩემი მართა, მისი გადმოცემით, მაია დადიანის ნათლული გახლდათ. შეიძლება ითქვას, დაბადების დღიდან ერთადერთი ჩემი მეგობარი და აღმზრდელი მართა ბებია იყო. დაახლოებით 4-5 წლის ასაკში მასწავლა ნარდის, ბანქოს თამაში და ამით მართობდა მთელი დღე, ოღონდ არ მეთხოვა ქუჩაში გასვლა და არ მეთამაშა, მისი თქმით, ე.წ. «ჩაჩნების ბავშვებთან». და თუ ამას, რა თქმა უნდა, მაინც ვახერხებდი, მკაცრად უნდა დამემალა სამალავში: კოჭები, ჩილკა ჯოხი და, რაც მთავარია, კაკალი. ხანდახან იმდენი კაკალი მიგროვდებოდა, ალბათ ერთი კარგი საცივის დამზადებას ეყოფოდა, მაგრამ ასეთი კაკალის სახლში მიტანა ფიქრადაც არ მომსვლია, რამეთუ ვიცოდი, ამაყი ბებია ჩემს კაკლებთან ერთად გარეთ გამაძევებდა, ან გამებუტებოდა და მეტყოდა: «შენ ჩემი შვილიშვილი არა ხარ, არ შეიძლება ჩვენი მოდგმის კაცი ასეთი «ჩაჩანი» იყოსო». აი ეს ფრაზა და გაბუტვა ყველაზე აუტანელი იყო ჩემთვის. რაც თავი მახსოვს, სულ მიმეორებდა ერთსა და იმავეს: «ისე იცხოვრე, შვილო, რომ შენი გული და ენერგია ოჯახს, საზოგადოებას და სამშობლოს მოახმარო და შენი სულიერი ცხოვრება კი ღმერთს ეკუთვნოდესო». მართალი გითხრათ, მაშინ ბევრი რამე არ მესმოდა და კარგად არც ვუსმენდი, მაგრამ შემდეგ ცხოვრებამ არა ერთხელ დამარწმუნა ამ აქსიომის სიმართლეში. მახსენდება ბებიის გამონათქვამი: ადამიანმა სიცოცხლეში სამი პური უნდა იშოვოსო: ერთი თავისთვის მოიხმაროს, მეორეთი ვალი დააბრუნოს, მესამე კი ვალად გასცესო. ჩემს კითხვაზე _ არა სჯობია, თუ სამი პური იშოვა, თვითონ მიირთვას და ოჯახიც დააპუროს-მეთქი? _ ამაყად გადმომხედავდა ზევიდან და მეტყოდა: «ნუთუ ვერ გაიგე, შე «ციგანოო», აკი გითხარი, ერთი ოჯახს მოახმაროს-მეთქი, მეორეთი მშობლების ვალი უნდა გაისტუმროს, ხოლო მესამე შვილებში და შვილიშვილებში უნდა გაავალოს, რომ შემდეგში, როცა მოხუცდება, იმათ ეს ვალი უკან დაუბრუნონო».

ბებიასაგან საკმაოდ ხშირად მესმოდა: «შვილო, შენ ისეთი წარმოშობისა ხარ, ისეთი დედ-მამის შვილი» და ა.შ. და ა.შ. შემდეგ, როცა წერა-კითხვა ვისწავლე, გამოვიდა დგებუაძე-ფულარიას რომანი «ოქროს ბეჭედი». ბებიას ვუკითხავდი ამ რომანს, თითქმის რამდენიმე საათით ვერთობოდით და ბებია ხანდახან გამაჩერებდა და მეტყოდა: «მთლად სწორად არ წერია წიგნში, მაია დადიანი სულ სხვანაირად მოიქცაო» და მიყვებოდა მაიას ცხოვრებას, თავის ბავშვობას, ახალგაზრდობას და სხვადასხვა ისტორიებს. რამდენადაც მახსოვს, მე უკვე 11 წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა. არასოდეს გაჭირვებია ზღაპრების მოყოლა, ახალ და ახალ ზღაპრებს მიყვებოდა. მე მგონია, ხშირად, მოყოლის პერიოდში იგონებდა მათ, მაგრამ ისინი ისეთი საინტერესონი იყვნენ, რომ არასოდეს მომწყენია მათი მოსმენა. ცხოვრების პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ბიძაჩემი ვალოდია ვჩკ-ას უფროსი იყო. დედაჩემის მოყოლით, ბიძა 1925 წელს მოწამლეს, ვინ და რისთვის, ბავშვობაში არ მიმხელდნენ, შემდეგში დედა მომიყვა: «არ აპატიეს ვალოდიას 1924 წლის ამბოხებულთა გაშვება აჭარიდანო». ბაბუა ისააკი კი (ზუგდიდის მაზრის ყოფილი უფროსი) თავისი სიკვდილით გარდაიცვალა 1935 წელს.

მამაჩემი გივი ფოცხვერია 1933 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქ. ზუგდიდის მთავარ არქიტექტორად დაუნიშნავთ. იქ გაუცნია დედა და 1934 წელს შეუქმნიათ ოჯახი, ხოლო 1938 წელს თბილისში გადმოსულან საცხოვრებლად. მამა

1942 წელს მოხალისედ წავიდა ომში (იყო აგრეთვე ფინეთთან ომის მონაწილე). ჩამოვიდა 1946 წელს. საქართველოში მისი პროექტებით აშენებულია რამდენიმე სკოლა (ქუთაისში, ზუგდიდში, თბილისში). 1947-1948 წლებში ხელმძღვანელობდა ე.წ. ფოილოს (წითელი ხიდი) მშენებლობას საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანთან და სომხეთთან. გარდაიცვალა 1951 წელს. დედამ, რომელიც 40 წლის დაქვრივდა, ძლივს გაგვზარდა თბილისში მე და ჩემი ძმა ანზორი. ძალიან მკაცრი და დისციპლინის მომთხოვნი იყო. შემდეგში, როცა ვუყურებდი თუ როგორ ბავშვივით უჯერებდა გიას და კახას, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. მართლაც მაგიური ძალა ჰქონია ბებიობას...

ერთხელ გიას დავუწერე სახუმარო ლექსი პუშკინის პოემის «ევგენი ონეგინის» წაბაძვით «Наш юный друг родился в семье крестянской изрядно смешанной с дворянской»... და მართლაც ასე არის და იყო, თუ გავითვალისწინებთ მისი წინაპრების წარმოშობას და რად გვინდა წინაპრები, როცა ჩემი შვილების დედა არის ბრწყინვალე ქართული გვარის იაშვილების წარმომადგენელი. ამ გვარს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, საამაყოდ პაოლო იაშვილიც ეყოფოდა. რაჭის ერისთავთა მატიანეში მათი გვარიც არის და გენერალი იაშვილი იყო ის პიროვნება, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა რუსეთის იმპერიის პარანოიკი იმპერატორის პავლე I-ის მოკვდინებაში... სასწაულია, მაგრამ ფაქტია, რომ მან ეს ჩაიდინა ზუსტად ორი-სამი კვირის შემდეგ, რაც პავლე I-მა ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისა და რუსეთის იმპერიაში შესვლის დეკრეტს, თუმცა ამის შესახებ ქართველებმა არაფერი იცოდნენ, რამეთუ დეკრეტს იმპერატორმა ხელი მოაწერა 1801 წლის თებერვლის დასაწყისში, 11 თებერვალს კი იმპერატორი მოაშთეს, ხოლო ქართველებმა ამის შესახებ მხოლოდ ზაფხულში გაიგეს. ვერაფერს ვერ ვიტყვი, მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ გენერალ იაშვილს ეს ქმედება ქართულ პატრიოტიზმში ჩავუთვალო, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

აკი მოგახსენეთ, ლია პირველ კურსზე იყო, როცა გათხოვდა და შემდეგ რა? რა არის მეტად დასამახსოვრებელი მის ცხოვრებაში? ალბათ შრომა, შრომა და კიდევ ერთხელ შრომა, ბავშვების გაზრდა, შემდეგ მოხუცი მშობლების მოვლა, ჩემთან ერთად იმ ქალაქში ან სახელმწიფოში ცხოვრება, რასაც სამხედრო სამსახური განაპირობებდა. თავის ცხოვრებაში რვა-ათი ბინა მოაწყო და ამას მხოლოდ თვითონ აკეთებდა (მე დაკავებული ვიყავი ან სამსახურით ან მეგობრებით). იმ ე.წ. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, არ ასცდენია რიგებში დგომა, რომ გემოვნებით ჩაეცვა ქმარ-შვილისა და ახლობლებისათვის და, რაც მთავარია, არასოდეს უწუწუნია ცხოვრების ხვედრზე. ამაყი იაშვილის ქალი მოვიდა რძლად ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა თბილისური კომუნალური ბინის ერთ ოთახში (24კვ/მ), რომელიც მერე მე და ლიამ ჩვენი ხელით გადავტიხრეთ, რომ დედაჩემი ცალკე ყოფილიყო. მხოლოდ ცივი წყლის ონკანი ჩვენი ბინიდან 20-25 მეტრში იყო, ერთადერთი საპირფარეშო კი შვიდ-რვა ოჯახზე იყო გათვალისწინებული. ახლანდელი გასათხოვარი ქალბატონისთვის ეს ყოველივე დაუჯერებელია, ასეთი თავგანწირვა მათთვის გაუგებარია და ამიტომაც იქმნება ოჯახები მხოლოდ ერთი-ორი თვით ან ერთი წლით. ყველა მისი მონაცემებით, გარეგნული თუ შინაგანი შინაარსით, ლიანა იაშვილი იმსახურებდა შეიძლება სხვა მატერიალურ პირობებს, მაგრამ ახლა მის გამოხედვაში არსებობს დიდი სიამაყე: «ეს მე შევქმენი, ეს მე გავაკეთე» და ამის შეგნება, მე მგონი, დიდი სულიერი სიძლიერის მანიშნებელია.

ჩვენი გიას ტრაგიკული ბედი რომ არა, ჩვენ აგერ 43 წელია, თავს ბედნიერად ვთვლიდით. როგორც მოგახსენეთ, ბავშვობაში გიორგი იზრდებოდა ბებიასთან

(მარიამ ვარდოსანიძესთან) და ბაბუასთან (გრიგოლ იაშვილთან). ბაბუამისი გრიშა იაშვილის ბედი და ცხოვრება ალბათ გარკვეული ყურადღების ღირსია. მამა სიმონი არ ახსოვდა, რაჭაში მოუკლავთ, შვილი ჯერ დაბადებული არ ყოფილა, დაუტოვებია 14 წლის ქვრივი ბავშვით. შემდეგ თბილისში იზრდებოდა. 30-ან წლებში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, როგორც ე.წ. «თბილისელი ახალგაზრდა», მეტსახელად «ობოლა», რომელიც ტოლს არ უდებდა მაშინდელ ე.წ. «ძველბიჭებს». სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. მესამე კურსზე იყო, როცა გრიშამ და მისმა ძმამ ბონდომ რამდენიმე კილოგრამი შავი პურის ტალონი გადააკეთეს და ამისთვის დააპატიმრეს და ათ-ათი წლით მიუსაჯეს პატიმრობა. გასაკვირია, მაგრამ ძმები ერთად, ერთ კოლონიაში გააციმბირეს. ბონდოს რამდენჯერმე უცდია გაპარვა, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს კი, როცა დააკავეს, საჯაროდ, პატიმრების და ძმის თვალწინ დახვრიტეს. მხოლოდ ათი წლის შემდეგ განთავისუფლდა გრიშა, შექმნა ოჯახი, შეეძინა შვილები და ა.შ. მაგრამ ამ ეპიზოდმა და პატიმრობამ, რა თქმა უნდა, ძალიან იმოქმედა მასზე. ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხზე საუბარს ერიდებოდა, ზრდიდა შვილებს, ჰყავდა დიდი მეგობრების წრე და ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო, კეთილშობილ, პატიოსან პიროვნებად ახლობლებში და ნათესავებში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გიას ბებიის (მარიამ ვარდოსანიძის) მამის ბიქტორ ვარდოსანიძის ცხოვრება. იცხოვრა თითქმის 90-95 წელი სოფელ ზოვრეთში. თუ სადმე წავიდოდა, მხოლოდ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და აუცილებლად ცხენით. ზესტაფონში ყველა კომუნისტურ აღლუმზე გამოაჭენებდა ცხენს და შემდეგ მთავრობის ტრიბუნაზე იდგა, რადგან ძალიან დიდხანს, თითქმის 10-15 წელი, ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა მისი დისშვილი, ფრიად განსწავლული, დინჯი, წყნარი სერგო საყვარელიძე (შემდგომში სოციალისტური შრომის გმირი და გამომცემლობა «მედიცინის» დირექტორი).

კეთილშობილი (აზნაურიშვილი) გახლდათ გიას ბაბუის გრიშა იაშვილის დედა ნინო (ნინუცა) გამყრელიძე, რომელიც გამოირჩეოდა რაღაც ზებუნებრივი ქალური სილამაზით, ახოვნებით, დარბაისული სიტყვა-პასუხით. უნიკალური (გინესის ნუსხაში შესატანი) ყოფილა მისი თმები 2-2,5 მეტრის სიგრძისა. შვილების დაპატიმრების შემდეგ საწყალ ნინუცას კაპიკებად გაუყიდია ეს თმები (ოჯახში დაცულია მისი ფოტოსურათი ამ უნიკალური თმებით). იცხოვრა 96-97 წელი.

ჩემი გიას წინაპრებიდან კიდევ და კიდევ არიან პიროვნებები, რომელთა გალერეა ძალიან მრავალფეროვანია: აქ არიან პედაგოგები, ექიმები, იურისტები, ინჟინრები, მეცნიერები და სხვა და სხვა... მაგრამ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა და შეიძლება არც არის საჭირო. მე მინდოდა წარმომედგინა ჩემი შვილის წარმომავლობა, მისი ოჯახი და თუ რა წრეში, რა გარემოცვაში ყალიბდებოდა, როგორც პიროვნება, ჩემი გია.

III

...შვილო, უკვე მაისი დადგა. მაისია შენს თბილისში, მაისის მზე ანათებს და ათბობს შენს საბედისწერო ქალაქ ლონდონსაც, ხარობს ბუნება, იღვიძებს მიწა, არემარე. ბუნების ყველა დროისათვის ალბათ გაზაფხულია ყველაზე გამაცოცხლებელი ყოველი არსებისა, ღმერთის მიერ შექმნილისა ამ ქვეყანაზე. ყველაფერი ახალ ფერს იძენს, თვალს ახელს, იფერება ახალ-ახალი სახით, იბადებიან და ხარობენ ახალი არსებანი, რაც მთავარია, მიწა, დედამიწა იღვიძებს და ჩვენც მიწის

შვილები არ ვართ?. შემდეგ შემოდგომას მოიმკის ადამიანი და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მოგვიტანს ახალს მრავალს გაზაფხული, გაზაფხული სიცოცხლის განახლებისა...

გამახსენდა შენი მონათხრობი ლონდონის ერთ-ერთ გაზაფხულზე, მაისობაზე. მახოვს, რა საინტერესოდ ყვებოდი, თან გეცინებოდა, თან ჩაფიქრებული იყავი იმაზე, რომ ვერ გაგიგეს, უცნაურად მიიჩნიეს შენი იმდროინდელი სულიერი განწყობა. ვეცდები, პირველ პირში მოვყვე ის, რაც შენ მაშინ, 1997 წლის მაისის ბოლოს მიამბე:

«დაახლოებით შუადღეს გამოვედი სახლიდან, გავედი ჩემი სახლის წინ მდებარე შესანიშნავ ბაღში. გაზაფხულის არაჩვეულებრივი სურნელი ტრიალებდა, მთელი ზამთრის ლონდონური ნისლისა და წვიმის შემდეგ იქაურობა სულ სხვანაირად გაცოცხლებული, გალაღებული, გამოღვიძებული მომეჩვენა. მზე ანათებდა და ათბობდა იქაურობას, ციყვები (ჩვენი ეზოს ციყვები) დახტოდნენ, თამაშობდნენ, ფეხბურთელებივით აგორავებდნენ რაღაც რტოებს ჩიტები! მრავალი ჩიტი მიმოფანტულიყო ეზოში, ჭყიოდნენ, ერთმანეთს გახარებულები შესჭიკჭიკებდნენ, თითქოსდა რაღაც თავის, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ და ჩვეულ ფერხულს უვლიდნენ. ისე გამიტაცა ამ სურათმა, რომ არც ვიცი რამდენი ხანი ვუყურებდი მათ, ვხარობდი მათი სიხარულით, მზესუმზირით ვუმასპინძლდებოდი. მათაც დაკარგეს მორიდება ადამიანის მიმართ და ზოგი თამამი ჩიტუნა მხარზეც კი ჩამომასკუპდა. ციყვები! მოშინაურებული ციყვები ლეკვებივით გარშემო მივლიდნენ და არ მშორდებოდნენ. ერთი მათგანი მუხლებზეც კი შემახტა. არ ვიცი, რა მემართებოდა, მთელი სულით და გულით ჩაბმული ვიყავი ამ სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულში. ხანდახან ცას, ცას ვუყურებდი, განათებულს, გაკაშკაშებულს მზის უთვალავი სხივებით. ისე გავერთე ამ ჩემს სიცოცხლის გამარჯვების იდილიაში, რომ დროის შეგრძნება დავკარგე, ბუნების ნაწილი გავხდი. ხარობდა გული და სული, ჩემი არსება მთლიანად ჩაეფლო, ჩაიძირა და შთაინთქა ამ არაჩვეულებრივ სანახაობაში (იმ დღეს ალბათ რაღაც განსაკუთრებით კარგ ხასიათზე ავდექი). ხარობდა ბუნება და ვხარობდი მეც, _ ჩემი არსება, არა ხორციელი, არამედ სულიერი. ასე მომეჩვენა, მამა. გთხოვ არ დამცინო, გამიგე. რასაც გიყვები, ყველაფერი მართალია. ასეთი განწყობა, სამწუხაროდ, იშვიათად, მაგრამ მაინც მეუფლებაო. ვიდექი ასე, თითქმის გახევებული, ჩვენს ბაღში და შეუმჩნევლად ვიმყოფებოდი სულ სხვაგან, ჩემთვის უცნობ, მაგრამ საოცნებო სამყაროში. შემდეგ ამ მდგომარეობიდან ლონდონელი პოლიციელის ზრდილობიანმა შეკითხვამ გამომიყვანა და დამაბრუნა ამქვეყნიურ არსებაშიო. პირველად, რამდენიმე წამი, სახტად დაბნეული შევყურებდი პოლიციელს. ვერ გამეგო, რა სურდა ჩემგან, რატომ დაარღვია ჩემი სიმყუდროვე და რად სურდა, გაეფანტა ჩემთვის ეს სულიერი აღმაფრენის წუთები.

_ რას აკეთებთ აქ, სერ? აი, უკვე რამდენიმე საათია აქ დგახართ და როგორც შემატყობინეს, აქაურობას ათვალიერებთ...

ძლივს დავბრუნდი რეალურ სინამდვილეში, გაოგნებულმა ძლივს ავუხსენი, რომ აქ ვხოვრობ, ამ ეზოში. ერთი ლონდონში გადახვეწილი ქართველი ვარ, ხანდახან რაღაცას ვწერ _ ლექსებს, მოთხრობებს. შევეცადე ამეხსნა, თუ რამ გამოიწვია ჩემი ასეთი სულიერი აღტკინება, მაგრამ ვატყობდი, ვერაფრით ვერ მიგებდა და ისიც ვერ გაეგო, თუ რა ხდებოდა ისეთი იმ დღეს იმ ეზოში და საერთოდ ქვეყანაზე, რომელსაც შეიძლება გამოეწვია ჩემი ასეთი სულიერი აღფრთოვანება. ვერ გამიგო, რა ეროვნების ვარ და სადაური. ვეცადე პატარა გეოგრაფიული და ისტორიული ექსკურსი ჩამეტარებინა მისთვის. ჯერ ყურადღებით მისმენდა, თავს მიკრავდა, შემდეგში ჩემდამი ინტერესი დაკარგა. ვატყობდი, ერთი სული ჰქონდა, როდის გამეცლებოდა.

მერე ზრდილობიანად მომიბოდიშა, საქმეები მოიმიზეზა და ჩუმად გამეცალა. ეს კი მითხრა: თქვენმა ასეთმა «ქცევამ» მეზობლები დააშინაო, საეჭვო პიროვნებად მოეჩვენეთ და პოლიციაში დაგვირეკეს, რომ გაერკვიათ, ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ ამდენ ხანსო. როგორც მან მითხრა, დაახლოებით სამი თუ ოთხი საათი ვყოფილვარ ასეთ «მდგომარეობაში».

წარმომიდგენია, შვილო, რა უცნაურ ადამიანად ჩაგთვალეს ინგლისელმა სნობებმა, არ არის გამორიცხული რომ ცოტა შერეკილადაც, თუმცა, კაცმა არ იცის ალბათ, და მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ ვინ იყო იმ დღეს შერეკილი... შენ, რომელმაც ასე აღიქვი ბუნების აღორძინება, გამოღვიძება, დღესასწაული, სიცოცხლის გამარჯვება, თუ ისინი, რომლებმაც ვერაფერი გაიგეს და შენი სულიერი მდგომარეობა უცნაურობად ჩაგითვალეს?!. ეხ, ნეტავ, იმ დღეს, ჩემო გია, როცა ასეთი ბედნიერი იყავი და ასე აღიქვამდი გარესამყაროს. ალბათ მაშინ ყველა ბედნიერი ვიყავით, შენც და შენი მშობლებიც.

არ დამცინოო, _ მთხოვე, როცა ამ ამბავს მიყვებოდი. არა, შვილო, გეფიცები, არც მაშინ მომსვლია აზრად, დამეცინა და არც შემდეგ, როცა გამახსენდებოდა ეს ეპიზოდი შენი ცხოვრებისა. მხოლოდ ახლა, როცა ჩვენთან აღარ ხარ, მრავალჯერ კიდევ ჩავუფიქრდი შენს მონაყოლს, რათა გამეგო შენი სულიერი სამყარო, ამეხსნა და გამერკვია, რითი ცოხვრობდი, რა გახარებდა და რა გაღონებდა. ერთი შემიძლია მხოლოდ ვთქვა, _ ის, რაც მიამბე, არაორდინარულია. ალბათ, შენი პიროვნების დამახასიათებელ გამოვლინებასთან გვქონდა საქმე. ე.ი. მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურია და დარწმუნებული ვარ, არამარტო უცხო ტომის ხალხს მოეჩვენა უცნაურად, არამედ ბევრი ქართველიც ვერ გაგიგებდა და ახლაც ვერ გაგიგებს. რას იზამ, ასეთია ცხოვრება. ადამიანები, განურჩევლად ეროვნებისა, მაინც ძირითადად ცხოვრებისეული (ხორციელი) გამარჯვებებისათვის იბრძვიან. ამიტომაც ყვავის კარიერიზმი, შური, ღვარძლი და გაუტანლობა. აბა სადა სცაიათ მათ ასეთი სულიერი აღმაფრენისათვის?!.

როცა უკან ვბუნდებოდი, აეროპორტში მორიდებით მთხოვე: «თუ შეიძლება, ბაბუაჩემის ომში ნაქონი დურბინდი და შენიE ღამის სათვალთვალო მოწყობილობა (დურბინდი) გამომიგზავნეო. მე და ჩემ მეგობარს, ვიკონტ ბადმინტონს სანადიროდ დაგვჭირდებაო». აქაც «ჩამჭერი»: «რა თოფი იყიდე-მეთქი?». მახსოვს, როგორ გულიანად გაგეცინა: «შენ ვერ გამიგე, მე სანადიროდ, ცხოველთა და ფრინველთა დასახოცად როგორ წავალ, აი, უკვე ორი წელია, მე და ჩემი ინგლისელი მეგობარი დავდივართ «სანადიროდ» და ჩასაფრებულები, ჩუმად ვუთვალთვალებთ ცხოველების ყოფასო. აი, ეს არის ჩვენი ნადირობაო».

არა, მაინც უნდა ვაღიარო, რომ დიახაც, «უცნაური» იყავი, ჩემო გია, იმაზე უფრო «უცნაური», ვიდრე მეგონე. ისიც უნდა ვაღირო, რომ ხშირად ალბათ ვერ გიგებდი, ვერ ვხსნიდი შეს სულიერ სამყაროს, რადგან შენ არ იყავი ჩვენისთანა, ჩვენსავით არ ცხოვრობდი, შენი არჩეული (თუ ღმერთის მიერ შენთვის არჩეული) გზა და სამყარო გქონდა...

მას შემდეგ, რაც ყმაწვილკაცი გახდი, ერთს უცილობლად მივხვდი: არასოდეს არ გახდებოდი სახელმწიფო მოსამსახურე, არ შეუდგებოდი ე.წ. კარიერისათვის ბრძოლას. არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობისათვის არ იღწვოდი. შენ აირჩიე შენი გზა. გზა, მხოლოდ შენთვის გასაგები და მისაღები. ემსახურე შენს ხალხს, შენს ერს ისე, როგორც ამას შენი გული გიკარნახებდა. ეს გზა იყო კინოხელოვნების დაუფლება. მაგრამ ეს გზა ძალიან ეკლიანი აღმოჩნდა იმ წყვდიადით გარემოცულ სინამდვილეში, რომლითაც მოცული იყო შენი და შენი

თანატოლების ცოხვრების გზა იმდროინდელ საქართველოში. ვიღაცამ იბრძოლა, ვიღაცამ დაიმკვიდრა თავისი თავი იმ თანამედროვეობაში, შენ კი ცხოვრების წესით ეს ვერ შესძელი და ამიტომ დაგიპყრო ღრმა დეპრესიის განუკურნებელმა სენმა, რამაც კატასტროფამდე მიგიყვანა როგორც შენ, ისე შენი მშობლებიც...

P.S. გიას უახლოესი მეგობარი ვიკონტი ბადმინტონი (პროფესიით არქიტექტორი, მხატვარი), წარმოშობით ინგლისის დიდგაროვან არისტოკრატთა ერთ-ერთი მემკვიდრე იყო. მათი გვარი და საჰერცოგო ტიტული XIV საუკუნიდან მოდის, ინგლისის სამეფო კარზე მსახურობდნენ საუკუნეების განმავლობაში. მისი უფროსი ძმა ინგლისის ლორდთა პალატის წევრია. 2000 წელს ვიკონტი და მისი მეუღლე მართმადიდებლებად მოინათლნენ და გია იყო მათი ნათლია. მათი მეგობრობა 13-14 წელს ითვლის. მეგობრობის დასაწყისიდან დაახლოებით მესამე წელს ბადმინტონი შეეკითხა თურმე გიას: «აი, ჩვენ მეგობრები ვართ. საინტერესოა, რამდენი ხანი დაგჭირდა, რათა დარწმუნებულიყავი, რომ მე მეგობრად გამოგადგებოდიო?» გია მიყვებოდა: «რა მეპასუხა, არ ვიცოდი. მე, რა თქმა უნდა, მას მეგობრად ვთვლიდი უკვე გაცნობისთანავეო. მაგრამ იხტიბარი რომ არ გამეტეხა, მაინც ვუთხარი: «დაახლოებით ექვსი-რვა თვე გაკვირდებოდი, თუ რა პიროვნებას წარმოადგენდი-მეთქი». მიპასუხა: «რა ჩქარები ხართ ეს კავკასიელები, და, მით უმეტეს, ქართველებიო. პირადად მე ამ საკითხის შესწავლას სამი-ოთხი წელი მოვუნდიო».
აი, ასეთია ინგლისური დინჯი, მშვიდი, სნობური ხასიათი...

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა;

შესავალი;

«ბედნიერი» ბავშვობის ეპიზოდები და სხვა;

9 აპრილი;

მერაბ კოსტავა;

ცოტა რამ თამარ ჩხეიძის შესახებ;

ვალიკო ჟვანიას პიროვნება;

დისიდენტური მოძრაობის ისტორიიდან;

თავისუფლების პირველი წლები;

აფხაზეთი;

ესე ამბავი «ჭინკას» თეორიისა;

რელიგიის შესახებ;

იგორ გიორგაძის შესახებ;

ორი ქვეყნის «აგენტი»;

ძველი ჩეკისტის ნაამბობი და სხვა;

გენერალი მაზნიაშვილი;

მთიანი ყარაბახის პრობლემა;

მივლინება ფერღანაში;

მივლინება ყაზახეთში;

ჩეკისტების იუმორი

ფაშო;

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ უნდოდა «ფ-ეს» «მსჯავრდებულთა» დახვრეტა;

ამბავი პატიმრების მუსიკალური საათის შესახებ ფელიქს ძერჟინსკის კლუბში;

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გადავარჩინე ერთი ჩეკისტის ოჯახი დატერორებას;

ამბავი რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის კარტოგრაფიული რუკისა;

ქუთაისის ენერგო მომარაგების (ქელასის) უფროსის დაპატიმრება;

ქართული სტუმარმასპინძლობა ანუ «დელფინების თეორია»;

ჯიგარო-დათო;

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ოპერატიულმა მუშაკმა 1% «პრემია»;

ჯაყო და ჩიპო;

შუშუ;

ბიჭიკო დადიანი;

ეპიზოდები ტურისტული მოგზაურობისა საზღვარგარეთ;

სტუმრად, დაძმობილებულ ქალაქ საარბრიუკენში;

ერთი ეპიზოდი;
გია და გიას წინაპრები.